114/980 3

ISSN 0132—599 X

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

5 1980

# ცისკარი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 57-ე | № 5 | მაისი, 1980 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

შალვა ამისულაშვილი — სინათლის დაბრუნება. . . . . . . . . . . . 3
გიორგი ციციშვილი — „მარადისობის კანონი“ . . . . . . . . . . . . 4
ვლადიმერ ჯანჯღავა — ერთგულება. (დივიზიის მეთაურის ჩანაწერები) . . . . . . . 11

კოლაუ ნადირაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 35
მურმან ლებანიძე — საახალწლო მოთხრობა. ლექსი . . . . . . . . . 33
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. გაგრძელება . . . . . . . . . 45
იზა ორჯონიკიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 72
თედო ბექიშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . . 75
ლეილა ცომაია — მოთხრობები . . . . . . . . . . . . 80
ხუტა ბაგუა — ლექსები . . . . . . . . . . . . 85
მირონ ხერგიანი — ლექსები . . . . . . . . . . . . 91
ოთარ ჭელიძე — აია-კოლხიდელი ზღვაოსანი. პოემა . . . . . . . . . 94
აკაკი ბეწაძე — ფეხშიშველა სასიძო. გაგრძელება . . . . . . . . . 107
ზაირა სტურუა — კარლო გოლდონი და „მშვენიერი ქართველი ქალი“ . . . . . 127

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ივანე ბაბალაშვილი — ისტორიის სიმართლისა და ფალსიფიკატორთა სიცრუის შესახებ . . . . . . . . . 139
მამია დუდუჩავა — ხელოვნების განვითარების კანონზომიერების საკითხები. დასასრული. . . . . . . . . . 148
ნათელა ონაშვილი — მორის ფოცხიშვილის ახალი წიგნი . . . . . . . . 157

### ფაქტები, მოგონებანი

სერგი დურმიშიძე — მოგონებების რამდენიმე ფურცელი. დასასრული . . . . . 162

### 70 გიორგი შატბერაშვილი 70

ერემია ქარელიშვილი — სიცოცხლე გრძელდება . . . . . . . . . . 172
ზურაბ ჭუმბურიძე — მარილიანი სიტყვის ოსტატი . . . . . . . . . 180
გიორგი ხორგუაშვილი — მოგონებები გიორგი შატბერაშვილზე . . . . . . . 185
ციალა ქაროსანიძე — „კარგის საზღვარი არ არსებობს“ . . . . . . . . 191

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი გიორგი ჭატრუშვილი

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, ა. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11. მთ. რედ. მოადგილის — 98-55-18, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 14/IV-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/V-80 წ., ანაწყობის ზომა 7¼×12, ქაღალდის ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი თაბახი 16,58.

უე 08481. ტირაჟი 19.350. შეკვ. 1092
ნაბეჭდი ფურცელი 13, საღრ.-საგამომცემლო
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1980.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების 35 წლისთავი

# სინათლის დაბრუნება

შალვა ამისულაშვილი

16237

ბერლინი უკვე კარგა ხნის აღებული იყო ჩვენი ჯარების მიერ, მორავიაში კი ჯერ კიდევ წინააღმდეგობას გვიწევდა გაჯიუტებული მტერი. ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში განსაკუთრებით ცხრაასორმოცდახუთი წლის ოთხი მაისი. ჩვენდა საბედნიეროდ, ის დღე ისე მოშუადღევდა ფაშისტური ბანდების დევნაში, მსუბუქადაც არავინ დაჭრილა ჩვენი ოცეულიდან. ისე კი, ძალიან მოვიქანცეთ, ვნატრობდით, მუხლში ქარი ამოგვეღო. ვნატრობდით და მალე მეთაურმა მცირე შესვენებაც გამოაცხადა... გამოაცხადა, მაგრამ ნეტავ არ გამოეცხადებინა, ისეთი ამბავი დატრიალდა შემდეგ...

ჯერ წეკოს ორ-ორი ნაფაზიც არ დაგვერტყა, რვა ნაღმი ერთად წამოვიდა ჰორიზონტს იქიდან... წამოვიდა და, მერე როგორ? სულ წივილითა და კივილით! თან თითო ნაღმს კვამლის თითო გრაგნილი მოსდევდა კვალდაკვალ...

რვა ნაღმი იყო და რვა აფეთქებამაც შესძრა გრუხუნით გზატკეცილის ის მონაკვეთი, რომლის მახლობლადაც ჩვენ ვიმყოფებოდით იმჟამად...

მიდამოს თეთრი, გამაბრუებელი ბურუსი მოედო, ნაღმის ნამსხვრევებით რომ იცხრილებოდა. მისებრი რია-რია და რიალი გაზაფხულის ნისლებმა იციან ხოლმე მთაში, ყბაგახსნილი ნაპრალების დაყოლებაზე. სამწუხაროდ, ჩვენი ოცეულიც არანაკლებ იცხრილებოდა იმავე ნამსხვრევებით. რას ვიფიქრებდით, ჩვენს ლეგენდარულ „კატიუშებთან“ არაერთხელ დამარცხებული გერმანელების რვალულიანი ნაღმსატყორცნი, „ვანიუშას“ რომ უხმობდნენ სახელად, კიდევ ჩაგვისაფრდებოდა სადმე მუხანათურად...

თვალებში უცბად საშინელმა ტკივილმა გამკრა, გამკენწლა. ქუთუთოები მაგრად მოვკუმე, უარესი დამემართა, ტკივილის ერთი სუსხიანი გაელვება ერთ ვამმულ მტეხიარობად გადამექცა, [illegible] მძარულ შუაღამედ შემოი-

წიგნიდან — „ფრონტული [illegible]

საქართველოს სსრ. სახელმწიფო [illegible]

ხაზა ჩემს ირგვლივ... მერე ერთხანს თითქოს ყველაფერმა გამიარა, ისევ თეთრი, გამაბრუებელი ბურუსი დამიდგა თვალწინ, მაგრამ ეს თურმე ჩემს წარმოსახვაში ხდებოდა ასე, სინამდვილეში მე უკვე ველარაფერს ვხედავდი...

ოცეულიდან სამნიღა გადავრჩით: მე, ტაშკენტელი ხოჯაევი და ტაგანროგელი კოჩეტკოვი... ხოჯაევი ფეხში დაჭრილიყო, კოჩეტკოვი — მკლავში. პირველი სამედიცინო დახმარება თვითონვე აღმოუჩინეს თავიანთ თავს. არც მე მომაკლეს მზრუნველობა, ჩემივე პერანგის ჩამონახევებით შემიხვიეს დაწყლულებული თვალები. სანიტარული ბატალიონი სხვა გზით წასულიყო წინ, აგვცდენოდა...

ასე იყო თუ ისე, ისევ მათივე დახმარებით მოვხვდი მათთან ერთად ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ ჰოსპიტალში; თუმცა რაღა ერთ-ერთ ჰოსპიტალში, როცა დღესაც კარგად მახსოვს მისი საველე ფოსტის ნომერი: 01-669... ნაოპერაციევმა ის ღამე გმინვით გავათენე პალატაში. გავათენე-მეთქი, რა ადვილად ვამბობ ახლა, თვალებში მაინც წყვდიადი მედგა, მხოლოდ ცივი კი არა, ცხელი წყვდიადი! ტანზეც ხომ ცეცხლი მედებოდა და მედებოდა... გულში ვამბობდი: ეჰეი, რა დროს მიმუხთლა ბედმა, ომის დამთავრებას თითქმის აღარაფერი აკლია-მეთქი...

ჩემი ფრონტელი მეგობრები: ტაშკენტელი ხოჯაევი და ტაგანროგელი კოჩეტკოვი კი დაბეჯითებით მარწმუნებდნენ, ნუ გეშინია, დღეიდან ყველაფერი კარგად წარიმართება, სინათლე დაგიბრუნდებაო: თანაც გმინვაზე თავს იმაგრებდნენ, მაგრამ პირღია ჭრილობებს გაძლება უნდოდა თუ არა?.. ვცდილობდი, არც მე ვქცეულიყავი ცარიელ გმინვად. ამასვე მირჩევდა ჰოსპიტლის მთავარი ექიმი მარია ალექსანდროვნა... ვგრძნობდი, სინათლის დაბრუნების იმედი თანდათან მატულობდა ჩემში, ქუთუთოების ჭრილთან წამლით გაჟღენთილ ბამბიან დოლბანდს იმიტომაც

---

# „მარადისობის კანონი"

ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ მრავლად შოგვცა მაღალი შემოქმედებითი უნარისა და მხატვრული თავისთავადობის მწერლები, რომელთა მემკვიდრეობას აზრისა და ფორმის დიდი მრავალფეროვნება მოსდგამს და შემოქმედებითი სიუხვით, წამლეკი ვნებიანობით, დამმუხტველი ძალით, პატრიოტული გზნებათა და ფილოსოფიური სიღრმით გამოირჩევა.

ორმოცდაათიანი წლების დამლევს ქართული საბჭოთა მწერლობის დიდოსტატთა სახელებს კიდევ ერთი მაღალი ულერადობის სახელი შეემატა — მადლმოსილი ნიჭის ბელეტრისტის, ნოდარ დუმბაძის სახელი.

ნოდარ დუმბაძის შორს გახმაურებულმა ნაწარმოებებმა: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „მე ვხედავ მზეს", „მზიანი ღამე", „ნუ გეშინია დედა", „თეთრი ბაირაღები" — არა მარტო დაიმსახურეს შეფასება მრავალეროვანი საბჭოთა მკითხველისა, საკავშირო პრესისა, სალიტერატურო კრიტიკისა, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მკითხველთა ერთსულოვანი აღიარებაც მოიპოვეს.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისადმი ასეთ ინტერესს თავისი საფუძვლიანი მიზეზები აქვს. ჯერ ერთი, ყოველი მისი თხზულება გარკვეული შემეცნებითი ღირებულებისაა. ეს არის ცხოვრების ახალი პლასტის, ახალი „მიკროსამყაროს" მართალი, გაბედული, მაღალმხატვრული ჩვენება. ამასთან, მის მიკროსამყაროში ყოველთვის მოჩანს და იგულისხმება გაცილებით უფრო დიდი რამ. ავტორს ისე კარგად აქვს მომარჯვებული სიმბოლური ჩვენების ხერხი — მცირეს მეოხებით დიდის ნათელყოფა, — რომ მისეულ ასახვას საოცრად დიდი ფარგლები და მასშტაბები გააჩნია, იმდენად დიდი, რომ სხვადასხვა ეროვნების, სოციალური მდგომარეობის, განათლების თუ პოლიტიკური მრწამსის ადამიანებს ერთნაირად აღელვებთ მისი სიტყვა, ერთნაირად ესმით მისი ჰუმანისტური სული, დემოკრატიული ბუნება, პროგრესული მიზნები, ხალხურობა, ეროვნულობა და ის მა-

ავუწევდ ხოლმე ძგიდეებს წამდაუწუმ...

შვიდი მაისის დილა უნდა გათენებულიყო, რომ ჩეხოსლოვაკიის ცა ჭექა-ქუხილმა შესძრა. შევკრთით, შევშინდით. გერმანელებმა არტილერიის ცეცხლი გახსნესო, გვეგონა... სიკვდილი სიკვდილია, მაგრამ ჩვენ უფრო ის გვაფიქრებდა, ხელმეორედ არ დავსახიჩრებულიყავით...

ყველანი წამოიშალნენ, არც მე გავჩერებულვარ საწოლში და სიმართლეს თუ ვიტყვი, შიშითაც სწორედ მაშინ შევშინდი,—თვალები შვიდმაგი დოლბანდით აღარა მქონდა შეკრული. შუბლზე ხელმოფარებულმა ფრთხილად მოვიხედ-მოვიხედე, დაჭრილი ჯარისკაცები ჯერ კვამლისფერ აჩრდილებად წარმომესახნენ, მერე კი მივეჩვიე, მივეჩვიე და ზოგიერთი მათგანი ერთმანეთისაგან თითქოს გავარჩიე კიდეც...

ამასობაში ერთხელ კიდევ გაისმა ჭექა-ქუხილის ხმა ჩეხოსლოვაკიის ცაზე, რომელსაც ცეცხლი და სიკვდილი კი არა, შხაპუნა წვიმა მოჰყვა, შემოდგომის შხაპუნა წვიმა. უეცრად სადღაც, საიდ[illegible] არა, მარია ალექსანდროვნას ხმაც გაისმა: აბა, მშიშრებო, ყველანი საწოლებისკენო!.. ბოლოს მისი მუქარა იმით დამთავრდა, რომ თვალებში მინის პაწია ჭილაკით რომელიღაც მწვავე წამლის წვეთები ჩამიშვა, შემდეგ ზემოდან ბამბიანი დოლბანდი დამადო და მისი ბოლოები კეფაზე შემომინასკვა მჭიდროდ, მხოლოდ ერთის პირობით, უჩემოდ აღარ მოიხსნიო...

სიმწვავემ თანდათან გამიარა, გარეთ წვიმამ უფრო მოუმატა, ხმაურზე კარგად ვატყობდი ამას. ფიქრით მშობლიურ სოფელს მივწვდი, ყოველ წვიმიან შვიდმაისობას მინდიასებური სულის მქონე ჩვენი სოფლის მოხუცი მანდილოსნები მინდვრად მიიჩქაროდნენ სამკურნალო ბალახების დასაგლეჯად, წვიმაში ამ დროს მოგლეჯილ ბალახს მეტი სამკურნალო ძალა შესწევსო.

ალბათ იმ ბალახებში თვალის სამკურნალო ბალახიც ერია ხოლმე ხანდა-

---

**ღალი იდეალები, რასაც საბჭოთა ლიტერატურა ემსახურება.**

**ამიტომ არის, რომ ნოდარ დუმბაძე დღეს არა მარტო თანამედროვე ქართული ლიტერატურის წარმომჩენია, მისი მაღალი განვითარებულობის მეტყველი მაგალითი, არამედ მთელი მრავალფეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ღირსეული ელჩიც — მისი იდეურ-მხატვრული დონისა და შემოქმედებითი პრინციპულობის** ნათელმყოფი **საერთაშორისო მასშტაბით.**

რაც შეეხება მის ბოლოდროინდელ ნაწარმოებს, **რომანს „მარადისობის კანონი“, იგი** მჭევრმეტყველური **საბუთია მწერლის** შემოქმედებითი ამაღლებისა, **ძალთა სრული** გაფურჩქვნისა, **ფილოსოფიური და** მხატვრული სიბრძნის **დაუფლებაში ახალ საფეხურზე შედგომისა.** სწორედ **ამიტომ მიენიჭა ამ რომანს** ყველაზე მაღალი, **ყველაზე** საპატიო **ჯილდო** — ლენინური **პრემია.**

მწერალი დაჯილდოებულია ფსიქოლოგიური **დახასიათების, განცდათა აღწერის, მათი ნიუ-**ანსირების ისეთი უნარით, რომ ყოველი მისი ნაწარმოები თავის ჟანრულ კუთვნილებასთან ერთად, ფსიქოლოგიური რომანის ნიშანდობლიობასაც იძენს. მაგრამ ნ. დუმბაძე არასოდეს არ იფარგლება ფსიქო-ანალიზით. მის ნაწარმოებებში მარტო ადამიანის სული კი არ ვლინდება, მთელი ცხოვრება მოსჩანს, თავისი ავკარგით, თავისი ტენდენციებით. ესეც სანაქებო თვისებათაგანია მწერლისა: პერსონაჟთა ფსიქოლოგიური დახასიათების მოხერხებული შერწყმა ცხოვრებისეულ მოვლენათა პანორამულ ჩვენებებთან და ორივე ამ მომენტის გაუთიშავი რეალისტური ასახვა.

„მარადისობის კანონი“ მხატვრული ამსახველობის ამ ორი მომენტის შესანიშნავი შერწყმის, მათი მტკიცე ერთიანობის ნიმუშია. ეს ნაწარმოები უაღრესად ეპოქისეული, უაღრესად თანამედროვე მოვლენაა. მას საფუძვლად დღევანდელი ქართული სინამდვილე უდევს. რომანი უკანასკნელი ათწლეულის ამბებს ეძღვნება და იმ რადიკალურ ძვრებსა და ცვლილებებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან. ვინატრე, შვიდმაისის წვიმით დასველებული იმისი ერთი ღერი ნეტავ აქ მომცა-მეთქი ახლა, იმიტომ კი არა, რაიმე სასწაულს შევსწრებოდი, თვალებზე არც მივიკარებდი, თითებით ფოთლებს მოვუსინჯავდი, გულში ჩავიკრავდი და მიწიან ფესვებს დავუკოცნიდი მხოლოდ...

გარეთ წვიმა უფრო და უფრო მატულობდა, მეც უფრო და უფრო ღრმად შევდიოდი ჩემი ყმაწვილკაცობის შორეულ სამყაროში. იქაც შვიდმაისის წვიმას გაუდიოდა შხაპუნი. ვხედავდი, აშკარად ვხედავდი, ვეება ხოდაბუნზე მხოლოდ შვიდად შვიდი პაწაწინა პურის თაველი რომ იდგა. მერე შხეფმონახვედრი შვიდი თაველი შვიდას თაველად რომ აისვეტა, შვიდასი — შვიდი ათასად, შვიდი ათასი — შვიდასი ათასად და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, შავად მოხნული ხოდაბუნი ცისფერ ზღვად იქცა, ცისფერ ყანად... ჩემთან ერთად ჩემი ტოლამხანაგებიც იქ იყვნენ, ქოჩრიანებიც და უქოჩროებიც. ყველანი ერთად კი ერთ სიმღერას ვმღეროდით:

შვიდმაისის წვიმაო
შვიდას ოქროდ ღირდაო;
ჭირნახულის ზღვად გასკდა,
არვის გაუჭირდაო...

შვიდმაისის ამ ტკბილმა მოგონებებმა რვა მაისის დილაც ტკბილად გამათენებინეს. ამას ზედ დაერთო ერთი სიხარულიც: წინა დღეს ჩეხოსლოვაკიის რადიოს გამოეცხადებინა, რომ ფაშისტურმა გერმანიამ უკვე თავი დამარცხებულად სცნო ოფიციალურადო და მთელ ჰოსპიტალში საზეიმო განწყობილება სუფევდა. აღარც მძიმედ დაჭრილები გმინავდნენ მაინცდამაინც. გმინავდნენო? გმინავდნენ კი არა, აღარ ჰკიოდნენო, უნდა მეთქვა. აკი ექიმებსაც არაერთხელ უთქვამთ მათთვის: მამაკაცები არა ხართ, რა გაკივლებთო... გამწარებულებს ესღა დასცდენიათ ბაგეთაგან: ჩვენ კი არა ვკივით, ჩვენი ტკივილები ჰკივიანო...

დიახ, იმ სასიხარულო დილას, როთ-

---

მოგვითხრობს, რომელიც ამ შვიდიოდე წლის მანძილზე ჩვენს საზოგადოებრივ ყოფაში მოხდა. საქართველოს კომპარტიის მეთაურობით წამოწყებული საერთო-სახალხო ლაშქრობა რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური გარემოს გარდაქმნისა და გაჯანსაღების საფუძვლად გადაიქცა და უაღრესად თვალსაჩინო ნაყოფი მოგვცა. რომანი ამ მოვლენათა ჩვენებას ისახავს მიზნად.

მაგრამ ამ რომანში ნ. დუმბაძე თავისი ჩვეული სახით ვერ წარმოგვიდგებოდა, მას რომ მხოლოდ საზოგადოებრივი მოვლენების გარეგნული აზრისი გადმოეცა და იმას არ შეხებოდა, რაც მისთვის, როგორც მწერლისათვის ყოველთვის უპირველესი იყო, — ადამიანის სულს. ამიტომ რომანის ძირითადი მიზანდასახულობა იმ ზემოქმედების ჩვენებაში მდგომარეობს, რაც დიდმა ჭეშმარიტად ისტორიულმა მოვლენებმა ადამიანთა შეგნებასა და ქცევაზე მოახდინა.

ამდენად ეს ნაწარმოები თანამედროვე ხანჭთა ადამიანის სულიერი ფორმირების მეტად აქტუალურ პრობლემას ეძღვნება და იმ ახალი ნიშანთვისებების წარმოქმნის ჩვენებას ისახავს მიზნად, რასაც შეცვლილი გარემო და აქტიური საზოგადოებრივი ზემოქმედება ადამიანის შეგნებაში იწვევს. მაგრამ ეს რთული ამოცანა ავტორმა გადაწყვიტა არა ვიწრო მორალურ-ეთიკურ პლანში, ზნეობრიობის პრობლემით შემოზღუდვის გზით, არამედ მისთვის დამახასიათებელი მხატვრული პრინციპის დაზმარებით: ღრმა ფსიქოლოგიზმის შერწყმით საზოგადოებრივი მოვლენის ფართო ჩვენებასთან.

რომანის მთავარი გმირი — ბაჩანა რამიშვილი მარტო არ არის და არც მარტო ებრძვის ავი სულის ადამიანებს. მისი კაცური-კაცობა ჯერ კიდევ ბაბუა ლომკაცამ და მამობილმა გლახუნამ შეაყენა მკვიდრ ნიადაგზე. შემდეგ მისი მაღალი კაცობა თანასოფლელმა გლეხებმა ზარდეს, მერე თბილისელი ბიჭების მეგობრული წაბიძგება წაეხმარა, ხოლო შემდეგ ცხოვრების გზაზე შემოყრილმა უამრავმა კეთილმა ადამიანმა განუმტკიცა რწმენა სიკეთის გამარჯვებაში,

გორც ადრევე ვთქვი, აღარც მძიმედ დაჭრილები გმინავდნენ მაინცდამაინც... მერე კი, როცა გავიგეთ, რომ ჩეხოსლოვაკიის რადიოთი გამოცხადებული ფაშისტური გერმანიის კაპიტულაცია არ ყოფილიყო მთლად სრულყოფილი კაპიტულაცია, ცოტა არ იყოს, დავღონდით ყველანი.

ისევ ტაგანროგელმა კოჩეტკოვმა გაგვამხნევა და დაგვამშვიდა:

— ეტყობა, გერმანიამ თავი დამარცხებულად მხოლოდ დასავლეთის სახელმწიფოთა უმაღლესი სარდლობის წინაშე სცნო. ცხადია, საბჭოთა მთავრობა ამაზე თანხმობას არ განაცხადებდა, ჯერჯერობით ჩვენი რადიოც ამიტომს დუმს ალბათ... გარდა ამისა, საკაპიტულაციო აქტის ხელმოწერის ადგილად არა რეიმსი, არამედ ბერლინი უნდა ამოერჩიათ, რაიხსტაგი რეიმსში ხომ არ არის, ბერლინშია, იქ აფრიალეს მის გუმბათზე გამარჯვების დიადი დროშა ჩვენმა ჯარისკაცებმა...

ბოლო სიტყვაზე მთელი სხეულით ჩემსკენ შემოტრიალდა და ხმამაღლა მითხრა: შეგიძლია იამაყო, ერთი მათგანი შენი თანამემამულე გახლავსო...

აი, სად გამოგვადგა შენი პოლიტხელობაო, წამოიძახა ტაშკენტელმა ხოჯაევმა და სამივეს ერთად წაგვსკდა სიცილი... გულში კი იმას ვფიქრობდით, ჩვენი საერთო გულისთქმაც მალე გამართლდებაო. ასეც მოხდა, ცხრაასორმოცდახუთი წლის ცხრა მაისი იყო ამის უტყუარი მოწამე.

გათენებისას ჩვენს პალატაში ქარიშხალივით შემოიჭრა ჰოსპიტლის მთავარი ექიმი — მარია ალექსანდროვნა (დღიურებში ასე მიწერია, გვარი ვერ მომიგონებია). შემოიჭრა და მთელი ხმით დაიძახა: აბა, მძინარა ვაჟკაცებო, გეყოფათ ძილი, წამოდექითო, ომი დამთავრდა!..

წამოვდექით კი არა, წამოვფრინდით, თან საბნები და ზეწრებიც ავიყოლიეთ ფრიალ-ფრიალით... ავიყოლიეთ და იმიტომაც მომძვრა თვალებიდან ბამბიანი დოლბანდი ერთხელ კიდევ. მართა-

---

ადამიანური სითბოს სარგებლიანობაში, მეგობრობის ძალაში. ბოლოს კი ისევ წმინდა სიყვარულმა დააგვირგვინა მისი კაცურ-კაცად ჩამოყალიბება.

სიავესთან პრინციპულ, შეგნებულ ბრძოლაში ხდება ბაჩანას ხასიათის ფორმირება და სწორედ ეს არის ყველაზე დიდი თამასუქი მისი სულიერი სიმყარისა და მაღალი ზნეობრიობისა. მხოლოდ ასეთ ადამიანს შეიძლება აინტერესებდეს ზნეობრიობის უმაღლესი კანონი, მხოლოდ ასეთ ადამიანს შეუძლიან ეძიოს და გამოიყვანოს ასეთი „კანონი". და ბაჩანა რამიშვილი „აღმოაჩენს" კიდეც მას. მწერლის მიერ მარადისობის კანონად მონათლული კრედო წარმოადგენს მაღალი ჰუმანიზმის, ჭეშმარიტი კაცთმოყვარეობის კეთილშობილურ მოთხოვნას. ადამიანთა ქცევის უმთავრეს წესად მისი დაკანონების ქადაგებას.

„მარადისობის კანონს" უზარმაზარი სიმბოლურობა მოსდგამს: მარტოსული ადამიანი ვერ გაიმარჯვებს, მას ხელის შეშველება, დახმარება სჭირდება. ეს კი მხოლოდ სიყვარულს ძალუძს. ამიტომ სიყვარული კაცთა შორის — ერთადერთი ხსნაა კაცობრიობისა. აი, ამას ქადაგებს ბაჩანა რამიშვილის პირით ნოდარ დუმბაძე და ამით კვლავ აგრძელებს თავისი შემოქმედების ძირითად ხაზს.

ნოდარ დუმბაძისეული დაუბინდავი ოპტიმიზმი, მისი მჩქეფარე სიყვარული სიცოცხლისა, მისი ვნებიანი ტემპერამენტი და შეუდარებელი მეზნებარება, მწერლის ყოველ ნაწარმოებს რომ ახასიათებს და სინათლით, სიხარულით ავსებს. ამ თხზულებაშიც არაჩვეულებრივი ძალით იგრძნობა. მოქმედი პირების ეროვნულობა, თხზულების საოცრად მომხიბლავი ნაციონალური კოლორიტი, იშვიათი სიზუსტითა და პლასტიკურობით ვამორჩეული დეტალები, „მარადისობის კანონს", მხატვრულობის ჩინებულ ნიმუშად ხდიან.

გიორგი ციციშვილი

ლია, გარკვეულად ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ აგზნებული სახეების ელვარებას მაინც ჩემებურად ალვიქვამდი... მარია ალექსანდროვნას შეუმჩნეველი არ დავრჩენილვარ, მოვიდა, მომიახლოვდა, ამხედ-დამხედა, თვალის უპეები მომისინჯა, რომელიღაც დევქალა ექთანს ქაღალდის გრაგნილი გამოართვა, გაშალა და ყველას გასაგონად მკითხა: აბა, კარგად დააკვირდი, ხელში მე ახლა ვისი სურათი მიჭირავსო...

— სტალინისაო! — წამოიძახა ვილაცამ ჩემს მაგივრად და თვალებში თითქოს სინათლე მომემატა: გაღიმებული მთავარსარდალი ნაღვერდალს უჩხრეკავდა თავის ლეგენდარულ ჩიბუხს და გაყრილი ნაპერწკლები ჩემამდე აღწევდა. ვერ ვიტყვი, ყოველივე ამას ცხადად ვხედავდი თუ არა, მაგრამ ჰოსპიტლის მთავარმა ექიმმა რომ სიხარულით მაუწყა — დღეიდან დოლბანდი აღარ დაგჭირდებაო, ეს კი ცხადზე უცხადესი აღმოჩნდა ჩემთვის.

— მართალი უთქვამთ, სიხარული სინათლეს მატებსო თვალებს! — გაისმა ხოჯაევის დაბეჯითებული ხმა.

კოჩეტკოვმა იცოტავა სიხარულის ამგვარი შეფასება და თავისებურად ჩამოქნა თავისი სათქმელი: სინათლეს მატებსო? მატებს კი არა, თვალები თვითონ სიხარულმა გააჩინაო... მერე ჯიბიდან რაღაც საგანი ამოიღო და თვალწინ დამიტრიალა, აბა თუ მიხვდები, რა არის ესაო... ვერ მივხვდი.... თურმე ვაზნა ყოფილიყო, ზედ ჰიტლერის სახელი სწერებოდა კოჩეტკოვს, ჩათქმული ჰქონოდა, ამით ჰიტლერი უნდა მოვკლაო.

ხოჯაევს მეტი რაღა უნდოდა, იპოვნა სალაპარაკო, ილაპარაკა, იხარხარა და მთელი პალატაც გულიანად ახარხარა. ბოლოს ასე მოსჭრა: იმ უხსენებელს ალბათ გულმა უგრძნო ეს ამბავი და თვითმკვლელობით იმიტომაც დაამთავრა სიცოცხლეო.

კოჩეტკოვმა ვაზნას გადაგდება დაუპირა ფანჯრიდან. ხოჯაევი წინ გადაეღობა და უთხრა: გადაგდებას, მე მაჩუქეო, არ გირჩევნიაო.. რად გინდა, რაში დაგჭირდებაო... რაში დამჭირდება და სამუზეუმო ექსპონატად გამოდგებაო. დაჭრილებმაც დასტური მისცეს მაშინვე. მცირე ხანს საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. ამ დროს მთავარი ექიმი ერთხელ კიდევ მოვიდა ჩემთან, დამარიგა, გამამხნევა და ახლა სხვა პალატებისაკენ გაეშურა ექთანების თეთრ ამალასთან ერთად...

თეთრ ამალასთან ერთადო, — ვთქვი და სწორედ ამან გამახსენა ახლა ეს ერთი სათქმელიც: პირველივე წუთებიდან თეთრი ფერი მართლაც უმტკივნეულოდ შემოიჭრა ჩემი მხედველობის ბუნდოვან არეში, აი თუნდაც მაშინ, როცა ღია სარკმელში აკაციის აყვავებული შტოები შევნიშნე. თუმცა სითეთრეც არის და სითეთრეც, მაგალითად, „თაბაშირის თეთრპერანგიანი" ჯარისკაცები რომ დავინახე ჰოსპიტლის ეზოში პირველად, კინაღამ ხელმეორედ წამერთვა მხედველობა. ღმერთმა ყველას აშოროს ამიერიდან იმგვარი თეთრი პერანგები. იმგვარ პერანგებს მხოლოდ ომი აცმევს ძვლებდამსხვრეულ ადამიანებს...

ჰო, „თაბაშირის თეთრპერანგიან" ჯარისკაცებზე მოგახსენებდით. ბოლოს მაინც იმათ მიშველეს, იმათ გადამარჩინეს ხელმეორედ დაბრმავებას თავიანთი ვაჟკაცური, ოდნავ მოგუდული და ომახიანი სიმღერით. დიახ, ისინიც მღეროდნენ, იმათაც უხაროდათ ომის დამთავრება თავიანთი უმწვავესი ტკივილების მიუხედავად. ისინი დიდ სატვირთო მანქანებში ისხდნენ და ხატვანის ჰოსპიტალში გამგზავრებას უცდიდნენ. ზოგს მარცხენა ხელი ეჭირა დაკუთხულად, ზოგს კიდევ მარჯვენა ხელი. ზოგსაც თვალები ძლივს მოუჩანდა ათასხაირად დახვეულ ბინტებიდან...

— ეეხ, თქვენც მალე გაგისტუმრებთ ხატვანის ჰოსპიტალშიო, — გვითხრა იმავე დღეს მარია ალექსანდროვნამ სამ თანაფრონტელ მეგობარს, როცა

პალატაში მოსასვენებლად ვბრუნდებოდით.

გაკვირვებულებმა ერთმანეთს გადავხედეთ, რაში დასჭირდათ ამისი თქმა, მერე ისიც ასეთი სევდიანი კილოთიო. მთავარმა ექიმმა შეგვამჩნია ერთგვარი უხერხულობა და თვითონვე განაგრძო:

— ყმაწვილებო, ჩვენ უკვე ევაკუაციას გვიპირებენ აქედან. ისე რომ, სულ ახლო მომავალში დავემშვიდობებით ერთმანეთს. გული მწყდება, რადგან ვიცი, ველარასოდეს შევხვდებით. სამი ძმა მყავდა, სამივე ფაშისტებმა მომიკლეს. თქვენ რომ გიყურებთ, მგონია ჩემი ძმები გაცოცხლებულან და მათ ვუყურებ-მეთქი... თქვენ იდღეგრძელეთ, თქვენ მოიგემატოთ ის დღეები, რაც მათ დააკლდათ... ჰო, ევაკუაციას გვიპირებენ. ვინ იცის, საით გვიკრავენ თავს. სად ვიქნებით საჭირონი დაჭრილთა დასახმარებლად... ჩანს, ფაშისტური ბანდები ჯერ კიდევ დათარეშობენ აქა-იქ ჩეხო-სლოვაკიის მიწაზე, მაგრამ დღეს ჩემი ქვეყანა, თქვენთან ერთად, მაინც ზეიმობს საბოლოო გამარჯვებას ფაშისტურ გერმანიაზე.

— რაო, თქვენ რუსი არა ბრძანდებით, ქალბატონო? — ჰკითხა უცბად გაოცებულმა ხოჯაევმა.

— არა, მე სლოვაკი გახლავართ...

— მართლა?! — წამოიძახა კოჩეტკოვმაც.

მარია ალექსანდროვნამ მზერა ახლა ჩემზე გადმოიტანა, ალბათ ფიქრობდა, მეც რაიმეს შევეკითხებოდი. როცა დარწმუნდა, რომ არაფერი მქონდა შესაკითხავი, შეწყვეტილ საუბარს ისევ თვითონ მოუძებნა დაკარგული ძაფი:

— დიახ, ჩვენ მალე დავემშვიდობებით ერთმანეთს. მკურნალობას თქვენ ხატვანის ჰოსპიტალში განაგრძობთ. ხატვანი უნგრეთის მშვენიერი პატარა ქალაქია, ბუდაპეშტის მახლობლად მდებარეობს. სიმშვიდეც მეტი გექნებათ იქ. მერე კი, ჭრილობებს რომ მოიშუშებთ ერთხელდასამუდამოდ, ჰაიდა სამშობლოსაკენ!.. ხოლო მე ისევ ჩეხოსლოვაკიის გზებზე ვივლი, ჩემი საველე ჰოსპიტლით ხან ერთ კუთხეში დავბანაკდები, ხან მეორეში...

ამის თქმა იყო და ჰოსპიტლის დერეფანში შორეული სიმღერის ხმა შემოიჭრა. უნაზესმა მელოდიამ სიამით აავსო ჩვენი გულები. მთავარი ექიმი სმენად იქცა. ჩვენი სლოვაკი ქალები მღერიანო, გვითხრა ბოლოს. რომელიღაც ექთანმა ფანჯრის მიხურვა დააპირა, დაჭრილებმა ყიჟინა დასცეს, ხელი არ ახლო, სიმღერას გზა მიეციო... მარია ალექსანდროვნას ძალიან გაუხარდა ეს ამბავი და მისი ხათრით ჩვენც ერთიორად დავძაბეთ ყურადღება. აი, სიმღერის ტექსტიც:

— პრი პრეშპორკუ ნა დუნაი გუსკი საპერუ.
ვეზმი იანკო კარაბენჩიკ, ზასტრელ ზნიხ ედნო.
— ია ტე გუსკი ნე ზასტრელიმ, ია ტე გუსკი
ზნამ.
ტო ტე გუსკი მოე ზუსკი, ჩოკნე ხოდიე ნამ...

ვუსმენდით ამ სიტყვებს და ყოველი ჩვენგანი ცდილობდა, მათ ჟღერადობაში სიტყვიერი ნათესაობის რაიმე ნიშანწყალი აღმოეჩინა. მე, პირადად, სლოვაკი მონადირე „იანკო“ ქართველ „იანქოდ“ მოვნათლე და ქართული სანადირო თოფიც დავაჭერინე ხელში. კოჩეტკოვმა ხომ სლოვაკური სიტყვების ნახევარზე მეტს ტაგანროგის გვირგვინი დაადგა. არც ხოჯაევი ჩამოგვრჩა ამ საქმეში, მან სლოვაკური „ჩოკნე“ შუააზიურ „ჩაუგანს“ ანუ იგივე ჩოგანს შეუსადაგა და მყისვე საზეიმო იერი მიიღო. მერე კი რატომღაც დაღონდა, ფიქრებს მიეცა, დამნაშავესავით თავი დაბლა დაღუნა.

მთავარმა ექიმმა ამის გამო საკმაოდ დატუქსა იგი: შუბლი გაშალე, მხრებში გაიმართე, არ მიყვარს სულითა და ხორცით მოშვებული ადამიანები. ჩემს ერთ-ერთ ძმას ტყუილად შეგადარე წელან?!.

— ჰოდა, მეც ახლა სწორედ თქვენს ძმებზე ვფიქრობ. ცოდონი არ არიან,

ასეთ საზეიმო დღეს, ასეთ მზიან ამინდში ისინი მიწაში იწვნენ?!.

მთავარ ექიმს შეცვებულივით შეაცახცახა და ჰოსპიტლის ეზოს გადაღმა თვალი რაღაცას გაუშტერა. ჩვენდაუნებურად ჩვენც იქითკენ გადავიტანეთ მზერა. იქ, ეზოს გადაღმა ბრეზენტის შალითებით შემოსილი ქვემეხების გარდა, სხვა არაფერი ჩანდა... ყველანი დავდუმდით, თითქოს ამით უკანასკნელი ხარკი გადავუხადეთ ომის ღმერთს...

დუმილი კოჩეტკოვმა დაარღვია, — სიტყვის ანკესი ხოჯაევისაკენ ისროლა:

— აღარ გახსოვს, ერთხელ შეტევაზე სიმღერით რომ გადავდიოდით და სიკვდილი კინაღამ აბუჩად ავიგდეთ?!.

— მე ისიც მახსოვს, სიკვდილს რომ მიწაში ვემალებოდით.

— სიკვდილს მიწაში კი არა, ღრუბლიან ზესკნელშიც ვერ დაემალები. შენ ის მითხარი, ახლა რა ვქნათ, მარია ალექსანდროვნას ძმები არ მოვიხსენიოთ, არ დავლოცოთ გმირულად დაღუპულ საბჭოთა მეომრებთან ერთად?!.

ხოჯაევს შუბლი გაეხსნა, მაგრამ პასუხი მე დავასწარი და ჩანაფიქრიც მე დავუდასტურე კოჩეტკოვს, თან ისიც დავურთე, მარია ალექსანდროვნა თუ დაგვრთავს-მეთქი ნებას.

მარია ალექსანდროვნა ამაზე უარს როგორ იტყოდა, ქვეყანა ზეიმის ზენიტში იყო ასული. მხოლოდ გამაფრთხილა: წვეთი არ მიიკაროთ, თორემ მაგ ნამტკივარ თვალებში შავი ფრინველები დაგიტრიალდებიან და შეიძლება მხედველობას საბოლოოდ გამოეთხოვო კიდევაცო...

ხოჯაევმა არ დაიჯერა ეს ამბავი და რაღაც ეშმაკურად წაიღიღინა თავისათვის. კოჩეტკოვმა სიცილით მითხრა: იღიღინოს რამდენიც უნდა, მაგას კიდევ თავისი რჯული არ აძლევს დალევის უფლებასო...

მარია ალექსანდროვნამ დრო იხელთა და სიცილითვე განაცხადა: მაშინ ბუფეთი და მოედანი მე და კოჩეტკოვს დაგვრჩენიათ... ეს კი თქვა, მაგრამ არც მე და ხოჯაევი დაგვტოვა უყურადღებოდ, დღეს ყველანი ჩემი „სტუმრები“ იქნებით და რამდენიმე ექთანთან ერთად თავის პატარა ოთახში შეგვიძღვა... ნუ მორცხვობ, თამამად იყავი, მე და შენ შარბათიანი წყალიც გვეყოფაო! — ჩამჩურჩულა ყურში ტაშკენტელმა მეგობარმა, როგორც კი ოთახის დირეს გადავაბიჯეთ...

ის დღე თითქოს ჩვეულებრივზე ადრე დაღამდა. უცხოეთის ცა ფერადი ბუშტებითა და შუშხუნებით აივსო, ხოლო ჩვენი სული — ფერადი სიზმრებით... ხანდახან „თაბაშირის თეთრპერანგიანი“ ჯარისკაცებიც მესიზმრებოდნენ, დიდ სატვირთო მანქანებში რომ ისხდნენ და ხატვანის ჰოსპიტალში გამგზავრებას უცდიდნენ. მესმოდა მათი ომახიანი სიმღერაც.

ისინი მღეროდნენ სამშობლოზე, დაღუპულ სიჭაბუკეზე. მჯეროდა, რომ საფლავებად ქცეულ სანგრებიდან ლანდებივით ამოდიოდნენ მაღლა უსასტიკეს ბრძოლებში დაღუპული ჯარისკაცები ამ ძლევამოსილი სიმღერის მოსასმენად...

მერე ისევე ისე ივსებოდა უცხოეთის ცა ფერადი ბუშტებითა და შუშხუნებით, ხოლო ჩვენი სული — ფერადი სიზმრებით. ამ ფერად სიზმრებში ხშირად კრემლის ფერადი კოშკებიც აილანდებოდნენ ხოლმე და კურანტების ტკბილ გუგუნში სულმოუთქმელად მოვიჩქაროდით სამშობლოსაკენ. მოვიჩქაროდით და სიხარულისაგან ხან ღიმილის შუქი გადაგვდიოდა სახეებზე, ხან ხორბლის ოდენა ცრემლები გვდიოდა უცნაურ ნაპერწკლებად აკიაფებული...

ასეთი განცდით, ასეთი განწყობილებით აღიქმებოდა ცხრაასორმოცდახუთი წლის ცხრა მაისი იქ, იმ შორეულ პატარა ჰოსპიტალში, სადაც მე და ჩემი თანაფრონტელი მეგობრები ვიმყოფებოდით იმჟამად. ადრეცა ვთქვი და ახლაც სიამაყით ვიმეორებ: მე დღესაც კარგად მახსოვს მისი საველე ფოსტის ნომერი — 01-669.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ვლადიმერ ჟანჟღავა**
გენერალ-ლეიტენანტი
საბჭოთა კავშირის გმირი

# ერთგულება

## დივიზიის მეთაურის ჩანაწერები

### გამოძახება ღამით

ზაფხულის ერთ ბნელ, დახუთულ, ცხელ ღამეს, ჩემს ბინაში ტელეფონის ზარი ჟიუტად და გაგრძელებულად აწკრიალდა. წითელ არმიაში თოთხმეტი წლის სამსახურის მანძილზე უკვე მიჩვეული ვიყავი პირველსავე სიგნალზე სწრაფ გაღვიძებას, მაგრამ ამჯერად ძილს თავი ვერაფრით დავაღწიე.

პირველმა ისევ მეუღლემ გაიღვიძა და იმის შიშით, ბავშვები არ გაეღვიძოთ, ოდნავ აღელვებული, დაბალი ხმით დამიძახა:

— ვოლოდია, ადექი, რეკავენ. ალბათ ისევ საბრძოლო განგაში იქნება.

ლოგინიდან სწრაფად წამოვდექი, ყურმილი ავიღე და მორიგის ნაცნობი ხმა გავიგონე:

— ამხანაგო კაპიტანო, სასწრაფოდ გიხმობთ დივიზიის მეთაური.

იმავ წამს კარზეც გაბმული კაკუნი გაისმა, და მეკავშირემ წუთის წინ ტელეფონში მოსმენილი ბრძანება გამიმეორა.

— რა ამბავია იქ? — ვკითხე მე.

— არ ვიცი, ამხანაგო კაპიტანო, მე აი ამ სიით მეთაურების გამოძახება დამავალეს, — მიპასუხა მან და მცირე ზომის ფურცელზე ჩამოწერილი მეთაურთა გვარები მიჩვენა.

— კარგი, წადით!

ოთახში შევბრუნდი და საჩქაროდ ჩავიცვი. სახლიდან გამოსვლის წინ ჩემდაუნებურად საათს შევხედე. ოთხის თხუთმეტი წუთი იყო.

ზაფხულის მოკლე ღამე უკვე ილეოდა. აღმოსავლეთს დღის მაუწყებელი გარიჟრაჟი მოსდგომოდა. აჩქარებით მივაბიჯებდი. განთიადის წინა მდუმარებაში გარინდულ, ჯერ ისევ მძინარ სამხედრო ქალაქში, მივდიოდი სახლებს შორის, რომლებშიც მეთაურთა ოჯახები ცხოვრობდნენ. თითქოს ჩემს შესახვედრად ფანჯრებში ზედიზედ ინთებოდა სინათლეები, მაშასადამე, ნაბრძანები იყო შემადგენლობის სრული თავმოყრა. ნეტა რა მიზეზია?

სასწავლო-საბრძოლო განგაშები ბოლო ხანებში ჩვენთან ძალიან ხშირად ცხადდებოდა, ძირითადად, პოლკებსა და ბატალიონებში. და პირადი შემადგენლობის საომარ მომზადებასა და საბრძოლო მზადყოფნის შემოწმებაში საკმაოდ დიდ როლსაც ასრულებდა. არც თუ იშვიათად საბრძოლო განგაშის სიგნალზე ტანკისტები ღამით გამოდიოდნენ საველე მეცადინეობებზე და საბრძოლო სროლაში იწვრთნებოდნენ. ჩვენი მე-16 სატანკო დივიზიის მეთაურობა ზედმიწევნით ასრულებდა თავდაცვის სახალხო კომისრის მოთხოვნას — ასწავლე ჯარს ის, რაც აუცილებელია ომისათვის. საბრძოლო განგაშებით ასეთი სასწავლო და საწვრთნელი გასვლები, უმეტესწილად ნაწილებისა და ქვედანაყოფების სწრაფ თავმოყრასა და დაჯგუფებაში გვიწყობდა ხელს, აგრეთვე, პრაქტიკულად გვაჩვევდა ყოველგვარ პირობებსა და დროის მინიმალურ მონაკვეთში სწრაფ და გადამწყვეტ მოქმედებას.

ასევე პერიოდულად ტარდებოდა დივიზიაში საშტაბო სწავლებაც. გერმანელი და იტალიელი ფაშისტების მიერ ატეხილი მეორე მსოფლიო ომი დღითი დღე ფართოვდებოდა. საერ-

თაშორისო ვითარება უკიდურესად დაძაბული იყო; ფაშისტური აგრესიის მუქარა სულ უფრო იზრდებოდა ჩვენი ქვეყნის მიმართაც. ამიტომ დივიზიის მეთაურთა მიერ გამოცხადებული ყოველი საბრძოლო განგაში შეიძლება ომის დაწყების მაუწყებელი სიგნალიც ყოფილიყო.

დივიზიის შტაბში მე მეხუთე განყოფილების უფროსი ვიყავი, ჩემს მოვალეობას შეადგენდა დივიზიის ნაწილების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების დაგეგმვა და მოგვარება, აგრეთვე, ომის შემთხვევაში დივიზიის ნაწილების მობილიზაციისა და მოქმედების უზრუნველყოფა. ჩემი განყოფილების სეიფში ინახებოდა დივიზიის მობილიზაციის გეგმა; ამიტომაც, როგორც წესი, საბრძოლო განგაშის დროს ერთ-ერთ პირველთაგანს გამომიძახებდნენ ხოლმე. ამავე მიზეზით ჩემს პატარა ბინაში დადგმული იყო ტელეფონი, რომელიც ბევრ ისეთ მეთაურსაც კი არ გააჩნდა, თანამდებობით ჩემზე გაცილებით მაღლა რომ იდგნენ.

მე-16 დივიზიაში, რომელიც ორმოცი წლის ზაფხულში ოდესის სამხედრო ოლქის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა, მე გადამიყვანეს 173-ე მსროლელი დივიზიიდან, ვისთან ერთადაც თეთრფინელებთან ომში ვიბრძოდი. კადრების განყოფილებაში გამომიძახეს და მიწერილობა გადმომცეს:

— ამხანაგო კაპიტანო, თქვენ გადაყვანილი ხართ მეთექვსმეტე სატანკო დივიზიაში, შტაბის მეხუთე განყოფილების უფროსად, და დღეიდან სამსახურს გააგრძელებთ იქ.

უარი განვაცხადე, — საერთო საჯარისო სასწავლებელი დავამთავრე და ტანკისტი არა ვარ-მეთქი.

— რა ვუყოთ, რომ ტანკისტი არა ხართ, — უბრალოდ მითხრა კადრების განყოფილების უფროსმა, — სამაგიეროდ გაქვთ საბრძოლო გამოცდილება და მთავარიც ეს არის. სატანკო ჯარების თავისებურებებს მუშაობის პროცესში შეისწავლით. რა ვქნათ, ჯერჯერობით ტანკისტი მეთაურები არ გვყოფნის.

ოლქის შემადგენლობაში მე-16 სატანკო დივიზიასთან ერთად ჩამოყალიბდა კიდევ ხუთი სატანკო და სამი მოტომსროლელი დივიზია, ესე იგი, მთელი სამი მექანიზებული კორპუსი. მათში, ტანკისტ მეთაურებთან ერთად, ბევრი საერთო საჯარისო მეთაურიც დაინიშნა. საჭირო გახდა გადამზადებაც და მუშაობის პროცესში ახალი სამხედრო სპეციალობების ათვისება. და უნდა ითქვას, რომ ამას დიდი ენთუზიაზმითა და ჯიუტი მონდომებითაც ვაკეთებდით.

საერთაშორისო ვითარება სულ უფრო მეტად მწვავდებოდა. ამასთან დაკავშირებით ჩვენი მე-16 სატანკო დივიზია, როგორც ოლქის სხვა ბევრი შემადგენლობა, გადაყვანილ იქნა საომარ [illegible]ზე. სატანკო სკოლებსა და სასწავლებლებს არ შეეძლო არმიების სწრაფად მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ტანკისტი მეთაურებით. ამის გამო სატანკო ოცეულის, ასეულის და ზოგჯერ ბატალიონის მეთაურებადაც, მთელ რიგ შემთხვევებში, საერთო საჯარისო მეთაურები და კავალერისტები ინიშნებოდნენ, რომელთაც აგრეთვე ახალ ყაიდაზე გადამზადება სამსახურის მსვლელობაში უწევდათ.

სატანკო ეკიპაჟებს საგრძნობლად აკლდათ სპეციალისტი მებრძოლები და სერჟანტები, რომლებიც მთლიანად დაუფლებული იქნებოდნენ ტექნიკას. ამის გამო სატანკო და მექანიზებული შენაერთების დაკომპლექტება ძირითადად ახალ შევსებაზე, ესე იგი, ჯარში სრულიად ახლად გაწვეულების ანგარიშზე მოდიოდა.

ჯერ კიდევ ორმოცდაერთი წლის დასაწყისში გენერალ-ლეიტენანტ ი. ვ. ნოვოსელსკის მეორე მექანიზებულ კორპუსის ნაწილებში, რომელშიც ჩვენი დივიზიაც შედიოდა, დაიწყო იმ დროისათვის ახალი ნიმუშის — „კვ" და „ტ-34" ტანკების შემოტანა, მაგრამ ისინი ძალიან ცოტა იყო. საერთოდ, ომის დასაწყისში კორპუსს ტანკები მხოლოდ იმის ნახევარი ჰქონდა, რაც მას საომარი დროის შტატით ეკუთვნოდა. მათშიც „კვ" და „ოცდათოთხმეტი" მხოლოდ რამდენიმე ათეული შედიოდა, დანარჩენი მანქანები კი ყველა მოძველებული კონსტრუქციისა იყო.

ჩვენი მე-16 დივიზია ომის წინ ოდესის ოლქში, ქალაქ კოტოვსკის რაიონში განლაგდა. მასში შედიოდა ორი სატანკო პოლკი — 31-ე და 149-ე, მე-16 მოტომსროლელი, მე-16 საქვემეხო-საარტილერიო და ცალკეული საშტატო ნაწილები, ქვედანაყოფები და სამსახური. კორპუსის ორი სხვა დივიზია განლაგებული იყო სახელმწიფო საზღვრის მახლობლად: მე-11 სატანკო — კიშინოვის რაიონში, ხოლო მე-16 სივაშის მოტომსროლელი — ტირასპოლისა და ბენდერის რაიონში.

## დივიზიის მეთაურთან

დივიზიის მეთაურის კაბინეტის კარი ოდნავ ღია დამხვდა. მე შევედი და მოვახსენე:

— კაპიტანი ჯანჯღავა თქვენი ბრძანებით...

— კეთილი, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ, მოდი, დაჯექი, — ისე მითხრა დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა მ. ი. მინდრომ, რომ მოხსენება არ დამამთავრებინა და დაუმატა, — ბარემ მობილიზაციის გეგმა მოიტანეთ, დაგვჭირდება.

პაპიროსის ნამწვავებით პირთამდე სავსე საფერფლე და კვამლის ბოლქვები მოწმობდა, რომ პოლკოვნიკ მიხეილ ივანეს ძე მინდროს და დივიზიის შტაბის უფროსს ანდრეი გრიგოლის ძე ზემლიანოის მთელ ღამეს არ სძინებოდათ და ეს დრო მუშაობაში გაეტარებინათ.

დივიზიის მეთაური მამაცური, ლამაზი და

უხმოლიმარი სახე ამჯერად უჩვეულოდ მკაცრად და დაღვრემით გამოიყურებოდა. ხშირი წარბებით მორკალული მისი ცოცხალი, გამჭვირვალე თვალები უძილობისა და ზედმეტი შეშფოთებისაგან თითქოს ჩამქრალიყო და გაუფერულებულიყო. მუდამ წყნარსა და აუჩქარებელ მიხეილ ივანეს ძეს თავშეკავების საკმაო უნარი ჰქონდა და თვით უკიდურეს მდგომარეობაშიც კი ხმას ზედმეტად არ აუწევდა. ამავე დროს იყო დიდად მომთხოვნიც. სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე, მშვიდობიანობის დროს იგი ბევრსა და ბეჯითად სწავლობდა, დაამთავრა კომინტერნის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სკოლა, ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია, ხოლო როცა 1940 წლიდან აჩქარებული ტემპით დაიწყეს წითელ არმიაში ახალი სატანკო შენაერთების ჩამოყალიბება, მიხეილ ივანეს ძე დაინიშნა სატანკო დივიზიის მეთაურად. ჩვენთან კი იგი 1941 წლის მარტში გადმოვიდა. ფართო განათლების მქონე, გამოცდილი და დამსახურებული მეთაური, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე სარდლობის მიერ საგანგებო დავალებების შესრულებისათვის წითელი ვარსკვლავის ორდენით იყო დაჯილდოებული, ბრწყინვალე ტაქტიკოსი და სატანკო საომარი ტექნიკის უბადლო მცოდნე, ადამიანებისადმი დამოკიდებულებაში იგი მუდმივ უბრალო და გულისხმიერი იყო და დივიზიაში ურყევი ავტორიტეტითა და გულწრფელი სიყვარულით სარგებლობდა.

როცა დივიზიის მეთაურის კაბინეტში შევედი და მობილიზაციის გეგმა შევიტანე, იქ უკვე თავი მოეყარათ ამხანაგებს: დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსს, პოლკის კომისარს ნიკიტა რუდენკოს, გამოცდილ კადრის პოლიტმუშაკს, მეთექვსმეტე სატანკოში მისი ჩამოყალიბების დღიდან რომ მუშაობდა, დივიზიის შტაბის უფროსს პოდპოლკოვნიკ ანდრეი ზემლიანოის, შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსს მაიორ მ. ა. მინასიანს — მან ცოტა ხნის წინ დაამთავრა ფრუნზეს სახელობის აკადემია და მშვენივრად ერკვეოდა ოპერატიულ საკითხებში, არტილერიის უფროსს პოლკოვნიკ ა. ხ. იურასოვს, კავშირგაბმულობის უფროსს პოდპოლკოვნიკ ვ. ტ. ზახაროვსა და დივიზიის მართველობისა და შტაბის სხვა ხელმძღვანელ მეთაურებს — სულ ოცდაათ კაცს.

ყველანი რომ შევიკრიბეთ, დივიზიის მეთაური წამოდგა, ყურადღებით ჩამოათვალიერა მეთაურები, თითქოს იმის გაგება სურდა, აბა ყველა გამოძახებული მოვიდა თუ არაო, და განაცხადა:

— მიღებულია ოლქის სამხედრო საბჭოს დირექტივა. მე წაგიკითხავთ მხოლოდ იმას, რაც ყველაზე საჭიროდ და მნიშვნელოვნად მიმაჩნია. დირექტივაში ნათქვამია: „1941 წლის 22-28 ივნისის განმავლობაში შესაძლებელია გერმანელების უეცარი თავდასხმა... გერმანელთა თავდასხმა შეიძლება დაიწყოს პროვოკაციული მოქმედებით. ჩვენი ჯარების ამოცანაა, — არ აჰყვეს არავითარ პროვოკაციულ მოქმედებას, რასაც შეიძლება საკმაოდ დიდი გართულებები მოჰყვეს..." ამასთანავე, ოლქის სამხედრო საბჭო მოითხოვს: „ვიყოთ საბრძოლოდ ყოველმხრივ მზად და გერმანელების უეცარ თავდასხმას შევხვდეთ..." ოლქის ჯარებს ნაბრძანები აქვს: „1941 წლის 22 ივნისის ღამის განმავლობაში ფარულად დაიკავონ საცეცხლე წერტები სახელმწიფო საზღვრის გამაგრებულ რაიონებში: 1941 წლის 22 ივნისს, განთიადის წინ, საველე აეროდრომზე გულმოდგინედ შეინიღბოს მთელი ავიაცია, მათ შორის საჯარისოც; ყველა ნაწილი მზად იყოს საბრძოლველად... საგანგებო განკარგულების გარეშე არ იქნას გატარებული არავითარი სხვა ღონისძიებები".

მიხეილ ივანეს ძემ კითხვა დაამთავრა, ფურცლები დირექტივის ტექსტთან ერთად საქაღალდეში ჩადო და მცირე ხნის დუმილის შემდეგ დაუმატა:

— კორპუსის სარდლობისგან ჩვენ ნაბრძანები გვაქვს — დაუყოვნებლივ გავიყვანოთ პირველი ეშელონის სამხედრო ნაწილები სახელმწიფო საზღვრისაკენ და მობილიზაციის გეგმის შესაბამისად შევუდგეთ დივიზიის მეორე ეშელონის ფორმირებას.

— რა არის ეს? ომია? — იკითხა რომელიღაც დამსწრეთაგანმა.

პოლკოვნიკი მიდრე სანამ ამ კითხვას უპასუხებდა, ტელეფონი აწკრიალდა და მან ყურმილი აიღო.

— რათ?! ფაშისტები აეროდრომს ბომბავენ? — ჰკითხა დივიზიის მეთაურმა იმას, ვინც ხაზის მეორე ბოლოში იმყოფებოდა.

თუმცა პოლკოვნიკმა დასმულ კითხვას არ უპასუხა, მაგრამ ფაშისტების მიერ აეროდრომების დაბომბვის ცნობამ ყველაფერი ნათელი გახადა: ომი დაიწყო.

ომი... მე კარგად ვიცოდი, რაც იყო იგი. თვალწინ თითქოს ბურანიდან ამოტივტივდა ერთხელ უკვე დანახული სურათის ნაწყვეტები: ოჯახთან გამოთხოვება, ცოლის აცრემლებული თვალები, შუაღამისას გაღვიძებული შვილის დაბნეული გამოხედვა... თოვლზე დაღვრილი სისხლი... დაჭრილთა კვნესა... ყინვაში სწრაფად გაციებული მოკლულთა გვამები... ცეცხლი და ნგრევა... უმძიმესი ბრძოლები „მანერჰაიმის ხაზის" ცალკეულ გამაგრებულ მისადგომებთან... დიახ, ყველაფერი ეს ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობი იყო.

მიხეილ ივანეს ძემ ტელეფონით საუბარი დაამთავრა და დივიზიის ნაწილების მომზადება და საზღვრის მიმართულებით გადაადგილება ბრძანა. ეს იყო პირველი საბრძოლო ბრძანება.

ამგვარად, საბრძოლო განგაში პოლკებზეც გავრცელდა.

პოლკოვნიკმა მიდრონ მომმართა:

ვლადიმერ ნიკოლაევიჩ, სასწრაფოდ სამხედრო მარაგის საწყობებს ჩამოუარე. შეიძლება ზოგი მანქანები იყოს თავმოყრილი. უცილებლად უნდა გავიტან-გამოვიტანოთ და შევინიღბოთ. ყოველ წუთს შეიძლება გამოჩნდეს მტრის ავიაცია და დაბომბვის შემთხვევაში ყველაფერი განადგურდება.

საჭირო იყო რაც შეიძლება ჩქარა წასვლა, თორემ დაყოვნებას შეიძლება საშინელი უბედურება მოჰყოლოდა არა მარტო დივიზიისათვის, არამედ საწყობების ახლო მცხოვრები მოსახლეობისათვისაც.

ჩვენს მეხუთე განყოფილების ოთახში მე უკვე მელოდებოდნენ ჩემი მოადგილე უფროსი ლეიტენანტი პ. ა. ბუგაენკო და თანამშრომლები — კაპიტანი ბულატოვი და ლეიტენანტი კოვალენკო. მათ სასწრაფოდ ავუხსენი საქმის ვითარება, მერე ბუგაენკოს ვუბრძანე, გამოეყვანა განყოფილება და დაუყოვნებლივ შედგომოდა დივიზიის მეორე ეშელონის მომზადებასა და ჩამოყალიბებას. მე თვითონ მოძველებულ „ემკის“ მოვუერს წითელარმიელს ლევ მაიას გავძახე და, კაპიტან ბულატოვთან ერთად, დივიზიის მეთაურის ბრძანების შესასრულებლად საწყობებისაკენ წავედი.

## მეორე ეშელონი

საწყობებთან, როგორც მოსალოდნელიც იყო, კარგა ბლომა ავტომობილები დამხვდა. ცალ-ცალკე თუ ჩავთვლით, ყოველ რიგში სამ-სამი მანქანა იდგა.

საბრძოლო-სამოხსწავლო განგაშების დროს, როგორც წესი, საწყობებიდან არავითარი საომარი მარაგი არ გვეძლეოდა. ამოცანა მხოლოდ ის იყო, რომ დაუგვიანებლად და დროით მივსულიყავით ადგილზე. მოურები მიჩვეული იყვნენ ბოლო დროის ხშირ საბრძოლო განგაშებს, ეჭვითაც არაფერი იცოდნენ ომის დაწყების შესახებ და ახალი განკარგულების მოლოდინში, ერთიმეორეს მხიარულად ემასლაათებოდნენ. საკმარისი იყო მხოლოდ რამდენიმე ბომბი, რომ მთელი ეს მანქანებიცა და საწყობებიც ნაფოტად ქცეულიყო და ჰაერში მიმოფანტულიყო.

— კოლონათა უფროსები ჩემთან! — დავიყვირე მე და მანქანიდან გაჩერებამდე ჩამოვხტი.

პირველი ახალგაზრდა ლეიტენანტი მოვარდა, გაიჭიმა „სმენაზე“ და მოხსენება დაიწყო:

— ლეიტენანტი...

— შეეშვი! — ვუთხარი ლეიტენანტს და კვლავ დავიყვირე, — ყველანი ჩქარა ჩემთან! დაუყოვნებლივ გაიყვანეთ და გაფანტეთ მანქანები, გზიდან ტყეში გადაიყვანეთ და ყველაფერი შენიღბეთ. საწყობებთან ჯერჯერობით მიდით, მიიღეთ სამხედრო საჭურველი და პროდუქციაც ასევე გაფანტულად დაბრუნდით. დანიშნეთ მეთვალყურეები და ფხიზლად ადევნეთ თვალიცას.

კოლონათა მეთაურები გაოცებით შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ნეტავ კაპიტანი ჭკუიდან ხომ არ შეიშალა? რა უნდა მანქანებს ტყეში? ახლა კიდევ შენიღბვა! ეს მეთვალყურეების დანიშვნა რაღაა? ან საომარი საჭურველი რად გვინდა? ასეთი რამ წინათ არასოდეს მომხდარა.

კითხვებს, მართალია, არავინ იძლეოდა, მაგრამ კოლონათა უფროსებს სახეზე ემჩნეოდათ, რომ განმარტებას თხოულობდნენ.

— ომია, ძმებო! გესმით, ომია, — ვთქვი უკვე ხმადაბლა, — ფაშისტები ჩვენს აეროდრომებს ბომბავენ. საზღვარზე შესაძლოა ბრძოლებიც მიმდინარეობს. გამოუცხადეთ ეს თქვენს ხელქვეითებს და იმოქმედეთ გეგმის მიხედვით.

დივიზიას შექმნილ მდგომარეობაში გეგმიანად რომ ემოქმედა, საჭირო იყო საგულდაგულოდ შედგენილი მობილიზაციის გეგმის თანმიმდევრული და ზუსტი დაცვა. მაგრამ ომის პირველმავე საათებმა ცხადყო, რომ მასში გარკვეული ხარვეზები იყო გაპარული. სარდლობავარაუდობდა, რომ ომის დაწყების დღე და საათი წინდაწინვე ეცოდინებოდა, ფაშისტებმა კი უხეშად დაარღვიეს ყველა სახელშეკრულებო ვალდებულება და ომი მოულოდნელად და გაუფრთხილებლად დაიწყეს. მობილიზაციის გეგმის მიხედვით დივიზიის პოლკები საბრძოლო განგაშის გამოცხადების ორი საათის შემდეგ, სალაშქრო წესით უნდა დაძრულიყვნენ სახელმწიფო საზღვრისაკენ, მაგრამ ჰაერში უმალ მტრის ავიაცია გაბატონდა და დღისით-მზისით პოლკების გადაადგილება პრაქტიკულად შეუძლებელი შეიქმნა.

მობილიზაციის გეგმაში სხვა ხარვეზებიც იყო. და, მე მგონია, ეს მარტო ჩვენი დივიზიის ხვედრი არ იყო — მეტ-ნაკლებად ყველა პოლკსა და დივიზიაში ასევე ხდებოდა.

ჩვენი განყოფილების მოვალეობას შეადგენდა დაგეგმვა ნაწილების მომარაგებისა საომარი საჭურველით, საწვავ-საპოხი მასალებით, სურსათით, ტანსაცმლით და მედიკამენტებით, დაჭრილების გამოყვანა, მწყობრიდან გამოსული მანქანების გამოტანა და რემონტი. აგრეთვე, პოლკებში სამედიცინო-სანიტარული და დივიზიის საურთიერთო პუნქტების, პურსაცხობების, ფოსტის, ზურგის სამსახურებს შორის ნორმალური ურთიერთდამოკიდებულების დამყარება და მათი დაცვის ორგანიზაცია. ბუნებრივია, ყოველივე ამას გარკვეული ცოდნა და დაძაბული შრომა ჭირდებოდა, ხოლო ომის პირობებში საკმაო მნიშვნელობა ენიჭებოდა გამოცდილებასაც.

ეს გამოცდილება ჩვენ არცერთს არ გვაკლდა: 173-ე მოტომსროლელი დივიზიის შემადგენლობასთან ერთად ყველანი თეთრფინელებთან ომის მონაწილენი ვიყავით. ერთად მუშაობამ გულწრფელად დაგვამეგობრა, კარგად ვიცნობდით ერთმანეთს და ამიტომ ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ მეორე ეშელონის ჩამოყალიბებას დანიშნული დროისათვის მოვასწრებდით.

მიუხედავად ყველა სიძნელისა, ომის დაწყების მესამე დღის მიწურულს დივიზიის მეორე ეშელონი უკვე ფორმირებული იყო. 25 ივნისის ღამეს კვალდაკვალ მივყევით იმ ნაწილებს, რომლებიც 24 ივნისის საღამოს კიშინიოვის ჩრდილო-დასავლეთით, სოფლების ციბროვკასა და ბრავიჩას რაიონებში დაჯგუფდნენ.

ბესარაბიის ქალაქები და სოფლები, რომელთაც არაერთი საშინელი დაბომბვა დაატყდათ თავს ჰაერიდან, ნანგრევებად იყო ქცეული. სადღა იყო ლამაზ ყვავილნარში ჩაფლული ბაღები და სკვერები, მათს ადგილზე დამწვარი სახლების ნანგრევების უსწორმასწორო ბორცვები წამომართულიყო და ჯერაც ისევ მბრჩოლავი კვამლი ასდიოდა.

თვალწინ ზუსტად ორი წლის წინანდელი სურათი დამიდგა — წითელი არმიის განმათავისუფლებელი ლაშქრობის დღეები ბესარაბიაში. მაშინ ეს მხარე სრულიად სხვაგვარი ვნახე — მოზეიმე და აღფრთოვანებული. მომაგონდა ხალხის მაშინდელი შეხვედრაც — ყვავილებით, მუსიკით, წითელი დროშებითა და უსაზღვრო სიყვარულით.

დიახ, ის დღეები ბედნიერი დღეები იყო! ახლა კი, — 1941 წლის ივნისის ბოლოს, ბესარაბიის მიწას სულ სხვა ფერი ედო, ფაშისტ ყაჩაღებს უკვე მოესწროთ მასზე თავიანთი შავი ნაკვალევის აღბეჭდვა და სულ ცოტა ხნის წინ სიცოცხლითა და სილამაზით მაძღარი მიწა უსიცოცხლო და ხრიოკი უდაბნოსათვის დაემსგავსებინათ.

ღამით მივდიოდით, გათენებისას კი, მტრის ავიაციას რომ მოვრიდებოდით, თავი მახლობელ ტყეებსა და მოლდაველთა ბაღებს შევაფარეთ. ასევე საგულდაგულოდ შევნიღბეთ მანქანებიც. გზა მხოლოდ მე განვაგრძე იმვარაუდით, რომ მტრის ავიაციის გამოჩენამდე ჩემი ძველი „ემკათი" პატარა ქალაქ უნგენამდე მივაღწევდი, რომლის ჩრდილოეთითაც, ტელენეშტში დივიზიის შტაბი იყო განლაგებული.

გზაზე პირველი ლტოლვილებით გაჭედილი ურმების გრძელი მწკრივები მოდიოდა. გზის თავზე, ცაში, უცბად ორი საბჭოთა გამანადგურებელი გამოჩნდა. ყველაფრით ეტყობოდა, რომ ესენი იმ დროისათვის ახალი თვითმფრინავები — სწრაფი და მარჯვე მანევრირების მქონე „მიგები" იყო. ისინი პრუტის მიმართულებით მიისწრაფოდნენ. ჰაერში მოულოდნელად ხუთი „მესერშმიტი" გამოჩნდა. სამი მათგანი „მიგების" სიმაღლეზე მოფრინავდა, ორი კი — ოდნავ უფრო მაღლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი ორის წინააღმდეგ! რას ნიშნავს ჩვენი მფრინავები: ჩაებმებიან უთანასწორო ბრძოლაში, თუ გაცლას შეეცდებიან? ჩვენმა მფრინავებმა პირველი აჰჯობინეს და დრამატიზმით სავსე, უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ.

ვდგევართ მე და მაი და ვუყურებთ. საბჭოთა თვითმფრინავები სწრაფად მიმოჭრიან ლაჟვარდში. თვალის დახამხამების უმალ მოჩჩილი „მიგი" „მესერს" უკან მოექცა, ერთმანეთს მიჰყვა ტყვიამფრქვევის მოკლე ჯერები, „მესერს" შავი კვამლის კუდი გამოება. მალე ალში გახვეული მტრის თვითმფრინავი ქვასავით დაასკდა მიწას და აფეთქდა.

ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე მე არაერთხელ შევსწრებივარ საჰაერო ბრძოლას, მაგრამ ამჯერად მფრინავის სიმამაცემ და დახვეწილმა ოსტატობამ პირდაპირ განმაცვიფრა. ძალიან მინდოდა მამაცი მფრინავის გვარი გამეგო, მაგრამ ომის დროს, ბუნებრივია, ეს არ მოხერხდებოდა. მხოლოდ რამდენიმე წლის წინ, როცა სსრ კავშირის „დოსააფის" ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, სამგზის საბჭოთა კავშირის გმირმა ავიაციის მარშალმა ალექსანდრე პოკრიშკინმა თავისი წიგნი „ომის ცა" მაჩუქა, გავიგე, რომ ის მფრინავი თვითონ პოკრიშკინი ყოფილიყო, რომ მაშინ მე წილად მხვდა ბედნიერება — მენახა პირველი გამარჯვება მალე მთელს ქვეყანაზე სახელგანთქმული საბჭოთა მფრინავისა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ორმოცდაერთი წლის იმ შორეული ივნისის დღეებს. საჰაერო ბრძოლა დასრულდა, მე მანქანაში ჩავჯექი და კვლავ გზას გავუდექი. ჩემი შოფერი ლევ მაი ტიპიური ოდესელია, ენაკვიმატი და ხმაჩაუკრეფი, უყვარს ქარივით ქროლვა და მანქანა ახლაც მთელი სიჩქარით მიჰყავს. უცებ მოსახვევში წამოზრდილი ხშირი ბუჩქნარიდან გზაზე ზარბაზანწამობმული საწევარი გამოვარდა. დაჯახება აუცილებელი იყო, მაგრამ თვალის დახამხამების უმალ საჭე მარჯვნივ შეაბრუნა და მანქანა მეტრონახევრის სიმაღლის მიწაყრილზე შეაგდო. მანქანა ფერდობზე თავდაყირა ამოტრიალდა, ზურგზე დაეცა და ბოლოს რაღაც ბედად ისევ თვლებზე დადგა, ყველაფერი რამდენსამე წამში მოხდა. შოფერმა ჩემს უკმაყოფილო მზერას ყურადღება არ მიაქცია და სრულიად აუღელვებლად განმიმარტა:

— სხვაგვარად, ამხანაგო კაპიტანო, საიქიოს გავემგზავრებოდით.

მერე ძირს ჩამოვიდა და მანქანა საგულდაგულოდ დაათვალიერა, შეამოწმა, ხომ კიდევ თუ შესძლებსო სიარულს, თან ემშაკურად იღიმებოდა. ბოლოს ისევ საჭეს მიუჯდა და წელანდელ დაუდევარ კილოზე განაგრძო:

— ჩვენთან, ოდესაში, ამხანაგო კაპიტანო,

ყოველი ახალდაბადებული ოცნებობს ასეთ ბედნიერებაზე. იცით, როცა ოდესელი ქვეყანას მოევლინება, მას ყოველი მხრიდან გამშრალი ქარი უბერავს. და თუ ბედი გაუღიმებს და პირველ დღესვე ფილტვების ანთებას იტაკებს, ცხოვრების გზას ღვთის შეწევნით განვლის, ესე იგი, როგორც ჩემი ბებია იტყოდა, ას წლამდე იცოცხლებს. ჩვენ, ამხანაგო კაპიტანო, ბედმა გაგვიღიმა, მართალია, ფერდობზე მოვსხლტით, მაგრამ კვლავ ოთხსავე ფეხზე დავდექით, თანაც ეს მოხდა ფრონტზე ყოფნის პირველსავე დღეს. ამიტომ, მე, როგორც ოდესელი, გარანტიას გაძლევთ, რომ მე და თქვენ მთელს ომს უვნებლად გავლევთ.

მე სულაც არ მეხუმრებოდა, პირიქით, მინდოდა, მაი ერთი ფარსაგად გამომელანძღა, მაგრამ მისი არაკი რომ მოვისმინე, უბრალოდ ვუთხარი:

— ჩვენთან, საქართველოში კი ასე ამბობენ: დაე, ჩემი შვილი სიცოცხლის პირველ დღეს ნუ იქნება ბედნიერი, ოღონდ მერე მთელი სიცოცხლის მანძილზე ბედნიერი იყოსო. კარგი, გვეყოფა, წავიდეთ, ოღონდ ცოტა ფრთხილად იარე.

მას შემდეგ სულ მახსოვდა და ახლაც ცხადად მახსოვს მაის ოდესური ხუმრობა. მე და იმან მთელი ომი ერთად გავიარეთ, სადღა არ მოვხვედრილვართ, მაგრამ თვით გამოუვალი მდგომარეობიდანაც კი უვნებლად გადავრჩებოდით ხოლმე.

ბოლოს დაბა ტელენეშტამდეც მივაღწიეთ. დივიზიის შტაბი დაბის განაპირას, მოზრდილი ხეხილის ბაღის ბოლოს, სიღრმეში ჩამალულ ალიზის ქოხში მოთავსებულიყო. მტრის თვითმფრინავების თავდასხმის შემთხვევისათვისაც უკვე მომზადებულიყვნენ — ზიგზაგისებური ვიწრო ხვრელები გაეჭრათ და ზედ ბაღის სიმწვანესთან კარგად შენიღბული ტანკები დაეყენებინათ.

შტაბის უფროსი პოლპოლკოვნიკი ა. გ. ზემლიანოი ადგილზე არ დამხვდა და დივიზიის უფროსის კაბინეტში შევედი.

მიხეილ ივანეს ძემ მეორე ეშელონის მზადყოფნის შესახებ ჩემი მოხსენება მოისმინა და რამდენიმე შეკითხვა მომცა, დაინტერესდა, სად გაატარებს დღეს მეორე ეშელონი, და შენიღბული კარგად თუ არისო. ჩემი პასუხებით ეტყობოდა კმაყოფილი დარჩა. საუბრის ოფიციალური ნაწილი რომ დამთავრდა, იგი წამოდგა, ცერი თითები ჩვეულებრივ ქამარში ჩაიყარა და ოთახში გაიარ-გამოიარა. ჩაფიქრებული ღია ფანჯარასთან შეჩერდა.

— ახუა, კაპიტანო, ომია, — წყნარად თქვა მან და გააგრძელა, — მე ხომ წარმოშობით აჭაური ვარ, ჩემი მშობლიური სოფელი ვიშკოუცდე, აჭვეა, გვერდით. თუ მომიხერხდა, მინდა ჩემს შევიარო, იქნებ დავეხმარო მოხუცებს და საზღვრიდან შორს სადმე გავგზავნო. ვინ იცის, როგორ წავა საქმე.

მიხეილ ივანეს ძე მაგიდასთან დაჯდა და ოპერატიული მდგომარეობა გამაცნო.

ოთახში პოდპოლკოვნიკი ზემლიანოი შემოვიდა და მკითხა:

— მარტო ჩამოხვედი, თუ ეშელონთან ერთად?

მე ვუპასუხე, რომ მეორე ეშელონი დაღამებისთანავე გადმოინაცვლებს დივიზიის განლაგების რაიონში-მეთქი.

— ყოჩაღები ხართ, — შემაქო ანდრეი გრიგოლის ძემ, — სიმართლე რომ გითხრათ, არ მოველოდი თუ ასე სწრაფად მოახერხებდით.

რაიონის რუკაზე მედსანბატის, სარემონტო სახელოსნოსი, საველე პურსაცხობის, დივიზიის შემცვლელი პუნქტისა და ზურგის სხვა ქვეგანაყოფების განლაგების ადგილები მიჩვენა და ჩვეული სიმკაცრით გამაფრთხილა:

— ისე განლაგდით, რომ გადაადგილება ნებისმიერ დროს შეგეძლოთ.

## საზღვარზე

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზღვარზე ჯერ კიდევ შედარებით სიწყნარე იყო. მართალია, უკვე 22 ივნისს, გამთენიისას გერმანელთა მოიერიშე ჯგუფებმა რამდენიმე ადგილას მდინარე პრუტი გადმოლახეს და ხიდები დაიკავეს, მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე აქა-იქ მცირე ზომის პლაცდარმებიც შექმნეს, მაგრამ ფეხი ყველგან ვერ მოიკიდეს. ჩვენმა სასაზღვრო ნაწილებმა იმავე დღეს მთელ რიგ ადგილებში ძლიერი კონტრიერიშებით მოწინააღმდეგე კვლავ მდინარე პრუტის მეორე მხარეს განდევნეს. მდგომარეობის ასეთი შემობრუნება, ეტყობოდა, გერმანელ-ფაშისტთა სარდლობას სრულიადაც არ აწუხებდა, პრუტს გაღმა თავმოყრილი გერმანელთა მე-11 არმიის ჯარებს, რომელსაც გენერალ-პოლკოვნიკი რიტერ ფონ შობერტი სარდლობდა, აგრეთვე რუმინეთის მესამე და მეოთხე არმიებს და უნგრეთის მერვე კორპუსს, პირველ ხანებში რამდენსამე დღეს აქტიურობა არ გამოუმჟღავნებიათ.

ძნელია თქმა, იცოდა კი მაშინ სამხრეთის ფრონტის სარდლობამ, რომ მტრის ამ დაჯგუფებას განსაკუთრებული ამოცანა ჰქონდა დასახული: თავდაპირველად უზრუნველეყო რუმინეთის ტერიტორიის დაცვა, რომელსაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო მერე, ამბავთა შემდგომი მსვლელობისდაკვალად, გადმოსულიყო შეტევაზე და პირისპირ მდგარი ჩვენი ჯარების ორგანიზებული უკან დახევა დაებრკოლებინა. დივიზიის სარდლობისათვის, მით უფრო ეს ცნობილი არ იყო.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, სამხრეთის ფრონტმა სიწყნარით ისარგებლა და თავისი ჯარები სასაზღვრო მდინარე პრუტისაკენ გადასწია. როგორც მეორე მექანიზებული კორპუსის სხვა შენაერთებმა, ნაწილობრივ ჩვენმა მეთექვსმეტე სატანკო დივიზიამაც მოასწრო სასაზღვრო ზონაში გასვლა და მტერთან შესახვედრად ხელსაყრელი საწყისი მდგომარეობა დაიკავა.

მტრის ჭარბი ძალები განაგრძობდნენ კიევზე შეტევას ჩრდილოეთის მხრიდან. ალარც ის იყო საეჭვო, რომ ძალიან ჩქარა მოწინააღმდეგე ბესარაბიის ფრონტის უბანზეც დაიწყებდა შეტევას. მაგრამ არავინ იცოდა, სად და როდის.

— მთავარი დარტყმის მიმართულება, რომელსაც მოწინააღმდეგე, უეჭველად ამზადებს რუმინეთის ტერიტორიიდან, ჯერჯერობით ცნობილი არ არის, — სარწმუნოდ მაცნობა პოლკოვნიკმა მ. ი. მიდრომ, როცა მე ხელახლა ვაპირებდი მეორე ეშელონში წასვლას, — მუდმივი კავშირი იქონიე პოდპოლკოვნიკ ზემლიანოხთან, რომ ზურგი უეცრად არ ჩაიკეტოს. ყველაფერს კი ის ჯობია, რომ მეორე ეშელონის დაბინავების შემდეგ უმალვე შტაბში დაბრუნდე, ასე უფრო იმედით ვიქნებით.

რას იზამ, უფროსობამ უკეთ იცის. და მეც ისე მოვიქეცი, როგორც დივიზიის მეთაურმა მირჩია.

პირველი ცნობა იმის შესახებ, რომ მოწინააღმდეგე ცდილობს პრუტის მარცხენა ნაპირზე მნიშვნელოვანი პლაცდარმის შექმნას, ფრონტის მეზობელ უბანში მოვიდა. 26 ივნისის ღამით რუმინეთის ქვეითი შენაერთების ორმა პოლკმა, არტილერიის გაძლიერებული ცეცხლის საფარქვეშ, პრუტი გადმოლახა, 30-ე მსროლელი დივიზიის პოზიციებს შემოუტია და გააფთრებული ბრძოლის მსვლელობაში მდინარისპირა დასახლებული პუნქტი სკულიანი დაიკავა. მაგრამ პრუტის აღმოსავლეთ ნაპირზე ფეხის მოკიდება რუმინელებმა ვერც ამჯერად მოახერხეს. ძლიერი კონტრდარტყმების შედეგად მტრის ორივე პოლკი პრუტის საწყის პოზიციებზე იქნა უკუგდებული, და დაჭრილთა და მოკლულთა სახით 700 ოფიცერი და ჯარისკაცი დაკარგა.

ეს მცირე წარმატების ამბავი მალე მთელს კორპუსს მოედო. ნაწილებსა და ქვედანაყოფებში აღფრთოვანებით იმეორებდნენ ბრძოლაში წარჩინებული ჯარისკაცების, სერჟანტების, ოცეულის, ბატარეისა და ასეულის მეთაურების სახელებს; პოლიტმუშაკები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციათა მღივნები და აგიტატორები პირად შემადგენლობებს ამ ბრძოლის სამაგალითო ეპიზოდებზე ესაუბრებოდნენ, როდესაც პეტრეშტის რაიონში ფაშისტთა ტანკები მჭიდროდ მიადგნენ პირველი მოტომსროლელი ასეულის სანგრებს, მათს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება პარტორგის სერჟანტ ბადულინის ათეული. ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარების კონებით ათეულის მებრძოლებმა ზედ სანგრებზე ორი ტანკი ააფეთქეს, დანარჩენებს მებრძოლებმა ტყვიამფრქვევებისა და ზამბარების ცეცხლით მტრის ქვეითი ჯარი ტანკებს მოწყვიტეს და აიძულეს მიწაზე დაწოლილიყვნენ, მერე კი დიდი დანაკლისით ბრძოლის ველს სულაც გასცლოდნენ.

ქალაქ უნგენის მისადგომებთან შესანიშნავად იბრძოდნენ არტილერისტები კომკავშირელი ლეიტენანტის სუხოვაროვის მეთაურობით, პირდაპირი დამიზნების ცეცხლით მათ მტრის ექვსი ტანკი გამოიყვანეს მწყობრიდან. სატანკო იერიში ამ უბანზე უკუგდებულ იქნა.

თუმცა ორი რუმინული პოლკის ცდა, რომ პრუტის მარჯვენა ნაპირზე გამაგრებულიყო, მარცხით დამთავრდა, მოწინააღმდეგე 26 ივნისის შემდეგ მაინც განაგრძობდა აქტიურ ბრძოლას მეცხრე არმიის წინააღმდეგ და მდინარე პრუტის სხვა უბანზე გადმოლახვას ცდილობდა. მართალია, ეს ჯერ კიდევ არ იყო მტრის გადამწყვეტი შემოტევის დასაწყისი, მაგრამ მისი მოახლოება ყოველ წუთს იგრძნობოდა. ჩვენს სარდლობისათვის უკვე ცნობილი იყო, რომ ასეთი შეტევისათვის სწრაფად ემზადებოდნენ მე-11 გერმანული და მესამე და მეოთხე რუმინული არმიები. ხოლო 2 ივლისს მთლიანად და ნათლად გაირკვა მათი მთავარი დარტყმის მიმართულება.

ჩვენს დივიზიაში ბევრი ხელმძღვანელი ამხანაგი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ფაშისტი ურდოები პრუტის გადმოლახვის შემდეგ, უწინარეს ყოვლისა, პირდაპირ კიშინიოვისკენ გაიჭრებიანო, მაგრამ ესვარაუდი არ გამართლდა. მტერმა კიშინიოვის მიმართულებით დარტყმა შედარებით გვიან დაიწყო. გერმანია-რუმინეთის ჯარებმა პრუტზე, კიშინიოვის საკმაოდ ჩრდილო-დასავლეთით, პლაცდარმი დაიკავეს და ბრძოლით გაიჭრნენ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, მე-18 არმიის ზოლში, მოგილევ-პოდოლსკისკენ, და ჩვენი მე-9 არმიის ზოლში ბელცისა და რიბნიცისკენ.

იმავე დღეს ჩვენი მე-9 არმიის სარდალმა გენერალ-მაიორმა ი. ტ. ჩერევიჩენკომ გასცა ბრძანება, რომ მე-2 მექანიზებული კორპუსი და მასთან ერთად მე-16 სატანკო დივიზიაც სწრაფად გასულიყვნენ სადგურ დროკიას რაიონში, რომელიც ბელცის ჩრდილოეთით მდებარეობს. კორპუსის ჯარების ამოცანა იყო, დროკიის, რეჩას, სოფიისა და ნიკორენის საზღვრებიდან დაგვეწყო შემხვედრი დარტყმა მოწინააღმდეგისათვის, რომელიც დაჯგუფებული იყო კოსტეშტის მიმართულებით, და არ გაგვეშვა იგი მდინარე პრუტისაკენ.

დივიზიის საბრძოლო ნაწილებსა და ზურგს სწრაფად და დაუყოვნებლივ უნდა გადაელახათ შედარებით მოკლე, მაგრამ საგრძნობლად რთუ-

ლი გზა, იგი გადიოდა კოდრებზე — ტყიან და უამრავი ხრამებით დასერილ გორებზე, რომლის ხევები და მდინარეები ბელეცკის ვაკეზე მიედინებიან.

## გზიდან — პირდაპირ ბრძოლაში...

— არმიის შტაბიდან შემატყობინეს, რომ კოდრებზე დიდი წვიმა მოვიდა და გრუნტის გზები სულ გადარეცხაო, — მითხრა დივიზიის მეთაურმა გამგზავრების წინ მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ხანმოკლე თათბირზე, — ხიდები მდინარე კელეზე და რაუტის ხამ შესართავზე ძველია და ტანკებისა და ჯავშნიანი მანქანებისათვის არ არის გაანგარიშებული, ერთი სიტყვით, — მიუბრუნდა იგი მესანგრეთა ცალკე ბატალიონის მეთაურს კაპიტან ს. ფ. ვერიოვკინს, — მესანგრეებს ზედმეტი წამუშავება მოუწევთ.

— მესანგრეებს მე გავყვები, მიხეილ ივანოვიჩ, თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, — როგორც ყოველთვის წყნარად ჩაილაპარაკა დივიზიის კომისარმა რუდენკომ.

პოლკოვნიკი მიდრო დათანხმდა. კომისარი მართალი იყო. შექმნილ მდგომარეობაში სწრაფი გადაადგილება ბევრად არის მესანგრეებზე დამოკიდებული. ისინი წავლენ ავანგარდში, მთელი დივიზიის წინ, და საკმაოდ დაძაბული მუშაობაც მოუწევთ. მესანგრეებმა დროის არცერთი წამი უქმად არ უნდა დაკარგონ, თორემ მტერი ცხვირწინ არის და ვინ იცის, რას აგიტებს. მათთან ყოფნა საქმეს დააჩქარებს და ამჟერად კი უმთავრესი სწორედ ეს არის. რუდენკომ ეს თვითონაც მშვენივრად იცის, იგი არა მარტო კარგი აღმზრდელი, ჭკვიანი ორგანიზატორიც არის.

მესანგრეები, სამხედრო კომისრის მეთაურობით, პირველები გავიდნენ. ორი საათის შემდეგ საბრძოლო ნაწილებიც უკან მიჰყვნენ. ომისათვის ყველა საჭირო მასალით დატვირთული მეორე ეშელონის ავტომანქანები უზარმაზარ მწკრივად გაიჭიმნენ.

მარშრუტი მართლაც ძნელი გამოდგა. მესანგრეებს მოუხდათ ახაქცევების მოწყობა, დაღმართების გაჭრა, ფიჩხისაგან მოწნული გოდორყურების ჩადგმა, ხიდების გამაგრება, მარჯვე გასასვლელი ფონების გამონახვა. დივიზიამ მხოლოდ გამთენიისახლა მოითავა ტყე და გაჭირვებით გავიდა გზატკეცილზე. აქ უკვე შეიძლებოდა სწრაფად სიარული. წინ მდინარე პრუტია. ნეტა ხიდი თუ გადარჩა? რუკაზე კი არის აღნიშნული, მაგრამ აქ ხომ რამდენიმე დღეა, რაც ომი მიდის: ფაშისტმა მფრინავებმა იქნებ უკვე მოასწრეს მისი დაბომბვა, რომ ჩვენს ჯარებს მოძრაობა გასძნელებოდათ.

ჩვენი კოლონა მშვიდობიანად მიიწევს მდინარე რეუტისაკენ. ხიდი, რომელზეც არაერთხელ გამივლია იმამდე მანქანით, [illegible] ულია. ოღონდ იქით ნავტიკების [illegible] იგი გააკეთეს ჩვენს წინ გავლილმა პოლკოვნიკ გ. ი. კუზმინის მე-11 სატანკო დივიზიის მესანგრეებმა.

...8 ივლისის ღამეს ჩვენი მექანიზებული კორპუსის დივიზიები სადგურ დროკიის რაიონსა და დასახლებულ პუნქტებში — სოფიაში, რეჩასა და ნიკორენში დაჯგუფდნენ; აქვე მიიღეს ამოცანაც, დაერტყათ მოწინააღმდეგისათვის კოსტეშტის მიმართულებით, სადაც იგი პრუტზე გადმოდიოდა და მდინარე რეუტის ნაპირებთან მისვლას ცდილობდა.

მაგრამ ერთდროული ძლიერი კონტრდარტყმა არ მოხერხდა. მტრის ტანკებმა კორპუსს საბრძოლველად გაშლა დაასწრეს და ისიც ნაწილნაწილად ჩაება ბრძოლაში. ამასთანავე, ჩვენს ჯარებს საგრძნობლად ბოჭავდა მტრის ავიაცია. ცა მოწმენდილი იყო, ამის წყალობით გერმანელები ზედიზედ გვბომბავდნენ, და როგორც ცოცხალი ძალის, ისე ტექნიკის მხრივ დიდ ზარალსაც გვაყენებდნენ. ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები დივიზიაში და მთლიანად კორპუსშიც ძალიან ცოტა იყო, სულ რაღაც ორი ათეული მცირე ყალიბიანი საზენიტო ქვემეხი და ოთხიოდე ტყვიამფრქვევი.

განსაკუთრებით თავგანწირვით და მამაცურად იბრძოდნენ დივიზიის ტანკისტები და მიტლერელთა ჭარბ ძალებს აკავებდნენ. იწვოდა ჩვენი მსუბუქი ტანკები, ომისათვის გამოუსადეგარი მოტორები რომ ეყენათ, იწვოდა ჯავშნიანი მანქანები, იხოცებოდა ხალხი, მაგრამ ცოცხლად დარჩენილები კვლავ შეუპოვარ ბრძოლას განაგრძობდნენ.

უკვე ბრძოლის პირველი დღის ბოლოსავე დივიზიის ნაწილებსა და ქვედანაყოფებში თავი იჩინა საომარი მასალის ნაკლებობამ. ჩვენ მას ვეზიდებოდით მეორე ეშელონიდან, რომელიც სადგურ დროკიის რაიონში იყო განლაგებული. მაგრამ ბევრი ჩვენი მანქანა დაბომბვაში მოჰყვა — მოწინააღმდეგე გზას ჰაერიდან აკონტროლებდა და ტვირთი ხშირად ვერ აღწევდა წინა ხაზამდე. თანაც საომარი მასალა და სანოვავე არც მეორე ეშელონში იყო იმდენი, რომ ჯარები შეუფერხებლად მოგვემარაგებინა.

მე არ ვიცი, როგორ იყო განლაგებული საწყობები ომის წინ სხვა სამხედრო ოლქებში, ჩვენთან კი, ოდესის ოლქში საწყობები წამოწეული იყო სასაზღვრო რაიონებისაკენ. თქმა არ უნდა, ეს არმიის სარდლობის დიდი შეცდომა იყო. — მტრის ავიაციას შეეძლო პირველივე წუთებიდან დაუბრკოლებლივ დაებომბა არა მარტო თვით საწყობები, არამედ მისკენ მიმავალი და მისასვლელი გზებიც მწყობრიდან გამოეყვანა. ჯარის ნაწილებს, რომლებიც სამხრეთის ფრონტის ბესარაბიის უბანზე მოქმედებდ-

[illegible]

ნენ, რომ ომის პირველსავე დღეებში დაეტყოთ საომარი მასალის, საწვავისა და სურსათის მწვავე ნაკლებობა. ახლა ომისა და არსებობისათვის ყველა საჭირო მასალა უნდა მიგვეღო დნესტრის მარჯვენა ნაპირზე განლაგებული არმიის საწყობებიდან, ეს კი მისახვლელ-მოსახვლელ გზას ასი, ასორმოცდაათი კილომეტრით აგრძელებდა, და თვითონ გზაც სრულიად უვარგისი იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ზედ ჩვენმა სატანკო ნაწილებმა გაიარეს და მერე ჯამდენჯერმე გერმანელებმა დაბომბეს.

ყველა სხვას გარდა, ჰიტლერელები ყოველდღე ძლიერებდნენ დაბომბვებს, მტრის თვითმფრინავებმა დაიწყეს „ნადირობა" არა მარტო ავტომანქანებზე, არამედ ადამიანებზეც. სხვა გზა არ იყო, მანქანები ძირითადად ღამღამობით უნდა გვემუშავებინა. მართალია, ივლისის მოკლე ღამეებში ყველაფრის მოსწრება არ ხერხდებოდა, მაგრამ მცდელობით, ბრძოლით, შეუპოვრობით მისაღებს მაინც ვღებულობდით.

## ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲣᲙᲐᲜᲓᲐᲮᲔᲕᲐ

მოწინააღმდეგე ფართო ფრონტით გვიტევდა. ხოლო მისი შემოტევის ყოველი კილომეტრი გაჯედილი იყო საბრძოლო ტექნიკით, განსაკუთრებით — ტანკებით — მოწინააღმდეგე ახეთ გვჯაბნობდა ცოცხალი ძალითაც. თანაც მისი ეს უპირატესობა ყოველ ბრძოლაში იზრდებოდა, იმიტომ რომ, ჩვენს ნაწილებს, თვალსა და ხელს შუა რომ დნებოდნენ, ზაერიდან ავიაციის მხარდაჭერა თითქმის არ ჰქონდა. ფაშისტური არმიას კი, პირიქით, ძლიერი ავიაცია უჭერდა მხარს და საბრძოლო საშუალებებისა და ცოცხალი ძალის მსხვილი რეზერვებით სარგებლობდა.

არმიის სარდლობის ჩანაფიქრი ასეთი იყო: მეორე მექანიზებული კორპუსის ჯარებს 4 ივლისს ძლიერი შემხვედრი დარტყმა უნდა განეხორციელებინათ დნესტრზე გადმოსული გერმანია-რუმინეთის შენაერთების წინააღმდეგ და უკუეგდოთ ისინი საწყისი პოზიციებიდან. მაგრამ ეს ამოცანა არ განხორციელდა, ცოცხალი ძალისა და საბრძოლო საშუალებების უკმარობის გამო კორპუსის ხამივე დივიზია იძულებული გახდა, დასაწყისიდანვე თავდაცვაზე გადასულიყო და მტრის დაწოლა შეეჩერებინა, რომელიც ქალაქ ბელცისაკენ გაჭრას ლამობდა. მტრის ავიაცია მუდმივ კონტროლს უწევდა დნესტრის ხიდებს — რიბნიცკისა და ბენდერისას, აგრეთვე კრიულინი-დუბოსარის რაიონში მდებარე ბორანით გასასვლელს და აბრკოლებდა არმიის რეზერვების შემოსვლას ზურგის სიღრმიდან. ყოველივე ამის შემდეგ ფრონტის უბანზე ახალი რეზერვების მიღების აღარავითარი იმედი არ გვრჩებოდა. დღის ბოლოს მეთექვსმეტე სატანკო დივიზია, მოტომსროლელ ქვედანაყოფებთან ერთად, იძულებული იყო ბრატუშანისა და მორენის რაიონებიდან უკან დაეხია და თავდაცვის ახალი ზღუდე დაეკავებინა.

ხშირად მიხდებოდა მოწინავე ქვედანაყოფებში ყოფნა და კარგად ვიცნობდი სატანკო ეკიპაჟთა განწყობილებას. ახალი ბრძოლის დაწყებას ყველანი მოუთმენლად მოელოდნენ და, რა თქმა უნდა, იმედითაც, რომ შეაკავებდნენ ჰიტლერელებს და წინ გაჭრის საშუალებას არ მისცემდნენ. ამავე რწმენითა და, შესაძლოა, რამდენადმე თვითდაჯერებით იყო აღსავსე დივიზიის შტაბიც. იყო, რა თქმა უნდა, ეჭვების საფუძველიც. ყველამ უკვე იცოდა, რომ ჩვენი ტანკები „ბტ" (დივიზიაში კი უმეტესად ასეთი ტანკები გვქონდა) თავიანთი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებით ბევრად ჩამორჩებოდა გერმანელთა საშუალო რანგის ტანკებსაც კი. მათს ორთა ბრძოლაში აშკარა უპირატესობა ყოველთვის ჰიტლერელთა ეკიპაჟის მხარეზე იყო, თუმცაღა ამ ფაქტს თავდაპირველად სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.

როდესაც ქალაქ ბელცის მიმართულებით პირველი დიდი ბრძოლები გაიშალა, ჩვენმა ტანკისტებმა ბრძოლის დასაწყისშივე რამდენიმე „ბტ" დაკარგეს. ყველაზე უფრო სავალალო და შემაშფოთებელი ის იყო, რომ მოძველებულ ტანკებთან ერთად ეკიპაჟიც იწვოდა. ალი ისეთი სისწრაფით ედებოდა მანქანებს, როცა მტრის ჭურვი ბენზინის ავზს მოხვდებოდა, რომ კაცის გადარჩენა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა.

სამუდამოდ დამამახსოვრდა პოლკის კომისრის ნ. ვ. რუდენკოს მიერ ძუნწად მონაყოლი ერთი ტრაგიკული ამბავი, რომელიც „ბტ"-ს ეკიპაჟს შეემთხვა. ეკიპაჟს უმცროსი სერჟანტი ივანე ჩუევი მეთაურობდა. ეს იყო მამაცი და გაბედული ეკიპაჟი. 8 ივლისს, სოფელ როშკანტიგრთან ბრძოლაში იგი ერთი პირველთაგანი ჩაება ფაშისტური ტანკებისა და მათი გამყოლი ქვეითების წინააღმდეგ ბრძოლაში და ათამდე ჰიტლერელიც გაანადგურა. მაგრამ საკმარისი იყო, მექანიკოს-მძღოლს სერჟანტ პროკოფიშჩერბინას რაღაც წამებში ტანკი ოდნავ მოუხერხებლად შეებრუნებინა, რომ მტრის ჭურვმა ჯავშანი გაგლიჯა და ბენზინის ავზი გახეთქა. „ბტ" აფეთქდა, ცეცხლი კვარივით მოედო და ეკიპაჟიდან ერთი კაციც ველარ გადარჩა.

„ომისათვის უვარგისი მოტორები" აღმოაჩნდა აგრეთვე რამდენიმე ტიპის ჯავშნოსან მანქანებსაც, რომლებითაც აღჭურვილი იყო მეორე მექანიზებული კორპუსი. მათი თხელი ჯავშანი ხშირად მტრის მსხვილყალიბიანი ტყვიამფრქვევის ტყვიასაც ვერ უძლებდა. ხოლო თუ ჭურვით გაგლეჯილს ცეცხლიც გაუჩნდებოდა, თავის

დაღწევა ძალიან იშვიათადღა შეიძლებოდა. ხდებოდა ისეც, რომ ლიუკები აღარ იღებოდა, რაც კონსტრუქციულ ნაკლზე მეტყველებდა.

მტრის იერიშის მოგერიების დროს მოძველებული ტანკებისა და ჯავშნოსანი მანქანების დაცვის მიზნით, პოლკის მეთაურებს მხედველობაში ჰქონდათ „ოცდათოთხმეტიანების" უკეთესი საბრძოლო თვისებები და ბრძოლაში პირველად ისინი შეჰყავდათ. „ოცდათოთხმეტიანების" ეკიპაჟს მტრის სიახლოვისა არ ეშინოდა, გაბედულად მიდიოდა წინ და მოწინააღმდეგის ტანკისტებთან ორთა ბრძოლაში, როგორც წესი, გამარჯვებული გამოდიოდა, გზას უხსნიდა „ბტ" და „ტ-26" ტიპის ტანკებს გერმანელთა ქვეით ჯართან საბრძოლველად. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ „ტ-34" დივიზიაში ძალიან ცოტა იყო და ომის ძირითადი სიმძიმის გადატანა „ბტ" ტანკების ეკიპაჟებს უწევდა.

5 ივლისის დილას ცნობილი გახდა, რომ მეორე მექანიზებული და 48-ე მსროლელი კორპუსების შესაყარზე, რომელთაც თავდაცვის ფართო ფრონტი ეკავათ, მტრის ჯარმა ჭარბი ძალებით ერთგვარ წარმატებას მიაღწია. 7 ივლისს, შუადღისას, მიუხედავად ჩვენი ჯარების მამაცური წინააღმდეგობისა, მოწინააღმდეგემ ხოტინის, ტირნოვოსა და ბელცის მისადგომებს მიაღწია. იმავე დღეს გერმანელთა მე-17 არმიის ჯარები და სატანკო შენაერთები, რომლებიც ამ რაიონის ჩრდილოეთით მოქმედებდნენ, ჟიტომირის ოლქში შეიჭრნენ და მსხვილი სარკინიგზო კვანძი — ქალაქი ბერდიჩევი დაიკავეს. ვინც კი ოდნავ მაინც ერკვეოდა სტრატეგიაში, ყველასათვის ცნობილი გახდა, რომ გერმანელ-ფაშისტთა სარდლობა უკვე აპირებდა თავისი მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებას — გარს შემორტყმოდა სამხრეთის ფრონტის მე-9 და მე-18 არმიათა ჯარებს, მოეჭრა მათთვის უკანდასახევი გზა, მოემწყვდია შავი ზღვისკენ და გაენადგურებინა. ვითარება დღითიდღე მწვავდებოდა, ყველაზე უფრო საქმეს მტრის თვითმფრინავების განუწყვეტელი თავდასხმა ართულებდა, ბომბდამშენების ხშირი პიკირება, რომელთა წინააღმდეგ დივიზიაც და კორპუსიც არსებითად უმწეო იყო.

ჰიტლერელი მფრინავები არა მარტო მოქმედ ნაწილებს ბომბავდნენ მკაცრად და ულმობლად, თითქმის ასეთსავე მდგომარეობაში იყო დივიზიის ზურგის სამსახურიც.

კარგად მახსოვს ერთი საჰაერო თავდასხმა სადგურ დროკიას მახლობლად მდებარე დასახლებულ პუნქტზე, სადაც განლაგებული იყო მეორე ეშელონი. ფაშისტების ოცდაათი ბომბდამშენი 15-20 წუთის განმავლობაში შეუწყვეტლად „ავუთოვებდა" სოფელს: თვითეული ქუჩა რამდენჯერმე დაბომბეს, ბომბებთან ერთად ქუჩებს მსხვილყალიბიანი ტყვიამფრქვევის ცეცხლსაც უშენდნენ. ყველანი — ჩვენი მებრძოლები, მეთაურები, პოლიტმუშაკები და ადგილობრივი მცხოვრებლები წინასწარ მომზადებულ თხრილებსა და სარდაფებში შევეფარეთ. მაგრამ ასეთ მასიურ დაბომბვისას, ტყვიისა და ნამსხვრევების სეტყვაში ეს ერთობ სუსტი თავდაცვა იყო. ადგილობრივ მცხოვრებთაგან ბევრი მოზრდილი და ბავშვი დაიხოცა, ნაკლები ზარალი არც მეორე ეშელონს მოსვლია.

იმ ცხარე დღეებში მეორე ეშელონში წასვლა არცთუ ხშირად მიწევდა. უფრო დივიზიის შტაბში ვიყავი, ხოლო სამუშაოებს მეორე ეშელონში უმთავრესად ჩემი მოადგილე უფროსი ლეიტენანტი პ. ა. ბუგაენკო უძღვებოდა. დივიზიის იძულებითი უკანდახევის პირობებში ბევრი ჩემი მოვალეობა, როგორც განყოფილების უფროსისა, არსებითად საჭირო აღარ იყო და მოიხსნა. დაგეგმვებმა ზურგის მუშაობაში (ხოლო ჩვენ, მე-5 განყოფილებაში ძირითადად დაგეგმარებაზე ვმუშაობდით) ახალ ვითარებაში დაკარგეს თავიანთი თავდაპირველი მნიშვნელობა. ყველაფერი დამოკიდებული იყო შექმნილ ვითარებაზე. ხინამდვილეში ახეც იქცეოდნენ ზურგის ნაწილების მეთაურები და მოქმედ პოლკებს ყველა საბრძოლო საშუალებებით ამ წესით ამარაგებდნენ.

— ზურგს ახლა შენი თანაშემწეებიც მოუვლიან, — მითხრა პოლკოვნიკმა მიდრომ, — შენ კი ოქროპირიძესთან წადი, შენს თანამემამულეს როგორღაც უჭირს, ნახე, რა როგორ არის. ადგილზე უკეთ ჩანს, და დაეხმარე, რითაც შეძლებ.

იმავე წამს მოტომსროლელი პოლკისაკენ გავემგზავრე, რომელსაც პოლკოვნიკი ივანე ოქროპირიძე მეთაურობდა. ივანე კონსტანტინეს ძე ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი იყო. წარმოშობით გორელი იყო, დამთავრებული ჰქონდა კურსანტთა ნაკრები ქართული სკოლა თბილისში და დიდხანს იყო ნამუშევარი მსროლელი პოლკის შტაბის უფროსად საქართველოში. მონაწილეობდა თეთრფინელებთან ომში და დაჯილდოებული იყო წითელი დროშის ორდენით. მე-16 სატანკო დივიზია ჩემთან ერთდროულად დაინიშნა.

ივანე კონსტანტინეს ძეს საშტაბო მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა, იცოდა მკვეთრი და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება და მათ ჯიუტადაც ატარებდა ცხოვრებაში. ფაშისტებთან პირველსავე ბრძოლებში თავი გამოიჩინა როგორც უშიშარმა, განათლებულმა და ინიციატივიანმა მეთაურმა.

ერთმანეთს პოლკის საკომანდო პუნქტში შევხვდით. ოქროპირიძეს უკიდურესად გადაღლილი სახე ჰქონდა, მაგრამ როგორც ყოველთვის, სუფთად გაპარსული იყო. სამხრეთული შავგვრემანი სახე კიდევ უფრო ჩაშავებოდა. თვალის

უპეებში უძილობის მუქი ნაოჭები ჩასხდომოდა. ფაქიზად შეხვეული მარცხენა ხელი ბანდით კისერზე ეკიდა.

— ცუდად არის ჩვენი საქმე, შენი ჭირიმე, — მითხრა ოქროპირიძემ ურთიერთ მოკითხვის შემდეგ, — ერთ-ორ დღეს კიდევ გავუძლებთ, მერე კი ამაო იმედია. მებრძოლები მამაცურად იბრძვიან, თავს არ ზოგავენ, ბოლომდე დგანან ადგილზე და ბრძანების გარეშე უკან არ იხევენ, პოზიციებს არ ტოვებენ, მაგრამ დიდი დანაკლისის ფასად. მტერი ტექნიკით გვჯობნის — ტანკებითა და ავიაციით. ჩვენ კი მოძველებული ტანკებიც თანდათან გვიმცირდება.

ადამიანის შესაძლებლობათა უკიდურესი დაძაბვით ვუძლებდით მტერს, ვანადგურებდით მის ცოცხალ ძალას, რითაც სარდლობას საშუალებას ვაძლევდით, გამოეყვანა რეზერვები და დნესტრს გაღმა მტკიცე თავდაცვითი ზღუდე შეექმნა. მოწინააღმდეგეს კი, რომელიც სარგებლობდა ტანკებისა და ავიაციის სიჭარბით და ჰაერში სრული ბატონობით, თითქმის ყოველ ბრძოლაში ქვეითთა ახალ-ახალი ნაწილები და ქვედანაყოფები შემოჰყავდა და თავის შეტევით ძალებს დაუსრულებლად ზრდიდა. ოქროპირიძის პოლკი გმირულად იცავდა თავდაცვით პოზიციებს. 8 ივლისს, მთელი დღის განმავლობაში ჰიტლერელებმა არაერთგზის სცადეს მისი ალყაში მოქცევა და შევიწროვება, მაგრამ ჩვენი მეომრების მამაცურმა მოქმედებამ ყველა მათი განზრახვა ჩაფუშა.

მაგრამ თუ ერთი აზერხებდა და ასე თუ ისე უძლებდა მოწინააღმდეგის დაწოლას, სამაგიეროდ სხვა ნაწილები შექმნილი მდგომარეობის გამო, იძულებული იყვნენ ახალი ზღუდეებისაკენ დაეხიათ. ასეთ დროს კორპუსის მეთაურიც და სხვა მეთაურებიც გასცემდნენ ხოლმე ბრძანებას — გარკვეული მანძილით დაეხია ყველას უკან, რომ მტერი გარს არ შემორტყმოდათ და თავი ტომარაში არ ამოეყოფინებინათ.

ასე იყო 8 ივლისსაც. დღის პირველ ნახევარში ოქროპირიძის მოტომსროლელმა პოლკმა უკუაგდო მტრის ათამდე იერიში, მერე კი, რამდენიმე საათიანი სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ, დივიზიის მეთაურის ბრძანებით, დატოვა დაკავებული პოზიციები და სამხრეთ-აღმოსავლეთით, კაინარ-ვეკის ზღუდისაკენ დაიხია.

## გამოდევნეს!

მეთექვსმეტე მოტომსროლელ პოლკს მდინარე კუბოლტას გაღმა ეკავა თავდაცვითი პოზიცია, და მთელი ძალით ცდილობდა, რომ ეს პატარა მდინარე მტერს არ გადმოელახა, მაგრამ მდგომარეობა წუთი-წუთს მწვავდებოდა.

თავისთან გამომიძახა პოლკოვნიკმა მიდრომ:

— მოწინააღმდეგე ფლორეშტის მიმართულებით გასვლას ცდილობს, — მითხრა მიხეილ ივანეს ძემ და რუკაზე დაიხარა, — მან გრიმივო და დომინენტი დაიკავა და ამით დივიზია შუაზე გახლიჩა. მე მგონი, ახსნა აღარ ჭირდება, მტრის ამ მანევრში ჩვენთვის რა საშიშროებაც იმალება. რითაც იქნება და არ იქნება, აუცილებლად უნდა გავდევნოთ მოწინააღმდეგე დომინენტიდან. დაბრუნდი, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ ოქროპირიძესთან, შეკრიბე ყველა ნაწილები რაც კი არის მე-16 პოლკის მოქმედების რაიონში და დაუმორჩილე ისინი პოლკოვნიკს. თქვენ უნდა შეაჩეროთ მოწინააღმდეგის შემოტევა ფლორეშტის მიმართულებით, გამოდევნოთ იგი სოფელ დომინენტიდან, უკუაგდოთ მდინარე კუბოლტას გაღმა, წყალგაღმა დაიკავოთ პლაცდარმი და გამაგრდეთ იქ.

ეს რთული ამოცანა დაეკისრა პოლკს, რომელმაც წინა ბრძოლებში მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა და იყო უკიდურესად დაღლილი და დაზარალებული. მაგრამ როცა მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა პირად შემადგენლობას განუმარტეს, რომ ამჯერად პოლკს მოწინააღმდეგის იერიშის მოგერიება კი აღარ მოუწევს, არამედ თვითონ უნდა შეუტიოს მტერს, გამოდევნოს იგი დასახლებული პუნქტიდან და წყალგაღმა გადარეკოს, მეომრების განწყობილება იმავ წამს ამაღლდა.

რამდენიმე დღის იძულებითი უკან დახევის შემდეგ ისევ გააძევო მოწინააღმდეგე წინადღეს დატოვებული დასახლებული პუნქტიდან — ეს მართლაც კარგი საქმე იყო! მაშასადამე, არის კიდევ ძალა, რომ არა მარტო მამაცურად დაიცვა თავი და ფაშისტ ყაჩაღებს პირისპირ დაუდგე, არამედ დაარტყა და უკანაც დაახევინო. ძალა და საშუალება იყო, რა თქმა უნდა, ცოტაოდენი, მაგრამ თვითონ იდეა — წაართვა მტერს მიტაცებული საბჭოთა სოფელი — იმ ძნელბედობის ჟამს, იმდენად შთამაგონებელი გამოდგა, რომ ყოველი მებრძოლი, ყოველი სერჟანტი, ყოველი მეთაური და პოლიტმუშაკი, მიუხედავად დაღლილობისა, მზად იყო, გადაელახა ნებისმიერი ახალი სიძნელე, ნებისმიერი საშიშროება, ოღონდ კი სარდლობის საბრძოლო ამოცანა შეესრულებინა.

ბრძოლა სოფელ დომინენტისათვის დიდხანს არ გაგრძელებულა. დასახლებულ ადგილზე პირველები ჩვენი ტანკები შეიჭრნენ, მათ უკან მიჰყვნენ მსროლელები, მეტყვიამფრქვევეები და მაშინ ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი მეავტომატეთა ჯგუფები.

ჰიტლერელები და მათი მოკავშირე რუმინელები, აშკარა იყო, ამას არაფრით არ მოელოდნენ. ჩვენი ტანკებისა და მსროლელი ქვედანაყოფების უეცარმა გამოჩენამ მტერი დააფრთხო და გააქცია. საბჭოთა მეომრების მოქმედება იმდენად სწრაფი და გაბედული იყო, რომ ჰი-

ტლერელებმა, რომელთაც დომინენტში ტანკებიც ჰქონდათ, არტილერიაც და ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარიც ჰყავდათ, ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევაც ვერ მოახერხეს, უველაფერი მიატოვეს და თავქუდმოგლეჯილებმა მოკურცხლეს.

არა უმეტეს ერთი საათისა, დომინენტი მთლიანად გაწმენდილი იყო მოწინააღმდეგის ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან. ამ ხანმოკლე ბრძოლაში მე-16 მოტომსროლელი პოლკის მეომრებმა, ორი კვირის ბრძოლის შემდეგ, პირველად იგდეს ხელთ ნადავლი: სამი გამართული ტანკი, თორმეტი სატვირთო მანქანა სურსათითა და საომარი მასალით სავსე, რამდენიმე ზარბაზანი და ტყვიამფრქვევი. ხელთ იგდეს აგრეთვე, რუმინელი ტყვე ოფიცერი, რომელმაც ძვირფასი ცნობები მოგვცა მოწინააღმდეგის შემტევი დაჯგუფებების შემადგენლობასა და შეიარაღების შესახებ.

მტერი ვერ შეურიგდა დაკავებული ტერიტორიის წართმევას და დომინენტიდან განდევნისთანავე საპასუხო კონტრიერიში წამოიწყო. ცხარე ბრძოლები გაჩაღდა სოფლის ჩრდილოდასავლეთ მხარეზე. ჰიტლერელები ჯერ ქვეითი ჯარით, შემდეგ კი ტანკებითაც რამდენჯერმე ეკვეთნენ მე-16 მოტომსროლელი პოლკის ნაწილების მიერ დაკავებულ პოზიციებს, მაგრამ ამაოდ.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს გერმანელთა სამი ტანკი საფარიდან გამოვარდა და დიდი სიჩქარითა და სროლით ჩვენი პოზიციებისაკენ წამოვიდა. ჩვენთან, მე-16 მოტომსროლელი პოლკის მხარდამხარ იბრძოდნენ 81-ე სატანკო პოლკის უტანკოდ დარჩენილი მეომრები, რომლებიც სატანკო ბატალიონის მეთაურმა ა. ი. ბუბნოვმა შემოგვიერთა. ახალ ადგილზე ჯერ კიდევ არ ვიყავით გამაგრებული, ჯერ სანგრებიც არ გვქონდა გაჭრილი, ამიტომ მტრის ტანკების გამოჩენა საკმაოდ დიდ საფრთხეს ქმნიდა.

აუცილებელი იყო სასწრაფო ზომები, რომ მტრის ტანკები შეგვეჩერებინა და ჩვენს პოზიციებამდე არ მოგვეშვა. ამის გაკეთება კი მხოლოდ არტილერისტებს შეეძლოთ, სხვა იარაღი ჯავშნის წინააღმდეგ უძლური იყო.

— სად არიან ჩვენი არტილერისტები? — გავძახე ბატალიონის მეთაურს.

— სადღაც აქვე, ახლოს, ტყის პირას არიან, მაგრამ უსწორმასწორო რელიეფის გამო ისინი ტანკებს ვერ ხედავენ.

— საჩქაროდ უნდა გადმოსწიონ თავიანთი „ორმოცდახუთები“ და პირდაპირ დამიზნებაზე დააყენონ.

— იაკობ! — გასძახა ბრძოლის გრუხუნში ბუბნოვმა თავის მოადგილეს.

— აქა ვარ, ამხანაგო კაპიტანო!

ბუბნოვმა ლეიტენანტს ამოცანის ახსნა დაუწყო, მე შევაწყვეტინე:

— შეეშვით, საჭიროა ურთიერთშეთანხმებული მოქმედება. წავიდეთ, ლეიტენანტო!

მე და ლეიტენანტი იაკობ სამოდუროვი არტილერისტებისაკენ გავიქეცით, უნდა გაგვერბინა 200-250 მეტრი სრულიად ღია ადგილზე. ირგვლივ ბუზებივით ზუზუნებდნენ ტყვიები, მაგრამ ჩვენ მაინც წინ მივიწევდით, ხან ფოფხვით, ხან გადარბენებით სწრაფად გადავიარეთ მინდორი და არტილერისტებთან მივედით. ბატარეის მეთაურს ორი სიტყვით ავუხსენი, რაც უნდა გაეკეთებინა და მანაც იქვე მისცა ბრძანება გათვლას — გაიტანეთ ზარბაზნები გორის ძირობაზე და მტრის ტანკებს პირდაპირი დამიზნებით გაუხსენით ცეცხლი! ყველაფერი დროულად გაკეთდა. მეზარბაზნეებმა მტრის ორი ტანკი დალეწეს, ხოლო მესამეს უფროსი სერჟანტის პეტრე ანდრეევის „ბტ“ ტანკმა მიუსწრო და აიძულა უკან გაბრუნებულიყო.

ეს იყო იმ დღეს მტრის უკანასკნელი იერიში. ჩქარა ჩამოღამდა კიდეც და ღამის მყუდროება ჩამოწვა: იმ ხანად ჰიტლერელებს ღამე დასასვენებლად ჰქონდათ განკუთვნილი და იერიშებზე არ გადმოდიოდნენ.

— დიახ, დღეს ცხარე დღე დაგვიდგა, — მოულოდნელად ქართულად მითხრა ლეიტენანტმა სამოდუროვმა და გაოცება რომ შემატყო, დაუმატა, — მე და თქვენ თანამემამულენი ვართ. კახეთში, საგარეჯოს რაიონში დავიბადე და გავიზარდე.

ბუბნოვს და სამოდუროვს გამოვემშვიდობე და პოლკის საკომანდო პუნქტში დავბრუნდი. პოლკოვნიკმა ოქრობირიძემ ვახშამზე მიმიწვია და ორდინარეცს ჭიქებისა და ერთი ბოთლი „კახურის“ მოტანა უბრძანა.

— ეს საიდან? — გავიოცე მე.

— რომელ ქართველს არ ეშოვება მეგობრისთვის ჭიქა ღვინო, — ღიმილით მომიგო ივანე კონსტანტინეს ძემ. — დღეს მართლაც გვეკუთვნის თითო ჭიქა, რაც არ უნდა იყოს, მტერი დაკავებული ადგილიდან გავრეკეთ და პირველი გამარჯვებაც მოვიპოვეთ.

პოლკოვნიკი ახლა უკვე კაი ხასიათზე იყო, დილანდელი ქმუნვის ნატამალიც აღარ შერჩენოდა.

ვადღეგრძელეთ სამშობლო, მთავარსარდალი, აგრეთვე, ჩვენი მეომრები, ვინც თავი გამოიჩინა მტერთან ბრძოლაში, დავლიეთ დაღუპული მებრძოლების შესანდობარი.

გვიან საღამოს ოთახში გამხდარი, ტანმაღალი უფროსი ლეიტენანტი შემოვიდა. მტვრისა და დაღლილობისაგან გაფერმკრთალებული სახე ჰქონდა, ჩაღამებული თვალები, ტანზე გახუნებული, ალაგალაგ ამომწვარი გიმნასტურა ეცვა. იგი ჩემი სოფლელი პატარა გუბელი მიხეილ გეგუჩაძე იყო, მე და ის კოტოვსკშიც ერთ სახლში ვცხოვრობდით, მაგრამ ომამდე მუდამ მხიარული, სიცოცხლით სავსე, ლამაზი ვაჟკაცი

ორი კვირის მანძილზე ისე შეცვლილიყო, რომ უცბად ცნობა გამიჭირდა.

— როგორც იქნა, მოგაგენით, — მითხრა მისალმების შემდეგ უჩვეულოდ ჩუმი ხმით, თითქოს ვილაცისა სცხვენიაო, — ხმა დავარდა, დაჭრილიაო. ახლა გავიგე, რომ პოლკში ყოფილხართ და აი მოვედი, გინახულეთ.

— მადლობელი ვარ, მიშა, მოკითხვისათვის, — ვუთხარი მე და ხკამი დავუდგი, — დაჭრის ამბავი ტყუილია, გერმანელებს ჯერ სარჩემო ტყვია არ ჩამოუსხამთ.

უფროსი ლეიტენანტი გეგუჩაძე მესანგრეთა ასეულს მეთაურობდა. ჩემზე ექვსი წლით უმცროსი იყო. თეთრფინელებთან ომში მონაწილეობა არ მიუღია და ომის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა. ოღონდ ეგ იყო, როგორც ასეულის მეთაური დივიზიაში ცნობილი იყო ხელქვეითების კარგი აღმზრდელისა და მარჯვე ორგანიზატორის სახელით.

— როგორ არის საქმე, მიშა? — ვკითხე მე.

— გვიჭირს, — მიპასუხა გეგუჩაძემ, — ვნაღმავთ გზებს მოწინააღმდეგის იერიშების მიმართულებით, ზედ მტრის ცხვირწინ ვმუშაობთ და ბრძოლის ველიდან უკანასკნელები გამოვდივართ. ყველას უჭირს, მაგრამ ჩვენ, მესანგრეებს — განსაკუთრებით...

რა თქმა უნდა, მივხვდი, რომ მიხეილი ჩემთან არც უბრალოდ და არც ომის სიძნელეებზე სალაპარაკოდ იყო შემოსული. მართლაც, კარგა ხნის დუმილის შემდეგ მკითხა:

— ნეტა როგორ არიან ჩვენები?.. რაიმე ხომ არ იცით ოჯახების შესახებ?.. — მკითხა როგორღაც ფრთხილად, თითქოს პასუხისა ეშინიაო.

განა მე კი ვიცოდი, რა მოუვიდათ მის ლამაზ ცოლსა და ორ ბავშვს?

მიხეილი საინჟინრო-სასანგრო ბატალიონთან ერთად პირველსავე დღეს წავიდა ომში, მე კი მეორე ეშელონს გავყევი და წასვლა ოდნავ მოგვიანებით მომიწია.

დივიზიის მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ოჯახების ევაკუაციას ომის დაწყების მეორე დღეს შევუდექით. როგორც დივიზიის შტაბის მე-5 განყოფილების უფროსს, ეს საქმეც მე მევალებოდა. ქალები და ბავშვები მანქანებზე ლავსხით და კოტოვსკის რკინიგზის სადგურში წავიყვანეთ, იმ იმედით, რომ აღმოსავლეთისაკენ მიმავალი მატარებლებით ზურგში გავაგზავნიდით, მაგრამ მატარებლები ისე იყო გადატვირთული ლტოლვილებით, რომ ადგილები სახურავებზეც აღარ აღმოჩნდა.

სადგურზე რამდენსამე დღე-ღამის უშედეგო ლოდინის შემდეგ დავრწმუნდით, რომ მატარებლები მეტი აღარ იქნებოდა. მაშინ ბევრი ოჯახი და მათთან ერთად ჩემი ცოლიც, ორი მცირეწლოვანი ბავშვით, აღმოსავლეთისაკენ ფეხით გაუდგნენ გზას. წავიდნენ უცხო მხარეს, შიმშილსა და გაჭირვებაში, ოღონდაც კი ომს შორს გასცლოდნენ, არ მოხვედროდნენ მტრის მიერ დაპყრობილ მიწა-წყალზე და გადაერჩინათ ბავშვები.

მას აქეთ მათი აღარაფერი ვიცოდი და რით უნდა მენუგეშებინა ჩემი უმცროსი მეგობარი! მიხეილმა მოისმინა ჩემი უიმედო პასუხი, უხმოდ გამოგვემშვიდობა და თავის ასეულში წავიდა.

## დნესტრთან და დნესტრს გაღმა

მძიმე ბრძოლების კიდევ ორი დღე-ღამე. მეორე მექანიზებული კორპუსის პოლკები უკანასკნელი ძალღონით აკავებდნენ მტრის ძლიერ დაწოლას. უფრო სწორად, ბრძოლებით იხევდნენ დნესტრისაკენ.

ჩვენი დივიზიის მე-18 მოტომსროლელმა პოლკმა ისევ დატოვა დომინენტი — სოფლიდან შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ გავიდა, რის შედეგადაც მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მიაყენა.

მკითხველმა და განსაკუთრებით ახალგაზრდამ შეიძლება იკითხოს: „ღირდა კი რამდენსამე დღე-ღამით მოწინააღმდეგისთვის ამ სოფლის წართმევა, თუკი წინასწარვე იყო ცნობილი, რომ მისი დატოვება ხელახლა მოუხდებოდათ?“

დიახაც რომ ღირდა! ღირდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ მცირე, მაგრამ გაბედულმა საბრძოლო ოპერაციამ მოწინააღმდეგე დნესტრისკენ მიმავალ გზაზე შეაჩერა, მეორეც, პირადი შემადგენლობისათვის ჰქონდა უზარმაზარი მორალური მნიშვნელობა — მებრძოლებს თითქოს ფრთები გამოასხა, განუმტკიცა საკუთარი ძალების რწმენა და დაანახვა ისიც, რომ ომის დასაწყისში ჩვენი პირველი წარუმატებლობანი დროებითი იყო. თუკი უკან დახევის მძიმე პირობებში შესძლეს, ერთი დღე-ღამით გამოედევნათ გერმანელები დასახლებული პუნქტიდან, სხვა პირობებში, რაღა თქმა უნდა, როცა დადგება იერიშის დრო და შესაძლებლობა, ფაშისტებს დროებით დაპყრობილი სხვა ქალაქებიდანაც მოუწევთ გაქცევა.

ჩვენ იმხანად ცოტა რამ თუ ვიცოდით, რამდენად მტკიცე იყო საბჭოთა ჯარების წინააღმდეგობა სხვა ფრონტებზე, არაფერი ვიცოდით ჩვენს შედარებით უახლოეს უბნებზეც კი, თვითეულმა ჩვენგანმა მხოლოდ საკუთარი ქვედანაყოფის, პოლკის, დივიზიისა და ბოლოს კორპუსის საბრძოლო მაგალითებითა და გამოცდილებით ვიცოდით, რომ წითელი არმია თავგანწირულად უმკლავდებოდა მტრის დაწოლას და მის ცოცხალ ძალას და საომარ ტექნიკას დღითი დღე ანადგურებდა.

რა თქმა უნდა, ცნობილი იყო ისიც, რომ ომის მსვლელობაში კორპუსიც ხალხისა და ტექნიკის მხრივ საგრძნობლად დაზარალდა. უც-

ბად კიდევ მოულოდნელი უბედურება გამოტყვრა — გათავდა ტანკებისა და ჯავშნოსანი მანქანებისათვის განკუთვნილი საწვავის მარაგი.

11 ივლისს არმიის სარდლობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბრძოლიდან გამოეყვანათ გარკვეული ნაწილები, მათ შორის, ჩვენი დივიზიის სატანკო პოლკები, გადაეყვანათ ისინი კოტოვსკის რაიონში, რათა შეეკეთებინათ დაზიანებული მატერიალური ნაწილები და მოეყვანათ სრულ საბრძოლო წესრიგში. რასაკვირველია, იყო იმისი იმედიც, რომ კოტოვსკში პოლკები შეივსებოდა გარკვეული რაოდენობის ახალი ტანკებით. მე-15 მოტომსროლელმა დივიზიამ, რომელსაც გენერალ-მაიორი ნ. ნ. ბელოვი სარდლობდა და რომელიც გაძლიერებული იყო სატანკო დივიზიების მოტომსროლელი და საარტილერიო პოლკებით, მიიღო ამოცანა — განევრძო თავდაცვითი ბრძოლა და შეეჩერებინა მტრის წინსვლა.

მე-2 მექანიზებული კორპუსის მოქმედების რაიონში ერთადერთი გადასასვლელი დნესტრზე, რომლითაც სატანკო ნაწილების წყალგალმა გაყვანა შეიძლებოდა, იყო რიბნიცკის რკინიგზის ხიდი.

რიბნიცკის ხიდს ფრონტის სხვადასხვა უბნიდან სამი ყამირგზა უერთდებოდა. სამივე ეს გზა მთელი კილომეტრების სიგრძეზე ჩახერგილი იყო ტანკებით, ქვემეხებით, ავტომანქანებით, დაჭრილთა ტრანსპორტით, დნესტრგაღმა მიმავალი ზურგის ნაწილებითა და ქვედანაყოფებით, მათი უამრავი ქონებით, ლტოლვილებით. ყველა ცდილობდა სხვისთვის დაესწრო, რაც შეიძლება, ჩქარა გადასულიყო ხიდზე და მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე გასულიყო. ხიდის გასასვლელთან ისეთი ზედახორა შეიქმნა აყვირებულ-აზრიალებული მანქანებისა და ხალხისა, რომ გეგონებოდათ, ამას ველარაფერი შეაჩერებს და ველარც ვინმე წესრიგს აღადგენსო.

დაუბრკოლებლად დაფრინავდნენ მტრის გამანადგურებლები და ხალხს ტყვიამფრქვევებით ხოცავდნენ. ჩვენი მებრძოლები შაშხანებს ესროდნენ, მაგრამ მათს ჯავშანს შაშხანის ტყვია ვერაფერს აკლებდა.

დაჭრილთა კვნესა, ქალების საშინელი წივილი, რომლებიც თავისი სხეულით იფარავდნენ ბავშვებს, დროდადრო თვითმფრინავების ღმუილსაც კი ახშობდა. ყველაზე საზარელი საყურებელი იყო, როცა რომელიმე ლტოლვილი ადგილს მოწყდებოდა და ტყვიების თქეშში თავშესაფარის ძებნაში აქეთ-იქით აწყდებოდა, სანამ ტყვიით განგმირული ძირს არ დაეცემოდა.

ასეთი სურათი წარმომიდგა თვალწინ, როცა რიბნიცკის ხიდთან მივედი. მე დავალებული მქონდა, ჩვენი დივიზიის ტანკებისა და ზურგის დნესტრის აღმოსავლეთ მხარეზე ორგანიზებული გადაყვანა. ჩემს მანქანას თითქმის კვალდაკვალ მოჰყვა ტალახით დასვრილი სატვირთო მანქანა, საიდანაც გენერალ-მაიორი ი. ვ. ნოვოსელსკი გადმოვიდა. მე მივედი და წარვუდექი. გენერალმა დაკვირვებით შემომხედა და მითხრა:

— მიხედეთ ამათ, კაპიტანო, — თავით ხიდისაკენ მანიშნა, — შეეცადეთ წესრიგი აღადგინოთ, თორემ ადამიანები თავისი სისულელით იღუპებიან.

განკარგულების მოცემის შემდეგ გენერალი მანქანაში ჩაჯდა და ფრონტის მიმართულებით წავიდა. მე ხიდისკენ გავემართე. ხიდის მარჯვენა ყურზე რომ გავედი, ნაგანი რამდენჯერმე ჰაერში გავისროლე. და უკიდურესად დაძაბული ხმით განვაცხადე:

— ჩემი ნებართვის გარეშე არც ერთი ნაბიჯი წინ! ყველანი გაჩერდით ადგილებზე. წესრიგის დამრღვევებს ადგილზევე დავხვრეტ!

ხალხი უცბად დაჩუმდა, დაწყნარდა. მებრძოლებიდან და მეთაურებიდან რამდენიმე თანაშემწე ავიყვანე და წესრიგის დამყარებას შევუდექით. შედარებით მცირე დროში მოვახერხეთ ხალხისა და ავტომანქანების ხიდზე ორგანიზებული გატარება.

ხიდის რაიონში კიდევ ორჯერ გამოჩნდნენ მტრის გამანადგურებლები და ისევ ტყვიამფრქვევებით აგვიტეხეს სროლა, მაგრამ საქმე არ შეფერხებულა, ხიდზე მოძრაობა გრძელდებოდა.

უკვე საღამო ხანზე ხიდს მაღლა გერმანელთა მოპიკირე ბომბდამშენების დიდი ჯგუფი გამოჩნდა. ცა თითქოს ღრუბლებით დაიფარა. როცა დაბომბვა დაიწყეს, რამდენიმე თანაშემწესთან ერთად ხიდზე ვიდექი. ყუმბარის ნამსხვრევებისთვის რომ თავი აგვერიდებინა, პირდაპირ ხიდის ფიცარნაგზე გავწექით.

სანამ ბომბები ნაპირზე სკდებოდა, კიდევ არაუშავდა რა. მაგრამ უცბად ხიდის თავზე გულგამგმირავი ღმუილის ხმა გაისმა, ხმა მაღლიდან მოდიოდა და თანდათან მიახლოვდებოდა. უკანასკნელად მხოლოდ გამაყრუებელი ქასანი გავიგონე...

გონს მეთევზეთა ნავში მოვედი, თავიდან ფეხებამდე წყლით ვიყავი გალუმპული. რაკი თვალი გავახილე და გონს მოვედი, ერთ-ერთი წითელარმიელი დაიხარა და რაღაც მითხრა, მე ვერაფერი გავიგონე — დავყრუებულიყავი. მინდოდა მეკითხა ჯარისკაცისათვის, რა დამემართა-მეთქი, მაგრამ კრინტი ვერ დავძარი — თურმე ენაც წამრთმეოდა.

ჯარისკაცებმა მედსანბატში მიმიყვანეს, მხოლოდ იქ გავიგე, რომ ერთ-ერთ ბომბს ფიცარფენილი გაეგლიჯა და წყალში აფეთქებულიყო. აფეთქების ტალღას სხვებთან ერთად მეც მდინარეში გადავესროლე. ჩემდა ბედად, მეთევზეთა ნავით მდინარეში ჯარისკაცები გადენილიყვნენ და გონწასული წყლიდან იმათ ამოვეთრიე. მათ მედსანბატში მიმიყვანეს და უკან გა-

ბრუნდნენ, არც გვარი უთქვამთ თავიანთი, არც სახელი, და მე დღესაც არ ვიცი, ვინ იყვნენ ჩემი გადამრჩენები.

ოდნავ ფეხზე სიარულის ღონე რომ მომეცა, მედსანბატი დავტოვე და ნაწილში დავბრუნდი. მინდოდა მომეხსენებინა პოლკოვნიკ მიდროსთვის, რაც შემემთხვა, მაგრამ კვლავ ამაოდ — კანტუზიას ჯერ კიდევ არ გაევლო და ერთი სიტყვის თქმაც ვერ შევძელი. სმენა და მეტყველება მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგღა დამიბრუნდა.

ივლისის შუა რიცხვებისათვის მდგომარეობა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სამხრეთ ფრთაზე, სადაც ჩვენი დივიზიაც იბრძოდა, თანდათანობით სულ უფრო გართულდა.

ჰიტლერელები კიევთან საბჭოთა ჯარების მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდნენ და იძულებული გახდნენ, თავდაცვაზე გადასულიყვნენ. თუმცაღა, უკრაინის დედაქალაქის ჩრდილოეთით და სამხრეთით მოწინააღმდეგე კვლავ შეტევით ბრძოლებს ანვითარებდა.

## ცოტა რამ წარსულზე

ჩვენი მეთექვსმეტე სატანკო დივიზიის გადასვლამ დნესტრზე, რიბნიცკის ხიდით, ძირითადად მშვიდობიანად ჩაიარა. რა თქმა უნდა, მტრის საჰაერო თავდასხმებს უმსხვერპლოდ არ გადავრჩენილვართ არც ცოცხალი ძალისა და არც ტექნიკის მხრივ, მაგრამ ზარალი მეტად უმნიშვნელო იყო. ჯარების იძულებითი უკან დახევის ასეთ რთულ ვითარებაში დანაკარგი შეიძლება ბევრად უფრო მეტიც ყოფილიყო.

11 ივლისს, ბრძოლიდან გამოსვლის შემდეგ, მეორე მექანიზებული კორპუსი ოფიციალურად იქნა გამოცხადებული ფრონტის სარდლობის რეზერვად. მის შენაერთებსა და ნაწილებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩვენს დივიზიასაც საკუთარი თავის მოწესრიგების საშუალება მიეცა. ჩვენ, შეიძლება ითქვას, ბედმა გაგვიღიმა. ომის პირველ კვირაში, მტრის უკიდურესი დაწოლის პირობებში, ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდებოდა.

მართალია, დივიზიის ნაწილების დნესტრის აღმოსავლეთ ნაპირზე თავმოყრის დროისათვის ბევრ ტანკსა და ავტომანქანას ბენზინის ავზები თითქმის მთლიანად დაცარიელებული ჰქონდათ. უკუნწზე იყო მისული აგრეთვე საომარი მასალაც, რაც შტაბსა და სარდლობას ყველაზე მეტად აწუხებდა. საჭირო იყო გადამჭრელი და ენერგიული მოქმედება, რომ საწვავისა და საომარი მასალის შემოტანა დაგვეჩქარებინა. ამიტომაც შემთხვევით არ გამომიძახა მე პოლკოვნიკმა მ. ი. მიდრომ, როცა მედსანბატელების მეურვეობას თავი დავაღწიე და კვლავ შტაბში დავბრუნდი. მიდრომ მიბრძანა, დაუყოვნებლივ წავსულიყავი კოტოვსკში და ყველაფრით [illegible]ნა საწვავითა და საომარი მასალით პოლკების სწრაფი უზრუნველყოფისათვის. და რაკი ყურთ არაფერი მესმოდა, მიხეილ ივანეს ძემ ეს ბრძანება ქაღალდის ნაგლეჯზე დამიწერა: „გაემგზავრე კოტოვსკში, დააჩქარე ზურგის მუშაკები, საწვავი და საომარი მასალა მეტისმეტად გვჭირდება“.

კოტოვსკის გზაზე ხშირად გვიწევდა გაჩერება. ზაფხულის ნათელი დღე იყო და ცაში შეუწყვეტლივ დაზუოდნენ გერმანელთა თვითმფრინავები. შოფერი იძულებული იყო, ერთსა და იმავე დროს გზაზეც ხჭეროდა თვალი და ცაც დაეზვერა. ჩემი შოფერი მაი ამას საკმაოდ მარჯვედ ახერხებდა. ყოველთვის, როცა კი დაბომბვის საშიშროება იქმნებოდა, უმალ გადაუხვევდა გზიდან და მანქანას რაღაც საფარში შეაყენებდა.

მე ალბათ ოდნავ ჩამთვლიმა, როცა ჩემმა მუდმივმა თანამგზავრმა ლევ მაიმ მანქანა დაამუხრუჭა და ყურში ჩამძახა:

— ჩვენი სამხედრო ქალაქი, ამხანაგო კაპიტანო!

აქ ისე შეცვლილიყო ყველაფერი ომის ხანმოკლე მანძილზე, რომ თვალებს ვერ დავუჯერე. თითქოს ზედ შავ გრიგალს გადაევლო. ბევრი სახლი ნანგრევად იყო ქცეული, ყველგან ჩანდა ჯერ ისევ მბოლავი ფერფლიდან ამოშვერილი ღუმელის ჩონჩხები, კრამიტისა და რკინის გროვები, ძირფესვიანად ამობრუნებული ხეები. ქალაქის დამამშვენებელი ცაცხვის ხეივნისა თითქმის აღარაფერი დარჩენილიყო.

მანქანიდან გადმოვედი, ქროდა სტეპის ცხელი ქარი და ნახანძრალიდან მხრჩოლავ კვამლს იტაცებდა. კვამლი დედამიწას ეფინებოდა, თვალებს მწვავდა და სუნთქვას მიძნელებდა. სახლი, რომელშიც ომამდე ჩემი თანამემამულე უფროსი ლეიტენანტი მიშა გეგუჩაძე ოჯახით ცხოვრობდა, თითქმის აღარ არსებობდა. მისგან მხოლოდ აგურის გროვა, გატუსული ფიცრები და დამტვრეული მინებიღა დარჩენილიყო. მთელს ამ ნანგრევებზე, როგორც კვარცხლბეკზე, ისე იდგა ბავშვის საწოლი. მინებჩალეწილი ფანჯრების გამოლამებული თვალებით შემომყურებდა უუმბარით შუა გაკვეთილი ჩემი ყოფილი სახლიც. ერთ-ერთ ფანჯარაზე მარტივად ნაქარგი და რაღაც ბედად გადარჩენილი ფარდა ფრიალებდა... გამონგრეული კედლიდან შევედი ჩემს ყოფილ ბინაში. აქაც იგივე სურათი დამხვდა — დამწვარი ფიცრები და აგურის ნამსხვრევები. უცბად ფეხი რაღაც რბილს დავადგი და შეშინებულმა უკან დავიწიე. ავიღე და ხელში ჩემი გოგონას — ლამარას თოჯინა შემრჩა. ნახევებიდან ნახერხი წამოცვივდა და თოჯინა „ხელში ჩამაკვდა“. ტკივილმა ლამის გული დამიხერა. ბავშვები! რამდენი დაიხოცა

ისინი რიბნიცკის ხიდთან დაბომბვის დროს, კიშინიოვში, ბენდერებში და სხვა ქალაქებში! მაგრამ ჩემი ბავშვები? სად არიან, როგორ არიან?

ერთხელ კიდევ მოვავლე მზერა სახლს, სადაც ცოტა ხნის წინ ასეთი ბედნიერი ვიყავი და უკან წამოსვლა დავაპირე. უცბად აგურის ნამსხვრევებში პაწაწინა წითელი ქოშები დავინახე. ეს ქოშები ომის დაწყებამდე ორი თვის წინ გოგონას ოდესიდან საჩუქრად ჩამოვუტანე. ქოშები ავიღე, გავბერტყე და საველე ჩანთაში შევინახე, და ომის გრძელი დრო, მთელი ოთხი წელიწადი ჩანთით ვატარე. რისთვის? არ ვიცი. ვინახავდი, როგორც სათაყვანო თილისმას, თუმცა არასოდეს არ მჯეროდა, რომ იგი ბედნიერებას მომიტანდა.

## რეზერვში

ბოლოს მივედით შტაბამდე. სწრაფად ჩამოვდივარ მანქანიდან და თვალებით ზურგის ხელმძღვანელობას ვეძებ. ერთ-ერთი საწყობის კართან დივიზიის მეთაურის მოადგილე პოდპოლკოვნიკი ვ. ს. სამუილოვი და დივიზიის არტილერიის მომარაგების უფროსი მაიორი უტკინი დავინახე.

ერთმანეთს მივესალმეთ, მჭიდროდ, მეგობრულად ვართმევთ ხელს ერთიმეორეს. ვცდილობ სიტყვებით გადავცე დივიზიის მეთაურის მოთხოვნა საწვავისა და საომარი მასალის სასწრაფოდ მიწოდების შესახებ, მაგრამ არაფერი გამომდის. ჩემი სიყრუე და სიმუნჯე მაღიზიანებს. მეტი გზა არ არის, ისევ ფანქარი და ქაღალდი უნდა მოვიმარჯვო. თავდაპირველად გიმნასტურის გარე ჯიბიდან ვიღებ მიდროს ბრძანებას „ზურგის მუშაკები დააჩქარეთ", და ვაძლევ პოდპოლკოვნიკს, რის შემდეგაც ბლოკნოტის ფურცელზე უფრო დაწვრილებით ვწერ ჩემი ჩამოსვლის მიზანს: აუცილებლად მაქსიმალური დატვირთვით უნდა გამოვიყენოთ მთელი ავტოტრანსპორტი. საომარი მასალის ვადასაზიდად მობილიზაცია უნდა გავუკეთოთ ახლომახლო კოლმეურნეობათა საჭაპანო ტრანსპორტს. კოლმეურნეობების საჭაპანო ტრანსპორტის მობილიზების შესახებ დივიზიის მეთაურისაგან არავითარი მითითება არ მქონია, მაგრამ პოდპოლკოვნიკს ეს წინადადება ჭკუაში დაუჯდა. ახლომდებარე კოლმეურნეობებიდან ზურგის მეთაურებმა მოახერხეს სამი თუ ოთხი ათეული ურმის გამოყვანა. ურმები საომარი მასალის ყუთებით დავტვირთეთ, ასე რომ, საღამოსათვის მანქანებისა და ალალის საკმაოდ მოზრდილი ქარავანი შევადგინეთ და დაღამებისთანავე ფრონტისაკენ დავიძარით. გამთენიისას ავტოკოლონა უკვე ადგილზე იყო. მალე დივიზიის პოლკების განლაგების ადგილზე საომარი მასალით დატვირთული ალალიც მოვიდა. მგზავრობამ ყოველმხრივ მშვიდობიანად ჩაიარა.

გაჭირვებით და ენის ბორძიკით მოვახსენე ავტოკოლონისა და ალალის ადგილზე მოსვლის შესახებ შტაბის უფროსს პოდპოლკოვნიკ ა. გ. ზემლიანოის. ანდრეი გრიგოლის ძემ მოთმინებით მომისმინა და შვებით ამოისუნთქა.

— მადლობა ღმერთს, ახლა არა გვიშავს, უკვე გვაქვს, რითაც უნდა დავხვდეთ ფაშისტებს.

იქვე დაურეკა პოლკოვნიკ მ. ი. მიდროს, საწვავისა და საომარი მასალის მოტანა აცნობა. მერე ისევ მე მომიბრუნდა და რამდენჯერმე ხმამაღლა გამიმეორა:

— დაბრუნდით კოტოვსკში და თვალყური ადევნეთ, რომ საწვავისა და საომარი მასალის მოწოდება არ შეფერხდეს.

ასე უძილოდ, დაუსვენებლად, მტრის მიერ დაბომბვის მუდმივ მოლოდინში მე და ჩემს თანაშემწეებს რამდენჯერმე მოგვიხდა ვასკოვიცსა და კოტოვსკს შორის მიმოსვლა. ბოლოს და ბოლოს, დივიზიის მეთაურის დავალება შევასრულეთ: პოლკებმა ყველაფერი მიიღეს, რაც ახალი ბრძოლისათვის ჭირდებოდათ და დამატებით ცოტაოდენი მარაგიც შეიქმნა.

...18 ივლისს ჩვენი რეზერვში ყოფნა დამთავრდა. ნაბრძანები იყო, საჩქაროდ გადავსულიყავით უმანის რაიონში. წინ გვედო 150 კილომეტრიანი გზა, რომელიც გაძლიერებული მარშით უნდა გაგვევლო.

ლაშქრობის წინ პოლკოვნიკმა მიდრომ დივიზიის შტაბისა და სამმართველოს ხელმძღვანელი მეთაურები სამსახურებრივ თათბირზე მიიწვია. ეს იყო ომის დაწყების შემდეგ პირველი თათბირი. ამხანაგები ჩქარა შეიკრიბნენ. თათბირზე მ. ი. მიდრომ, კომისარმა ნ. ვ. რუდენკომ და შტაბის უფროსმა ა. გ. ზემლიანოიმ მოკლედ აგვიხსნეს, რა მიზანი ჰქონდა ჩვენს გადასვლას უმანის რაიონში.

რაკი კიევთან წითელი არმიის შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა, ფაშისტური გერმანიის სარდლობამ გადაწყვიტა, არ ჩაბმულიყო გაჭიანურებულ ბრძოლებში უკრაინის დედაქალაქის გულისათვის. ამიტომ მტრის ჯარის გარკვეულ ნაწილებს მიეცათ ბრძანება თავდაცვაზე გადასვლისა, ხოლო იქ მოქმედი მეექვსე არმიის მთავარ ძალებს ჩრდილოეთით შემობრუნება და კორონსტენის მიმართულებით წასვლა ებრძანათ. იმავდროულად მტრის ჯარებმა კიევის სამხრეთით, ბელაია ცერკოვისკენაც მოახდინეს გარღვევა. ცხადი იყო, ფაშისტური სარდლობა იმ მიზნით ანვითარებდა შეტევას დნეპრის მიმართულებით, სამხრეთისაკენ, რომ სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტების საბჭოთა ჯარებისათვის უკან დახევის საშუალება არ მიეცა. გერმანიის მე-17 არმია სწრაფად მიიწევდა ვინიცასა და უმანის მიმართულებით, ხოლო

მე-11 რუმინული არმია უმანს სამხრეთით უვლიდა და ბალტისა და პერვომაისკისაკენ მიისწრაფოდა.

ბელაია ცერკოვის რამდენადმე დასავლეთით ოპერატიულ სარბიელზე გამოსვლისას, მე-2 მოტორიზებული კორპუსის კლეისტის სატანკო ჯგუფმა შექმნა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მე-6 და მე-12 არმიების ზურგში გარღვევის საშიშროება. გერმანელთა მე-17 არმიამ ხამდღიანი გააფთრებული ბრძოლის შემდეგ მოახდინა გარღვევა სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტების შესაყარზე და ჟმერინკის რაიონისაკენ გაიწია. რუმინულმა შენაერთებმა მოგილიოვ-პოდოლსკთან დნეპრი გადმოლახეს და ჩვენი მე-18 არმიის მარცხენა ფლანგს ხევიდან მოექცნენ.

სამივე საბჭოთა არმია — მე6, მე-12 და მე-18 თვით საზღვრიდანვე მძიმე არაერგაროვული ბრძოლებით იხევდა უკან, სამივე საგრძნობლად იყო დაზარალებული და მტრის ამ ნახევარი ალყიდან საკუთარი ძალებით თავის დაღწევის უნარი აღარ შესწევდა. თავის განკარგულებაში ფრონტს სამანევროდ მხოლოდ ერთი რეზერვი ჰყავდა, მეორე მექანიზებული კორპუსი, რომელიც სამი დივიზიისაგან შედგებოდა და წინათვე გამოყვანილი იყო ბრძოლიდან. მასვე ევალებოდა აგრეთვე მე-6 და მე-12 არმიებისათვის მხარდაჭერაც.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო სამხრეთის ფრონტზეც 1941 წლის ივლისის შუა რიცხვებისათვის. რასაკვირველია, თათბირის მხვლელობაში ჩვენი მე-16 სატანკო დივიზიის მეთაური, შტაბის უფროსი და კომისარი ყოველივე ამას დეტალურად არ იყვნენ გაცნობილი, უმეტესად ფრაგმენტულ ცნობებს ეყრდნობოდნენ და ბევრ რამეზე მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამდნენ. საერთოდ კი, თათბირზე ძირითადად ლაპარაკი იყო იმაზე, თუ როგორ შეგვესრულებინა უკეთესად ბრძანება და სასწრაფოდ გავსულიყავით უმანის რაიონში.

## ბრძოლები უმანთან

ჩვენმა დივიზიამ დაასრულა 150 კილომეტრიანი ლაშქრობა და უმანის მახლობლად ტყეში დაჯგუფდა.

ქალაქში მზვერავთა ჯგუფი გაიგზავნა. მზვერავები ძალიან ჩქარა დაბრუნდნენ. მათი მეთაური ახალგაზრდა, ქერა სერჟანტი, რომელიც მარცხენა ფეხით ოდნავ კოჭლობდა, შტაბში მოვიდა და პოლკოვნიკ მ. ი. მინდროს მოახსენა.

— უმანში ფაშისტები არიან, დაახლოებით მოტოციკლისტების ერთი ასეული და განლაგებული არიან ყოფილ სამხედრო ქალაქში.

— მართლა? — უნდობლად ჰკითხა მინდრომ.

— მართლა, ამხანაგო პოლკოვნიკო, ჩემი თვალით ვნახე. ისე იქცევიან, თითქოს დასახვენებლად იყვნენ.

დივიზიაში არსებული ცნობებით, მოწინააღმდეგე ქალაქიდან დაახლოებით 30-50 კილომეტრის დაშორებით იმყოფებოდა. უცბად კი აღმოჩნდა, რომ უმანის სამხედრო ქალაქში ჰიტლერელთა ერთ ასეულამდე მოტოციკლისტები ყოფილან.

პოლკოვნიკმა მ. ი. მინდრომ მზვერავების დაბრუნებისთანავე მიიღო გადაწყვეტილება — შევუტიოთ სამხედრო ქალაქს, გამოვდევნოთ იქიდან ფაშისტი კაციჭამიები და გავანადგუროთო.

ოპერაციაზე უმცროსი ლეიტენანტის მუსტაფა მამედოვის სატანკო ასეული გაიგზავნა. ბრძოლამ პირველსავე წუთებიდან გააფთრებული ხასიათი მიიღო. თავდაპირველად, მართალია, ფაშისტი მოტოციკლისტები რამდენადმე დაიბნენ — ჩვენი ტანკები მოულოდნელად შეიჭრნენ მათს განლაგებაში, მაგრამ ეს ხელსაყრელი მომენტი ბოლომდე სათანადოდ ვერ იქნა გამოყენებული. ჰიტლერელები მალევე მოეგნენ გონს, თავშესაფრებიდან ჩვენს მსუბუქ ტანკებს ხელყუმბარები დაუშინეს და მსხვილყალიბიანი ტყვიამფრქვევების ცეცხლი გაუხსნეს, რომლის ტყვიებიც თავისუფლად ატანდა თხელ ჯავშანში.

სამხედრო ქალაქიდან ფაშისტების გამოდევნა საბოლოოდ მაინც მოხერხდა. ბევრი მათგანი განადგურებულ იქნა, დანარჩენებმა თავიანთი მოტოციკლებით მოკურცხლეს. ოღონდ სამხედრო ქალაქის დაუფლებისათვის ბრძოლა ჩვენს ტანკისტებსაც საკმაოდ ძვირად დაუჯდათ. უმანის ნოდილო მხარეს 22 ივლისს მომხდარ ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ სატანკო ასეულის მეთაური უმცროსი ლეიტენანტი მუსტაფა მამედოვი, ასეულის პოლიტხელი ვიტალი დიაჩკოვი, ტანკის მეთაური უმცროსი ლეიტენანტი ივანე ობუხოვი, მექანიკოსი-მძღოლი სერჟანტი ალექსანდრე ხოლმიკოვი, მსროლელი ეფრეიტორი ივანე რევინევი. რამდენიმე ტანკისტი მძიმედ დაიჭრა.

დაღუპულები სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე დავკრძალეთ.

ტყვეების დაკითხვიდან ცნობილი გახდა, რომ უმანში იმყოფებოდა გერმანელთა სატანკო კორპუსის მოტოციკლისტთა რაზმი, რომლის ძირითადი ძალები ბელაია ცერკოვის მხრიდან მოემართებოდნენ.

მოტოციკლისტთა რაზმის განადგურებისთანავე მივიღეთ ბრძანება, რომ მე-16 და მე-11 სატანკოსა და სივაშის მოტომსროლელ დივიზიებს მიეყენებინათ კონტრდარტყმა ბელაია ცერკოვის მხრიდან ჟაშკოვისკენ მომავალი მოწინააღმდეგისათვის, და გენერალ-ლეიტენანტ ფ. ი. კოსტენკოს 26-ე არმიასთან ურთიერთშეთქმედე-

ბით, რომელიც აკავებდა მტრის წინსვლას ჩრდილოეთის ფლანგზე, მოესპოთ გერმანელთა დაჯგუფება, შეექმნათ თავდაცვის ახალი ხაზი და მე-6 და მე-12 არმიებისათვის ახალ ზღუდეზე გადმონაცვლეობისა და ძალთა შენარჩუნების საშუალება მიეცათ.

მე-2 მექანიზებული კორპუსი დაუყოვნებლივ დაიძრა ჩრდილო-დასავლეთისაკენ. რამდენადაც უმანის სამხედრო ქალაქში საწვავის დიდი მარაგი მოგვეპოვებოდა, ამდენად ზურგის ნაწილების წინ წაწევა დივიზიის მეთაურმა არამიზანშეწონილად ჩათვალა. მე ნაბრძანები მქონდა შტაბთან ერთად ყოფნა, რათა, ოპერატიული ვითარებისდაკვალად, მომეხდინა ზურგის მუშაობის კოორდინირება და დროულად უზრუნველმეყო პოლკები ბრძოლისათვის ყველა საჭირო მასალებით.

ბრძანების თანახმად, ჩრდილო-დასავლეთისაკენ წასულმა პოლკებმა პირველ დღეს ოცდაათი კილომეტრი გაიარეს. მოწინააღმდეგე არსად შეხვედრიათ, არც თოფი გასროლილა, თითქოს ქვეყნად არავითარი ომი არ იყო.

ღამით ერთ პატარა ხოფლის შორიახლო განლაგდნენ. გამთენიისას კვლავ გზას გაუდგნენ, თხუთმეტი კილომეტრის გავლის შემდეგ, სოფელ ხარკოვკასთან, მოხდა მტრის ტანკების პირველი შეხვედრა. როგორც მერე გამოირკვა, ესენი იყვნენ კლაისტის ჯგუფის მეორე მოტორიზებული კორპუსის ნაწილები, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ დიდი რაოდენობის ძლიერი მანქანებით.

ჩვენი კორპუსისა და მის რიცხვში მე-16 სატანკო დივიზიის ნაწილებიც ხელიშქრით ხვლის გამო ვრძლად იყვნენ გაჭიმული, ამიტომ ბრძოლაში ნაწილ-ნაწილ ჩაებნენ, ესე იგი, იმის მიხედვით, თუ რომელ ნაწილს რა დროს მოუწია მტერთან მისვლამ; ბრძოლამ დასაწყისიდანვე გააფთრებული ხასიათი მიიღო.

იმ ხანად, ომის პირველ კვირებში, როცა წითელი არმია წარუმატებლად იბრძოდა, ბრძოლის დახასიათებისას იშვიათად გაიგონებდით სიტყვას „მასობრივი გმირობა". მაგრამ 22 ივლისს უმანის ჩრდილო მისადგომებთან გაშლილ ბრძოლებში, რომელიც ფართო, მიხვეულ-მოხვეულ და მუდმივ ცვალებად ფრონტზე რამდენიმე დღეს გაგრძელდა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი ჯარების გმირობა და უსაზღვრო თავგანწირვა ნამდვილად მასობრივი იყო. და ეს იმ პირობებში, როცა ძალთა თანაფარდობა უკიდურესად განსხვავებული იყო — მტრის ჯარები ცოცხალი ძალის რაოდენობითაც და ტექნიკითაც ბევრად სჭარბობდნენ ჩვენსას.

მე, რა თქმა უნდა, ვერ განვსჯი, თუ როგორ იბრძოდნენ ჩვენი მეზობლები. მაგრამ რაც შეეხება მე-2 მექანიზებული კორპუსისა და ჩვენი მე-16 სატანკო დივიზიის ჯარებს, მათი მასობრივი გმირობა და სიმამაცე მე ვიცი არა სხვათა მონაყოლით, არამედ საკუთარი დაკვირვებით და მათს თავგანწირულ ბრძოლებში საკუთარი მონაწილეობით.

გერმანელ-ფაშისტთა სატანკო შენაერთებისაგან განსხვავებით, ჩვენი კორპუსის ნაწილები, როგორც უკვე ვთქვი, შეიარაღებული იყვნენ ძირითადად მოძველებული ნიმუშის ტანკებით, ამასთანავე, კორპუსი საგრძნობლად დაზარალდა ბესარაბიის მიწაწყალზე გადახდილი ბრძოლებით და არც რეზერვი გააჩნდა. მიუხედავად ამისა, უმანის ჩრდილო მისადგომებთან ჩვენი ტანკისტები და მოტომსროლელი ქვედანაყოფები იბრძოდნენ ისეთი ხიმამაცით, ისე მტკიცედ და შეუპოვრად უმკლავდებოდნენ მტრის გაფთრებულ იერიშებს, რომ თვით ჰიტლერელთა მაღალი რანგის სამხედრო მეთაურებსაც კი აოცვიფრებდა.

აი, მაგალითად ერთი მაშინდელი ჩანაწერი, რომელიც გააკეთა თავის დღიურში 22 ივლისს ვერმახტის ქვეითი ჯარების გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა ფრანც გალდერმა:

„უმანის რაიონში მე-16 და მე-11 სატანკო დივიზიები (ეს იყო გერმანელ-ფაშისტთა სატანკო შენაერთები, რომლებიც კლაისტის პირველ სატანკო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა. ავტორის შენიშვნა) შეუპოვარ ბრძოლას ეწევიან მოწინააღმდეგის მსხვილ სატანკო ძალებთან. როგორც ჩანს, მოწინააღმდეგემ ჩვენი სატანკო სოლის წინააღმდეგ ფრონტიდან გადმოყვანილი შენაერთი გადმოისროლა, რითაც სურს დასავლეთით ჯერ კიდევ მოქმედი თავისი ჯარები ალყის საშიშროებისაგან დაიცვას... ამან შეიძლება უმანში მოქმედი ჩვენი შენაერთები მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს. მით უფრო, რომ 26-ე რუსულ არმიასთან ბრძოლის ხასიათი წარმატების სწრაფი მიღწევის იმედსა და საფუძველს არ იძლევა".

ასე ახასიათებდა ფაშისტი გენერალი ჩვენი კორპუსის ნაწილების პირველი დღეების ბრძოლას უმანის რაიონში უბადალებული „სატანკო სოლის" წინააღმდეგ.

„მოწინააღმდეგეს ყოველი მხრიდან გაძლიერებული იერიში მოაქვს პირველი სატანკო ჯგუფის დამკვრელ სოლზე, რომელიც უმანს უტევს".

„უმანის რაიონში მდგომარეობა ძველებურად დაძაბულია".

„მდგომარეობა მე-11 და მე-16 სატანკო დივიზიების (გერმანელთა. ავტ. შენიშვნა) ფრონტზე მწვავდება. ეს დივიზიები მეტისმეტად სუსტებია იმისათვის, რომ მოწინააღმდეგის დიდი ძალების დაწოლას გაუძლონ..."

ფაშისტი გენერლის ეს ჩანაწერები მხოლოდ ომის მრავალი წლის შემდეგ გახდა ცნობილი. და მე აქ იმიტომ მოვიყვანე, რომ ეს ჩანაწერები უშუალოდ ახახავს მეორე მექანიზებული კორპუსის ბრძოლებს უმანის მისადგომებთან,

რომლის შემადგენლობაში მაშინ ჩვენი მე-16 სატანკო დივიზიაც იბრძოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიული და, მით უფრო, ფაშისტი გენერლები სუბიექტურად აფასებდნენ საბჭოთა ჯარების გმირულ ბრძოლას და ხშირად აყალბებდნენ კიდეც, ამ შემთხვევაში მტრის იძულებითი აღიარება ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ ომის პირველსავე ეტაპზე რა აშკარა შიში განიცდიდა გერმანელ ფაშისტთა სარდლობა საბჭოთა მეომრების უტეხი სიმტკიცისა და სიმამაცის გამო. თანაც ზემოთმოყვანილი გამონათქვამები შეეხებოდა მხოლოდ ერთ მექანიზებულ კორპუსს ჩვენსას, ალჭურვილს მოძველებული საომარი ტექნიკითა და წინა ბრძოლებში საკმაოდ შეთხელებულ-დაზარალებულს.

ბრძოლები სულ უფრო გაამფთრებული ხდებოდა. გერმანელ-ფაშისტთა სარდლობა დანაკლისს დაუყოვნებლივ ავსებდა ახალი ძალებითა და საომარი ტექნიკით. ჩვენ კი დანაკლისის შესავსები არც ცოცხალი ძალა გაგვაჩნდა და არც ტექნიკა. უტანკოდ დარჩენილი ტანკისტები და უქვემეხოდ—არტილერისტები თოფებს, ავტომატებს იღებდნენ ხელში და უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძოდნენ.

აი ომის ერთი მრავალთაგანი ეპიზოდი. სოფელ როგისათვის გამართულ ბრძოლაში წითელარმიელმა პეტრე სმუშკოვმა მტრის ტანკების გამოჩენისთანავე პირველმა, საკუთარი ინიციატივით, ხელყუმბარები აიღო და მათ შესახვედრად გაფოფხდა. მან კარგად იცოდა მტრის ტანკების სუსტი ადგილი და ერთი მათგანი ააფეთქა. ცეცხლმოდებული ტანკიდან ამოვარდნილი ჰიტლერელები ავტომატით დახოცა პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორმა ალექსანდრე რეზიაპკინმა. ორი სხვა ტანკი გვერდზე გაბრუნდა და ნაღმით აფეთქდა. მათი ეკიპაჟიც ჩვენმა ბიჭებმა იქვე გაანადგურეს.

ასე იყო ყველგან, მეორე მექანიზებული კორპუსის მოქმედების ყველა უბანზე. რამდენიმე დღის განმავლობაში მისი მებრძოლები უკიდურესად ძნელ პირობებში აკავებდნენ მოწინააღმდეგის წინსვლას და არ აძლევდნენ ალყის შეკვრის საშუალებას, რითაც იგი მე-6 და მე-12 არმიების ჯარებისათვის უკან დასახევი გზის გადაკეტვას ცდილობდა.

როგორც ყველა, ამ ბრძოლებში მეც უშუალო მონაწილეობას ვიღებდი. ჩვენ, შტაბის მუშაკებს არაერთხელ მოგვიწია ავტომატების ხელში აღება, მტრის იერიშის უკუგდება და კონტრშეტევაზე გადასვლა. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ რომელიმე ქვედანაყოფს დაკავებული ზღუდე ბრძანების მიუღებლად დაეტოვებინოს. ყოველი უკან დახევა მხოლოდ და მხოლოდ სარდლობის მოთხოვნილების შესაბამისად ხდებოდა. ამასთანავე ჩვენი დივიზიის ძალები დღითი დღე დნებოდა და მცირდებოდა.

დივიზიის სარდლობა განუწყვეტლივ თხოულობდა საწვავის, საომარი მასალისა და სურსათის შემოზიდვას. ზურგის მუშაკები და მათ შორის ჩვენი მეხუთე განყოფილებაც ყველაფერს აკეთებდნენ ამ მოთხოვნათა შესასრულებლად, მაგრამ შემოტანას აძნელებდა მტრის ავიაციის უწყვეტი თავდასხმები. გზები ისედაც არ ვარგოდა, ხოლო დაბომბვისა და ზაფხულის თავსხმა წვიმების შემდეგ ბევრ ადგილას გაუვალი ხდებოდა. საწვავით, საომარი მასალითა და სურსათით დატვირთული ყოველი მანქანა დიდი გაჭირვებით აღწევდა წინა ხაზამდე. ზოგიერთები კი სულაც ვერ აღწევდნენ — ფაშისტური ავიაციის დაბომბვისა და ცეცხლდაშენის შედეგად გზაშივე ფეთქდებოდნენ.

ამასთანავე, მდგომარეობა ფრონტზე ყოველ დღე სულ უფრო მეტად მწვავდებოდა. 31 ივლისს ცნობილი გახდა, რომ მტრის სატანკო შენაერთებმა მოახერხეს მე-6 და მე-12 არმიების განლაგებაში შეჭრა. ორივე არმია იმ დროისათვის ერთ ჯგუფად იყო გაერთიანებული და გენერალ-მაიორი პ. გ. პონედელინის სარდლობდა. 2 აგვისტოს ჩვენს სარდლობამდე ხმები მოვიდა, რომ გერმანელ-ფაშისტთა სატანკო შენაერთები პერვომაისკისაკენ, გენერალ-მაიორ პონედელინის ზურგში შეიჭრნენო. იმ მიმართულებითვე, სამხრეთ ბუგის გაყოლებით გაემართა მე-17 გერმანული არმიის ჯარებიც. ამის შედეგად ჩვენი მე-6 და მე-12 არმიათა ძალების ნაწილი, რომელმაც ვერ შესძლო მოწინააღმდეგისთვის თავის დაღწევა და უმანიდან დროული გამოსვლა, ალყაში აღმოჩნდა. არმიის დანარჩენმა შენაერთებმა პერვომაისკის სამხრეთით დაიხიეს.

იმავე დროს თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მეორე მექანიზებული კორპუსისა და ნაწილობრივ ჩვენი მე-16 სატანკო დივიზიის ნაწილებიც. ისინი, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ომობდნენ, იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს და დროდადრო თვითონაც გადადიოდნენ შეტევაზე, მაგრამ მათი ძალები ამოწურვაზე იყო მისული. დივიზიის შტაბს პოლკებთან და ბატალიონებთან სატელეფონო კავშირი აღარ ჰქონდა. ასევე სულ უფრო ხშირად ირღვეოდა რადიოკავშირიც. როგორმე დივიზიის მართვა რომ განეგრძოთ, პოლკოვნიკი მ. ი. მიდრო და პოლკოვნიკი ა. ვ. ზემლიანოი დროდადრო ტანკებით გზავნიდნენ კავშირის მეთაურებს ქვედანაყოფებში, თუმცა ზოგჯერ მათი ადგილსამყოფელი დაახლოებითაც კი არ იცოდნენ. მეკავშირეები მიდიოდნენ და ბევრ შემთხვევაში უკან აღარ ბრუნდებოდნენ — ან გზაზე იღუპებოდნენ, ანდა ტყვედვარდებოდნენ.

ბოლოს კორპუსის შტაბთანაც შეწყდა კავშირი. არავითარი ცნობები მოწინააღმდეგის შესახებ, არც კონკრეტული და არც ზოგადი აღარ

შემოსულა. არც ფრონტის ხაზილა იყო მთლიანი. ჯერ კიდევ მოქმედ ქვედანაყოფებს შორის გაჩნდა დიდი გარღვევები, რომლებშიც თავისუფლად გადიოდნენ მტრის მოძრავი ნაწილები და გაჩნდებოდნენ იქ, სადაც მათ ყველაზე ნაკლებად მოელოდნენ.

დივიზია, როგორც ერთიანი მოქმედი საბრძოლო ორგანიზმი, ფაქტიურად თითქმის აღარ არსებობდა. თუმცა ბევრი მისი ქვედანაყოფი ჯერ კიდევ უწევდა მტერს თავგანწირულ წინააღმდეგობას, ურტყამდა თავდაუზოგავად. მეთაურთა ბრძანებების მიხედვით, ზურგის მუშაკები ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად შეუფერხებლად მიეწოდებინათ მათთვის ბრძოლისათვის ყველა საჭირო მასალა. ახლაც კი, ამდენი წლის შემდეგ, კაცს პირდაპირ გაოცება გიპყრობს, როგორ ახერხებდნენ შოფრები იმ არეულობაში მოქმედ სატანკო ასეულებისა და ბატალიონების პოვნასა და მათთვის საომარი მასალის მიწოდებას. მაგრამ ახერხებდნენ, რაც შეეძლოთ და არც შეეძლოთ, ყველაფერს აკეთებდნენ — პოულობდნენ და აწოდებდნენ კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ ვითარება წამით წამს იცვლებოდა და მათი სავალი გზები და მარშრუტები ხშირად ვარაუდით, მათივე თვალსაზრისით განისაზღვრებოდა.

2 აგვისტოს ღამეს საომარი მასალით დატვირთული მცირე კოლონით მორიგ რეისში წავედი წინა ხაზზე. ადგილზე, სოფელ ლიგეზინოში, რომლის ნაპირას, სახელდახელოდ გათხრილ მიწურში მოთავსებული იყო დივიზიის შტაბი, დილასლა მივედით. დივიზიის შტაბის უფროსის პოდპოლკოვნიკ ა. გ. ზემლიანოისაგან მივიღე მითითება, რომელ მხარეს გაგვეგზავნა, უწინარეს ყოვლისა, საომარი მასალით დატვირთული ავტომანქანები. სწორედ იმ დროს მტრის ტანკებმა და ქვეითმა ნაწილებმა სოფელ ლიგეზინოს შემოუტიეს. ძალებისა და საშუალებების უპირატესობა მათს მხარეს იყო, მაგრამ ჩვენმა ტანკისტებმა მაინც უკუაგდეს იერიში. ჩვენმა მოტანილმა საომარმა მასალამ სწორედ დროზე მიუსწრო.

შუადღისას დივიზიის მეთაურმა მ. ი. მიდრომ გამომიძახა. პოლკოვნიკი უზომოდ ქანცგაწყვეტილი ჩანდა და თითქოს ვამწუხარიყო კიდეც. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც მხედრული შემართებით გამოიყურებოდა.

— უნდა ვადავარჩინოთ ზურგი, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ, — წყნარად მითხრა პოლკოვნიკმა, — აი აქ, პოდვოისკსა და ტერნოვკასთან კვლავ შეიძლება გაღწევა, — და რუკაზე მიმითითა, — ზურგის მთელი მეურნეობა პიატიჟიტკის რაიონში უნდა ვადავიტანოთ. თანაც, რაც შეიძლება, სწრაფად, იმიტომ, რომ ჩრდილოეთიდან მოწინააღმდეგე უკვე სინიუხასკენ გამოვიდა. უფროსად სამუილოვს ვნიშნავ.

ეს იყო ჩემი უკანასკნელი შეხვედრა მიხეილ ივანეს ძე მიდროსთან, ამ მამაც, გაბედულ დივიზიის მეთაურსა და პოლკოვნიკთან, დიდსულოვან და გულუხვ ადამიანთან...

კორიდორს, რომელიც ჯერ კიდევ აკავშირებდა ერთმანეთთან ლიგეზინოსა და ზურგის სამსახურს, ჰიტლერელები ყველა სახის იარაღით ესროდნენ და ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მისი გადაკეტვა. სიმართლეს თუ ვიტყვით, სინამდვილეში აღარავითარი კორიდორი აღარ არსებობდა. ამ ბუნებრივ გასასვლელს ჰიტლერელები განგებ არ კეტავდნენ იმ იმედით, რომ უკანდახეული და ზურგისაკენ მიმავალი საბჭოთა ტანკები სწორედ ამ ღია კარით შეეცდებიან გასვლას, ხოლო მათი განადგურება გაშლილ ადგილზე უფრო გაგვიადვილდება, ვიდრე ნებისმიერ შეტევისას. საბჭოთა ტანკისტების ნებაყოფლობით ტყვედ ჩავარდნაზე ჰიტლერელები უკვე აღარ ფიქრობდნენ, მრავალდღიანმა ბრძოლამ დაარწმუნა, რომ ეს შეუძლებელი იყო.

თავდაპირველად გზა უდაბური ჩანდა. მაგრამ, საბედნიეროდ, წვიმები წინა დღესვე შეწყდა და დღე-ღამის განმავლობაში ყამირის ფენა კარგად გამშრალი იყო. ასე რომ, გასხლტომა მოვახერხეთ. თუმცა ჩვენი მანქანის ძარასა და კაბინაზე საკმაოდ ბევრი ტყვიის ახალი ჭუჭრუტანები გაჩნდა, მაგრამ მაინც გავუსხლტით, ერთი სიტყვით, სასწაულით გავაღწიეთ.

მივედით სინიუხასთან. მასზე გადებული, წუხელ ჯერ კიდევ ისევ მთელი და საიმედო ხიდი დანგრეული დაგვხვდა. მდინარე სინიუხა წყნარი და წყალმარჩხი მდინარეა და არ შეიძლება გასასვლელად შესაფერი ფონი არ ჰქონოდა. მართლაც ხიდიდან იგი ხუთი კილომეტრის დაშორებით აღმოვაჩინეთ.

რუკის მიხედვით ზურგი ჩრდილო-აღმოსავლეთით უნდა ყოფილიყო და შოფერს იქით წასვლა ვუბრძანე. ჯერ ერთი კილომეტრიც არ გვქონდა გავლილი, რომ საარტილერიო აფეთქებების ხმა გავიგონეთ. არტილერია უკვე ურტყამდა იმ ადგილის აღმოსავლეთით, სადაც იგი ლიგეზინოში, დივიზიის საკომანდო პუნქტში უკანასკნელად წასვლის წინ დავტოვე. მაგრამ ვისი არტილერია ბომბავდა — ჩვენი თუ მტრისა — ამის გარკვევა შეუძლებელი იყო. ჩვენი მედსანბატი გაჭედილი იყო დაჭრილებით — მოასწრეს კი მათი გაყვანა სამშვიდობოზე? ჩვენ იქ ვქონდა კიდევ საომარი მასალის საკმაო მარაგი, — სამასამდე ავტომანქანა, — ნუთუ ყველაფერი ეს მტერს ჩაუვარდა ხელში?

მოწინააღმდეგე წინ მოიწევდა, სატანკო სოლებით იჭრებოდა ჩვენს თავდაცვაში, ხლეჩდა მათ შუაზე და ჩვენს ნაწილებს ზურგისკენ იტოვებდა იმ მიზნით, რომ მათ მოსპობდნენ ან ტყვედ ჩაიგდებდნენ უკან მომავალი მოტომსროლელი ქვედანაყოფები. მოწინააღმდეგეს ჯერ კიდევ ყველა რაიონი არ დაეკავებინა და ახლა შეიძლებოდა ან ჩრდილოეთიდან ან სამხრეთიდან და

ალმოსავლეთიდან სადმე წინ შევეფეთებოდა. ჩვენ კვლავ პიატიხატკის მიმართულებით მივდიოდით, მაგრამ არ ვიცოდით, ვის შევხვდებოდით იქ — თავისიანებს თუ მტრებს.

ბოლოს, გზა-გზა შემოგვხვდნენ ჩვენი და სხვა დივიზიების მებრძოლები და მეთაურები, რომლებიც მტერს ნახევარ ალყიდან გამოსხლტომოდნენ და თავიანთ ნაწილებს მისდევდნენ. დიდი კითხვა-კითხვის შემდეგ, როგორც იქნა, გავიგეთ, რომ დივიზიის ზურგის ნაწილებს ევაკუაცია მოეხწროთ და, რომ არა მარტო პიატიხატკა, არამედ პოდიმაც უკვე მტერს დაეკავებინა.

ჩვენ, პირდაპირ, ბედმა გაგვიღიმა: სადგურ ნოვო-უკრაინკიდან ოცდამეათე კილომეტრზე ჩვენებს დავეწიეთ. აქ ვნახე უფროსი ლეიტენანტი პ. ა. ბუგაენკო, რომელმაც მას შემდეგ, რაც მე დივიზიის მეთაურის მოადგილედ დამნიშნეს ზურგში, დივიზიის შტაბის მეხუთე განყოფილების უფროსის ადგილი დაიჭირა. ბუგაენკომ მოკლედ მიამბო, თუ რა არაადამიანური გახაჭირით შეძლეს მან, პოდპოლკოვნიკმა ვ. ს. სამუილოვმა, პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორმა ა. კ. რეზიაპკინმა, საგანგებო განყოფილების უფროსის მოადგილემ ა. პ. ფლიაუნიკოვმა და სხვა მეთაურებმა დივიზიის ზურგის გამოყვანა და მტრისაგან მისი დაცვა, რომელიც თითქმის ფეხდაფეხ მოსდევდათ.

ჩვენ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს გათვალისწინებული ჰქონდა სამხრეთის ფრონტზე შექმნილი მძიმე მდგომარეობა და სათანადო გადაწყვეტილებაც ჰქონდა მიღებული: ახალი თავდაცვითი ხაზის შექმნა, რომელიც დაახლოებით ხერსონსა და კახოვკიდან მოყიდებული გაივლიდა კრივოი-როგს, კრემენჩუგს, შემდეგ გაუყვებოდა დნეპრს ჩრდილოეთით და დნეპრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე კიევის რაიონებსაც თავის პოზიციაში მოაქცევდა.

სწორედ ამ ხაზს იქით იხევდნენ უწყვეტი ბრძოლებით ქანცგაცლილი, გარემოცვასა და ნახევარალყიდან თავდაღწეული ჯარები, რათა მოწესრიგებულიყვნენ, ოდნავ მაინც სული მოეთქვათ, შეევსოთ თავიანთი შეიარაღება, საომარი მასალა და ახალი ბრძოლებისათვის მომზადებულიყვნენ. ჩვენს წინაშე იგივე ამოცანა იდგა — მე-16 დივიზიის ზურგი ამ ხაზს იქით გადაგვეყვანა.

გზებზე უსასრულო ნაკადად ვაჭიმულიყო ჯარები და ლტოლვილები. ცაში ერთთავად მტრის მზვერავი თვითმფრინავები ტრიალებდნენ. ბომბდამშენები უშიშრად, დაუბრკოლებლად ყრიდნენ ბომბებს გზებზე და მსხვილყალიბიანი ტყვიამფრქვევებით ცხრილავდნენ ადამიანებს.

ჩვენ მივიწევდით აღმოსავლეთისაკენ, მაგრამ როგორც წინათ, კარგად არც ახლა ვიცოდით, სად გავჩერდებოდით და დავჯგუფდებოდით.

ისევ დაიწყო თავსხმა წვიმები და გამშრალი ყამირგზები ატალახდა. მანქანის ძარებს მხრებით ვაწვებოდით და ტალახიდან თითქმის ხელით გამოგვქონდა. სულ პაწია აღმართის გადალახვაშიც კი უზარმაზარ ძვირადღირებულ დროს ვკარგავდით. ჩვენ კი არ მივდიოდით, — მივცოცავდით. ხოლო მტერი ფეხდაფეხ მოგვდევდა და გვიტევდა.

მე და პოდპოლკოვნიკი სამუილოვი არაერთხელ შევეცადეთ გაგვეგო გზა-გზა შეხვედრილი უფროსი მეთაურებისაგან — პოლკოვნიკებისა და გენერლებისაგან, საით მივდიოდით. ვღებულობდით სრულიად შეუსაბამო მითითებას, თუმცა მეტი არც შეეძლოთ, ბევრმა უფროსმა მეთაურმა, რომელთაც ჯარები მიჰყავდათ, თვითონაც კარგად არ იცოდნენ, სად ან როდის დასრულდებოდა ეს იძულებითი უკანდახევა.

ჩვენ მაინც მოვახერხეთ და გავიგეთ, რომ დნეპროპეტროვსკის მიმართულებით უნდა წავსულიყავით.

გავიარეთ ნოვოგრუდოვი, ალექსანდრია, კრივოი-როგი და დნეპროპეტროვსკის გზატკეცილზე გავედით. დნეპროპეტროვსკის მისადგომზე, დიევკის, კრასნოპოლოვკისა და კაიდაკის ხაზზე თავდაცვის ახალი ზღუდე მზადდებოდა. ათასობით ქალი, ბავშვი და მოხუცი მუშაობდა, თხრიდნენ სანგრებსა და ტანკსაწინააღმდეგო ორმოებს. აქ კი მართლაც იგრძნობოდა ზურგი, თუმცა, როგორც გავიგეთ, მტრის ბომბდამშენები უკვე დნეპროპეტროვსკსაც ბომბავდნენ. ქალაქის დაცვის შტაბში პოდპოლკოვნიკმა ვ. ს. სამუილოვმა ბრძანება მიიღო, რომ მანქანების კოლონა პავლოგრადში გადაგვეყვანა. ეს ბრძანება 10 აგვისტოს დილისათვის შევასრულეთ და მე-16 დივიზიის ზურგი პავლოგრადის რაიონში, სოფელ ბულახოვკის მახლობლად, პატარა ტყეში განლაგდა.

## ხსოვნა და მოვალეობა

ჯგუფ-ჯგუფად და თითო-თითოდ გამოდიოდნენ ალყიდან მე-16 სატანკო დივიზიის მეომრები და მეთაურები და ჩვენთან მოდიოდნენ. თვითეულს დაწვრილებით ვეკითხებოდით, ხომ არაფერი იცით-მეთქი, რა ბედი ეწია დივიზიის მეთაურს, სამხედრო კომისარს, შტაბს და საბრძოლო დროშას — დივიზიის სულსა და გულს. დიდხანს არ ვკარგავდით იმედს, რომ დივიზიის დროშა გადარჩენილი იქნებოდა და მე-16 სატანკოც, როგორც საჯარისო ერთეული, თავის არსებობას შეინარჩუნებდა. მაგრამ დღეები მიდიოდა და იმედი თანდათან ქრებოდა. ყველამ კარგად ვიცოდით, რომ საბრძოლო დროშის დაკარგვით დივიზიაც ავტომატურად წყვეტდა თა-

ვის არსებობას. ასეთია სამხედრო ტრადიცია, ასეთია მისი მკაცრი უძველესი რიტუალი.

გარემოცვიდან გამოსული მებრძოლებისა და მეთაურების მონათხრობიდან მხოლოდ მეტ-ნაკლები სისწორით შეიძლებოდა წარმოგვედგინა, თუ რა ტრაგიკული ბედი ეწია დივიზიის პოლკებსა და მათს მცირერიცხოვან ქვედანაყოფებს, რომლებიც 3 აგვისტოს, ლიგეზინოდან ჩემი წასვლის დღეს კიდევ განაგრძობდნენ მოქმედებას. თავიანთი საბრძოლო ვალი მათ ბოლომდე მოიხადეს, ებრძოდნენ მტერს უკანასკნელ ჰურვამდე, მანამდე, სანამ ტანკებს საწვავის ავზები ბოლომდე არ დაუცარიელდათ. ბევრნი თვით ამის შემდეგაც განაგრძობდნენ ბრძოლას: მიატოვებდნენ საწვავგამოლეულ ტანკებს და შაშხანებითა და რევოლვერებით სპობდნენ მოწინააღმდეგეს.

განსხვავება ძალთა თანაფარდობაში დღითი დღე იზრდებოდა. განადგურებული პოლკების ნარჩენების წინააღმდეგობა ფაშისტებმა ბოლოს მაინც გატეხეს.

ტყვეობის მძიმე ხვედრი ერგო წილად დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილეს, ბატალიონის უფროს კომისარს მ. დ. ვასილიევს. იგი სიკვდილს ხასწაულით გადარჩა.

„ტყვეები უმანის აგურის ქარხნისა და მეფრინველეობის ფაბრიკის შუა მდებარე ღრმა ქვაბულში შეგვყარეს, — გვიამბობს მიხეილ დიმიტრის ძე, — იქ რამდენსამე დღეს გაგვაჩერეს პაპანაქება მზის ქვეშ, არ გვაძლევდნენ არც წყალს, არც საჭმელს, ბევრი დაიხოცა წყურვილისა და დაუძლურებისაგან, ბევრი ჰიტლერელებმა დახვრიტეს, ხოლო ცოცხლად დარჩენილები გაძლიერებული ბადრაგით ბანაკებში წაგვიყვანეს".

მაგრამ ზოგიერთებმა მაინც მოახერხეს გაქცევა და ფრონტის ხაზის გადალახვა. მათვე გვაუწყეს პოლკების ბედიღბალიც. მაგრამ, სამწუხაროდ, რა ბედი ეწია დივიზიის შტაბს, მის მეთაურსა და კომისარს, დივიზიის დროშას, დაბრუნებულთაგან არავინ არაფერი იცოდა. ისინი ასე ამბობდნენ: „შტაბიც ალბათ განადგურებულია. იმიტომ რომ ფაშისტები მჭიდრო რკალად შემოერტყნენ ლიგეზინოს და აილეს. თავის გაღწევა შეუძლებელი იყო".

ცნობები მოდიოდა სხვა წყაროებიდანაც, კერძოდ, მე-15 ხივაშის მოტომსროლელი დივიზიის ზოგიერთი მეთაურისაგან, რომელიც ჩვენს მეზობლად იხევდა უკან და ნაწილ-ნაწილ ახერხებდა ალყიდან გამოსვლას. ისინი ამბობდნენ, რომ პოლკოვნიკი მ. ი. მიდრო, პოლკის კომისარი ნ. ვ. რუდენკო და სხვა უფროსი მეთაურები მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპნენო. ამის მეტი არავინ არაფერი იცოდა.

რა თქმა უნდა, დაწვრილებით არც მე ვიცოდი რამე, თუმცა მაშინაც, ომის დროს, და ომისშემდგომ წლებშიც არაერთხელ ვცადე გამეგო, რა მოუვიდა დივიზიის შტაბს, მაგრამ ყველა ცდამ ამაოდ ჩაიარა. უკვე ძალიან ცოტანიღა დარჩნენ იმ ტრაგედიის ცოცხალი მოწმენი, რომელიც ორმოცდაერთი წლის აგვისტოს დასაწყისში მეთექვსმეტე სატანკო დივიზიას დაატყდა.

ბოლოს მაინც გამიმართლა, ცოტა ხნით ადრე, სანამ ამ ხელნაწერზე მუშაობას დავიწყებდი, მე დავუკავშირდი ერთ კაცს, რომელიც თითქმის ბოლო წუთამდე იმყოფებოდა ბრძოლების რაიონში — ფაშისტების მიერ ალყაშემორტყმული სოფლის ლიგეზინოს მახლობლად. ეს იყო ჩვენი დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოფილი ინსტრუქტორი, იმხანად უფროსი პოლიტხელი, შემდეგ პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე კუზმას ძე რეზიაპკინი.

მართალია, ის თვითონ არ იყო თვითმხილველი დივიზიის შტაბის განადგურებისა, არც დივიზიის მეთაურის და კომისრის დაღუპვისა, მაგრამ მას შემორჩა ფრონტული დღიური, რომელშიც, როგორც წესი, შეჰქონდა ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. რაკი გაიგო, რომ მე წიგნს ვწერდი, ალექსანდრე კუზმას ძემ თავისი დღიური გამომიგზავნა. მოვიყვან რამდენიმე ჩანაწერს:

„ჩვენ დავტოვეთ სოფელი როგი და სოფელ ლიგეზინოსკენ დავიხიეთ. ვართ უკიდურესობამდე ქანცგაწყვეტილები, მაგრამ მშველელი არავინ არის და არც იქნება.

პოლიტგანყოფილების უფროსმა ვასილიევმა საარტილერიო პოლკში გამგზავნა, მერე მოტომსროლელში. მთელ დღეს წინა ხაზზე ვიცოცე, შევკრიბე სხვადასხვა ცნობები... მე დავრწმუნდი, თუ როგორი დანაკლისი მოგვსვლია ჩვენ ამ დღეებში. ეს უკვე პოლკები კი აღარ არის, ასეულებია.

მოწინააღმდეგემ მოწესრიგების საშუალებაც არ მოგვცა. პირდაპირ იერიშით მოადგა ლიგეზინოს. ავიაციის თავდასხმისა და არტილერიის შემდეგ, წამოვიდა ტანკები".

და შემდეგ:

„ბრძოლის ველიდან რამდენიმე ჩვენმა ჯარისკაცმა გამოაღწია. ესენი არიან ლიგეზინოს ტრაგედიის ცოცხალი მოწმეები, მათი ნაამბობით ვაგრძელებ დღიურში ჩანაწერებს.

ჰიტლერელები ახალ შეტევაზე გადმოვიდნენ და ყველა ღონე იხმარეს, რომ ჩვენი ნაწილები ალყაში მოექციათ და გაენადგურებინათ. ამ დროისათვის ჩვენ პირადი შემადგენლობის მესამედიც აღარ გვყავდა, ხოლო ტექნიკა კიდევ უფრო ნაკლები შემოგვრჩა. ბრძოლებმა მწვავე ხასიათი მიიღო, ჩვენი დივიზია იძულებული გახდა, უკან დაეხია.

3 აგვისტოს მტერმა მოახერხა ლიგეზინოში ჩვენი დაქანცული ნაწილების ალყაში მოქცევა, რომელითაც მთელი ბრძოლების მანძილზე არავითარი შევსება არ მიუღიათ. სამი დღის ბრძოლის შემდეგ დივიზიაში გათავდა საომარი მასა-

ლა, საწვავი და სურსათი, ხოლო ტანკები და არტილერია განადგურებული იყო. კომისარმა რუდენკომ მოახერხა კოლმეურნეობის ფქვილით პურის გამოცხობა, მაგრამ იგი სულ ერთ დღე-ღამეს გვეყო. მეორე ეშელონის გამოგზავნილი მანქანებიდან მხოლოდ ოთხმა მოაღწია: ორმა საომარი მასალა მოიტანა, ერთმა კონსერვები და ერთმა საწვავი. მაგრამ ამას ალყაში მოქცეულთა მდგომარეობის შემსუბუქება არ შეეძლო.

8 აგვისტოს ბოლოს ლიგეზინოში სიწყნარე ჩამოვარდა. სოფელი სავსე იყო გერმანელთა ტანკებითა და ქვეითი ჯარით. მაშასადამე, ჩვენები ყველანი დაიღუპნენ.

პოლკოვნიკი მ. ი. მიდრო: ჩვენი მამაცი მეთაური, საყვარელი ამხანაგი და დიდსულოვანი ადამიანი... ჯერ კიდევ სამოქალაქო ომში ის კოტოვსკისთან ერთად იბრძოდა... ბრძოლის უკანასკნელ დღეს იგი ერთადერთი უვნებლად გადარჩენილ ტანკში ჩაჯდა და ადგილის დასაზვერად გავიდა, რომ ჯაეგო, სად უფრო ადვილად შეიძლებოდა მტრის რკალის გარღვევა. ტანკს ჭურვი მოხვდა. მიდრო მუცელში დაიჭრა. დაჭრილი გაჭირვებით ამოვიდა ცეცხლმოდებული ტანკიდან, მაგრამ ფაშისტებმა დახვრიტეს თავის ადიუტანტთან ერთად.

სამხედრო კომისარი ნ. ვ. რუდენკო: ჩვენი დაუვიწყარი დივიზიის კომისარი... ის და მიდრო თითქოს ბედისაგან განგებ იყვნენ შეერთებულნი ერთად მუშაობისათვის. ორივე პატიოსანი, თავდადებული, პრინციპული, ავტორიტეტიანი, მუშაობაში ყველასათვის ნიმუშისა და მაგალითის მიმცემნი იყვნენ. მიდრო რომ დაიღუპა, რუდენკომ ოპერაციის დამთავრების მთელი პასუხისმგებლობა თვითონ იკისრა. ყველა ცოცხლად გადარჩენილი ერთ ავტომანქანაზე დასხა და ალყის გარღვევა სცადა.

უკვე ჩამობნელდა, როცა მამაცთა პატარა ჯგუფი რუდენკოს მეთაურობით მდინარისკენ წავიდა და ლელიანში შეინიღბა. ფაშისტები იმ მხარეს ალალბედზე ისროდნენ, მაგრამ მათ მიერ გასროლილ ყოველ ნაღმსა და ჭურვს ახალი მსხვერპლი მოსდევდა. 4 აგვისტოსათვის შვიდნიღა დარჩნენ. რუდენკომ იარაღისა და საბუთების გიმნასტურებში შეხვევა და მდინარის გადაცურვა ბრძანა, იმ იმედით, რომ ფაშისტ დარაჯებს იქნებ სიბნელეში მაინც გასხლტომოდნენ. და ის იყო მიცურდნენ კი გაღმა ნაპირთან, რომ თავს დაასხნენ წინა დღესვე ჩასაფრებული მიკ უირილები და შეიპყრეს.

ისინი მიიყვანეს შტაბში. იქ ერთი დასავლეთ უკრაინელი გამყიდველი ჯარისკაცი დაუხვდათ, რომელიც რამდენიმე დღით წინ გადასულიყო მტრის მხარეზე. მან რუდენკოზე მიუთითა და უთხრა: აი ეს არის მეთექვსმეტე სატანკო დივიზიის კომისარი". რუდენკო გაიყვანეს.

როცა დანარჩენი ექვსი კაცი დაკითხვის შემდეგ ეტაპით უმანკისკენ წაიყვანეს, ერთ-ერთმა მათგანმა გაქცევა მოახერხა. ეს იყო მეკავშირე შეველიევი. მან თქვა, რომ რუდენკო 6 აგვისტოს უმანში გესტაპომ დახვრიტაო".

ალექსანდრე რეზიაპკინმა ეს ჩანაწერები ლიგეზინოში მომხდარი ტრაგედიის რამდენიმე დღის შემდეგ გააკეთა: ეს ჩანაწერი, რა თქმა უნდა, ლიგეზინოს უკანასკნელი ბრძოლების სრულ სურათს ვერ იძლევა. ამისდა მიუხედავად, მე მაინც უსაზღვროდ მადლობელი ვარ ალექსანდრე კუზმას ძისა, რომ თავისი დღიურის ნაწყვეტების გამოქვეყნების უფლება მომცა. ისინი ნათელს ჰფენენ იმ გმირულ ამბებს, რაც ომის პირველსავე დღეებში მოხდა. დაე იყოს ეს ამბები სევდიანი, დამაღონებელი. სამაგიეროდ, თვალნათლივ მეტყველებენ იმაზე, თუ რა უსაზღვრო იყო რწმენა მომავალი გამარჯვებისა, საბჭოთა პატრიოტიზმის რა მაღალი გრ... ბით ებრძოდნენ წითელი არმიის მეომრები ფაშისტ დამპყრობლებს ომის დასაწყისიდანვე.

რამდენადაც ჩვენი მე-16 სატანკო დივიზია უკვე აღარ არსებობდა, ყველანი, ვინც უმანის ბრძოლებს უვნებლად გადავრჩით, დღითიდღე მოველოდით სხვა ნაწილებსა და შენაერთებზე გადანაწილებას.

ერთხელ პავლე ანდრიას ძე ბუგაენკო რაღაც საქმეზე პავლოგრადში იყო წასული, საღამოს, იქიდან დაბრუნებულმა, მითხრა, რომ ალყიდან გამოსული ნაწილებისა და ქვედანაყოფებისაგან ქალაქში ახალი შენაერთები ყალიბდებაო.

— ჩვენი ამასწინანდელი მეზობელი — სივაშის მე-15 დივიზიაც ხალხით, საბრძოლო ტექნიკითა და ავტომობილებით ივსება, — დაუმატა მან, — და ყველაფერ ამას პოლკოვნიკი კრავჩენკო მეთაურობს.

— ანდრეი გრიგოლის ძე? — გამიხარდა მე.

ანდრეი გრიგოლის ძე კრავჩენკოს ჩვენ ორივენი კარგად ვიცნობდით. მე, პირადად, ჯერ კიდევ სამამულო ომამდე დიდი ხნით ადრე მის მოადგილედ ვმუშაობდი ქალაქ პენზაში, სადაც იგი შტაბის უფროსი იყო. მერე 173-ე დივიზიის შემადგენლობაში ყველა ერთად ვმონაწილეობდით საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში. თეთრფინელებთან ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და სიმამაცისათვის, ანდრეი გრიგოლის ძე წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა, მე კი — წითელი ვარსკვლავის პირველი ორდენით.

გვიან, კრავჩენკოს ხელმძღვანელობით მე მომიწია მუშაობა ჯერ საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის სასაზღვრო-სადემარკაციო ხაზის დამდგენ კომისიაში, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა, მერე — ასეთსავე კომისიაში საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის. ერთმანეთს მხოლოდ სამამულო ომის დაწყების ცოტა ხნით ადრე დავცილდით, როცა მან მორიგი სამსახურებრივი დაწინაურება მიიღო —

დაინიშნა მეთვრამეტე სატანკო კორპუსის შტაბის უფროსად.

მიღებაზე პოლკოვნიკთან მე და ბუგაენკო ერთად მივედით. დაგვინახა თუ არა, კავალერიის მაღალ, წარმოსადეგ პოლკოვნიკს, რომელსაც იმ წუთში ელაპარაკებოდა, სიტყვა პირდაპირ შუაზე გააწყვეტინა. ერთმანეთს გულთბილად მივესალმეთ, პოლკოვნიკმა მოკლედ გამოგვკითხა მე-16 სატანკო დივიზიის ბედიღბალი და მის ახლანდელ მდგომარეობაზე ძალიანაც შეწუხდა. ამით დამთავრდა ოფიციალური საუბარი. ჩანდა, კრავჩენკოს ყოველი წუთი გამოთვლილი ჰქონდა.

მკვეთრად შებრუნდა თანამოსაუბრისკენ და უთხრა:

— აი თქვენ, აფანასი ნიკიტიჩ, დივიზიის ზურგის უფროსი — კაპიტანი ჯანჯღავა, ჩემი ბრძოლისმიერი ამხანაგი, ერთად ვიბრძოდით ფინეთის ომში.

ასე გავიცანი პირველად პოლკოვნიკი აფანასი ნიკიტას ძე სლიშკინი, რომელიც ის-ის იყო, დაინიშნა არსებითად ხელახლა ჩამოყალიბებულ მეთხუთმეტე სივაშის მსროლელი დივიზიის მეთაურად. მისი ყოფილი მეთაური კი, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ბელოვი გმირულად დაიღუპა უმანთან ბრძოლაში.

სექტემბერში მეთხუთმეტე დივიზიის პოლკებმა მტერთან ბრძოლა განაახლეს.

სისხლისმღვრელ, გააფთრებულ ბრძოლებსა და შეტაკებებში გერმანელ ფაშისტთა ურდოებთან დნეპრზე, მდინარე სამარის საფლობებში, არტემოვსკში და დონბასის სხვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში, სივაშელები, მტრის ჭარბი ძალების დაწოლის გამო იძულებითი უკან დახევისას, მამაცურად და შეუპოვრად იცავდნენ საბჭოთა მიწის ყოველ გოჯს და არნახული გმირობის მაგალითებს ავლენდნენ. იმ დღეთა მკაცრმა გამოცდამ მებრძოლები და მეთაურები უფრო გააკაჟა, შესძინა მდიდარი საბრძოლო გამოცდილება, ასწავლა იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის ეფექტური გამოყენება და მტრის დაუზოგავი განადგურება.

უსაზღვრო სიმამაცით ასრულებდნენ თავიანთ ფრონტულ დავალებებს არა მარტო საბრძოლო ქვედანაყოფების წითელარმიელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, არამედ სანიტრები და ექიმებიც. რომლებიც დაჭრილებს სიცოცხლეს უბრუნებდნენ.

ბრძოლებმა ორმოცდაერთი წლის დასასრულს განსაკუთრებით მძიმე ხასიათი მიიღო. ჩვენი მეომრები მტრის ჭარბი ძალების გაძლიერებულ ცეცხლქვეშ ნაბიჯ-ნაბიჯ იხევდნენ უკან, ტოვებდნენ ერთ პოზიციას და იკავებდნენ მეორეს. ზოგჯერ იძულებით და, მაშასადამე, ტაქტიკურად გამოუსადეგარს, მაგრამ მეთაურები და პოლიტმუშაკები თვით ყველაზე მძიმე წუთებშიც კი არ კარგავდნენ რწმენას და საბრძოლო პოსტებზე მამაცად და გაბედულად იდგნენ.

იწურებოდა ორმოცდაერთი წელი, უმაგალითოდ მძიმე და ძნელი წელი, აღსავსე მარცხითა და გულგატეხილობით. ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიხარულო ამბავი, რაც იმ მძიმე დღეებში გავიგეთ და რამაც ყველა ჩვენთაგანი აღაფრთოვანა, იყო ის, რომ მოსკოვთან დაიწყო გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურება. იმხანად ჩვენ დაშორებული ვიყავით მშობლიურ დედაქალაქს, მაგრამ იმის შეგნება, რომ მოსკოვი არ დანებდა მტრის მრისხანე ძალების დაწოლას, რომ იქ, მოსკოვის თოვლით დაფარულ გარეუბნებში, ფაშისტმა ურდოებმა — სწორედ, რომ ურდოებმა და არა ცალკეულმა შენაერთებმა — ვერ გაუძლეს ჩვენი მეომრების მამაცურ შეტევას და პირი გასაქცევად იბრუნეს, მტრის უცილობელი განადგურებისა და ჩვენი სამართლიანი საქმის გარდუვალი გამარჯვების რწმენას გვიძლიერებდა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე

## კურთხეულ იყოს, აი, ეს მიწა!

ჩემს უნეტარეს ქვეყნის
მთა-ველებს
ეალერსება
მზე და ლაჟვარდი,
აი, ამ მიწამ,
აი, ამ მიწამ,
შვა რუსთაველი!

ნათელი დღეა.
პურის თაველებს
ოდნავ აელერებს
სიოს ნავარდი,
კურთხეულ იყოს,
აი, ეს მიწა,
კურთხეულ იყოს
აწ და მარადის!

ჩემს უნეტარეს ქვეყნის
მთა-ველებს
ეალერსება მზე და ლაჟვარდი,
ნიავი არხევს პურის თაველებს!..

ქვეყანავ ჩემო,
ჩუქურთმა ლექსის
აქ იჭრებოდა,
შენთან,
მარადის!
აქ ხომ ისევ ილია დადის!
აქ მისი სუნთქვა,
ფეხის ხმაც ისმის!

იგი დაჰყურებს
ცოდვათა ჩამდენს,
საწუთროს,
ცრემლად და
სისხლად ნადენს —
ადამიანთა ვაებას ამდენს!
მაგრამ ის,
რაც მას
ერისთვის უთქვამს, —
ქცეულა ლოცვად
და...
აღწევს ცამდე!!

ჩემს უნეტარეს ქვეყნის
მთა-ველებს
ეალერსება
მზე და ლაჟვარდი!
ნიავი არხევს პურის თაველებს!.
აი, ამ მიწამ
შვა რუსთაველი!

აი, აქ ისევ, ილია დადის
ტატოს ვედრება აქ სულში ჩადის,
თვით ღმერთი უსმენს
იმის ლალადისს!
კურთხეულ იყოს,
კურთხეულ იყოს,
აი, ეს მიწა —
აწ და მარადის!!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თუ ცაა წმინდა

რა გსურს შენ კიდევ,
ზედო, შავბედო?
რა გსურს შენ ჩემგან,
რას მითვალთვალებ?
არაფერს დავთმობ,
არაფერს არა?!
ან როგორ ვენდო
გზას,
სხვისგან განვლილს,
სხვისგან თელილს,
სხვათა ნაკვალევს?!

უძილო ღამით,
ჟამს გათენების,
აუცდენელად
მომდგარი კართან,
მომესმის მოთქმა
და გოდება
გარდასულ ჟამთა! —
ივისი წილხვედრის
დატირება
მარად მშფოთვარე,
უბინადრო
მძვინვარე ქართა,
ჰათი ხმა კრულვის
განწირვისა,
ხმა შეჩვენების!

უძილო ღამით,
ჟამს გათენების,
წამს,
როს სიცოცხლე ამოძრავდება, —
მტოვებს ღვთაება
ზეშთაგონების!..
ძველ სევდას
გული ვერ უმკლავდება,
სევდას,
დამთრგუნველს,
დამძლევს გონების!

შორი ყრმობიდან,
განუსაზღვრელად,
მე ვხედავ ტანჯულ,
ნაწამებ სახეს!

როგორც აჩრდილი
ფიქრთა დამწველად,
ის მუდამ,
ყველგან
მე მევლინება!
აროდეს მტოვებს,
არა მშორდება,
ყველგან თან დამდევს!
სიზმრად ქცეული,
და ჩემს წინ ჩნდება
როს მეძინება,
და თუ წარმოვთქვამ,
მოკრძალებით,
მის დიად სახელს, —
თვალთ ცრემლი სისხლად დამედინება!..

კარგია მაშინ
დღის გათენება,
თუ მზე ანათებს,
თუ ცა წმინდაა,
თუ სილაჟვარდეს
ცა მთლიანად
დაატევს სულში,
სულში ჩაჰკეტავს!
თუ ცა ულრუბლო
თვალებში ჩაღვრის
სიღრმეს უძიროს, —
ნათელ სილურჯეს!
თუ დაუბრუნებს,
თუ კვლავ გაუჩენს
მათ ძალას ჭვრეტის, —
ღვთაებრივ ჭვრეტის
ღვთიურ საუნჯეს!

კარგია მაშინ
დღის გათენება
დაძლევა ჭირთა,
დიდი სევდის
და კაეშნისა,
თუ ცაა სუფთა,
სხივოსანი
მოალერსე
და... მხოლოდ გინდა,
თუნდაც წამით,
შენც იყო წმინდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთი სერობა ჩემი თანდასწრებით

ნუ მოიწყენ, მეგობარო,
ნუ დაგჩაგრავს დარდი!
გაიხსენე, სევდებს როცა
შენ ადვილად ჰკლავდი!

ნუ მოიწყენ! ქართულ სუფრას
არ შეშვენის ცრემლი,
ამ ქვეყნიდან ყველას წასვლა
უკლებლივად ელის!

მართალია, სათვალავში
ჩვენ გვაკლია ბევრი!
მაგრამ ღვინით, ჩვენს შემდეგაც,
აივსება ქვევრი!

ჩვენს უფროს ძმას
ვკადროთ ძმურად —
თუ რით დაიდარდა?
გავახსენოთ ის დრო,
სევდებს,
ადვილად რომ კლავდა!

გავახსენოთ! ავსილ სასმისს
ნუ არიდებ თითებს!
ვგონებ ხელიც აუთრთოლდა
და თვალებზე იდებს!...
შენც, თამადავ,
რაღაც კრძალვით
სადღეგრძელოს ამბობ!
გაუმარჯოს ცოცხლებს,
მკვდრებსაც,
ვინც სამშობლოს ამკობს!

გთხოვთ, ყველანი,
ნუ მოიწყენ,
ნუ იქნები დარდით!
ო, იყო დრო,
როცა სევდებს
ჩვენც ადვილად ვკლავდით!

ვინც წავიდა,
ვინც აღარ გვყავს,
და ღრმად ჩაგვრჩა გულში,
ამ სასმისით მოვიგონოთ —
ეს მალამოდ დაგვედება წყლულზე
ვადღეგრძელოთ,
როგორც წინათ!
მათი სულის მოსალხენად,
უხმოდ, ღვინო
დავაწვეთოთ პურზე!

მოვილხინოთ! ქართულ სუფრას
არ შეშვენის ცრემლი,
ამ ქვეყნიდან წასვლა ყველას
უკლებლივად ელის.
ვადღეგრძელოთ ჩვენი მოსვლის,
ჩვენი წასვლის წუთიც!
და ის სუფრაც შორეული,
სადაც ჩვენდა მოსაგონრად —
ჩვენი სულის მოსალხენად
პურის ნატეხს,
უხმოდ, ღვინის
დაელვრება წვეთი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურმან ლებანიძე

## საახალწლო მოთხრობა

1

თოვლით გასუდრულ
ხეობაში, სახელიც რომლის
არის ხეორი,
ლებანიძის ოთხმოცი კომლი

და გოშაძისაც
ამდენივე ყოფილა ერთ დროს,
დღეს, დიდი-დიდი,
ოციოდე ბუხარი ენთოს...

ერთი მათგანი
ბუხარია წყალგალმა ვლასის,
პოდპოლკოვნიკის,
ჯაფარიძის, კაცური კაცის,

ხოლო მეორე —
ლებანიძეს ეკუთვნის ბესოს,
კლდე-კაცია და
კლდის ნაპობი უმშვენებს ეზოს.

ეს ორი კაცი,
სულ სხვადასხვა რანგის და საქმის,
გამოსაჩენი
ხალხია და ხეობას ახმევს...

ოცი წელია,
მეგობრობის უპყრიათ თასი
ვლასის და ბესოს
და პირიქით — ბესოს და ვლასის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და თუკი მართლა
შესაძლოა ახალწელს მოხდეს
მსგავსი რაიმე
მისვლა-მოსვლის, რაც ოდით მოგვდევს,

მიუხედავად
წუხანდელის კისრამდე თოვლის,
ეს უნდა მოხდეს,
რა თქმა უნდა, ამ ორ კაცს შორის...

2

აი, გათენდა
ათას ცხრაას ოთხმოცი წელი —
წარმოვიდგინოთ
კვაშხიეთი, არ არის ძნელი:

არც ძაღლის ყეფა,
არც მიმკვლევი, არც სადმე მგზავრი!
ამოიბოლქვა
ხეობაში აქა-იქ კვამლი;

მოხადა ჰური,
მიაყუდა ხეჰეჰურს ბარი,
დათალა ლორი,
გამოკეტა ბესიამ კარი,

გამოიტანა
პალატიდან „ცენტრალი“ ტულის,
გადადგა კლდეზე,
გაიხსენა ორთავე ლულის

ერთიმეორის
მიყოლებით რაფრაა დაცლა,
გაზედა ვლასი
ჯაფარიძის ეზო-კარს მკაცრად,

იყვირა რაღაც,
შეუძახა ხეობას მედგრად
და ცას, ნაცრისფერს,
ტყუპად ორთავ ლულიდან ხეთქა...

გაღმა-გამოღმა
უმალ ტყემ ტყეს ესროლა ექო
და უთხრა ვლასიმ
თავის ნინას: — „ბესოა ეგო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგოზა ჭური,
მიაყუდა ვლასიმაც ბარი,
გამოიტანა
ის, რომელსაც ხისა აქვს ტარი,

სასროლებს შორის
ის, რომელიც მჭახედ ჭახჭახებს,
რომლითაც ერთ დროს
არჩილიჩი სდევდა ყაჩაღებს;

გამოსდო ხასხლეტს
გამოცდილი თავისი თითი
და ზეცას ტყვია
მიაჭედა რიგრიგად შვიდი...

თოვლით ჩაბამბულ
ხეობაში დილა ახალწლის
ძველმა კაცებმა —
ვართ, ვცოცხლობთო! — ასე გახანჭლეს.

იდგნენ, დგომაში
გულისხმობდნენ ღიმილს კაცისას:
ვლასი — ბესოსას
და, პირიქით, ბესო — ვლასისას;

მერმე შებრუნდნენ
და მიუსხდნენ თავ-თავის ბუხარს
და ჰკითხა ბესომ
ღველფის ჩხრეკით დედაკაცს ჭმუხას:

— „რას შვრები, ქალო,
ხომ მოასწრო ამოსვლა ცომმა?!“
— „სანამ ეგ მოვა,
ქვე მოგისწრებთ...“ — მიუგო ცოლმა.

ხოლო წყალგალმა
შებრუნებით იგივე ითქვა:
— „რას შვრება, მოდის?!“ —
ცოლმა ვლასის პირიქით ჰკითხა.

ნატიურმორტს ჰგავდა
გაწყობილი ტაბლა ვლასისას...
და სთქვა მან: — „იმე!
მოვა,..ქალო, აპა რას იზამს?!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

3

ბაჭული დაცხვა,
        ხაჭაპური ბესოსას ცხვება...
ძველ დროებაზე
        გაჭვარტლული ბუხარი ჰყვება.

კვლავ წამოფიფქა,
        დასაცხობი კეცებში დაცხვა...
სთქვა უცბად ბესომ:
        „რა დრო დადგა, სტუმარი გაწყვა!“

ნადომ ჩახედა —
        ღორის სუკი კარგად შეიწვა —
თქვა: — „აპა, კაცო!
        ისიც როდის — ახალწელიწადს!“

ადგა ბესია,
        მიდგა-მოდგა (თოვს, მთა-ბარს ბამბავს),
შემოუარა
        საახალწლოს გარშემო ტაბლას.

— „რა გამოიყვანს
        ახლა ვლასის ხეორის ხევში! —
უთხრა ნადიამ, —
        გაგეტეხა, შე კაცო, ხემსი!“ —

„— აჰ!“ — უთხრა ბესომ
        და „ცენტრალი“ ჩამოხსნა თახჩას. —
ყური შეასწრო
        სწორედ ამ დროს მაუზრის ჭახჭახს.

— „ე, ხომ გითხარი! —
        თქვა ნადიამ და წასწვდა მაშას, —
იქით გპატიჟობს,
        აქ მომსვლელი ეგ კაცი არ ჩანს!“

გაჯავრებულმა
        თოვლიანი გასტოპა ეზო,
კლდეს გადადგა და
        ორი ლულა დასცალა ბესომ.

გამოჯავრებით,
        გაცხარებით, ბრაზით, ქილიკით —
შვიდი მოისმა
        წყალგაღმიდან სროლა პირიქით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამდენი სროლით
და პატიჟით კაცები დაწყდნენ,
შებრუნდნენ, დასხდნენ,
დაისხეს და ლუკმა-პურს წასწვდნენ.

და უთხრა ნადომ:
— „ქვე რას ჯავრობ, შე კაცო, ბესო,
ახალი წელი
მომილოცო, წესია დღესო!“

წამოდგა ბესო,
არ გაბრაზდა, განაზდა ასად,
აკოცა შუბლში
და ნადია ტაბლასთან დასვა.

— „შენს მეტი ვინ მყავს! —
უთხრა ბესომ, — ღმერთად შენ დამრჩი!
შენ გაგიმარჯოს,
ჩემო ნადო — შენ და მე და შენ!“

— „რავა თუ არ გყავს! —
თან ნადია ღვინუკას ისხამს, —
სუ! ღმერთს ნუ სცოდავ —
შენოდენი, შე კაცო, ვის ჰყავს!“

— „კაი და, თუ მყავს,
სად არიან, რას დავრჩით ასე?!“
— „თავთავის გზაზე,
ჩემო ბესო, თავთავის გზაზე!“

ამ დროს წყალგალმა
ვლასის ხელშიც ბრწყინავდა თასი —
ზუსტად ასევე
სუფრას უსხდნენ ნინა და ვლასი.

კი, ასე წყვილად,
ასე ტკბილად, ასევე მარტოდ
გრძელ მაგიდასთან
შერიგებულთ მოერთხათ ფართოდ.

— „გასვლით ქვე გახვალ,
გახვიდოდი, როგორმე, მარა...
შენ გამოსვლა თქვი!“ —
უთხრა ვლასის ნინიჩკამ წყნარად.

— „რა დამიშლიდა,
რაო, ვითომ, აქით გამოსვლას?!“
— „რა და, ღვინუკა,
ჩემო ვლასი, არყის გამოცლაც!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „ჰო! აპა! სწორედ! —
არჩილიჩი აენთო ბრაზით, —
დავბერებულვარ
შენი ჭკუით და შენი აზრით!"

— „არ ამხელთ, თვარა
ქვე დაბერდით შენცა და ბესოც! —
და დაუყვავა, —
ნულარ დალევ, გეყოფა დღესო!"

— „რაკი შენ იტყვი! —
უთხრა ვლასიმ, — კი! აპა! სწორედ!
შაბათს უწერას
ვერ დავაწყვე კაცები ყორედ!"

გაჩუმდა ქალი,
ლოგინს უშლის შეპარვით ვლასის...
ასწია ვლასიმ,
ცოლის ჯიბრზე გასცალა თასი...

მაგრამ უმალვე
მოიწყინა, შემთვრალს ლაწვები
წამოუწითლდა:
— „კი, — ცოლს უთხრა, — მართლა დაეწვები,

მაგრამ გახსოვდეს,
გამაღვიძე რკინის მგრეხელი
რავარც გამოჩნდეს
ეგ ბესია, ეგ დაღრეკილი!"

ხოლო რაკილა
ზამთარ გლეხკაცს სძინავს მეტწილად,
იმ ჩვენს „დაღრეკილს"
რა ხანია ტკბილად ეძინა.

ცერად ჰკიდია
სადაც კედელს ძველი „ცენტრალი",
კედლისძირ, ტახტზე,
ხონთქარივით იწვა შემთვრალი;

„გამაღვიძეო, —
დაწოლის წინ ცოლს უთხრა მკაცრად, —
რავარც გამოჩნდეს, —
„დაღრეკილის" დასძინა ნაცვლად:

მაუზერისტი,
ეგ ბერბიჭა გამოჩენილი!
პოდპოლკოვნიკი —
ეგ კაი ხნის ჩამოწერილი!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი საღამო
        ზემო რაჭას თოვდა და თოვდა,
ისედაც თეთრი —
        თეთრდებოდა ბუბა და შოდა...

არ შეუღია
        ბესოს კარი ახალწელს ვინმეს;
იანვრის ორი
        გადაება იანვრის პირველს;

არ შეუღია
        არც არავის კარი ვლასისას,
ძილზე უკეთესს
        სხვას ბებერი კაცი რას იზამს:

იძინა ვლასიმ
        და ბესომაც ლდინზე იძინა,
ნაშუაღამევს
        გაალვიძა თოვლის ყიყინამ;

გახედა სარკმელს
        ამოგმანულს თოვლით და ჭირხლით —
ყინავდა გარეთ
        და სიცივე ბუდობდა შიგნით;

რა დრო არისო,
        გაიფიქრა ბესიამ ეჭვით,
წამოდგა ფრთხილად,
        გააჩაღა ბუხარი ხვნეშით...

წყალგალმა ვლასიც
        მაშით ჩინჩხვარს აჩხაკუნებდა,
იჯდა ჯორკოზე,
        მოწყენილი ალს ჩაჰყურებდა;

გარეთ ზამთარი
        თეთრ გორებზე დაბალახობდა,
ფეთქდა ცეცხლი და
        სიბერეზე ლაპარაკობდა;

ეძინათ ცოლებს
        საახალწლო ფუსფუსით დაღლილთ,
„რა დღე მოკვდაო!“ —
        გაიფიქრა ბესიამ ნაღვლით;

ისმოდა თოვლის
        ბუზღუნი და შრიალი შორი...
და თენდებოდა -
        მოწყენილი იანვრის ორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

რომანი

წიგნი მეორე

## თავი ოცდამეერთე

მზის ამოსვლისას დაწყებული ბრძოლა ნაშუადღევს მინელდა და სამხრობის ჟამს სრულიად შეწყდა. იმ ადგილას, ღრმა ხევებით შეჭრილ-შემოჭრილ ჩიხორის მინდორზე, სადაც რამდენიმე საათის წინ აგარიანთა თვლისმომჭრელი ბანაკი იდგა და ყოველ გამვლელს და გამომვლელს, ქვეყნის გულშემატკივარს, შიშის ზარს სცემდა, მხოლოდ პირღია ორმოები, მილეწილ-მოლეწილი თოფ-იარაღი, ზოგან ხორა-ხორა, ზოგან კი სათითაოდ მიყრილ-მოყრილი უსულო გვამები და მიწაში ღრმად ჩარჭობილი გარუჯული მარგილები, კარვების დედაბოძები დარჩენილიყო, სხვა ყველაფერი ცეცხლს უკვალოდ ჩაენთქა. ზუსის პირას, მზისგულზე, სწორედ სასწაულის ძალით გადარჩენილი უიარაღო ტყვეები შეეყარათ და ოთხივე კუთხივ, გაქცევა და მიმალვა რომ არავის გაებედა, შეიარაღებული ბადრაგი დაეყენებინათ. ტყვეებს შორის აღმოჩნდნენ ის ქრისტიანებიც, ვინც სანამ დრო იყო, მტრის ბანაკის დატოვება და მწყალობელი მეფის მხარეზე გადმოსვლა არ ინება და ბოლომდე ურჯული აგარიანის მხარდამხარ ომობდა. აქ ვერ იპოვნეს მხოლოდ ორნი, ძმათამკვლეტი ომის ავანჩავანნი, ბეგლარბეგის ქეჰა ფაშა ჰაჯი-ალიბეგი და იმავე ძლევამოსილი ბეგლარბეგის ნება-სურვილით გურიელად დადგენებული გურიელისშვილი გიორგი. შექმნილი გამოუვალი მდგომარეობისათვის გურიელსა და ჰაჯი-ალიბეგს ალღო ადრევე აეღოთ, ერთგული ყმები გაეყოლებინათ და სისხლით მორწყულ ბრძოლის ველს უჩუმრად გასცლოდნენ. მდევრის გამოდევნება აღარ ეგებოდა. ლტოლვილები ამასობაში ყვირილას გაცილებული იქნებოდნენ და, თუ გეზი ახალციხისაკენ ეღოთ და ცხენებიც ფეხმარდი ჰყავდათ, მალე, ალბათ, ჯერ ისევ აგარიანთა ხელში მყოფ თხმელისციხესაც მიაღწევდნენ.

შეატყეს თუ არა, ბედმა გვიმტყუნა და გამჩენი ღმერთი ჩვენს მტერს, მეფე სოლომონს, სწყალობსო, ჩიხორის ველი და სკანდის ციხის შემოგარენი ყველაზე ადრე როსტომ ერისთავმა და მისმა ვაჟებმა მიატოვეს და თავიანთი

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 4

მხედრობის უმნიშვნელო ნაშთით ქედის გზაწვრილებს შეუდგნენ, რათა შინ დროით მისულიყვნენ და შურისმაძიებელი მეფის დასახვედრად მთელი ზემო და ქვემო რაჭა, დიდი და პატარა, ფეხზე დაეყენებინათ. საერისთავო განსაცდელის წინაშე იდგა. მსგავსი განსაცდელი, მას შემდეგ, რაც სამაგიეროს გადახდის სურვილით შეპყრობილმა მეფე დავით-ნარინმა რაჭის მფლობელი ლიპარიტ კახაბერისძე დაასახიჩრებინა და საერისთავო მოშალა, რაჭასა და რაჭის ბატონებს აღარ დასდგომიათ.

მდგომარეობას ის ართულებდა და აძნელებდა, რომ ავად სახსენებელ ომში, უიღბლო და უყისმათო სიძემ სიმამრს, თავზე რომ მოახვია, ერისთავმა დიდი ზარალი ნახა არა იმდენად დახოცილებისა და დაჭრილ-დაკოდილთა სახით, რამდენადაც იმათი სახით, ვინც სვინდისზე ხელი აიღო, ფიცი გატეხა, სხვათა და სხვათა წამხედურობით ბატონის უღელი ქედიდან გადააგდო და მზაკვარ მეფეს თავისი სურვილით ეახლა, მის ლაშქარს შეუერთდა.

ერისთავისა და ერისთვიშვილების რაჭას გაქცევა და მიმალვა სხვებზე უმალ ბერი წულუკიძემ შეიტყო, მეფეს დაუყოვნებლივ აცნობა, საქმე ასე და ასე არისო და, როგორც კი მოწყალე ბრძანება მოუვიდა, დაეწიე, არ გაუშვაო, მცირე ჯარით, სულ სამად სამი ასეულით, გაქცეულებს დაედევნა. მომდევნო დილას, თუ მაღალი ღმერთი ინებებდა და ტყე-ღრეში უგზოუკვლოდ დაფანტულ აგარიანთა წვრილ-წვრილი ჯგუფები მეფეს ახალ საზრუნავს არ გამოუჩენდნენ, რაჭაში კიდევ ხუთი ასეული და ომში ნაშოვნი ზარბაზნები უნდა გაეგზავნათ და ის ხუთი ასეულიცა და ზარბაზნებიც „ადგილის მწევარ" ბერი წულუკიძისათვის დაექვემდებარებინათ. ნაბრძანები იყო, ერისთავის ყმა-მამულს ვაგლახად არავინ შეჰხებოდა, მოძალადეობა და სიხარბე არავის გამოეჩინა, მხოლოდ მიტაცებული ციხეები დაეჭირათ და ერისთავი და მისი შვილები, მკვდრები იქნებოდნენ თუ ცოცხლები, მეფის ბანაკში მოეყვანათ.

ომით დაღლილ-დაქანცული ლაშქარი დაბინდებამდე თავისი და სხვისი მკვდრების აკრეფას, გაპატიოსნებას, მიწისათვის მიბარებას, დაჭრილ-დაკოდილთა მოვლას და ღამის გასათევად დაბანაკებას მოუნდა.

მეფე დაღვრემილი იყო. დანა პირს არ უხსნიდა. ომის სასწორმა, მართალია, მის მხარეს გადმოსძალა, მაგრამ გამარჯვება ერთობ ძვირი დაუჯდა. მისი რჩეული ლაშქრის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ბრძოლას შეეწირა. სარდლები, თითქმის უკლებლივ ყველა, მათ შორის ბატონიშვილი არჩილიც, დაჭრილი იყვნენ, საგანგებო აქიმობას საჭიროებდნენ და მას მარტოდმარტო მოუხდა ჭალატყეს გამგზავრება, საიდანაც დღის მეორე ნახევარში არავითარი ცნობა აღარ იყო და შიშობდა, თავლაფდასხმული ბატონიშვილი თეიმურაზი და მისი სახლეულიც, ისევე როგორც ფაშა ჰაჯი-ალიბეგი და გურიელისშვილი გიორგი, ხელიდან არ წასვლოდა.

გურულებითა და ჩამოსახლებული მესხებით შევსილი მარგველთა ოთხი ასეული უხალისოდ მოასხდა ცხენებს და სალაშქროდ დაეწყო. იქავე, ჩიხორშივე დაალამდათ. ბედად ცა მოწმენდილი იყო, ახალი მთვარე და ვარსკვლავები თავს დაჰნათოდათ და გზის გაგნება არ გასჭირვებიათ. რუფოთში შეჩერება მოუხდათ. ვიწრო ორღობე ჯარით გაიჭედა. წინ გზა გადაკეტილი იყო.

— რა მოხდა, ვინ იგდებს თავს, ვინ შეგვიკრა გზა?! — იკითხა სოლომონმა და პასუხისათვის როდი-ღა დაუცდია, ლაშქრის თავში გასასვლელად ცხენი წინ მიაგდო.

— ქვემომხრის სარდალი ბერი ლორთქიფანიძე მოყავთ დაჭრილი, ბატონო მეფე, — სხვების მაგიერ მიუგო ძიძიშვილმა ნიკოლოზა ნაფიჩვაძემ, რომელიც ბრძოლაში მიღებული ჭრილობის მიუხედავად სათაყვანებელ ძუძუმტეს

აქაც თან ახლდა. — ჯარიც უკან მოსდევს, ამიტომ ჩვენ ვეღარ გავსულვართო.

— როგორ თუ ჯარიც! — შეიცხადა სოლომონმა და სულ დაავიწყდა ექითხა, ლორთქიფანიძე მართლა დაჭრილი იყო, თუ მეფის ბანაკში მის უსულო გვამს მოასვენებდნენ. — იქ ვინღა დარჩა?! ქვეყნისა და სარწმუნოების მტერს გზა გაუხსნეს და ახალციხეს გამიქციეს? აბა, დაწინაურდით, სასწრაფოდ მომიტანეთ ამბავი!

ამასობაში, სანამ ახალი შიკრიკები მივიდ-მოვიდოდნენ, ლორთქიფანიძის გამოგზავნილმა ფიცის კაცებმა თავად მოაღწიეს და მეფე-ბატონს სარდლის დანაბარები მოახსენეს. დატყვევებული თეიმურაზი და მისი თანამეცხედრე, როსტომ ერისთავის ასული თამთა, კარისკაცებითა და სულიერი მოძღვრებითურთ, ვაკე იმერეთის ლაშქრის ალალში ჰყავდათ მობადრაგეთ. ქალატყის ყველა კოშკი, რომელთაც ურჯულო ბატონიშვილი და მისი თანამოაზრენი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდნენ და ბევრი სიცოცხლეც შეიწირეს, დღეს შუადღისას დაეკავებინათ და ასკერ-იანიჩართა ნაცვლად ახლა იქ ლორთქიფანიძის მეციხოვნე ჯარი იდგა.

— გმადლობთ შენ, ღმერთო, ბრავალზლის წმინდა გიორგი,—სოლომონმა ტყავის თავსარქმელი მოიხადა, მარცხენა ხელის ნიდაყვზე დაიდო და პირჯვარი გადაიწერა. — რომ არ გაგვწირე და ქრისტეს მოსახელე დაჩაგრულ ქვეყანას მხსნელად მოევლინე, მოსისხლე მტერი დაუმარცხე!..

— თეიმურაზის ნახვას ახლავე ინებებ, მეფე-ბატონო?

— არა! მიაბრძანეთ, მუხურის ციხეში ჩასვით, საცა ბაშალა და გოლა-ფაშა გვყავდა, და ხელ-ფეხზე ბორკილები დაადეთ! თვალი ფხიზლად გეჭიროთ, ტყეები ყაჩაღებით არის სავსე. როცა საჭიროდ დავინახავთ, ჩვენ თავად მოვაკითხავთ. ბევრი ლოდინი ვგონებ არ დასჭირდეს. ახლა წინ გაგვიძეხით, რომელი ხართ მანდ, სატახტო ქალაქ ქუთაისის მოურავთან, ჩვენს მარჯვენა ხელ ბატონ ბერისთან მიგვიყვანეთ!..

ეს უკვე სრული გამარჯვება იყო, რასაც სოლომონი და მისი ერთგული ქვეშევრდომები, მფარველი მეფის იქით გზა რომ არა ჰქონდათ, ასე დიდხანს მოთმინებით სჭედდნენ და ელოდნენ. მეფის გულს უცნაური სიმსუბუქე დაეუფლა, დაღლილობა და სიმძიმილი ერთბაშად გამოეყარა და ის თვრამეტიოცი წლის სიცოცხლითა და მხნ[…]ბით სავსე ჭაბუკად გადაიქცა.

ტაატითა და ზოზინით, თითქოსდა სათოხრიდან მომავალ ჯარს, რომელსაც გარდა თავისი სარდლისა, ათობით ურმითა და საზიდრით ბევრი სხვა მძიმედ დაკოდილიც მოჰყავდა, უკვე შეეტყო, სოფლის ვიწრო ორღობეში ვისაც გადაეყარნენ, ჩამოქვეითებულიყო, ცხენებს წინ აფარებოდა და სულგანაბული ადევნებდა თვალს მხედართა მცირერიცხოვანი გუნდის შეუჩერებელ წინსვლას.

სოლომონმა იგრძნო, ასე უბრად გავლა არ ივარგებსო, ერთ კალოსებურ ადგილას ცხენი შეაყენა, ხელი ასწია და რამდენადაც შეეძლო, ხმამაღლა დაიძახა, რომ ყველასათვის მიეწვდინა:

— გამარჯობა, ხალხო!..

ჯარი მიხვდა, ვინც მიესალმა და გახარებული გამოეპასუხა:

— ღმერთმა გაგიმარჯოს, დღეგრძელობა ნუ მოგაკლოს, მეფეო!..

სოლომონს გაეღიმა.

— იქნებ მეფე არა ვარ, იქნებ სხვა ვინმე ვარ, მეფობა აგრე ადვილად გემეტებათ?

— შენთვის ყველაფერი კაი გვემეტება! რას ქვია, მეფე არა ხარ, ტყუილა ვიკალით თავი? აბა, ვინ ბრძანდები, ბატონო!

— გილოცავთ პირშავი მტრის ძლევას და შინ მშვიდობით დაბრუნებას! ეგ ერთი და სხვა მრავალი!..

— ჩვენც გილოცავთ, მეფეო, ღმერთმა სულ გამარჯვებული გყოს საქრის-

ტიანოს იმედად და ჩვენდა საკეთილდღეოდ!..

— ძალიან გაგიჭირდათ, განა?

— რა ვუყოთ მერე, მწყალობელო, ხან გაგვიჭირდება, ხან დაგვილხინდება, მაღალ ღმერთს, დეილოცა იმისი მადლი, აგრე დაუკანონებია!

— მადლობელი ვარ, ძმებო და შვილებო. ბევრი გამოგვაკლდა, ამ ბედნიერ დღეს ბევრი კაი ყმა ვერ შეესწრო, — სოლომონმა ცხენის სადავე მარცხენა ხელში გადაიტანა, თავსარქმელი მოიხადა და ჯარმაც უმალ ფაფანაკებსა და ხამლის ჩაბალახებზე იტაცა ხელი, თავი მოიშიშვლა. — სამუდამო სასუფეველი და შენდობა შევუთვალოთ. ყველა წუთისოფლის სტუმარი ვართ და ჩვენს შორის უკვდავებას მხოლოდ ის მოიპოვებს, ვინც თავის სიცოცხლესა და კეთილდღეობას სამშობლოს საკურთხეველზე მიიტანს. სამშობლო და შთამომავლობა, ჩვენი შვილი და მომავალი, დავიწყებას არ მისცემს ამ საარაკო თავდადებას, თქვენ რომ გასწიეთ. ღმერთმა იცოდეს, ჩვენც, სანამ პირში სული გვიდგას და მამისეული ტახტი ღვთის ნებით გვიკავია, თქვენი მოსარჩლე და მწყალობელი ვიქნებით!..

— იცოცხლე, მეფეო, გისმინოს ზეცამ!.. — სხვადასხვა ხმაზე აყაყანდა ხელმწიფის წრფელი ალსარებითა და ლმობიერებით გულმონადირებული ჯარი. — ოღონდ ურჯულო თათარი და ზოგიერთი ავზნიანი მებატონე მოგვაშორე, ორი გროშის გულისათვის მოუსავლეთში რომ გვკარგავს, და შვილითა და ძირით გვიმსახურე, რავარც გენებოს, მტლად დაგედებით!..

სოლომონმა შუბლი შეიკრა, თავსარქმელი დინჯად დაიხურა.

— ტყვისმსყიდველებს, თავადი იქნება, აზნაური, გლეხი თუ ვაჭარი, თუნდაც სამეფო გვარისა და ოჯახის წევრი, დანდობა ჩვენგან არც აქამომდე ჰქონია და, ვფიცავ მაცხოვრის ცხოველმყოფელ ჯვარს, არც აწი ექნება!

— ოქროს სიტყვებია!..

— მაგიერი ჩვენ მოგვეკითხოს!..

— რავა ეგონათ, აბა, ლაგამ-აღვირი რო ეიყარეს, სულ ასე იქნებოდა?

მეფემ ხელი ასწია, ჯარი დააწყნარა და განაგრძო:

— ჩვენ გვსურს, ყველამ იცოდეთ და ვინც დღეს აქ არ გვესწრება, ჩვენი სახელით იმათაც ამცნოთ, რომ ეს უკანასკნელი ომი არ არის. თავს ნუ მოვიტყუებთ: ფაშა და სულთანი, ვისაც თავის ყმად და ფერხთა მტვრად მივაჩნივართ, ასე იოლად ვერ დაგვთმობენ, ასე იოლად არ შეგვარჩენენ მაგათი რჩეული თეიმურაზის დამხობას და მისი მცველი დამსჯელი ჯარის ამოწყვეტას, კიდევ ბევრჯერ შემოგვესევიან, ცხვირიდან ძმარს გვადენენ!..

— შემოგვესევიან და ჩვენც აქ დავხვდებით, მეფეო, ამაზე მეტი რაღა დაგვემართება! ღმერთმა ისე ნუ წაგვახდინოს, კარზე მომდგარ მტერს საკადრისი პასუხი ვერ გავცეთ!..

— ფაშა ჰაჯი-ალიბეგი, ბეგლარბეგის ქეჰა და დამსჯელი ჯარის სარდალი, ჩვენდა სამარცხვინოდ, ცოცხალი წაგვივიდა და თავს სადღაც აფარებს...

— ვაი მის დედას!..

— ბევრი სხვაც, მტრის წისქვილზე წყლის დამსხმელი, ცოცხალია და ჩვენს დასაკლავად დანას ლესავს. ხმალს ქარქაშში მანამ ვერ ჩავაგებთ, სანამ თუნდ ერთი ურჯულო და მისი კუდი ჰაერს გვიწამლავს და პატიოსანი მამა-პაპის საფლავების წაბილწვით გვემუქრება!

უკვე გვიანი ღამე იყო, მამლები ყიოდნენ, ბერი ლორთქიფანიძისა და სხვა დაჭრილ-დაკოდილთა მონახულების შემდეგ სოლომონმა რომ მხლებელი ლაშქრის უკან, ჩიხორს გაბრუნება ბრძანა და თავად გეზი ზემო საზანოსაკენ აიღო, სადაც ბატონიშვილი არჩილი უნდა მიეყვანათ და ნავარძეთიდან დაბარებული სახლეულიც უნდა დახვედროდა.

მისდა გასაოცრად, ბატონიშვილის საუფლისწულო სასახლე, ციხე და კარის ეკლესია სრულიად უვნებელი აღმოჩნდა. სოლომონი დააკვირდა, თვალი ხომ არ მატყუებსო. მაგრამ აქ გასა-

ცებელი და აუხსნელი არაფერი იყო. თქმა არ უნდა, ბატონიშვილ არჩილის სახლ-კარი მეფე ერეკლეს ხათრსა და მორიდებას გადაერჩინა. კაცისჭამია ჰაჯი-ალიბეგს ახალციხიდან უთუოდ საგანგებო ბრძანება ჰქონდა მიღებული, ბატონიშვილ არჩილისათვის, რომელიც ქართლ-კახეთის მეფის სიძე იყო, არაფერი ევნო და ამით მუდამ შარის მაძიებელი ერეკლე არ აემხედრებინა.

მეფეს და მეფიონს არჩილის შინაყმები სოფლის ბოლოზე, მეწყრებთან მოეგებნენ და სასახლისაკენ წაუძღვნენ. უსახლკაროდ დარჩენილ სოლომონს სხვა გზა აღარა ჰქონდა: სანამ მტრის მიერ აკლებულ ვარციხის ან სკანდის სასახლეს არ აღადგენდა და გასაძლის სახეს არ მისცემდა, თავი აქ, არჩილთან უნდა შეეფარებინა და დედოფალ მარიამისა და ბავშვებისათვისაც დროებითი ბინა აქ გაეჩინა. ქუთაისის მამაპაპური სასახლე, ოქროს ჩარდახი, იმერეთის მეფეთა მუდმივი ადგილსამყოფელი, აგარიანი ბატონების დასტურით აქამდე რომ შიგ მისი გათათრებული ბიძაშვილი თეიმურაზ მამუკას ძე პარპაშებდა, სოლომონისათვის ჯერჯერობით კვლავ მიუწვდომელი იყო. ციტადელში საშვილიშვილოდ დაბუდებული კიკიან-ფაშა ყოველ ღონეს იხმარდა, ციტადელთან ერთად სასახლეც ძველებურად შეენარჩუნებინა და იმერეთის სამეფო კარი თავის კუთვნილ რეზიდენციასთან თოფის გასროლის მანძილზეც არ მიეშვა.

ბატონიშვილი არჩილი შინ მზის ჩასვლისას მოეყვანათ. თვეში მდგარი ელენე თავს დასტრიალებდა საყვარელ თანამეცხედრეს, უბრალო მხევალივით უვლიდა და ამით ირგვლივ მყოფთა განცვიფრებას და აღტაცებას იწვევდა. ელენემ მოგვიანებით შეიტყო, რომ ამაღამ, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, ნავარძეთიდან მეფის სახლეულს ელოდნენ და თვით მეფეც, თუკი მაღალი ღმერთი ხელს მოუმართავდა და ჭალატყის კოშკებში გამაგრებულ თეიმურაზს სძლევდა, ცოლ-შვილის დასახედავად აქ მოვიდოდა. გვირგვინოსანი მაზლის მობრძანება რომ აუწყეს, მას სიხარულთან შერწყმულმა სიამაყემ გაუნათა თურამაული ვაშლივით მრგვალი და ღაჟღაჟა სახე, გული უცნაურად აუძგერდა, მიხვდა, ეს კარგი ნიშანი იყო, სიცხით გათაკარებულ არჩილს დაჰხედა, გაუცინა, ხომ გაიგონე, ვინ გვესტუმრაო და ხელების მშრალებით მაშინვე წინკარს მიაშურა, მეფეს სიძველისაგან გამწვანებული ქვის კიბის თავში დაუხვდა.

— ადრე გინებებია აბრძანება, ჩვენო ძვირფასო რძალო, — ტკბილად მიმართა მას სოლომონმა, შუბლზე სათუთად ეამბორა და ალალმართალ, ბავშვურ თვალებში ჩაჰხედა. — მოგვიტევე, რომ ჩვენც კარზე ასე დილაადრიან მოგადექით!

— კეთილი იყოს შენი ფეხი, მეფევბატონო, — თავშეკავებული სიხარულით მიუგო ოდნავ დარცხვენილმა, ლაწვებწამოგზნებულმა ელენემ და შეეცადა ისე დამდგარიყო, რომ მისი უზარმაზარი მუცელი მაზლს თვალში არა სცემოდა. — ჯერ არც კი დავწოლილვართ. არჩილი, ენაცვალოს იმას ჩემი თავი, ძალიან წუხდა, მტრისას და ავისას, ბოდავდა, დედას და პაპა ლევანს ახსენებდა!..

სოლომონმა წარბები შეჰყარა, მკაცრად მოკუმული ტუჩები ძლივს შესამჩნევად აუთრთოლდა.

— რას ამბობ, ქალო, ნუთუ ასე გლახად შეიქნა? აკი უბრალო ნატყვიარიაო? ახლა? ახლაც ისევეა?

—მალამომ ცოტა დაუამა, ტკივილით ნაკლებად ტკივა, გონი დაუბრუნდა, ყველა გვიცნო, თქვენ მოგიკითხათ...

— მერე რა გატირებს? — სოლომონმა გაიღიმა, თვალებში ეშმაკები ჩაუსხდნენ, გულაჩუყებულ ახალგაზრდა რძალს თავზე ხელი დაადო. — არა გრცხვენია? ალექსანდრეს გაზრდამ, მე შენ ყველაზე უფრო ყოჩაღი მეგონე!

— რომ რამე გაუჭირდეს... თავს

აღარ ვიცოცხლებ!.. — ნაწყვეტ-ნაწყვეტად სლუკუნებდა ელენე და უბრალო ჩითის თავსაფრის ყურით ღვარად წამოსულ ცრემლებს იწმენდდა.

— კარგი, ჰო, დაწყნარდი. როდის იყო, ვაჟკაცს, ისიც არჩილივით ჯანღონით სავსეს, ომში მიღებული მსუბუქი ჭრილობა კლავდა! თუ სიკვდილი ეწერა, ჩვენ ღმერთმა გვაშოროს, იქავე დალევდა სულს. ახლა, რაკი-ღა სახლშია, აქ ჭერიც ეხმარება და ფუძის ანგელოზიც. სხვა რომ არაფერი, არჩილს მარტო შენი ცრემლები მოარჩენს, ძვირფასო რძალო. ასე არ არის? — გუნებაგამოკეთებული, თითქმის გამხიარულებული სოლომონი კიბისთავში შემოჯარულ მხლებლებს და დამხვდურთ მოუბრუნდა.

— მამგვრეა, მამგვრე, ბატონო, ღმერთმა დიდი დღე მისცეს ამ ღვთისნიერის გამზრდელს!..

— იესესი რა ისმის? — სოლომონმა ისევ რძალს ჰკითხა.

ელენემ იცოდა, მღვდელმთავარ შუათანა ძმას მეფე მუდამ მისი ბალღობისდროინდელი, საერო სახელით იხსენიებდა და წრფელი თანაგრძნობით გულმოოხებულმა უპასუხა:

— აქ გახლავს ბატონიშვილი იოსები, არჩილს თავზე ადგია!

სოლომონი ერთობ გაახარა ამ ამბავმა. შიშობდა, ვაითუ იესე მაშინათვე გელათს წავიდა, რათა ტახტის მოცილე ბიძაშვილის, ბატონიშვილ თეიმურაზის დამდაბლებას არ შესწრებოდა, სამღვდელო პირების გარდა მცველად არავინ გაიყოლა და ჩასაფრებულ მეკობრეთაგან გზაში რაიმე ფათერაკი შეხვდაო.

— ყოჩაღ! მაგრამ როდის მოგვასწრო?

— თან მოყვა არჩილს ჩიხორიდან.

— დედოფლისა და ბატონიშვილებისას ვერაფერს გვიბრძანებ?

— ორჯერ გავგზავნეთ კაცები შესახვედრად, ორჯერვე ხელცარიელი მობრუნდნენ, ჯერ არსა ჩანანო. ახლაც წასული გახლავან!

— ვატყობ, იმათ უნახავად მოვიწევს აბარგება! — ეს უკვე თავის თავს უთხრა სოლომონმა და თალათინის თასმით სარტყელზე დაკიდებული მოკლე ხმალი, ხონთქრის ერთგული ყმობის ნიშნად ოდესღაც გოლა-ფაშასაგან რომ მიიღო, ადათისამებრ ოჯახის დიასახლისს მიაწოდა.

— როგორ თუ იმათ უნახავად, ორსამ დღეს ჩვენსა არ მოიცდი, მეფევ? — ელენემ ხმალი ჩამოართვა. — რა ხშირი სტუმარი შენ ბრძანდები?!

— ნეტავ კი... — ღამენათევმა და გამუდმებით ცხენზე ჯდომისაგან ულევთოდ დაღლილმა მეფემ აღარ დაამთავრა. ამდენი ხალხის თანდასწრებით, რომელთა შორის, ვინ უწყის, მტრის ერთი-ორი მსტოვარიც ერია, მას არ შეეძლო გაემხილა, რომ განზრახული ჰქონდა, რაჭაში მცირე ჯარით გაგზავნილ ბერი წულუკიძეს დღესვე კვალდაკვალ გაჰყოლოდა, როსტომ ერისთავისათვის სულის მოთქმის საშუალება არ მიეცა და განმდგარი საერისთავო ერთი დარტყმით თავის მხარეზე მოექცია. — ჩვენი ნახვა ხომ არაფერს ავნებს ავადმყოფს?

— უიმე, რასა ბრძანებ, ბატონო, ოღონდ კი შენ დაგინახოს, არჩილს სხვა წამალი არც უნდა!

გაფაშფაშებულმა, ბურთივით მრგვალმა ბატონიშვილმა ელენემ, სახის საერთო იერითა და მკვირცხლი თვალებით გვირგვინოსან მამას, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს რომ წააგავდა, გაიღიმა, შუქიანი ნათოტა კბილები გამოაჩინა, მეფესა და მეფიონს წინ წაუძღვა და სასახლის იმავე სართულზე ერთ, აქა-იქ კედლებდაბზარულ ცარიელ დარბაზში შეიყვანა.

ხის ტახტი, რომელზედაც ომში დაკოდილი ბატონიშვილი არჩილი დაეწვინათ, კარის მოპირდაპირე კედელთან, კუთხის მახლობლად იდგა.

დარბაზში შემოსული გვირგვინოსანი ძმა რომ დაინახა, არჩილის ხელი, აქამდე რომ ხელში ეჭირა, განათლებულმა მიტროპოლიტმა ბატონიშვილმა იოსებ-

მა ფრთხილად, თითქოს ეშინია, არ დაიმსხვრესო, საბანზე დაასვენა და მეფის შესახვედრად კარისაკენ წამოვიდა. ხელებდაკაპიწებულმა ჭალარა დასტაქარმა და თალხებში გახვეულმა მონაზვნებმა პირჯვრის წერით მუხლი მოიყარეს და თავი კრძალვით დახარეს.

— შეიძლება, მოგილოცო, ძმაო სოლომონ? — ჰკითხა მეფეს მიტროპოლიტმა იოსებმა მას შემდეგ, რაც გულზე თვალისმომჭრელად მბრჭყვინავი ოქროცურვილი ჯვრით ჯვარი გადასახა, მხარზე ეამბორა, სამაგიეროო ამბორი მიიღო და გვერდზე გადადგა, რათა მისთვის უმცროსი ძმის სარეცელთან მისასვლელად გზა დაეცალა.

— რას მილოცავ, იესე, ჩვენი არჩილის მშვიდობით გადარჩენას, თუ ღვთისმგმობელი თეიმურაზის მიწასთან გასწორებას?

— ერთსაც და მეორესაც, სოლომონ, განა არა გვაქვს მოსალოცი?

— დიახაც გვაქვს, ძმაო იესე, დიახაც გვაქვს, მაგრამ ვაი და ვუი, რომ გამარჯვება ძვირი დაგვიჯდა, ძმათამკვლეტი ომი გავმართეთ და ქვეყანა ჩვენივე თვისტომების სისხლით მოვრწყეთ!

— მაღალი ღმერთი ყველაფერს ხედავს, სოლომონ, და მაგ საშვილიშვილო ცოდვასაც იმას მოკითხავს, ვინაც ომი თავს მოგვახვია და უდავო საქმე სადავოდ გაგვიხადა!

— ამინ!.. ღმერთმა გისმინოს, ძმაო! მე ბედნიერი ვარ, რომ მაგ სიტყვებს შენი პირიდან ვისმენ! — სოლომონი უმცროსი ძმის საწოლთან შედგა, დაიხარა, სიცხით გათაკარებულ, წვერწამოზრდილ არჩილს შუბლზე აკოცა და გაუცინა. — ჰაიტ, შე გლახა, შენ, ერთმა პატარა ნატყვიარმა რავა წაგახდინა, ბიჭო, თავი სად-ღა გამოვყოთ სირცხვილით?!

დარბაზში მყოფთ, უკლებლივ ყველას, თვით ტკივილისაგან გაწამებულ არჩილსაც კი, ბატონმა მეფემ ხუმრობა ინებაო, შუქი მოეფინათ სახეზე.

იოსებმა სიტყვა შეაშველა:

— შხამში გავლებული იყო, სოლომონ, დასტაქრის ცოდნასა და გამოცდილებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მზე არ დაგვიბნელდა და არჩილი ხელიდან არ გამოგვეცალა.

სოლომონი, ეს რომ გაიგონა, შეკრთა, თითქოს უნებლიეთ გახურებულ რკინას შეეხოო, ერთბაშად გაუქრა სიხარულისა და ხალისის განწყობილება, არჩილს თვინიერ თვალებში ჩახედა, ხელის ზურგი შუბლზე შეახო და მხოლოდ ამის შემდეგ შენიშნა თმაწვერგაჭაღარავებული დასტაქარი, რომელსაც შავი ახალუხის სახელოები ჩამოეშალა და რადგანაც თავის სადასტაქრო საქმეს უკვე მოთავებულად თვლიდა, ღილკილოებს ისკვნიდა.

— შენ გოგიტა არა ხარ, კაცო, ჭიტაძე? — ჰკითხა უცებ მეფემ. — დასტაქრობა როდის აქეთ დაიწყე?

— არა, ბატონო, — გლეხმა ღილკილოებს თავი ანება და მუხლი მოიყარა. — გოგიტა არ გახლავარ, მარა ძმა კი ვარ მისი, ბიძაშვილი იგივე ძმა არი. დასტაქრობა გვარში მოგვდგამს. ცხონებულ მამაჩემს ჩემზე უკეთ ემარჯვებოდა.

— სახელი რა გქვია?

— კაციტა, ბატონო მეფევ.

— შენა ხარ ის, ურჯულოებს რომ ღმერთის სიყვარულს ასწავლიდი და მერე წისქვილში დაგამწყვდიეს, ფუტურო გიხრჩოლეს?

— მე გახლავარ, შენი ჭირიმე.

— რა ქენი მერე, როგორ ატყობ, შეიგნეს რამე?

— მანამდე ნურაფერი გეტკინება ნურც შენ და ნურც ჩემი ოჯახის დამაწყევარს! ღმერთის სიყვარულს მერე ვინ-ღა შეგაგნებინებს, პირი ქვისკენ მიქნია, დედის მუცლიდან თუ არ დაგყვა კაცს.

— ღმერთი იმათაც ხომ ყავთ? იმათი ღმერთი ღმერთი არ არის?

— არის, რავა არ არის, ბატონო მეფევ, ყველა ღმერთი ღმერთია და ავკაცობას, ჩემგან არ გესწავლება, არც ერთი არ მოგვიწონებს. თუ ერთი არა

გწამს, მეორე უნდა გწამდეს, ულმერთო და ურწმუნო კაცი არ ვარგა.

მეფე ჩაფიქრდა, ერთხანს ხმა აღარ ამოუღია, შემდეგ ისევ კაციტა ჭიტაძეს ჰკითხა:

— რას გვეტყვი, თეიმურაზ ბატონიშვილს თუ წამს ღმერთი? ქრისტე ან მაჰმადი, სულ ერთია.

— ვისა, ბატონო?

— თეიმურაზს, ჩვენს ბიძაშვილს, მამისეული ტახტი რომ წარგვტაცა და მშობელი ქვეყანა სისხლსა და ცრემლში ჩაახრჩო, სამშობლოს ბედ-იღბალი თავის განცხრომასა და დიდებას ანაცვალა. არის შეწყალების ღირსი?

— მე თუ მკითხავ, მეფეო, ღვთის გაჩენილი ყოველი კაცი, ღვთის სული რომ უდგას, შეწყალების ღირსია.

— მაშ, აღარც სამართალი ყოფილა, აღარც დანაშაული და სასჯელი, ძაღლები აუშვიათ და ქვები დაუბამთ! შენ რა გზას დაადგებოდი, ჩვენს ადგილას რომ ყოფილიყავი, თავისი მამა-პაპის ღმერთის მგმობელ და სამშობლოს გამყიდველ თეიმურაზს შეიწყალებდი, ხელ-ფეხს გაუხსნიდი და ეტყოდი, დღეის ამას იქით ჩიტივით თავისუფალი ხარ-თქვა? პირდაპირ და შეუფარავად გვიპასუხე, ჩვენ არ გვეწყინება, გვინდა, მისმა მეუფებამ და ყველა ამათ გაიგონონ!

— ვინც ერს შესცოდა, მეფეო, გლეხი იქნება, აზნაური თუ თავადი, ის ერის წინაშე აგებს პასუხს. ნუ შემრისხავ, თუ რამე მეშლება და ისე ვერ მოგახსენებ, რავარც შენს დიდებულებას ეკადრება.

— მაშ, წეღან რაღად გვითხარი, ყოველი კაცი შეწყალების ღირსიაო, რომელ ერთს ვერწმუნოთ?

— შეწყალებას გააჩნია, მეფეო. ვისაც შეწყალება არ შეუძლია, ის კაცს ვერ გაასამართლებს!

— ოო, ახლა კი... — სოლომონმა არჩილის ფერხთით მდგომ მიტროპოლიტ იოსებს შეხედა და მზერა ისევ დასტაქარზე გადაიტანა. — მადლობელი ვართ, კაციტა ჭიტაძე. შენი ღვაწლი და კაიკაცობა მუდამ გვეხსომება. მეფურ წყალობას არც ჩვენ მოგაკლებთ. მართლა, მახარიკა რა არის შენი, შვილია თუ ძმისწული?

გლეხს მინავლული აზრიანი თვალები გაუნათდა.

— შვილი, ბატონო! — მიუგო და ნაბიჯი წინ წარმოსდგა. გაუკვირდა, მეფემ რომ მისი პატარა ბიჭი მოიგონა.

სოლომონს გაეღიმა, ჭიტაძეს მხარზე ხელი დაადო.

— გვაახლე, თუ გემეტება, ცოცხალი ყმაწვილია, ვიმსახურებთ, ან ვინმე ოსტატს მივაბარებთ, ხელობას ისწავლის, მადლია.

კაციტამ თითქოსდა მაცხოვრის ხატის წინაშე დაიჩოქა, ლოცვასავით ამოხდა:

— შენი კალთის ჭირიმე, მეფეო, ოღონდ ეგ სიკეთე გვიქენი, ბიჭი გზაზე დამიყენე და კუბოს ფიცრამდე შენი დიდებულების მადლიერი ვიქნები!

— ადე, რას მეხვეწები, შე კაცო. მე თავად არ გითხარი, მოიყვანე-თქვა? მოიყვან და ნიკოლოზა ნაფიჩვაძეს მოგვერი. აგერ ნიკოლოზა! მერე ეს მიხედავს...

— ახლავე, ბატონო, თუ...

— როგორ, ისიც აქ არის?

— აქ გახლავს, რავა არა, ორჯერ კილამ ტყვიის წერა შეიქნა, გამჩენმა ღმერთმა მაპატივა, რავარც მაშინ, წისქვილიკარზე...

— აგერ, არჩილისას დამიცადოს, მოვბრუნდები და თავად მოვიკითხავ.

ყველამ შეატყო, მეფეს აქ გული არ უდგებოდა, თვალი და ყური გარეთ ჰქონდა, წასვლას აპირებდა, მაგრამ კითხვა მხოლოდ იოსებმა შეჰბედა:

— მიდიხარ, სოლომონ? დედოფალს და ბატონიშვილებს არ დაუცდი, ლუკმას არ გატეხ, მუხლს ქარს არ ამოაღებინებ?

— ღმერთია მოწამე, მეც აგრე მინდოდა, იესე, ძმაო, მაგრამ არ გამოდის, — სოლომონი აწრიალდა, თვალებით დიასახლისს დაუწყო ძებნა, ის კი წინ ედგა, ყველაზე ბოლოს დაინახა.

— ბოდიში უნდა მოვიხადო, ძვირფასო რძალო, ბატონო ელენე, რომ ამჯერად ვერ ვსარგებლობთ ამ სტუმართმოყვარე ჰერის მასპინძლობით. თუ ცხელ კვალზე არ მივდიეთ, დიდი ერეკლეს ასულს ჩვენზე ნაკლებ როდი მოგეხსენება. მტერი გაგვასწრებს და საქმეს გაგვიძნელებს. ჩვენი კარდაკარ მოხეტიალე სახლეული და არჩილის სიცოცხლე შენთვის და ჩვენი ძმისთვის, იესესათვის ჩაგვიბარებია. დაგვდე პატივი, ძმაო იესე და აქედან ფეხს ნუ მოიცვლი, სანამ თავად არ მოვბრუნდები, ანდა კაცს არ გამოვაგზავნი.

მიტროპოლიტმა კოპები შეჰყარა, გულზე დაკიდებული ჯვარი შეისწორა და უფროს ძმას გამჭოლავი მზერა მიაპყრო.

— თეიმურაზს რა უყავი, ბატონო, თან მიგყავს თუ ტოვებ?

სოლომონმა ნახევრად ხუმრობის კილოზე უპასუხა:

— სიმამრს მივგვრიდი, მაგრამ ვშიშობ, ვაითუ ორივეს კუდი გამოგვისკვნას და ჯერხნობით ისევ დატოვება ვარჩიე, მუხურის ციხეში გამოვკეტე!

— მაშ, რაჭას მიდიხარ და ეგ არის! იქნება სისხლი არ დაგვეღვაროს და ტკბილი სიტყვით გაგვერიგებინა საქმე?

მეფე აენთო, შეაწყვეტინა:

— შენ მაინც გგონია, რომ ჩვენს დამღუპველ ერისთავთან კიდევ შეიძლება ტკბილი სიტყვებით ლაპარაკი? ასე მალე დაგავიწყდა, რაც მისგან წყენა და ზარალი მოგვადგა? ვინ უნდა ზღოს ეს წყენა და ზარალი? არა, ძმაო იესე, აწი მე და როსტომს შორის მარტო ცხელი ტყვია თუ გასწევს მოციქულობას, სხვა მოციქულს, თუნდაც ის მოციქული ისე პატივდებული პიროვნება იყოს, როგორიც შენ ბრძანდები, ხმა აღარ ამოეღება. აბა, არჩილ, გტოვებ, ძმაო, მივდივარ. უმჯობესი იქნებოდა, შენც გვერდით გვყოლოდი, მაგრამ ღმერთმა ასე ინება, დაილოცოს იმისი სამართალი, და რა გაეწყობა. ერთი სიტყვა მაინც შემოგვაწიე, შე კაცო, გზა დაგვილოცე!

— დაგელოცოს გზა, სოლომონ!.. — თავს ძალა დაატანა და ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა ბატონიშვილმა.

— ყოჩაღ! აი, აგრე! რომ მოვბრუნდები, ფეხზე უნდა დამხვდე, იცოდე! ისე, მართალი მითხარი, შენც იესესავით ხომ არ გეთანაღრება გული?

არჩილი არ აჰყვა გვირგვინოსანი ძმის გამომცდელ, ცოტაოდნავ გამკილავ კილოს, წარბის გაუხსნელად ამოილაპარაკა და ამით საქმისადმი მთელი თავისი დამოკიდებულება გამოხატა:

— მოერიდე, მამის სულს გაფიცებ, მთლად ნუ გაიმეტებ, რა ვუყოთ, ისიც ქრისტიანია... ელენე!

— ბატონო! — ლაწვებწამოგზნებული, ბურთივით მრგვალი დიასახლისი, რომელმაც გზაზე მდგომ მაზლს ხელახალი შეპატიჟება ველარ გაუბედა, თუმცა გულში მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა, არასდიდებით არ გაეშვა და როგორმე დედოფალ მარიამისა და ბატონიშვილების მოსვლამდე დაეცდევინებინა, წინ წამოდგა. არჩილმა უსიტყვოდ რაღაც ანიშნა და მას მეფის ხმალი მოართვეს. სოლომონმა თავი დახარა. ელენემ თავისი ხელით შეაბა ხმალი, ვადა თეძოსთან შეუსწორა და, მაღალმა ღმერთმა გიწინამძღვროსო, შუბლზე ჯვარი გადასახა.

## თავი ოცდამეორე

მეფე ათასორასი ქვეითითა და ხუთასი ცხენოსნით შევიდა რაჭაში. ეს მისი ლაშქრის მეოთხედიც არ იყო, მაგრამ მეტის წაყვანა არც თავად მოინდომა და არც დაახლოებულმა ქვეშევრდომებმა ურჩიეს. დიდებულთაგან მამია გურიელი, ზემომხრის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, სახლთუხუცესი პაპუნა და თამაზა მესხი ახლდნენ. აქვე იყო ჩიხორის ომის გმირი გალაქტიონ

გოცირიძეც თავისი განმდგარი და მეფის კალთას შეფარებული რაჭველებით. გურიელი, რასაკვირველია, შეეძლო მეფეს არ ეახლებინა, უმისოდ როგორმე იოლას გავიდოდა, მაგრამ ლაშქრობაში მამის და მისი რაზმების მონაწილეობა უფრო იმისთვის ჭირდებოდა, რომ რაჭის ერისთავს გურიის მთავარი თავის დაუძინებელ მტრად ეცნო და, თუ ვინიცობაა, მეფის რისხვას ახლაც გადაურჩებოდა, რაც ყველაზე ნაკლებ სავარაუდებელი იყო, მასთან ფარული შეთანხმებისა და კავშირის შეკვრის სურვილი არასოდეს დაჰბადებოდა.

პატარ-პატარა რაზმებად დანაწევრებულმა ჯარმა ორ დღეს განუწყვეტლივ იარა. გზაში წინააღმდეგობა არაფერი შეხვედრია. სოლომონი არ ჩქარობდა, ფეხს განზრახ ითრევდა. მისი აზრით, საომარი მოქმედების დაწყებამდე ერისთავსა და ერისთვიშვილებს საკმაო დრო უნდა მისცემოდათ იმის ასაწონდასაწონად და არჩევანის მოსახდენად, ღირდა თუ არა მეფესთან შებმა და რა შეიძლებოდა საბოლოოდ მოჰყოლოდა ძმათამკვლელ ომს მათს საბატონო ქვეყანაში.

სოლომონი ბანაკად შხივანას დადგა, სხარტალიდან სამიოდე საათის სავალზე, და ბერი წულუკიძეს დაელოდა. სწორედ აქ უნდა გადაეწყვიტათ, საჭირო იყო თუ არა ახალი ჯარის დაბარება, რომელიც სამეფოს დანარჩენ ლაშქართან მყოფ ციხისთავ და ქემიკთუხუცეს ქაიხოსრო აგიაშვილს პირველი დაძახებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა მოეშველებინა.

შხივანაში ორი დღე ლოდინი მოუხდათ, რაც ახლომახლო სოფლებში ნუზლის მოგროვებას და ახალი ჯარის გამოჩენით შეშინებული ხალხის გამოკითხვას მოანდომეს. შეფიქრიანებული სოლომონი თვით აპირებდა კაცების გაგზავნას, როდესაც ბერი წულუკიძისა და მისი აზნაურების ხლება ახარეს.

ამ ხნის განმავლობაში ბერის ის გაეკეთებინა, რომ რაჭას მოსვლისთანავე ერისთავის მიერ მიტაცებულ ხოტევის ციხეს შემოწყობოდა და მხოლოდ ციხის მფლობელებისა და მათი უერთგულესი ყმებისათვის კარგად ცნობილი საიდუმლო ხვრელებით მალე შიგნითაც შეეღწია. ერისთავის მეციხოვნეებს, სულ ოცდაცამეტ კაცს, რაკი შეეტყოთ, რაჭის ბატონთან ცამდე მართალი წულუკიძის ხელთა ვართ და აწი, თავიც რომ შევაკლათ, ვეღარაფერს გავახერხებთო, იარაღი ნებაყოფლობით დაეყარათ და ციხის კარი თოფის გაუსროლელად გაეღოთ. ასე რომ, ხოტევის ციხე, ღვთის შეწევნით, კვლავ მეფის თანამოაზჯრე წულუკიძეების ხელთ იყო...

„ეჰ, ჩემო ძმაო საყვარელო, ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო, არა? ნუთუ აქეთ მაგისთვის გამოგიშვი!“ — გაიფიქრა სოლომონმა. ციხის დაკავება თუმც ესიამოვნა, ბერის სულწასულობის გამო წყენამ მაინც გაჰკრა, ხმამაღლა კი არა უთქვამს რა, სარდლის მოხსენებას შუბლშეჭმუხნული უსმენდა.

სანუგეშო ბევრი არაფერი აღმოჩნდა. როსტომ ერისთავს, ბერი წულუკიძის თქმით, იმერეთიდან მობრუნებული თავისი შეფერთხილი ჯარი სახელდახელოდ მოგროვებული ახალი ჯარით შეევსო, ციხეები გაემაგრებინა, თავად კი ბარაკონზე იდგა და დაუპატიჟებელ სტუმარს იქ, ოთხივე კუთხივ საიმედოდ დაცულ და მტრისათვის მიუდგომელ ადგილას ელოდა.

ღამით ნიკორწმინდის ამოლმართზე შეპყრობილი ტყვე მოლაშქრეები მოიყვანეს. მათ გამოტეხასა და ალაპარაკებას მთელი დავიდარაბა დასჭირდა. შეიძლება, თავიც დაეძვრინათ, გოცირიძის კაცებს რომ არ ეცნოთ, პირში არ წარსდგომოდნენ და ძალა არ დაეტანებინათ.

ტყვეებს თვით როსტომ რაჭის ერისთავის ხელრთვითა და ბეჭდით დამოწმებული წიგნი უპოვნეს და მაშინვე მეფის ბანაკში მიიტანეს. როსტომი მამაშვილური საყვედურებით ავსებდა საყვარელ დისწულს, ოდიშის ბატონ კა-

ციას, პატიოსანი დედ-მამის სულს აფიცებდა და თხოვდა, ახლა მაინც ეწამა გამჩენი ღმერთი და სისხლმოწყურებული სოლომონის მეკობრეთაგან ყმა-მამულისა და სახლ-კარის დასაცავად ჯარი მოეშველებინა. ზვიადი, საკუთარ უძლეველობაში ღრმად დარწმუნებული ერისთავი უჩვეულოდ დამფრთხალი და შეშინებული ჩანდა, მის ხელში დაბადებული, შვილის ტოლი დადიანის წინაშე თავს ისე იმცირებდა, რომ თქმა აღარ უნდა, დიდზე დიდი გასაჭირი უნდა სდგომოდა.

მეფის ბანაკში უმალ ივარაუდეს, ეს დადიანისადმი გაგზავნილი პირველი წიგნი არამც და არამც არ იქნებაო. წინდახედული როსტომი იმერეთიდან გამობრუნებისთანავე აფრენდა სანდო მალემსრბოლებს და ერთადერთ ნუგეშად დარჩენილ დისწულს, რადგან უგზოუკვლოდ დაკარგულ უწმიდეს კათოლიკოს ბესარიონისა უკვე აღარაფერი ისმოდა, თავის გაჭირვებას შეატყობინებდა.

რაკი ერთხელ ენა აიხსნეს; ტყვეებმა ყველაფერი პირწმინდად დაფქვეს. იმ იმედით, რომ ეს მეფის რისხვისაგან თავის დაძვრენის ერთადერთი უტყუარი საშუალება იყო, უთქმელი და გაუმჟღავნებელი აღარაფერი დაუტოვებიათ.

ისინი რომ აქეთ, ოკრიბის გზით გამოისტუმრა. როსტომს მთავარი ელჩიონი, ნაზერალ მეთოდეს წინამძღოლობით, საირმისა და ორბელის გზით გორდს გაეგზავნა. თუ ვინიცობაა, ბედი უმუხთლებდათ და ერთი რომელიმე მტრის ხელში ჩავარდებოდა, იქნებ მეორეს მაინც მშვიდობით გაეღწია და საეჭვოდ გაყუჩებული კაცია დადიანის ყურამდე მომაკვდინებელ განსაცდელში ჩავარდნილი ერისთავის ამბავი მიეტანა. სამი თუ ოთხი დღის წინ ამავე მიზნით ყაბარდოს გზას გასდგომოდა მამის მიერ სრული უფლებამოსილებით აღჭურვილი ერისთვიშვილი იაგორა. როსტომი ყელს უწევდა თავის სახელოვან ქედგადაღმელ მძახალს, ყაბარდოს ბატონს, ვისი მოყვრობითაც ყოველთვის ამაყობდა, და იმერთა მეფის ყაჩაღური თავდასხმის მოსაგერიებლად ჯარით შეწევნას ევედრებოდა.

„იმის შემდეგ, რაც ჩიხორისა და ჩხარის მიდამოებში ერისთავის თვალწინ დატრიალდა, ჩემი საყვარელი ცოლისძმა ვგონებ არ გაბრიყვდეს და დასალუპავად განწირულ ბიძას დახმარების ხელი არ გამოუწოდოს, რაც მისი გონივრული ყოყმანითაც შეიმჩნევა, — დაასკვნა ყოველივეს მოსმენისა და განსჯა-განხილვის შემდეგ სოლომონმა. — რუსებთან კი ღირს კაცის გაგზავნა, რომ ყაბარდოს ბატონს ხელმწიფე-იმპერატორის სახელით ხელ-ფეხი შეუკრან და სამშობლოს ორგული ერისთავის მოსაშველებლად ჯარის გამოგზავნა არ დაანებონ“.

დილაუთენია მეფემ ბრძანება გასცა, ჩიხორიდან კიდევ ათასი კაცი დაებარებინათ, ერისთავის წინააღმდეგ გალაშქრება რამდენიმე დღით გადასდო და, ამასობაში აქ ტყუილად რომ არ მდგარიყო, ხუთასიოდე რჩეული ცხენოსანი იახლა, სახლთუხუცესი პაპუნაც თან გაიყოლა და ხოტევს გაემგზავრა საყვარელი აღმზრდელისა და ერთგული კარისკაცის, გიორგი წულუკიძის მოსანახულებლად.

გამგზავრებას, რასაკვირველია, სხვა უფრო მნიშვნელოვანი მიზანიც ჰქონდა. სოლომონს უნდოდა, სარდლის თვალით დაეზვერა ადგილმდებარეობა, მტერზე მისასვლელ და უკანდასახევ ადგილებს პირადად გასცნობოდა და, ამრიგად, გული საგულეს ჰქონოდა.

დილითვე შეიკრიბა ყიზლარის სანაპირო ციხე-სიმაგრეში გასაგზავნი მცირე რაზმიც, რომელსაც ბატონი მეფისაგან ვინ მოსთვლის მერამდენედ შეწყალებული და ხის კენწეროდან გადმოგდებულ კატასავით კვლავ ფეხზე დამდგარი თამაზა მესხი უნდა გასძღოლოდა. თამაზას ხელმწიფის უმორჩილესი სათხოვარი მიჰქონდა ციხისთავისათვის გადასაცემად ერისთვიშვილ იაგორას შეპყრობისა და მისი ალმატე-

ბულება ციხისთავის მხრივ ყაბარდოს ბატონის დამოძღვრის თაობაზე.

სოლომონის დაძვრა და ლაშქრით ხოტევისაკენ წამოსვლა ბარაკონზე იმ დღესვე ცნობილი გახდა და იქაურობა ისე შეაწრიალა, თითქოს წიწილებში ცაში მობობინე ქორის ჩრდილმა გადაუარა, ანდა თავთავებდამძიმებულ მოსამკელ ყანას დილის სიომ დაუბერაო. მეფის ბანაკის დასაზვერავად და თვალყურის სადევნებლად გაგზავნილი მსტოვრები, რომელთაც, უკეთუ ერთგულ სამსახურს გაუწევდნენ და მტერს არ მიეყიდებოდნენ, როსტომი გაზატებას და სამოსახლო მიწის ბოძებას დაჰპირდა, ერთიმეორეზე უფრო გაზვიადებულ ცნობებს აგზავნიდნენ და ბარაკონზე უამისოდ მოგიზგიზე ძრწოლვის კოცონს შეუგნებლად თუ შეგნებულად ამით ფიჩხს უკეთებდნენ.

ერისთავის ძალები ერთობ შეზღუდული იყო, ციხეების გასამაგრებლად ძლივს ჰყოფნიდა და თუ საერისთავოს ხელახლა დასაყმობად მოსული შურისმაძიებელი მეფე იკადრებდა და თავის ურიცხვ ლაშქარს რაზას მოსარბევად გაუსევდა, როსტომს ციხეებიდან გამოსვლისა და რიგიანად ხელის შეშლის ღონეც არ შესწევდა. მტრის კიდევ მეტად გაღონიერების ყოველი ახალი ცნობა მოხუცებულ ერისთავს ამიტომ გულზე ლახვარივით ესობოდა და სასოწარკვეთილებაში აგდებდა. როსტომის ასე უცნაურმა წახდენამ, აქამდე თავის დღეში რომ არ დამართია, მუდამ იმედითა და მხნეობით აღსავსე ერისთავიშვილებზედაც სასწაულებრივ იმოქმედა და, თუმცა ერთმანეთს არაფერს უმხელდნენ, მათ წინაშეც შემზარავად აეყუდა ომში შესაძლო დამარცხების აჩრდილი...

სოლომონის შხივანიდან დაძვრა და თავდალმა დაშვების ამბავი რომ შეატყობინეს, მეტისმეტი მღელვარებისაგან როსტომს თავბრუ დაეხვა, თვალთ დაუბნელდა და ამის შემყურე შეშინებულმა შვილებმა მაშინვე კარის მკურნალს, ხოსია გოგიბერიშვილს უხმეს მისთვის წურბელების დასასხმელად და წამხდარი სისხლის გამოსაშვებად. სისხლის გამოშვებამ ბერიკაცს მართლაც უშველა, თავის ჯოჯოხეთური ტკივილი, მთელი ეს დღეები რომ ტანჯავდა, როგორც იქნა, ჩამოეხსნა და მან თვალში გამოიხედა. ქალებმა სანთლებით გაჩაღებულ საყდარს მიაშურეს. კარის დეკანოზი ლუკა იაშვილი განუწყვეტლივ წირავდა და მაღალ ღმერთს მწყალობელი ბატონის კარგად ყოფნას და ამ სისხლის წვიმაში საერისთავოს მშვიდობით გადარჩენას შესთხოვდა.

— რა გზას დავადგეთ, შვილებო? — მიმართა გულმოღელილმა და თავშიშველმა როსტომ ერისთავმა ვაჟებს. — ისევე ციხუკეების იმედზე ვიყოთ, თუ ვაახლო-ყე შუაკაცები და შერიგება ვთხოვო? ამ საქმეს აგრე ნუ ვეხუმრებით. კოკა წყაროზე გატყდებაო, ნათქვამია და, ჩვენც, თუ ჭკუით არ მოვიქეცით, აგრე არ მოგვივიდეს!

— ვის, ბატონო მამა, ვის უნდა ვთხოვოთ შერიგება, ეგ რამ გაფიქრებინა! — ძმებში ყველაზე უფრო ჯმუხმა და მამასავით ახოვანმა გიორგი სარდალმა საცრისტოლა თვალები დააბრიალა.

როსტომს ალმური მოედო სახეზე, როგორ გაბედეს, სიტყვა როგორ შემომიბრუნესო, მაგრამ მაინც შეეცადა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა, რათა შვილებს მისი ავი გუმანი არ ეგრძნოთ და საფიცარ გიორგის ალერსიანი ყვედრებით უპასუხა:

— ვის და მეფეს, შვილო, ვინ არის სხვა, ვინ მოგვიხტა, არ იცი?

— ეგ არავითარი მეფე არ გახლავს, ბატონო მამა, სულთნის მოღალატეს ჩვენ მეფედ არა ვცნობთ, ჩვენ მარტო ერთი კანონიერი მეფე ვიცით — თეიმურაზი!

ერისთვიშვილები სხვადასხვა ხმაზე აყაყანდნენ, უფროს ძმას, რომელიც მათ სათქმელს ამბობდა, კვერს უკრავდნენ და თავიანთ უკმაყოფილებას მა-

მის წინაშე დაუფარავად, ხმამაღლა გამოთქვამდნენ.

— მტერს ნუ გავაცინებთ, შვილებო, — როსტომმა ცოტა ხანს შეიცადა, სანამ დაწყნარდებოდნენ და როდესაც ბიჭებმა ერთმანეთი გააჩუმეს, ვაცალოთ, ვნახოთ ერთი, რას გვეტყვისო, ჩვეულებრივ დამრიგებლურ კილოზე განაგრძო: — ვცნობთ თუ არა იმ ღვთისაგან წყეულს მეფედ, ეგ იმას სულ არ აწუხებს, ჯარით კარზე მოგვდგომია და ყმა-მამულს გვედავება. პატარუკეები არც ერთი აღარა მყავხართ. ნურარც მე გგონივართ ის, გუშინ და გუშინწინ რომ ვიყავი. არ მინდოდა აქამდე გამემხილა, მარა ჭირმა თავად არ დამალა თავი — ძველებური ღონე აღარ მომდევს, მუხლმაც მიმტყუნა და თვალმაც. ეს მტერმაც ქვე იცის და მომეძალა, ყელი მიპოვნა!..

— მერე ჩვენ აქ არა ვართ? — ისევ აიმაღლეს ხმა შვილებმა.

— ღმერთმა დიდხანს გამყოფოთ, მამა, მათუსალას დღე მოგცეთ! მამაზეციერსა ვთხოვ, — როსტომმა თვალები ზე ალაპყრა და ხელი გულზე მიიდო. — თქვენს უყისმათობას ნუ შეგვასწრობს ნურც მე და ნურც თქვენთვის მლოცველი საწყალი დედათქვენი! გვაკმაროს, რაც თქვენმა უბედურმა დამ, თამთამ, ჩვენი გამოისობით გამოიარა.

ერისთვიშვილები აიმრიზნენ, აიწურნენ, ტანზე ყველას ბუძგები დააყარა. როსტომის ჭერქვეშ საქმისათვის ზვარაკად შეწირული თამთას სახელს ტაბუ ედო. მის ხსენებას ყველა, შინაური და გარეული, გაურბოდა. დღეს პირველად იყო, გულდათუთქულმა მამამ თავის მიერვე გამეტებული ქალი რომ მოიგონა და ძალადობის მონაწილე ძმებისადმიც ყრუ საყვედური დასცდა. ამას გარდა, ისიც პირველად იყო, მუდამ ამაყი, თავმომწონე, მოსისხლე მტრების რისხვა როსტომ რაჭის ერისთავი თავს რომ ისაწყლებდა, გაუმხელელს ამხელდა და შვილების გასაგონად მისივე წრესგადასული გულზვიადობით გასრესილ თანამეცხედრეს ახსენებდა. მამის ამდაგვარი გადასხვაფერება ვაჟებს ავის მომასწავებლად ენიშნათ. როსტომმა, გველის ხვრელში არაერთხელ გამძვრალმა დროულმა კაცმა, რაღაც ისეთი იცოდა ან ისეთ რაიმეს გრძნობდა, რასაც ერისთვიშვილები ვერც გულითა და ვერც გონებით ვერ სწვდებოდნენ და მას სწორედ ეს უ[illegible]ლავი და მოუხელთებელი „რაღაც" ალაპარაკებდა.

— ჩემი ბერიკაცული ჭკუით მე ასე გადავწყვიტე, შვილებო, და მინდა თქვენც გაგაგებინოთ, — მცირედი ფიქრის და ყოყმანის შემდეგ დაიწყო ერისთავმა და თითქოს ყველას სათითაოდ მიმართავსო, ვაჟებს თვალი მოავლო — წყეულ სოლომონს უნდა გავეცალო. საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს. გლახა სიზმრები დამჩემდა. მარჯვენა თვალიც გლახად მითამაშებს. გინდაც დამძრახეთ და შემაჩვენეთ, მის ლაშქართან შებმაზე დღეს უარი უნდა ვთქვა. საქმე ასე მოითხოვს.

—ეგ რა გვეყურება, ბატონო მამა! — წინაუკმო აღმოხდათ ვაჟებს. — მართლა ბრძანებ მაგას, თუ ჩვენს გამოცდას ინებებ?

— თუ ასე არა ვქენი, უარესი ზარალი მომივა და წელს ველარ წამოვიღებ, — როსტომმა ყური არ ათხოვა შვილების უნებლიე წამოძახილს, ხმამაღლა ფიქრი განაგრძო. ზედვე ეტყობოდა, საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა და რაც არ უნდა მომხდარიყო, ამ გადაწყვეტილებას აწი ვეღარავინ გადაათქმევინებდა. ასეთ დროს როსტომი გალიაში დამწყვდეული ლომივით დაუნდობელი და საშიში ხდებოდა. ვაი იმას, ვინც უკან დროით არ დაიხევდა და გზაზე გადაეღობებოდა. — სოლომონი მარტო არ არის. წულუკიძე, აგიაშვილი და წერეთლები, ჩვენი კეთილი მეზობლები, გვერდში უდგანან და ისე გვისისინებენ, თითქოს ჩვენ ნადირი ვიყოთ და ეგ კიდევ მწევარ-მეძებარი!

— როდის მომხდარა, მტერს ხიდიკრის კოშკები გაეტეხოს და ბარაკონზე შემოსულიყოს! — გიორგი სარდალმა

მხნეობა მოიკრიბა, თუმცა ძმებზე არანაკლებ ჩაეფიქრებინა მამის მოულოდნელ გადაწყვეტილებას, და თავდალმა დაგორებული ქვის შეჩერება მაინც სცადა.

— მომხდარა, შვილებო, მომხდარა, — დამრიგებლურ კილოზე თქვა როსტომმა და ამოიოხრა, — თუ მეფე მოიწადინებს და ძალს მოიცემს, იმას წინ ვეღარაფერი დაუდგება. ერი, თქვენც ხედავთ, დაშაქრული ენით მოიმადლიერა, ყველა სიავე, რაც ქვეყანას ადგას, ჩვენ გადმოგვაბრალა, ყმები აგვიჯანყა. ხალხი ქრისტეს ჯვრისა და ბოგანო გლეხობის მოსარჩლეს უძახის. მიბრძანდი და დედიშენის შვილი ხარ, გადაათქმევინე! მაშინ სხვა დრო იყო, სულძალლი აბაშიძე, გურიელი და დადიანი რომ გვერდში გვედგულებოდა და ტახტის ბედი ჩვენ ოთხის ნებაზე ქანაობდა. დღეს გარემოება შეიცვალა. საბაშიო მოშლილია, ნურც აღადგინოს ღმერთმა, გურიელი მაგას ახლავს ჯარით, ჩემი ცოდვით სავსე დადიანი კი გაბლეხილა და არც აქეთ ერევა საქმეში და არც იქით! სწორედ ის გვარგუნა ღმერთმა, რასაც ვუფრთხოდით: გაგვყო მაგ სახეძაღლმა, დაგვანაწევრა, დაგვიმარტოხელა და სათითაოდ გვიღებს ბოლოს. დღეს ჩვენი რიგია, ხვალ და ზეგ სხვისი რიგი მოაწევს. მერე მიდგნენ და უყარონ კაკალი! ვაი შენს დედას, სოლომონ!.. ჩვენც ვტყუივართ, შვილებო, დროზე ვერც ჩვენ გევინძერით, ყურიდან ბამბა ვერ გამოვიღეთ. ვის ეგონა, თუ ისევე მომძლავრდებოდა! ახლა ნურც ის გაგიკვირდებათ, ჩვენივე ყმები რომ მოგვისიოს, ციხეები თავზე დაგვაქციოს და ყველას ყელი გამოგვჭრას!..

გიორგი სარდალი მტკიცედ იდგა მეფისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის აზრს, ამ აზრის დათმობა არასდიდებით არ უნდოდა.

— იქით თუ მივეხმარეთ, კი, მანამდე არ ოუდგა გვერდები! იაგორა მოვა, ბატონო მამა, ყაბარდოს ჯარს მოგვაშველებს.

— ვერა, გიორგი. ვერ მოგვაშველებს იმდენს, ჩვენ რომ გვეჭირვება. კიდევაც რომ შეიძლოს და ხელი მოუწყოს, ამხელა ჯარის გასტუმრება არ უნდა? თუ ერთობ გვიან არ იქნა და დღეს დაბინდებამდე გზები არ მოგვიჭრეს, ჩემი მოკლე მოსაზრება ასეთია: ამაღამავე უნდა ავიყაროთ, გავიყოლოთ, ვინც ერთგული დაგვრჩა, ვახსენოთ მაღალი ღმერთი და..

გიორგის მსხვილი ტუჩები მოეკუმა, ქვედა ყბა უკანკალებდა.

— სად აპირობ, ბატონო, წასვლას?

ჯავრისაგან გამშრალი და გულშემოყრილი როსტომი შვილებს მზერას არიდებდა და სადღაც მათ უკან აკვირდებოდა სივრცეს.

— ჯერ ოდიშს, კაციუკას უნდა ვთხოვოთ-ყე თავშესაფარი. აქით კი ვერას მოგვეხმარა, მართალია, მაგრამ ისე. ქვე რავა გოუწყრება მამაშვილობის მადლი, რომ უარი გვითხრას ან გვიღალატოს და მტრის ხელში ჩაგვყაროს. მერე, თუ ამ სულთამხუთავმა მეტისმეტად შეაწუხა და ჩვენი გაცემა მოსთხოვა, ჯანი გავარდნია, გურია-აჭარის გზით ახალციხეს უნდა მივაშუროთ. კონსტანტინოპოლს წავალ, დიდ ვეზირს ვეახლები, ხონთქარს ფეხებში ჩავუვარდები!..

როსტომ რაჭის ერისთავისა და მისი შვილების საჭირბოროტო საუბარი, რამაც საერისთავოს შემდგომი ბედი გადაწყვიტა, ოთხშაბათ საღამოს მწუხრის წირვის წინ შესდგა, პარასკევს კი, ასე სამხრობის ჟამს, ახალი ჯარი მოვიდა შხივანას. იგი თვით ციხისთავმა და ქეშიკთუხუცესმა ქაიხოსრო აგიაშვილმა მოიყვანა, შხივანაშივე დააბანაკა, ასისთავები მკაცრად გააფრთხილა, ღმერთი არავის გაუწყრეს, ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხება არავინ გაბედოსო, თავად კი, მეფის ბრძანებისამებრ, ხოტევს გაემგზავრა, სადაც სოლომონი იდგა ერისთავის წინააღმდეგ გასალაშქრებლად მაშველ ძალას ელოდებოდა. სარდალს თან ახლდა უნიშნო თეთრ ცხენზე ამხედრებული

ბატონიშვილი ალექსანდრეც. საზანოში დაგვიანებით მოსულ სახლეულისათვის მეფეს ფეხად გამოესწრო. რაკი ყმაწვილმა ბატონიშვილმა, ტახტის მემკვიდრემ, ლაშქრად მყოფი გვირგვინოსანი მამის ბანაკში წაბრძანება ინდომა, წინააღმდეგობა არც დედოფალ მარიამს გაუწევია, თუმცა დედის გული მწარედ შემოსჩიოდა, უწლოვანი შვილის გვერდიდან მოშორების ნებას არ აძლევდა. ალექსანდრესათვის რომ გეკითხათ, ის უკვე დიდი იყო. სწყინდა კიდევაც, შინაურები, უპირველეს ყოვლისა, ერთადერთი ძმის სიყვარულით გაგიჟებული დები, ისე რომ ექცეოდნენ, როგორც პირზე რძეშეუმშრალ ბალღს შეეფერება. ერთადერთი, ვინც ნაადრევად წამოყვინჩილებულ და ჭკუაში ჩავარდნილ ალექსანდრეს ტოლად და სწორად თვლიდა, შვილების წინაშე მკაცრი, მაგრამ გულით სათნო დედოფალი მარიამი იყო. თავადაც გონივრულად აღზრდილი მარიამი ვაჟს წამითაც არ აგრძნობინებდა მათ შორის არსებულ ასაკობრივ სხვაობას და ამით ყმაწვილს მისსავე თვალში ამაღლებდა. გარდა დედოფალ მარიამისა, ქვეყნად იყო კიდევ ერთი ადამიანი, ერთი არსება, ვისაც ჭაბუკი ბატონიშვილი უკვე მოწიფულ ვაჟკაცად ეგულებოდა და ვისზე ფიქრსაც გულში სათუთად ინახავდა. ეს გახლდათ წერეთლების საბატონო მამულში იძულებითი სტუმრობის დროს გაცნობილ-დამეგობრებული აბაშიძის პაწაწინა ასული ნინო, ალექსანდრეს ყმაწვილური ოცნებების მოზიარე და მისი ფარული თანამზრახველი.

მეფის ძე და ქაიხოსრო აგიაშვილი რომ ხოტევს მოვიდნენ, ჩამოქვეითდნენ და ჭენებით გახვითქული ცხენები წულუკიძის შინაყმებს შეატოვეს. მოსულთ თვით მასპინძელი, ბოქაულთხუცესი თავადი ბერი წულუკიძე, გამოეგება და სავალდებულო სალამ-ქალამისა და მოკითხვის შემდეგ, რომელსაც წვერულვაშწამოშლილი ახალგაზრდა თავადები ბეჟან ბერის ძე წულუკიძე და ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთელიც ესწრებოდნენ, ძვირფასი სტუმრები პირდაპირ მის უმაღლესობა ხელმწიფეს წარუდგინა.

სოლომონი ახალი ნასაუზმევი იყო, თავის კარავში ბრძანდებოდა და მესაწოლე ფარეშები ტანზე უცვლიდნენ. ბარაკონის დაცარიელება და შვილებითა და სახლეულითურთ როსტომ ერისთავის სადღაც გახიზნვა დილაადრიან მოეხსენებინათ. ხოტევში დაბანაკებული ჯარი ზეიმობდა. განა არა ჰქონდათ ზეიმის საბაბი! ხუმრობა საქმე როდი იყო, ღმერთმა ძმათა სისხლში ხელის გასვრა ყველას ააშორა და მოწინააღმდეგის მხრიდან რაიმე საშიშროება თავადაც ალარავის ემუქრებოდა. სოლომონი, თითქოს ამ ამბავს დიდი ხანია მოელოდაო, არ აფოფინებულა, თვით ერთგული მასპინძლების დასანახავადაც კი არავითარი განსაკუთრებული სიხარული არ გამოუხატავს, მილოცვებსაც თავშეკავებითა და ღირსებით იღებდა.

„რა გვაქვს გასახარელი და მოსალოცი? — ფიქრობდა მეფე. — ვინ ჭკუათხელი დაიჯერებს, რომ ეს პირსისხლიანი მგელი ასე ადვილად, თოფის გაუსროლელად დათმობს სამთავროს, რომელსაც არა იმერეთის გაჭირვებული მეფეებისაგან, არამედ ღვთისაგან ბოძებულად თვლის. აკი ეს ბეჭედზედაც ამოუტვიფრავს! თქმა არ უნდა, რაღაცა ხაფანგს გვიგებს, ორთავე ფეხით გვიპირებს დაჭერას, რაღაცა ფარსაგი განუზრახავს, რომ თავს ლაფი დაგვასხას და პირში ჩალა გამოგვავლოს!“

— ოჰ, ქაიხოსრო ბატონო! — შესძახა მან. კარავში ბერი წულუკიძის კვალდაკვალ შემოსული აგიაშვილი რომ დაინახა და ახალგაზრდა თავადებს შორის მონატრებულ საყვარელ პირმშოსაც ჰკიდა თვალი. — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! ეს ვინ გვაახლე, კაცო, თვით ბატონიშვილი ალექსანდრეა, სტუმრობით რომ გაგვაბედნიერა?

დარბაისელი აგიაშვილი კართანვე გაჩერდა, მარჯვენა ხელი, რომელშიაც ორად მოკეცილი მათრახი ეკავა, ნიშნად მისალმებისა, გულზე მიიდო და თავი

მდაბლად დახარა. ახალგაზრდა თავადიშვილებთან ერთად ასევე მოიქცა უფროსების წაბაძვას დაჩვეული ალექსანდრეც და, თუმცა ერთი სული ჰქონდა, მონატრებულ მამას მკერდში როდის ჩაეკვროდა, სანამ ნება არ დართეს და არ უბრძანეს, მოგვიახლოვდიო, წინ ნაბიჯი არ გადმოუდგამს.

—მართალია, რასაც ამბობენ, მეფეო? — შეჰბედა ბატონს აგიაშვილმა, როდესაც მესაწოლე ფარეშებმა საქმე მოათავეს და კარავში მხოლოდ დიდებულები დარჩნენ.

— ჯერ იქაური ამბავი გვითხარი, — შეუბრუნა კითხვა სოლომონმა და სელისკამზე დაჯდა, ბედნიერებისაგან სულშეგუბებულ ალექსანდრეს წელზე ხელი მოჰხვია, გვერდში ამოიყენა. — ჯარი სულ წამოიყვანე, თუ ცოტა კიდევ დასტოვე ჩიხორს? ხომ არ ბუზღუნობენ, შინ გაშვებას ხომ არ ითხოვენ?

— ალოსთავია, ბატონო მეფევ, — თითქოსდა ვიღაცის მაგიერ ბოდიშს იხდისო, დაიღრიჯა აგიაშვილი. — წლის მოსავალი მიუკარებელია. კი არავის დაეძრახება, გულმა რომ სახლისკენ გაუწიოს

სოლომონმა ოდნავ იწყინა, მოეჩვენა, რომ ჭკუას არიგებდნენ.

— ჩვენც ვხედავთ მაგას, თავადო ქაიხოსრო, და ქვეყნის გაღარიბება, ღმერთია მოწამე, არც ჩვენ გვწადია. გვეყო, რაც ამ შავბნელ წლებში შიმშილობა, სიტიტვლე და სახადი გამოვიარეთ. აწი მაინც უნდა მივუბრუნდეთ მარჩენალ მიწას. გლეხი თუ ფეხზე არ დადგა და სული არ მოითქვა, ისე ქვეყანას რა წამოაყენებს!

— ღვთისა და შენი წყალობით, მეფეო. ჯარზე მკითხე. ათას ხუთასი კაცი მახლავს თან. ნახევარი ქვეითია. ფეხზე შემოეხათ, აქამდე ძლივს გადმოვაწიე. რომელ ერთს უსაშველებ! ერთი ამდენი, რავარც ქე შემოგეთვალა, ჩიხორს და ჩხარს დავტოვე. სამასიოდე კაცი, ცოტა მეტი, ნამეტანი შემომეხვეწა და.. სარდალი კვლავ შეყოყმანდა, ირიბი ნაოჭებით დაღარული სახე დაეჭყანა — თუ არ გამირისხდები... ცოტა ვითამამე.

— სხვა დროს ნუ იზამ მაგას, ქაიხოსრო. თავადაც მოგეხსენება, ჩვენ ჩვენი ანგარიში გვაქვს და სანამ ბრძანებას არ მიიღებ, ლაშქრად წვეულმა, თავადი იქნება, აზნაური თუ გლეხი, მიჩენილი ადგილიდან ფეხი არ უნდა მოიცვალოს. ბერი ლორთქიფანიძისას და ჩვენი ძმის, ბატონიშვილ არჩილისას, რას გვეტყვი, ხომ არ გაძნელებიათ ნეტა ჭრილობები?

— ორივეს უკეთესობას ამბობენ, მეფეო. ბატონიშვილი არჩილი ღვთით უკვე წამოდგა და ეზოში თავისთვის დაბაჩუნობს. კი არა, აქეთ აპირებდა წამოსვლას, ძლივს გადავათქმევინე. თქვენი დიდებულების რძალს, ბატონიშვილ ელენეს, ბიჭი ეყოლა. სოლომონს არქმევენ.

— კარგი მახარობელი ხარ, თავადო, სამაგიეროს სიხარული ღმერთმა შენც მოგაგოს. სხვა? ბაღდათის მხარეს რა ამბებია, ახალციხიდან ჯერ ხომ არაფერი ისმის?

— ისხაკა თეთრუაშვილი გეახლა, მესამე დღეა, ჩვენზე უკეთ ის მოგახსენებს!

მეფეს ამჯერად არ გახარებია თავისი ერთგული კაცის სახელის გაგონება. ვაჭრისაგან ნასესხები თეთრის გადახდის ვადა ახლოვდებოდა, მას კი ჯერ საამისო სახსარი არ გააჩნდა. თუ ისხაკა, როგორც საზოგადოდ ფულზე გაწუწკებული კაცის წესია, სინდისზე ხელს აიღებდა და თავნსაც და სარგებელსაც ერთად მოსთხოვდა, მეფე იძულებული გახდებოდა, თავის მხრივ ვადის გაგრძელება ეთხოვა, რაც, თქმა აღარ უნდა, ერთიორად დაამცირებდა როგორც ქვეშევრდომების ისე თვით მევალის თვალში.

ვაჭარი მაინც მოიკითხა. ის უკვე აქ, ბანაკში იყო, ქაიხოსრო აგიაშვილს გულდაგულ წამოეყვანა. ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინათ და მასვე მოჰყოლოდნენ კაპუჩინელი პატრები, ქუთაისის კათოლიკური მისიონის წევ-

რები, დონ იერონიმო ნორჩელი და ჯულიო ბონოვენთურა კრიპტოელი, რომელთაც მისიონის პრეფექტის, ქლაუდიო რეჯიელის, სახელითა და ლოცვა-კურთხევით ქრისტიანობის ბურჯ მეფისათვის ურჯულოებზე კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება უნდა მიელოცათ

სოლომონს გულში გაეღიმა. მიხვდა, რისთვისაც აშლოდათ უცხოელ ბერებს მასთან დაუყოვნებლივ შეყრისა და ურჯოელოებზე კიდევ ერთი გამარჯვების გამო მოლოცვის სურვილი. როსტომი და მთელი მისი ოჯახი ხომ თავს კათოლიკური სარწმუნოების აღმსარებლად თვლიდა. ერისთავის წყალობით განებივრებულ პატრებს სწორედ მისი ჯავრი აწუხებდათ და, ალბათ დარწმუნების ყველა ხერხს იხმარდნენ, რომ ტახტის ორგული ერისთავისადმი მიმართული მეფის რისხვა როგორმე შეემსუბუქებინათ და მეფესა და რაჭის მპყრობელს შორის ზავი და თანხმობა ჩამოეგდოთ.

სოლომონი არ აჩქარებულა, არ უბრძანებია, ვაჭარიცა და უცხოელი პატრებიც ახლავე მოგვგვარეთო. მათთან შეხვედრა სახვალიოდ, უფრო მოცლილი დროისათვის გადასდო, საუბრის საგანი ერთბაშად შესცვალა და დიდებულებს წესიდან გახიზნული როსტომ ერისთავის გარეშემო თავისი ეჭვები და ვარაუდები გაუზიარა.

აგიაშვილმა იმავე წუთს მეფის მხარე დაიჭირა — ბებერი მელა უთუოდ ვერაგობს, ერთობ სათუოა, ასე უბრალოდ სამთავრო მიატოვოს და მემკვიდრეობით მიღებულ რაჭაზე სისხლის დაუღვრელად ხელი აიღოსო. ბერი წულუკიძე, სამაგიეროდ, ერისთავის ნაბიჯს სულ სხვაგვარად ხსნიდა და თავისი მოსაზრების დასადასტურებლად სარწმუნო საბუთებიც ბლომად მოჰყავდა.

შორსმჭვრეტელი როსტომი, ბერი წულუკიძის აზრით, სხვებზე უკეთ ხედავდა, რომ მარტოოდენ საიმედოდ გამაგრებული ციხეების შენარჩუნებით, ეს კიდევაც რომ მოეხერხებინა, სამთავროს ვერ დაიფარავდა. სანამ ის და მისი რკინისმკვნეტელა შვილები მიუვალ ციხეებში ისხდებოდნენ, მეფის მშიერი ლაშქარი ქვეყანას მოედებოდა და უწყალოდ დაარბევდა. ყმა-მამულის ერთადერთი ხსნა და საშველი რაჭის ბატონების სასწრაფო გახიზვნა იყო...

— ბატონ ბერის თათბირს ვგონებ საბუთიანობა არ უნდა აკლდეს, — ბრძანა ყველა „ჰოს" და „არას" აწონდაწონის შემდეგ სოლომონმა. — რაღას ვუყურებთ, შევამოწმოთ!

ნაშუადღევს მეწინავე ლაშქარმა ბროლივით ანკარა მთის პატარა მდინარეზე გადებული ხის ბოგირი დაუბრკოლებლად გადაიარა, ცხენები დაარწყულა, დაუცველად მიტოვებულ ამბროლაურის კოშკებს გვერდი აუქცია და რიონის რიყეს აღმა, ხიმშისაკენ აჰყვა. რაიმე წინააღმდეგობა მეფის ჯარს არც ხიდიკარში შეხვედრია. დღემუდამ მცველი რაზმებით გამაგრებული კოშკები ცარიელი იყო და თვალშეუწვდენელ ფრიალო კლდეებს შუა მოქცეული რიონიც მამაპაპური ხიდის დუღაბის ბურჯებზე დატაკებისას რაღაც განსხვავებულ იდუმალ ხმას გამოსცემდა. ჯარი გაიწელა. თავმა რომ კლდეკარის ვიწრო დერეფანი განვლო და მეწყრებით აქა-იქ დაბზარულ აღმართს შეუდგა, კუდს ჯერ ხიდამდეც არ მოეღწია. სოფლის ბოლოში, დიდრონი კაკლების უკან ჩასაფრებული ნინიას ციხე დუმდა, გზის ორივე მხარეზე ხიმეებით ერთიმეორისაგან გამოყოფილი მწვანე ეზოებიც სიწყნარეს მოეცვა, ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— ეი, ვინა ხარ აქ ქრისტიანი? — ბერი წულუკიძე უზანგებზე შეიმართა და ხმამაღლა დაიძახა, რომ მთელი უბნისათვის გაეგონებინა, — გამოდით, რისი გეშინიათ, თქვე ოჯახქორებო! მწყალობელი მეფე სოლომონი მობრძანდა. შეგირცხვათ ნამუსი, ამგვრე უნდა მეფის დახვედრა?

სადღაც სარკმელი გაიღო, ბოსლის კარმა გაიჭრიალა და უკანა ეზოში წვრილშვილით გარსშემორტყმული თა-

ვსაფრიანი დედაკაცი გამოჩნდა. დედაკაცი წინ მოდიოდა, გაურკვეველი ფერის გრძელი კაბის კალთას მიწაზე მოათრევდა, თითქოს ლოცულობსო, რაღაცას ჩუმად ბუტბუტებდა და თავისუფალი მარჯვენა ხელით, მარცხენაში თითო ბავშვი ეკავა, წამდაუწუმ პირჯვარს იწერდა. შორს, ბარაკონზე თუ რიონგალმა, ეკლესიის ზარებს არისხებდნენ. წვრილი, საშუალო და დიდრონი ზარების რეკვა ერთმანეთს ენაცვლებოდა. არავინ უწყოდა, რას მოასწავებდა ზარების ეს გუგუნ-წკრიალი, იმას, რომ საერისთავოში შემოსულ მტერს მტრულად დახვედროდნენ თუ პირიქით, ქვეყნის კანონიერი მეფისათვის გზა და კვალი დაელოცათ და ფეხქვეშ ფიანდაზი დაეგოთ.

ქარ-წვიმისაგან ჩამუქებულ თივის ზვინს ორი ჩამოკონკილი ფეხშიშველა ბიჭი გამოეყო და ღობეს მოადგა. როცა შეატყვეს, საშიში მართლაც არაფერია, ჩვენ არავინ გვერჩისო, ბიჭები სარებს მოეჭიდნენ, ღობეზე ბეღურებივით ჩამოსხდნენ და ცნობისმოყვარეობით აღვსილი თვალები მშვიდობიანად მიმავალ ჯარს მიაპყრეს. მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია. რაზმი რაზმს მისდევდა და სოფლის შუაგულში წყაროსთან გროვდებოდა. მალე ცხენითა და კაცით აქაურობა ისე გაიჭედა, ფეხის მოსაკიდებელ ადგილსაც ველარსად იპოვნიდი. აქეთ-იქით მიმალული წვრილფეხობა ნელ-ნელა გამოდიოდა სამალავებიდან. ზოგს, მეტადრე დედის ტოლ ხანშიშესულ ქალებს, ხონჩით მოსაკითხი მოჰქონდა. ახლა უკვე აშკარად ჩანდა, რომ მეფისანები არავის ერჩოდნენ. ერისთავის იასაულებმა თავი სულ ტყუილად შეირცხვინეს და ქვეყანას ათასი დაუჯერებელი ჭორი მოჰფინეს.

მზე ჩასვლაზე იყო, თვით სოლომონიც რომ მობრძანდა და დიდად გაკვირდა, როცა ბევრი უსიამოვნო მოგონებით აღმძვრელი ერისთავიანთ სასახლეც ცარიელი დაუხვდა. როსტომის ხელით დამყნილი სხვადასხვა ჯიშის ვაშლებით, მსხლებითა და ატმებით სავსე უზარმაზარ ეზოში ცოცხალ არსებათაგან მხოლოდ ერთადერთი ჭრელი მეჯებარი იპოვნეს. იმასაც ფეხი ჰქონდა მოტეხილი, წაყვანით ვეღარ წაეყვანათ, ვერც მოსაკლავად გაემეტებინათ და უპატრონოდ მიტოვებული საცოდავად წკავწკავებდა. თვალის ჩინივით მოვლილ ეზოს, სანამ მშვიდობა იყო, შიგ კრუხწიწილასაც რომ არ აჭაჭანებდნენ, ჯარი შესეოდა და ყველაფერს პირწმინდად ანადგურებდა. ასობით ლაგამწაყრილი ცხენი ხარბად ძოვდა მწვანედ მოხასხასე ბალახს. პატრონებს თოფ-იარაღი ხისძირებში დაეწყოთ, თავად ხეებზე აბობღებულიყვნენ და ტოტებს გამეტებით არხევდნენ. მიწა ლოყაწითელი ჯიშიანი ვაშლებით, გოდორა მსხლით, შეთვალებული საგვიანო ატმითა და უდიერი ფეხით დამტვრეული შტოებით იყო მოფენილი. სხვებს ჭურ-მარანის სუნი ეცრათ, დაბეჭდილი ქვევრები მოეხადათ და ერისთავის ნაქებ ღვინოებს ჰაშნიკს უსინჯავდნენ. სადღაც მწვადები იწვოდა. მარანში თავაწყვეტილი ღრეობა იყო გამართული. ვიღაც უკუღმართს შუა ეზოში კოცონი გაეჩაღებინა, მსხვილ-მსხვილი ნაკვერცხლები წინ გამოეშალა, ზედ ჭყინტი ტაროები დაეწყო და, რომ არ დასწვოდა, გრძელი ჯოხით ცეცხლს შორიდან უძუძგურებდა.

მეფემ თვალი მოარიდა გულისამრევ სურათს, ერისთავისეულ სასახლეში შესვლა და იქ დაბინავება არ ინება, ვინაიდან ეს თავის დამამცირებლად ეჩვენა, ბრძანა, კარავი სერზე დაედგათ, საიდანაც თვალს წარმტაცი სანახაობა ეშლებოდა, თავად კი ბატონიშვილ ალექსანდრესა და ამალის თანხლებით სანთლებით გაჩირაღდნებულ საყდარში შევიდა, კაპუჩინელი ბერები უკვე იქ იყვნენ და სხვებთან ერთად გულმხურვალედ ლოცულობდნენ. საყდრის ერთი კედლიდან მეორემდე ხმამაღლა ჩურჩულმა ნიავივით გადაიარა:

— მეფე მობრძანდა, მეფე!..

— ბატონიშვილი ალექსანდრეც თან

ახლავს. უი, ვენაცვალე, რავარი მალხაზი ბიჭუნა ყოფილა!..

— მოერიდეთ მეფეს, პირდაპირ არ შეხედოთ, მაგაზე ათას რამეს ამბობენ!..

კარში შემოგებებულ მორჩილს სოლომონმა თაფლის სანთლების პაწია კონა გამოართვა. კონა შუაზე გაჰყო, ნახევარი ალექსანდრეს მისცა და ოქროცურვილ შანდალს მიუახლოვდა. მამამ და შვილმა სანთლები აანთეს, შანდლის სხვადასხვა მხარეს დაამაგრეს, მერე პირჯვრის წერით წინ წავიდნენ და საკურთხევლის კიბესთან დასვენებული მაცხოვრის ხატის წინაშე მუხლი მოიდრიკეს.

ნაწირვებს დიდი გაჭირვებით მოხერხდა კარვისაკენ გზის გაკვლევა. უამრავი ხალხი, ქალი, კაცი, ჯანმრთელი თუ სნეული, მოგროვილიყო. ყველას უნდოდა, საკუთარი თვალით ენახა ღვთისმოსავი მეფე და თავისი გაჭირვება შეეჩივლა. ბერი წულუკიძის გზირები და ქაიხოსრო აგიაშვილის ქეშიკები, აქ, ბარაკონზე ადრევე რომ ჩაემწკრივებინათ, ბრბოს მოწოლას მუჯლუგუნებით იგერიებდნენ და ბატონ მეფესა და მის ამალას სერზე გადმომდგარ სეფე-კარვისაკენ მიუძღოდნენ.

სოლომონმა დაღლილობა მოიმიზეზა და დიდებულები დაითხოვა, რათა შვილთან ერთად მარტო დარჩენილიყო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ პატრებს უხმეს და მეფესთან სადარბაზოდ მიიწვიეს. მეფის მხრიდან დარბაზობას მხოლოდ ბატონიშვილი ალექსანდრე დაესწრო. ეს ამბავი შეუმჩნეველი არავის დარჩენია. დიდებულებს ჩუმი დრტვინვა შეუდგათ. განა უმჯობესი არ იქნებოდა, ქუთაისის კათოლიკური მისიონის მოლოცვა საჯაროდ, ეკლესიაში, თუნდაც ყველაზე უფრო ახლო მდგომი ქვეშევრდომებისა და მოხელეების თანდასწრებით მიეღო? ნუთუ შერისხულ რაჭის ერისთავთან საიდუმლო მოლაპარაკება განეზრახა და უცხოელი პატრები შუამავლებად ჭირდებოდა? მაგრამ პატრები იქნებ თვით ერისთავმა მოუგზავნა და გარიგების პირობები მეფეს აქეთ შემოსთავაზა? მსგავსი რამ ერთჯერ და ორჯერ ხომ არ მომხდარა! იმერეთის მეფეები, საქმე რომ გაუჭირდებოდათ, თავიანთი შერყეული ტახტის განსამტკიცებლად ყოველთვის მძლავრ დასაყრდენს ეძებდნენ, ხოლო როდესაც ძალაუფლებას ხელში აიღებდნენ, მერე თანამდგომის დამსახურებასაც ივიწყებდნენ და მის ძლიერებას ახალი კავშირურთიერთობის დამყარებით ბოლოს უღებდნენ. ეს უკანასკნელი ვარაუდი უფრო სარწმუნოს ჰგავდა და უკეთუ იგი დადასტურდებოდა, წერეთელ-წულუკიძე-აგიაშვილს ის-ღა დარჩებოდათ, განცვიფრება გამოეთქვათ და მფარველ მეფეზე გულაცრუებულებს საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ეზრუნათ.

სეფე-კარავში სინათლე გვიანობამდე არ ჩამქრალა. ღვთივ კურთხეულ ხელმწიფესთან შეხვედრით უაღრესად ნასიამოვნები უცხოელი ბერები გამოვიდნენ თუ არა, თავპირგაბანჯგვლულმა ნიკოლოზა ნაფიჩვაძემ, ტყის კაცმა როგორც მას ზურგსუკან ეძახდნენ, კარავში ახლა საგანგებოდ დაბარებული ვაჭარი ისხაკა თეთრუაშვილი შემოიყვანა და, ბატონის ნება-სურვილისამებრ, თავად გარეთ, ქეშიკებთან გამოვიდა.

— გლახად ილრუბლება, ბიჭებო, — თქვა ერთმა შუბოსანმა ქეშიკმა და უზომოდ დადაბლებულ ცას აჰხედა. — ნიძლავს ჩამოვდივარ, ამაღამ გემოზე იწვიმებს!

— წვიმს უკვე, შე გლახა, ვერ ხედავ?

მართლაც, აქა-იქ წვიმის რამდენიმე მსხვილმა წვეთმა ნაგვალავ მიწაზე ტყაპანი მოადინა და გაფიცხებული თორნის სუნი დააყენა. ხეობაში გამჭოლმა ქარმა დაუბერა, ცის დასალიერზე, ლურჯად ჩამუქებული ხიდიკრის კლდეების მიღმა, ელვა დაიკლაკნა და ყრუ გრუხუნმა იქაურობა შესძრა.

— ეს აღარ გვემასხრება. მზე დილიდან იკბინებოდა, — თქვა ქეშიკმა და მისი სახე ელვამ ორჯერ ზედიზედ გაანათა. — ქვენა ქარიც ძაან უბერავს. წყალი მაინც არ წაგვიღებდეს!

— ნუ გეშინიათ, — ჩაერია ნიკოლოზა ნაფიჩვაძე. რიონი აქამდე ვერ ამოვა.

— გინდა ის ამოსულა და გინდა მე ჩოვუტანივარ იქ, სულ ერთი არ არის?

[illegible]. ამასობაში ერთხელ კიდევ გრძლად გაიელვა, მეხმა დაიგრუხუნა, ქარმაც დაუბერა და წვიმის მსხვილმა წვეთებმა კარვის კალთებზე გაუწყვეტელი ბრაგუნი ატეხეს.

— ვაი შენს ისაიას, ახლა კი გაგვწუწავს, ა!

— აგერ ხის ქვეშ შემოეფარეთ.

— ხე ელვისას [illegible], ამისთანაში მეხის დაცემა იცის!

ნიკოლოზი ნაფიჩვაძე წამოდგა, თავი მხრებში ჩარგო და მეფის კარავს მიუახლოვდა, კარის კალთა ჩამოაფარა.

— ნიკოლოზ! — შიგნიდან სოლომონმა დაუძახა.

— აქ ვარ, ბატონო! — ნაფიჩვაძემ სისველისაგან უკვე დამძიმებული კალთა ასწია და კარში ჩადგა.

— რა ამბავია [illegible], რა ხდება?

— გადაიდარა, ბატონო.

— ალექსანდრეს ქვეშაგები გაუშალე, ეძინება.

— არა, ბატონო, მე არ მეძინება! — უთხრა ყმაწვილმა, რომელიც გვირგვინოსან მამას გვერდში უჯდა და დიდი ყურადღებითა და მოწიწებით, როგორც სულ პატარაობიდანვე სჩვეოდა, უფროსების საჭირბოროტო საუბარს ყურს უგდებდა.

— დიდი ხანია შენი მოსვლების დროა, შვილო, ალექსანდრე, აგვიკლებს დედაშენი, ეს რომ შეგვიტყოს. ხომ არ შეგეშინდა? გინახავს სადმე ამისთანა თავსხმა და ელვა-ჭექა?

— ერთხელ... სკანდეში, — გაუბედავად უპასუხა ყმაწვილმა.

— არ მახსოვს. ეგ როდის იყო, შვილო?

— გეგუთიდან რომ გამოვიხიზნეთ, აღდგომას, ჰასან-ფაშა რომ დაგვეცა...

— ისე ელავდა და გრუხუნებდა?

— კი.

— ახლა მაგონდება. მეორე-მესამე დღეს გზებზე გუბეები იდგა. მერე არ შეგეშინდა?

— რა არის საშიში! იწვიმებს, იწვიმებს და მერე ისევ მზე გამოვა!

— ღმერთმა გისმინოს, შვილო! — სოლომონმა ნაღვლიანად გაიღიმა, მსუბუქად ამოიოხრა და ღიმმორეულ ისხაკა თეთრუაშვილს, რომელსაც მამა-შვილისათვის რაღაც სასიამოვნო ჰქონდა სათქმელი და სიტყვის ჩასართავად მოხერხებულ წუთს არჩევდა, თვალი მოარიდა, თავის ფიქრებში ჩაიძირა.

## თავი ოცდამესამე

ხუთიოდე დღის შემდეგ ყველასათვის ცნობილი გახდა, რომ რაჭაში დიდძალი ჯარით შემოსულმა მეფე სოლომონმა განმდგარ და საბოლოოდ ოდიშის ბატონ კაციას კარზე შეხიზნულ ერისთავ როსტომს წრფელი გულით, თუ რაღაც წინასწარი განზრახვით ძველი და ახალი შეცოდებანი შეუნდო, ერისთავად, დარბაზის წევრად და სადროშოს სარდლად კვლავ დაამტკიცა, მის ვაჟებსაც, მეთოდესა და გიორგის, ჩამორთმეული სახელოები აღუდგინა და ერთ მშვენიერ დილას იმერეთში დაბრუნება ბრძანა. რაჭაში თვალსა და ყურს ვერსად უჯერებდა. მტერიცა და მოყვარეც ერთხმად გაიძახოდა, ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა, თუ ეგ კურთხეული მეფე არაფერს აპირებდა და საქმეს ზავით გაათავებდა, ამოდენა ჯარი რისთვის გასწია, ანდა შემოდგომის ალოსთავზე, როცა გამრჯე ვაჟკაცის მარჯვენა ოქროდ ფასობს, ამდენი ხალხი რისთვის მოაცდინაო. თვით სოლომონი

ზომაზე მეტად თავდაჭერილი იყო და არავის არაფერს ეუბნებოდა.

კიდევ ერთმა ახალმა ცნობამ, ამერიმერში რომ დაირხა, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და მეფეს ახალი თავსატეხი გაუჩინა.

იმ ღამეს, რაჭაში რომ კოკისპირული წვიმა მოვიდა და იქაურობა, ქეშიკის თქმისა არ იყოს, კინაღამ წყალმა წაიღო, ქედს გადაღმა, არგვეთში, მუხურის ციხის კოშკს მეხი დასცემოდა და უკლებლივ ყველა, ვინც შიგ იყო, ნანგრევებში დაემარხა. და ვინ იყო შიგ? სოლომონის მიერ ბრძოლის ველზე დამარცხებული ტახტის მოცილე, გათათრებული თეიმურაზი, მამამისი, ბატონიშვილი მამუკა, დედა — ბეჟან დადიანის ასული დარეჯანი და სადმელის ციხის პატრონ ბუჭუტა იაშვილის ცოლყოფილი თამთა, როსტომ რაჭის ერისთავის ასული და ტახტის მოცილე თეიმურაზის თანამეცხედრე.

სოლომონს თვალთ დაუბნელდა, ეს საშინელი ამბავი რომ შეატყობინეს. უახლოესი ნათესავების ასე უაზრო დაღუპვამ, თუმცა მეშურნეობისა და მტრობის მეტი მათგან არაფერი ახსოვდა, გული დასწვა და, მეორეს მხრივ, საგონებელშიაც ჩააგდო. აბა, ვის დააჯერებდი, რომ ეს ცოდვიანი საქმე მართლა ზეგარდმო მოვლენილმა მეხმა ჰქნა და არა სოლომონის მიერ მიგზავნილი კაცის ხელით დადებულმა ნაღმმა?

ხელმწიფის ნებითა და ბრძანებით მუხურას ხალხმრავალი ამალით მისულმა ბატონიშვილებმა, იოსებმა და არჩილმა, სახლთუხუცესმა პაპუნა წერეთელმა, გურიელმა მამიამ და ლოგინიდან სწორედ წინადღეს წამომდგარმა ქვემომხრის სარდალმა ბერი ლორთქიფანიძემ კოშკის ნანგრევებიდან ნაფლეთ-ნაფლეთ ამოკრეფილი მიცვალებულები ამოიცნეს, როგორც მათ მაღალ წარმომავლობას შეეფერებოდა და ეკადრებოდა, სოფლის ეკლესიაში მოწიწებით დაასვენებინეს და იმავე დღეს მიწას მიაბარეს. თეიმურაზს, რაკი ის ქრისტეს განუდგა და სხვის ღმერთს მიეკედლა, სოფელმა საკუთარ მიწაზე დასამარხი ადგილი არ მისცა და მესაფლავე გლეხებმა სამარადისო განსასვენებელი ღობის გარეთ, გზის პირას გაუთხარეს.



ქუთაისზე ჯარით მიმავალ მეფეს ნაქერალას მთაზე ყიზლარიდან მობრუნებული თამაზა მესხი და მისი მხლებლები დაეწივნენ და ვერცთუ ისე სახარბიელო ამბავი მოუტანეს. გენერალი ფონ-ფრაუენდორფი, ყიზლარის ციხესიმაგრის კომენდანტი, ბოდიშს უხდიდა იმერთა მეფეს, რომ მთიელი ტომები, ვისი დაქირავებული ჯარების შეკავებასაც სოლომონი უმორჩილესად ემუდარებოდა, მის განმგებლობაში არ შემოდიოდნენ და ამდენად, მათი შეკავების მიზნით, არც რაიმე ბრძანების გაცემა შეეძლო. წყალს ყაჩაღობასა და ძარცვა-ტყვევნაზე თვალგაფაციცებული ყირიმის ხანი გვიმღვრევს, მთიელ ტომებს სწორედ ის გვიმხედრებს და არა მარტო თქვენს წინააღმდეგ რაზმავს, ჩვენც კი არ გვერიდება და საგრძნობ ზარალს გვაყენებსო. სხვა საქმეა, თუ ხანი ნიღაბს ჩამოიგლეჯს და პირადად გამოვა, მაშინ ჩვენ ამას ხელმწიფე-იმპერატორ ეკატერინესა და ბრწყინვალე პორტას შორის დადებული ხელშეკრულების დარღვევად მივიჩნევთ და ტყვიას ტყვიითვე ვუპასუხებთო.

თამაზა მესხს დიპლომატისა და მსტოვრის მთელი გამოცდილება გამოეყენებინა და ზოგი რამ, რაც გენერალ ფონ-ფრაუენდორფს მოლაპარაკების დროს არ გაემხილა, ასტრახანიდან ყიზლარს მოსული ვაჭრებისა, ფათერაკების საძიებლად მოხეტიალე კერძო პირებისა და სანაპირო ციხე-სიმაგრის დაბალი ჩინის უფროსებისაგან შეეტყო. რუსეთიცა და ოსმალეთიც ერთმანეთთან საომრად იყვნენ შეწკიპული. ზღვებზეც და ხმელეთზეც ჯარები გადაჰყავ-გადმოჰყავდათ და მოწინააღმდეგისათვის მომაკვდინებელი დარტყმის მისაყენებლად უკანასკნელ სამზა-

დის ეწეოდნენ. ამჯერად ომი გარდაუვალი ჩანდა. ამ ომზე რუსეთიცა და ოსმალეთიც, დიდ იმედს ამყარებდა...

დაბოლოს, თამაზა მესხმ: ხელი უბეში ჩაიყო და მეფეს ეპისკოპოს მაქსიმე ქუთათელის საიდუმლო წიგნი მიართვა. წიგნი, რომელსაც ხელს თავადი დავით კვინიხიძეც აწერდა. პეტერბურგიდან ყიზლარს ჩამოეტანა რუსის სამსახურში მყოფ ვინმე ნაქართველარ თავადს და ჩაკირკიმალებული გამოკითხვის შემდეგ იგი თამაზა მესხისათვის გადაეცა. ეპისკოპოსი წვრილად წერდა იმასვე, რაც თამაზა მესხმა მეფეს ზეპირად მოახსენა, მაგრამ იქვე დამატებით ატყობინებდა, რომ კანცლერ გრიგოლ პოტიომკინისაგან ასტრახანის გენერალ-გუბერნატორ ნერონოვს ბრძანება ჰქონდა მიღებული, რომლის თანახმადაც ოსმალეთის წინააღმდეგ ომში დასახმარებლად იმერეთში ერთი კორპუსი რეგულის ჯარი და არტილერია უნდა გამოეგზავნა.

ეს უკვე დიდ რამეს ნიშნავდა! თავდადებულ მამულიშვილს, ტახტის უყოყმანოდ ერთგულ მაქსიმე ქუთათელს, როგორც ეტყობოდა, მთელი ეს დრო, სამშობლოდან შორს, რუსეთში რომ გაატარა, უქმად არ დაეკარგა და აქამდე გაუგონარ წარმატებისათვის მიეღწია. რუსის ერთ კორპუს რეგულის ჯარს ეხუმრები შენ? ამ ჯარით არამცთუ აგარიანისაგან თავის დაცვა, ღადოს მთის გადავლა და ოსმალების მიერ იარაღის ძალით მიტაცებული ძველი სამცხე-საათაბაგოს შემოერთებაც კი შეიძლებოდა!

ახლა აქ, დიდ სატახტო ქალაქ პეტერბურგში ვზივართ მე და ბატონი დავითით, იწერებოდა მაქსიმე ქუთათელი, ჩვენი ძველი ნაცნობი და კეთილისმყოფელი, ასტრახანის ყოფილი მთავარეპისკოპოსი თეოდოსი პატივით გვეპყრობა და თუ განგებამაც ხელი მოგვიმართა, იქნებ ამ წლის დამლევს ან გაზაფხულზე მაინც რუსის კორპუსთან ერთად შინ დაბრუნება გვეღირსოსო.

შემოდგომასა და ზამთარში რამდენიმე ღირსშესანიშნავი მოვლენა კიდევ მოხდა და ერთმანეთს გაეწნა. მთავარი და უპირველესი ამ მოვლენებს შორის ის იყო, რომ კონსტანტინოპოლიდან მოსული უზენაესი რაყამის თანახმად. თავისი ბეჭდითა და ხელრთვით მისი უდიდებულესობა ბედნიერი სულთანი მუსტაფა მესამე რომ ამტკიცებდა, გურჯისტანის ვილაიეთის განმგებელი ჰასან-ფაშა ბეგლარბეგობიდან გადააყენეს და სატახტო ქალაქში გაიწვიეს. ბეგლარბეგის სახელო მიიღო კონსტანტინოპოლში და სულთნის კარზე ფრიად მიღებულმა და პატივცემულმა პირმა, ათაბაგ ჯაყელების გათათრებულმა ნაშიერმა, დიდმა კაპუდან-ფაშამ, ადმირალმა იბრაჰიმმა. ჭორი ჭორს გადაება. მთელს თვალუწვდენელ იმპერიაში კიდიდან კიდემდე ჩურჩულებდნენ, ღვაწლმოსილ და სულთნის უანგარო სამსახურში ცამდე ამაღლებულ ფაშასათვის ეს დაქვეითება იყო თუ დაწინაურება. რაც შეეხება თვით ახალციხეს, სახელმწიფოს საქმეებში ჭიპმოჭრილი კარისკაცები იქ ცვლილებებს უფრო ადრეც მოელოდნენ და ჩუმ-ჩუმად თადარიგსაც სწევდნენ. ვილაიეთის იანიჩარ-აღამ, მუთი-ბეგ ფალავანდიშვილმა, მაგალითად, ღვიძლის ტკივილი მოიმიზეზა, რაბათი წინდახედულად დასტოვა და ნიჯგორის საგვარეულო მამულში დასახლდა, სასახლის ორომტრიალს შორს გაერიდა. ასევე მოიქცა ზოგიერთი სხვა დიდკაციც, ვისაც კი ფაშას იქით გზა ჰქონდა და მისი წყალობის შემყურე და მოიმედე არ იყო. აქ ჯერ სარწმუნოდ და დანამდვილებით არავინ უწყოდა, ვინ დაიჭერდა ოდესღაც არზრუმიდან ზარ-ზეიმით მოსულ ჰასან-ფაშას ადგილს, ან თვით ჰასან-ფაშას რა ბედი ეწეოდა, მასაც საცოდავ ჰაჯი-აჰმადივით მოაშთობდნენ დიდი ვეზირის მიერ უზენაესი განაჩენის აღსასრულებლად მოვლინებული საჭურისი კაფიჯები, თუ შერისხულს ბეგლარბეგობიდან გადაყენებას აკმარებდნენ და მერე, ვნებები რომ დაცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებოდა, გულს მოიბრუნებდნენ და ისევ უბოძებდნენ რომელიმე ახალ სახელოს.

ჰასან-ფაშასადმი კონსტანტინოპოლის გუნება-განწყობილების შეცვლა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, იმერეთის, იგივე აჩიკ-ბაშის ამბებს უკავშირდებოდა და მთელ პასუხიმგებლობას იმის გამო, რაც უკანასკნელი წლების მანძილზე იმერეთში მოხდა და ხაზინას ზარალი მიადგა, სულთნის კარი ჰასან-ფაშას აკისრებდა. ბრალდებას ერთობ ცუდი სუნი უდიოდა. ხშირად ამდენიც არ იყო ხოლმე საჭირო, რომ დამნაშავედ მიჩნეული პირი იქ გაესტუმრებინათ, საიდანაც უკან მობრუნებული ჯერ არავინ უნახავთ.

სამსახურის ახალ ადგილზე დამკვიდრებისთანავე კაპუდან-ფაშა იბრაჰიმმა წინამორბედი ბეგლარბეგის დანიშნული და მფარველობით გარემოსილი თითქმის ყველა მოხელე გადააყენა, მხოლოდ ძირძველ მესხ აზნაურებს — სანჯაყ-ბეგებს არ შეჰხებია, და მათი ადგილები კონსტანტინოპოლიდან თან წამოყვანილ თავის ერთგულ ხალხს დაურიგა. ამათი უმრავლესობა სხვადასხვა დროს კაპუდან-ფაშას ხელქვეით ნამსახური ოსმალები, ჩერქეზები, ქურთები და გამაჰმადიანებული ასირიელები იყვნენ და აქაურობა, ისევე როგორც თვით კაპუდან-ფაშას, ბევრად არაფრად ეპიტინავებოდათ.

ძველ მოხელეთაგან ბეგლარბეგმა წყალობის თვალით შეხედა მხოლოდ ფაშა ჰაჯი-ალიბეგს, რომელიც იმერეთში უწყალოდ განადგურებული თავისი დამსჯელი ჯარის უმნიშვნელო ნაშთებით ქედს გადაღმიდან ახალი დაბრუნებული იყო. მასავით ძველი ჯარისკაცი კაპუდან-ფაშა იბრაჰიმი ჰაჯი-ალიბეგს ადრევე, ეგვიპტელი მამელუკების წინააღმდეგ მოწყობილი კომპანიიდან იცნობდა და ძველი ნაცნობობის წყალობით, მიუხედავად იმერეთში ნაწვნევი სამარცხვინო დამარცხებისა, იგი ჰასან-ფაშას საყვარელ მუთი-ბეგ ფალავანდიშვილის მაგიერ, ვილაიეთის იანიჩარაღად დანიშნა.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ქვეყანას თავს დაჰყურებდა, როდესაც არჩილ ბატონიშვილის სასახლეს ზემო საზანოში ხუთასიოდე მხედრისაგან შემდგარი რაზმი მოადგა. სასახლეში წინასწარვე იცოდენ, ვისი მოლოდინიც უნდა ჰქონოდათ და გამოგებებულმა შინამოსამსახურეებმა, ქალებმა და კაცებმა, ჭიშკრის მისადგომები და მთელი ეზო კუპრში ამოვლებული მაშხალებითა და კვარის ჟინჟღილებით გაანათეს. დედოფალი მარიამი და პატარა ბატონიშვილები, დარეჯანი და თამარი, კიბეზე არ ჩამოსულან, ჯართან ერთად მობრძანებულ მეფეს სწორედ იმ დარბაზში ელოდნენ, სადაც რაჭის დასალაშქრავად აღძრულმა სოლომონმა ომში დაკოდილი უმცროსი ძმა ინახულა და შემდეგ აქედანვე რაჭის სახიფათო გზას გაუდგა. მოლიავებულ კარში პირველი სალაშქროდ ჩაცმულ-დახურული ბატონიშვილი ალექსანდრე შევარდა და შემოგებებულ დედასა და დებს გულში სათითაოდ ჩაეკრა.

— მამა? მამა სად დატოვე, შვილო ალექსანდრე? — ძველებურად პირხმელმა, უძლურობისაგან გაცრეცილმა, თმაში აქა-იქ ჭაღარაგარეულმა დედოფალმა ნაღვლით სავსე დიდრონი თვალები შემოსასვლელ კარს მიაპყრო და შვილს მოუთმენლად ჰკითხა. იმავე წამს, სანამ დების ალერსს მოწყურებული ალექსანდრე რაიმეს უპასუხებდა, დარბაზში ცხენზე გამუდმებული ჯდომისაგან ტანდამძიმებული, პირზე ღიმილშეყინული მეფე სოლომონი შემოვიდა, ცოლ-შვილს ხელები მოჰხვია და ყველა ერთად გულზე მიიკრა.

— მოხვედი... ცოცხალი ხარ!.. არაფერი მოიწიე...

— რაღა გატირებს? — სოლომონმა სიყვარულით უსაყვედურა ერთგულ თანამეცხედრეს, წამოჭარხლებულ სახეს მის უბეში რომ მალავდა და ღვარად ჩამოსული ცრემლებით ასველებ-

და. — ხომ ხედავ, ყველა კარგად ვართ, ღმერთი შეგვეწია, თავი ისევე მოვიყარეთ!..

— დიდი ხნით მოხვედი? — ყელზე მობჯენილ ქვითინს როგორც იქნა მოერია, თავი აიღო, თმა გაისწორა და უჩვეულოდ მორბილებული ხმით ჰკითხა გვირგვინოსან ქმარს მარიამმა.

სოლომონმა პასუხი არ გასცა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, პირზე ღიმილი არ შორდებოდა.

— დამაჯინეთ, სკამი არ არის ამ სახლში?

— აი, აი, აგერ!.. — ქალიშვილები დაფაცურდნენ და მამას ბიძია არჩილის საყვარელი წნული სავარძელი დაუდგეს. სოლომონი დაჯდა, იდაყვით სახელურს დაეყრდნო.

— თქვენ რასა იქთ, ძალიან ხომ არ მოიწყინეთ უჩემოდ?

— უი, მოსაწყენად სად გვცალია, ბატონო მამა. სკანდის სასახლეს ვაშენებთ. დედიკომ და არჩილ ბიძიამ ოსტატები მოიწვიეს,—ერთმანეთს დაასწრეს დარეჯანმა და თამარმა და მეფეს სასიამოვნო ახალი ამბავი მიახარეს.

— მართლა? — სოლომონმა მზერა ცოლზე გადაიტანა და ქალს თვალი თვალში გაუყარა.

მარიამმა არ იცოდა, გაახარებდა თუ წყენას მოჰგვრიდა ქმარს მისდა დაუკითხავად ისეთი დიდი საქმის წამოწყება, როგორიც ურჯულო მტრის მიერ იავარქმნილი სკანდის სასახლის აღდგენა იყო. სცადა, ამ საგანზე საუბარი სხვა, უფრო შესაფერი დროისათვის გადაედო.

—სულელობენ რაღაცას, ჯერ რა არის იქ გაკეთებული!

— ოსტატები კი მართლა დააყენეთ? — მეფე თანამეცხედრეს განზრახვას ვერ მიუხვდა. კვლავაც შეეკითხა.

— დავაყენეთ, სოლომონ. თუ არ გაგვიწყრები... — დედოფალ მარიამს ლაწვები შეეფაკლა, ჩაღამებულმა დიდრონმა თვალებმა ბრწყინვას მოუმატეს. — ხარჯი, მართალია, დიდი მოგველის, მაგრამ ასე სხვის კარზეც როდემდე ვიქნებით? სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ხალხის და ჩემი ძმის მრცხვენია!

— კარგად მოქცეულხარ, მარიამ, რა მეთქმის მადლობის მეტი. ეგ კი არა, შენის სიკეთით, ნეტა იმდენი შეგვაძლებინა, რომ ვარციხესა და გეგუთსაც მივხედოთ. მტერმა უყურა დაქცეულ სასახლეებს და გადაბუგულ სოფელ-კუთხეს! ახლა უკვე დროა, შიგადაშიგ აღმშენებლობასაც მივყოთ ხელი. იმას რომ ვუცადოთ, მტერს როდის მოვრჩებით და სატახტო ქალაქსაც ჩვენს ნებასურვილზე დავეპატრონებით, ლოდინი ძალიან დიდხანს მოგვიწევს. ჩვენი მეფეები, ის სულგანათლებულები, მუდამ ასე იყვნენ: ცალი ხელით რომ ხმალს იქნევდნენ და მტერს იგერიებდნენ, მეორე ხელით ქვეყანას აშენებდნენ!.. ხომ ასეა, შვილო, ალექსანდრე?

დედოფალმა დამორცხვებულ ვაჟს გაჰხედა, თავზე ხელი გადაუსვა და მიიხუტა.

— რას შვრებოდა იქ, გული ხომ არ მოგაყვანინა?

— ნეტავი ზედმეტი შეკითხვებით არ შეგვაწუხებდეთ და სუფრას გაგვიშლიდეთ. დილას აქეთ, რაც ნაქერალას მთა გადმოვიარეთ, მე და ალექსანდრეს პირში ხემსი არ ჩაგვსვლია, აქეთ მოვიჩქაროდით.

ნავახშმევს, სუფრიდან რომ წამოიშალნენ და ბატონიშვილი ალექსანდრე დებმა დასაძინებლად თავიანთ ოთახში წაიყვანეს, მამლებმა პირველად იყივლეს და კიდევაც ინათლა.

— არ მოისვენებ, სოლომონ? — ჰკითხა მტანჯველ ფიქრში წასულ თანამეცხედრეს მარიამმა და თავმდგომ მსახურებს უსიტყვოდ ანიშნა, ჭურჭლისათვის ხელი არ ეხლოთ, ცოლ-ქმარი მარტო დაეტოვებინათ.

— არის კი მოსვენების დრო? — თქვა სოლომონმა და ადგა, მძიმე ნაბიჯით სარკმელთან მივიდა, მტრედისფრად შეფერადებულ ცას დააკვირდა. — რა მალე თენდება ეს დალოცვილი!

— არ იშლი, მაინც გინდა, ქუთაისის ციხეს შემოეწყო?

— როგორ თუ არ ვიშლი, ადამიანო, ეგ რა სიტყვა-პასუხია!

— იქნებ გვეცადა მშვიდობიანი მორიგება. საფაშოში ახალი კაცი დაჯდა. ეს ღვთის წყალობა მგონია. არ გაგვეგო, გულში რა უდევს, ვისი მტერია და ვისი მოყვარე? ქუთაისის ალყას, მე, თუ მკითხავ, ყოველთვის მოვესწრებით. ახლა, ვინ იცის, ჭკუამ და მოხერხებამ უფრო გასჭრას...

მეფე შემობრუნდა, სარკმელს ზურგი შეაქცია და გულხელი დაიჭდო.

— შენ ისე მსჯელობ, თითქოს რაღაც მხსნელი აზრი მოგეფიქრებინოს და მის შესასრულებლად ჩემს დასტურს ელოდე. კაცია დადიანი ხომ არაფერს იტყობინება?

— ჯერ არა, სოლომონ, მაგრამ არა მგონია, ისიც მალე არ მიხვდეს, რომ ჩვენგან შორს დგომა ზიანის მეტს არაფერს მოუტანს!

— რადას მალოდინებ, ბრძანე, რის თქმა გინდა!

— იბრაჰიმ-ფაშას შუამავალი უნდა მივუგზავნოთ და თავი შევავედროთ!

— როგორ თუ თავი შევავედროთ? — ვერ მიხვდა სოლომონი.

— უნდა დავარწმუნოთ, რომ ტახტი წინაპრების დადებული კანონით, რომელიც სულთანმაც შეიწყნარა და სცნო, ჩვენ გვეკუთვნის, კანონითვე გვიჭირავს და მოწყალე სულთნის წინაშე ნაკისრებ ყველა ვალდებულებაზე პასუხისმგებელი ჩვენ ვართ!

— ეგ ხომ ისედაც ცხადია, მარიამ! განა ოსმალომ თვითონ არ იცის, ვის რა ეკუთვნის და ვის რა პასუხიმგებლობა აწევს კისერზე?

— მე სულ სხვა რამეს მოგახსენებ, სოლომონ და ალექსანდრეს თავს გაფიცებ, ნუ გეწყინება. დღეს, სანამ ჯერ კიდევ გამარჯვებული გვქვია და ურჯულოს ხელახლა არ წამოეუჩოქებივართ, ჩვენი ძალა, სხვის თვალში მაინც, საზავო მოლაპარაკების დროსაც უნდა გამოვიყენოთ და რაკი-ღა ოსმალო თავის მოთხოვნებს გვიყენებს, ჩვენც ავდგეთ და ჩვენი პირობები წავუყენოთ. არა და, ზურგსუკან ერთმორწმუნე რუსეთი გვიდგას. ოსმალოსათვის, ჩემგან არ გესწავლება, რუსი იგივე გახლავს, რაც ცეცხლისათვის წყალი!

— მაგას მართალს ბრძანებ, მარიამ, — სოლომონი სამშობლოს ბედზე დაფიქრებული თანამეცხედრისადმი უაღრესი კრძალვითა და პატივისცემით განიმსჭვალა. — აგარიანს თუ ძალის ენით არ ელაპარაკე და თეთრი კბილები არ უჩვენე, ისე ვერაფერს შეაგნებინებ, მაგრამ მაგ მოლაპარაკების წარმართვასაც ხომ გამორჩეული ხელოვნება უნდა. ვინ-ღა გვყავს ისეთი, რომ ახალციხეს გავაგზავნოთ და კაპუდანფაშა იბრაჰიმი სიტყვიერ ორთაბრძოლაში გამოვიწვიოთ? იქნებ შენ მიგაჩნია, რომ მე პირადად უნდა შევხვდე იბრაჰიმს, საფაშოში ჩემი ფეხით ვეახლო? მერე სანდოა? უფრო დიდი უბედურება რომ დაგვატყდეს?

— არა, სოლომონ, მაგას გულშიაც ვერ გავივლებთ.

— აბა? ვისზე გინდა იმედი, დაამყარო? მე ერთადერთ შესაფერ კაცს ვხედავ.

— ვის? — დედოფალმა თავი ასწია, გვირგვინოსან ქმარს თვალებში შეხედა.

— ჩვენს ძმას, ბატონიშვილ იესეს...

— რას იტყვი, — მარიამმა თვალები კვლავ დახარა, მერე ასწია და ქმარს ისევ გაუსწორა — რას იტყვი, მე რომ ვახსენო ღმერთო და... შენი სახელით...

შემოთავაზებული წინადადება იმდენად მოულოდნელი და უცხო აღმოჩნდა, სოლომონი დამდუღრულივით შეკრთა, თითქოს ზარბაზნის გასროლამ დააყრუაო, ხელები ყვრიმალებზე იტაცა და გაოგნებული და შეძრწუნებული ერთხანს ასე დარჩა.

— თუ იტყვი, ვის უნახავს ურჯულო ფაშასთან ქალი და ისიც თვით დედოფალი წასულიყოს ელჩადო, ამის მაგალითი ბევრია. რაღა შორს გადავწვ-

დეთ! ჩემი დედამთილი ბატონი თამარი ამჟამად სულთნის კარზე არ ბრძანდება? გაიხსენე ქართლის მეფე სვიმონის თანამეცხედრე გულჩინა დედოფალი, ტყვედ ჩავარდნილი ქმრის გამოსახსნელად ხონთქარს რომ დიდი ძღვენით ეახლა და შემდეგ ოსმალეთსა და სპარსეთს შორის ზავის ჩამოსაგდებად კონსტანტინოპოლიდან ისპაჰანს გაგზავნეს...

მეფემ კრიჭა გახსნა, ძლივსძლივობით ამოილაპარაკა:

—როგორც ვხედავ, შენ ყველაფერი ძირისძირობამდე გამოგიძევია და აგიწონ-დაგიწონია, მარიამ, სამშობლოსათვის თავის გაწირვაც ისე გადაგიწყვეტია, როგორც შენს მამაშვილობას და სახელს შეეფერება, ოღონდ, უნდა გამოგიტყდეთ და ნურც შენ გეწყინება, ერთი რამე ვერ მოგსვლია კარგად...

— რა? — მარიამი აილეწა, სახეზე სისხლი მოაწვა და ყაყაჩოსავით აპარპალა.

— მე, შენს სჯულიერ თანმეცხედრეს, რისთვის მაკისრებ ჯალათობას, რისთვის გინდა, ჩვენი შვილების დედა სასაკლაოზე გავაგზავნო, მტერს ხელში მივცე და ქვეყანაზე მტარვალის სახელით ვიარო? ჩემს გაჭირვებას ეს-ღა აკლია! აქამდე სვინდისი მაინც მქონდა სუფთა. ჩემი ნებით, იცოდეს ღმერთმა, ავკაცობა არ ჩამიდენია. ახლა, შენი ჩაგონებით, სვინდისზედ ხელი ავიღო?

მარიამი მტკიცედ ადგა თავის თვალსაზრისს, არ დაუთმო.

— კაპუდან-ფაშას განათლებულ და გონიერ კაცს ამბობენ, სოლომონ. არ შეიძლება, კარზე მანდილოსანი რომ მივადგები და სიტყვას უშიშრად შევბედავ, გული არ მოულბეს და ზოგი რამ მაინც არ დამითმოს!

— ვთქვათ, დავთანხმდი და დარბაზის ერიც დავაჯერე, რომ ეგ ერთადერთი სწორი ნაბიჯია, — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ თქვა სოლომონმა. — შენს ძმას, კაციას, რაღა პასუხი გავცე, ყველაფერის გამო რომ მე დამდებს ბრალს და აქეთ საომრად მომემზადება?

— ჩემმა ძმამ უკვე ეცადა და [illegible] მიკრავს, სოლომონ, აი, მისი დასტური! მარიამმა საკინძე გაიხსნა და რამდენჯერმე მოკეცილი ქაღალდის ფურცელი ამოიღო. სოლომონმა დახედვისთანავე იცნო ცოლის ძმის მხედრული, თვალში ეცა მისი ბეჭედიც, რომლის წარწერაშიაც ოდიშის ბატონი თავს შავი ზღვისა და სვან-აფხაზ-ოდიშართა „მჭერად“ და „მპყრობელად“ აცხადებდა.

მარიამმა აცალა, სანამ მეფე წიგნს ბოლომდე ჩაიკითხავდა და დასძინა:

—თავის მხრივაც აპირებს ელჩების გაგზავნას...

სოლომონმა გულხელი დაიჭდო, დარბაზში დაძმარებულმა გაიარ-გამოიარა.

— ბავშვებს ვინ გაუმხელს! — შეჩერდა და ეს თითქოს თავის თავს ჰკითხა. — ხომ გადაირევიან, თვალით დასანახავად შემიძულებენ!—მერე მწარე ღიმილმა გადაუსერა სახე. — არა ვარ სიძულვილის ღირსი თუ? — ბოლოს პირდაპირ მარიამს მიმართა: — რომ გაწყრეს ღმერთი და იმ ურჯულომ მძევლად დაგაკავოს? ხომ შემეკრა ხელფეხი! დღე-დღეზე ქუთათელ ეპისკოპოს მაქსიმეს ველი რუსეთიდან. ჯარიც თან მოყვება. ის რომ ფაშამ შეიტყოს, შენს თავს ძაღლებს მიუგდებს დასაგლეჯად!

მარიამი დაფიქრდა. გრძელი, შავი წამწამები დახარა.

— ძნელი და სათუო იქნება იქ წასვლა, სოლომონ, ადვილი ვისთვის არის, მაგრამ ბრმაც კი ხედავს რომ სისხლისმსმელი სულთანი უკან იხევს და აშკარა დათმობებზე მიდის. რკინა მანამდე უნდა გაიჭედოს, სანამ ცხელია. სულთანს უჭირს. დრო უნდა ვიხელთოთ და ჩვენთვის სასარგებლო პირობა სწორედ ახლა გამოვგლიჯოთ. ხვალ გვიან იქნება!

— მორიგებას ახლა ვეცადო, როცა რუსხელმწიფე დამხმარე ხელს მიწვდის და დღეს თუ ხვალ მისი რეგულის ჯარი მომივა?

— ღმერთმა გისმინოს, მაგრამ სარწმუნოა კი ეგ ცნობა? ვიდრე მფარველი რუსები ცხრა მთას იქიდან მოგვივლენ და ჩვენი გულისათვის ურჯულო აგარიანს შეებმებიან, ფაშა სამჯერ მოასწრებს მარბიელი ჯარის შეყრას და ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებას. რა ძვირიც არ უნდა დაგვიჯდეს, იბრაჰიმი უნდა შევაჩეროთ, მანამდე მაინც, სანამ სულს მოვითქვამდეთ, წივდგებ-მოვუდგებოდეთ და რუსებიც მართლა მოვიდოდნენ. მერე ან ასე იქნებოდა და ან ისე...

— თანახმა ვარ, მარიამ! — არამცთუ მარტო თანამეცხედრისათვის, თავისთვისაც კი მოულოდნელად მოსჭრა სოლომონმა და უძილობისაგან მთლად გამოფიტული წნულ სავარძელში ჩაეშვა. — ღმერთსა ვთხოვ, შემინდოს, თუ კიდევ ერთ სულმოკლეობას ჩავდივარ და ჩემი უბედური ქვეყნის საკეთილდღეოდ ღვიძლი შვილების მშობელ დედას ვიმეტებ! ეტყობა, ეს ყოფილა ჩვენი ბედისწერა და კაცთაგანი ვერც ვერავინ შესცვლის. დღესავე მოვიწვევ დარბაზის ერს. დიდებულებს დავეკითხები. ერთი კაცის აზრი კარგია, ორისა კიდევ უკეთესი. ვგონებ აჯობოს, ქუთაისზე გალაშქრებას საგაისოდ გადავდებთ. ჯარიც დაგვეღალა უბედური, დაგვემშა, ღონე გამოელია, დიდსა და პატარას უპატრონოდ მიტოვებულ სახლ-კარზე უჭირავს თვალი!..

☐გაგრძელება იქნება☐

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ია ორჯონიკიძე

## „გაზაფხულია, თოვლი მოდის...“

ვზივარ და ვუცდი
რას იტყვის ხვალე
და ბედისწერის
ბრმა მარჩიელი,
ემშვიდობები საყვარელ ქალებს,
გაოგნებული მზით და იელით.
მე ხელში
სავსე მიჭირავს ტოტი,
გაუსაძლისად ყვითელი,
მძაფრი,
ეს თოვლიც, ალბათ,
გულიდან მოდის,
რომ დაუცალოს
სატახტო აპრილს;
ვზივარ და ვუცდი
რას იტყვის ხვალე
და ბედისწერის
ბრმა მარჩიელი
ემშვიდობები საყვარელ ქალებს,
გაოგნებული მზით და იელით...

* * *

ტალღა ძალიან
ნელა მოგორავს,
„გიყვარდა?“
„ახლა?“
„ალბათ...
როგორ არ“...
ცრემლი იმსხვრევა
და უკან იწევს,
მკლავზე სიკვდილის
აჩრდილი მიწევს,
იცდის, ისვენებს
ანგარიშს მიწევს...
ჩაკეტილია
გზა ოთხივ მხარის,
როგორც კარები
შაშის და ჩარის,
მეგონა იყო,
ვიცოდი იყო,
შემოვბრუნდი და
არავინ არი...
სხეულში ტყვია
ასხია მძიმე,
არც წყალს ვთხოვ ვისმეს
და აღარც იმედს,
ტალღა კი,
ტალღა ისევ მოგორავს...
„გიყვარვარ?“
„ალბათ...
„ალბათ...
როგორ არ...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

რა უნდა ჩემგან,
სიხარული რისთვის მეწვია?!
მაწვია მზე და
სხვაც მრავალი
ცხოვრების ფერი,
მომინდა ჩუმად
საათები გადამეწია,
მოშურნეთათვის
მიმეყარა თვალებში მტვერი,
მზემ უეცარმა
გამახსენა ცეცხლის გუგუნი
და ოცნებაზე
სამუდამოდ შემომწყრალები
ქალები,
ადრე რძეგამშრალი
ამ საუკუნის,
ოდესღაც ღირსნი დედოფლობის
ჩვენი ქალები...
რა უნდა ჩემგან
სიყვარული რისთვის მეახლა?!
განა არ იცის
სიწრფე გულის
როგორ ისჯება,
განა ფოთოლი შარშანდელი
ზედ არ შეახმა,
ნუთუ, მეც, ბრიყვი,
გაზაფხულზე მეპატიჟება?!

* * *

არ შეიძლება
უტკივილოდ ჩემი ცხოვრება,
ამ სიმღერასაც
აურწყავი ნაღველი ახლავს.
ის საფლავები,
ჩვენ რომ ზურგი
ვაქციეთ ახლა,
სიხარულის ცრემლს
წამდაუწუმ გვემათხოვრება.
არ გაყვითლდება
კიდევ დიდხანს
ხსოვნის ფურცელი,
სავსეა ფერფლით
შემოდგომის ჭრელი მანდილიც
და სიყვარული,
ჩემგან ჭირში გამოუცდელი,
როგორც არასდროს,
სიკვდილივით არის ნამდვილი...
ის არის, ახლა
მედავება რასაც სოფელი,
შურს ნიჭი ტანჯვის,
ცრემლთა მარილს მემათხოვრება...
არ შეიძლება
სხვას გავუყო გაუყოფელი!
არ შეიძლება უტკივილოდ
ჩემი ცხოვრება.

* * *

ახლა ამ ჭერქვეშ
ტანჯვა მეტია,
სოფლის ჭორი კი —
შარახვეტია,
ვით გაქუცული
უჯიშო ძაღლი,
ფეხდაფეხ მოგდევს
ნაგვემს და დაღლილს.
ამორბის კიბეს
ზამთრის დღე ქუფრი,
აწყვია ფერხთით
ქვეყნის და უფლის
ის, რაც სიტყვაში
ვერ ჩაეტია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ამ ჭერქვეშ
დარდი მეტია.
ახლა ამ ჭერქვეშ
სიცოცხლის ლანდი
ყავარჯნით,
სულის ყავარჯნით დადის,
და სიზმრის სტუმარს
ჩურჩულით ვედრის:
— კუბოში კაბა
ჩამაცვი თეთრი...

## ავად ვარ, სარკმელს სუსტი სხივი ეთამაშება

თვალს და ხელს შუა
ეს დღეც ილევა.
მე ვწევარ, თითქო
მელოგინე ვარ,
თითქო მემკვიდრე
გაჩუქე ტახტის.
კედელზე თეთრი
კურდღელი დახტის, —
ეთამაშება მზე სარკმელს ჩემსას,
თვალით უხილავ
ჭრილობებს კემსავს,
სხივი უწყდება,
ნასკვავს და აბამს,
ქარს მიაქვს სველი
ოქტომბრის კაბა...
უკანასკნელი, რაც მიხარია,
სამშობლოს ცა და
შენი მხარია!
ცხოვრებას თურმე
ერთსულ და ერთხორც
უნდა წამების
მირონიც ეცხოს,
მხოლოდ ეს არის
ნუგეში ქალის.
და ვიდრე სხივი
წაერთვა თვალებს,
სიცოცხლის ნარღვევ
გულისპირს ვკემსავ,
ეთამაშება მზე სარკმელს ჩემსას...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თედო ბექიშვილი

## მიძღვნა დავით გურამიშვილისადმი

შვილო, ტანჯულო ქვეყნისაგ,
სული დაჰლიე ტანჯვითა...
ვაჟა-ფშაველა

დიდება მოთმინებასა შენსა, ტანჯულო დავით,
დაღლილო წუთისოფელთან დაუსრულებელ დავით.
ვით ცაცხვი სურნელოვანი, მაღლა აღერილ თავით,
სამშობლოს ბაღში გაშლილი შენი სახელიც ჰყვავის...
დიდება მოთმინებასა შენსა, ტანჯულო დავით!

ვინ მისცეს ფესვებს ამოთხრილს, სითბო მშობლიურ
მხარის?
ვინ ჰზაზე სწორად იაროს, თუ გზა არ არის მყარი?
თუ მოეჯარა უეცრად სამშობლოს ღია კარი?
ნაცვლად მშობლიურ მთების, სხვა ქვეყნის სცემდეს
ქარი?
ვინ მისცეს ფესვებს ამოთხრილს, სითბო მშობლიურ
მხარის?

ცრემლის ზღვა ვიცით, შენ ცრემლის ოკეანეში ცურავ,
მიმოვიმსხვრია საწუთრომ ბედნიერების სურა,
დღე დაგიღამდა, შეგრია შავი ნისლების ბურანს,
შეგინთო გაუნელებელი ცხელი საკირის ქურა,
ცრემლის ზღვა ვიცით, შენ ცრემლის ოკეანეში ცურავ!

შენ, ცრემლთა სამზერელიდან, ქართლის ჭირისა
მთვლელო,
შენ, უცხოობას მოსთვლილო, მაინც ქართულო სთველო,
გვასწავლე: ეცლის ბილიკი შენსავით როგორ ვთელოთ,
თუ მოგვეშორვა ნანატრი მშობლიურ მთათა მდელო —
ტანჯული ქვეყნის პოეტო, ქართლის ჭირისა მთვლელო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანჯული ქვეყნის შვილობა ტანჯვა ყოფილა დიდი,
ცხოვრების ზღვაზე მღელვარზე ბევრჯერ ჩაგიტყდა ხიდი,
ბევრჯერ გემუხთლა საწუთრო, გაუტანელი, ფლიდი,
წალმა-უკულმა ნახნავში ცრემლის თავთავებს მკიდი...
ტანჯული ქვეყნის შვილობა ტანჯვა ყოფილა დიდი!

დიდება მოთმინებასა შენსა, ტანჯულო დავით,
დაღლილო წუთისოფელთან დაუსრულებელ დავით,
სამშობლოს ბაღში ნუგეშად შენი სახელიც ჰყვავის,
ალალი იყოს, რაც შენთვის ქართველთ შენდობა ვყავით...
დიდება მოთმინებასა შენსა, ტანჯულო დავით!

## წ ე ს რ ი გ ი

გამოიტანა ხემ ყვავილი,
ყვავილმა — კვირტი,
კვირტმა — ნაყოფი,
მზემ დაამწიფა.
ჰა, საცაა დაჰქროლებს ქარი
და ტოტი დაბლა დაზნექილი
ზე მსუბუქად აიმართება...

შვებას ვის მოჰგვრის
ჩემი წასვლა, ნეტა ვიცოდე;
სადაა ნეტა ის ყვავილი,
რომ გაიშლება,
გაინასკვება, დამწიფდება
და ქარს დაუცდის...

## ერთი მდინარის ორი ნაპირი

ორთ ერთ სიყვარულს ვერ მოუარეს,
ვერ ჩაუბარეს კვლები ჩამხმარი —
აწ ცივი შუქი მათი ჭაღარის
ბჟუტავს უმწეოდ და მგლოვიარედ.

ნაზი, სათუთი ტრფობის ნერგები
ახმეს, სანამდის არ ამობზარეს.

ახლა გაქვავებული ორი მოზარე
თითქოს უმზეო ჭაში ბერდება.

ერთს — ორის მიერ მოკლულს ტირიან,
სხედან აგვისტოს დამშრალ წყაროსთან
და ალარც ახსოვთ, როგორ ხარობდა
ერთი მდინარის ორი ნაპირი...

* * *

„ყველაფერი — დაბლიდან მაღლა“
დონატ შაინერი

ყველაფერი:
ხე, ბალახი,
ცეცხლი და ფიქრი
მაღლა მიიწევს.

სიყვარულო,
შენ კი პირიქით,
შორეული ლაჟვარდებიდან
მოფრინავ დაბლა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მთრთოლვარე,
გამომშრალი გულებისაკენ,
შენ მაღლიდან მოემართები,
მაგრამ გზები, ძლიერ შორია
და შორ გზებზე გაგვიანდება...

ალბათ ამიტომ,
მიწიერი ყველა სულდგმული
შენ გეძახით,
შენ შემოგცქერით
და ვიზრდებით შენსკენ მლტოლველნი—
დაბლიდან — მაღლა.

## ღ ა მ ი თ

მე შენ მიყვარხარ... მაგრამ ღამით უფრო ძლიან!
როცა მდუმარე შენს ქუჩებში
მარტოდენ გვიანი მგზავრის ფეხისხმა ისმის,
როცა მანქანა მიმქროლავი თავის გზით მიდის,
და შიში არ გვაქვს, რომ გაგვსრისავს...
მე შენ მიყვარხარ უფრო ღამით.
ჩაბნელებული შენი ფანჯრების მიღმა
ჩამცხრალი, დღით დაღლილი მოქალაქენი
ცხრაკეც ჯავშანს რომ შემოიხსნიან,
როს სამეფო ძილის, სიზმრების
კარს გამოუღებს,
თავის კალთას როცა დაჰხურავს...
უფრო ღამით, ღამით მიყვარხარ.
თითოოროლა, უდროოდროს მოხეტიალე
შენი მგზავრიც ფეხარეული, ნაღვინევი
სიგარეტს რომ გთხოვს,
დანდობილად სალამს რომ გეტყვის,
დარწმუნებული თვისტომს, თვისრჯულს შეეხმიანა
დარწმუნებული —
                    ამ ქუჩების ბნელ კუნჭულებში
წინ სამტროდ არვინ დაუხვდება. კაცი სახლშია.

ღამის ეს ქუჩაც, გათელილი მილიონ ბორბლით,
გაჟღენთილი მანქანების მხუთავი კვამლით,
ღრჭენით, ღრჭიალით და გუგუნით დაისებული,
ამოისუნთქავს, სულს მოითქვამს, განიავდება,
განემზადება კვლავ დღის მსახურად.
უფრო ღამით, ღამით მიყვარხარ,
ღამღამობით უფრო შენი ვარ.
შემიძლია ვიხეტიალო რიჟრაჟამდის,
ვიფიქრო შენზე,
შენს წარსულზე, შენს დღევანდელზე.
შენს ტკივილსა და სიხარულზე...
უფრო შენი ვარ.
თავდახსნილი ვარ დღის ტვირთისაგან,
აპეურები შეხსნილი მაქვს, როგორც ლაბა ხარს,
ღამით მეხრე რომ გაიყვანდა მწვანე მინდორში,
დილამდის რომ უნდა ეძოვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მოეცა ღონე კვლავაც
და რიჟრაჟისას
მორჩილად უნდა მიეშვირა ქედი უღლისთვის.
ეს ძველებური შედარებაც, ალბათ იმიტომ
წამომიფრინდა,
რომ წარსულსაც ვერ შეველევით აგრე ადვილად...
ამ შენს ბჭეებში, უთვალავჯერ აალებულ ამ შენს
კედლებში,
ისევ ტრიალებს ტრუსის სუნი
და ყიჟინაც მეციხოვნეთა
სმენას სწორედ მაშინ ჩაესმის,
როცა ჩაცხრება, ჩაყუჩდება დღის ქარბორია,
აურზაური, როს მარტოოდენ კაცი ფიქრს უსმენს,
ეს ფიქრი კი შენ დაგტრიალებს.

უფრო ღამით, ღამით მიყვარხარ.
თვალცრემლიანი მოგონებანი
ყოველ მხრიდან რომ მოჯარდებიან,
კურდღელივით რომ მომიმწყვდევენ,
როს ხილვები ცხადზე ცხადია.
აგერ, ჩვენება გაუხარელ ობოლ პოეტის,
აგერ, შუბლი აყვავებული,
აგერ, განსყიდულ თავისუფლების გამო
მგლოვარი მსაჯულის ლანდი...
რა საჭიროა ყველას ჩამოთვლა —
რის დავიწყებაც არ შეიძლება
იმას წარსული არც უნდა ერქვას!

უფრო ღამით...
ღამე ცრემლს მალავს,
მშობლიურია. მისანდობი, მხარმისაყრდნობი
და კიდევ —
სიყვარულის თბილი ბუდეა!
შენს ესპეტაკეს, შენს წმინდა გრძნობას
ამ ღამის ფრთები იფარავდა
უცხო თვალთაგან...
აწ ხეთა ჩრდილში
მიყუჟული უცნობი წყვილის
განმარტოებაც; ქვა თუ არ ხარ,
გაგიხარდება, თვალს აარიდებ
და ღიმილით შენს გზაზე გასწევ.
ეს გზა უთუოდ იქ მიგიყვანს,
სადაც გელიან,
შენს დანახვაზე
სადაც წარბებს არვინ შეიკრავს.
ეს გზა არ არის ბოროტისა,
ეს გზა, ღამის გზა,
ორთა სიყვარულს აერთებს უხმოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუკი ვინმეს გზა გამრუდდება —
იმის ფესვებიც დღიდან მოდის,
ღამის ბრალი სულაც არაა
თუკი ვინმეს ბნელი ფიქრი აქვს.

უფრო ღამით. ღამით მიყვარხარ.
ყველა იმედი. ყველა ნატვრა
ხვალ რომ ახდება
ამ ღამეში იღებს დასაბამს.
იგი გვასწავლის, მშობლივით იგი გვარიგებს
როგორ, რა ხერხით გადავცუროთ
დღის ღრმა მორევი,
რომ ტალღებმა არ ჩაგვიხვიოს...
იგია ჩვენი მოძღვარი და მასწავლებელი.
ამ ღამეული მყუდროების ბინადარი ვარ,
ჩემი ლექსის ყველა სტრიქონი
მის კალთაშია ჩამოქნილი.
თუკი როდისმე პოეტი ვარ —
ღამით ვარ მხოლოდ.
დღის შესახვედრად
მუდამ მიმაქვს მისი საგზალი,
ის გულუხვია,
რაც დღეს ჩვენთვის არ ემეტება —
შეუძლია, გვასიზმროს მაინც...

გამექცა ფიქრი.
მაგრამ ფიქრი რისი ფიქრია,
თუ თავისი გზით არ იარა.
დაე იაროს, ძე შეცთომილი
ბოლოს თავის სახლს დაუბრუნდება;
თავის წილს მაინც მოიკითხავს...

შენ ხარ ჩვენი მემკვიდრეობა,
ამ ღამეული ჩემი ფიქრის
საგანიც და ნავთსაყუდარიც...
მემკვიდრეობა, უმთავრესი განძთა სალარო,
ვით ფუტკარს სკაში — აქ მოგვქონდა
ვისაც რა გვქონდა
და წვეთწვეთობით შევაგროვეთ,
რომ ულალო დროს
ერთად შევიძლოთ გამოზამთრება...

ჩემო ქალაქო უფრო ღამით,
ღამით მიყვარხარ...
მაგრამ ეს ღამეც
ჩამოილია ამ ფიქრებში...
ძილი ნებისა,
სხვა დროს სხვას გეტყვი,
ან სხვა გეტყვის...
შენ უკვდავი ხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეილა ცომაია

# მოთხრობები

## სამუშაო დღე

ხალხით გაჭედილი ავტობუსი ზუილით მიიწევს წინ. თავქუდმოგლეჯილი გარბიან მსუბუქი ავტომანქანები, ფეხით მოსიარულეებს ხომ მარათონული რბენა გაუმართავთ...

ამ სივიწროვეში, მანანა მხრების გაკრა-გამოკვრით მიიკვლევს გზას. ქუჩა დილის ნაცნობების სასიამოვნო შეხვედრებში დალია. განყოფილებაში რომ შევიდა, მაჯა საკმაოდ აჩქარებული ჰქონდა. პირველი, რაც თვალში მოხვდა, გულიკოს და ანიკოს დაგრძელებული სახეები იყო, რომლებიც ერთმანეთისკენ გადახრილიყვნენ და რაღაცაზე ხმადაბლა საუბრობდნენ. „ნეტავ, ყოველ დილით რა აქვთ ამდენი სალაპარაკო“, გაკვირვებით გაივლო მან გულში და მაგიდას ისე მორიდებით მიუჯდა, თითქოს სხვისი ყოფილიყო. ახლად შეძენილი გაზეთები ჩანთიდან ამოალაგა დაააშრიალა. ასე იწყებოდა მისთვის ყოველი დილა. თუ ამ ყოფაში უფროსი შემოუსწრებდა, შენიშვნას არ დაუყოვნებდა, — ზღაპრების კითხვას თავი დაანებე და საქმეს მიხედეო — ეტყოდა ხოლმე მოურიდებელი უკმეხობით. ამიტომ მანანამ ხერხს მიაგნო. საინტერესო ადგილას გადაკეცილ გაზეთს კანცელარიო „საქმეს“ აფარებდა და ცნობისმოყვარეობას ამგვარად იკმაყოფილებდა. თან ჩქარობდა, გაზეთების წაკითხვა მარიკას მოსვლამდეც მოეთავებინა, რადგან, შემოდგამდა თუ არა ოთახში ფეხს, მარიკა იმ წუთიდანვე იწყებდა ოჯახური თუ გარემოს შთაბეჭდილებების გაზიარებას, აიყოლიებდა ენაწყლიან თანამშრომლებს და ყბებს დღის ბოლომდე არ ასვენებდნენ. რა არ შეადგენდა მათი საუბრის თემას: როგორ გაათია ღამე ანიკომ საოჯახო საქმეების კეთებაში (დაწვრილებითი აღწერით), როგორ აეშალა კუჭი გულიკოს, რა შეემთხვათ ნათელას მეზობლის ძმისშვილებს და ა. შ...

დერეფნიდან მანანას გარკვევით მოესმა ნაცნობი ფეხის ხმა, თვალები დახუჭა და დაელოდა როდის მოაწყდებოდა მარიკა კარს. მანანა მინაბული იყო, ამ სასიამოვნო განცდის მოლოდინში სახეზე შემწყნარებელი ღიმილი დასთამაშებდა.

— ხომ არავინ ყოფილა შემოვლაზე? — გულამომჯდარი შემოვარდა მარიკა ოთახში, — ავტობუსს აღარ დაველოდე, ფეხით ამოვედი აღმართზე — თქვა და მაგიდა და სკამი აახრიგინა.

— ბავშვები დაარიგე? — მაშინვე

ატაკა ცნობისმოყვარეობის ჰიაშეჩვენილმა გულიკომ.

— დავარიგე. შემიკლეს ხელში. წუხელ თეა მთელი ღამე საბანს იხდიდა, ამ დილით, ნახევრად უძინარი, რძისთვის გავვარდი. მოვიტანე, ავადუღე, ვაჭამე და გავაქციე ბაღში. რამხელა შეღავათია ბაღი, თქვენ ხომ ვერც წარმოიდგენთ! — აკვირვებდა მარიკა ქალებს.

— რომ არ მსახურობდე, ასე არ დაიტვირთებოდი, — გვიან ჩაერია ანიკო.

— რას ამბობთ! — შეიცხადა მარიკამ — სამსახური ჩემი ერთადერთი განცხრომაა, აქ მოსული ვისვენებ... ეს ჩემი ქმარი კი სულ არაფერში მეხმარება, — უცებ გაბრაზებით გადავიდა მარიკა ქმრისადმი საყვედურზე — მთელი დღე ვერ ვხედავ... წუხელ პირველ საათზე მობრძანდა. ამ დილით, რძის რიგში რომ ვიდექი, სადღაც ქუჩაში მოვკარი თვალი. აბა მითხარით, რად მინდა ქმარი, თუ გვერდში არ ამომიდგება? გამოსწორების ვადა მივეცი, თუ არ გამოსწორდა, ნამდვილად გავეყრები!

— ეჰ, მარიკა, აბა მე რა ვქნა ჩემი ქმრის პატრონმა? — შესჩივლა ნათელამ.

— ამ კაცებს ჰგონიათ, რადგან ცოლს შვილები ჰყავს, მორჩა! მიჯაჭვულია ოჯახს. ნურას უკაცრავად! მოვკიდებ ჩემს შვილებს ხელს და წავალ!... ამ სიჩქარეში სამკაულები შინ დამრჩა, რა მეშველება ბინა რომ გამიტეხონ? — შეწუხდა მარიკა.

— ამას წინათ ბიძაჩემის მეზობლის ბინა გაუტეხიათ. პირწმინდად გაუსუფთავებიათ ფულისა და ძვირფასი ნივთებისაგან, — მიაწოდა ცნობა ნათელამ.

— ისე მშვიდად მძინავს... — ნიშნის მოგებით ჩაურთო ანიკომ.

— რა მეშველება, ჩემი სამკაულები! — უფრო აწრიალდა მარიკა.

— დეიდაჩემს ძაღლი გარდაეცვალა. ისეთი ლამაზი იყო საწყალი ჟუჟუ. — თავისი სატკივარი გაახსენდა გულიკოს.

„რა ეშველება სოფელს?“ — მანანამ გაზეთი მძიმედ დაკეცა.

...ფიქრებში წასულს თვალწინ წარმოუდგა გამოკეტილი სახლები. „გულიკო, რატომ წამოხვედი სოფლიდან?“ — მან ფიქრებჩაბუდებული თვალები მიაპყრო გულიკოს. „გულიკო, რატომ წამოხვედი სოფლიდან?“ — კვლავ ჩაეკითხა ფიქრში, — „ჰაობია სოფელი. ვერ გაძლებს იქ ახალგაზრდა“... „რას ამბობ, გულიკო! რა სჯობია სოფელს. რა შეედრება მის სუფთა ჰაერს, მის ბუნებას, მის სილაღეს“... „ჰო, ქალაქიდან ძალიან რომანტიკულია! მაგრამ, აბა მიდი, რამდენიმე თვე იცხოვრე იქ. ნახავ თუ არ მოგბეზრდება ტალახის ზელა, ღორო-ჩოღრო, მკვდარი ორღობეების სიმყუდროვე... ქალაქში მეტი კულტურაა, მეტი სილაღეა“. მანანამ თავი ახლა ნათელასკენ მოაბრუნა. „შენ ნათელა?“... „სოფელს თავისი წესი და კანონი აქვს, პატიოსნების არტახებშია მოქცეული. სხვაგვარი პატიოსნება ვერ წარმოუდგენია სოფელს“... „როგორი სხვაგვარი?“ „აი, მაგალითად, ქალაქური. გაგეცინება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჭეშმარიტებაა, სოფლელ ქალს ყველა ქალაქელი გოგო უპატიოსნო ჰგონია...“

— ნათელა, ტელეფონთან!... — შემოიხედა მდივანმა.

„ეს გოგო ჩვენი განყოფილების მდივანი უფროა“ — გაიფიქრა მანანამ. ხმამაღლა კი თქვა:

— იქნებ გვეთხოვა, უფროსისთვის ტელეფონის დადგმა?

— ხალხო, ატყობთ როგორ დღითიდღე ძვირდება ბაზარი?

— გუშინ ავტობუსში...

„რა იქნება, ადამიანს ყბასთან დამაგრებული ჰქონდეს ხმის მარეგულირებელი?“ — დაებადა აზრი მანანას.

— დააგვიანეს, ჯერ არსად ჩანან... — ტკბილი ხმით წამოიწყო გულიკომ — ეჰ, როგორ გული მწყდება ჩემს უჭკუო ახალგაზრდობაზე. რა სისულელე ჩავიდინე. სისულელე კი არა დანაშაული, ასე ულმერთოდ რომ ჩავკალი ნიჭი ჩემში. ჩემი ნახევარი ხმა რომ არ ჰქონდათ, იმათ, დღეისთვის ნახევარი მსოფლიო მოიარეს, მე კი... ქალაქის არც-

ერთი სცენა არ დარჩა რომ არ მემღერა. რადიოში ხომ სისტემატურად მიწვევდნენ. როგორ ვნანობ, რომ ჩემი ნიჭის ერთი მისხალიც არ გამოჰყვა ჩემს შვილს...

გულიკო, ყოველთვის ასეთი გულისტკივილით იგონებდა ხოლმე თავის ახალგაზრდობას, როცა სიმღერის ხასიათზე დადგებოდა. არც ეს დღე ყოფილა გამონაკლისი.

— ჩემი ამხანაგის შვილი ქმარს გაცილებია, ცუდად გაზრდილი კი ჰყავდა.

— ასეა, ახლანდელი ბიჭები, გენაცვალე, დერმაგოლით თვალებამოღურჯებულ და ჯინსებში გამოწკეპილ ქალიშვილზე კარგავენ ჭკუას. წყნარი, პატიოსანი გოგონები კი განზე რჩებათ... ახია, მაგათზე!...

— არ დაიღალეთ, ხალხნო? — თანაგრძნობანარევი ხმით იკითხა მანანამ.

განყოფილების კარი ვიღაცამ შემოაღო. უცხო კაცი კარებში უხერხულად შეჩერდა და იმედით შესციცინა სახეში ქალებს. აშკარა იყო, მოსული ყურადღებას ითხოვდა, მაგრამ ქალები ისე იყვნენ ლაპარაკში გართული, არც უგრძვნიათ განყოფილებაში უცხო ადამიანის ყოფნა. ამაოდ მომლოდინე კაცი ოთახის კუთხისაკენ ფეხაკრეფით დაიძრა.

— უკაცრავად, მუშაობას გაწყვეტინებთ, — თავს წაადგა იგი საქმეში თავჩარგულ ქალიშვილს. — ჩემი შეკვეთა მაინტერესებს — მორიდებით გაეცნო შეწუხების მიზეზი.

— გვერდზე ოთახში მიბრძანდით, — ღიმილი შეაფრქვია ქალიშვილმა.

— გმადლობთ, დიდი მადლობა, გმადლობთ... — ბუტბუტით იმეორებდა კმაყოფილებით სახეგაცისკროვნებული კაცი და თითქოს ენანებოდა განყოფილების დატოვება, ფეხს ითრევდა. მანანამ დაბნეული ღიმილით გააცილა უცნობი.

— უნდა იჯდე და ექვსის ნახევარს ელოდო. რა საზიზღარი გრძნობაა, — ყური მოჰკრა მარიკას ბუზღუნს.

— მუშაობისას დრო მალე გადის... — პასუხად თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მანანამ და საათს დახედა. სამუშაოს დამთავრებას ერთი საათი აკლდა.

— ხელფასია!.. — შემოიჭყიტა მდივანმა.

ამ ცნობით გახარებული მარიკა, ვაშას შეძახილით, სკამიდან პირველი წამოიჭრა და ოთახიდან დაოთხილივით გავარდა.

— ჩქარა, სანამ რიგი არ დამდგარა! — დააჩქარა გულიკომ თანამშრომლები და ისიც ფეხდაფეხ მიჰყვა მარიკას.

ოთახი თითქმის დაცარიელდა. მანანამ თავისი მაგიდა მიალაგა და თვითონაც სალაროსაკენ გასწია. სალაროსთან რიგი საკმაოდ დაგრძელებულიყო... რიგის ბოლოში მოქცეულ მანანას, წინა რიგებიდან, თანამშრომლებმა გამარჯვებულის სახით გამოხედეს.

— ჩემი ყოჩაღი გოგოები... — უნებურად წამოცდა მას და სახე სულგრძელმა ღიმილმა გაუნათა.

## კიბე

თეონამ მიწოლით შეაღო მძიმე კარი და თეთრი მარმარილოს კიბეს დინჯად აუყვა. სამკითხველო დარბაზი სტუდენტებით იყო სავსე. იქაურობა მოათვალიერა. ძლივს იპოვა თავისუფალი სკამი. გახარებულმა ფეხაკრეფით გასწია მაგიდისკენ.

მოახლოებულ სესიებს სტუდენტები წიგნებთან მიეჯაჭვა. ბეჯითნი მარტონი მოსულიყვნენ სამეცადინოდ, ხოლო შედარებით ზარმაცნი კი ჯგუფ-ჯგუფად და დროდადრო თავს საინტერესო ანეკდოტების მოყოლითირთობდნენ.

— შეწყვიტეთ ლაპარაკი! დატოვეთ

დარბაზი! — განუწყვეტლივ ისმოდა შეძახილი. ბერიკაციები მისამართით. თაროსთან იმდენი თანამშრომელი დაფუსფუსებდა, თეონას, პირველად, ცოტა არ იყოს, უკვირდა მათი სიმრავლე. მაგრამ, თანდათან, საქმეს დაკვირვებული თვალით რომ შეხედა, მცირედაც მიიჩნია.

თეონას, განსაკუთრებით, ის ქერათმიანი ქალიშვილი მოსწონდა, კეკლუცი ღიმილი რომ დასთამაშებდა სახეზე. „რა ახალგაზრდაა, ალბათ, უკვე დაამთავრა უმაღლესი. ბედნიერი!“ — ნატვრით გაივლო გულში. უცებ მერაბი გაახსენდა თეონას და გული სითბოთი აევსო... „რას შვრება ახლა?... ნეტავ ჩავირიცხო... მერე“, მან წიგნზე მორცხვად დახარა თვალები. დიდი ხანია არ ენახა მერაბი. ენატრება, მაგრამ რომ არ სცალია?... იგი უკვე სტუდენტია. აი, თეონაც ჩააბარებს და...

თეონა სკამიდან წამოდგა და თაროსთან ფეხაკრეფით მივიდა. ქალიშვილს რუსულ-ქართული ლექსიკონი სთხოვა. რომელი ლექსიკონიო, გაჯავრებით შემოუბრუნა კითხვა ქერათმიანმა და ცხვირი აიბზიკა.

— რუსულ-ქართული. აკი გითხარით, — დაყვავებით შეახსენა თეონამ. „ალბათ ყურადღებით არ მისმენდა“, გაიფიქრა თან.

— როდის მითხარი?! — შეუტია ქალიშვილმა.

„ეს რა მოჩხუბარი ყოფილა“...

— რა გაცინებთ? — ისევ აუხირდა ქერათმიანი.

— ნუ მეჩხუბებით...

— კი, მაგრამ რა გაცინებთ?

„ღმერთო ჩემო!“...

— ასეთი ჩვევა მაქვს, რომ დავდივარ ვიცინი ხოლმე, — ხუმრობა სცადა თეონამ.

— რამდენი სულელი შემოვა და აგიშლის ნერვებს, — პასუხად ჩაილაპარაკა ქალიშვილმა და მთხოვნელს წიგნი დამადლებით დაუგდო წინ.

„სულელი?!“ დაიჭირა თეონამ ქალიშვილის ნათქვამი და გაკვირვებულმა ღიმილმა სახე ფართოდ გაუხსნა. „ეტყობა, ადამიანის შეურაცხყოფა არაფრად უჩანს...“ — გაიფიქრა და ქალიშვილის გაბრაზებულ სახეს დააცქერდა. ქალიშვილი უტეხად ცდილობდა მისთვის მზერის გასწორებას და თეონა მოწოლილ ღიმილს მოთმინებით იკავებდა, რომელიც არ ემორჩილებოდა და სახეზე ჯიუტად დასთამაშებდა. გოგონას თვალები კი კვლავ დაუნდობელი წყრომით უმზერდნენ მას. იგი, უკვე, ცნობისმოყვარედ ჩაჰყურებდა ქალიშვილს და ღიმილი ადნებოდა სახეზე.

სულელი?!...

თეონამ ვერა და ვერ მოთოკა სიცილი. ის მთელი სიძლიერით მოასკდა და თავი აიწყვიტა. შეკავება უკვე აღარ შეეძლო. სიცილს ძალა და ხალისი თანდათან ემატებოდა და თეონაც იცინოდა და იცინოდა...

„ახლა კი გიჟად მომნათლავს, ნამდვილად“, — გაივლო გუნებაში, მაგრამ კალაპოტიდან ამოვარდნილ სიცილს ვეღარაფერი მოუხერხა. აღარ შეეძლო, ქანცავდა და გუდავდა სიცილი... ბოლოს, როგორც იქნა, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და დარბაზიდან გავარდა.

არა და არ ცხრებოდა სიცილი...

— გენაცვალე, ტირის ის გოგო... თავს წაადგა თეონას მეკატალოგე.

აწურულ თეონას სიცილი სახეზე შეაცივდა. იგი გულუბრყვილოდ მიაჩერდა ჩასუქებულ ახალგაზრდა ქალს...

— ტირის? — დაიჩურჩულა გაკვირვებით.

— ტირის! — მიიღო დასტური.

„ვაიმე, ტირის... მივალ და მოვეფერები!“ მიიღო გადაწყვეტილება დაბნეულმა თეონამ, მაგრამ...

— რა ვიცი... რთულია ადამიანი, — დაილაპარაკა უკანდახევით და ქალს აზრიანი მზერა გაუსწორა.

— იცით, რა... უთხარით, ბოდიშს გიხდის-თქო. ძალიან გთხოვთ, დააწყნარეთ... მე მისი შეურაცხყოფა არ მიფიქრია. მე გამიკვირდა მხოლოდ... არ ვიცი რა დამემართა... დააწყნარეთ!

თეონა არეული გამოვიდა ქუჩაში. ვერც ქალიშვილისა და ვერც თავისი

საქციელისათვის ვერ მოეძებნა ახსნა. გულს უკმაყოფილო გრძნობა ეუფლებოდა. „ნუთუ ასე ძნელია ადამიანთან კონტაქტის დამყარება?“ იგი ჩაფიქრებული დაეშვა ესკალატორზე. თვალიდან ვერ იცილებდა ქალიშვილის შეურაცხმყოფელ სახეს, და ღიმილს, რატომღაც, ვერც ამჯერად იოკებდა.

— გადექით განზე და გამატარეთ!... — უცნობის მოულოდნელი ხმა მოესმა თეონას და მან გაკვირვებით აჰხედა თავზე ყეენივით წამომდგარ ვაჟს.

— მე სწორად ვდგავარ... — შეეპასუხა იგი.

— გამატარეთ! — ოდნავ მუქარით მოითხოვა ვაჟმა.

„შარზეა“ მიბრძანდითო, დათმობით შესთავაზა თეონამ. „რა სათნო სახე აქვს“... — გაუკვირდა.

— რას მიყურებთ? — ჰკითხა ვაჟმა და გამომწვევი სახე მიიღო.

— რა მოგივიდათ? — უნებურად წამოცდა თეონას.

— რა უნდა მომსვლოდა?...

— რა ვიცი... გაღიზიანებული ჩანხართ...

— მერე თქვენ, რა...

— არაფერი... კეთილ ადამიანებსაც ემართებათ ხოლმე... გაგება უნდა მათ.

ქალიშვილის საოცრად რბილმა ხმამ და დაბალმა ტონმა ვაჟს გულში სითბო ჩაუღვარა, სიმშვიდე დაუბრუნა. იგი, კარგა ხანს, მოჯადოებულივით იდგა უცნობი ქალიშვილის წინაშე.

— მაპატიეთ... — დარცხვენით დაილაპარაკა ბოლოს და ძირს დაეშვა.

ესკალატორი რონინით მიიწევდა ზევით და ენერგიულად კეცავდა საფეხურებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუტა ბაგუა

## სარკე

ჩემთვის არაფერს არ დავიტოვებ,
არც რას დავუთმობ ხარბთა და ხვადაგთ.
მე არ მჭირდება წყალობა სხვათა,
მე ვუპატრონებ ჩემს თავს თვითონვე.

პირველყოფილი ვნებით და ჟინით
თუ არ დავიწვი, ვით ქარში ზვინი, —
რა ჭირად ვაქნევ თვალების ჟუჟუნს —
ალიარებას, მორთმეულს სინით.

ჩემი სახელი ერქმევა მხოლოდ —
მოკრძალებული ჩემი სიმდიდრე —
სახელს, რომელსაც მე დავიმკვიდრებ
ყველას შემდეგ და ყველაზე ბოლოს.

მასაც დაფარავს მტვერი და მური,
როგორც ჭვარტლიან მიწაში სირკეს.
...შემთხვევით თითებს შეახებს მდგმური
და — აღმოაჩენს საკუთარ სახეს...

## მონადირე

ირონიული

მხარზე ბერდანა მკიდია,
თან მახლავს ორი მწევარი,
გაწვრთნილი და უშიშარი,
ქარივით დაუწევარი.

გული უსკდებათ ავაზებს,
როგორც კი დავენახვები,
და უკან მოუხედავად
მიშლიგინებენ ტახები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებერი და საცოდავი,
დაფეთებული ფოცხვერი,
აშოლტილ ხეზე მიძვრება —
ცახცახებს და გადმოგვცქერის.

„რა მოგივიდათ, ლომებო,
წუთითაც არ დაიცადეთ!" —
უკვირთ ზებრებს და ჟირაფებს
და თავს გვიკრავენ მიწამდე.

სასაცილოა — შეხედეთ! —
ცერებზე მდგარი დათვები,
თითქოს შენდობას ითხოვენ
ზეაწეული თათებით.

თავჩაღუნული მარტორქა
ტყიდან ტყვესავით გამოდის
და გულში ღმერთს ევედრება:
„მაცოცხლე ამ საღამომდის!"

სამივე რომ დაგვინახა,
გულამოსკვნილად ატირდა.
ეს რომ ნამდვილად ასეა —
ჰკითხეთ მხეცთა და ნადირთა.

მე ვიცი, იმათ თვალებში
ვარ ქვეყნის დამაქცევარი —
მხარზე ბერდანა მკიდია,
თან მახლავს ორი მწევარი.

მაგრამ მე ჩემი დარდი მჭირს,
უკვე რამდენი ხანია;
ეს დარდი, კაცმა არ იცის,
რა ძნელი ასატანია:

ამიწიოკეს საქათმე —
გამითამამდნენ მელები:
იციან — ვერ გავიმეტებ,
იციან ვერ შეველევი.

## ორი მოგონება

1.

ბოგირზე ვდგავართ.
ამოდის მთვარე.
ფეხქვეშ კამკამებს მდინარის ფსკერი.
— მთვრალი ვარ შენი თვალების ცქერით,
გესმის? — ვჩურჩულებ
და ვნაბავ თვალებს.

და ვნაბავ თვალებს.
სველი პეშვებით
გამომაფხიზლეს — ვიგრძელებ კისერს:
მომჩერებიხარ ფსკერიდან ისე,
ცოტაც და — წყალში
გადავეშვები.

2.

მზეს როცა ვხედავ,
ვიხსენებ იმ მზეს,
რომ გაათენა სექტემბრის დილა:
შენ ლეღვის ხეზე ადიხარ ფრთხილად —
საცრის ოდენა
თვალებით გიმზერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტზე კიდიხარ
ხელებით, თმებით,
წვივები გიჩანს, ეკლით ნაკაწრი.
პირველად ვხვდები, რომ მამაკაცი
ილვიძებს ჩემში.
ორივე ვხვდებით...

ოცნებასავით
ტკბილი და შორი
მე თვალწინ მიდგას იმ დღის ზღაპარი:
სახეზე მწიფე ღელვის ტყაპანი
და გადამდები
სიცილი ორის.

## ღამის ფიქრები

ჩარ მიჯაჭვული მაგიდას
და ზოგჯერ, ღამით —
თაფლის მაგიერ — ბაგიდან
მოწვეთავს შხამი.

თითქოს წყალს ითხოვს მუდარით
ხრიოკი ველი —
აღარ ზუზუნებს ფუტკარი,
სისინებს გველი...

ბევრი დაკბინე ბოროტი —
დაწყევლე ღმერთი:
ვერ განიკურნა ბოლომდის
ათიდან ერთიც.

და ტირი თავჩამხობილი —
გველივით ბრძენი —
მოურჩენელი ყოფილა
მავანთა სენი.

მიდი და — ცერცვი აყარე,
თუ გინდა, კედელს:
ვიღაც უტიფრად ხარხარებს —
დასცინის კეთილს.

რა გაცოფებით გეკვეთა —
შეხედე უბირს!

სისულელეა რეგვენთან
დავა და ჩხუბი.

სიამე რად მოიკელი —
გარიდებს მზერას
ცერზე შემდგარი მლიქვნელი.
უშველე? ვერა!

ბუნებრივია, ბერების —
ამდენი ბერის —
ანაფორების ფერებით
ბრუვდება ბევრი...

ოთახი, სკამი, მაგიდა,
მაგიდა, სკამი.
შხამი მოწვეთავს ბაგიდან,
მოწვეთავს შხამი.

. . .

არ დაიჯერო, — პოეტის
ეკლიან გზაზე
ასე იყო და ყოველთვის
იქნება ასე.

საგანთიადო დარეკავს
ზარი და გესმის? —
ადამის ხნის ბათარეკა
ღიღინებს — მწყემსი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

როცა ქუხს, როცა ყორანი ჩხავის,
რა განცხრომაა,
რა ფუფუნება
ჩრდილს შეაფარო მუხისას თავი —
ამპარტავნული ფიქრით გაერთო,
ან შეაქციო ზურგი საერთოდ
შენს დაუწერელ კანონს, ბუნებავ!

მაგრამ ახელებს ქუხილი ქუხილს
და უცაბედად შემკრთალი მუხის
იხლიჩებიან სველი ტოტები,
და, ჩემო თავო,
შენ მეცოდები:
შეჭიდებული ქარს გამხეცებით
ეცემა მუხა და შენც ეცემი.

* * *

მან შეგიძულა სხვა სიძულვილით.
ასე სიზმარშიც — ღამით — მძინარეს
შურისძიების აწვალებს სურვილი,
როგორც ჯებირებს შლეგი მდინარე.

მან შეგიძულა, და მაგიური,
ყოვლისგანმსჯელი განგების ძალა,
თუმცა მიუზღავს სამაგიეროს
შენს ავხორცობას, დაცემას, ღალატს, —

სისხლი შხამივით რომ გამოდენოს,
ამაოებას ულრენს ძაღლივით,
და იტანჯება, როგორც ოტელო,
საყვარელ გვამის თავთით დახრილი.

## ტყემალზე მჯდარი

ცაში დაქროდა
მისი ოცნება;
მთლად უზრუნველი ბავშვის იერით
ტყემალზე იჯდა ის, ბედნიერი,
მთელი თავისი
დღე და მოსწრება.

ყველაფრის მცოდნე
ჭრელი სოფელი
არ მოელოდა მისგან გაბედულ
ჰანგებს, ტყემალზე იჯდა რამეთუ,
ჩიტივით ლაღი
და მგალობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამქვეყნიური
ჭუჭყი და სუსხი
არ შეხებია მის გულს და ქალას;
სიცილით შეხვდა დიაცის ღალატს.
რა აცინებდა, —
არავინ უწყის.

არ უბრძოლია
ეჭვთან და შიშთან.
თითქოს სამყაროს ჭვრეტდა,
საყვარელს,,
გულზე ბელტები რომ მოაყარეს:
ეღიმებოდა —
ტყემალზე იჯდა.

დღეს, როცა ასე
ყინავს და ცივა,
იმ უცნაური კაცის ხსენება
ისე მაშინებს, რომ მეჩვენება,
მე, უმეცარი,
ტყემალზე ვზივარ.

## ირონიული ბალადა

ვისაც შევფიცე: „სიცოცხლეს
შენ შემოგწირავ მთლად,
დღედაღამ შენთვის ვილოცებ
და დაგედები მტლად“, —
კი არ მოვიდა — მოვარდა:
გამომეცხადა მტრად.
თავს გადამასხა ბენზინი —
ფერფლად მაქცია, მტვრად.
— რად? — ვეკითხები, — ურჯულოვ.
ისეო, არცა რად.
— იქნება რამე შეგცოდე,
გაფიცებ მამის სულს.
არაო. და მე, საცოდავს,
ჩემივე თავი მძულს:
რამეთუ მხოლოდ ფერფლი ვარ —
ველარ ვიძიებ შურს.
...სხვა ნატვრა არა მინდა რა —
ხედ ამოვცენდე მსურს;
ხომ გაითლება იმ ხისგან
ოთხი ფიცარი სულ...

• • •

თუმცა-ღა მხიბლავს
სხვა დანარჩენიც, —
ყველა ფერიდან
ცისფერს ვარჩევდი.

ზღვასავით ღრმა და ცასავით ღია —
იგი ფერია შენი თვალების,
რომელთაც ერთდროს, ადრე თუ გვიან,
ასე გულწრფელად შევებრალები.

ოღონდ მანამდე — როცა ვინატრებ,
სადაც ვინატრებ სითბოდ, იმედად,
მომაგებებენ ცხოველ სინათლეს
და დამიხსნიან ღამის მღვიმედან,

რომ აზრი მისცენ
ჩემს არსებობას,
თუ გადმოგვხედა
ღმერთმა ზემოდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

წინ დაჭმუჭნილი
ფურცელი გიდევს —
ჭიანურდება კამათი ეჭვთან.
— რა გინდა, ბოშო! რასაც წერ —
ბეჭდავ,
დაბეჭდილს ზოგი
კოთხულობს კიდეც, —

შენ თავს იმხნევებ
და მაინც ღელავ —
ამაოდ დაშვრი, გგონია, ერთობ.
და მოთენთილი ჩურჩულებ: —
ღმერთო,
მსგავსი წუთები
აშორე ყველას...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირონ ხერგიანი

# გარინდება

არც რამ ზღვის სიოს დაუქროლია,
არც რამ კირჩხიბი მომწყდარა ციდან.
სულ სხვა რამ იყო
გარინდების მიზეზი თურმე —
მინდორზე გოგომ ჩამოიარა,
ხელების ქნევით ჩამოიარ
კაბის ფრიალით ჩამოიარა,
თეძოთა რხევით ჩამოიარა!..

გადიწკაპუნა ოქროს წვიმამ
ლოლონარ მოლზე,
თეთრმა რაშებმა
ქარაფებზე გაითქარუნეს,
ივრის ლაქაშებს ჩაუქროლა
წეროთა გუნდმა...
სულ სხვა რამ იყო
გარინდების მიზეზი თურმე —
მინდორზე გოგომ ჩამოიარა,
მხრებზე ეფინა
ბულულა თმები,
ჩიქილა ძოწისფერი ებურა,
პერანგზე წვიმის ლილი ებნია,
ლაწვებზე ლალის თრთვილი ებნია,
უნაბისფერი ედო სახეზე...

აბა სად იყვნენ სანატრელი
ანგელოზები,
აღარც სად კრთოდა ნაპერწკალი
ელვა-მეხისა,
მზეც საბლარდნელში
გასუდრულიყო...
სულ სხვა რამ იყო
გარინდების მიზეზი თურმე —
მინდორზე გოგომ ჩამოიარა,
ხამიან მდელოს უგავდა მკერდი,
ზედ წყვილი ქამა დასკუპულიყო,
ცირცელისფერი ჰქონდა ტუჩ-ბაგე,
თვალები ჰქონდა შალშავისფერი...

მთიდან მომწყდარი მობღაოდა
ღელე ზანქლით,
თამელის ბუჩქი თელიამში
კვარივით ენთო.
სულ სხვა რამ იყო გარინდების
მიზეზი თურმე —
მინდორზე გოგომ ჩამოიარა,
ხელების ქნევით ჩამოიარა,
კაბის ფრიალით ჩამოიარა,
თეძოთა რხევით ჩამოიარა.
მხრებზე ეფინა
ბულულა თმები,
ჩიქილა ძოწისფერი ებურა,
პერანგზე წვიმის ლილი ებნია,
ლაწვებზე ლალის თრთვილი ებნია,
უნაბისფერი ედო სახეზე,
ხამიან მდელოს უგავდა მკერდი,
ზედ წყვილი ქამა დაყუნცულიყო,
ცირცელისფერი ჰქონდა ტუჩ-ბაგე,
თვალები ჰქონდა შალშავისფერი...

ვითარც წარმართმა,
ჩავიმუხლე სველ ბალახებში
და ღმერთს ვუმღერე
ოქროსფერი საგალობელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახლები...

ხავსიანი და ჩაყამებული
ბებრის შუბლივით დამსკდარა
და დაპორებულა.
კაკარდიანი ძველი ქუდი —
რა სახურავი
ქუთუთოებზე ჩამოუფხატავს.
მარტოეული ძილს მისცემია
ვინმე შეშლილი ქადაგივით
ქვედამხობილი,
მოწყენილი და
მჭმუნავ-მთვლემარე...

თვალსაწიერზე მეორე დგას
მჯილშემართული
და ბუღა ხარის მობრიალე
ქლალი თვალებით
გასცქერის ქუჩას.
დამშვენებული თეთრი ქუდი
კინკოფოზე გადუწევია —
მთვრალი კაცივით,
ქვეყანა რო თავისი ჰგონია.
და ხელგაშლილი,
მხრებგანიერი,
გამვლელს უხმობს და ეპატიჟება...

იქვე ლოლნოში, ალიბუხრები
ბამბის ფთილებით დაპენტილები
მოციმციმობენ.
ხაწირის სიო თუ დაჰბერავს
მიღმიდან
ხოლმე
მეზობელთანაც გაიყოლებს
სურნელს ბაღისას...
„ხაწირის ქარო,
ნუ ხმიანობ
ჩემს საუფლოში —
გაადევნებს თვალს ძველი; მაგრამ
ამაყი სახლი —
ჩემს გარინდებას საკმარისად
ვარ შეჩვეული!..“

სოფლის ბოლოში
ორი სახლია —
ერთი მაღალი,
ერთიც დაბალი.
იქ ქივქივებენ,
ხინკალს ხარშავენ,
სტუმრებს ელიან
და არაყს ხდიან!
აქ — აივანზე დუმს შაოსანი,
კაბის კალთაზე ნაფრენია
ყურანა ბალღი.
იქ — სიმღერები მეფობენ
მიწყივ.
აქ — ჭუჭყუნი დგას
ან მდუმარება.
იქ — ყოვლისმძლევი მამაკაცი
საქმიანობს
გუთნის ხარივით!...

სოფლის ბოლოში,
ერთურთის გვერდით,
ორი სახლი დგას,
ორი ბაღია —
ჩამქრალი და აყვავებული,
ი, ორთა ტყუპთა
ძმათა სახლები —
ბაღათერასი
და გივარგისი —
ომის გრიგალში უგზო-უკვლოდ
შთენილის და
ვა-და-რჩე-ნი-ლის...

## რიყის ბინადრის მონოლოგი

ჭანჭრობთან ჭერხო
მჭმუნავ-მთვლემარე —
უშაქრ დარდების ქოხი.
საწუთროს ხევში ვისთვის სამსალა,
ვისთვის შარბათი მოჰქუხს...
თაკარა მზეზე ქათქათებს რიყე
ხავსიანი და ჭრელი,
მდინარეს ლოდი გამოურიყავს
ქვეყანას მდურვით ჩხვერავს.
ბევრსაც მიელის იღბალი ლოდის,
წურტალი ბედისწერა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლოდი აიტანს უამინდობას
ქართა ხორშაკთა მძლევი,
ტანდაკეჭნილი და ნაჯაფარი
გადასწოლია ღელეს...
უკუნისამდე უბრად იდება
ქირთა უჩუმრად მთმენი...

ხანდახან უგზო-უკვალოდ მფრენი
წერო შეჰყვება ველებს,
დენთიან ჭალებს თუ გააღწია
ქედს გადევლება მერე...

თუ გააღწია,
თუ გააღწია,
თუ გააღწია
მერე...
ლოდისთვის რაა ბედი ამფერი,
ვისთვის სიკვდილზე ძნელი!..

## სი მაარე!...

იტალიის ალპებში დაღუპულ „კლდის ვეფხვს“ — მიხეილ ხერგიანს მწარედ დასტიროდა მთელი სოფელი. განსაკუთრებით გულისდამწველი იყო მინაანის (მიხეილის) დაიკოს ნაზოს მოთქმა.

მზე აღმოსავლით ამოენთება,
მინაან!
ლაილას აფერადებს,
მინაან!
უშბას და თეთნულდს,
მინაან!
ვეძაზე არჩვები მოირბენენ,
ჯიხვნი ქარაფზე გადმოდგებიან,
შურთხები „კვირიას“ იტყვიან,
გლოვის ზარს დარეკენ,
მინაან!
სი მარე, მინაან,
ვოი, მინაან, მინაან!..

„კლდეებში ნუ გედარდებითო“ —
მინაან!
„მთებში ნუ გედარდებითო“ —
მინაან!
„მთებმა თავისი მუხლი მომცესო,
თავისი გული მომცესო,
თავისი ქუნთი მომცესო,
თავისი ძალა მომცესო“ —
მინაან!
ვოი, მინაან, მინაან,
მინაან, მირმინაან!..

ტყვილა გვამშვიდებდი თურმე,
მინაან!
ლოდინს გვიოლებდი,
მინაან!
ღმერთი კი არ იყავი,
ფუსდი, ლამარია,
ნათლიმცემელი,
მინაან!
სი მარე,
მინაან!
ვოი, მინაან, მინაან,
მინაან, მირმინაან!..

1 სი მაარე — ჩემო ძვირფასო (სვან.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭელიძე

# აია-კოლხიდელი ზღვაოსანი

## პოემა

### წინათქმა

სულ ახლახან დაიწყო აია-კოლხეთის ყოფითი და სულიერი კულტურის ფასეულობათა წარმოჩინება მიწისა და ზღვის წიაღიდან. ასევე ელის კვლევას ძველთაძველი კოლხური მითოსი, ფრაგმენტებად მიმოფანტული რომ ეხმიანება პრეისტორიულ ძეგლთა მდუმარე ნანგრევებს.

ცივილიზაციათა და რელიგიათა ცვლას, ჟამიანობებს და სტიქიურ უბედურებებს, გამანადგურებელ ომებს და მოკვდავთა გულმავიწყობას მყოფადისაკენ გამოსხლტომია ჩვენამდე მოღწეული უამრავი ჰანგი. ეს საგალობლები, ჰიმნები, ბალადები, ძილისპირულები, სალაშქრო, სამგზავრო, საგმირო, საჭირნახულო, საფერხულო, სალაღობო, სამგლოვიარო, სატრფიალო, შრომითი სიმღერები ერთი დიდი მითოსის დაწყვეტილ ჯაჭვის რგოლებს მაგონებენ, ზარისებრი წკრიალით კლდოვან ბილიკებზე დაქანებულს.

დაშლილი პოეტური ეპოსის მრავალხმოვანი რგოლები, ჩემი წარმოდგენით, ცალ-ცალკე მიჰქრიან თავქვე, ზღვისაკენ, თითქოსდა ზღვაში ლამობენ ისევ ერთიან, მარადიულ ჯაჭვად ასხმას.

ზღვაც, ასე, მთის მდინარეებივით იკრებდა ქართველთა ტომებს, რომელთა თვალწინ ვეება სტიქიონად იყო გაშლილი ფართო და ვრცელი სარბიელი.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულებამდე მოატანა აია-კოლხეთის ზღვაოსანთა, ვარსკვლავთმრიცხველთა, მუმიის ოსტატთა, ოქროს მესაწმისეთა, ხარებთან მორკინალთა, ლელომობურთალთა, ჯადოქართა, მისანთა, მოგვთა, მეზვრეთა, მჭედელთა, ხუროთა და სხვათა ნასახლარებზე აქა-იქ შემორჩენილმა პოეტური მითოსის ჟღერამ გაბმულმა, ოღონდ უკვე მინაზებულმა და ლირიკულობაში გადაზრდილმა.

გადარჩენილ ჰანგთა სიტყვები, რა თქმა უნდა, ჟამთასვლას ბევრგან შეუცვლია. ზოგ მოტივში მათი ადგილი შორისდებულებს დაუკავებიათ. დრო მაინც ვერ მორევია სათქმელ დეფორმირებულ მელოსის დახვეწილ ფორმას, სადაც კოლხთა და მათ ნათესავ ტომთა ალტაცება და ცრემლი, წარსული შვების სიამაყე და ღრმა ოსვრა ჩაგუბებულა.

ნახევარი საუკუნის წინათ, ჩემი ბალღობისას, ციებ-ცხელებისგვარ ცახცახს მგვრიდნენ, სულს მიფორიაქებდნენ ჩემგან ჯერ შეუცნობელი, ოდესღაც ერთი მთლიანი დიდი მითოსის ნაწყვეტები. ისინი თითქოს ზღვის მხურვალე ქვიშისაკენ და ბალღთა ცხელი გულებისაკენ მოქროდნენ, რამეთუ იქ ეგულებოდათ სათავე პირველყოფადობისა.

წვრილფეხობას, ზღვაზე არანაკლებ, ზღვაოსან-მებადურთა მონაყოლი ტყუილ-მართალი გვიზიდავდა, მაგნიტური არესავით.

რა დამავიწყებს იმ ცალფეხა, სახეგაყანგრულ, ხმაჩახრინწულ მენავეს, სიმღერის საღერღელი რომ აეშლებოდა ხოლმე... წერა არ ვიცოდი, თორემ ხუთი წლის ბიჭი ხუთიოდე სიმღერას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც ჩავიწერდი. მის ნამღერალთაგან ერთი ყველაზე კარგად დამამახსოვრდა და შინ გვიან მისვლისთანავე ჰანგზე ჩანგურის აყოლებით ვაცრემლებდი შინაურებს.

არა, იმ ხეიბარ მომღერალს უფაბულო, უსიუჟეტო არა სწამდა რა. ურთასმენას მძაფრი ამბებით გვაძაბინებდა.

ყველაზე ძალუმად ის ჩემი სათაყვანო თქმულება ჩამრჩა, მეხსიერებაში კი არა, სისხლში; მისით, იმ ლექსით ათეული წლების სავალზე მომყვებოდა და ახლაც თან მდევს აჩრდილი ოქროს საწმისის სწორუპოვარი ოსტატის — ჯოტო ოდორიასი. პაპუხს თავზარს მცემდა, თან რიდსა და პატივისცემას მაიძულებდა იგი — ძველ ბერძნებს ურჩხულად რომ გადაუნათლავთ სასწაულებრივი გაუტეხელობისა და შეუვალობისათვის. ცხადლივ თვალწინ მიდგას ეს ბრძენი და უმკაცრესი პიროვნება. მას, ძალმოსილ მეფესთან ნამეგობრალს, სასახლის ფლიდ კარისკაცთაგან განდგომილს და მათ მოძულეს, თავის ყაიდაზე აღუზრდია ობოლი ბადიში, შემდგომ დიდ ზღვაოსნად მოვლენილი — ბუბა ოდორია. ოქროს მესაწმისეთა გვარის —ოდორიათა ნაშიერი ის ჭაბუკია, რომელიც ღმერთკაცური შემართებით, კოლხური ფხიანობით, სიმამაცით, იდეალისათვის თავდადებული ქრონოლოგიურადაც უკან იტოვებს მსოფლიოს უთვალავი ეპოსის გმირებს.

სწორედ ოდორიას საზღაპრო საქმეთა და გვარის გამო მიმაჩნია ვენიალური „ოდოია“ უძველეს საგმირო ეპოსიდან შემორჩენილ ჰიმნად.

ბუბა ოდორიას სამყარო აია-კოლხეთის მეფის ქალის სიყვარულით, ბობოქარ ზღვათა ზედიზედ მოლაშქვითა და ხიფათებდაგებული გზებით არ შემოისაზღვრება. იგი დიდ მოღვაწედაა დაბადებული, მაგრამ... ახლა სხვა გმირს მივაკითხოთ.

ბერძნულმა მითოლოგიამ და ანტიკურმა ტრაგედიამ მედეას მრუმე ჯანღი შემოახვია, ისე, როგორც კრეონტის ასულს და იაზონის მორიგ საცოლეს მედეასეული შხამნასხურები მოსახხამი.

მისი ქვეყნის შვილს, ახლა, ადამიანის რაობაში ღრმადმეცნიერული წვდომისა და ბრძნული მიხნობის ალმავლობის ჟამს, სრულიად სხვაგვარად წარმომიდგენია დიდი მედეას მონუმენტური სახე.

დღემდე შეუცნობელ ბუნების ძალთა მესაიდუმლე და მპყრობელი, უაღრესად ძლიერი ნების ქალი, ალბათ, შიშის ზარს ცემდა ბევრ რამეში გაუთვითცნობიერებელ ელადას; როგორც ეტყობა, დიდი ხნის შემდგომ — ევრიპიდესაც. კიდევ მრავალი თაობა დაუბრუნდება მედეას პრობლემას...

უმედეოდ წარმოუდგენელია ჩვენი პლანეტის წარსული. მედეას ეპონიმი მიდია — ერთ დროს საკმაოდ ძლიერი ქვეყნის სახელი — მხოლოდ ისტორიის ანალებს შემორჩენია, მაგრამ მედეა და მედიცინა ხომ დედა-შვილი არიან! მედიუმიც მედეასაგან წარმოსდგება. ასე რომ კაცობრიობა და მედეა ერთად განაგრძობენ გზას უსასრულობისაკენ, როგორც კოლხიდა და „ოდოია“, როგორც საქართველო და შავი ზღვა.

ბუნებრივია, ზღვა უნდა ყოფილიყო ფონიც და ერთ-ერთი მთავარი გმირიც პოემისა, რომლის გამოქვეყნება წინათქმის გარეშე მეწადა, მაგრამ სიკეთის წილ სიკეთე როგორ მიმეზღო; როგორ არ ვუმადლოდე ქირთამთმენ, უნიჭიერეს ხალხს — უსაშველო ნგრევათა და კოლიზიათა გამოვლით შემონახულს ხელთუქმნელ მშვენიერების ბალავერისა, ღრმა და ურყევი საძირკვლისა, რომლის სიმტკიცის მოიმედე საქართველო მოზღვავებულ ეპოსის მოლოდინშია.

აია-კოლხეთის უზომო ნაწილი მიწის წიაღსა და ზღვაშია ჩაკარგული, ოღონდ მისი ჯავარი ქართველი ერის გენებშია გამჯდარი — მარად სამოქმედოდ, საასპარეზოდ და საბრძოლველად.

**ავტორი**

1

დრო უდროოდ არ შთანთქავს —
რაც უხსოვარ წარსულშია,
ყოვლის წამშლელ ჟამთასვლას
ბევრი რამ არ წაუშლია;
დროს არ ძალუძს სიმღერა
„ოდოიას“ დავიწყება,
ვიდრე შავი ზღვის ღელვა
ქარიშხლებით დაიწყება;
დრო აიელ მეკობრეს
ქუდს მოუხდის მოკრძალებით,
კითხვას გაუმეორებს:
„ხომ მშვიდობით მობრძანდებით?“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ბუბა ოდორიას
მივუტევოთ ის ცოდვა,
მშვიდობის დღე როგორია,
თუ სხვათაგან იცოდა.
ხმელთაშუა, წითელი,
შავი ზღვა და ზღვა მრავალი
ხნა და შურისძიებით
ხედნა გემი სწრაფმავალი.
ტალღებს სად არ ტორავდა,
არსად შლიდა იგი აფრას
ძმობდა მძლავრი ტროადა
ზღვისპყრობელთა დიდ წინაპარს.
ცა ჰქექდა, თუ გრიალით
ინგრეოდა ბაბილონი,
შავი დროშის ფრიალით
ქროდა შავი დაფიონი!
გაქცეული ზღვის ქაფით,
გაულენთილი ზღვის მარილით,
მტრის ხომალდებს სისწრაფით
აფეთქებდა გრიგალივით;
ყრუ და უღრან ყურეში
გემს ნიღბავდა ტევრი შოლდთა;
ნაფიც ძმათა ნუგეში,
მათი კერა, ჭერი, ოდა —
უცხო ნავთსაყუდლებში
მხოლოდ ღამით შედიოდა.
ბუბას არსად არ ქონდა
დამარხული განძეული,
მრავალ ქალაქს ახსოვდა
ძმობა მისგან გაწეული.
და ვისითაც გამწარდა,
ვინც უგინა მას მამული —
მარტო ელინთ ძარცვავდა
ზღვაოსანი განსწავლული,
სისხლში ეჯდა — საწყალთა
იავარქმნა აკრძალული,
ერთის გარდა, არ საწმდა
ქვეყნად სხვა რამ სასწაული...
ერთი რაღაც მანქანა
ძრავდა ხომალდს ჯადოსავით
და უბადლოდ მართავდა
ათი კოლხი ზღვაოსანი.
მისი ასი ნიჩაბი,
თითქოს ხელუკარებლად,
ჯერარნახულ სიჩქარით
ზღვას ზედაპირს უკვამლებდა.
აფრა ჯერ არ აჰკროდა
გემის ანძას ღრუბელივით,
შავი დროშით დაქროდა
ძალით სასწაულებრივით.
ზღვის ცხრა მგელთან პირველი
და ზღვის ენის მცოდნე მგელი
გახლდათ იმ საკვირველი
გემის გამომგონებელი.
იგი რისხვად და წყევლად,
მტრის წინარე სადიდგულოდ,
კოლხ ბერიკაცს აწერდა
იმ ხომალდის საიდუმლოს.
დიდ მეკობრეს არ ჰქონდა
სხვა რამ დიდი განძეული,
ზღვიდან ზღვაზე დაქროდა
მტრისგან ოჯახდაქცეული.
თაობებში გადავა
ზღაპრად ბუბა ოდორია,
დედა მისი და მამა
ზღვა და ლურჯი კოდორია;
მთაა, ტყეა, მდინარეა,
ცაა, მზეა, მისი ღმერთი,
რითაც ასე მდიდარია
საქართველოს ზღვისპირეთი.
მათგან განუშორებლივ
რბოდა ცვარში მეგობრებთან,
იქ ესვენა მშობლები
დაღუპული მეკობრეთგან.
დარჩა ბიჭი მშვილდ-ისრის
და ბაბუას ანაბარა,
ვინც შვიდი წლის შვილიშვილს
კარგი ნავი ჩააბარა,
უძღვნა ვარსკვლავთმრიცხველთა,
მოგვთა, ბრძენთა ეტრატები,
მემკვიდრისთვის ისედაც
სულს დალევდა ნეტარებით;
ბადეც უძღვნა და ჯიში
სისხლით ირგო ჩია ბალღმა,
ძველმა კოლხმა ჩადიში
კარგად შეაიარაღა.
ბავშვს სხვა რაღა უნდოდა,
ჰგავდა ოქროს თმებით რიყრაყს;
წყვილი წეროც ბუდობდა
მათ ეზოში, ბედის ნიშნად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II

და რამეთუ არ ირღვევა
წესი არცერთ სასახლის —
მას უღრენდა კარის ყველა
ძაღლიც და მამაძაღლიც.
ვიცით ჩვევა როგორია
ქლესათა და პირფერთა,
რასაც ჯოტო ოდორია
ოც წელიწადს ითმენდა.
მაგრამ მშვილდად არ გახრილა,
ვითარც უხმო ბოძალი —
გავარდნილა სასახლიდან
კარის ხუროთმოძღვარი...
და ლეგენდის თავი ერთი
ამდაგვარად იწყება:
დევნილს თავად აიეტი
თურმე არ ივიწყებდა.
მკაცრი მეფე-მეომარი
და ამაყი ხიზანი,
იყვნენ სიყრმის მეგობარნი,
ერთი ასაკისანი.
ბოროტ ძალად მიტომ სწამდათ
კაცი ბრძენი და წმინდა,
რომ იცნობდნენ დიდოსტატად
ზღაპრულ ოქროს საწმისთა.
თურმე ვიღაც ოხერტიალს
დაუყრია ხმა ხალხში
და ხიზანი მოხვედრილა
მთელი ქვეყნის ხახაში.
ხმა — იმ დღიდან გავარდნილი
მზესაც ესმა — ღმერთთა ღმერთს.
რადგან ჭორი და ნამდვილი
ზოგჯერ გვანან ერთმანეთს.
კოდორს გაღმელ-გამოღმელნი
იმღვრეოდნენ შურისგან,
ცნობდნენ გამვლელ-გამომვლელნი
ჯოტოს სახლ-კარს შორიდან.
მტრებად ექცნენ მეგობრები
მოყვასს, განა ვიღაცას, —
აბრაგნი და მეკობრენი
ბევრჯერ დასცეს მის ფაცხას.
შეეჩვია კაცი დუმილს
და მკვდრის ხვედრი ინება,
ვიდრე გვარის საიდუმლოს
გათქმა, გამოჩინება.
ერთხელ, დილით, ათეული
ზღვის ავაზაკ ბერძენთა
დახვდა ღამეგათეული
მოხუცს თავის ვერძებთან,
ათივ — თვალებანთებული
ოქროს საწმისს ეძებდა.
თავში სისხლის აჯანყებამ
დასცა ჯოტო იმ დილით,
დაამუნჯეს ყაჩაღებმა
რძლის და შვილის სიკვდილით.
იწვა კაცი დალახვრული
და არც სხვისი, არც მისი —
გულში ჰქონდა დამარხული
კოლხთა ოქროს საწმისი.
მისი ბრძნული დუმილი
აღვლენილი იყო ცამდის,
მსგავსად უტყვი მუმიის,
გახლდათ რისი დიდოსტატიც.
ახლა აღარ მოვყვებით —
რაც ქამთასვლას უმკლავდება,
რომ იწყება კოლხებით
კაცის სულის უკვდავება.
დაარისხა ბედი მკაცრი,
შესძრა შვილთა დაღუპვამ,
მაგრამ მტრობამ ბერიკაცი
ვერ გაზნიქა ბამბუკად.
ვლიდა იგი უჩუმრად
და ბადიშით ედგა სული,
განძის პატრონ ურჩხულად
იყო ერთხმად შერაცხული.
(ესაც იყო ნაუბარი —
წლებით ჯერ არ წაშლილი,
თითქოს ჯოტომ საკუთარი
გასცა რძალი და შვილი,
მაგრამ ხალხი რასაც იტყვის,
განა ყველა სწორია...
წინ მიმავლის გზაა დიდი
და სულ სხვა ისტორია.)
სანადიროდ მიმავალი
დიდხელმწიფე კოლხეთის
დიდებულთა დიდ ამალით
მასთან იდგა ყოველთვის.
ერთ დღეს მერეხ-თავსხმაში
მეფე როცა სტუმრებია,
ხიზანს იგი ფაცხაში
კარგად დაუპურებია.
რა ეთქმოდა?.. არც უთქვამს
მადლობის და კაის მეტი,
ძველ მეგობარს სათუთად
მოპყრობია აიეტი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოღონდ სიტყვა დიდ ვეზირს
გაუწყენია, როგორც სილა:
„გვაჩვენეო ის ვერძი,
ეგებ მართლა ოქროსია...“
მომხრობიან თანმხლებნი:
„გახლართაო ჩინებულად“ —
მაგრამ ბევრგზის ნახმლევი
კოლხი არ შეშინებულა.
ვეზირს, არყით გალეშილს,
გადაუკრავს ერთი ყანწიც
და ფარეშად ფარეხში
შესძლოლია ბერიკაცი.
რადგან ჩხრეკა მეძებრის
სინდისი და ნამუსია,
მას მძინარე ვერძები
სათითაოდ გაუცვნია...
ამოთხვრილა ფუნაში,
ამის გამო, უნებურად,
შერცხვენილი ულვაშით
უკან გამობრუნებულა.
თურმე თვალებშაშუბეში
იჯდა პირამრეზილი,
მერე მოხუცს შაირებში
გაუსვრია ვეზირი:
— გეძინება? თავის დღეში
დგახარ კარებსშეზრდილი,
ჯანკავ, ეგებ საჩიხეში
მოგესვენა ვერძივით?
გამკილავთა ხახაში
ჩავარდნილა ის მასხარა,
მეფემ ჯოტოს ფაცხაში
თურმე დიდხანს იხარხარა,
მაგრამ სწორედ იმ ვეზირს
ჩაუმარხავს შავი ბოღმა;
იმ დღეს იმავ მიზეზით
უამრავი შხამი მოჰყვა...
სამტროდ წაკიდებული
სიძულვილით, დანასისხლად,
ძრწოდა გვარდიდებული
ოდოირიას დანახვისას...
ვეზირს ბევრჯერ უცდია
ხიზნის სულეთს გადახიზვნაც...
დღენიადაგ უცდიდა
აღსრულებას განზრახვისას.

III

ტანთ გახადა და ბავშვი
ნელა კი არ შეაცურა,
გადისროლა შავ ზღვაში
ბერიკაცმა დევკაცურად.
ეს კოლხური ნათლობა
გახლდათ მისი ნაშიერის,
ვისაც ახალგაზრდობა
და კაცობაც წყალში ელის,
ვინც ნათელი დასტოვა.
ქარიშხლიან ზღვაში ელვის.
და ცურვაზე საუბარს
ბოლოს რაკი მივაღწიეთ, —
დავულოცოთ ზღვა ბუბას,
დავუბრუნდეთ სიყმაწვილეს:
ზარი დაჰკრეს იმ წლებმა,
სიმრწემისგან გაყრის წლებმა,
ოდეს სიმწრით იწყება
ბალღში კაცის გაღვიძება,
ოდეს სული გიზგიზებს
და ნედლ ფიქრებს წვავს შიშინით,
კვამლში ახვევს სიფხიზლეს,
სიზმრით ათრობს ჰაშიშივით.
ოღონდ ახლო თუ ზღვაა
და მდინარე ციცქალება,
სწრაფვა მისი სულ სხვაა,
სულ სხვა გზნებით იმსჭვალება;
ვერ ასაგნებს თავის სურვილს,
იგი, მსგავსად პოეტის,
ტროფიალია შორეთის
და ზღაპრული ნავით ცურვის.
ბუბას ზებუნებრივად
ეხსნებოდა ცხრაკლიტული
და ახსოვდა ზეპირად
ყველა წიგნი წაკითხული.
იგი ფიქრებს დასეულს
ცხად მიზნამდე დაწურავდა,
ოდეს ბაბუასეულ
ნავით ზღვაში დაცურავდა.
ის ხან სახეშეცვლილი
წყალზე ზურგით გაწვებოდა,
ბრუდასხმული თევზივით,
და ერთ წერტილს გასცქეროდა;
თითქოს გამოეგლოვა
ფაცხა — წიგნთა საბუდარი,
თითქოს გამოეგონა
რაღაც წმინდა — საკუთარი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზღვაში დიდხანს, მარტოკა
ცურვამ, კითხვამ გამოსცვალა
და ბევრჯერ შეატოკა
ბუბა ფიქრმა საოცარმა...
ერთხელ, როგორც აბდალი
შეხტა, ნავი გადახარა
და მთელი დღის ნადავლი
ისევ წყალში გადაყარა.
ჭავლში გადავარდნილი
რა იხილა, წახდა ბიჭი,
პაპირუსის გრაგნილი
გამოსტაცა ტალღას ნიჩბით.
სველი ფურცლის ხომალდი
ბუბას ხელით დახატული
ზეცას ასწვდა ხომალდის,
სიზმრის ანძებალმართული...
უცებ დაპატარავდა,
შორს გამოკრთა, როგორც ია,
ბოლოს იაც გაქრა და
შეკრთა ბუბა ოდორია.
მას ძალუძდა იმწამსვე
ოცნებათა დაურვება
და ზეციდან მიწაზე
საზრუნავით დაბრუნება.
მოსწყდა იგი ცას ფიროუზს:
„სად წაუვალ ბაბუაჩემს,
თევზის ნაცვლად პაპირუსს
ნავში როცა ამოაჩენს?..“
ბერიკაცი ამჩნევდა
კარგაძალი სიშორიდან:
„ბალღს რომ ფიქრი დასჩემდა
და სარჩოს ვერ იშოვიდა“...
ზღვიდან დაბრუნებული
მებადური ახალბედა
იდგა გაბრუებული
და სხვა რაღაც ახარებდა.
სულ სხვა სივრცე გაშლოდა
თვალშეუვალ დიდ სურათად,
სადაც მისი ბავშვობა
მძლე ხომალდით მიცურავდა.

IV

სანადიროდ ვიდოდა
ბუბა დილაუთენია,
ზღვისპირ ჭალა-მინდორთა
მწვანე ბევრჯერ უთელია.
არ მოუკლავს ირემი,
ერთხელ დაჭრა ფეხში შველი,
ცოცხალ ნანადირევით
გზას დაადგა ფეხშიშველი.
დილის ცვარშემორჩეხილ
ბალახებში გალუმპული,
ოქროს თმებაქოჩრილი
მოჰყვებოდა გზას ობოლი,
თან მოყავდა მორჩილი
ნუკრი ბაწარგამობმული.
გზისპირ ყანა მწიფდებოდა,
ბალახობა ხალისობდა,
ღრუბელთა სახელმწიფოდან
ავდრის ზარის ხმა ისმოდა.
ზღვის ვერანი ნაპირი
ზამთარ-ზაფხულ, უსვენებლივ
სავსე იყო ნადირით,
ფრინველით და უხსენებლით
ატყდა ზვირთთა დგაფუნი,
მებადურთა სადარდებლად,
თითქოს აქვთო დათქმული
ზღვას და ზეცას გაავდრება.
და მოხტოდა შვლის ნუკრი
ხან სამ, ხან ოთხ ფეხზე მდგარი
და მოსდევდათ მტვრის ბუქით
ქარი, როგორც მეძებარი.
სხარტზე სხარტი მალაყით
ახტებოდა ტალღა ტალღას
და ასწრებდა ბალახიც
ზღვის ტალღებად გარდასახვას
ლბილი იყო ცვილივით,
ნაწვიმარი დედამიწა,
იწყებოდა წვიმით
ქარში გაყრა დღელამისა.
სადაცაა ფშანებზე
მწუხრი გაიშხლართებოდა:
ატალღული შავი ზღვის
ქარი ქარიშხალდებოდა.
სადაცაა საწვიმრად
დატყდებოდა ცაში ელვა,
ბუბამ თავი ასწია,
ხმამ შეზარა საშინელმა.
მაგრამ განა ღრუბლებში, —
ის ხმა უცხო გარემოდან, —
სველი მიწის ღრმულებში,
სადღაც ახლო გაიმეორდა.
„ალბათ ცოდვამ მიწია“ —
შესძრა ბუბა საოცრებამ,
მის წინ დედამიწიდან

შავი ჯარბი ამოძვრება.
ცა თანდათან განათდა,
ცვარიც კი არ წამოსწვიმა
და მცურავმა თანდათან
თავი ფრთხილად წამოსწია.
აღარ ჩანდა საშველი,
შავი ჯარბი წრეს უვლიდა,
იდგნენ ბუბა და შველი
მოხუსხულნი წყეულისგან.
თუ ფიქრობდა სისხლშავი —
წრე დაერტყა წამოპარვით?...
იყო კითხვის ნიშანი
გველი ზეზე წამომდგარი.
ბუნებას ნათილისმარი
მხდალი თავი რად ულირდა!...
მცურავს სტყორცნა ისარი,
მყიფე კეფა გაუხვრიტა.
დაბზრიალდა საოცრად,
დაიგრიხა ის წყეული
და სისინით გამოსცრა
რაღაც ქვესკნელისეული,
ბოლოს დარჩა შავოსანს
მზერა მზისკენ მიქცეული.
ზღვაც დაწყნარდა, გაყუჩდა,
განეფინა ჩეროსავით,
უცებ გზაზე გამოჩნდა
ვიღაც უცხო ცხენოსანი.
რაშზე იჯდა ქალწული,
შუქს აფრქვევდა მზისმლოცავი,
მარცხნივ ,მხარზე კაცურად
გადეკიდა მშვილდ-ბოძალი,
მარჯვნივ მტრედი დაესვა,
მტრედი მეფე იყო მტრედთა,
თითქოს მზე და მთვარესთან
ბარათებით მიმოფრენდა.
შავი თმების ვასვასით
მოგელავდა მოჩვენება;
ღვთაებრივად ლამაზი
უცხო მასთან მოჭენდება.
მკერდგახვითქულ რაშიდან
გადმოხტება და ქალწული
ხვდება საქმე რაშია,
ჩქარობს გზაზე დაქანცული.
გახსნის იგი შავ ქისას,
თავს წაცლის მოკლულ მავნეს,
ბალიშს ასჭრის შხამისას
და გესლს, ცეცხლზე უმხურვალესს,
თიკნის რქაში ჩაისხამს,
მერე შვლის ნუკრს — ნაისრალს
დაუკოცნის შუბლს და თვალებს,
თბილ კალთაში ჩაისვამს,
ზღვის ბალახით უმკურნალებს.
პირუტყვს როცა მოარჩენს,
ეკითხება ქალი ყმაწვილს,
როგორც ნადირთ მოსარჩლე,
მაგრამ პასუხს არცკი აცლის:
— ალბათ, გინდა რომ დარჩე
დიდ ხელმწიფედ ამ მიწაწყლის!...
მაგრამ იგი ერთია
ქვეყანაზე და, ის ერთი
მზის შვილი და მეფეა —
ჩვენი დიდი აიეტი!
რამდენის ხარ:... თექვსმეტის?... —
ოდოიას კითხვა მწყრალმა, —
აწ გამაცნობ, ეგეთი
ნადირობა ვინც გასწავლა!
ყველამ, როგორც ინებებთ,
რომ იძალოთ განურჩევლად,
შენებრ მონადირეებს
ტყეში რაღა გადურჩებათ? —
თქვა და რაშს ზედ მოექცა,
ოღონდ ნაზმა ცხენოსანმა
გაულიმა მოისარს
და გუნება შეუცვალა:
ნუკრის მადლიც მოისხა
ძვალთა ხორცით შემმოსავმა:
ისევ იქით გაუშვა,
სადაც ხშირი მუხნარია,
— აწი მაგას რა უშავს,
ახლად მოსვლა უხარია, —
თქვა და შუბლქვეშ მოისვა
ნაზი ხელი მზეოსანმა,
მოდგმამ ჰელიოსისა,
მისანმა და შემლოცავმა,
უპირველეს ყოვლისა
ქალმა... — დიდად გაიოცა —
გზად შეხვედრილ მოისარს,
ველარ მოჰკრა თვალი როცა.
მგზავრმა მზერა ერთხელაც
მიმოავლო მთელ ხეობას:
ჩრდილი, ვეებერთელა
ნაბდად ტანზე ერხეოდა.
ბინდდებოდა, ზღვისპირას
მეფდებოდა სხვა სამყარო.
და მან ფიქრში იყვირა:
„ჰეი, ეშმავ, სადა ხარო!“...

მაგრამ ბუბა არ ჩანდა.
შეცბა მგზავრი და გაფითრდა:
„ასე უცბად რამ შთანთქა?...
როგორ გაქრა?... სად გაფრინდა?...
ქარი მწვანე ჭავლებად
ძოარხევდა ზღვასთან ტრამალს
და კაცის ჭაჭანებას
არ აჩენდა, არც — ნატამალს.
შიშმა ხელი დარია
მხედარს, სახე დაეძაგრა:
„კვამლია თუ ქარია?
კვალიც არ ჩანს — საით გაქრა!"
ფიცხი ცხენი აბორგდა,
ფაფართალხი, როგორც გვიმრა:
არტახებზე აკვროდა
შავ რაშს ბუბა ოდორია.
კოლხი ჯიქურ სიმარდით
თავს არ აწყენს ლამაზ სტუმარს,
უცებ ჩნდება პირბადრის
მხრების უკან ჯამბაზურად.
ისევ ძირს ჩაფრინდება,
რაშს გაუსწრებს, არ იღლება:
სიცოცხლეში პირველად
შესძრა ქალის გაღიმებამ...
ლაღი, გულმხიარული
რაშს მიუშვებს და ღვთაება
ძველკოლხური „მგზავრულის“
მომღერლისკენ გაქანდება,
თვალს მოსტაცებს ზღაპრული
მთვარის ზღვაში დაბადება.

V

— თხის რძე დამრჩა კათხაში,
საწუთროში — შავი ბედი;
ერთი თხა მყავს, ამ თხაშიც
მეცილება აიეტი.
კარგო სიტყვამკვახობას
ნუ შემარჩენ, გამიძელი.
ჩემი ენა დამღუპავს. —
ეტყვის სტუმარს მასპინძელი.
— მაინც რად გეცილება,
მეტის ყოლას რად გიშლის? —
მწარედ ჩაეცინება
დიდგვაროვნ ქალიშვილს.
— მეტის ყოლას არ ვჩქარობ,
ვერცხლი უნდა, კარგი, ვერცხლი.
მე და ბიჭმა რა ვჭამოთ?
მოშურნალმა ჭამოს ცეცხლი!
— შვილიშვილში ბედი გაქვს,
ნუ მოგშლოდეს ნუგეში, —
თქვა და ქალი ბერიკაცს
ჩააცქერდა გუგებში.
უცხო თვალებს წკურავდა,
სწყინდა, განა აზარებდა
მასპინძლისგან სტუმართან
მეფის გამასხარავება,
მაგრამ რაღაც ნაცნობი
ხმა უთრთოდა ბებერს ლბილი,
მისი კეთილკაცობის
დამადასტურებელივით
ქალი სწრაფად წამოდგა,
გზას შეავლო წუთით თვალი:
ბიჭს მოქონდა წყაროდან
იისფერი თუნგით წყალი.
უცებ, მწუხრში, ეზოსთან
მან წყვილ წეროს გადახედა:
ერთი სიკვდილს ებრძოდა,
ერთიც, იქვე, ბალახებთან
იდგა და დასცქეროდა —
თვალებს როდის გაახელდა.
უცხომ წასვლის წადილით
მიმოზვერა კარმიდამო,
თქვა: — წავალო ხვალ დილით,
დღეს მგზავრობა არ მინდაო.
მიმწუხრისას საწყლურად
არ დაადგა გზას სტუმარი;
არ ეწადა დაწოლა,
არც მოხუცთან საუბარი.
სურნელს ღვრიდა ფაცხაში
აორშხლილი, საოცარი
ღომისღომი და შაშხი,
ქადა — ახალგამომცხვარი.
ტაბლა სიგრძე-სიგანით
ივსებოდა ყანწიანად,
მრგვლად შემწვარი ციკანი
იცინოდა დამცინავად.
— თხის რძე თუ გაქვთ კათხაში,
ეგებ მასვათ დამარხვამდე! —
ბერიკაცი და ვაჟი
გულიანად ახარხარდნენ.
— რაც აქ ბრძანე, ირწმუნონ
აიელმა დედაბრებმა.
ჩემთან უნდა იცრუო?
შვილო, როგორ გეკადრება!
არ გაქვს ვაჟის ქალისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არც საპირე, არც სარჩული;
რად მონათლე ვაჟრისად
ზრუნვა შენზე დახარჯული?
ვინც ხარ, ხელად გიცანი
და ტყუილად რად გისმენდი!
მამაშენი ვინც არის —
დღეს გიხსენე — აიეტი! —
თქვა და თავი დახარა
მასპინძელმა დარცხვენილმა, —
მიუტევე ჭაღარას,
თუ რაიმე გაწყენინა.
წელან თვალისახვევა,
თხის ამბავი როცა გკადრე,
თუ ეს დამეძრახება? —
შენ იცრუე ცოტა ადრე.
მზისშვილს მხარში ვედექი,
ხმლის და რწმენის ანაბარა,
ბოლოს, აი შედეგი —
მეც გამიცნო მთა და ბარმა:
მის ერთ ვეზირს შევები,
სიჯიუტემ დამაბრმავა,
ვერ დამჯაბნა შეგნებით
სიკვდილის წილ თანაბარმა.
მისგან ამითვალწუნა
მზის ძემ — დიდმა აიეტმა.
დღეს კი მეფის ქალწულმა
დასაცინად გამიმეტა.
— ჰო, ეს მეტისმეტია,
ნუ გამკილავ სტუმარს მკაცრად, —
მოხუცს ეტყვის მედეა, —
რაც გაკადრე — უკაცრავად...
— რძე თუ გინდა, ბევრი მაქვს,
არ გეგონოთ დანაშშევი...
კიდევ მნახავს ბერიკაცს
გულმოწყალე მამაშენი.
ლაფშა, რითაც მობრძანდი,
ფერით, ფაფრით მანიშნებდა,
რომ მოგყავდა მოზარდი
აიეტის საჯიშედან.
თვალს შევავლებ და ვიცი,
ცხენი რომლის შვილიც არის,
შევიცანი მაგ კვიცით
და სპილოს ძვლის შვილდისარით.
თუ გაქვს, ვითარც მამაშენს,
ჩემზე გული გაყინული,
ველი შენგან განაჩენს,
დამაბრმავე თვალხილული.
შენთან რა ვარ? — ტყის კაცი!

მკვახე გკადრე გაუცნობლად. —
თქვა და თხის რძით თხის ყანწი
ჯოტომ სტუმარს გაუწოდა.
იყო გულგასახარი
სამთა წრფელი ჩახუტება,
მეფის ასულს ხარხარი
მათთან ერთად აუტყდება.
ბადიში და ბაბუა
იმ დღეს, სტუმარ-სუფრიანად,
სოფლის ლხინშიც ჩაბმულან
ხელმწიფეზე უპრიანად.

## VI

სვებედნიერ ქალიშვილს
როცა ისევ ზრდის ბებია,
როცა დიდი ქარიშხლის
რისხვა ჯერ არც სიზმრებშია,
როცა მთელი აია —
ზღვა, უსაზღვრო სანაპირო
მისი მიწაწყალია,
სალხინო და სანადირო,
როცა მეფის და მამის
ღმერთია და ქვეყნის თვალი,
უფრო მეტად თამამი
უნდა იყოს მეფის ქალი;
მას შეშვენის სწორებთან
ტკბობა ცეკვა-სიმღერებით,
უზრუნველი ცხოვრება
და სიამე სიბერემდის,
ლხინი დაუსრულებლად
სხვა მეფეთა ასულებთან
და მრავალთა სურვილთა
ელვისუმალ ასრულება,
თვალთაგან მორიდებით
დროსტარება ყმაწვილებთან,
ალმას-მარგალიტებით
ხალხის თვალწინ გაბრწყინება...
ამდაგვარი ცთუნების
უარმყოფი რომელია, —
თუ დიადი ბუნების
დიდ შვილად არ მოვლენილა!
სწორედ ასეთ დიდ შვილად
იდუმალი ძალის ბავშვი
დაიბადა იშვიათ,
სწორუპოვარ აიაში.
ჯადოსანი ბებია
ბადიშს — დიდად ალღოიანს —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარშვას ბალახებისას
აყვარებდა ბალღობისას.
მას ხელს არვინ უშლიდა —
მოელახა დედამიწა,
ოღონდ, არც თუ გულმშვიდად
სდევდა თვალი დედ-მამისა...
მსგავსად შვილის უნახავთა,
ჰვრეტდნენ რიდით და კრძალვით.
მეფის ასულს თუმცა ყავდა
უმრწემესი და-ძმანიც.
ბალღს გონება ნათელი —
განსჯამ ხალხის ნაუბართა,
კითხვამ ფოლიანტების
ერთიათად გაუნათა.
რაც მის გრძნეულ ბებიას
აკლდა რიგი ღირსებათა,
ის გააჩნდა მედეას,
ჭარბად სწორედ ის ებადა.
მას ძალუძდა [illegible]ენების
კითხვით ძლევა სხვა სწავლულთა,
ხალხში წამლის მიგნებით
აცხადება სასწაულთა.
კოლხთა არ დარჩენია
ვალი დაუბრუნებელი —
მისით გადარჩენილა
ბევრი განუკურნებელი
და მედეას ღრმად სწამდა:
კაცთა მოდგმა ინანებდა,
რამეთუ ხე წამალთა
მოჭრეს ადამიანებმა.
დარჩა იმ ხის ფესვები
მხოლოდ ხალხში უვნებლები —
ბალადებით, ლექსებით,
ლეგენდებით, თქმულებებით.
მეფის ქალმა ამიტომ,
დღიდან სოფლად მობრძანების,
ბინა მათთან დაიდო,
მათ უსმენდა მოკრძალებით,
სადაც მწარე ბოლითაც
დგება სითბო სანუკვარი,
სადაც მრავალ ფოლიანტს
ერთვის ბრძნული საუბარი.
მაგრამ გრძნეულ მედეას
ერთის შურდა საწყალივით:
„ბევრად ჩემზე მეტი აქვს
მოგვთა წიგნი დასწავლილი...
ახსოვს პალიმფსესტები,
ეტრატები, ფირფიტები;
ვიდრე მას დავეწევი,
კითხვით გამოვიფიტები".
არა, არსად, არცერთი
არ ბრწყინავდა ქალის თვალწინ
მკვირცხლი და თან ასეთი
განსწავლული ყმაწვილკაცი.
და მედეა მიხვდა დროზე —
ამ ორ წმინდა ტაძართან
ვიღაც უცხო იაზონზე
ენას როგორ დაძრავდა...
ფაცხაში, როგორია —
იჯდე სულიწმინდასავით
და ორი ოდორია
განცვიფრებდეს წიგნსაცავით.
ზღვა კარგარეთ ღელავდა
ცხარედ აღრიალებული,
ღამეს ცისფრად ღებავდა
ტალღებაყირავებული,
შინ — კერასთან ელავდა
თვალებაბდღვიალებული
ქალი — მისანთ ბელადად
ერთხმად აღიარებული.

VII

მას მოსძაგდა ქალაქის
ჰავა, წყალი, ცა და მიწა,
სადაც მკურნალთ ამაგიც
ბაზრულ ხარკად გადაიქცა,
სადაც უნიჭოები —
მსტოვრის ყურებასახლეჩნი —
სისინებდნენ ჭორებით
მზის მემკვიდრის სასახლეში...
ერთმანეთის მთათხველნი
მეფის ასულს ერთად მტრობდნენ
მაინც მისი სახელის
შარავანდედს შენატროდნენ.
მაინც მრავალ ქვეყნიდან
მოდიოდნენ განსწავლულნი, —
ეგებ ხილი ეხილათ
უცხოთათვის აკრძალული.
კრავდნენ, მეფის ბრძანებით,
სპანი საზღვრის გზას და ხიდებს.
ცეცხლში წვავდნენ წამლების
ცეცხლის ფასად გადამყიდველს.
ამ აკრძალვამ დაცოფა
ბევრი შაჰი, მაღარაჯა,
ვინც თავისი კაცობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰარამხანათ დაახარჯა.
კოლხთა სამახსვარეთაც
აგუგუხდა მთა და ბარი,
სახელის წინ განიხვხა
ყველა კარი და საზღვარი,
აზრიალდა ხალხის ხმა,
მითქმა-მოთქმის ატყდა ქარი,
ყველამ იცნო და მიხვდა —
ვინ ყოფილა ამაგდარი, —
მწირთა, ღატაკ-ღარიბთა
მკურნალი და დასტაქარი.
ის, ვინც ცილისწამებით
წუმპე-ლაფით შემოსვარა,
ახლა მისივ წამლებით
შოულობდა შემოსავალს.
ბაზრის აურ-ზაური
არ თავდება, არც მოთავდა;
მას დაერთო ხმაურით
მობრძანება არგონავტთა;
ჯადოქარი დიაცის
სახელს ვინ არ წარმოთქვამდა.
ისიც, სწორედ ამიტომ
ბინძურ ქალაქს განერიდა,
თავი ნებით გაიგდო
უწმინდური ჰაერიდან.
გაეცალა სასახლეს
სილამაზის, სიბრძნის ელჩი;
დასიზმრებულ ბალახებს
წამლად წყვეტდა ზღვისპირეთში.
თხრიდა იგი ხის ფესვებს —
სამკურნალოდ, საღებრებად,
იალალზე თხის მწყემსებს,
მეჯოგეებს ამღერებდა.
მას ავდარში, წვიმაში
მზე უმზერდა ღრუბლებიდან,
იდგა თავის წინაშე
და საკუთარ სულს ხედნიდა...
სულ იწვრთნიდა, ხალისით
ტვირთს ზიდავდა სასჯელივით,
რადგან სწამდა — ხვალისთვის
იყო ქვეყნად გაჩენილი...
ახლაც, მიწას მორუხო
ჯანღი როცა გადაეკრა,
თვალით ნაგაზს მოუხმო
და ვერძები გადარეკა.
მწყემსის ქოხში შესულმა
ბუბამ — დალილ-გათფლილმა
მეფის ასულს მწყემსურად
ოქროთივა გაუფინა.
შეკრთა ბუბა და წახდა,
როცა შიშისზარისმგვრელი
შავ ქისაზე ნახატად
დახვდა აქაც შავი გველი.
— ხატი როგორ გაშინებს?
შიში ეგრე რამ მოგგვარა? —
თქვა და გახსნა მაშინვე
ტყავის ქისა ჯადოქარმა.
მასთან ღამის მთეველი,
დღეს მთვლემარე ქამარსშიგან —
ხანჯალ-სამართებელი
ამოაგო ქარქაშიდან.
ყმაწვილს მაჯა გაუჭრა,
ზედ აპკურა წვეთი — შავი,
მდუღარ სისხლში გაუჯდა
ოდორიას გველის შხამი.
— ახლა ერთსაც გასწავლი,
დღეისიქით დაგახსომდეს:
ყოველ მცურავს აცალე,
არ დაასწრო არასოდეს,
თუ ის დაგკბენს, საწყალი,
იმწამს დათმობს ამა სოფელს,
თქვა მედეამ სიცილით, —
მყავხან სასახლეში გველნი —
მხოლოდ სისხლის სიცივით
რომ არიან საშინელნი...
მყავს ლომები, ვეფხები
და აროდეს მეშინია;
მათ ვეხვევი, ვემთხვევი,
რადგან მხეცი ჩემშივეა.

VIII

ცხელა. მთაში ადის ყველა,
ხალხი მთისგან შველას ელის,
თბილი ქარი და ზღვის ღელვა
დასიცხებულს ველარ შველის.
ვილაც ჩივის: — აი ბედი...
ჰოი, ჩემს თავს რა რისხვაა?...
გუშინ ზღვიდან ამოვედი,
აქაც ზღვაა, ხალხის ზღვაა!
შუბლს უჭმუხნის მედეას
მათი ზრინვა ყურწამღები...
სიცხეს გარიდებიან,
როგორც ციხეს — ტუსაღები:
გარდა ბაზრის და ამინდის,
რა აქვთ სალაპარაკო?...

ზოგი ნავაჭრ დავლას ითვლის,
რა აქვს სააგარაკო?...
ქვეყანაზე სხვა რა ხდება,
საამისოდ ვის სცხელა.
უკვირთ, ხორცად რომ საღდება
მუხუდო და ცირცველა.
ხვალის ნამდვილ საჩივარზე
ბჭობას ყველა გაურბის
და სულ ასე, ჩარხის ქვასებრ
ბრუნავს თემა საუბრის.
ყველას რაღაც აწრიალებს,
ყველა თავის თავს უვლის,
ველარ უძლებს ამ წვრილმანებს
ყური მეფის ასულის.
ვიღაც ჭინკა ბებრუხანამ
ჯადოქარი რა ნახა,
დრო ეშმაკურ შეუხამა
და ხმამაღლა გასძახა:
სიკვდილის წინ ჩემმა ქმარმა
რაღაც მითხრა, დაიკო,
გამიცოცხლე, რა მიჭირა —
მინდა კარგა გავიგო.
მოგვს სიცილით წამოსკდება:
— რა გიშველო? თუმცაღა...
შემიძლია გაცოცხლება,
მის მაგიერ თუ წახვალ.
კურულობა* გაახურეს
ფიცხლად ფიცხმა კოლხებმა.
და მედეას, მათ შემყურეს,
უჭირს ხმის ამოღება.
სიცხისა და შიშის ქარი
მოედნიდან უბერავს,
სადაც ქშენით გიჟი ხარი
დასდევს დონდლო ბუმბერაზს.
დიდი ხვატის გამო სცხელა
ასულს ამაყ მეფისას,
თუ კოლხური კალოსხელა
წრეში გადახედვისა?
ზოგი კივის, აღარ ცხრება,
ზოგს წყინს, ზოგი ხარხარებს,
გოლიათის დამარცხება
ირგვლივ ყველას ახარებს.
ხარს წაგება და მოგება,
ხალხის ოხვრა არ ესმის, —
მხოლოდ რქებზე წამოგება
უნდა მოასპარეზის
მთების ექო, როგორც ქვევრი,
ხმებს აბრუნებს ხარხარის
და შერცხვენილს ხვდება ხვედრი
ცოცხლად დასამარხავის.
ხარს დევკაცი გაერიდა,
როგორც ნათელს — ბუ — დილით
და გავარდა არენიდან,
კოლხურ ლელოს ბურთივით.
ხარის გულის გასახარად
ცხარედ დასცხო ბრბომ ტაში,
ოღონდ არა ასე ხარბად,
დღეს რომ არის მოდაში.
ხალხმა დიდხანს იხარხარა,
კურულობა არ ჩაქრა:
ზოგმა ხარი, ზოგი ხარმა
დათრგუნა და დაჩაგრა.
კაცის ცოცხლად დამმარხველიც,
მცველიც მისი ღირსების, —
ნიშნად ბრძოლის განახლების, —
ხალხი უმზერს დიდ სეირს:
წრეში ვიღაც ტანად ხმელი
შედგა ბალახისფერი,
კუროს რქებში სტაცა ხელი,
მოუგრიხა კისერი.
მორკინალმა ხარს აჯობა,
თავზე ჩვარი დახურა,
ოთხსავ ფეხზე დაიჩოქა,
ვაშა დაიმსახურა,
მაგრამ ხალხს არ დააცალა
გულმოსულმა პატრონმა,
ხარს ხმლით თავი წააცალა,
მოედანზე დატოვა.
ატყდა გმინვა და ხორხოცი
ერთად ზრიხვა-ხარხართან;
იმ შიმშილში ახალ ხორცის
შოვნას ვინ არ დახარბდა!
ხმა, გნიასად, ღრიანცელად
თავს იმ თავთან იყრიდა,
რომლის ტანი ვიღაც ძველმა
ყალთაბანდმა იყიდა.
წრე შეიკრა და ერთბაშად
მიწყდა, დაცხრა ყაყანი.
მორკინალს და პატრონს დარჩათ
ხარის თავი და ტყავი.
მაგრამ კურულობა ცხარე
არ მინელდა, არ ჩაქრა;

* კურულობა—კაცის ჭიდილი ხართან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგი ხარმა, ზოგმა ხარი
დათრგუნა და დაჩაგრა.
ბოლოს ბუბა ოდორია
გამოენთო წრეში და...
ბრბოს ბუხება როგორია!...
ბრბო აბორგდა, შეშინდა.
— ჰოი! ვაი! ჩქიმი ცოდვა!.. —
ქალთა რიგი აკნავლდა,
მაგრამ ხალხში ვინ იცოდა —
ოდორიას რა ჰკლავდა:
ცეცხლი, მტრობა, ქალი, შური,
მეფე, წყალი, ისარი,
ვინმე გლახა უმადური,
თუ მძვინვარე ის ხარი?
კაცი თავის სიკვდილითაც
აქ ვერავის შეშლიდა
უწმაწურად იტყვის ვილაც:
„გამოვათ ქვეშიდან..."
ბუბა, წითელ ნაჭრით ხელში,
იდგა ცალფეხსდაყრდნობილი,
უცებ გაჩნდა ხარი წრეში —
შუბლზე ყანწებდამხობილი,
სპილოსავით წყვილი ეშვით
ლომთა, ვეფხთა დამფრთხობელი
და ყმაწვილთან მძიმე ხვნეშით
შედგა, ვითარც ახლობელი.
შვების ოხვრა აღმოხდათ...
და ჩამოწვა მწუხრის ფარდა,
ვინ უწყოდა, რა მოხდა

ჯადოქარი სტუმრის გარდა!
ხვატის გამო არ სცხელოდა
დღის და ღამის გაყრისას,
მისი მზერა აცხრებოდა
მღვრიე თვალებს ხარისას.
მას თოკავდა და ებრძოდა
ყოვლისშემძლე ქალი სხვას,
რომლის დიდ და მძიმე ცოდვას
ვერ წარეცხდა შავი ზღვაც.
თორემ მისთვის რაა ხარი,
ლომს აჩერებს, ლომს უვლის,
ფიქრში ეპყრა ახლა რქანი
სამტროდ კოლხეთს მოსულის;
საბერძნეთი ედგა თვალწინ,
რომლის ერთ შვილს ესურვა —
იგი, როგორც დედაკაცი
წინ წარუძღვეს მეგზურად...
რისთვის? თავად როგორც ამბობს —
წმინდა ცეცხლმა დადაგა?
არა, იგი ოქროს გამო
გადაიქცა ქადაგად.
გაითანგა ხალხი შიშით,
ზოგი ბინდში აჩქარდა,
ზოგიც ჩადგა ხორცის რიგში
იმ ყალთაბანდ ვაჭართან.
უკუიქცნენ მორკინალნი —
წელან სიკვდილმისჯილნი
და წრე დარჩა ხორკლიანი,
ნლიქებით აჩიჩქნილი.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

# ფეხშიშველა სასიძო

## არც ისე სასაცილო ამბავი

— არწივის თვალი გაქვს, არწივის. შენი დაუნახავი ქვეყანაზე არაფერია. მოწმედ რომ დაგიბარებენ, დაწვრილებით მოჰყვები, რაც ნახე.

— კი, ბატონო, მოვყვები.

— იტყვი, იმ ნადირმა გოგოს ტანსაცმელი რაფრად შემოახია და ახადა ნამუსი...

— მე ეგ არ მინახავს, ბატონო.

— გინახავს, სიდონია, გინახავს. ვინა გყავს დამნახავი, რომ არ გინახავს?

— ჩემი სინდისი მყავს მოწმედ, ბატონო, რაც არ მინახავს, ვერ ვიტყვი.

— ამ ეტაპზე ასეა საჭირო... ჩემთვის და შენთვის კი არა, სოფლის სახელისთვის. ერთი ველური ბიჭის პირუტყვობისთვის ყველა ხომ არ გავილანძღებით? დიდი კაცი ჩემს მტერს გადამტეროს!

— ვერა! ამისთვის თუ დამიძახეთ, ვერა!

— შე ქალო, პატივს გცემთ... გინდა პირნაწყლით, გინდა ნაღდი ფულით... რამდენსაც იტყვი... ასი იყოს, ორასი, სამასი...

— ცრუ მოწმე დამნაშავეზე დამნაშავეა, ბატონო ნესტორ...

— ეს რა ცრუმოწმეობაა? შენი თვალით ხომ ნახე ტანსაცმელშემოხეული გოგო?

— იმ ზედგასაცივებელმა თვითონ შემოიხია, ჩვენ რომ დაგვინახა... მე ამას მოვკარი თვალი, ბატონო.

— მაშასადამე, შენ გირჩევნია, მთელი სოფელი გაილანძღოს, ვიდრე...

— დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ვინ რავა გაილანძღება და ვინ ვის გადაემტერება, მე ჩემი სიცრუით ტუხას ცოდვას ვერ დავიდებ. მე ვნახე, მანქანაში გოგო-ბიჭი გემრიელად ჩახუტებული იწვა... სხვა არაფერი ვიცი... თუ მეტი საქმე არაფერი გაქვთ, ღამე მშვიდობისა!

დაჰკრა ფეხი, შეტრიალდა და წავიდა.

— ვაი, ვაი, ვაი! — თავში ხელების ცემით შემოვიდა არიშა. — ეტყობა, ამ წამხდარი საქმის კეთილად შემობრუნება სოფელში ალარავისა სჯერა, ხალხს უკვე მოხსნილი ჰგონიხარ, თვარა, დაბდურა ქვრივი სიდონია, შვიდი შვილის დედა, ამას გაგიბედავდა? რა გვეშველება, რა გვეშველება! დავილუპეთ! რამდენჯერ დაგიპირეს მოხსნა და ძლევენმა გიშველა, ახლა ველარაფერი გიხსნის. დავილუპეთ! ვაი, ვაი! ქვრივი რომ ამას გიბედავს!

— ხმა ჩაიწყვიტე! — შემოსწყრა ქმარი. — შენი მოთქმა-ვაებალა მაკლია! ნუ შემომტირი! მარტო დამტოვე, ფიქრს ნუ მიშლი!

არიშა უხმოდ იქნევს მუშტს იმ ოთახისკენ, სადაც ინგა წევს და მიფამფაშებს აივნისკენ, მაგრამ იქ დიდხანს

* გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 4.

ვერ ჩერდება, ისევ ქმართან ბრუნდება და კვლავ ვიშვიშებს:

— ეს რა უბედურება მოგვიხტა მგელივით! შესაძლოა, შე უბედურო, ის ამბავიც გამოგიჩხრიკონ, ქალაქში კოლმეურნეობის ხარჯზე სახლი რომ აიშენე და მოხსნაც არ გაკმარონ. ვაი ჩვენს შავ დღეს!

— ქალო, წუწუნის გაგონება მეჭირვება კიდევ? მომწყდი თავიდან! ყორანივით ნუ შემომჩხავი.

არიშა დროებით ისევ აივანზე გადის.

მაგრამ ეს საიდანღა გაჩნდა აქ ასე უეცრად?

— ნესტორ, შენს გვერდით მიგულე, შენს გვერდით! მე ლალატი არა მჩვევია! — სულს ძლივს ითქვამს ტერენტი, ეტყობა, აღმართი სირბილით ამოიარა, ოფლს ჭადრაკული ცხვირსახოცით იწმენდს. — გამართლდა ჩემი ვარაუდი, გამართლდა! ამ დანაშაულს ციხე მოუხდება, დიახ, მხოლოდ ციხე, ციხე! არა, თუ?

— ტერენტი, რას გამიბი აქ ალილუიასავით ციხე და ციხე! — შეუღრინა ნესტორამ.

— ამ დანაშაულს დიახაც ციხე მოუხდება, ციხე! მხოლოდ ციხე!..

— მომშორდი! ყველამ თავის თავს მოუაროს! შენ გეუბნები, ტერენტი!

— თანაგრძნობა თუ არ გინდა, ჰერიც მომჭამე! — მხრებაწურული წალასლასდა ტერენტი.

— ვაი, ვაი! ტერენტის რაღა უნდოდა, კაცო? — შემოიხედა არიშამ.

რა მალე შეტრიალ-შემოტრიალდა ყველაფერი! უცებ რამდენი იმედი გაუღვიძა ნესტორას ინგას სტუმრობამ: დისწულს ბედში რომ ჩავაგდებ, მერე კაპიტონის დამოყვრებით მეც წავიწევ წინ, ლარულაში პირველი კაცი თუ არა, მეორე მაინც გავხდებიო, ერთად ათას სიკეთეს ელოდა და საქმე თავის სასიკეთოდ რომ ეგონა გაჩარხული, ყველა ვარაუდის ჩარხი უკუღმა შემოუტრიალდა, ყველა ოცნების ფერადი ბუშტი ბათქაბუთქით შემოასკდა. ქვეყნიერების დამხობას წარმოიდგენდა ნესტორა და თუ სტუმარი ასეთ დავიდარაბაში გაებმებოდა, სიზმარშიც რომ მოლანდებოდა, არ დაიჯერებდა. გულზე ცეცხლმოკიდებულს წყლის სმა აუტყდა, მაგრამ გულის ცეცხლი ხომ ის ჩვეულებრივი ცეცხლი არაა, წყლით რომ ქრება. დალახვროს ეშმაკმა, რა მალე დაიმსხვრა დიდი სიკეთის ტკბილი მოლოდინი და რა საშინელ რისხვად შემობრუნდა. ჯერ იყო და, ერთობ შორს დაუმიზნა ნესტორამ, დიდი კაცის დამოყვრება ჩაიფიქრა. ნადირას, დიახაც, მოეწონა ინგა, გოგოს არ მოეწონა ნადირა და ნესტორას, როგორც იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მერე იფიქრა, ყვავს რომ კაკალი გაიგდებინო, ისიც კარგიაო. თუ ვერ დავიმოყვრებ, კაპიტონს ქალიშვილის წყალობით დავუახლოვდები მაინც და ქალაქში თუ დამჭირდა გაქცევა, დამეხმარებაო. ახლა დაახლოებას ვინღა ჩივის. შესაძლოა, სამტროდაც გადაექციოს, დაადგას ფეხი და მოსრისოს ბალახივით. არიშა მართალია. თავმჯდომარეობიდან რომ მოხსნიან, აღარ უნდა ფიცი-მტკიცება, მერე ქალაქშიც ველარ გაიქცევა, უფრო სწორად ველარ გაბედავს გაქცევას. იქ რომ სახლი აიშენა წინდაწინ, ეს აღარც უნდა გამჟღავნდეს, თორემ, ეშმაკს თვალი არ უჩანს, იქნებ მართლაც სავანგებოდაც გამოუჩხრიკონ და თითზე დაიხვიონ: საიდანო და... ჩააყუდონ ციხეში. დიდი კაცი ვინმეს კრიჭაში ნუ ჩაუდგება, თორემ... კაპიტონის სურვილს ვინ გმირთაგმირი დაუდგება წინ, რასაც მოისურვებს, იმას გააკეთებს.

ნესტორა კაპიტონის რისხვის მოლოდინმა რამდენჯერმე შეაცახცახა.

„ის რა თქვა „ხაზეინმა“, ეს ამბავი ისე მოქსოვეთ და მოარგეთ იმ გოგონიჭს, ყველა კმაყოფილი დარჩესო, თუ ნეფე-დედოფლის სამოსელად მოიქსოვება, მთლად კარგიო? ნეფე-დედოფალი! ტუხა და ინგა ნეფე-დედოფალი!.. შეიძლება კი ასეთი რამ? ქვეყანაზე შეუძლებელი რა არის? რაკი ინგას იმ ლ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეს მაინცდამაინც წინააღმდეგობა არ გაუწევია, იქნებ ქმრადაც ისურვის და... ღმერთმა ქნას, თუნდაც დროებით, თუნდაც დროებით, საქმის დასაშოშმინებლად დათანხმდეს ხელისმოწერაზე, კანონიერი ცოლ-ქმარი გახდნენ, მერე კი... კისერი უტეხია ორივეს და... ყველას, ვისაც ეს ეხება.

ჰო, ამ სიკეთეს რომ იზამდეს ინგა, ტუხას ცოლობაზე თუნდაც დროებით დათანხმდებოდეს და ამ დავიდარაბაალიაქოთს გააცივებდეს, რა კარგი გოგო იქნება. მაშინ ნესტორიც გადაურჩება დიდ რისხვას. ჰო, ინგა რომ დათანხმდებოდეს: ერთმანეთი ერთი ნახვით შეგვიყვარდა და ეს იმიტომაც მოხდაო. მაშინ კაპიტონი ნესტორას ძალიან ველარ შემოსწყრება, ყური რატომ ვერ მიუგდეო...

ნესტორა ახლავე მივა ინგასთან და დაჩოქილი შეევედრება: ტუხას წაჰყევით, ეს, უპირველეს ყოვლისა, შენი სახელისთვისაა საჭიროო. უქებს და უდიდებს ტუხას, ცამდე აიყვანს.

რას ეტყვის? ადამიანის არც ქება აწყენს, არც ძაგება. მავანს ზოგჯერ შეიძლება ნაკლიც კი უქო... განა ნესტორას ცოტაჯერ დასჭირვებია და გამოუყენებია ასეთი რამ, როცა უფროსის სიამოვნება ეწადა? ეს, იცოცხლე, ნესტორას ემარჯვება. ჰოდა, თუ სჭირდება, ამ ეტაპზე სჭირდება სათანადო ფხის გამოჩენა. იქნებ ეს ხაფსია, მაგრამ როდესაც ხელჩასაჭიდი სხვა არაფერი გეგულება, ხავსიც იმედია. უაღრესად ტკბილად და დაყვავებით მოელაპარაკება ინგას, მამაშვილური კეთილგანწყობილებით, წყნარად, აუღელვებლად, დამშვიდებით, რომ უფრო დაარწმუნოს.

დაუკაკუნა:

— შვილო ინგა, გძინავს?

— რა დამაძინებს!

მართლაც რა დააძინებს ახლა ინგას! ამას წარმოიდგენდა, თუ მისი ამბავი საქვეყნოდ გახმაურდებოდა და ერთი თამამი ნაბიჯის გადადგმა ასე საბედისწერო გაუხდებოდა? მერედა მიხვდა, რომ აჩქარდა, ძალიან აჩქარდა. ჯერ ტუხა კარგად უნდა შეესწავლა და ასეთი რისკი მერე გაეწია. ხომ გაიგო წინდაწინ, რომ ტუხას არც სიმდიდრე უყვარს, არც ფული, რატომ უფრო ფრთხილად არ მოიქცა, რისი იმედი ჰქონდა, ჩემს მსხვერპლშეწირვას უთანაგრძნობსო? თუ ტუხამ ვერ გაუგო, სხვა ვინღა გაუგებს, რომ ეს თავქარიანობით არ მოსვლია ინგას? მოეწონა ბიჭი, უიმისოდ სიცოცხლე ველარ წარმოედგინა, ჰოდა, ბიჭისკენ პირველი ნაბიჯი თვითონ გადადგა. თუ ტუხა დილითვე დაიწუნებდა, ხელს ჰკრავდა და ასე აბუჩად აიგდებდა, ვერათერით წარმოედგინა, თორემ... თორემ ნამდვილად არ გადადგამდა ტუხასკენ ნაბიჯს. იქნებ სწორედ იმითაც დააშავა რამე, რომ მიეძალა? ეტყობა, დააშავა. ქარაფშუტულად მოიქცა და უნდა დაისაჯოს... მსხვერპლი, რომელიც არავის სჭირდება, ეტყობა, არაა ნამდვილი მსხვერპლი. ეს უფრო დანაშაულია, ორმხრივი დანაშაული, სხვის წინაშეც და საკუთარი თავის წინაშეც, და ინგა ისჯება კიდეც ამ დანაშაულისთვის... ეს პირველი შემთხვევაა, როცა თავისი სურვილი ვერ აისრულა, თუმცა საამისოდ ყველაზე ძვირფასი რამეც კი გაწირა. ნუთუ, ნუთუ ყველაფერი დაიკარგა და ამ ამბავს აღარაფერი ეშველება? ნუთუ წუხანდელი ამბავი ინგასთვის მხოლოდ ავადმოსაგონებელ ტკბილ სიზმრად დარჩება?

— შვილო ინგა, გძინავს?

— რა დამაძინებს!

— გულს ნუ გაიტეხ, შვილო. ტუხა ცუდი ბიჭი არაა. თვალტანადობით რაც არის, თვითონაც კარგად ხედავ. არც ვაჟკაცური სილამაზე აკლია. არც — სხვა რამ. ერთი შეხედვით იქნებ უხეში მოგეჩვენოს, მაგაზე სათნო და უწყინარი ბიჭი დუნიაზე არ დადის. სხვებს ნუ დაუგდებ ყურს, სოფელი ჭრელია. ჩემსავით კარგად ტუხას არავინ იცნობს. მაგ ბიჭს არსთა გამრიგებელმა სულ სხვა რამ დაანათლა, ნამდვილი მირონცხებული ადამიანია. გაბე-

დე, შვილო, გაბედე და წაჰყევი. არ ინანებ ბოლოს.

— წავყვე, არა?

— ახლა ასე სჯობია-მეთქი, თითო ნაკლი ყველასა აქვს, თუ ნამდვილი ადამიანია. ტუხა ზოგჯერ უცნაურად იქცევა მაგრამ ცოტ-ცოტა უცნაურობა ვის არა გვჭირს. ტუხას უცნაურობა კეთილია, ზედმიწევნითაც კი. მერე რა, ახლა ღარიბი რომ არის, სამაგიეროდ მაგის ძალ-ღონე ათას კაცს ეყოფა. კი, ჯერ-ჯერობით მხოლოდ სხვებს ახმარს ძალ-ღონეს, მერე მიხვდება, ასე ცხოვრება დიდხანს არ მარგიაო და... ოჯახსაც მიხედავს, გამდიდრდება. ჭკუა-გონება და საქმის მიხვედრილობა ისეთი უნდა, მაგას რომ აქვს. მართალია, ზოგ რამეზე თავის აზრს გამოთქვამს, მაგრამ ეს მისი ბუნება-ხასიათია... ძალიან მართალი ბიჭია, გულში არაფერს მალავს...

— მახელებთ, ბატონო ნესტორ?

— არა, შვილო?! მე და შენი გახელება?!

— აბა, რატომ მეუბნებით იმას, რაც ისედაც კარგად ვიცი?!

— კეთილი, შვილო, კეთილი! თუ უჩემოდაც იცი, ამას რა ჯობია... ჰოდა, ნუ დაიხევ უკან, წაყევი!.. ბედნიერი იქნები შენც და ისიც! ეს, უპირველეს ყოვლისა, შენი ღირსებისათვისაა საჭირო... ბიჭს რა ენაღვლება.

— კი, მაგრამ, როგორ წავყვე, თუ... თუ არ ვუნდივარ?

— ვის არ უნდიხარ?

— ვინც არის.

— ტუხას არ უნდიხარ შენ?!

— დიახ, ტუხას არ ვუნდივარ მე. ეტყობა, თქვენ არაფერი არ იცით.

— ტუხას არ უნდიხარ შენ?! — ჰკვლავ ჩაჰკითხა ნესტორმა, რომელმაც ყურებს არ დაუჯერა განაგონი.

ინგამ უხმოდ დააქნია თავი, უსიტყვოდ სინანულით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გადამრიო?! შენ რა, დაეთანხმე და უარი გითხრა?

— საწუხაროდ. აბა, რა მიკლავს გულს?

— არა მჯერა, არა მჯერა, არა მჯერა! — ხელები გაასავსავა ნესტორამ.

— ტუხა შენისთანა გოგოს უარს რავა ეტყოდა? ასე ბრმაა? ესე იგი, შენ თანახმა ხარ და ის... არ მესმის, არაფერი არ მესმის?!.

— შემიყვარდა. ყველაფერი სიყვარულით ჩავიდინე!

— როდის მოასწარი შეყვარება, შე დალოცვილო?

— მოვასწარი. ყველაფერი მოვასწარი და, მგონი, აქვე დამთავრდა ჩემი სიცოცხლე!

— ნუ გეშინია, რაკილა ასეა საქმეები მე ვიცი. შენს თავს მე არავის დავაჩაგვრინებ!

— წადი, მომშორდი!

შემცბარი ნესტორა გადაბარბაცდა.

— მეჯავრებით! ყველანი მეჯავრებით!

— შვილო!..

— მომშორდი-მეთქი!.. ფარისევლები!..

ნესტორა ინგას მიაშტერდა, ხომ არ გაგიჟდაო, მერე შეძრწუნებული გამოვიდა თავის ოთახში და ცოლს წასჩურჩულა:

— სტუმარი ისე სასოწარკვეთილია, მეშინია, თავი არ მოიკლას. ჭუჭრუტანიდან უთვალთვალე!

სტუმარი ქალიშვილის ამბავმა ელვის სისწრაფით შემოირბინა ორქუჩიანი ქალაქი და მალე მთელი რაიონის სოფლებს მიედო.

მთელი ორშაბათი და სამშაბათი ლარულაში თითქმის არც ერთი დაწესებულება თავის საქმეს არ აკეთებდა. ყველას ეს ამბავი ეკერა პირზე: რაც მოხდა, ბევრი არაფერია. ბიჭისაგან გოგოს შეცდენა წუთისოფლის ახალი

ხილი არ არის; მთავარია, ამ ამბავს რა მოჰყვება. ინგა რომ ვინმე პატარა კაცის ქალიშვილი ყოფილიყო, დანაშაული, ასე თუ ისე, მალე ჩაიფარცხებოდა, მაგრამ კაპიტონ დალიაშვილის ასული ეგრე უბრალოდ ხელწამოსაკრავი არავის ეგონის.

— ნესტორას ამყამად უეჭველად მოხსნიან! — ვარაუდობდა ერთი.

— ახაც იქნება! — კვერს უკრავდა მეორე, — არ იცოდა ვის ეპატიჟებოდა სტუმრად? ქალაქელი გოგო რომ ჩამოიყვანა აბა, რა ეგონა? დიდი კაცის ქალიშვილის სტუმრობით აშენებას აპირებდა და, ა, აშენდეს ახლა! ახია, ახი! ვენაცვალე ვაჟკაც ტუხას, კარგი ოინი უყო, იქნებ განგებაც. თურმე კარგა ხანია ნესტორას ჯავრი სჭირს... რომ ღიღინებდა არხეინად: რას დამაკლებს სოფელიო, ვარ ყველაზე ოხერიო, აწი იმღერის, თუ ბიჭია, და მე ბანს მივაშველებ.

— ჩვენც ვეტყვით ბანს! — იცინის რამდენიმე კაცი, ვისაც კარგა ხანია ნესტორას ჯიბრი სჭირს და მისი მოხსნა სიზმარ-ცხადში ენატრება.

ზოგი სხვა რამესაც ვარაუდობს: ამ ამბავს შეიძლება მარტო ნესტორას მოხსნა კი არა, ლარიულადან მიტროფანეს გაპინტრიშებაც მოჰყვეს, ახალი უფროსი ძველ კადრებს მთლიანად შეცვლის და გადაახალისებს, ჩვეულებისამებრ ზოგს დააქვეითებს, ზოგს დააწინაურებს, ზოგსაც სულ ამოუძირებს კუდს ქალაქიდან, კოლმეურნეობაში სამუშაოდ გაგზავნისო.

ზოგმა ჭადრაკული ცხვირსახოციც კი დამალა, რადგან ეგონა, მიტროფანეს აგარაკიდან ჩამოსვლამდე მოხსნიან და ვეტყვი: მე კარგა ხანია მისი კაცი აღარ ვარო.

ძველისძველი დაუწერელი კანონია: თანამდებობის ადამიანს, ვიდრე დიდ სკამზე ზის, არც უკმაყოფილო ხალხი დაელევა, არც — მადლიერი.

ვინც რაიონის ხელმძღვანელის კაცად მიაჩნდათ, ვისაც მიტროფანე სწყალობდა სიახლოვით, წაგებას და დაზარალებას ელოდა, ვინც მიტროფანეს [illegible] თვალში არ მოსდიოდა, ვინც მან [illegible] დანვე ახლო არ მიიკარა, ის მოგებაზე ოცნებობდა უკვე, წინ წაწევასა და ერთი-ორი საფეხურით ამაღლებას ელოდა.

ტუხასადმი დამოკიდებულებაც ამის მიხედვით მჟღავნდებოდა. მიტროფანეს უკმაყოფილონი გულში იცინოდნენ და ლოცავდნენ ტუხას, მადლიერნი კი — შეშფოთებულნი იფურთხებოდნენ და გულში აგინებდნენ „იმ ველურ ბიჭს".

ხალხის მცირე ნაწილი საქმის კეთილად დაბოლოებას წინასწარმეტყველებდა და არხეინად გაიძახოდა: კაი პურ-მარილის სუნი მცემსო.

რომ ვთქვა, ტუხა ხატეველს ამ მხარეში აქამდე ვერავინ ამჩნევდა-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ ტუხაზე აქამდე საგანგებოდ რომ არავინ მსჯელობდა და ლაპარაკობდა, ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა. ამ შემთხვევამ კი იგი ჯერ ბერხევის ყბაში ჩააგდო, მერე პატარა ქალაქ ლარიულას ორქუჩიან ყბაში და პერი! მისი ამბავი შორს გაჯირითდა უბელო ცხენივით. რაიონში ყველამ გაიგო ტუხას სახელი.

აბიათარ მასწავლებელს შეშურდა ეს ამბავი და უბის წიგნაკში ჩაიწერა:

„ვისაც კვალის დატოვება უნდა, ხალხს უნდა მოხვდეს თვალში ან ავად, ან კარგად. ქვეყნიერების წალმა-უკუღმა მოტრიალე მორევში ჩავარდეს, მავანი გაამწაროს, მავანი დაატკბოს, ერთგან კლდეს დაეჯახოს შუბლით, მეორეგან — სხვას გაუტეხოს თავი. ეს არის თურმე მთავარი. ზოგი კი აკვნიდან სამარის კარამდე წუთისოფლის ოღროჩოღრო გზას ისე გაივლის, ერთს არსად წაიფორხილებს, არც არავის წაეჩხუბება, არც არავის მოეფერება, არც კეთილს დათესავს, არც ბოროტს ჩაიდენს და საბოლოოდაც ხელში არაფერი რჩება, კვალდაუტოვებლად მიდის ამქვეყნიდან.

ალბათ, ასე გაივლიდა მზიან-ჩრდილიან ცხოვრების ბილიკს ტუხა ხატეველიც, გაივლიდა, როგორც ასი და ათას

ერთი მისი მსგავსი ბიჭი, მოკვდებოდა ასევე ჩუმად, როგორც ხუჭავს თვალს სამუდამოდ ასი და ათას ერთი მისი მსგავსი, დაიმარხებოდა მთების გალავანში ჩაკარგული ბერხევის სოფლის ღვთავლავნო სასაფლაოზე, მამის გვერდით, დაადებდნენ, როგორც მამამის ბეკოს, ერთ პატარა ლოდს და ზედ წააწერდნენ მისი დაბადება-გარდაცვალების თარიღს. მორჩა და გათავდა! იმ ლოდთან გაჩერდებოდა ტუხას წუთისოფელი და საფლავსზემოთ დარჩენილი სიცოცხლეც, მეორენაირად ადამიანის ხსოვნა-მოგონებას რომ ეძახიან, მალე იმ ლოდსაც ბალახმულასი დაფარავდა და იმ ადამიანის ცისქვეშ გატარებული დღეების სახსოვრად ქვეყნიერების ზურგზე პატარა, ერთი პატარა კვალიც არსად დარჩებოდა, ინგასთან ეს ამბავი რომ არ გადახდენოდა, ამიერიდან კი ტუხას სახელი მარად იცოცხლებს...“

ნესტორას კოლმეურნეობის კანტორაში ძეხორციელი არავინ დახვდა. სიცარიელემ და სამარისებურმა სიჩუმემ შეაშინა და გააბრაზა კიდეც.

„უკვე ყველა ისე ერიდება ჩემთან შეხვედრას, თითქოს კეთროვანი ვიყო. არიშას თქმისა არ იყოს, ალბათ მოხსნილი ვგონივარ ყველას. ცოტა გამიჭირდა თუ არა, განზე გამიდექით, ხომ? თუ ჩარხი ჩემკენ წალმა შემოვატრიალე, გიტირებთ ყველას ყოფას, ვისაც ჩემი წახდენა ახარებს, ისე გადავიჯირგალებ მის გულზე, ჭედაც არ დავხედავ. კა, ასე ვიზამ, თუ ნესტორა მქვია!“

ეზოში კანტორის შიკრიკ-დარაჯი გამობანდალდა თვალების ფშვნეტით.

— ბუხილა! — გადასძახა აივნიდან ნესტორამ. — თათარი რომ დაგვესხას თავს, ერთი პასუხის გამცემი არავინაა ახლომახლო. სად გადაიკარგა ყველა?

— ჯერ, ბატონო, არავინ მოსულა.

— არც ბენია?

— ბენიამ გუშინღამ დამიბარა, ხვალ დილით ან მილიციელებს წავყვები მთაში, ან დარიკოს მოვიყვანო.

ნესტორა სათათბირო დარბაზში შევიდა, სავარძელში ჩაჯდა და ფიქრის ღრუბლებით დამძიმებული თავი ჩაჰკიდა.

„ნამდვილად გულთმისანი კაცი ვარ. რაღაც წინათგრძნობა ყოველთვის არ მასვენებდა და ტუხას თავიდან მოშორებას მკარნახობდა: ეს აყლაყუდა ნადირი რამე შარში გამხვევს ან ხიფათს გადამყრის, ა, აღდგომა და ხვალა-მეთქი. არ დაელოდა შორეულ აღდგომას, ავი სიზმარივით ამიხდა მალე. ვის გადავეკიდე, ვის! ჩემ ჭირად გადაურჩა ომს ბეკო და წყეულმა ნახევარკაცმა ჩემ უბედურებად ამოიარა ბერხევში და გააჩინა ეს მხეცი... მაგრამ იქნებ ეს მხეცი მალე კაპიტონის სიძეც გახდეს და... ფრთხილად, ნესტორ! მეტი დაკვირვება გმართებს!

ერთხელ წამოსცდა თურმე ტუხას, ტანი მიგრძნობს, დიდი კაცი გავხდები და ყველა უსამართლო დიდ კაცს დედას ვუტირებ, ცირკის დათვივით ვაცეკვებო. თვითონ ეგებ მაშინვე დაავიწყდა ეს მუქარა, მე კი დღეს წამდაუწუმ მახსენდება. მგონი, დაუდგა აღსრულების ჟამი ტუხას წინათგრძნობას. ანგელოზებმა დაანათლეს, ალბათ, დიდკაცობა და თავის ბედს ვინ გაექცევია! აბა, სად ტუხა და სად ინგა, თუ ბედისწერა არ იყო, რამ შეახვედრა ისინი ერთმანეთს?“

ნესტორა ახლა იმაზე ფიქრითაც იმტვრევს თავს: ტუხას რა გასაღები მოვარგო, რომ ჩემს სიტყვაზე მოდგეს. ეს არც ისე იოლია. თავქერიფა ბიჭს არც გაწყრომის ეშინია, არც მუქარის, ვერც ტკბილი სიტყვით მოინადირებ მის გულს, ვერც ალერსით. ჰოდა, როგორ მოიქცეს? შეხვედრისას უშვერი სიტყვით აგინოს თუ ტკბილად ესაუბროს? გინება, დიახაც, მოუხდება გულს. მაგრამ, მერე იქნებ ისე შეტრიალდეს საქმე, ტუხას ინგა ათხოვიონ და კაპიტონის სიძეს ნესტორას გინება ხომ მუდამ გულში ექნება გამონასკვული და სადღა გადაიკარგოს ნესტორა? ისევ ჯობია, ჯერ ტკბილად დაუყვავოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ... ტუხას გული როგორმე თავისკენ მოიბრუნოს...

ათასჯერ აწონილ ფიქრს ნესტორა კვლავ წონის ასეც და ისეც, რა ურჩევნია, ტუხამ ინგა ითხოვოს, თუ... მათი გზები გაიყაროს სამუდამოდ? რომელი უფრო დალუპავს? ბატონი მიტროფანე ამ ეტაპზე მართალი იყო, რა თქმა უნდა, ახლა მშვიდობით საქმის დაგვირგვინება ყველაფერს აჯობებს. შეიძლება ნესტორამ ამით მოიგოს კიდეც. კაპიტონმა მერე, ჯიშიანი შვილიშვილები რომ გაუჩნდება, ტუხას სიძეობა სიკეთედ მიიჩნიოს და ნესტორასაც წყალობის თვალით გადმოხედოს. იმედი არასოდეს არ უნდა დაკარგოს კაცმა.

ამ იმედის მოლოდინით დამტკბარ ნესტორას სავარძელში ჩაეძინა და რიგიანი ფშვინვაც ამოუშვა.

ფერადი ოცნებების ბუშტების ბათქაბუთქით დალილ-დაყრუებული კაცი ფერად სიზმრებში გაეხვია.

მოანგარიშე კოკონამ დარბაზის კარი ორიჭოდ გამოაღო და შეიჭყიტა.

შეიჭყიტა და რას ხედავს:

ნესტორას პირზე ჩამოფარებული ჭადრაკული დიდი ცხვირსახოცი ქუდქვეშ დაუტანებია, აქაოდა, ბუზმა არ შემაწუხოსო. ფშვინვისას ცხვირსახოცი აიწევს და ეშვება, აიწევს და ეშვება, ფშვინვა აფრიალებს. ამოსუნთქვისას ცხვირსახოცი ისე მაღლა იწევს, შუბლი მთლიანად უჩნდება ნესტორას, ჩასუნთქვისას — პირისკენ გაურბის, ლამის ეს ჭადრაკული ცხვირსახოცი შიგ შეუვარდეს, მაგრამ ამოფშვინვა ისევ აფრიალებს.

კოკონას ფხუკუნი წასცდა, მაშინვე ხელი მიიფარა პირზე და გამობრუნდა.

კარგა ხანს ეძინა სავარძელში ჩამჯდარ ნესტორას და აფრიალებდა პირზე აფარებულ ცხვირსახოცს. მერე ძილში საანგარიშოს კოჭების ჩხაკა-ჩხუკი ჩაესმა და ზანტად გაახილა თვალი.

— კოკონა! ჰა, კოკონა!

— უჰ, შენი ხმის ჩაწყვეტა იყოს! — თავისთვის ჩაიბურდღუნა მოანგარიშე ქალმა, თავმჯდომარეს კი ხმამაღლა შეეხმიანა:

— აგერა ვარ, ბატონო!

— პატარა ხანს შემოდი ჩემთან! — ნესტორამ ქუდი მოიხადა და ცხვირსახოცი ჯერ შუბლზე მოისვა, მერე კეფაზე.

კოკონა შუაკარით შევიდა სათათბირო დარბაზში და მოშორებით გაჩერდა.

— რა ამბავია კანტორაში?

— ახალი არაფერი, ბატონო.

— ხალხი რას ამბობს?

— სხვების ჭორაობის მოსასმენად სად მცალია, ათასი საქმე მაქვს. — თავი შორს დაიჭირა მოანგარიშემ, აქაოდა, არაფერი ვიციო.

ის რომ შეტრიალდა წასასვლელად, ოთახში ბენია და დარიკო შემოვიდნენ. ბუსილა შემოჰყვათ ღრეჭვით. მოანგარიშემ კარი მიხურა და კუთხეში მიდგა.

— კოკონა, რატომ გაჩერდი? გადი და მოხურე კარი. შენც შეაყოლე, ბუსილა! ჩვენ ისეთი სალაპარაკო გვაქვს, მოწმეები არ გვჭირდება. გადით-მეთქი!

მოანგარიშემ მხრები აიწურა და გავიდა. ბუსილა თავისებურად გაიღრიჯა და კოკონას გაჰყვა. ბენიამ ორივე კარი დახურა.

— ბენია, შენც გადი! გარეთ დადექი, არავინ შემოვიდეს.

ბრიგადირი უყოყმანოდ დაეთანხმა.

ნესტორამ ცერა თითები ქამარში გაირჭო, მაგიდის ირგვლივ ბოლთა დაარტყა, შეჩერდა და კედელთან მდგარ წარბშეკრულ ქალს უხმოდ მიაშტერდა.

— აი, მოვედი მე. — მშვიდად თქვა ქალმა.

— მოხვედი და... ჩემს დარეჯანს დიდი სიცოცხლე!.. რატომ მიბღვერ, დარეჯან? დაბრძანდი! — ნესტორამ რბილი სავარძელი მიუჩოჩა ტუხას დედას.

დარიკოს ეუცნაურა ნესტორას თავაზიანობა, გაკვირვებულმა მხრები აიწურა:

— გმადლობ, არა ვარ ასეთ სკამზე ჯდომას ჩვეული.

— უნდა მიეჩვიო.

— გვიანია ეროთობ.

— სიკეთე არასოდეს არ არის გვიან. არ დაგშვენდება, თუ?

— ამისთვის მომიწვიე? — დარიკომ კვლავ შეუბღვირა ნესტორას. — იცოდე, მე შენი დასაცინი არაფერი მჭირს.

— კი, მაგრამ, ეს დაცინვა საიდანღა მოიგონე, დალოცვილო?

— აბა, როდის აქეთ შეიგიყვარდი, ასე ალერსიანად რომ დამხვდი?

— ქალბატონო დარეჯან, არა გრცხვენია? ერთხელ მაინც თუ მიწყენინებია შენთვის?

— აქამდე დარიკოს მეძახდით ყველანი, ახლა უცებ ქალბატონ დარეჯანად რამ მაქცია?!

— რამ გაქცია და... — ნესტორა შეყოყმანდა. — იმან გაქცია, რომ... შენი შვილი, მე რომ მკითხო, ნამდვილი ამირანია.... ამირანის დედა ხარ შენ... ამირანის დედას კი დარეჯანი ერქვა.

— აი, თურმე რა ყოფილა! ჩემი შვილი თუ ამირანია, იქნებ თეთნას ყამარი ჰქვია?

— თეთნა ვინ გდია, არ ვიცი მე! — ზიზღით გამოსცრა კბილებიდან ნესტორამ, — რა, შენი შვილი არა ჰგავს ამირანს, თუ?

— როდის აქეთ გახდა ჩემი ბიჭი ზღაპრული ამირანი? რაც წამოიზარდა, კრიჭაში უდგახარ, სოფლიდან როგორ მოიშორო, აღარ იცი...

— მე ვუდგავარ კრიჭაში?

— კი, ყველაფერზე ემარები. სხვებისთვის ხელმიუწვდომელი და გამოუყენებელი ბალახის თიბვასაც კი უშლი. რას არ უგონებ... ძალიან გინდა ჩემი ბიჭის სახელის გატეხა და წახდენა, მარა, ღმერთმა რომ ღვთის ნება, სოფელი არ დაგანებებს.

— კაი, კაი, ნუ იცი გაზვიადება! — შემრიგებლურად გაუღიმა ნესტორამ და მხარზე შინაურულად ხელის წათათუნებაც კი დაუპირა, აქაოდა, შორებლები კი არა ვართო, მაგრამ ამდენიც ველარ გაბედა ჯერ.

— არაფერსაც არ ვაზვიადებ! ერთხელავე აითვალისწუნე ჩემი ბიჭი და... ვიცოდე მაინც, რას ემართლები! ძარცვავს ვინმეს, ატყუებს ვინმეს, ზოგიერთივით სხვის ხარჯზე მდიდრდება?! არ მოსწონს ეს თქვენი ამბები და არ მუშაობს სათქვენო საქმეზე, მაგრამ. საერთოდ ხომ მუშაობს? ფულს არ იღებს თიბვაში და არაფერი, მეზობლურად უთიბავს ყველას. თავის ჯანღონეს ვისაც მოახმარს, მისი ნება არაა? რა შენი საქმეა, იმ ჯან-ღონეზე რომ ბორკილს ადებ? რაც შემიძლია, მე ხომ ვმუშაობ კოლექტივში, არ გყოფნის?

— დარიკო... ბოდიში, დარეჯან! გონებამწყაზარ ქალს გეძახიან და გეხვეწები, თავი დავანებოთ ძველ ამბავს!.. აგერ, ისეთი საქმე წამოგვიხტა, დროულად თუ არ გავარიგეთ, დავიღუპებით ორივე, შენ კი... ერთხელ რაღაცა ცუჩიჩი... იქნება რაღაცა შემცდა, მაგრამ, იმას ვერავინ დამაბრალებს, კეთილი გულით არ ურჩიაო... მერე ხომ მაინც თავის ნებაზე მივუშვი...

— დღეს? დღეს რატომ გაუგზავნე მილიციელები დასაჭერად?

— დასაჭერად არ გამიგზავნია... ისეთი საიდუმლოებრივი ამბავი მოხდა, უნდა გავარკვიოთ...

— ქვეყანამ იცის, ჩემი ბიჭი უპატიოსნო არაა, არც მოძალადე.

— ჰოდა, ჩვენც ეგ გვინდა, შე კაი ქალო. ვინაიდან გოგო პატიოსანი გამოდგა, არც ბიჭი გამოდგეს უპატიოსნო... და ეს ამბავი მშვიდობიანად მოვგვარდეს. როგორც იტყვიან: არც მწვადი დაიწვას, არც — შამფური. დაბრძანდი, დაბრძანდი, ჩემო დარეჯან, გაქცევაზე ნუ გიჭირავს თვალი! არ მომწონდა ყველას საიდუმლოებით, დიახაც ჯობდა, მაგრამ, რაკილა მოხდა, უნდა ვუშველოთ. ოღონდ აჩქარება არ გამოგვადგება, ყველაფერი დინჯად აწონდასაწონი. უკან გავიხედოთ, წინ გავიხედოთ, რომ არც სოფელი გაილანძ-

ლის, არც — ქალაქი. შენი ვაჟი ახალგაზრდაა, ჩემი სტუმარიც. ბევრი რამ წუთისოფლის ავანჩავანისა არ გაეგებათ, ჰოდა, ჩვენ რომ ბევრი გვინახავს და გვისწავლია, დავესმაროთ, სწორი გზა ვაჩვენოთ. იმათი სიმართლე სხვაა, ჩვენი — სხვა. ვეცადოთ, არც ახალგაზრდებს დავუკარგოთ სიმართლე, არც — ჩვენს თავს. ამის წინააღმდეგი, მგონი, შენც არ იქნები.

— სიმართლე, კი, ბატონო, დავადგინოთ სიმართლე! — დარიკო ჩვეულებრივ სკამზე ჩამოჯდა.

— სიმართლე თითქმის დადგენილია, — ნესტორამ ჰადრაკული ცხვირსახოცით მოიწმინდა პირი, — ოღონდ მე შენი დასტური მაკლია. ვინაიდან გოგოც პატიოსანია და ბიჭიც, გავუგოთ ორივეს... პატიოსან ლამაზ გოგოს პატიოსანი ლამაზი ვაჟკაცი მოეწონა და პატიოსან ლამაზ ვაჟკაცს — პატიოსანი ლამაზი გოგო... დაუახლოვდნენ და მოხდა მოსახდენი. ახლა ამ კეთილ და ბუნებრივ ამბავს ჩვენი გონივრული დასტური და გვირგვინიღა აკლია, ქორწილის გვირგვინი...

— აჰ, ეგ არა!—წამოხტა დარიკო. — ეგ სიმართლე არაა!

— რატომ არაა სიმართლე?

— თქვენს სტუმარს ჩემი ბიჭი არ შეირთავს, ესაა სიმართლე.

— რატომ?

— იმიტომ.

— მაინც? თუ[illegible]ც ერთი მიზეზი გამიმხილე.

— არც მე მომწონს, არც ჩემს შვილს.

— სილამაზე აკლია?

— ზოგს ვინ ელამაზება და ზოგს — ვინ.

— ინგას სურათი თურმე თბილისის ყველაზე კარგ ფოტოგრაფს ვიტრინაში აქვს გამოჭიმული.

— ფოტოგრაფს ზედმეტ ფულს თუ მისცემ, შენც გაგალამაზებს და ცხრა ვიტრინაში გამოგჭიმავს... ოღონდ, აქ მარტო სილამაზის ამბავიც არ არის.

— ესე იგი, გოგოს პატიოსნება მაინც გეეჭვება.

— აქ არც მარტო პატიოსნების ამბავია. ადამიანი შეიძლება ძალიან ლამაზიც იყოს და ძალიან პატიოსანიც, მაგრამ, შენს სულსა და გულს კი მისხლადაც არ მოეცხოს, ოდნავადაც არ შეგიყვარდეს. სიყვარულს სხვანაირი თვალი აბია...

— უცნაურები ხართ ორივე, დედაც და შვილიც. ღმერთივით გოგოს იწუნებთ.

— არ უყვარს ეგ თქვენი ფრთაფარფატა ანგელოზი, ბატონო, ჩემს ბიჭს, არ უყვარს და რა ვქნა?

— ახლა არ უყვარს, მერე შეუყვარდება. სიყვარულს რას გაუგებს ადამიანი წინდაწინ! ჩემი მამიდაშვილის, ფოთოლას ხელის სათხოვრად რომ მოვიდა ბიჭი, გოგომ შეიცხადა, ეს ვინ მათხოვი მომიყვანეთო? დაჰკრა ფეხი, შინიდან გაიპარა და გამოქვაბულში იპოვეს მესამე დღეს მშიერ-მწყურვალი. მერე მაინც წააყოლეს იმ ბიჭს და ახლა იმათზე ტკბილად ცოლ-ქმარი არ ცხოვრობს დედამიწის ზურგზე. ერთმანეთს თაფლივით აწვებიან პირში, გამოქვაბულში გაქცევის ამბავზე კი გულიანად იცინიან. ასეა, ჩემო დარეჯან, ის სიყვარული უფრო გემრიელია, შეუღლების მერე რომ იბადება.

— არა, ნესტორა, არა! შენი სტუმარი საჩვენო ქალი არ არის! დედისნებიერა გოგო, ისიც ქალაქში გაზრდილი, მე რძლად არ გამომადგება.

— სოფელში კი არ იცხოვრებენ, დალოცვილო.

— მით უარესი, თუ შვილს წამართმევენ ქალაქელები. ეგ ერთი შვილი მყავს, ეგაა ჩემი დასაფიცი მზეცა და მთვარეც და ეგეც სხვას გავატანო? რა ჭირად მინდა ქალაქელი ცქნაფა გოგო რძლად? მე კარგა ხანია სარძლო სოფელშივე მყავს არჩეული...

— ბრმები ხართ, ბრმები! ბედი კარზე მოგადგათ, თქვენ კი...

— რა ბედი მოგვადგა კარზე? რას ეძახი შენ ბედს? — დარიკომ ირიბად გახედა ნესტორას.

— იცი, შენს ქალაქელს რა მდიდარი

სიმამრი ეყოლება? მთლად მინისტრი არაა, მაგრამ, ბევრიც არაფერი უკლია... თითქმის მთელი საქართველო ხელში უჭირავს, ა, ასე! — ნესტორამ მარჯვენა ხელი დამუშტა და წინ ისროლა.

— დიდი ვინმეც ყოფილა! — ჩაილაპარაკა დარიკომ.

— ინგას მამა ფულებში ცურავს... თურმე იმდენი ოქრო-ვერცხლი დაუგროვდა, ადიდებულ მტკვარში რომ ჩაყარონ, დააგუბებს. თანაც ყველაფერი ცოლის სახელზე ჰქონია გაფორმებული. რაც არ უნდა მოხდეს, ქონება ოჯახს არ დაეკარგება, არც დაილევა. მთავარი კი ის არის, ვინც აწყენინებს, იყიდის და გაყიდის. მიხვდი, ამას რატომაც გეუბნები?

— გაუგებარი რა არის, ნესტორ, შენი არაკები პირველად კი არ მესმის. ჩვენ მაგისთანა მუქარის არ გვეშინია, ბატონო... ვისაც ეშინია, იმან ითხოვოს მდიდარი ბობოლას გომბიო.

— დარეჯან, ისეთ რამეს ნუ იტყვი, მერე ინანო! წადი ახლა შინ და დაფიქრდი! ერთხელ რომ მოითავებ ფიქრს, მეორედ დაფიქრდი, მესამედ... წადი!

— ახლა წავიდე შინ? ახლა არსადაც არ წავალ! სანამ შვილის ამბავს არ გავიგებ, შინ რა მომასვენებს. ა, ახლა კი ჩავჯდები შენს რბილ სავარძელში და დაველოდები.

ნესტორამ დარიკოს ბუნება თავისი ხუთი თითივით იცის. თუ თვითონ არ მოისურვა, მიწისძვრა რომ უყოს, არ გაინძრევა. ჩათრევას ჩაყოლა აჯობინა.

— კეთილი! იყავი! თუ ძალიან მოგეწონოს, ამაღამაც აქ დაიძინე!

თითქმის ერთ საათს მძინარესავით იჯდა დარიკო სავარძელში. ქამარში ღვედგამოვლილი მდივანივით ნესტორა კი. ბოლოთას სცემდა გრძელი მაგიდის ირგვლივ.

ეტყობა, დარიკომ ვეღარ გაუძლო ტყუილად ყოფნას.

— აჰ, საშინელია! ასეთ რბილ სავარძელს თუ მიეჩვევი, ალბათ, ვეღარც შეელევი! — ჩაილაპარაკა თავისთვის, წამოხტა და ნესტორასთვის არაფერი უთქვამს, კარი სწრაფად გამოაღო და წავიდა.

— ა, ამის შვილი რა უნდა იყოს! ვაი, თქვენს პატრონს! — ზიზღით გააყოლა თვალი ნესტორამ და კარი ბრაზიანად მოხურა.

შემოასკდა კიდევ ერთი ფერადი ბუშტი.

დარიკოსთან შეხვედრისას რომ სიმშვიდის ნიღაბი აიფარა, მარტო დარჩენისთანავე დაეკარგა. ნესტორას არსებაში მღელვარებამ და სიანჩხლემ ახლადა იმძლავრა. წამდაუწუმ ებერება ყელზე ძარღვები, თითქოს ვიღაცა ხელებს მაგრად უჭერს და ახრჩობსო. ვიღაცა კი არა, ეს ტუხას ღონიერი ხელებით...

„ხახხლი გამიშრო უთავური დედაშვილის უცნაურობამ. არც ერთი არ უქნია ღმერთს. დედა კიდევ არაფერი, თითქმის მოჭამა თავისი წუთისოფელი, ტუხაა ასე მაგრად რომ მიჭერს ყელში ხელს და მახრჩობს... დალახვროს ეშმაკმა მაგის გაჩენის დღე! შეაგდე საგიჟეთში, ჩააცვი ნაცრისფერი ხალათი, გადაპარსე თავი და რკინის რიკულებით ფანჯარაჭედილ ოთახში ირბინოს ფეხშიშველმა რამდენიც მოეპრიანება. იქ არის მაგისი ადგილი, მხოლოდ იქ!.. მე კი ახლა უნდა დავუჩოქო და ვეხვეწო: შენი ჭირიმე, კაპიტონის ქალიშვილი როგორმე შეირთე-მეთქი! ბედის დაცინვაა ეს, აბა, რა ჯანდაბაა?“

ნესტორა შეტრიალდა, შუაკარი გამოაღო და კოკონას ისე დაუღრიალა, კედლები აზანზარდა, თვითონაც კინაღამ ყელის ძარღვი გაუწყდა.

— რაა, ქალო, ამ გარეთის წამდაუწუმ რომ აჭრიალებ? აღებ და კეტავ, აღებ და კეტავ! არ გამიწვრილე გული და არ დამიწყვიტე ძარღვები!

— რა ვქნა, ბატონო, თუ ჭრიალა კარი აბია?

— ყოველ წუთში რას იღებ და რას ანახავ?

— კაი, ბატონო, დავჯდები და არაფერს გავაკეთებ... ანდა: სულაც სხვებივით შინ წავალ... მე აქ ჯდომა კი არ მეხალისება!

— არაფერი გააკეთო-მეთქი, არ მითქვამს. სანამ მუშაობ, გქონდეს ლია კარადა. მაშინ ასე წამდაუწუმ გაღება-დახურვა აღარ დაგჭირდება და აღარც იჭრიალებს. ამას დიდი ფილოსოფია და მიხვედრილობა უნდა! — დაცოფა თავმჯდომარემ მოანგარიშე ქალი და დარბაზში გავიდა, ჩაჯდა თავის სავარძელში, ქუდქვეშ დატანებული ცხვირსახოცი პირისახეზე ჩამოიფარა და ფიქრის ორუბლებით დამძიმებული თავი ჩაჰკიდა.

შაკოს მარცხენა ბეჭის ფრთა მარჯვენაზე საკმაოდ დაბლა დაწეული დააქვს და როცა რამე არ მოეწონება, ამ ბეჭის აწურვა სჩვევია. ასე გააკეთა ახლაც, არისტომ მთაში წასვლა და ტუხას ჩამოყვანა რომ უბრძანა. არა მარტო დაეზარა ამ საქმის გაკეთება, ეხამუშა კიდეც, მაგრამ უფროსის ბრძანებას, ბიჭი იყო და არ ასრულებდა. შაკოს ცოლმა რომ ეს გაიგო, ცას ეწია სიხარულით. მაშინვე ის მოაგონა ქმარს, მთის ტყეებში ახლა ნიყვი იქნება ბლომად და ვაი შენს ტყავს, თუ ხელცარიელი ჩამოხვალო, დიდი კალათა შეაჩეჩა ხელში. შაკოს უარი არ უთქვამს. თვითონ ცოლზე ნაკლებად როდი უყვარს ეს უგემრიელესი სოკო. ნიყვის სიყვარულით თუნდაც ცაში ავა, კიბეს თუ მიუდგამენ. ჭამაზე მეტად კრეფა სიამოვნებს, თითოეული ნიყვის აყვანისას ცხრა წლის სიცოცხლე ემატება. სიხარულით ბავშვივით აჭყლოპინდება ხოლმე, როცა თეთრი ბუდიდან წითლად თავამოყოფილ კოკორ ნიყვს დაინახავს, ჯერ გაუშლელს. ეს არის მისი უნეტარესი მშვენიერება და ამ მშვენიერების დანახვისას შაკო არის უბედნიერესი ადამიანი.

არისტომ მილიციელს შაშხანაც გადაჰკიდა მხარზე, რევოლვერი რას გეყოფაო.

— მე იმ ბიჭს ტყვიას ვერ ვესვრი! — გულახდილად გამოუტყდა შაკო.

— მერე ვინ გეუბნება, ესროლეო? მკვდარი ტუხა ახლა ვის რა ჭირად უნდა! ეს ასეა საჭირო. იქნებ მთაში მგელი ან დათვი გადმოგიხტეს გზაზე და... რევოლვერით რას დააკლებ!

— მგლისთვის და დათვისთვის, კი, ბატონო, ტყვიას ვინ არ გაიმეტებს!

ეზეკია მილიციელის ცოლმა რომ გაიგო, შაკო მთაში მიდის ტუხას დასაჭერად და თან ნიყვისათვის დიდი კალათა მიაქვსო, ქმარს მიადგა მაშინვე: შაკოს უეჭველად გააყოლებენ მეორე მილიციელს და ის მეორე შენ უნდა იყოო, თან მომინანქრული მწვანე ვედრო შეაჩეჩა ხელში: ბერხევის მთაში კარგი მაყვალი იცის და წამომიძღვანეო.

• • •

ტუხას ფარჩხზე დალეწბული თივის ბულულები სამარხილე გზამდე ჩამოეთრია, ორი ზვინი უკვე დაედგა და ახლა მესამის დადგმას იწყებდა. შორიდანვე დაინახა შევაკებაზე მომავალი ორი შეიარაღებული მილიციელი, ახმახი და ქონდარა, მაგრამ არც გაქცევა უცდია, არც მუშაობა შეუწყვეტია.

— კიდევ კარგი, არ თიბავს, თორემ, იმ კლდეების ზურგზე რა აგვიყვანდა! — თქვა ეზეკიამ, მერე კი სამარხილე გზამდისაც დაეზარა ასვლა. — დაუძახოთ, იქნებ ჩამოვიდეს!

შაკო დაეთანხმა.

— ე, ჰე, ჰეი! — ასძახეს მილიციელებმა და მთებმა გაიმეორეს, — ე, ჰე, ჰეი!

— ჰაუუუ! — გადმოსძახა მუშაკაცმა და მისი ექო უფრო დიდხანს ხმაურობდა მთებში.

— დაბლა ჩამოდი, მანდ ნუ ამოგვიყვან!

— ჯერ ვერა! დაუღვმელად გამიფუჭდება თივა! ამოდით, მომეხმარეთ!

— რა ქენით? — ჰკითხა ახმახმა მილიციელმა ქონდარას.

— არა, კაცო! კეტი რომ გვდრუზოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივეს და აქ დაგვმარხოს?

— ტუხას არ ენდობი? იცი, რა კეთილი ბიჭია?

— იქნება გაბოროტებულია უკვე. კეთილი ადამიანი თუ გააბოროტე, ალარავის ინდობს.

— შე კაცო, გაბოროტებული რომ იყოს, ასე ტკბილად გაგვცემდა ხმას?

— რა იცი, რომ არ სიაბანდობს? იქნებ ასე უნდა ჩვენი იქ ატყუება?

— კაი, შენ დარჩი, მე ავალ!

ეზეკიამ კლდოვან ფერდობზე შავად დახუნძლული მაყვალი დაინახა და იქით წაფხოკიალდა, შაკო ფრიალოს აუყვა.

— გამარჯობა შენი, ტუხა!

— იცოცხლე, შაკო!

— რავა ხარ, ბიჭო?

— გმადლობ! შენი თავი ხომ კარგად მყავს?

— ა, აგერ შენს წასაყვანად გამომგზავნეს.

— კალათით, კაცო? — თეთრი კბილები შეანათა მილიციელს თივისმდგმელმა.

— არა, კაცო, შენ ამაში ცალი ფეხიც არ ჩაგეტევა. ეს ისე წამოვიღე.

— ვინ გამოგგზავნა?

— ჯერ ნესტორასთან მიგიყვანთ, მერე — ვნახოთ. ენგრეა, რა!

— კეთილი!.. ავჩქარდი იმ დღეს, არ უნდა გამოვქცეულიყავი. გარბის დამნაშავე. მე არაფერი დამიშავებია... მოტყუებით ჩამადენინეს საძრახისი ამბავი. წამიყვანეთ, სადაც გნებავთ, ოღონდ, ჯერ ეგ კალათა და თოფი ცოტა ხნით დადე. მე ზვინზე შევდგები, შენ თივა მომაწოდე ფიწლით. დავდგათ და წავიდეთ.

შაკომ კალათა ჯირკთან მიდგა, თოფიც იმ ჯირკზე მიაყუდა, ტუხას ფიწალი გამოართვა და გახურდა მუშაობა.

წარმნაიარევმა ბიჭმა ზვინი მალე დადგა, სარს წვერელოზე თივისავე ქუდი დაახურა და ჩამოხტა.

— ორი კაცი რატომ გაისარჯეთ, ერთი რომ მოსულიყავი, არ წამოგყვებოდი?

— ასე გვითხრეს და... უფროსის ბრძანებაა.

— ეს თოფი რატომ წამოგიღია, თუ გაიქცევს, ესროლეო?

— არა, კაცო, ისე გამომატანეს. შენ ახლა ცოცხალი სჭირდები იმათ.

— ვინ იმათ?

— ყველას. მთელ რაიონს.

— ოჰო?! რა დიდი კაცი გავმხდარვარ უცებ?!

— აბა, რავა გეგონა. ენგრეა, რა.

— კალათა რისთვისღა წამოგიღია?

— ცოლ-შვილს ცოტა ნიყვას წავუღებ. ქათმის ხორცს ურჩევნიათ. შენ გეცოდინება ახლომახლო სად იცის კარგი ნიყვი?

— მაგის მეტი რა ვიცი, შე კაცო ამ წუთში არა მაქვს, თვარა, ეს დღეები სულ შემწვარი ნიყვით არ ვსადილობ!

— მომაკრეფინებ?

— შე კაცო, თივის დადგმაზე ისე მარჯვედ მომეხმარე, მა-გა-ზე გაწყენინებ?

— ნიყვივით არაფერი არ მიყვარს.

— კი, ნამეტანი გემრიელია, განსაკუთრებით ნაკვერცხალზე შემწვარი. წუხელი იწვიმა. ღელისგაღმა მუხნარში ისე იქნება ამოფეთქილი, კრიფე და კრიფე. მაგ კალათას სამიოდე წუთში ავავსებთ. წავიდეთ!

ეზეკიას მაყვლით უკვე აევსია მომინანქრული მწვანე ვედრო, ახლა კი მუჭაში იკრეფს და შეგროვილს ერთბაშად იყრის. პირში.

— რას შვები, ბიჭო, ჭიანჭველა არ შეაყოლო! — გააფრთხილა შაკომ.

— რა ვქნა, ძმაო, ასე მუჭ-მუჭა მიყვარს ჭამა, ცალობით გემოს ვერ ვატან.

ტუხამ შაკო იმ მუხნარში შეიყვანა, სადაც მეტი ნიყვი ეგულებოდა და კალათა სწრაფად გაავსეს. მილიციელი კი არ კრეფდა, სიხარულით ცელქაობდა.

სოფელს რომ მიუახლოვდნენ, ტუხა შეჩერდა:

— ბიჭებო, არ გეწყინოთ და უნდა გადავუხვიო გზიდან.

— სად? — შეთანხმებულივით ერთხმად წამოიძახა ორივე მილიციელმა.

— სასაფლაოზე.

— სასაფლაოზე რა გინდა, ბედნიერო? — დაეჭვდა ეზეკია.

— როცა პატარა რამე მიჭირს, უეჭველად უნდა მოვინახულო მამის საფლავი.

— ბიჭოს?! მამის სულს ეთათბირები?

— არა, ჩემს თავს ვეთათბირები... ჩემს თავს და... მამის საფლავზე ამოსულ ბალახს. ასე დამჩემდა. ერთ წიგნში წავიკითხე ბავშვობისას, ადამიანი მთლიანად არასოდეს კვდებაო. რაღაცნაირად მართალია... კი არ კვდება, სხვა რამედ იქცევა, სხვა სიცოცხლედ — ასეა თუ ისე, მე ვიწამე, რომ ასეა... მინდა, ასე იყოს... ჰოდა, თქვენ წადით, ისევ მალე წამოგეწევით...

— დაგიცდით. ჩვენი ცალკე წინ წასვლა აქ უკვე ნამდვილად უხერხულია. ეშმაკმა უწყის, ხალხი რას იფიქრებს, მით უმეტეს, ნიკუში და მაყვალი რომ მოგვაქვს. წადი, ეთათბირე, ვისაც გინდა და რამდენიც გინდა! პატარა დასვენება არც ჩვენ გვაწყენს, უშველებელი გზა მოვიარეთ. — ეზეკია გზის პირას დაგდებულ მორზე გუნებიერად ჩამოჯდა, წინ დაყუდებულ თოფს მკლავი მოხვია და სიგარეტი გააბოლა.

შაკო გვერდით მიუჯდა და ქულა ღრუბლებით მოკაზმულ ცას ახედა.

ტუხა სასაფლაოდან მალე დაბრუნდა. იქ რა ფიქრი გაანდო მამის საფლავზე ამოსულ ბალახს, ეს არც მილიციელებს უკითხავთ და არც თვითონ უთქვამს.

თოფანზე ჩექმების ბრაგაბუგი გაისმა. ნესტორამ უმალვე იცნო მილიციელების ფეხის ხმა, კაბინეტში შეძუნძულდა, სავარძელში ჩაჯდა, ისევ აიფარა პირსახეზე სიმშვიდის ნიღაბი და გაიჩაბა.

ჯერ ახმახი შაკო შემოვიდა, მერე ტუხა, ბოლოს ეზეკია. არავის არაფერი უთქვამს. ნესტორამ ნაძალადევი ღიმილი დაიკერა პირისახეზე, ტუხას შეხედა და თავი გადააქნია. ტუხამ ტკივილნარევი ღიმილით უპასუხა და კედელს გაეკრა ზურგით.

— ამ ამხანაგების თანდასწრებით ვილაპარაკოთ თუ მარტო? — ჰკითხა ნესტორამ მშვიდად მდგარ ტუხას.

— შენ როგორც გერჩიოს, — მიუგო ტუხამ. — ჩემთვის სულ ერთია.

— გაისეირნეთ, ბიჭებო, ჰაერზე.

— კი, ბატონო, ჩვენთვისაც სულ ერთია.

ორი ადამიანი პირისპირ დარჩა.

— დაღლილი იქნები, დაჯექი, ჩამოისვენე!

— ნუ წუხდები, არ დავღლილვარ.

— მთიდან არ ჩამოგიყვანეს?

ტუხამ თავი დაუქნია.

— მერე, იმხელა გზამ ცოტა მაინც არ დაგღალა?

— მე არ ვიღლები არც სიარულით, არც დგომით. ცხენივით მთელი სიცოცხლე ფეხზე რომ ვიდგე, არ დავიღლები.

— ჰო, კინაღამ დამავიწყდა, შენ რა დაგქანცავს... დაიმშვიდი კი. მოვატანინებ რამეს. რა უფრო გიყვარს, თევზეული თუ ხორცეული?

— ახლა — არაფერი. დედაჩემმა რომ მთაში ხორაგი ამომიტანა, ისიც თითქმის ხელუხლებელი დამრჩა, მთლად დამეკარგა მადა.

— სწუხარ, ხომ?

— აბა, არა ვწუხვარ?

— ეს უკვე მომწონს. თუ გულწრფელად სწუხარ და ნანობ, ძალიან კარგია. მაშასადამე, დანაშაული შეგიგნია. — სავარძელში მოკალათდა თავმჯდომარე.

— მე არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია, იმაზე ვწუხვარ, სრულიად შემთხვევით უბედურებას რომ გადავეყარე.

— ეგეც მართალია, ბიძიკო, ოღონდ ამ ეტაპზე წუხილი და სინანული აღარაფრად გვარგია, ახლა მთავარია, ყველაფერი გონივრულად აეწონ-დაეწონოთ მე და შენ აგერ და მამაშვილუ-

რად მოერიგდეთ... ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, ბიჭო, ზოგჯერ გიწყრებოდი, მაგრამ, ისევ შენ სასიკეთოდ, მამაშვილური სიყვარულით. იქნება არც იცი, ჯარიდან რატომ გაგათავისუფლეს? შემეცოდა მარტოხელა დედაშენი, ქვრივს ერთადერთი შვილი ჰყავსმეთქი, სამხედრო კომისარიატის ხალხი ვაპურმარილე და მერე შენი შინ დატოვების ამბავიც შევაპარე. პატივს სცემს ის ხალხი და ხათრი გამიწიეს...

ტუხას გაეღიმა. ხოლო რატომაც გაეღიმა, ამის მიხვედრა, მგონი, თქვენც არ გიჭირთ და ზედმეტი სიტყვა რა საჭიროა.

ნესტორამ გაიგო თუ ვერა, ტუხამ რატომაც გაიღიმა, ძნელი სათქმელია. სიტყვა კი არ შეუწყვეტია, თითქოს ეს ღიმილი არც დაუნახავსო.

— შენ ჩვენი სოფლის თვალი ხარ, ტუხა, პატიოსანი, კეთილი, გამრჯე. შენი გონიერება ბრძენს შეშურდება და თვალტანადობა — ყველა ლამაზ დაჰკაცს. შენ ამშვენებ ჩვენს სოფელქვეყანას... ნამდვილი ამირანი ხარ. შენ შენი ფასი და ღირსება მთლიანად არც იცი ალბათ... იმაზე დიდი ხარ, ვიდრე თვითონ გგონია...

ტუხამ უსმინა ქათინაურებს, უსმინა და გააწყვეტინა სიტყვა:

— სოფლის თავკაცად მონათლულო ნესტორავ, წინასწარ გაზეპირებულ ქლესურ სიტყვას ჩემთან რატომ ხარჯავ ასე უხვად? სხვაგან უფრო მეტი მუშტარი ჰყავს და იქ გაასაღე...

— სად იქ? რას ამბობ?

— ჩემგან არ გესწავლება... მე რა შენი უფროსი მნახე ან რა დიდი კაცი, ასე რომ მეპირფერები და მექლესურები? ვიცი, გულზე არ გეხატივარ და რატომ მეფინდილები? რაც სათქმელი გაქვს, პირდაპირ ჩამოყაჭე და მეც პირდაპირ გეტყვი.

— ისეთი რა გითხარი, ბიჭო? შენთან რა მაქვს სამლიქვნელო, არა გრცხვენია? ა, ასეთი ხარ შენ, ჩემი წმინდა გულით ნათქვამი სიტყვის გაგებაც არ გინდა. მე თუ არ მეხატები გულზე, აბა, ვის ეხატები? ამაგი მაქვს შენზე, ბიჭო, ამაგი, [illegible] — ამაგი გაგიწევია, ხომ იცი, [illegible] მისი ბედ-იღბალი. რასაც მე ახლა გეტყვი, დამიჯერე. თუ არ დამიჯერებ და ჭკუით არ მოიქცევი, თავს წააგებ და სინანული გვიან იქნება. მე შენზე ვზრუნავ, ბიძიკო, შენზე, შენ კი... დაჯექი! გამქცევივით რომ დგახარ.

— არ მიყვარს ჯდომა.

— მაინც დაჯექი. მე ვიჯდე და შენ თავზე დამყურებდე, ასე ლაპარაკი უხერხულია.

— ჩემთვის არ არის უხერხული.

— ჰო, შენთვის უხერხული არაფერი არ არის! მგონი, ისიც კი, რაც მოხდა.

ნესტორა წამოდგა, რადგან ტუხა თავზე რომ დაჰყურებდა, არ სიამოვნებდა, რაღაცნაირად აშინებდა კიდეც. წამოდგა და უცებ დაეკარგა სიტყვა. ვერ მიაგნო, რითი გაეგრძელებინა საუბარი, ჯერ ფრენჩის ღილს ჩაეჭიდა, გაიხსნა და შეიკრა, თითქოს ეს მარტო ფრენჩის ღილი კი არა, სხვა ხელჩასაჭიდი რამეც იყო, რაც საუბარს გაუადვილებდა ნესტორას, მერე ორიოდეჯერ პატარა ბოლთა დაარტყა, ტუხასთვის შეთავაზებული სკამი თავისკენ მიიჩოჩა, საზურგეს ორივე ხელით დაეყრდნო და ისე ალერსიანად ჩაილაპარაკა, ვინმეს სიყვარულით რომ დატუქსავენ:

— მოსაკლავი მყავხარ, ეს რა მიქენი, ბიჭო?

— რა გიქენი? — დინჯად დაუბრუნა შეკითხვა ტუხამ.

— რა დღეში ჩაგვყარე ამდენი ხალხი, შერცხვენებულო?

ტუხამ ჯერ ალღო ვერ აუღო, ნესტორა სით უმიზნებდა, ამიტომ დუმილი არჩობინა.

— კუდიან ვარსკვლავზე დაბადებულო. აქამდე თითქოს გოგოებისკენ არ გეჭირა თვალი, ეს სიკეთე ნამდვილად გეჭირდა, ახლა რა ღმერთი გაგიწყრა, შეგაჩვენოს ჩემმა გაჩენამ, ისეთი რა ჯადო-თილისმით მოგხიბლა და მოგიზიდა ჩემმა სტუმარმა, რომ უცაბედმა

სიყვარულმა გადაგრია და თავგზა დაგაკარგვინა? შენ ასაკში გოგო, ისიც ასე ყოველნაირი სიკეთით შემკული, ვის არ მოსწონებია და შეჰყვარებია. მაგრამ, ასე კი არ შეშლილა ჭკუაზე! რა ვქნათ ახლა, ეს შეურაცხყოფილი პატიოსანი ლამაზი გოგო შენს ცოლობაზე რაფრათ დავითანხმოთ? არადა, სხვანაირად ამ ამბავს ნაღდად თხუთმეტწლიანი ციხის სუნი უდის... ძალადობით ქალწულისათვის ნამუსის ახდის მუხლი... გვენანება შენი გაწირვა, მთელი სოფელი შენზე ჯავრობს. მეც, აგერ, ცრემლი ყელში ქვის ბურთივით გამეჩარა და მახრჩობს... მაგრამ, კანონი კანონია... ზოგ რამეში ოფოფების აფერენა გიყვარს, ოღონდ... ჭკუა-გონება კი არ გაკლია, არც — მიხვედრილობა. ჰოდა, თვითონაც დაფიქრდი, რა ვქნათ.

— ერთი ეს გამიმხილე, ნესტორა, ამისთანა რა გაგიჭირდა, ასე ტკბილად რომ მეჭიკჭიკები? შენს ჭიკჭიკს კი ვენაცვალე, რისთვის დაგჭირვებია? მე შენი ზრუნვით ყელამდე ვარ სავსე! იქნებ ახლა ცოტა შენს თავზეც გეზრუნა! ჭიკჭიკს თავი დაანებე და ვაჟკაცურად ვილაპარაკოთ. შენს დაწნულ გოდორში შეგიძლია თვითონვე ჩაჯდე, დაგორდე მთიდან და ჩაიჩეხო ხრამში.

— ესე იგი, მე შენ გოდორს გიწნავ?

— კი, გოდორს მიწნავ, შენი ვარაუდების გოდორს, შიგ რომ ჩამსვა, ხელი მკრა და მთიდან დამაგორო.

— იზრუნე ამისთანა ადამიანის გადარჩენაზე! შენ ხომ იცი, მე რა სამართლიანი კაცი ვარ...

— კი, სიმართლის ტომარა ხარ... ტყუილად იმდუღრები, თავმჯდომარევ, არა მჯერა შენი ცრემლისა და წუხილის. როდის იყო, ჩემზე დარდით იკლავდი თავს? ვიცი, სულ სხვა კუჭის წვა გაწუხებს...

— ა, გაუკეთე სიკეთე ასეთ... — კინაღამ წამოსცდა უვიცსა და რეგვენსო. მაგრამ ჯერჯერობით თავის შეკავება ამჯობინა, მშუყედ ჩაახველა და ყელჩაწმენდილმა რბილად უთხრა. — ასეთ ადამიანს. მე მინდა შენი უზნეო ახუნტრუცება სიყვარულად მოვნათლე, შენ კი...

— კი, ენა საქალამნე ტყავივით გაშიშმდა თქვენი მზეთუნახავის შემხედვარეს. ვის ვეთვალთმაქცო? სიყვარული სხვაა, შემთხვევით შეხვედრილ ქალთან ღამის გათევა სხვა. მთელმა სოფელმა იცის, მე ვინც მიყვარს... შენც იცი. ჰოდა, რატომღა მიქონავ თავს, თითქოს შენი სტუმარი ერთი ნახვით შემყვარებოდეს. როგორც ზღაპრებში ხდება?

— შენთვისვე, შენთვისვე, ჭკუათხელო! სიყვარულით თუ მოგივიდა ის საძრახისი ამბავი, რაღაც პატარა გამართლება მოეძებნება კიდევ... სიყვარულს ბევრი რამ ეპატიება. არადა, ყველაფერი მხეცობად მოინათლება. ნადირივით ხაფანგში ხარ გაბმული, თანაც ორივე ფეხით!

— ტყუილია ეგ!

— შენ იქნებ ისიც თქვა, უმანკო არ იყოო?

— მაგას არასოდეს ვიტყვი.

—ვერ იტყვი.

— რაც სიმართლეა, არ ვუარყოფ... რა ჩემი ბრალია, თუ ფათერაკს გადავეყარე!

— ინგაა ფათერაკი?

— ამ წუთში სხვა ვერაფერი დამირქმევია. შენ როგორც გენებოს, ისე მონათლე... მე ყაჩაღურად თავზე არავის დავსხმივარ.

— აბა, ციდამტკაველა გოგომ წაგაქცია დევივით ვაჟკაცი: ვინ დაგიჯერებს, რომ უმანკო გოგომ თავი თვითონ შემოგატყუა?

— კი, შემომატყუა... ნამდვილად.

— გეგონა, გათახსირებული გოგო იყო, იფიქრე, რა მენაღვლებაო და მიიტანე იერიში, არა?

— მე არ მიმიტანია იერიში, არა!.. ვერ გაიგე? თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს! ვაღიარებ შეცდომას, ქალიშვილის მანქანაში არ უნდა ჩავმჯდარიყავი... ვერ გავითვალისწინე, თუ...

— თუ უზნეო და შავი აზრი არ გიტრიალებდა თავში, რატომ ჩაუჯექი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მთხოვა, მყავეწყალი მიჩვენეო. სტუმრისთვის უარი მეთქვა?

— მერე?

— მერე არაფერი.

— რა ჰქვია არაფერი? დაგავიწყდა, რაც მოხდა? რატომ ჩაიდინე?

— მე არაფერიც არ ჩამიდენია.

— ეს იგი, თქვენ შორის არაფერი მომხდარა?

— რაც მოხდა, ჩემი ბრალი არ არის...

— აბა, ვისი ბრალია?

— გეკითხათ გოგოსთვის.

— ვკითხეთ. შენ გაბრალებს ყველაფერს.

— ვერ დამაბრალებს. ჩემ წინაშე ვერ იმართლებს თავს.

— შენ მოძალადე ხარ.

— არ დამჭირვებია მოძალადეობა.

— სტყუი!

— შენ დიახაც გინდა, ვსტყუოდე, მაგრამ, არაფერსაც არ ვსტყუი! თვითონ ასე იქცეოდა, რომ... ყველას თავისი თავმოყვარეობა აქვს. მყავეწყლამდე პატიოსნად მივაცილე და დავალევინე. მეგონა მართლა მყავეწყალი უნდოდა. თურმე მყავეწყალი კი არა, ჩემთან თამაში სდომებია. იქიდან რომ გამოვბრუნდით, მომეძალა...

— შენ არ გინდოდა და უმანკო გოგო მოგეძალა?.. ეგ ზღაპარი საიქიოში ბენიაშვილს მოუყევი.

— თვითონ გადამეხვია! მოძალებაა ეს, აბა, რა!.. მამაჩემის სულს გეფიცები!

— მოასვენე მამის სული საიქიოში, ისედაც ნაწამებია. დოლახურის ეშმაკმა, მეგონია, სირცხვილ-ნამუსში ჩავარდებოდი და პატიებას გვთხოვდი, შენ კი გამოლმაც გვედავები? უკეთილმართო ხარ, უწმინდური სისხლიანი!

— მაინცდამაინც ყველაფერი გინდა მათქმევინო! ძარღვებში მყავეწყალი არ მიდუღს, არც ხე ვარ, არც ქვა, თუმცა, ზოგ ქვას რკინას რომ ჩამოჰკრავ, ისიც ნაპერწკლებს გაჰყრის და ცეცხლს აჩენს. — ამას რომ ამბობს, სირცხვილ-ნარევი ღიმილი არ შორდება ტუჩებს.

ნესტორმა ახლადა დაინახა... ბენია. ქურდულად შემოპარული, კუთხეში მიკუნჭულად იდგა. ბრიგადირის გვერდით გასუსული იდგა ცნობისმოყვარეობით შემოპარული მოანგარიშე კოკონა.

— თქვენ აქ რა გინდათ? როდის შემოხვედით? — ნესტორი სკამს ისე მოეჭიდა, გეგონებოდათ, ეს-ესაა აიტაცებს და დაუპატიჟებელ სტუმრებს თავზე გადაამტვრევსო. — მოუსვით აქედან! იქნება ჩვენ აქ რა საიდუმლო საუბარი გვინდა?

— ბატონო ნესტორ, მარტონი ხართ და ვიფიქრე... რა არ ხდება აღელვებისას... ეშმაკს თვალი არ უჩანს.. ახლო ვეყოლები-მეთქი. შენ რომ ავი რამე დაგემართოს, ჩემი სიცოცხლეც აღარ ეღირება! — თავი შეაცოდა ბენიამ.

— კაი, შენ დარჩი! — დაუთმო თავმჯდომარემ ბრიგადირს და მოანგარიშეს მიუბრუნდა. — შენ კი, ქალო, გადი და კარი მაგრად მოხურე!

კოკონა უხმოდ გაიძურწა, პირზე ხელმიფარებული.

— ბენია, შენ ამ ნახვრეტს მიეფარე, თუ არა, ხომ იცი, მაგის ამბავი, აქაც შემოყოფს ცხვირს. — თავმჯდომარემ ბრიგადირი კარზე მიაყუდა.

ბენიამ გასაღების ჭუჭრუტანას ზურგი მიაფარა და ხელები შარვლის ჯიბეებში ღრმად ჩაიწყო.

ნესტორმა რაკი ქომაგი გვერდით დაიგულა, სკამი შეაბრუნა და ისე მოაჯდა, გეგონებოდათ, ცხენზე ამხედრდაო. სკამის ზურგი ალვირივით დაიჭირა, ერთი მსუყედ ჩაახველა და განგებ დაიბოხა ხმა:

— მაშასადამე, ხელუხლებელ გოგოს დაუმტკიცე, რომ ვაჟკაცის სისხლი გიდუღს...

— გადამწვარი ნათურა არა ვარ, დენი ჩამრთონ და არ ავინთო. შენ რომ ჭაბუკობისას გაეტყუებინე ვინმეს და მოგძალებოდა, გამოექცეოდი? რომ დაემარტოხელებინე და ხვევნა-კოცნა დაეწყო, პირს მოარიდებდი? აფიქრებინებდი, ქალის ეშინიაო? ან უარესს თავს შეირცხვენდი?

ნესტორას თავისი ახალგაზრდობა გაახსენდა და ნერწყვი გადაყლაპა. ოღონდ ახლა ეს ნერწყვი მწარე იყო.

— მე რავარც მოვიქცეოდი და რავარც მოვიქცევი, შენი ენის სატრიალო არ არის.

— გამიგია, თავი შეგირცხვენია კი არა, ერთ გაღმასოფლელ ქვრივს ისე შეჩვენებარ ცოლშვილიანობის დროსაც კი, ნაბიჭვარი გაგიჩენია და ის ბავშვი ქალაქში გაგიხიზნავს ჩუმად...

— ეგ ვინ მოგაბოდიალა? — უყვირა ნესტორამ და ხახადაბჩენილი აფთარივით მიაჩერდა, მრისხანედ.

— ქვეყანამ იცის, — უშფოთველად მიუგო ტუხამ. — რაკი გერიდებიან და არ გახსენებენ ხოლმე, განა... შენ რომ ცოდვებს დაათრევ, გგონია, სხვაც შენისთანაა?

— გაჩუმდი! გაჩუმდი-მეთქი! — კვლავ იღრიალა ნესტორამ.

— რატომ მიყვირი? ღრიალზე ნუ მოდგება საქმე, თვარა ისე ვიყვირებ, ვარსკვლავებს მწიფე ბუოლასავით ჩამოვყრი ციდან.

ნესტორას ტუხასნაირად არავინ სძულს მთელი ქვეყნიერების ზურგზე, არც მიწაზე, არც ცაში, არც მიწისქვეშ და არც ზღვაში. მაგრამ ნესტორა ამას არ ამჟღავნებს ჯერჯერობით, კიდევ დარჩა რაღაც სასწაულის იმედი, ჩემს მხარეს გადმოვიბირებ და რაც მე მწადია, იმას გავაკეთებინებო. ამიტომაა, ბრაზს გულში რომ იკლავს და ცდილობს სიმშვიდე შეინარჩუნოს, თუმცა ამას ყოველთვის ვერ ახერხებს, რადგან მთლიანად იმ სადავის გაშვებაც არ უნდა, ტუხამ რომ თავი გამარჯვებულად იგრძნოს.

ახლაც მალე მოერია თავს, ისევ წყნარი შეტევის გზას დაადგა.

— მოკლედ, რაც მოხდა, მოხდა, ჩაველილ მდინარეს უკან ვეღარ დააბრუნებ! არც ერთს რომ არ დაგვებნეთ გზაკვალი, ერთმანეთს სთხოვეთ პატიება და ხელი მოაწერეთ, რაც შეიძლება მალე, საქმის გართულებამდე.

— ვერა! ინგას ვერ შევირთავ!

— შენი გულის ყველა სურვილი ტკბილად აქციე და აღარ გინდა ქალი? სინდის-ნამუსი მთლად დაკარგე? ხომ იყო გოგო კაცის ხელუხლებელი. იყო?

— რას ჩააციედი გოგოს ხელუხლებლობას, ყოველ წუთში ბრალდების ნიშნად ცხვირწინ მაშხალასავით რომ მიტრიალებ? მე ჩემი სურვილის ბრძანებით კი არ ჩავმჯდარვარ მის მანქანაში! შემიტყუა, ქრისტიანო, მყავეწყალო მაჩვენეთ. რამდენჯერ გითხრა? ჰოდა, მეც რა მეტი გზა მქონდა!..

— დაუმტკიცე, რომ ძარღვებში ვაჟკაცის სისხლი მიდგას და არა მყავეწყალოთ, არა?

— დიახ, დავუმტკიცე!

— ჰოდა, მაგ დამტკიცებისთვის აგებ პასუხს ან ისე, ან ასე... ან ითხოვ, ან...

—მე რატომ ვაგო პასუხი? იმან შემაცდინა, მე კი არ გამიბრიყვებია... ჩემით კი არ შემიცოდავს, იმან გამხადა ცოდვილი... ჩემით კი არ წამიწყმედია სული, იმან წამაწყმედინა. ასე რომ, რაც მოხდა, თვითონაა დამნაშავე და თავის წინაშე თვითონ აგოს პასუხი!.. ჩემ წინაშეც! — რაკი შეტევაზე გადავიდა ტუხა, უფრო და უფრო წინ წავიდა. — თვითონ საქმრო ჰყავს თუ არა, არ ვიცი, მე კი საცოლე მყავს, ჰოდა, რა ვქნა ახლა?.. სინდისი რომ დამაკარგვინა და თავიც მომჭრა? თუთიყუში არა ვარ, ყოველ წუთში ერთი და იგივე ვიძახო!

— დაგლახვრის ეშმაკმა! უცნაურად ახირებული ვიღაცა ხარ! შენ თუ შენი სისულელის ჯიუტ ვირზე შეჯექი, ვიღა ჩამოგსვამს? — ნესტორამ იმდენი აწვალა ფერენჩის პრიალა ლურჯი ღილი, როდის მოსწყდა, ვერ გაიგო, თავისუფლად რომ მოჰყვა თითებში, გაკვირვებით დახედა, როდის მოვგლიჯეო, ეს ხელჩასაჭიდი რაღაც ვერც გადასაგდებად გაიმეტა, ვერც შესანახი ადგილი გამოუძებნა და ხელში შერჩენილს წონანდებურად დაუწყო თამაში. არა, არ ერთობოდა ამით, გონმოუცემლად ათამაშებდა.

— შენ, ჩემო ტუხა, ჯერ ავისა და

კარგის გარჩევა გიჭირს. ცხოვრება მარტო თიბვა და რიყეზე ბავშვების აბურთავება გგონია. მე, ბიძიკო, ბევრი რამე მინახავს და წუთისოფლის გულშიც ვიყურები ახლა ღრმად. ცუდს არაფერს გირჩევ.

— არ მინდა შენი რჩევა არც კარგი, არც ცუდი, ტყუილად მაძალებ! მოძალებული რაც მივიღე, ჯერჯერობით ისიც მეყოფა.

— ღმერთი თუ ბუნების გამგებელი, ეტყობა, ყველა ადამიანს ერთ რაღაცას ზედმეტს აძლევს და ერთ რაღაცას აკლებს. შენ, ტუხა, რაც მოგცა ზედმეტი, მთელი ქვეყანა ხედავს, ხოლო რაც დაგაკლო, თვითონვე მიხვდი.

— არაფერიც არ დამაკლო.

— დაგაკლო, ბიძიკო, დაგაკლო. ზედმეტი ძალ-ღონე რომ მოგცა, ჭკუა დაგაკლო. ჰოდა, სხვას მაინც დაუჯერე...

— ყოველ შემთხვევაში, წუთისოფლის ავ-კარგის გასაზომად მე შენი ჭკუის არშინი არ გამომადგება!

— დამიგდე ყური! ყველა გიჟმა, აფრაკმა, შტერმა და ბოთემ ჭკუა ისწავლა, ამ ცხოვრებას ალლო აუღო და, ეკუთვნის თუ არ ეკუთვნის, ყველაფერს თავისკენ მიათრევს, შენ კი რა ღმერთი გაგიწყრა, გულუბრყვილობასა და სისულელეს თავი რომ ვერ დააღწიე? ასე ბრიყვად როდემდე გინდა დარჩე? უხეირო ბიჭი ხარ შენ, ტუხა, უხეირო. დროა, ამ დროის შესაფერისი ცხოვრების ყაიდა ისწავლო. მიმოიხედე, რა ხდება ქვეყანაზე, საით მიდის ცხოვრება და აუწყვე ფეხი! შენ რომ ნამდვილი ჭკუა გქონდეს, იმ გოგოზე უარს იტყვი? იცი, რამდენი უცოლო ბიჭი შემოხატრის შენს ბედს? შენ კი... დაუფიქრდი, რა [illegible]ის დღევანდელი შენი სიცოცხლე? თიბავ, იმ თივას პირუტყვი ჭამს. ამისთვის წვალობ? შეგიძლია კი დიდზე დიდი კვალი დატოვო ქვეყანაზე, შენი აღნაგობის შესაფერისი. ერთობ ბევრი საქმის გაკეთება და ბევრი რამის მიღწევა შეგიძლია, საქვეყნოდ რომ გაითქვა სახელი. ამ გზას კი ანგა გაგინათებს. ბედნიერება კარზე მოგდგომია და წიხლით იშორებ, იმიტომ რომ, სულელი ხარ. ბედნიერება რომ კარზე მოგადგება თავისი ფეხით და კისერზე მოგხვევს ოქროს ხელებს, წიხლის კვრა კი არა, მოვლა, ფოფერება და გაფრთხილება უნდა. თქვენი ცოლ-ქმრობა, ბიჭო, ეტყობა, ცაშია გარიგებული.

— შენ სულ შენსას გაიძახი, ჩემს სიტყვას კი ყურს არ უგდებ. არ მინდა-მეთქი! გავათავოთ ამაზე ლაპარაკი! ბევრჯერ რომ გამიმეორებ ერთსა და იმავეს, უფრო დაგიჯერებ, თუ რავა გგონია?

— გოგო გოგოა და ცოტა იმ გოგოს იქითაც გაიხედე. არ იცი, რაზე ამბობ უარს.

—ყველაფერი ვიცი.

— არაფერიც არ იცი, უვიცი ხარ ბევრ რამეში!

— უვიცები შენს ოჯახში მოიკითხე და თუ ვერ ნახო, სარკეში ჩაიხედე.

გულში გაცოფებულ ნესტორას, არც ახლა წამოსცდენია აუგი, ენის წვერზეც კი არ დაჰკიდებია ავი სიტყვა, გაიღიმა მხოლოდ. ბენიამ რომ დაინახა, ნესტორამ გაიღიმაო, თვითონაც სცადა გაღიმება, ოღონდ რისი გამომხატველი იყო მისი ღიმილი, იმ წუთში ციდან ასი ღმერთი რომ ჩამოსულიყო და ბენიასთვის შეეხედა, ისიც ვერ გამოიცნობდა.

— არა ვარ მე ჯერ ქალის მოსაყვანად გამზადებული. სანამ ახალ სახლს არ დავიდგამ, არც მოვიყვან! — ეს ჰარპარად თქვა ტუხამ, აქაოდა, მომეშვიო. ნესტორა, პირიქით, ამას ჩაეჭიდა.

— მე კაი კაცო, ეგრე გეთქვა თავიდან! — წამოიძახა მხიარულად. — სახლი კი არა, სასახლე გიდგას, ყოველნაირად მოწყობილი.

—სად?

— შენი სიმამრის დარბაზში ცხენი გაჰქონდება.

— აჰ, იმ სასახლეს ამბობ? არ იშლი შენსას?

— რაკი შენით ვერ ხვდები, გაგარკვევ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გმადლობ ზრუნვისთვის! ცხენი მაინც თუ ჰყავს ჩემს სასიმამროს, მის დარბაზში რომ გავაჭენო?

— რკინის ცხენს გიყიდის და ეზოში დაგიბამს. ეზოც დიდი აქვს, საკუთარი ბაღითა და ფანჩატურით დამშვენებული. ინგა დედისერთაა, ყველაფერი შენი იქნება. ას წელიწადს თითი რომ არაფერზე გაანძრიო, ეგ გოგო გეყოფა ყველაფრად. აღარც ხვნა-თესვა დაგჭირდება, აღარც თიბვა და ტყე-ღრეში ფხოწიალი. დაიდგი ვაზის ფანჩატურში სარწეველა სავარძელი, ფეხი ფეხზე გადაიდე, პირში ყალიონი გაიჩარე, ინებივრე და ინებივრე ბედნიერად.

— კიდევ რას დამეხარბო? ვინც ასე კარგად ცხოვრობს, ყველა ბედნიერია?

— რატომაც არა. აბა, ღარიბი კაცის ბედნიერება ვინ თქვა? ისე იცხოვრებ, როგორც თაგვი ქერის ორმოში.

— მე არასდროს მინატრია ქერის ორმოში ჩავარდნილი თაგვის ბედი.

— ღარიბი კაცი, ბიჭო, იმ იმედით ცოცხლობს, იქნებ ლატარიაში რამე მოვიგოო. შენ, აგერ, ოქროს ლატარიაზე უკეთესი ბედი გამოგიგორდა. ჰაი, დედასა! ნეტავი ახლა შენი კბილა საცოლე ბიჭი ვიყო, შენი ძალ-ღონე მომცა, თვარა!..

ნესტორას ღიმილი არ შორდება. ეს მიწებებული ღიმილი ძალიანაც აწუხებს, პირისახეზე წამდაუწუმ ისვამს ჭადრაკულ ცხვირსახოცს, მაგრამ ვერ იცილებს. მხოლოდ ის მოახერხა, რომ წუხილი და ღიმილი ერთად აეფინა პირისახეზე.

„ვაი, რატომ არ გაიცინებს მაღალი ღმერთი! ეს რა გვიქნა თავგასიებულმა ტუხიამ, სახვეწრად არ გაგვიხადა საქმე?“

— ნესტორა თავმჯდომარევ, შენ ისე ლაპარაკობ, მგონი, თვითონ მოგდის ნერწყვი იმ ცხოვრებაზე. რაკი ასე ძალიან გაინტერესებს ის სიმდიდრე, ადექი და თვითონ შეირთე შენი სტუმარი!

— ა, უყურე ახლა შენ ამას! ვისაც ჭკუა აქვს თავში, მაგას იტყვის! მე რა ხანია ცოლი მყავს, შე თავრეტიანო!

— თბილისში მეორე ცოლი გაიჩინეო ამბობენ, ახლა თავმჯდომარეებისათვის ასეთი რამ მოდაშიაო.

— კაი, გეყოფა, დაანებე მასხრობას თავი. შენ ზოგჯერ ხუმრობით ისეთ რამესაც იტყვი ხოლმე, მერე გისრულდება.

— რაზე ამბობ, არ მახსოვს?!

— შენ იქნებ მართლაც არ გახსოვს, მე კი სწორედ ახლა მომაგონდა. ერთხელ რომ თქვი: დიდი კაცი გავხდები და მერე ასე და ისე ვიზამო. დღეს რომ ვუკვირდები, ეს შენი გულთმისნობით წამოგცდა მაშინ, ღმერთმა თუ რაღაც ბუნების ძალამ წინასწარმეტყველურად წამოგაყივლა შენი მომავალი ბედ-იღბლის ამბავი... ბედს ჩვენ არ ვირჩევთ, ადამიანები, თვითონ ბედი გვირჩევს ჩვენ. შენ რომ დაიბადე, ეტყობა, ანგელოზებმა დაგანათლეს, დიდი კაცი გახდებიო. კი, კი, ანგელოზებმა... ასეა ჩაწერილი შენი ბედის დავთარში, ჩემო ტუხია, და კაცი თავის ბედს ვერ გაექცევა. ობოლ ბარტყს ბუდეს თვითონ ღმერთი უშენებსო. ინგა შემთხვევით არ შეგხვედრია, განგებამ გამოგიგზავნა: სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი, ა, შეაბერდით ერთმანეთს აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდეო. ღმერთმა ათასნაირად დაგაჯილდოვა, იმ დღეს გზაზე ინგას რომ გადაგყარა. ეჰ, შენ ჯერ არც იცი, რა ბედი გელის იქ, სიმამრის ოჯახსა და საზოგადოებაში. მთავარია, კარი შეაღო იქ, მერე გზა ყველგან გახსნილი გექნება, ადი და ადი კიბეზე, ზევით და ზევით! თუ ჭკუით მოიქცევი, შეიძლება სიმამრსაც გაუსწრო და მალე მინისტრიც გახდე! კი, კი! რაკიღა ანგელოზებმა დაგანათლეს, რა დაუდგება წინ? მორჩა! სახელიც დიდი გექნება და სახრავიც! ოღონდ, ბიჭო, მერე კი არ გაამაყდე და ბერხეველები კი არ დაგვივიწყო, ვინც შენ ამ გზაზე კეთილი ხელი წამოგაშველა! უმადურობაში ჩაგითვ-

ლიან!.. — ნესტორას სხვა ღიმილი გაუჩნდა.

— არ მინდა! — თქვა ტუხამ წყნარად. მე თოხნა და ბარვა ვიცი, ვაზის მოვლა ვიცი, მიწის სატკივარი ვიცი, ჭიდაობა ვიცი, ქალაქური საქმეები არ ვიცი... მე იქ ცხოვრებას ვერ შევძლებ.

— შეძლებ. ხელად შეიმშვენებ. შენს გასაკეთებელ საქმეს პირველ ხანებში სხვები გააკეთებენ, მერე თანდათან შენც გაგარკვევენ. ჯერ პატარა სკამზე წამოგასკუპებენ, მერე უფრო დიდზე, მერე მინისტრის მოადგილის სავარძელში გადაგსვამენ და, მოგეხსენება, მინისტრის მოადგილის კაბინეტსა და მინისტრის კაბინეტს ერთი წინაკარი აბია. მათი კაბინეტების შუა საერთო ოთახია. ერთი ნაბიჯიც და... მინისტრის პორტფელი გიჭირავს ხელში... — ახლა უკვე გემრიელად იღიმება ნესტორა, გეგონებათ, თვითონ შედის მინისტრის კაბინეტში და გულგახარებული პორტფელი მისკენ თავისით მოფრინავსო.

— ნესტორა, კი ვიცოდი, ბევრი ბოდვა გიყვარდა, მაგრამ, ამდენი ბოდიალი თუ შეგეძლო, ვერ წარმომედგინა...

ნესტორას გემრიელი ღიმილი უმალვე ჩამოერეცხა და გაშტერდა.

— ნაკლუბარის ეზოში, მაღალ ბოძზე, ფართოდ პირმოღებული რადიო რომ ჰკიდია, მთელი დღე ლაპარაკობს, ზოგჯერ — ღამითაც გვიანობამდე. უგდებს თუ არ უგდებს ვინმე ყურს, მაინც ლაპარაკობს. თვითონ ლაპარაკობს, შენ კი რაც არ უნდა უთხრა, არ ესმის. იმ რადიოს გავხარ შენ, ნესტორა. გისმენენ თუ არ გისმენენ, მაინც შენსას ლაქლაქებ. ვერ გაიგე, რომ მე იმ გოგოს მთხოვნელი არა ვარ?

— ტყუილად ძვრი ტლინკებს, მაინც შეგაბამენ უღელში და ჩათრევას ჩაყოლა გერჩიოს! მაინცდამაინც სასამართლოში წაგათრიოთ?

— რაკი ღმერთმა დამაჯარიმა და იმ გოგოს გადამყარა, ციხეში ჩავჯდები და არ ვითხოვ!

— იქნებ გგონია, რომ ჩასვლამდე აქ დაგტოვებენ? მაინც ქალაქში წაგიყვანენ. დიდი ციხე ქალაქშია ან... უფრო შორს, გადასაკარგავში. საქართველოს ღრუბელს მოგანატრებენ. ინგა ნესტორა ჩიხრაძის სტუმარი კია, მაგრამ ხომ არ დაგავიწყდა, ვისი ქალიშვილიცაა? მამამისს მთელი საქართველო ასე უჭირავს, ა! — ნესტორამ აწყვეტილ ორ ფოლაქს მაგრად მოუჭირა ხელი.

ამ დროს ტელეფონი ისე მოულოდნელად აწკრიალდა, ტუხაც კი შეცბა.

— ალო, ალო! გისმენთ! დიახ, ნესტორა ვარ. კი, ჩამოიყვანეს. აგერ, სამი საათია ვეჩიჩინები და, თქვენც არ მომიკვდეთ, ვერაფერი შევაგნებინე. ქვის მოხარშვა შეიძლება? არც ეს იხარშება. მამაზეციერი რომ ჩამოვიდეს მიწაზე, იმის სიტყვასაც არ დაიჯერებს. არავისი არაფერი არ სწამს. რაო? ჩამოდიან? როდის, კაცო? იქნებ უკვე ბერხევიშიც არიან?! თუ ძმა ხარ, გამოარბინე, მარტო ნუ მიმატოვებ ლომის ხახაში! მილიციელებიც გამოიძღვანე დამატებით! გელოდები! — ნესტორამ ყურმილი დაანარცხა.

— ინგას დედ-მამა ჩამოდის. ცირკი ახლა დაიწყება თუ დაიწყება. ვაი, ჩვენს მოსწრებას! — ტუხას მიუბრუნდა. — ა, გეწვევიან დღეს სიდედრ-სიმამრი და, აბა, შენ იცი, რაფერ ივაჟკაცებ და გვასახელებ! ასე მათხოვარივით ჩამოძონძილი დახვდები თუ გამოიცვლი ტანსაცმელს?

— მე თავს არავის ვაწონებ, რაცა ვარ, ესა ვარ! — მიუგო ტუხამ.

ნესტორამ პირისახეზე ჭადრაკული ცხვირსახოცი მოისვა და თვალები აუჭრელდა. მის წინ უამრავი ფერადი ბუშტი აბორიალდა: წითელი, თეთრი, შავი, მწვანე, რუხი, ყვითელი... ეს ბუშტები ჯერჯერობით არ სკდებოდა, მხოლოდ ერთმანეთში ირეოდა ბორიალით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაირა სტურუა

# კარლო გოლდონი და „მშვენიერი ქართველი ქალი“

იტალიური თეატრის ისტორიაში არ არის უფრო დიდი სახელი, ვიდრე კარლო გოლდონისა. ლოპე დე ვეგას შემდეგ მსოფლიო დრამატურგიამ არ იცის უფრო ნაყოფიერი შემოქმედი. მის კალამს ეკუთვნის 300-მდე ნაწარმოები. გოლდონის ნაწარმოებებს დიდად აფასებდნენ მეტასტაზიო, ლესინგი, გოეთე, გოგოლი, ოსტროვსკი. გოლდონის ნიჭის თაყვანისმცემელი იყო ვოლტერი. მისი შემოქმედების პოპულარობაზე ლაპარაკობს ისიც, რომ მის სიცოცხლეშივე, ცალკე პიესების აუარებელი გამოცემების გარდა, 23-ჯერ გამოიცა მისი კომედიების კრებულები. საფრანგეთში მას „იტალიელ მოლიერს“ უწოდებდნენ.

გოლდონიმ ერცელი პიესა მიუძღვნა საქართველოს. კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკის რარიტეტში (ინვ. № 125) დაცულია კ. გოლდონის პიესების 31-ე ტომის 1793 წლისეული გამოცემა.[1] წიგნი შეძენილია 1945 წელს, 200 მანეთად (სამწუხაროდ, ვისგან ჯერჯერობით ვერ დაზუსტდა). ტომი იხსნება ტრაგიკომედიით „მშვენიერი ქართველი ქალი“. ეს პიესა ჩვენ უკვე ვთარგმნეთ ქართულ ენაზე. ქვემოთ ვაქვეყნებთ პირველ მოქმედებას.

უნდა ვიფიქროთ, რომ გასული საუკუნის 60-70-იან და მომდევნო წლების ქართველი მთარგმნელებისათვის ეს პიესა ცნობილი არ იყო; მხოლოდ ჩვენი საუკუნის სამოციან წლებში ამ პიესით პირველად დაინტერესდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნ. ორლოვსკაია და უძღვნა მას რამდენიმე წერილი, რომლებიც შეტანილია მის წიგნში „საქართველო დასავლეთ ევროპის XVII-XVIII ს.ს. ლიტერატურაში“ (თბილისი, 1965 წ. რუს. ენაზე). საერთოდ კი, ძველად, დიდი იყო დაინტერესება უცხოური დრამატურგიით, კერძოდ, გოლდონით. იგი დაფუძნებული იყო ჩვენი თეატრების მუდმივ რეპერტუარში. ცნობილია, რომ ივ. მაჩაბელმა თარგმნა გოლდონის „ბუზლუნა კეთილისმყოფელი, ანუ როგორც ჰქუხს, ისე არ წვიმს“. იგი დაიდგა თბილისში, ასი წლის წინ, 1879 წლის 14 ნოემბერს, რასაც დიდი წარმატება ჰქონდა. პიესაში მონაწილეობდნენ: კ. მესხი, კ. ყიფიანი, ნ. გაბუნია, მ. ყიფიანი, ბ. კორინთელი და სხვ. მთავარი როლის შემსრულებელი იყო ვ. აბაშიძე.

რევოლუციამდელ საქართველოში გოლდონის კომედიების მთარგმნელები იყვნენ, გარდა ივ. მაჩაბლისა, ვ. გუნია და ე. ყალიბეგაშვილი.

ჩვენს დროში, რუსთაველის თეატრმა დადგა გოლდონის „სამპატარძლო აფიშით“ (თარგმანი დ. კასრაძისა) და „ორი ბატონის მსახური“ (თარგმანი გ. ფრონისპირელისა). ეს კომედია დაიდგა, აგრეთვე, ბათუმის, ქუთაისის, გორის, თელავის, ხაშურის, ახალციხისა და ყვარლის თეატრებში. ი. გრიშაშვილის მიერ თარგმნილი „სასტუმროს დიასახლისი“ წარმოადგინეს მარჯანიშვილის თეატრში, აგრეთვე, ქუთაისში. კომედია „სასეირო შემთხვევა“ წარმოდგენილი იქნა ბათუმის თეატრში (თარგმ. რ. დოლიძისა) და გორის თეატრში (თარგმ. გ. ლაღიძისა).

რუსთაველის სახელობის თეატრალურმა ინსტიტუტმა, სტუდენტთა ძალებით, სხვადასხვა დროს გოლდონის კომედიების მთელი წყება

განახორციელა. აქ დაიდგა „ჭორიკანა ქალები“, „საპატარძლო აფიშით“, „სასტუმროს დიასახლისი“ და „ორი ბატონის მსახური“. კომედიამ „ორი ბატონის მსახური“ მთელი საქართველო მოიარა.

ამ პიესას უჩვენებდნენ გოლდონის დაბადების 250 წლისთავზე, 1957 წელს.

* * *

„მშვენიერი ქართველი ქალი“ ხუთმოქმედებიანი პიესაა, ლექსად. იგი პირველად ვენეციაში დაიდგა, 1761 წლის 5 დეკემბერს, სან ლუკას თეატრის სცენაზე.

გოლდონის პიესაში პირობითად აღებულია საქართველოს ისტორიის უაღრესად ავბედითი პერიოდი, როცა ქვეყანა დაქუცმაცებული იყო ცალკე ფეოდალურ სამთავროებად და მის მიწაწყალზე გამეფებული იყო ფეოდალთა შუღლი, მათი ომი ერთმანეთთან, ტყვეთა წაგვრა და გაყიდვა. ეს იყო მძაფრი ტრაგიკული და დრამატული კოლიზიებით აღსავსე დრო. ნაწარმოების ფაბულა კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება. იგი მთლიანად ავტორის ფანტაზიის ნაყოფია. დრამატურგს სჭირდებოდა მასალა ინტრიგისათვის, რაზედაც ააგებდა თავის პიესას. ამ მიზნით მან მიმართა ქართულ მასალებს.

ბუნებრივია, პირველი კითხვა, რაც უეჭველად დაებადება მკითხველს, არის შემდეგი: საიდან შეიძლება სცოდნოდა გოლდონის საქართველოს ამბები, საიდან აქვს მოპოვებული მასალები ჩვენს ქვეყანაზე.

ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყნის გაცნობა იტალიელებმა ევროპაში სხვებზე ადრე დაიწყეს. საქართველოთი ევროპის დაინტერესება, ერთის მხრივ, გამოწვეული იყო აღმოსავლეთთან სავაჭრო გზების ძიებით, მეორეს მხრივ — გვიან შუასაუკუნეებში რომის კათოლიკური ეკლესიის მისწრაფებებით — თავისი გავლენა აღმოსავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებზე გაევრცელებინა. ევროპაში ამ დროისათვის უკვე ცნობილი იყო მოგზაურთა — მარკო პოლოს, კონტარინის, პიეტრო დელა ვალეს და სხვათა თხზულებანი.

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, გოლდონი თავის თანამემამულეთა ნაშრომებს გაეცნობოდა, სახელდობრ, პიეტრო დელა ვალეს. მით უფრო, იმ დროის ევროპელი მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობოდა აღმოსავლეთის ქვეყნების პიეტროსეულ აღწერას.

პაპისადმი მიძღვნილ რელაციაში პიეტრო დელა ვალე აღნიშნავდა, რომ ქრისტიანობის უდიდესი და უძლიერესი მტრები — ოსმალოები და სპარსელები ქართველებს არაერთხელ დაუმარცხებიათ და ღირსნი არიან ჩვენგან შემწეობისა.

თავის ცნობილ „მოგზაურობაშიაც“ იტალიელი მოგზაური დიდ ადგილს უთმობს ქართველებს. რომში დაბრუნებისას იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს კოლეგიუმის დაარსებაში ქართველ ახალგაზრდებისათვის. ასევე დიდ შემწეობას უწევს რომში ფიდეს კონგრეგაციის ჩამოყალიბების საქმეს, ეხმარება მათ იტალიელი მისიონერების საქართველოში გამომგზავრების ორგანიზებაში და შემდგომშიც ახლო ურთიერთობა აქვს საქართველოში მომავალ, თუ ჩვენი ქვეყნიდან ჩამოსულ მისიონერებთან. მათი საშუალებით კონტაქტებს ამყარებს ჩვენს მეფე-მთავრებთან, უძღვნის მათ საჩუქრებს და სხვ.

საქართველოში დიდხანს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ იტალიელი მისიონერები: ქრისტეფორე კასტელი, ჯუდიჩე მილანელი, არქანჯელო ლამბერტი, იოსებ მარია ძამპი, პიეტრო ავიტაბილე, ჯუსტო პრატო, ჯაკომო დი სტეფანო და სხვა. ისინი რელაციებს უგზავნიდნენ ფიდეს კონგრეგაციას, დაწვრილებით აღწერდნენ საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობას. ხშირად ამ მისიონერთა საშუალებით ხორციელდებოდა დიპლომატიური კავშირი და მიმოწერა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მეფემთავრებთან და რომის პაპთან.

ასევე საინტერესო იქნებოდა გოლდონისათვის და ალბად გაეცნობოდა კიდეც ცნობილი იტალიელი ისტორიკოსის ბართოლომეო ფეროს წიგნს „თეატინელ მისიონერთა ისტორიას“, რომელიც რომში დაიბეჭდა 1704 წელს.

და თუ ამას დაუმატებთ იმასაც, რასაც გოლდონი თავის „მემუარებში“ მიუთითებს, ჩვენთვის ნათელი გახდება, რაოდენ უხვი მასალა შეიძლება ჰქონოდა ხელთ ავტორს. მის „მემუარებში“ აღნიშნულია. აღმოსავლეთის თემაზე მასალებს, იქაურ ხალხთა ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს, გავეცანი ინგლისელი მოგზაურის ტომას სალმონის წიგნიდანო, რომლის ზუსტი დასახელება ასეთია: „ახალი ისტორია, ანუ ამჟამინდელი ვითარება ერებისა“.

ამ წიგნის თარგმანი იტალიაში გამოჩნდა უკვე 1736-38 წლებში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იტალიურ გამოცემაში შეტანილი იყო ერთი თავი საქართველოს შესახებ ჟან შარდენის თხზულების მიხედვით. ამ თავს ერქვა „თანამედროვე მდგომარეობა დასავლეთ საქართველოსი, რომელშიც შედის სამეგრელოს და გურიის სამთავროები და იმერეთის სამეფო“. ინგლისურ გამოცემაში კი ეს თავი არ იყო. ამრიგად, გოლდონის ხელთ ჰქონდა ჟან შარდენის თხზულების ეს მონაკვეთი საქართველოზე. საერთოდ, გოლდონი კარგად იცნობდა უცხოურ ლიტერატურას. მოლიერის ორიგინალში რომ წაეკითხა, გოლდონიმ ამ მიზნით ფრანგული შეისწავლა სრულყოფილად. თარგმანებით აცნობდა იგი ინგლისურ და ესპანურ ლიტერატურა-

საც. მან იზიდავდა სხვა ქვეყნების თავისებური კოლორიტი.

გამორიცხული არ არის, რომ გოლდონის სხვა წყაროებიც ჰქონდა საქართველოზე, ანდა სულაც რაიმე ნაშრომი ჩვენს ქვეყანაზე, მაგრამ ამის შესახებ ჯერჯერობით არავითარი წერილობითი ცნობა არ მოგვეპოვება. შესაძლოა, მომავალმა კვლევამ რაიმე შუქი მოჰფინოს ამ საკითხს.

ცხადია, ეს წყაროები გოლდონის აძლევდნენ საფუძველს ჰქონოდა რაღაც წარმოდგენა აღმოსავლეთის შორეულ ქვეყანაზე, საქართველოზე. ისიც ნათელია, რომ მისი ეს წარმოდგენა საქართველოზე, შეუძლებელია ყოფილიყო ზუსტი; ამიტომ მის პიესაში ბევრ რამ გაუგებრად მოეჩვენება თანამედროვე მკითხველს.

როგორც მისიონერები, ასევე ჟან შარდენი. ძირითადად დასავლეთ საქართველოს აღწერდნენ. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ გოლდონიმ საქართველო წარმოადგინა მხოლოდ სამეგრელოსა და გურიის სამთავროებისა და იმერეთის სამეფოს სახით. მისი პიესის მთავარი გმირები არიან: დადიანი — იმერეთის მეფე (რაკი დადიანია, თავისთავად ფლობს სამეგრელოსა(!); ბაგრატი — გურიელი, თამარი — მშვენიერი ქართველი ქალი — გურიელის ასული, აბკარი — დადიანის ვეზირი, მაკური — მდაბიო ქვეშევრდომი მეფის კარზე, ვახტანგ — ბაგრატის მეგობარი, ოტიანა — დადიანის და, კეკაიც — დიდებული დადიანის კარზე.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კ. გოლდონის ხელთ ჰქონდა, ჟ. შარდენის თხზულება, სადაც ვკითხულობთ: იმერეთის ხელისუფალი ატარებს მეფის ტიტულს. მეფე და დადიანი ორთავენი თავიანთ თავს თვლიან მეფისა და წინასწარმეტყველ დავითის შთამომავლებად. იმერეთის მეფე თავის თავს მედიდური ტიტულებით ამკობს: „მეფეთ მეფე“ იწოდება.1

ყოველი ამის შემდეგ, გასაკვირი არ არის, რომ გოლდონის დადიანზე დაეწერა—იმერეთის მეფე, მით უფრო, პიესის ინტრიგისათვის მას სჭირდებოდა მეფე. სახელები: ბაგრატი, ვახტანგი ავტორს შარდენის წიგნიდან აქვს აღებული, ხოლო თამარი მართლაც ერქვა მამია II გურიელის ასულს, იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის პირველ ცოლს. ისიც ისეთივე ლამაზი იყო, როგორც გოლდონის მიერ გამოყვანილი მთავარი გმირი. დანარჩენი მისი ცხოვრებიდან არაფერი არ ემთხვევა.

გოლდონის აქვს არაქართული სახელებიც: აბკარი, ოტიანა და მაკური. ოტიანა იქნებ ოტიადან ნაწარმოები ქალის სახელია. შარდენს ოტია ჩხეიძე ჰყავს დასახელებული, აბკარი — პირველ ხალიფას საკუთარი სახელია — გოლდონის ეს სახელი მიუცია პირველი ვეზირისათვის; რაც შეეხება მაკურს, გოლდონი ქართველების ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის ისტორიის გაცნობისას (რასაც უეჭველად შეხვდებოდა, როგორც შარდენის წიგნში, ისევე მისიონერთა აუარებელ ჩანაწერებში) — წააწყდებოდა მეფე ბაკურის სახელს. შესაძლოა ეს სახელი აიღო და რადგან იგი მდაბიოსათვის სჭირდებოდა, თანხმოვანი შეცვალა ხელოვნურად — ბაკურის ნაცვლად დაწერა მაკური. (რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდია). როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ფაბულა ავტორის მოგონილია და არაფერი აქვს საერთო კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებთან.

„მშვენიერი ქართველი ქალის“ სიუჟეტი ასეთია: იმერეთის მეფემ — დადიანმა ბაგრატ გურიელს ხარკად შეაწერა 100 ლამაზი ქალი, მან კი გამოუგზავნა „ორმოცი გომბიო“, თანაც „ნაკლებ ლამაზნი და მდაბიონი“. ეს ქალები დადიანმა ირანის შაჰს უნდა გაუგზავნოს. თავისთავად, აქაც შეუსაბამობაა. ტყვეთა ყიდვის საზიზღარი ჩვეულება იმ დროს დიდად გავრცელებული იყო, მაგრამ ქართველთა მეფე, ან მთავარი, თუ ის მთლად გადაგვარებული და გათათრებული არ იყო, ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდა. დადიანი კი აქ თითქოს პატრიოტი ჩანს — მთლიან საქართველოზე ოცნებობს. მაგრამ გავყვეთ ისევ პიესის სიუჟეტს. განრისხებული დადიანი ემუქრება გურიელს, რომ ურჩობისა და ბრძანების შეუსრულებლობისათვის სასტიკად დასჯის თავის ვასალს. ამის თაობაზე ეთათბირება იგი თავის ვეზირს აბკარს, რომელიც, ამავე დროს, მისი ჯარის სარდალიც არის. აბკარი ცდილობს „გაუქარწყლოს მრისხანება“ დადიანს, თანაც შთააგონებს, რომ „მყარ ნიადაგზე არ დგას“ და მის მუქარას საფუძველი ნაკლები აქვს. ვეზირი ჭკვიანია. მან იცის, რომ დადიანს ბევრი მტერი ჰყავს, შინაური თუ გარეშე, და თუ ახლა ის გურიელთან ომს წამოიწყებს, ადვილი შესაძლებელია დამარცხდეს. მაგრამ დადიანს არაფრის გაგონება არ სურს.

ამ თათბირის დროს მეფეს მოახსენებენ, რომ ეახლა ბაგრატის ელჩი. ეს არის ვახტანგი, გურიელის კარზე დიდად მიღებული პიროვნება. თავის სიტყვაში, რომლითაც მიმართავს დადიანს, ვახტანგი ცდილობს დაარწმუნოს მეფე, რომ ხარკის გადაუხდელობა მისი მთავრის ბრალი არ არის, „ვერ მოვძებნეთ ჩვენ მეტი ქალი“ და თუ არ გჯერა ჩემი სიმართლე, შეგიძლია ადვილად შეამოწმო, გაგზავნო ხალხი გურიაში და დარწმუნდე, რომ თქვენი მოტყუება ფიქრადაც კი არ გვქონია. ბოლოს დასძენს: იმის დასამტკიცებლად, რომ გურიელს შენთან

1. შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთ ქვეყნებში. ცნობები საქართველოს შესახებ (ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა). გამომც. „მეცნიერება“ თბ. 1975, გვ. 205.

მეგობრობა სურს და არა მტრობა, თვით თავისი ასული გაახლათ მძევლად, რომელიც განთქმულია თავისი სილამაზითა და გონიერებითო. დადიანი ყურს არ ათხოვებს ვახტანგის ამ სიტყვებს, მასზე აღარაფერი აღარა სჭრის, აღარც კი ნახავს მთავრის ასულს და იქვე გააჩუქებს მდაბიო ქვეშევრდომ მაკურზე. ვახტანგი გაოცებულია, თანაც ძალზე დამწუხრებული. იგი დახმარებისათვის მიმართავს აბკარს, სთხოვს, დაიცვას უსამართლოდ დასჯილი გურიელის ასული, თანაც გამოუტყდება ვეზირს, რომ მას მთელი გატაცებით უყვარს თამარი. მეფის უსამართლო საქციელი აბკარსაც აღაშფოთებს და პირდება ვახტანგს დახმარებას; ამის შემდეგ აბკარი უბრძანებს მცველებს, მაკურთან ერთად, მოიყვანონ ახალი ტყვე — მშვენიერი თამარი. აბკარი დანახვისთანავე მოიხიბლება თამარის სილამაზით. მას ავიწყდება ვახტანგისადმი მიცემული სიტყვაც და თავისი სატრფო ოტიანაც, რომელიც მეფის დაი და მისი საცოლეა. აბკარი ბრძანებას გასცემს თამარი მის კარავში წაიყვანონ, თვითონ კი გადაწყვეტს დაუყოვნებლივ თხოვოს მისი თავი დადიანს, იმედი აქვს, მეფე უარს არ ეტყვის, მით უფრო, თამარი მან მდაბიოს აჩუქა. მართლაც, მეფე დიდი ყოყმანის შემდეგ პირდება ტყვე ქალს ვეზირს, ოღონდ მანამ ავალებს — ამჯერადაც გამოიჩინოს თავი მომავალ ომში გურიელთან და თუ ახლაც დაამტკიცებ შენს ერთგულებას, დაპირებულს შეგისრულებო.

ამასობაში მომხიბლავი ტყვე ქალის დაკარგვით გამწარებული მაკური საჩივლელად გარბის მეფესთან. ამ ამბავს შხამად ჩააწვეთებენ ყურში ოტიანასაც. ბოლოს და ბოლოს, მეფე დაინტერესდება და ბრძანებს მას მოჰგვარონ თამარი. გურიელის ასული წარდგება მეფის წინაშე: აქაც დიდი მჭევრმეტყველობით გამოირჩევა თამარის სიტყვა. მასში ჩანს აღშფოთებაც უსამართლობის გამო, ქალური კდემაც, გამბედაობაც, გამჭრიახობაც. დადიანიც მოიხიბლება თამარით და საუბრის ბოლოს ისიც შეყვარებულია. ამგვარად, პიესის ყველა მამაკაცი შეყვარებულია თამარზე. შემოდის ოტიანა, იგი ზიზღით უყურებს მომხიბლავ ტყვე ქალს, რომელმაც თავის ჯადოქრობით სატრფო წაართვა. თამარი უმტკიცებს, რომ მის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. მეფე აბკარსაც წაართმევს ტყვე-ქალს და თავისთან დატოვებს. მოქმედება სულ უფრო იხლართება; დადიანის კარზე რომ ეს ამბებია, გურიელი საომრად ემზადება. ვახტანგმა ამბავი მიუტანა, რომ მისი ასული მის თვალწინ მდაბიოს აჩუქა დადიანმა. მას ნაკლებ დამაჯერებლად ეჩვენება ვეზირის დაპირებაც — თამარს გამოვიხსნიო, შეკრებს ჯარს და ომის თადარიგს იჭერს. მეფისაგან შეურაცხყოფილი აბკარი კრებს მეფის ლაშქარს და დარჩეული მხედრობით გურიელს მიემხრობა. ახლა ძალა გურიელის მხარეზეა და იგი მედგრად უტევს მტერს, თვითონ [illegible] — კი ამ დროს თავის კარავშია [illegible] საუბრობს; როცა მოახსენებენ, რომ მტერი ძალზე მოახლოვდა, შენი ლაშქარი დამარცხდა და აბკარი მტრის მხარეზე გადავიდაო, დადიანი თამარს საბრძოლო კოშკში ჩაკეტავს და თვითონ საომრად მიეშურება.

ამ ბრძოლაში დადიანი მარცხდება და ტყვედ უვარდება გურიელს. ტყვედვარდება მისი დაი ოტიანაც, რომელიც ბრძოლის აწყებამ წინ ურჩევდა თავის ძმას მოეკლა თამარი, რომელმაც ამდენი უსიამოვნება მიაყენა და ომის მიზეზიც გახდა. მრავალ განსაცდელისაგან თავდახსნილი თამარი, მამას დაარწმუნებს, რომ უმჯობესია დადიანი ტყვეობიდან გაანთავისუფლოს და იმერეთი დაუბრუნოს, ამ გზით საქართველო გაერთიანდება და ერთიან ქვეყანას უფრო ვერ მოერევა გარს შემოჯარული ურიცხვი მტერი. თან ამას იმით ასაბუთებს, რომ დადიანს ცოლად ვუნდივარ და რა იქნება შენთვის იმაზე უკეთესი — შენი ასული გაერთიანებულ საქართველოს ტახტზე იხილოო. ეს ბაგრატის პატივმოყვარულ გეგმასაც ემთხვევა. ამიტომ თანხმდება. დაბოლოს დადიანი ირთავს თამარს, ვახტანგს ვეზირად ნიშნავენ, ბრძოლაში დაღუპულ აბკარის ნაცვლად, და საქმე ისე მოეწყობა, რომ ვახტანგი და ოტიანაც ბედნიერდებიან.

ასეთია ამ პიესის სიუჟეტი. როგორც მკითხველიც ხედავს, მასში ბევრი პირობითობაა, ბევრი შეუსაბამობა, მაგრამ ეს როდია საინტერესო; გოლდონის თავის ნაწარმოების მთავარ მიზნად ის მიაჩნდა, რომ ჰიმნი მიუძღვნას ქართველი ქალის უბადლო სილამაზეს და გონიერებას. მისი მთავარი გმირი — თამარი გამოირჩევა არა მარტო უბადლო მშვენიერებით, არამედ მის წარმოთქმულ სიტყვებში ჩანს არაჩვეულებრივი გონებამახვილობა. ეტყობა, კარლო გოლდონის ბევრი რამ წაუკითხავს ქართველ ქალებზე, მათ სიტურფეზე, გონიერებაზე. მისთვის ისიც ცნობილია, რომ მათ „არაერთხელ ტახტი რგებიათ“. დრამატურგი, ეჭვი არ არის, იცნობს პიეტრო დელა ვალეს აზრებს საქართველოზე და ქართველ ქალზე. „სიმართლე რომ ითქვას, — სწერდა პიეტრო დელა ვალე თავის უახლოეს მეგობარსა და ექიმს მარიო სკიპანოს ნეაპოლში — ქართველი ქალები ძალზე ლამაზნი არიან მთელს აზიაში. შაგვრემანი სპარსელები ვერ შეედრებიან მათ. ქართველი ქალები არიან იმდენად ტანმაღალნი, რომ სიმაღლე ქალბატონ ფაუსტინა ალბერინისა, დეიდაჩემისა, ძალზე ჩვეულებრივია მათ შორის. თითქმის ყველას შავი თმა აქვს და თვალებიც შავი — დიდრონი და მომხიბლავი, პირისახე — თეთრი ფერისა, ხოლო ლოყები — ვარდისფერი...

მე ვთვლი ქართველებს ერთ-ერთ ულამაზეს ხალხად მთელს მსოფლიოში“.[2]

ხოლო შარდენი აი რას წერდა საქართველოზე:

„ქალები ძალიან ლამაზები (არიან), მაღალი წრის ქალებს რაღაც თავისებური ნაკვთები და სინაზე აქვთ, რაც გხიბლავს. მე შემხვედრია მათ შორის მშვენიერი აღნაგობის ქალები, დიდებული იერით, საუცხოო სახითა და ტანით. გარდა ამისა, მათ აქვთ ისეთი მიმზიდველი და ალერსიანი გამოხედვა, რომ მაყურებლისაგან თითქოს ტრფობას ითხოვენ... მათ აქვთ ჭეშმარიტად გამჭრიახი და მახვილი გონება, არიან თავაზიანები, ზრდილნი, დარბაისელნი და გულთბილნი; მაგრამ ამავე დროს ამაყნი, ქედმაღალნი და ულმობელნი“[3]...

აი, რას ამბობს კარლო გოლდონი ქართველ ქალებზე თავის პიესის ბოლოს:

„საქართველო ხომ სავსე არის ტურფა ქალებით, ეს მართალია, ეს ყველამ იცის, მაგრამ უპირველესი ღირსება მათი ეს არის შერწყმა თვალით უნახავ მშვენიერების მაღალ გონიერებასთან“.

გოლდონიმ არც ქართველ მეომართა სიმამაცე დაივიწყა. პიესაში არის ასეთი ადგილი: ბრძოლაში მეციხოვნენი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძვიან, იცავენ კოშკს. თამარი ამბობს მათზე:

„რჩეობენ მოკვდნენ სახელიანად და არასოდეს მტერს არ დანებდნენ...“

გოლდონის პიესის ბოლოს გაიმარჯვა სიკეთემ, გონიერებამ, სამართლიანობამ. ეს თვითონ გოლდონის, როგორც განმანათლებლის, აზრია. მშვიდობამ გაიმარჯვა, ქვეყანა გაერთიანდა და ამას მიაღწია მისმა გმირმა ქალმა — გონიერებით, მჭერმეტყველებით. სწორედ ესაა პიესის დედააზრი. კარლო გოლდონი მომსწრე იყო ორი ომისა (ერთი ცნობილი იყო დონ კარლოსის ლაშქრობის (1733 წ.), ხოლო მეორე — დონ ფილიპოს ლაშქრობის (1740-1748) სახელწოდებით; მწერალს მუდამ ახსოვს ამ ომების საშინელებანი. ცალკეულ სამფლობელოებად დაქუცმაცებული, გარეშე თუ უცხოელი დესპოტებისაგან დამონებული იტალიის გაერთიანება მწერლის სანუკვარი ოცნება იყო; იტალიისათვის არც ფეოდალური შიდა აშლილობა იყო უცხო; ამიტომ — როცა გოლდონი თავის პიესებში თავის ქვეყნის ფარგლებს სცილდება, მხედველობაში ყოველთვის თავის სამშობლო, იტალია აქვს, მის გაერთიანებაზე ოცნებობს, თუმცა ყოველივე ეს სხვა ქვეყნის მაგალითზე გადააქვს. მან უეჭველი მსგავსება დაინახა თავის ქვეყანასა და შორეულ საქართველოს ბედს შორის. ალბათ ამან აალებინა ხელში კალამი, ამან დააწერინა გოლდონის ეს ტრაგიკომედია; ასე რომ, ამ პიესაში თანაბრადაა ასახული როგორც ძველი საქართველოს, ისე ძველი იტალიის ტრაგიკული ისტორია. მაგრამ გადმოსცემდა რა საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობას, გოლდონი დაზღვეული არ იყო ფაქტობრივი შეცდომებისაგან, რაც ჩვენ ზემოთ გაკვრით უკვე აღვნიშნეთ.

„მშვენიერი ქართველი ქალი“ დაწერილია თავისუფალი თეთრი ლექსით, არ არის დაცული მარცვალთა რაოდენობა, თუმცა რიტმი გამართულია. ის კარგად იკითხება; მან, ასე ვთქვათ, მოიხდინა ქართული.

კარლო გოლდონი თავის შემოქმედებით ამაღლდა ზოგადსაკაცობრიო იდეალებამდე; მან თავისი კომედიებით გაამდიდრა მსოფლიო დრამატურგია. ის კაცობრიობის უკეთესი მერმისისათვის იბრძოდა, ამიტომაც ასე აფასებს მას მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობა.

1957 წლის თებერვალ-მარტში დიდი ზეიმით აღინიშნა გოლდონის დაბადების 250 წლისთავი; იმ ხანებში იტალიაში ჩატარდა გოლდონის შემოქმედების შემსწავლელთა საერთაშორისო კონგრესი. პირველი საზეიმო სხდომა გაიმართა ვენეციაში, დოჟების სასახლეში; ამით დაიწყო გოლდონის დღეები იტალიაში, რომელიც შვიდ თვეს გაგრძელდა. საზეიმო სხდომაზე ოქროს მედლით დააჯილდოვეს პროფესორი ჯუზეპე ორტოლანი, რედაქტორი გოლდონის თხზულებათა 40 ტომეულისა, რომელზეც მუშაობასაც მან 50 წელიწადი მოანდომა. კონგრესზე თავი მოიყარეს გოლდონისტებმა მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან, მათ შორის იყო დელეგაცია საბჭოთა კავშირიდანაც, მასში შედიოდნენ თვალსაჩინო მეცნიერები — ა. გუბერი და ს. მოკულსკი.

ს. მოკულსკიმ თავისი შთაბეჭდილებები ამ კონგრესის შესახებ გამოაქვეყნა „თეატრის“ ფურცლებზე. იგი აღნიშნავდა: გოლდონის დღეებში საკმაოდ უხვად იყო წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიული განყოფილება. გამოფენილი იყო გოლდონის პიესების მრავალრიცხოვანი გამოცემები: გოლდონი ორიგინალში და თარგმანებში მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე, ესპერანტოს ჩათვლით.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმ დიდი ინტერესისა, რასაც ჩვენი ქართული თეატრი იჩენდა გოლდონის შემოქმედებისადმი, ფაქტიურად, ქართული გოლდონიანა არ არსებობს. ქართულ ენაზე არა გვაქვს არცერთი ნაწარმოები, დაბეჭდილი სტამბური წესით. სცენარები ინახება ან არქივში, ან თეატრებში.

ჩვენ, ქართველები, ვალში ვართ დიდი დრამატურგის ხსოვნის წინაშე.

2. თ. ნატროშვილი, მაშრიყით მაღრიბამდე, გამომც. „საბჭ. საქ.“, 1978, გვ. 166.

3. შარდენის მოგზაურობა... გვ. 116, 117.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშვენიერი ქართველი ქალი

## სურათი პირველი

დადიანის ბანაკი მდინარე კოდორის ნაპირას, სამეფო ჩარდახი, სხვა დიდებულთა კარვები, სალაშქრო ოთხთვალები. საბრძოლო საჭურველი და ბარგი.

დადიანი, აბკარი, მაკური, ქვეშევრდომები, ჯარისკაცები, მცველები, შემდეგ ჩხეიძე.

დადიანი — ვეზირო ქმარა! მიტევება იმ ბაგრატისა,
ვინაც ესოდენ შეურაცხჰყო ღირსება ჩემი,
მე აღარ ძალმიძს. ამაოა შენი ვედრებაც,
რომ ბობოქარი მრისხანება დამიცხრო ოდეს...
იმის სამთავროს შევუერთებ ჩემსავ სამეფოს
და ნაწილებად დაყოფილი ჩვენი ქვეყანა
ჩემი სკიპტრის ქვეშ შეიკვრება ერთ საქართველოდ.
აბკარი — დიდო ბატონო, ხომ განაგებ ამ ვრცელ სამეფოს
თვით შავი ზღვიდან ყინულოვან კავკასიამდე,
ხომ შენი ბების და ხარკის ქვეშ ცხოვრობს აქ ყველა.
ბაგრატს რა შერჩა, სახელი ერთი, რომელსაც ართმევ
და მის ხალხს სტოვებ უპატრონოდ და უილაჯოდ,
ესეც იცოდე, უსასოოდ დარჩენილ ხალხში
მოხდე ჯანყი. გახშირდება მძიმე ამბოხი
და ერთ დღეს, მეფევ, ველარ შეძლებ მოგერიებას.
დადიანი — ხმლის წერას გავხდი იმ მოჯანყეს და მეამბოხეს,
ვინც ჩემს ფერხთა წინ არ დაიწყებს მორჩილად თრთოლვას.
აბკარი — დიდო ბატონო, ეს იქნება შემაზრზენი უბედურება!
დადიანი — ამაოდ ცდილობ იმ თავნება ბაგრატის დაცვას,
იგი გასწირა თავად მისმა დანაშაულმა
და მისთა მსგავსთა არ ასცდებათ სასჯელი მკაცრი —
ასი ტყვე ქალი მას ემართა, მან თავის ფიქრით დამაჯერა ორმოც გომბიოს
თუმც კარგად იცის ულამაზეს მხევალთა ფასი...
მე მხოლოდ ამ გზით შემიძლია მოვისყიდო სპარსეთის ტახტი.
დღეს ჩემს მამულში თუ სიმშვიდეა და ტახტი
ჩემი არის ძლიერი, ეს წყალობაა იმ მშვენიერ მანდილოსანთა...
ჩემთვის მსგავსი რამ ჯერ არავის უკადრებია, მე ამ თავხედურ
მოქმედებას არვის შევარჩენ! გავგზავნი თარეშს და ვუბრძანებ
ჩემს ძლიერ ლაშქარს, რისხვად მოედვნენ გურიის მთა-ბარს
და აქ მომგვარონ მოშხიბვლულნი მათი ასულნი...
ჩხეიძე — ბატონო ჩემო, ბაგრატის ელჩი გეახლა და ითხოვს მიღებას...
დადიანი — ბაგრატის ელჩი? არაკაცი, მტრის მოგზავნილი,
როგორ გაბედა! შეიპყარით ახლავე იგი, ბორკილები
დაადეთ ფეხზე, ნუ კი მომიყვანთ, უდიერად აქ მომითრიეთ.
გადიწურება იმედი მისი, როცა იგი თვის ბატონისთვის
გამოითხოვს ზავს და შენდობას...
რაღას უდგეხართ? გასწი ეხლავე!
ჩხეიძე — მესმის, ბატონო! (გადის).
აბკარი — დიდო მეფეო, ნუ გაამჟღავნებ აგრერიგად დაფარულ რისხვას,
ეს არის ჩემი უმდაბლესი რჩევა შენდამი,
ხალხი მძვინვარებს, გარშემო კი მტერი გვარტყია...
ეგ სისასტიკე შურისგებად არ შეტრიალდეს
და არ დაგვატყდეს ხალხის რისხვა გაცოფებული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადიანი — მე რას დამაკლებს, ტყვის მპარავი, ქურდი, ოხერი
ან უგუნურთა ბრბო ჩვენს ირგვლივ მიმოფანტული,
გზააბნეული ცხვარივით რომ აბლავლებულა... ეს
შეაჩერებს ჩემს მეომრებს?! სასაცილოა!
აბკარი — ეგ ხალხი უფრო საშიშია, მეფევ ბატონო!
დადიანი — ვეზირს მეფისას არ შეჰფერის ასე სიმხდალე!
აბკარი — ო, მბრძანებელო, მე მხოლოდ შენი სიყვარული,
შენთვის ერთგული სამსახური მალაპარაკებს...
დადიანი — თაყვანისცემა, ერთგულება, პატივი მეფის
ღვთით ბოძებული ვალია შენი... მე, ისიც მომყავთ,
ჩემი მტერი ბორკილშებმული...
აბკარი — მე ვალად მადევს კვლავ მოგაგონო...
დადიანი — ხმა, კრინტი-მეთქი! (ჯდება ბალიშზე).

## სურათი მეორე

ვახტანგი — სახელგანთქმულო მბრძანებელო, გვირგვინოსანო,
იმერ-ოდიშთა პატრონო და ზღვათა მფლობელო,
მე, მოიმედე კაცთმოყვარე შენი კალთისა
მოვედი, რათა მემცნო ნება ჩემი ბატონის
მონანიების, სიყვარულის, პატივისცემის.
მე კი, მეფეო, აი, როგორ გამიმასპინძლდნენ...
მე არ მეგონა, ან თვით ბაგრატ რას იფიქრებდა,
რომ საშუამავლოდ წარმოგზავნილს მტრად შემრიცხავდნენ
და შენს წინაშე ბორკილგაყრილს შემომათრევდნენ.
დადიანი — უნდა გცოდნოდათ რის იმედი გქონდათ მაინც, შენ და შენს ბატონს?
ახლა სრულად თქვი სათქმელი შენი, რაზე გარჯილხარ, მოსულხარ რისთვის?
ვახტანგი — ოჰ, დიდო მეფევ, ნეტავ იცოდე როგორ ნანობს ჩემი ბატონი,
შენს უნებლიე წყენინებას... მაგრამ, მერწმუნე, მისი ბრალი სულაც არ არის,
მე მოგახსენებ დაწუნებულ მოსართმეველზე, შენი გული რომ აღაშფოთა
ასე ძლიერად. ტურფა ასულთა
წელს გაჭირდა ბლომად თავშეყრა,
ისევე როგორც ხანდახან ხდება მოსავალი
კაცს არ მოგივა, მიწა გიმტყუნებს და დანაკლისს ვერსით შეივსებ,
აი, ასევე ვერ შევივსეთ ის დანაკლისი და ვერ მოვძებნეთ ჩვენ მეტი ქალი,
ამის მიზეზი, ვფიცავ, მეფევ, სხვა არ ყოფილა. თუმცა ახლა შენი
განრისხება დავიმსახურეთ, მაგრამ გავბედავ და თავს ვიმართლებ,
გაგზავნე ხალხი გურიელის სამფლობელოში და თვით ირწმუნებ,
რომ ჩვენ სიცრუე არ გაკადრეთ. ჩემმა მთავარმა ერთგულების
დასამტკიცებლად და უმაღლესი მეუფების შენის დასტურად,
შემოგთავაზათ განძი ღვთიური, რაიც აჭარბებს აქამომდე ყველა საზღაურს...
მოგგვარე, მეფევ... (ვაი, რა მწარე მახვილია ჩემი გულისთვის!
და რა მკაცრია კანონი იგი, რომელსაც უნდა დავემორჩილო! (თავისთვის)
იმას ვამბობდი მოგგვარე მეფევ, ულამაზესი ასული მთავრის,
ვითარც მხევალი, ვით ზღაპრული მშვენიერება,
ფერცხალი უფლის, ვინც ღირსია თვით სპარსეთის ტახტზე ჯდომისა,
შენ შეგიძლია მისი წყალობით, თვით შაჰინშაჰის
მადლობა და ჯილდო დაიმსახურო.
დადიანი — ო, ეს არ კმარა!.. ეს არ არის გადახდა ვალის...
მთავრის ასული? ისიც ჩემი ქვეშევრდომია...
სპარსეთს გავგზავნო ტახტზე დედოფლის
და ჩემივ ხელით გავითხარო სამარე ჩემი?!
მე მაგას არ ვიქმ, მტრის შვილს მხოლოდ მტრულად დავხვდები,
მე მას ვაჩუქებ ჩემს მსახურებში ყველაზე უხეშს, მდაბიოს, საწყალს,
რადგან იგი ნაშიერია საძულველ კაცის, ვისი სისხლიც მწყურია.
ეჰეი, მაკურ, წინ წამოდექ!
(მაკური ოდნავ წინ წამოიწევს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადიანი — მომიაზლოვდი. მიჩუქნია შენთვის ტყვე ქალი,
დღეიდან იგი იქნება შენი, მოიხმარე, როგორც გინდოდეს...
დე, იგრძნოს ყველამ, თუ როგორ სჯის ურჩებს ხელმწიფე.
აბა, შეხსენათ ბორკილები ბაგრატის ელჩსაც (უთითებს ვახტანგზე)
(ვახტანგს) წადი შენს ბატონს მოახსენე, რაც რომ აქ ნახე.

(გადის ჩხეიძესთან ერთად).

## სურათი მესამე

ვახტანგი, აბკარი და მცველები

ვახტანგი: (ოჰ, ჩემო თამარ! უბედურო და დაღუპულო!)
მაკური — აბა სად არის ის ტყვე ქალი, მეფემ რომ მიძღვნა?
ვახტანგი — ჰოი, მდაბალო, ულირსო მონავ, ჰოი განგებავ,
ვის ხვედრი ხდება უნაზესი ქვეყნის მშვენება?!
ტყუილად ფიქრობ, რომ ოდესმე დაეპატრონო
მის გულს სათნოს და კეთილშობილს...
მაკარი — მით უკეთესი. თუ ასეთი ღვთაებრივია. უფრო ვაფასებ მეფის წყალობას,
მე როგორი ვარ, სულ არ არის ეგ საკითხავი
საქმე ისაა, გავხდი ღირსი მეფის პატივის.
ვახტანგი — (აბკარს მიმართავს)
ბატონო ჩემო, რჩეულს ჰგავხარ კარზე მეფისა,
სთქვი თუ მოითმენ, ეს მდაბიო, ხეპრე ნამდვილი,
რომ დაეუფლოს ამ უმწიკვლო მშვენიერებას.
არ შეიბრალებ? დახმარების ხელს არ გაუწვდი
ამ უბედურ შვილს ჩემი ბატონის?
აბკარი — ძირს ვინ დაუშვებს მეფურ სიტყვას, ან ვინ გაბედავს
რომ წინ აღუდგეს და შეცვალოს მისი ბრძანება!
(მცველებს) გაჰყევით მაკურს, ქალი მისია.
(მაკურს) ჩაიბარე, შენი მეფის ძვირფასი ძღვენი!
მაკური — გისმენ ბატონო. მაგრამ უკვე კარგად ვგრძნობ მასაც
ამიერიდან მტერი როგორ გამიმრავლდება.

(გადის მცველებთან ერთად)

## სურათი მეოთხე

ვახტანგი და აბკარი

ვახტანგი — ნუთუ ცხადია ეს ყოველი? არა, არ მჯერა...
აბკარი — ნუ ჰყვედრი ღმერთსა, ტყვე იყავი, ბორკილი გედო,
მეფემ შეგინდო, მოგანიჭა თავისუფლება.
ვახტანგი — რას ვაქნევ, მითხარ, მაგისთანა თავისუფლებას?!
მე მირჩევნია ტყვეობა და თუნდაც სიკვდილი,
ვიდრე ვიხილო მე თამარი დამცირებული...
აბკარი — მითხარ გულწრფელად, გიყვარს შენ იგი?
ვახტანგი — დიახ, გაგანდობ ამ ალსარებას: ეს სიყვარული ახლა მავალებს
გავწირო თავი, დავთხიო სისხლი და დავიცვა მისი სახელი,
ვისზეც ვლოცულობ, ვაღმერთებ ვისაც. უმჯობესია დავიბნელო მზე უწინარეს,
ვიდრე ვნახავდე მას შერცხვენილს და დამცირებულს...
აბკარი — რა სიყვარულზე შეგიძლია ილაპარაკო კაცმა, რომელმაც სატრფო
მეფეს თვითონ მოჰგვარე
და სხვა ლამაზმან ტყვეებთან ერთად ისიც გასწირე
სპარსეთის შაჰის უბინძურეს ჰარამხანისთვის!
ვახტანგი — მე სიყვარულმა მიკარნახა ეგ შმაგი განსჯა:
როცა თამარმა დაინახა, რომ მამამისსა თავზარი დასცა
დადიანის მრისხანებამ, როს დაემუქრა მეფე იმერთა
და მთელ სამთავროს შემუსვრას და აურას უქადდა —
მაშინ თამარმა ამ მუქარის გასაქარწყლებლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ განწირული ჩვენი მხარის გადასარჩენად
თვით გადაწყვიტა, რომ პირადად ხლებოდა მეფეს,
ავ დროის ბრუნვამ გადაფარა ჩვენი სურვილი
და დავრჩით ასე ღვთის წყალობის მოიმედენი.
ჰოი, იმ დღიდან გულის ოხვრამ თუ სულის ქენჯნამ,
გრძნობის, გონების, სალი განსჯის არევ-დარევამ
ჩემში ჩათესა რისხვით სავსე შურისმგებელი.
როგორ გავბრუნდე შინ უმისოდ, მარტო, ცოცხალი,
ანდა რა ვუთხრა საწყალ მამამისს, ან ვით დავტოვო
მე საუნჯე იმ განსაცდელში, რაც მტარვალმა მეფემ არგუნა!
აბკარი — მაშ, რას აპირებ, რა განზრახვა გაქვს?
ვახტანგი — თვით აღარ ვიცი, როგორ ვენდო შენი მეფის მსგავსს ცბიერს და მზაკვარს...
აბკარი — არც მე მეგონა, თუ იგი ასეთ სისასტიკეს გამოიჩენდა,
მისმა მოქცევამ არანაკლებ მეც აღმაშფოთა, მაგრამ მეფეა და
მფარველი ხელმწიფე ჩემი, რომლის წინაშე ქედის მოხრა ჩემი ვალია.
მაგრამ სიმართლე — უმაღლესი მეფეთა მეფე,
მე მიკარნახებს გავარჩიო კარგი და ავი.
ჩემი ხელმწიფე მარტოდმარტო სხვის ნაკლსა ხედავს და თავს იმართლებს
ყოველგვარა განსჯის გარეშე, ასე ამგვარად შეიძინა მან სიძლიერე
და მოიხვეჭა სახელი და ქონება დიდი, ხომ ვეზირი ვარ,
მის ბრძანების აღმსრულებელი, მაგრამ დღეიდან აღარ მინდა ვიყო მრჩეველი
ასე თვითრჯულის და შემზარავ ბარბაროსისა, კაცის, რომელმაც
ეს ასული უსათნოესი, როგორც შენ ამბობ, საჯიჯგნად მისცა
ხეპრეს, მდაბიოს, რომელშიც კაცის ამოცნობაც მეტად ძნელია.
მე ამ პოგანოს მალე გავხდი ჩემი ხმლის წერას.
ჰეი, მცველებო, გადაეცით ახლავე მაკურს,
ვიდრე კარავში წაიყვანდეს ნაჩუქარ ტყვე ქალს
მე მსურს ორივე ერთდროულად მოვინახულო
და ჩემს კარავში ზოგ რამეზე მოვესაუბრო.
ვახტანგი — ეჰეი, ბრძენო, გულმოწყალო, დიდო ვეზირო
ღირსეულ ჯილდოს მოელოდე ჩემი მთავრისგან
და ნუ შეგაკრთობს მისი თითქოს ასე სიშორე...
აბკარი — როგორ! მთავარი, აქ ახლოა ჩასაფრებული?
ვახტანგი — დიახ, ბატონო, მე იმ სიკეთის საფასურად, რასაც შენ სჩადი,
ვერ დაგიმალავ და ახლავე გეტყვი სიმართლეს:
ბაგრატის ხალხი ორი ისრის გასროლაზეა დაბურულ ტყეში
ჩამალული, ჩასაფრებული, ხულ აღჭურვილი და საბრძოლოდ გამზადებული,
ბაგრატი მისგან სამშვიდობო პასუხს ელოდა და იმიტომაც თან
აახლოა ასული თვისი, თან ის ლაშქარიც გამოაყოლა,
რომელიც მხოლოდ ნიშანსღა ელის...
იცოდე, სხვისგან თუ არ გსმენია, ჩემგან გაიგე ვაჟკაცობა ჩემი მთავრისა,
ის ძლიერია, გამბედავი და უშიშარი. ტოლს არ დაუგებს არაფერში
იგი თვით მეფეს და ჰყავს ლაშქარი სახელოვანი...
მტკიცედ ვენდობი ვაჟკაცურ სიტყვას, შენს სათნოებას,
მოიქეც ისე, როგორც ამბობ, მიჰყევ ნათელ აზრს
და შეასრულე ეგ კეთილი განზრახვა შენი.
გარწმუნებ, შემდგომ მაგ ბრძნულ განსჯას ნამდვილად ელის
მადლობა ხალხის, ღვთისა და ერის...
აბკარი — ახლა გაბრუნდი, მოციქულო, ნუღარას სწუხარ,
მე აქ ვეცდები ჩემს ხელმწიფის დაშოშმინებას,
გამოვიყენებ მთელ გავლენას, ძალას და უნარს
და თუ ურჩობა კვლავ დაიწყო, მაშინ მე ვიცი...
ვახტანგი — მაშ, მეუბნები რომ წავიდე უკან მთავართან,
მაგრამ ვით წავალ უხილველად ტურფა თამარის?
აბკარი — თუ მართლა გინდა თამარის შველა, ნუღარ აყოვნებ...
ვახტანგი — ოჰ, ღმერთო ჩემო, ხედავ მაღლით ამ ყოველივეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უსამართლოს შენის ხელით უმალ არა სჯი...
აბკარი — მართალი გითხრა, ვერც მე ვიტან უსამართლობას,
ჩემი სიტყვა და ჩემი საქმე ერთია მუდამ
და რასაც ვამბობ, გულშიც ისა მაქვს...
ვახტანგი — ვენდობი მე შენს მართალ სიტყვას და ერთგულებას.
ახლა ის მითხარ, როგორ დავბრუნდე?
კარებს გულდაგულ სდარაჯობენ შენი მცველები...
აბკარი — ეგ მე მომაბდე. ბრძანებას გავცემ. სახელი მითხარ!
ვახტანგი — სახელი? ვახტანგ. კეთილშობილი, მიღებული ბაგრატის კარზე,
მთავრის უბრალო მეომარი ხომ არ გეგონე. დე შენი შემწე იყოს
ღმერთი, ყოვლად მოწყალე, შენთვის ვილოცებ, წარგემართოს საქმე
კეთილად. და თუ თამარმა მაინც მიკითხოს, ეს უთხარ მხოლოდ,
რომ კვლავაც მიყვარს და ასე სწრაფად მე მის სახსნელად მივემგზავრები...
(გადის)

## სურათი მეხუთე

აბკარი მარტო

ჯერ ყმაწვილია და ულვთო ნსხვერპლს თხოულობს მეფე,
ჯერ სისხლი უდუღს და ამ ქვეყნად, რასაც კი ხედავს
უნდა ყველაფერს დაეუფლოს, დაიმორჩილოს,
ის კი არ იცის, რომ ღვთის ნება, მისი განგება
მეფეს არ ძალუძს თვის ნებაზე შეატრიალოს
და თავხედურად ხელჰყოს სხვისი პატიოსნება.
ეს ხომ ნამდვილად უკეთური საქციელია...
მართალი რომ ვთქვა, გადავყევი მის გამეფებას,
მასზე ალესილ გაშმაგებულ ძმათა დაცხრომას.
დღეს კი ხსენებაც აღარ სურს ამის, ზურგი მაქცია...
აწ აღარც ჩემი რამე რჩევა ეპიტნავება —
სამთავროს მართვა მტარვალური უნდა ხერხებით...
ის უბედური, დიდებული და მომხიბლავი
მთავრის ასული... ნეტავ ახლა რა ყოფაშია?
თუ ილმება სიამაყის, ღირსების გრძნობით
და ის არც იცის,ვით დამარცხდა ბედთან თამაშში.
ალბათ მაკური ჯერ არც არის გონზე მოსული
ამ თავს დამტყდარი უეცარი ბედნიერებით.
ვერ მოასწრებდა იმ ტყვე ქალის შეურაცხყოფას.

## სურათი მეექვსე

თამარი, მაკური და აბკარი

თამარი (გულო გამაგრდი, სამარცხვინო ყოფაშიაც მხნეობა გმართებს!)
მაკური — რა გსურს ვეზირო, რად ისურვე ჩემი ტყვის ნახვა?
გეგონა ფუჭი იყო ტრაბახი, როცა უქებდნენ მას ალნაგობას?
მშვენიერია დიახაც იგი და საკუთრება ჩემია უკვე.
შენც კარგად იცი, ის მიბოძა თვითონ ხელმწიფემ
და არვის ძალუძს ეს მშვენება მე რომ წამგვაროს...
თამარი — (მცირე იმედი რომ არა მაინც, რომ ასეთ ყოფას კვლავ თავს დავაღწევ,
ჩემივ ხელით ყელს გამოვჭრიდი ამ ბრიყვს და რეგვენს) (თავისთვის).
აბკარი — (იცის რაც ელის და მაინც მას ვერას შეატყობ,
დახე რა მშვიდად, ღირსეულად უჭირავს თავი!). (თავისთვის)
მაკური — (თამარს) წადი კარავში...
თამარი — ჯერ მეფის ვეზირს მსურს რომ ვუთხრა ორიოდ სიტყვა,
შემდეგ რაც გინდა, ისა ჰქენ, მაკურ!
(აქ სიამაყის გამოჩენას მიჯობს მოვუხმო გამჭრიახობას) (თავისთვის)
მაკური — (ვაი თუ მოეწონოს ჩემი ტყვე ქალი).
თამარი — ბატონო ჩემო, ვით შევიტყვე აქ საუბრიდან, ვეზირი ხარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეზირთა შორის უპირველესი, და თუ გუმანი არ მღალატობს
მაგ დიდებული სამოსელის ქვეშ ძგერს გული მეტად კეთილშობილი.
ვინც ვარ, შენ უწყი, ვარ გურიის მთავრის ასული
და ჩემს ძარღვებში თვით მეფური სისხლი მდინარებს.
თუმც მამაჩემი შენი მეფის სწორი ვერ არის, მისი სამთავრო
ღარიბი და უფრო მცირეა, მაგრამ, ვეზირო, ჩვენ ხელთა გვაქვს
თავისუფლება, დიდად ვაფასებთ ცით ნაბოძებ ხელშეწიფებასაც.
და თუ მშობელმა გამომგზავნა სამეფო კარზე, მე გამიმეტა
ხარკად მხოლოდ შენი მეფისთვის, რომლის წილ სურდა
მოპოვება ქვეყნად მშვიდობის. მეც ასე მწამდა და მეგონა
ღირსებას ჩემსას, ამ ნაბიჯით არაფერი მოაკლდებოდა.
იმედი მქონდა შენი მეფე განმასხვავებდა ხარკად წარგზავნილ
სხვა ტყვე ქალთაგან, მაგრამ ხომ ხედავ ვით მიმცა მაგ ბრიყვს და რეგვენს,
იქნება არ ვარ თვალისმომჭრელი სილამაზის, იქნებ მაკლია ღვთაებრივი
რაღაც თვისება,
რაიც ღირსმყოფდა მეფის მაღალ ყურადღებისას,
მაგრამ იცოდე, იმის ღირსი მაინც არა ვარ, გავხდე ნადავლი ამისთანა
უბირ მსახურის.
დიდო ვეზირო, შენს ვაჟკაცობას და სათნოებას
გამოვთხოვ შველას, დაიცევ ჩემი უცოდველი უმანკოება
და გაუქარწყლე მრისხანება იმ შენს დიდ მეფეს.
თუ მე არა მცნობს ღირსად მშვიდობის და მეგობრობის,
გამოიყენე შენი ძალა, სიკეთე და გონიერება,
და ვით რაინდმა, დათრგუნვილი სიმართლისთვის თავი გასწირე!
აბკარი — (როგორ ნაზად ლაპარაკობს, რა სიტყვებია, ან რა აზრია!
მისი ნათქვამი ჩემს ყურს ტკბილად ესალბუნება! (თავისთვის)
მაკური — (თამარს) წავიდეთ...
აბკარი — არა, მაკურ, ამაოა შენი იმედი, შენ არ შეგრჩება უპოვარი
ეს მარგალიტი, თვით ღმერთმა უწყის, ნაჩუქარის არ მსურს წართმევა,
მაგრამ სხვაგვარად ისარგებლე მეფის წყალობით. თქვი შენი ფასი, რასაც იტყვი
ახლავ მიიღებ...
მაკური — მე სხვა სიმდიდრე ამა ქვეყნად არა მინდა რა,
მე ამ წყალობის უმაღლესად ვარ კმაყოფილი
და არასოდეს არ ვაპირებ მის გასხვისებას...
აბკარი — თუ არც საფასით და არც ნებით შენ არ დამითმობ,
მაშინ მე ძალას და გავლენას გამოვიყენებ...
მაკური — არ დაგავიწყდეს, რომ ვეზირზე მეტი შეძლება აქვს ჩემს მწყალობელს.
აბკარი — ახლავ გაჩუმდი! გაეთრიე! მომწყდი თავიდან!
მაკური — ფეხს არ მოვიცვლი!
აბკარი — ამაოდ ფიქრობ, ეგ ტყვე ქალი შენთან წამოვა!
ბილწო მსახურო, ვეზირს ამდენს როგორ მიბედავ?!
მაკური — ო, მაგას ჰქვია ძალმომრეობა...
აბკარი — ჰეი, მცველებო! მოაშორეთ ეს თავხედი აქაურობას (მცველები შემოდიან)
მაკური — ყველგან სიხარბე, სუსტის ჩაგვრა, ძალმომრეობა,
გაუმაძღრობა, დიდთაგან წვრილთა აწიოკება...
აბკარი — გაჩუმდი, თორემ დაგადუმებ შენ სამუდამოდ!
მაკური — ჰო, ეგეც ვიცი, რომ სიმართლე ყველას თვალს სჭრის
და არავის ეპიტნავება (გადის)

## სურათი მეშვიდე

თამარი, აბკარი, მცველები,

თამარი — ო, მომიტევე, დიდო ვეზირო, რომ ჩემს გულისთვის სხვისი წყრომა
დაიმსახურე. ბრაზმა და რისხვამ შეგიშალა სახის ნაკვთები...
აბკარი — ეგ არაფერი. გამოსარჩლებამ გამიხსნა გონი,
იფეთქა ჩემში სიამაყემ, გამბედაობამ
როგორც შედეგმა მშვენიერის უცბად ხილვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარი — შენ მხოლოდ ჩემმა სიბრალულმა, პირთ მყოფის დაცვამ
და ამ უზადო კაცთმოყვარებამ აგამოძრავა,
დიდსულოვნება ეგოდენი არ ეყოფოდა თვითონ სიყვარულს,
რადგან ბუნებამ მე არ მომცა ხელოვნება კაცთა მოხიბვლის
და ნახვის უმალ გრძნობა კაცთა მოჯადოების
აბკარი — რას ამბობ, თამარ! — სიყვარულის, თავბრუდახვევის
მარად აღზნების, გატაცების, ნაზი ალერსის
ქართველ ქალში რომ ღვივის ცეცხლი უნელებელი —
არსად ჯერ მსგავსი ქვეყნად არვის მოლანდებია...
იმ მშვენიერ ქართველ ქალთა შენ ხარ გვირგვინი,
ვინც ამონავებ ერთხელ ნახვით შენთა მჭვრეტელთა...
არც მე დავფარავ, მოხიბლული შენი მშვენებით
მზად ვარ დაგიხსნა ყოველგვარი განსაცდელისგან,
ხმლით მოგაპოვო წართმეული თავისუფლება
და დაგიბრუნო სიხარული თავდაპირველი.
მე ისიც ვიცი, ვინც ლალადებს შენი ტრფიალით,
თუ ვახტანგის გულს შენი გული ვით ეთვისება...
მეც ამგვარ ალქმით ვარ შეკრული ოტიანასთან,
ჩემი ხელმწიფის დიდებულ და ბრწყინვალე დასთან,
ო, ღმერთო ჩემო, შენს მშვენებამ ის დამავიწყა,
თუმც ამით არ მსურს შენი გულის მონადირება.
მე იმას ვამბობ, გზა ხსნილია შენი გრძნობების
მტერიც რომ იყო, გწამდეს მაინც რომ მეყვარები,
ამ ქვეყნად რასაც კი შევიძლებ, გემსახურები.
თამარი — დიდო ვეზირო, უგრძნობელობა სიკეთის შენის
ბედის წინაშე იქნებოდა უმადურობა...
ვახტანგს რომ ამბობ — მამის ჩემის იყო ხურვილი,
რადგანაც მთავარს ის მიაჩნდა თავის იმედად...
სიყვარული კი ჩემი მისდამი, იყო მხოლოდღა მოვალეობა.
ახლა ხვედრს ჩემსას უზეშთაეს ციდან მოველი,
იქ გადაწყდება, ვინ იქნება ჩემი რჩეული.
შენ შეიბრალე მთავრის ასული, მოიქეც ისე
ვით გიკარნახებს შენი კეთილი და სათნო გული.
შენთვის ვილოცებ უკუნითი უკუნისამდე.
აბკარი — გეყოფა თამარ, ენდე ჩემს სიტყვას
ეჭვი არ გქონდეს, მე შენ გიშველი!
თამარი — შენ რომ არ გენდო, სხვას ვილას ვენდო!
ვისიღა უნდა მქონდეს იმედი?
აბკარი — მეი, მცველებო, მიაცილეთ ის ჩემს კარვამდე
არვინ გაბედოს ამ ასულთან მიახლოვებაც,
კარვის გარშემო დააყენეთ სანდო დარაჯნი,
გამორჩეულნი და გულადნი ჩემი ლაშქრიდან.
მივალ, ვთხოვ მეფეს, თავდადრეკით, უმორჩილესად,
რომ მე ჩამიქრობს შენი თავი და მიმსახუროს,
როგორც ენებოს, თუ უარს მეტყვის, მით უარესი.
თამარ, შენ წადი ჩემს კარავში და მოისვენე, მეც მალე მოვალ.
აბკარი — ყოვლად ძლიერო, ზეცით ნაკურთხო, ტრფობავ ფარულო
შენ დამამარცხე, შენ დამამარცხე, ოხ, სიყვარულო! (გადის).
თამარი — მგონი მეშველა. იქნებ თავი დავაღწიო მე ამ განსაცდელს.
უნდა მოვუხმო ყველა ქალურ მომხიბვლელობას:
ალერსს, სინაზეს, სათნო სიტყვებს, მწველ გამოხედვას —
და თუ განგება ჩემთვის უკეთეს ხვედრს გაიმეტებს,
მოვეპიდები, არ გავუშვებ შესაძლებლობას.

(გადის მცველებთან ერთად).

იტალიურიდან თარგმნა **ზაირა სტურუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ბაბალაშვილი
გენერალ-მაიორი

# ისტორიის სიმართლისა და ფალსიფიკატორთა სიცრუის შესახებ

## საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების 35-ე წლისთავი

ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის მსვლელობის პერიოდში, 1919 წლის 23 აპრილს ვ. ი. ლენინი წერდა: „...ვერასდროს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათი და მათი შვილებისათვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას". და მართლაც, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მეცნიერული განჭვრეტა სავსებით გამართლდა როგორც სამოქალაქო ომის დროს, როდესაც წითელმა არმიამ გაანადგურა ინტერვენტების და შინაური კონტრრევოლუციის ძალები, ისე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომი, რომელიც გააჩაღეს იმპერიალისტურმა ქვეყნებმა, პირველ რიგში — ფაშისტურმა გერმანიამ, დაიწყო 1939 წლის 1 სექტემბერს პოლონეთზე თავდასხმით. იგი მიმდინარეობდა ექვსი წლის განმავლობაში. ამ გაფართოებულ სისხლისმღვრელ ბრძოლაში მონაწილეობდა მსოფლიოს 61 სახელმწიფო 1700 მილიონი მოსახლეთ, ანუ ჩვენი პლანეტის მთელი მოსახლეობის სამი მეოთხედი. ომში მონაწილე ქვეყნების არმიებში მობილიზებული იყო 110 მილიონი კაცი. უდიდეს სამხედრო ოპერაციებში, რომლებიც გაჩაღდა 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე, დაიღუპა 50 მილიონზე მეტი ადამიანი, მათ შორის 20 მილიონზე მეტი საბჭოთა კავშირის მოქალაქე. მხოლოდ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იყო დანგრეული და განადგურებული 1710 ქალაქი და დაბა, 70 ათასზე მეტი სოფელი, 32 ათასი სამრეწველო საწარმო, 98 ათასი კოლმეურნეობა, 1876 საბჭოთა მეურნეობა და მრავალი სხვა. ჩვენი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე შემცირდა 30 პროცენტით. საბჭოთა კავშირის საერთო მატერიალურმა ზარალმა შეადგინა დაახლოებით 2 ტრილიონ 600 მილიარდი მანეთი.

იმ დროიდან, როცა ფაშისტური გერმანია და მისი დამქაშები თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს და დააპირეს მისი დაპყრობა, შეიქმნა ანტიფაშისტური კოალიცია ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობით, რომლებმაც დაისახეს მიზნად ფაშისტური გერმანიის და იმპერიალისტური იაპონიის სრული დამარცხება და მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების განთავისუფლება. ანტიფაშისტურ კოალიციაში შემავალი სახელმწიფოების ბრძოლა გადაიქცა სამართლიან და გამათავისუფლებელ ომად.

ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის რეაქციულ მთავრობებს ჰქონდათ თავისი კერძო ანგარებიანი მიზნებიც. მათ სურდათ გერმანიის და იაპონიის დამარცხება იმისათვის, რომ ჩამო-

ეცილებინათ ისინი, როგორც მძლავრი კაპიტალისტური მეტოქეები მსოფლიოში. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელები ცდილობდნენ საბჭოთა კავშირის დასუსტებას და ოცნებობდნენ იმაზე, რომ ომის შემდეგ ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად ჩამორჩებოდა და მათი გავლენის ქვეშ მოექცეოდა. მაგრამ, მათი გაანგარიშებანი და სურვილები უსაფუძვლონი აღმოჩნდნენ. საბჭოთა კავშირი, მიუხედავად უდიდესი ზარალისა, ომის განსაცდელმა კიდევ უფრო განამტკიცა.

ამ ყველაზე სისხლისმღვრელი და გამანადგურებელი ომის ძლევამოსილი დამთავრების შედეგად საბჭოთა კავშირმა არამცთუ მთლიანად შეინარჩუნა თავისი სოციალისტური მონაპოვრები, მოწინავე საზოგადოებრივი წყობილება და დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება, არამედ გაათავისუფლა ფაშისტური უღლისაგან ევროპის დამონებული ქვეყნები.

საბჭოთა კავშირის დიდმა სამამულო ომმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო, დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს სოციალიზმის დამარცხება და იმ ხალხის დამონება, რომელიც მჭიდროდ დარაზმულია კომუნისტური პარტიის ირგვლივ, ერთგულია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისა და თავდადებული სოციალისტური სამშობლოსათვის.

ფაშისტური გერმანიის და იმპერიალისტური იაპონიის დამარცხების შედეგად სერიოზულად დასუსტდა მსოფლიო იმპერიალისტური სისტემა, მანამდე არნახული ძალით გაიშალა და გაღვივდა რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩვენ პლანეტაზე. შეიქმნა მძლავრი სოციალისტური ბანაკი საბჭოთა კავშირის მეთაურობით. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ გაზარდა და განამტკიცა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები და მისი გავლენა ქვეყნიერების მთავარი პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.

საბჭოთა კავშირმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ბრწყინვალედ შეასრულეს თავისი განმათავისუფლებელი მისია. მათ არა მარტო იხსნეს ევროპის და აზიის მრავალი ქვეყნების ხალხები ფაშისტური დამონებისაგან, არამედ გადაარჩინეს მსოფლიო კულტურა და ცივილიზაცია მისაკისფერი ჭირისაგან. მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას ჩამოსცილდნენ და სოციალისტური განვითარების გზას დაადგნენ: ალბანეთი, ბულგარეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა ,იუგოსლავია, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია და ჩინეთი.

გარდა ამისა, დიდი სამამულო ომის შემდეგ მასობრივი და გაძლიერებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად კოლონიური დამოკიდებულებისაგან და ჩაგვრისაგან გათავისუფლდა მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო, მათ შორის: ალჟირი, ბირმა, ეგვიპტე, ინდოეთი, ინდონეზია ,იორდანია კამბოჯა, ლაოსი, ლიბანი, ლიბია, მაროკო, პაკისტანი, სირია, სუდანი, ტუნისი, ცეილონი და სხვები, რომლებშიც დაახლოებით 1300 მლნ. ადამიანი ცხოვრობს.

ომის მსვლელობის დროს კომუნისტური და მუშათა პარტიები წარმოადგენდნენ წამყვან ძალას ანტიფაშისტური მოძრაობის ორგანიზაციაში. ისინი ამზადებდნენ და ხელმძღვანელობდნენ ნაციონალურ შეიარაღებულ აჯანყებებს, სათავეში უდგნენ ნაციონალურ ფრონტს, ქმნიდნენ და უზრუნველყოფდნენ მრავალრიცხოვან პარტიზანულ შენაერთებს, რომლებიც მუსრს ავლებდნენ ოკუპანტებს. სისხლისმღვრელ ბრძოლებში კომუნისტები პირნათლად ასრულებდნენ მოწინავე, თავგანწირული და მამაცი მეომრის მოვალეობას, ისინი იყვნენ ყველაზე მტკიცე და თანმიმდევარი მებრძოლები ფაშიზმის წინააღმდეგ, რითაც დაიმსახურეს საყოველთაო სიყვარული და უდიდესი ავტორიტეტი. ომისშემდგომ პერიოდში კომუნისტური და მუშათა პარტიების გავლენა მასებზე კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა, ახალი ძალით გაღვივდა მსოფლიოში მუშათა და კომუნისტური მოძრაობა, არნახულად გაფართოვდა მშრომელთა პოლიტიკური აქტივობა, რის შედეგად შეიქმნა მრავალრიცხოვანი დემოკრატიული ორგანიზაციები: პროფკავშირების მსოფლიო ფედერაცია, რომელიც აერთიანებს 67 მილიონ მუშას, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია, ქალთა მსოფლიო დემოკრატიული ფედერაცია და სხვ. კაპიტალისტურ ქვეყნებში გაზშირდა და გაძლიერდა მუშათა კლასის ბრძოლები თავისი პოლიტიკური და ეკონომიური უფლებების მოპოვებისა და დაცვისათვის.

ჩვენი პლანეტის კომუნისტური პარტიების ავტორიტეტის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია მათი რიგების ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ ომის პერიოდში მრავალი კომუნისტი დაეცა ბრძოლის ველზე ან მოსპობილ იქნა ფაშისტურ საწამებლებში, კომუნისტური პარტიების რიგები მნიშვნელოვნად გაიზარდნენ. თუ 1939 წელს ყველა კომუნისტურ პარტიაში დაახლოებით 4 მილიონი ადამიანი იყო გაერთიანებული, 1945 წელს კი — უკვე 20 მლნ. კაცი, ახლა მსოფლიოს კომუნისტური პარტიები თავის რიგებში 50 მილიონზე მეტ წევრს ითვლის.

როგორც ვხედავთ, მეორე მსოფლიო ომის შედეგები გრანდიოზულია და მათ უაღრესად დიდი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ამ ომში ოთხი წლის განმავლობაში საბ-

ჭოთა კავშირი წარმოადგენდა მთავარ ძალას, რომელმაც გაანადგურა ფაშისტური გერმანია და მისი მოკავშირეები. ჩვენმა ქვეყანამ — პირველმა სოციალისტურმა სახელმწიფომ — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაამართლა კაცობრიობის იმედები და იხსნა მსოფლიო ჰიტლერული მონობისაგან.

საბჭოთა კავშირმა გაიმარჯვა იმიტომ, რომ მის იდეოლოგიას, პოლიტიკას და ეკონომიკას უდიდესი უპირატესობა ჰქონდა ჩვენი მტრების ეკონომიკის, პოლიტიკის და იდეოლოგიის მიმართ; იმიტომ, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები ხანგრძლივ, გააფთრებულ ბრძოლაში აღმოჩნდნენ უფრო ძლიერნი, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნების მძლავრი არმიები; იმიტომ, რომ ფაშისტთა შეიარაღებული ძალების ზურგში დღე და ღამე მიმდინარეობდა შეუნელებელი სისხლისმღვრელი პარტიზანული ბრძოლები, რომლებიც დიდ ზიანს აყენებდნენ ჰიტლერელებს. და, დაბოლოს, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ საბჭოთა ხალხის და მისი შეიარაღებული ძალების უმძიმეს ბრძოლას ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია, რომლის ბრძნულმა პოლიტიკამ უზრუნველყო კაცობრიობის ყველაზე მოწინავე იდეალების გამარჯვება.

საბჭოთა ხალხის და მისი მეომრების გმირობა დიდ სამამულო ომში იწვევდა და დღესაც იწვევს მსოფლიოს მშრომელთა აღტაცებას; იგივე ითქმის მსოფლიოს მრავალ სახელმწიფო მოღვაწეზე, ისტორიკოსზე და ჟურნალისტზეც. ასე მაგალითად, **1944** წლის **27** სექტემბერს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უ. ჩერჩილი წერდა ი. ბ. სტალინს: „...მე ვსარგებლობ შემთხვევით, რომ ხვალ თემთა პალატაში განვიმეორო ის, რაც მე ვთქვი წინათ, რომ სახელდობრ რუსეთის არმიამ გამოფატრა და წელები გადმოაყრევინა გერმანიის სამხედრო მანქანას და ამჟამადაც აკავებს თავის ფრონტზე მტრის ძალის უდიდეს ნაწილს". **1942** წელს ინგლისელი ისტორიკოსი ბერნარდ პერსი ამბობდა: „საბჭოთა კავშირის მიმართ ინგლისი შეპყრობილია ნაციონალური მადლობის ულრმესი გრძნობით"; გამოჩენილი ინგლისელი ჟურნალისტი ალექსანდრე ვერტი, თავის წიგნში „რუსეთი **1941-1945** წლების ომში", წერს: „...ისტორიული და გეოგრაფიული მიზეზების გამო მოხდა ისე, რომ ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში მართლაც სწორედ საბჭოთა კავშირმა აიტანა ყველაზე მძიმე ტვირთი და რომ სწორედ მისი წყალობით გადარჩა მრავალი მილიონი ინგლისელის და ამერიკელის სიცოცხლე...". ეს ისტორიული სიმართლე ხელს არ აძლევს იმპერიალიზმის იდეოლოგებს და მათ მოსყიდულ მჯღაბნელებს.

მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ფალსიფიკაციას ეწევიან იმპერიალისტური ქვეყნების როგორც სამხედრო ისტორიკოსები და მემუარების ავტორები, ისე მეცნიერები და პუბლიცისტები. მათ შორის უნდა დავასახელოთ ამერიკელი გენერლები — უოლტერ ბედელ სმიტი და ომარ ბრედლი, ინგლისის ფელდმარშალი მონტგომერი და გენერალი მორგანი, ინგლისის სამხედრო ისტორიკოსები — ფულერი და ბრაიანტი, ფაშისტური გერმანიის ფელდმარშალი მანშტეინი, გენერლები — ტიპელსკირხი, ცეიტლერი და დერრი, ამერიკელი პუბლიცისტები — კ. რაიენი და გ. სოლსბერი, დასავლეთ გერმანიის ისტორიკოსი ე. კუბი და ამერიკის შეერთებული შტატების პროფესორი მ. ფლორინსკი.

ყველა ეს და სხვა ფალსიფიკატორები, ამახინჯებენ რა ისტორიულ სინამდვილეს, მიმართავენ ცილისწამების ყოველგვარ ფორმებს და მეთოდებს იმისათვის, რომ ყოველნაირად დაამცირონ საბჭოთა ხალხის და მისი შეიარაღებული ძალების დამსახურება და წარმატება მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე. ზოგი მათგანი, ყირაზე აყენებს და ამახინჯებს რა ხსენებული ომის ხასიათს, მიზეზებს და მიზნებს, წერს, რომ ვითომდა საბჭოთა კავშირი მსხვერპლი კი არ იყო აგრესიისა, არამედ სამხედრო კონფლიქტის დაწყებაში იგი იყო დამნაშავე; ზოგს კი, მოჰყავს რა ფაშისტური გერმანიის და მისი მოკავშირეების დამარცხების მეორეხარისხოვანი მიზეზები — რთული გეოგრაფიული და კლიმატური პირობები, ომის დაგეგმვაში და მართვაში ჰიტლერის მიერ დაშვებული შეცდომები, შემთხვევითობანი და სხვა, განზრახ ივიწყებს მთავარს, არ სურს აღიაროს საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვების კანონზომიერება. დაბოლოს, ზოგი ერთი-მეორეს ადარებს და პარალელს ავლებს საბჭოთა-კავშირ-გერმანიის ფრონტზე წითელი არმიის მიერ ჩატარებულ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის სამხედრო ოპერაციების და ინგლის-ამერიკის შეერთებული ძალების მიერ ჩატარებულ ბრძოლებს შორის. ასე, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების არმიის შტაბის მაშინდელი უფროსი, გენერალი მარშალი, ცდილობს რა დაამციროს სტალინგრადის ეპოპეის მნიშვნელობა, უთანაბრებს მას ჩრდილოეთ კავკასიაში, ელ-ალამეინთან ჩატარებულ ბრძოლას. მართლაც, ორივე ეს ოპერაცია ტარდებოდა დაახლოებით ერთ და იმავე დროს — **1942** წლის შემოდგომაზე, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოქმედებდნენ ფაშისტური კოალიციის **266** დივიზია, ელ-ალამეინთან კი მათ ჰყავდათ სულ **12** დივიზია, მათ შორის **8** იტალიელებისა იყო. სტალინგრადის ისტორიულ ბრძოლაში, საბჭოთა ჯარების კონტრშეტევის დროს, განადგურებული იყო მოწინააღმდეგის ხუთი არმია, მათ შორის ორი — გერმანელების, ორი — რუმი-

ნელების და ერთი — იტალიელებისა. მტერმა დაკარგა მთლიანად 32 დივიზია და 3 ბრიგადა; და კიდევ მძიმედ დამარცხდა მათი 16 დივიზია: სულ, 1942 წლის 19 ნოემბრიდან 1943 წლის 2 თებერვლამდე გერმანელ-ფაშისტთა ჯარებმა დაკარგეს 800 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, ამავე პერიოდში, ხელთ იგდეს ორი ათასი ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 10 ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, დაახლოებით ორი ათასი თვითმფრინავი, 70 ათასზე მეტი ავტომანქანა და უამრავი სხვა საბრძოლო ტექნიკა და სამხედრო საჭურველი. გარდა ამისა, სტალინგრადთან ჩატარებულ თავდაცვით ბრძოლებში ჰიტლერელებმა დაკარგეს დაახლოებით 650 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. როგორ შეიძლება ამ ორი ოპერაციის შედარებაც კი, თუ ეს არ არის წინასწარი აკვიატება და სტალინგრადის ისტორიული ბრძოლის დამცირების სურვილი?

დასავლეთში გამოსულ წიგნებში — „უკანასკნელი ბრძოლა", „რუსები ბერლინში" და „რუსეთის მოკლე ისტორია", რომლის ავტორები არიან ამერიკელი პუბლიცისტი კ. რაიენი, დასავლეთ გერმანელი ისტორიკოსი ე. კუბი და ამერიკელი პროფესორი მ. ფლორინსკი, ყოველგვარი ცდებია ნახმარი იმისათვის, რომ დავიწყებული იქნეს საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი როლი ფაშიზმის განადგურების საქმეში მეორე მსოფლიო ომის დროს და ჩირქი მოეცხოს საბჭოთა მეომარს — განმათავისუფლებელ მებრძოლს. ეს ავტორები, ანტისაბჭოური ქორების საფუძველზე, ყოველნაირად ამახინჯებენ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას და სტრატეგიას. ცრუპენტელა ვაჟბატონებმა—ე. კუბმა და კ. რაიენმა იმდენად დაკარგეს რეალობის გრძნობა, რომ „საბჭოთა სამხედრო ხელოვნების შარავანდედს" — ბერლინის ბრძოლას უწოდეს ისტორიკოსების მიერ მონაგონი მითი, რომ ვითომდა „ასეთ ბრძოლას არასოდეს ადგილი არ ჰქონია"; გარდა ამისა, შეგნებულად ამცირებენ რა ჰიტლერელთა ბერლინის დაჯგუფების ჯარების რაოდენობას, ისინი ცდილობენ გაატარონ აკვიატებული აზრი, რომ ვითომდა ბერლინის ოპერაცია იყო მიმართული მშვიდობიანი მოსახლეობის, და არა ფაშისტურ ვერმახტის წინააღმდეგ.

მაგრამ, თუ ფაქტებს მივმართავთ, დავრწმუნდებით, რომ მეორე მსოფლიო ომში ბერლინისათვის ბრძოლა იყო ერთ-ერთი უდიდესი სტრატეგიული ოპერაცია, რომელშიც ორივე მხრიდან მონაწილეობდნენ 280 დივიზია, დაახლოებით 3,5 მილიონი მეომარი, 52 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 7.750 ტანკი და თვითმავალი-საარტილერიო დანადგარი, 10.800 თვითმფრინავი და უდიდესი რაოდენობის სხვა საბრძოლო ტექნიკა. ბერლინის გრანდიოზულ ოპერაციაში საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს მტრის 80 დივიზია, დაატყვევეს 480 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 1.500 ტანკი და თვითმავალი-საარტილერიო დანადგარი, 4.500 თვითმფრინავი, 10.000 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი და სხვა. საბჭოთა არმიამ დაამთავრა ფაშისტთა შეიარაღებული ძალების განადგურება, აიღო გერმანიის დედაქალაქი — ბერლინი და აიძულა ჰიტლერის იმპერიის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა წასულიყო უსიტყვო კაპიტულაციაზე.

იმპერიალიზმის იდეოლოგები და მათ მიერ მოსყიდული მწერლები განსაკუთრებული ცინიკურობით აყალიბებენ ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებული სახელმწიფოების ტერიტორიაზე საბჭოთა არმიის შესვლის მიზნებს; ასე, მაგალითად, ინგლისელი ისტორიკოსი ა. კლარი თავის წიგნში „ბარბაროსა" წერს, რომ საბჭოთა ჯარების ბალკანეთის ქვეყნებში შესვლის მთავარი მიზანი იყო, „რაც შეიძლება შორს წინ წაეწიათ საბჭოთა კავშირის საზღვრები"; დასავლეთ გერმანელი ისტორიკოსი გ. იაკობსენი კი მიდის უფრო შორს და ამბობს, რომ ვითომდა მანამდის სანამ საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მოქმედება მიმდინარეობდა სსრ კავშირის ტერიტორიაზე, დიდი სამამულო ომი სამართლიანი და გამათავისუფლებელი იყო, მაგრამ როდესაც მათ გადალახეს სხვა სახელმწიფოების საზღვრები, ისინი ახდენდნენ „ანექსიას მსოფლიო რევოლუციის ინტერესებისათვის".

საბჭოთა შეიარაღებული ძალების განმათავისუფლებელ მისიაზე 1945 წლის 25 ივნისის გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" წერდა: „წითელი არმია ფაქტიურად აღმოჩნდა ნახევარი მსოფლიოსი და ევროპის განმათავისუფლებელ არმიად; ამ არმიის და იმ მსხვერპლის გარეშე, რომელიც რუსეთის ხალხმა გაიღო, ნაციზმის მკაცრი უღლისაგან განთავისუფლება ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა". ამის შემდეგ, მგონი, რომ ისტორიის ფალსიფიკატორებთან დავა სრულიად ზედმეტი იქნება.

ევროპისა და აზიის მრავალი ქვეყნის ხალხებს კარგად ახსოვთ საბჭოთა არმიის კეთილშობილური ინტერნაციონალური საქმეები, ახსოვთ , რომ სწორედ მისი მოხვლით მათს ტერიტორიაზე ისინი განთავისუფლდნენ ფაშისტური ჩაგვრისაგან და მოიპოვეს ნამდვილი დამოუკიდებლობა. მოძმე ხალხთა მიწაზე, ასრულებდნენ რა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, მრავალი საბჭოთა მებრძოლი დაეცა გმირული სიკვდილით. პოლონეთის თავისუფლებისათვის ბრძოლებს თავისი სიცოცხლე შესწირა 600 ათასამდე საბჭოთა მეომარმა, ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებას კი — დაახლოებით 140.000 კაცმა.

საბჭოთა არმიის უკვდავმა ინტერნაციონალურმა საქმეებმა მოუტანეს მას მარადიული დიდება; მსოფლიოს მშრომელმა მილიონებმა საბჭოთა მეომარში დაინახეს ახალი სამყაროს ჯარისკაცი, რომელსაც ახასიათებს მაღალი და კეთილშობილური მორალური თვისებები: სიმართლე და სამართლიანობა. მათ შეიყვარეს ეს ჯარისკაცი, რომელიც გახდა გმირობის სიმბოლო და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განსახიერება. საბჭოთა არმიის და მისი გმირების სახელებს ატარებს საზღვარგარეთის ქვეყნების მრავალი ქუჩა, მოედანი, სკოლა, საწარმო; მათ პატივსაცემად აგებულია ბევრი ძეგლი და ობელისკი. მრავალი საბჭოთა მებრძოლი დაჯილდოებულია უცხოეთის ორდენებითა და მედლებით, არჩეულია მათ მიერ განთავისუფლებული ქალაქებისა და დაბების საპატიო მოქალაქეებად.

ფაშისტურ გერმანიაზე, იმპერიალისტურ იაპონიაზე და მათ მოკავშირეებზე მსოფლიოისტორიული გამარჯვება მოპოვებული იყო ანტიჰიტლერულ კოალიციაში შემავალი ქვეყნების საერთო ძალით და ყველა სახელმწიფოს პატრიოტების ბრძოლით ფაშისტური მტაცებლების წინააღმდეგ. ანტიფაშისტების ვაჟკაცურ ბრძოლას ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ. ყველა ხალხმა შეიტანა თავისი წვლილი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ, ამასთანავე ისტორიული ფაქტები ამტკიცებენ და სინამდვილე ისთია, რომ სახელდობრ საბჭოთა ხალხმა და მისმა ძლევამოსილმა შეიარაღებულმა ძალებმა, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის მტკიცე ხელმძღვანელობით, ფაშისტური ბლოკის დამარცხების საქმეში, მსოფლიო ცივილიზაციის და მრავალი ქვეყნის ხალხების მიხაკისფერი ჭირისაგან გადარჩენაში მთავარი როლი შეასრულეს.

მსოფლიოს ხალხებმა კარგად იციან, რომ სწორედ საბჭოთა არმიამ შეასრულა ურთულესი საბრძოლო ამოცანები. გავიხსენოთ ჰიტლერელთა ურდოების განადგურება მოსკოვთან, ლენინგრადის, ოდესისა და სევასტოპოლის გმირული თავდაცვითი ბრძოლები, სტალინგრადის ეპოპეა, კურსკის შვერილზე თუ დნეპრისათვის ბრძოლები და სხვები; ამ ოპერაციებმა მოახდინეს ძირითადი გარდატეხა არა მარტო დიდ სამამულო, არამედ მეორე მსოფლიო ომის მთელ ფრონტზე და ხერხემალი გაუტეხეს ფაშისტურ მხეცს.

ფაშისტთა სამხედრო ხელმძღვანელობა იძულებული იყო საბჭოთა ფრონტზე მყოლოდა მთელი თავისი შეიარაღებული ძალების 60-70 პროცენტი. საბჭოთა არმიამ ომის მსვლელობაში გაანადგურა მოწინააღმდეგის 600-ზე მეტი დივიზია, არანაკლებ 48 ათასი ტანკი და თვითმავალი-საარტილერიო დანადგარი, 167 ათასამდე ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, დაახლოებით 77 ათასი საბრძოლო თვითმფრინავი და უამრავი სხვა სამხედრო ტექნიკა. 18 მილიონ 600 ათასი კაცისაგან, რომელიც დაკარგა ფაშისტურმა გერმანიამ, 10 მილიონზე მეტი განადგურებული იყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

საბჭოთა არმიამ, **1945** წლის აგვისტოში უმოკლეს სამხედრო კამპანიაში, სულ **28** დღე-ღამის განმავლობაში სასტიკად დაამარცხა იმპერიალისტური იაპონიის შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი — კვანტუნის არმია, რომელმაც დაკარგა 677 ათასზე მეტი ჯარისკაცი, ოფიცერი და გენერალი. კვანტუნის არმიის განადგურება იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იმპერიალისტური იაპონიის საერთო დამარცხებისა. **1945** წლის **2** სექტემბერს იაპონიამ, ცნო რა თავი დამარცხებულად, ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს. ამრიგად, მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა.

მსოფლიო იმპერიალიზმის მოწინავე რაზმზე — ფაშიზმზე გამარჯვების საერთო საქმეში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ჩვენმა რესპუბლიკამ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე, **1971** წლის **14** მაისს, რომელიც მიძღვნილი იყო საბჭოთა საქართველოს ორმოცდაათი წლისთავისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა: „...მთელ მრავალეროვან საბჭოთა არმიასთან ერთად ქართველმა მებრძოლებმა გამარჯვების გზა განვლეს კავკასიონის მთებიდან ბერლინამდე... ქართველი ხალხის ათიათასობით მამაცმა შვილმა თავისი სახელი შემოსა დიდების შარავანდედით...

მხედრული გმირობის შესაფერი იყო იმათი შრომითი გმირობაც, ვინც ზურგში მუშაობდა. საქართველო ფრონტს აძლევდა თვითმფრინავებს, ავტომატურ იარაღსა და სხვა სახეობის შეიარაღებას, ტყვია-წამალს, ტანსაცმელსა და სურსათს. მოსპიტლებად გადაკეთებულმა საქართველოს საავადმყოფოებმა და ჯანმრთელობის კერებმა ასეულ ათასობით დაჭრილს შეუწყეს ხელი კიდევ დაბრუნებულიყვნენ ფრონტზე. გულითადი ზრუნვით ეკიდებოდა ქართველი ხალხი სხვა რესპუბლიკებიდან ევაკუირებულთ. აქ ერთხელ კიდევ იჩინა თავი ხალხთა ლენინურმა მეგობრობამ — საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველობის ურყევმა საფუძველმა".

და მართლაც, დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე არ ყოფილა არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაცია, რომელშიც აქტიური მონაწილეობა არ მიეღოთ ქართველ მეომრებს. დიდი სამამულო

ომის პერიოდში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში საქართველოდან 700 ათასამდე მეომარი იბრძოდა, მათ შორის — 23 ათასზე მეტი ოფიცერი, დაახლოებით 16 ათასი ქალი, 46 გენერალი და ადმირალი. საქართველოს წარმომადგენელთა უმრავლესობა იბრძოდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების სხვადასხვა გაერთიანებებში, ნაწილებსა და შენაერთებში, აგრეთვე სხვადასხვა გვარეობისა და დარგების ჯარების განაყოფებში, მცირე ნაწილი კი გაერთიანებული იყო ქართული ეროვნული დივიზიების რიგებში.

ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელეს თავი 224-ე, 242-ე, 276-ე, 392-ე და 414-ე ქართულმა დივიზიებმა. 242-ე ტამანის სამთო-მსროლელთა და 276-ე თემრიუკის მსროლელთა დივიზიებმა თავიანთი საბრძოლო გზა სახელოვნად დაამთავრეს ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებით და დაიმსახურეს მთავრობის მაღალი ჯილდოები, ხოლო 414-ე ანაპის მსროლელთა დივიზიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ყირიმისა და, კერძოდ, სევასტოპოლის განთავისუფლებაში, რისთვისაც იგი დაჯილდოებული იყო წითელი დროშის ორდენით; მის 1367-ე და 1371-ე მსროლელ პოლკებს მიენიჭათ სევასტოპოლის საპატიო სახელწოდება, შენაერთის ხუთი ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოვდნენ საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, სამ მებრძოლს კი — ზემდეგ ს. ჩხაიძეს, უფროს სერჟანტ გ. სამხარაძეს და რიგით ჯარისკაცს ვ. პაპიძეს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება. დიდი სამამულო ომის გააფთრებულ ბრძოლებში წარჩინებისათვის საკავშირო მთავრობის ჯილდოები გადაეცა 244.700 მებრძოლსა და მეთაურს, საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა საქართველოს 152 წარმომადგენელს.

დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველომ დაკარგა დაახლოებით 300 ათასი მეომარი, ანუ თავისი მთელი მოსახლეობის 9 პროცენტი. გარდა ამისა, 50 ათასამდე მებრძოლი და მეთაური ფრონტიდან დაბრუნდა ინვალიდებად.

ქართველმა ხალხმა არა მარტო მოქმედი არმიის რიგებში გაგზავნა მრავალი თავისი საუკეთესო შვილი, არამედ თავგანწირული შრომით ზურგში, ქმნიდა რა მნიშვნელოვან მატერიალურ ქონებას, უდიდესი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში და სათანადო დახმარება გაუწია შეიარაღებულ ძალებს საქართველო აწვდიდა სამხედრო უწყებას მნიშვნელოვანი რაოდენობით სტრატეგიულ მასალას, ფეხსაცმელს, სურსათს, მედიკამენტებს და ბევრ სხვა ქონებას არმიისა და ფლოტის მომარაგებისათვის. ომის პერიოდში რესპუბლიკის მრავალი მშრომელი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. მედლით „მამაცი შრომისათვის 1941-1945 წ.წ. დიდ სამამულო ომში“ დაჯილდოვებული იყო 333.344 კაცი და მედლით „კავკასიის დაცვისათვის“ საქართველოს 46.191 მოქალაქე.

საბჭოთა კავშირის მრეწველობას, პირველ რიგში კი, თავდაცვის ინდუსტრიისათვის და შეიარაღებული ძალების მომარაგებისათვის, ომის წლებში საქართველომ მიაწოდა: 3.214.800 ტონა ქვანახშირი, 3.025.300 ტონა მანგანუმის მადანი, 253.300 ტონა ნავთობი, 779.400 კუბ. მეტრი დახერხილი ხე-ტყის მასალა, 306.100 ტონა ცემენტი, 299,9 მილიონი მანეთის ღირებულების ნავთობნაწარმი, 12,4 მილიონ მანეთის ფერადი ლითონი, 173,3 მილიონ მანეთის ქიმიური და სამთო-ქიმიური მრეწველობის ნაწარმი, 171,7 მილიონ მანეთის სხვადასხვა ფეროშენადნობი და მრავალი სხვა.

ჩვენი რესპუბლიკის ლითონდამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებმა (მათ შორის მანქანათმშენებელმა ქარხნებმა), რომლებიც, ძირითადად, ამზადებდნენ შეიარაღებას, ტყვია-წამალს, მანქანების სათადარიგო ნაწილებს და არემონტებდნენ საბრძოლო ტექნიკას, 1941-1945 წლების განმავლობაში გამოიმუშავეს 1.738,0 მილიონ მანეთის საერთო ნაწარმი და გადასცეს საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს 300 ათასზე მეტი ავტომატი, ნაღმსატყორცნი, ცეცხლსატყორცნი, განთქმული „კატუშას“ ძირითადი საბრძოლო ნაწილები, ასიათასობით ჭურვი, ნაღმი, ბომბი, ხელის ყუმბარა და ამფეთქებელი; ათიათასობით ტანკების, ჯავშნოსნების, ავტომანქანების და ხომალდების სხვადასხვა სათადარიგო ნაწილები და შეაკეთა უამრავი საბრძოლო ტექნიკა; თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანამ, რესპუბლიკის 28 სხვა საწარმოსთან კოოპერირებით, ომის პერიოდში შექმნა და სამხედრო-საჰაერო ფლოტს გადასცა რამდენიმე ათასი იმ დროის უახლესი ნიმუშის საბრძოლო თვითმფრინავი. წარმოებაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის თბილისის საავიაციო ქარხნის კოლექტივი დაჯილდოებული იყო საბჭოთა კავშირის საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის და პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს მეორე პრემიით.

სამხედრო უწყებას დიდი რაოდენობით აწვდიდნენ სხვადასხვა სახის პროდუქციას საქართველოს საფეიქრო, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის, ქიმიურ-ფარმაცევტული და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები. ასე, მაგალითად, რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობამ ომის პერიოდში შეიარაღებული ძალების მოსამარაგებლად ჩააბარა მთელი თავისი ნაწარმის 69,3 პროცენტი. კერძოდ, დაახლოებით 8,9 მილიონი მეტრი რუხი სამაზარო მაუდი, 3 მილიონ მეტრზე მეტი დიაგონალის ქსოვილი ჯარისკაცის ტანსაცმლისათვის, 720.000 მეტრი საშალე ლურჯი მაუდი, 400.000 მეტრზე მეტი

საპარაშუტო აბრეშუმის ტილო, 900 ათას მეტრამდე ბამბის სპეციალური ქსოვილი საავიაციო მრეწველობისათვის და მრავალი სხვ.

დიდი სამამულო ომის განმავლობაში არმიისა და ფლოტის მოსამარაგებლად გადაეცა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საერთო ნაწარმის 60 პროცენტი, რომლის ღირებულება 715,2 მილიონ მანეთს უდრიდა. ომის დაწყებიდან დაახლოებით ორნახევარი წლის განმავლობაში, 1943 წლის ბოლომდე შეიარაღებულ ძალებს გადაეცათ: 1.143.?00 ჯარისკაცის მაუდის მაზარა, 1.419.000 ხალათი, 1.199.500 შარვალი, 5.592.800 წყვილი ჯარისკაცის ფეხსაცმელი და სხვ. ამ სისტემის მოწინავე საწარმოებად მაშინ ცნობილი იყვნენ თბილისის მეორე და მეექვსე სამკერვალო ფაბრიკები.

ომის წლებში რესპუბლიკის კვების მრეწველობამ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს მიაწოდა ორ-ნახევარ მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. ანუ მთელი თავისი ნაწარმის 43.4 პროცენტი; ხორცისა და რძის მრეწველობამ კი — საერთო ნაწარმის 56,3 პროცენტი, მათ შორის დამზადებული ხორცის საერთო რაოდენობის 78.1 პროცენტი, ანუ 22.000 ტონაზე მეტი. ძეხვეულის — 41,1 პროცენტი, საკვები ცხიმების — 48,6 პროცენტი, რძის ნაწარმის — 32 პროცენტი და ა. შ.

საბჭოთა არმია და ფლოტი საქართველოს ქიმიურ-ფარმაცევტიული მრეწველობისაგან დიდი რაოდენობით ღებულობდნენ ფრიად საჭირო მედიკამენტებსა და პრეპარატებს. როგორიცაა: განგრენის საწინააღმდეგო შრატი, დიზენტერიის საწინააღმდეგო აბები და ვაქცინა, ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატი. სულფიდინი, სტრეპტოციდი. ტანინი. კოფეინი. დიგალენი, ქაფურის ზეთი, ატმის ზეთი, გლაუბერის მარილი, ქლორკალციუმი, ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო შრატი და მრავალი სხვა. მარტო 1942 წლის განმავლობაში არმიასა და ფლოტს გადაეცა 694 კილოგრამი ქლორკალციუმის ხსნარი, 910 კილოგრამი გლაუბერის მარილი, 1972,3 კილოგრამი ატმის ზეთი. 2.650 ამპულა ქლორკალციუმი, 140.150 ამპულა ქაფურის ზეთი და სხვ.

რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა ომის განმავლობაში დაამზადეს და გაუგზავნეს ჯარის ნაწილებს ბევრი ხაჩიჯო (?), საბინაო, საალაგო, სანიტარული და სავეტერინარო საქონელი და გაუწიეს მათ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მომსახურება. მარტო სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა შეაკეთეს და გარეცხეს სამხედრო, ტანსაცმლის ათი მილიონი კომპლექტი.

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა და, მათ შორის, ქართველმა რკინიგზელებმა ომის წლებში უზრუნველყვეს ფრონტისათვის უამრავი ჯარის ნაწილების, შეიარაღების და საბრძოლო ტექნიკის, აგრეთვე ათიათასობით ტონა ტყვია-წამლის და სხვადასხვაგვარი მატერიალური საზსრების გადაზიდვა. როგორც წესი, რკინიგზის მშრომელები დატვირთვა-განტვირთვის და გადაზიდვის გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდნენ და იმარჯვებდნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ასე მაგალითად, 1944 წელს მათ უნდა დაეტვირთათ და გადაეზიდათ 549.000 ვაგონი, ფაქტიურად კი უკვე 1944 წლის 19 დეკემბრისათვის მათ მიერ დატვირთული და გადაზიდული იყო 549.385 ვაგონი. 1945 წლის დატვირთვა-განტვირთვის და გადაზიდვის გეგმა ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა, ძირითადად, შეასრულა თერთმეტი თვის განმავლობაში. რკინიგზის წლიური ტვირთბრუნვა შეადგენდა 7 მილიონ 686 ათას ტონას, ანუ 1.500.000 ტონით მეტს, ვიდრე 1944 წელს.

ამიერკავკასიის რკინიგზელებმა 19-ჯერ გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. დიდი შრომითი წარმატებისათვის ომის პერიოდში მათ გადაეცათ სამუდამოთ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საქართველოს საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტი ომის დროს ფართო მასშტაბით გამოყენებული იყო თავდაცვით სამუშაოებზე და სამხედრო ტვირთის მისაზიდათ ფრონტის ძნელმისადგომ უბნებში, აგრეთვე დაჭრილი და ავადმყოფი მეომრების ევაკუაციისათვის. ხშირად ავტოტრანსპორტი გამოიყენებოდა რეზერვების და გამანადგურებელი ბატალიონების გადასაყვანად ოპერატიული ამოცანების შესრულებისათვის. რესპუბლიკის ავტოსატრანსპორტო საწარმოები დიდ დახმარებას უწევდნენ ჯარის ნაწილებს წყობილებიდან გამოსული საბრძოლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების აღდგენაში. ასე, მაგალითად, ომის წლებში თბილისის ავტოსარემონტო ქარხანამ ხულ შეაკეთა 10.572 ავტომანქანა და 2.562 ძრავი, მათგან ჯარისათვის 7.169 ავტომობილი, 2.121 ძრავი და ასობით ტანკი.

საბჭოთა არმიას დიდი დახმარება გაუწია, განსაკუთრებით კავკასიის დაცვის პერიოდში, რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ. მან. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, გადაზიდა არა მარტო მნიშვნელოვანი რაოდენობის ჯარის ნაწილები, შეიარაღება, ტყვიაწამალი და სხვა სამხედრო ქონება კავკასიონის უღელტეხილებზე, არამედ აგრეთვე მრავალი მგზავრი, ტვირთი და ფოსტა სხვადასხვა ქალაქებში.

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურებს — სოხუმს, ფოთსა და ბათუმს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ არა მარტო შავი და აზოვის ზღვების ხომალდების და გემების საყრდენად, აგრეთვე მრავალი მნიშვნელოვანი სადესანტო ოპერაციის

10. „მნათობი“, № 5.

მოსამზადებლად და ჩასატარებლად, არამედ იმისათვისაც, რომ მოქმედი არმია და ფლოტი მათი საშუალებით ყოფილიყო ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ყირიმის ნახევარკუნძულისათვის ბრძოლების დროს და განსაკუთრებით სევასტოპოლის გმირული დაცვის პერიოდში. მხოლოდ კავკასიის დაცვის პერიოდში, ხუთი თვის განმავლობაში, ამ ნავსადგურების გავლით ზღვით გადაზიდული იყო 213.000 მეომარი და დაახლოებით 260.000 ტონა სამხედრო ტვირთი.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ნათესი ფართობის გაზრდის მიზნით დაიწყეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება. დიდი შრომის შედეგად ომის განმავლობაში მათ მიერ ათვისებული იყო სულ 49.600 ჰექტარი მიწა. სათესი ფართობების ზრდა, ძირითადად, მიმდინარეობდა მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ტექნიკური კულტურების წარმოების გასადიდებლად. ტარდებოდა აგრეთვე მრავალი ღონისძიება მოსავლიანობის ზრდის მიზნით, რის შედეგადაც ომის ბოლო წლისათვის მარცვლეულის მოსავლიანობა ჰექტარზე 1,5 ცენტნერით გაიზარდა და სულ დამზადებული იყო 180.000 ტონით მეტი მარცვლეული, ვიდრე 1940 წელს.

ომის წლებში მიღწეულ იქნა შედარებით კარგი შედეგები მეცხოველეობის განვითარებაში, როგორც სულადობის, ისე პროდუქტიულობის მხრივ. მსხვილი რქოსანი პირუტყვის რაოდენობა გაიზარდა 120.000 სულით, ცხვრებისა და თხების კი — 500.000 სულით. ყოველივე ზემოაღნიშნულმა საშუალება მოგვცა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმით არა მარტო ნორმალურად მოგვემარაგებინა ჯარის ნაწილები, არამედ საფეიქრო, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობისათვის მიგვეცა სათანადო ნედლეული. რესპუბლიკის კოლექტიურმა და საბჭოთა მეურნეობებმა ომის პერიოდში სახელმწიფოს ჩააბარეს დაახლოებით 115 მილიონი ფუთი სურსათ-სანოვაგე და ნედლეული.

საქართველოს კოლმეურნეებმა, გადალახეს რა მრავალი სიძნელე, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და ყოველდღიური დახმარებით ომის წლებში არამცთუ შეასრულეს მათ წინაშე დასახული რთული სამეურნეო ამოცანები და მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის ზრდას, არამედ მნიშვნელოვნად გააძლიერეს და გააუმჯობესეს კოლექტიური მეურნეობის მატერიალური მდგომარეობა.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა და სამკურნალო დაწესებულებებმა ომის პერიოდში დაჭრილი და ავადმყოფი მეომრების ჯანმრთელობის აღსადგენად ჩაატარეს მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება. 1943 წლის 25 იანვრისათვის საქართველოში 74 საევაკუაციო ჰოსპიტალი მუშაობდა, რომლებშიც 38.030 საწოლი ადგილი იყო.

გარკვეული ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა დიდებულ პატრიოტულ თაოსნობას — რესპუბლიკის მოსახლეობის მიერ თბილი ტანსაცმლისა და სხვა საჭირო საგნების ჩაბარებას საბჭოთა შეიარაღებული ძალებისათვის. უდიდესი მუშაობისა და მშრომელთა მაღალი პატრიოტული ენთუზიაზმის შედეგად ომის პერიოდში საქართველოში მოგროვდა და სამხედრო უწყებას ჩაბარდა 40 დასახელების ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა ნივთები, სულ 1.700.000 ერთეულის რაოდენობით.

სახელმწიფოსათვის მაქსიმალური დახმარების მიზნით რესპუბლიკაში გროვდებოდა დიდძალი თანხა სამხედრო ტექნიკის ასაგებად. ყველაზე დიდი თანხა შეგროვდა საავიაციო ესკადრილიის „საბჭოთა საქართველოს“ და სატანკო კოლონის „საქართველოს კოლმეურნეს“ მშენებლობისათვის. სულ საქართველოს მშრომელებმა 1948 წლის თებერვლამდე სახელმწიფო ბანკში შეიტანეს 278.127.890 მანეთი. ომის პერიოდში რესპუბლიკის მოსახლეობამ სახელმწიფოს თავდაცვის ფონდში შეიტანა ნაღდი ფულით 420.818.900 მანეთი და სახელმწიფო სესხის ობლიგაციებით — 107.667.000 მანეთი. მთლიანად საქართველოს მშრომელთა ნებაყოფლობითი შენატანების ჯამმა, შესყიდული სახელმწიფო სესხის ობლიგაციების და ფულის და ნივთების ლატარიის ბილეთების ღირებულების ჩათვლით, ომის ბოლოს მიაღწია 3.840.293.500 მანეთს.

საქართველოს კულტურის მოღვაწეებმა ომის პერიოდში დიდი დახმარება გაუწიეს პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანოებს რესპუბლიკის მოსახლეობის საბჭოთა პატრიოტიზმის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში და აგრეთვე ქართველი ხალხის სულიერი ძალების მობილიზაციაში ფაშისტთა მტაცებლებზე მსოფლიოისტორიული გამარჯვების მოსაპოვებლად. რესპუბლიკის მეცნიერებმა დიდი ამაგი დასდეს სახალხო მეურნეობის რთული თავდაცვითი მრეწველობის ჩამოყალიბებას და სამხედრო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან ზრდას.

რესპუბლიკის მეცნიერების და ხელოვნების მოღვაწეებმა ჩაატარეს მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება უშუალოდ ჯარის ნაწილებში და უმთავრესად მოქმედი არმიის შენაერთებში მეომრების პოლიტიკურ-მორალური სულისკვეთების ასამაღლებლად და მათი კულტურული მომსახურებისათვის. ომის დაწყებიდან 1945 წლის 1 აპრილამდე მხოლოდ სამხედრო-საშეფო მუშაობის ხაზით საქართველოს თეატრების და ფილარმონიის კოლექტივებმა უშუალოდ ჯარის ნაწილებში და საევაკუაციო ჰოსპიტლებში 25.694 კონცერტი და სასცენო წარმოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენა გამართეს. გარდა ამისა, ფასიან კულტურულ ღონისძიებებში აღებულ თანხიდან სახელმწიფოს თავდაცვის ფონდში მათ გადარიცხეს 7.878.032 მანეთი.

ფაშისტურ გერმანიაზე, იმპერიალისტურ იაპონიაზე და მათ დამქაშებზე მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მოპოვებისათვის ქართველმა ხალხმა არ დაზოგა არც ძალ-ღონე და არც უამრავი მატერიალური სახსრები. საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში იბრძოდნენ საქართველოს საუკეთესო წარმომადგენლები, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის დაახლოებით 19 პროცენტი. საქართველომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში და შეძლებისდაგვარი დახმარება აღმოუჩინა ჰიტლერელთა უღლიდან განთავისუფლებულ რაიონებს.

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ხალხმა არნახული განსაცდელი განიცადა. მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ერთგულმა საბჭოთა ადამიანებმა, აღზრდილმა მაღალი პატრიოტული და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით შესძლეს ომის პერიოდის სიძნელეების და გაჭირვების ღირსეული დაძლევა და გადატანა. ბრწყინვალედ გაუძლო ომის მკაცრ განსაცდელს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობამ — დიდი ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთმა უდიდესმა მონაპოვარმა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძლიერებისა და ძლევამოსილების წყარომ.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები დღესაც, წარმოადგენენ რა იმპერიალისტური აგრესიის მშვიდობის დაცვის გადამწყვეტ ფაქტორს, წარმატებით ასრულებენ თავიანთ პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მოვალეობას. ვარშავის ხელშეკრულების სოციალისტური ქვეყნების არმიებთან ერთად, ისინი ფხიზლად დგანან თავიანთი ხალხის შემოქმედებითი შრომის, სოციალიზმის და კომუნიზმის უდიდესი საქმის დაცვის საგუშაგოზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა: „...არავის არ უნდა შეეპაროს ეჭვი იმაშიც, რომ ჩვენი პარტია ყველაფერს იღონებს, რათა საბჭოთა კავშირის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს კვლავაც ჰქონდეს ყველა საჭირო საშუალება თავისი პასუხსაგები ამოცანის შესასრულებლად — იყოს საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის გუშაგი, საყოველთაო მშვიდობის ბურჯი“.

საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი დღეისათვის აღჭურვილნი არიან თანამედროვე, ყველაზე საუკეთესო საბრძოლო ტექნიკით; მაგრამ არმიისა და ფლოტის მთავარი ძალა მაინც მისი პირადი შემადგენლობაა; იგი აღზრდილია საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, მჭიდროდაა დარაზმული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო და მზად არის ყოველთვის და ყველგან დაიცვას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი, თავისი საყვარელი სამშობლოს და მშრომელი ხალხის ინტერესები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამია დუდუჩავა

# ხელოვნების განვითარების კანონზომიერების საკითხები

## IV

როგორც ვთქვით, ხელოვნების ისტორიის მატერიალისტური გაგების სხვადასხვაგვარი ცალმხრივი კომენტირება ამ მოძღვრების მომხრეთა შრომებშიც გვხვდება. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს საზოგადოების ბაზისთან ხელოვნების დამოუკიდებლობის ის უკიდურესად გამარტივებული გაშუქება, რომელიც ცნობილია ვულგარული სოციოლოგიზმის სახელწოდებით. მისი ერთ-ერთი პირველი გამომხატველი — ვ. ფრიჩე შეეცადა ხელოვნების სოციოლოგია გამოეყო ცალკე მეცნიერებად. ვ. ფრიჩეს განსაზღვრით, ამ მეცნიერების საგანია ხელოვნების და მისი დარგების სოციოლოგიური კანონზომიერება, ე. ი. იმ ორგანული კავშირის გაშუქება, რომელიც საზოგადოების, კერძოდ, მისი ეკონომიკური საფუძვლისა და მხატვრული მოვლენების განვითარებათა შორის არსებობს. სხვა სიტყვებით, ვ. ფრიჩეს თვალსაზრისით, ეს არის მეცნიერება, რომელმაც კანონზომიერი კავშირი უნდა აღმოაჩინოს „ხელოვნების ცნობილ ტიპებსა და ცნობილ საზოგადოებრივ ფორმაციებს შორის“. ფრიჩე იმასაც აღნიშნავდა, რომ „პლეხანოვამდე ისტორიული მატერიალიზმი არავის გამოუყენებია იდეოლოგიის ისეთ დარგში, როგორიცაა სახვითი ხელოვნება“. ამასთან, ფრიჩეს სიტყვით, გ. პლეხანოვმა „ურყევად დაამტკიცა, რომ ხელოვნება თავის სტატიკურ და დინამიკურ მდგომარეობაში, პირდაპირ და არაპირდაპირ, ეკონომიკური და სოციალურ-კლასობრივი პირობებით განისაზღვრება. ამას გარდა, მისი ყოველი წერილი დიდძალ წმინდა სოციოლოგიურ მასალას შეიცავდა იმ ცნობილ სოციალურ-ესთეტიკური კანონების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც მუდამ და შეურყევლად მოქმედებენ ცხოვრებისა და ხელოვნების განვითარებაში. მაგრამ, მრავალ სოციოლოგიურ კანონზომიერებათა დადგენის მიუხედავად, პლეხანოვის წერილები, ერთად შეკრულნიც კი, არ წარმოადგენს ხელოვნების სოციოლოგიას. ისინი მხოლოდ მასალას იძლევიან ამ მეცნიერებისათვის“.[1]

რა თქმა უნდა, გ. პლეხანოვის შრომები არ წარმოადგენს ხელოვნების სოციოლოგიას, მით უმეტეს იმ გაგებით, როგორსაც ვ. ფრიჩე გვთავაზობს. ისინი არც მასალას იძლევა ამგვარი სოციოლოგიისათვის. არსებობს მხოლოდ ერთი გამონაკლისი: შესაძლებელია ცნებებს „ხელოვნების სოციოლოგიას“, „ლიტერატურის სოციოლოგიას“ და სხვა, სათავე მისცა გ. პლეხანოვის ერთ-ერთი შეხედულების ცალმხრივმა გაგებამ. ეს შეხედულება ასახულია წინასიტყვაობაში ცნობილი კრებულისა „ოცი წლის მანძილზე“. აქ გ პლეხანოვს მარქსისტული მხატვრული კრიტიკის („მეცნიერული მხატვრული კრიტიკის“) პირველ ამოცანად, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ერთ-ერთ ძირითად ამოცანად, მიაჩნია მხატვრული ნაწარმოების იდეის თარგმნა ხელოვნების *ენიდან სოციოლოგიის ენაზე*, ხოლო ამის მეშვეობით იმის დადგენა, „რასაც შეიძლება ეწოდოს მოცემული ლიტერატურული მოვლენის სოციოლოგიური ექვივალენტი“.[2] აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სხვა შემ-

* დასასრული. იხ. „მნათობი“, № 4.

თხზულებში გ. პლეხანოვი სოციოლოგიურის ნაცვლად ხმარობს საზოგადოებრივ ან სოციალურ ექვივალენტს. და, რაც მთავარია, ეს ცნება მას ყოველთვის გააზრებული აქვს როგორც წარმოების იდეის, მთელი საზოგადოებრივი არსისა და მნიშვნელობის ცხადყოფა, გაშუქება. გ. პლეხანოვს მხატვრული მოვლენების სოციოლოგიური ექვივალენტის დადგენა, არსებითად, მიაჩნია მარქსისტული მხატვრული კრიტიკის ერთ-ერთ პირველ ამოცანად, ერთ-ერთ „ძირითად ელემენტად“. იგი იქვე აღნიშნავს, რომ კრიტიკული ანალიზის მეორე აუცილებელ და არსებით აქტს წარმოადგენს ნაწარმოებთა „მხატვრულ ღირსების ანალიზი“, „ესთეტიკურ ღირსებათა შეფასება“; მისი აზრით, მარქსისტულ პრინციპებზე დაფუძნებული მხატვრული კრიტიკა ულალატებს თავისთავს, თავის ბუნებას, თუ იგი სოციოლოგიური ექვივალენტის დადგენით შემოიფარგლება: სოციოლოგიამ კი არ უნდა დაუკეტოს კარები საკუთრივ ესთეტიკას (მხატვრულ ანალიზს), არამედ „პირიქით, ფართოდ გაალოს ისინი მის წინ“. თუ კრიტიკოსი უარს იტყვის ნაწარმოებთა ესთეტიკურ ანალიზსა და შეფასებაზე, იმ მოტივით, რომ მან უკვე ცხადყო ნაწარმოების სოციოლოგიური ექვივალენტი, ამით მხოლოდ იმას დაგვიმტკიცებს, რომ „მას არ გაეგება მარქსისტული თვალსაზრისი ამ საკითხის შესახებ“.[3]

როგორც ვხედავთ, გ. პლეხანოვს მხატვრულ ქმნილებათა სოციოლოგიის ენაზე თარგმნა, საერთოდ, სოციოლოგიური ექვივალენტის ცხადყოფა, განხილული აქვს როგორც მხატვრული კრიტიკის (ხოლო ამის შესაბამისად ხელოვნების ისტორიის) ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, რომელიც საფუძველს ამზადებს საკუთრივ მხატვრული ანალიზისათვის. ამასთან, იგი არსებითად გვევლინება როგორც მხატვრულ ქმნილებათა იდეურ-შემეცნებითი არსისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ანალიზი. მაშასადამე, აქ შორეული მინიშნებაც კი არა გვაქვს მოცემული ხელოვნების ან, კერძოდ, ლიტერატურის სოციოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერებად გამოყოფის საჭიროებაზე. მეტიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გ. პლეხანოვი კატეგორიულად უარყოფდა ვ. ფრიჩესა და მის თანამოაზრეთა ვულგარულ სქემატიზმს.

მაგრამ შეიძლება, საერთოდ, მაინც არსებობს რაიმე რეალური საფუძველი ხელოვნების ცალკეული დარგების, ან ხელოვნების შესახებ სოციოლოგიური მეცნიერების შექმნის აუცილებლობისათვის?

ჩვენ ზემოთ გზადაგზა უკვე ვნახეთ, რომ ხელოვნების, როგორც სოციალური არსისა და მნიშვნელობის, ისე ისტორიული პროცესის კანონზომიერების ყველა პრობლემა ორგანულად არის დაკავშირებული ხელოვნების სპეციფიკური არსის პრობლემებთან. ამასთან, ისინი ესთეტიკის შესწავლის საგანს შეადგენს. ერთი სიტყვით, ყველა საკითხი, რომელიც ვ. ფრიჩეს ხელოვნების სოციოლოგიის შესწავლის ობიექტად მიაჩნია, შეუძლებელია გამოეთიშოს ხელოვნების სხვა თეორიულ პრობლემებს, ე. ი. ესთეტიკის საგანსაც. სოციოლოგიის გარკვეული პრინციპები, რა თქმა უნდა, გარკვეულ გამოხატულებას პოულობს როგორც ესთეტიკის, ისე ხელოვნების დარგების თეორიათა სფეროში. მაგრამ ეს ხდება ამ პრინციპთა ხელოვნებაში არა მექანიკურად გადატანის გზით, არამედ მხოლოდ იმ სპეციფიკურ ნიშანთა და კანონთა შესაბამისად, რომლებიც დამახასიათებელია მხატვრული მოვლენებისათვის. როგორც ცნობილია, ყოველი მეცნიერების არსებობა განპირობებულია შესატყვისი სპეციფიკური საგნის არსებობით; ხოლო ყოველი მეცნიერების უპირველეს დანიშნულებას თავისი საგნის სპეციფიკური არსის შესწავლა შეადგენს. ამიტომ ამა თუ იმ მეცნიერების სხვა მეცნიერების სფეროში შეჭრის ყოველი ცდა მხოლოდ ზიანის მომტანია.

ახლა გავეცნოთ თვით ვ. ფრიჩეს ზოგ ვულგარულ-სოციოლოგიურ შეხედულებას.

„მხატვრული საგნის წარმოება იმავე კანონებს ემორჩილება, რომლებიც ნივთიერ ღირებულებათა წარმოებას განაგებს“.[4] „პირველობა ხელოვნების დარგშიც იმას ეკუთვნის, ვისაც პირველობა მეურნეობის დარგში ეკუთვნის“.[5] „შეუძლებელია ხელოვნება აყვავდეს იქ, სადაც ადამიანი საკმაოდ უზრუნველყოფილი არ არის ქონებრივად“.[6] ამ დებულებას თან ერთვის ხელოვნების პროცესის მთლიანად დაკავშირება ეკონომიკურ ფაქტორთან და შემოქმედებითი ინდივიდუალობის, საერთოდ, ხელოვნების ისტორიაში შემოქმედის როლის უარყოფა. ვ. ფრიჩეს დასკვნით, მხატვრული სტილი უშუალოდ ეკონომიური ყოფით, „ეკონომიკური სტილით“ ისაზღვრება. ამიტომ ხელოვნების სოციოლოგიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაადგინოს პოეტურ სტილთა კანონზომიერი შესატყვისობა „გარკვეულ ეკონომიკურ სტილებთან“. ამ გაგების შესაბამისად, ვ. ფრიჩე თავის შრომებში გულმოდგინებით ცდილობს გამონახოს „მხატვრული სტილების“ ეკონომიკურ სტილებთან კანონზომიერი დამოკიდებულება, ანდა, კვლავ მისივე სიტყვებით რომ გადმოვცეთ, „დაადგინოს, როგორ იცვლებოდა საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, მეურნეობის გაბატონებული ფორმის მიხედვით, მხატვრული ნაწარმოების ფორმა და ამასთანავე, მხატვრულ ღირებულებათა მწარმოებლების მდგომარეობა“.[7] ასეთი თვალსაზრისის გამო, ვ. ფრიჩე, არსებითად, ხელაღებით უარყოფს სტილს, საერთოდ, ხელოვნების როგორც არსის, ისე ისტორიული განვითარების კანონზომიერების სპეციფიკურ ბუნებას.

რა თქმა უნდა, ანალოგიური შეხედულებებს სხვა ავტორებსაც გამოუთქვამთ. დამახასიათებელია ამ მხრივ ხელოვნების ცნობილი ისტორიკოსის ფ. ფეიერშერდის მოსაზრებანი და მათი პლეხანოვისეული კრიტიკა. როდესაც ფეიერშერდი ხსნის სხვადასხვა ბერძნულ სტილთა წარმოშობას ძველი საბერძნეთის ეკონომიკური მდგომარეობით, მას ეს მეტად სქემატურად გამოუდის. „მისი მსჯელობა, — აღნიშნავდა პლეხანოვი — თავისი სქემატურობით გვაგონებს ჩვენი შინზრდილი ფრიჩეებისა და როჟკოვების მსჯელობას, იმ ფრიჩების და როჟკოვების, რომელთაც მასავით უნდა ვუსურვოთ ყველაზე და ყველაზე უფრო *თანამედროვე მატერიალიზმის შესწავლა.* მათ ყველას *სქემატიზმისაგან* მხოლოდ *მარქსიზმი იხსნის*" (ხაზგასმა ავტორისაა).

აქ ვ. ფრიჩეს ამ, ჩვენში უკვე დავიწყებულ თვალსაზრისს იმიტომ შევეხეთ ასე შედარებით ვრცლად, რომ ხელოვნებისა და მისი დარგების სოციოლოგიის ცალკე მეცნიერებად დამკვიდრების საკითხი გარკვეული პოპულარობით სარგებლობს თანამედროვე საზღვარგარეთულ ესთეტიკასა, ხელოვნებისმცოდნეობასა და ლიტერატურათმცოდნეობაში. არსებითად ორი სახით ვლინდება იგი აქ. ერთი მხრივ, მას განაპირობებს მარქსისტული ესთეტიკის გარკვეულ პრინციპთა ცალმხრივი, აშკარად მცდარი კომენტირება. მისი გამომხატველნი, არსებითად, ვ. ფრიჩეს ტიპის ვულგარისტებად, ან, მარქსისტული ესთეტიკის რევიზიონისტებად გვევლინებიან; მეორე მხრივ კი, საქმე გვაქვს იდეალისტური თვალსაზრისის საფუძველზე აღმოცენებულ კონცეფციებთან. სოციოლოგიური უკიდურესობის ეს სახეობა ზოგჯერ მარქსიზმსაც იშველიებს, ან იდეალიზმის მარქსიზმთან მორიგების გზებს ეძიებს, ხოლო მეტწილ შემთხვევაში უშუალოდ ანვითარებს გასული საუკუნის მეორე ნახევარში ისტორიის იდეალისტური ფილოსოფიის, უპირატესად, პოზიტივიზმის საფუძველზე ჩამოყალიბებულ გარკვეულ პრინციპებს. დამახასიათებელია, რომ აქ გამოხატულებას პოულობს ო. კანტის ცნობილი დებულებაც ისტორიული პროცესის როგორც პიროვნების, ისე ხალხთა სახელების გარეშე შესწავლის შესახებ.

ამ ტიპის სოციოლოგიური თეორიები სავსებით უარყოფენ ხელოვნების როგორც სოციალური მოვლენის თავისებურებას. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ლიტერატურის ისტორიის გენეტიკურ-სტრუქტურული მეთოდის მამამთავრის ლ. ჩოლდმანის რამდენიმე დებულებას. უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია გავითვალისწინოთ ლ. ჩოლდმანის შემდეგი დასკვნა: მართალია, მხატვრულ ნაწარმოებს უშუალოდ ქმნის შემოქმედი, მაგრამ რადგან ეს უკანასკნელი მთელი თავისი არსებით განეკუთვნება გარკვეულ სოციალურ ჯგუფს, რეალური შემოქმედი სუბიექტი საბოლოოდ *სოციალური კოლექტივია.* ეს კი იმას ნიშნავს, რომ, არსებითად, ხელოვანის შემოქმედებითი ინდივიდუალობის არსებობისათვის აღარ რჩება ადგილი მხატვრულ შემოქმედებაში.

რა თქმა უნდა, ლიტერატურული, საერთოდ, ყველა მხატვრული მოვლენის ისტორიული ტიპოლოგიური არსი აიხსნება ობიექტური საზოგადოებრივ-ეროვნული გარემოებითი, რასაც ლ. ჩოლდმანი სოციალური კოლექტივის კონტექსტს უწოდებს. აქ იგულისხმება ხელოვნების კანონზომიერების ეპოქისეული გამოხატულება გარკვეული მხატვრული მეთოდისა და მიმდინარეობის სახით. მაგრამ ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთ არსებით მხარეს თვით ამ მეთოდისა და მიმდინარეობის გამომხატველ შემოქმედთა ინდივიდუალობა (ე. ი. ურთიერთისაგან განმასხვავებელი შემოქმედებითი განსაკუთრებულობა) შეადგენს. ამ ისტორიულ ფაქტს ლ. ჩოლდმანის თვალსაზრისი, რა თქმა უნდა, ვერ აშუქებს. ასეთივეა ხელოვნების სოციოლოგიის ყველა სახეობის ბედი საერთოდ.

მკვლევარის აღნიშნული პრინციპის გაშლასა და განვითარებას წარმოადგენს შემდეგი დასკვნა: ხელოვნების საგანი და შინაარსი ერთიდაიგივეა. ამასთან, ერთიც და მეორეც არის არა საზოგადოებრივი ყოფა, ადამიანთა მოქალაქეობრივი, პოლიტიკური ან პირადი ცხოვრება, არამედ გარკვეული სოციალური ჯგუფების „აზრობრივი სტრუქტურები" (სამყაროს ხილვა), რაც სამყაროს კლასობრივი ხილვაა. ერთი სიტყვით, ხელოვანისა და მისი კლასის (სოციალური კოლექტივის) აზროვნება, პოზიცია მთლიანად ერთიდაიგივეა. მაშასადამე, სუბიექტური აქ არავითარ მნიშვნელოვან გამოხატულებას არ პოულობს.

რა თქმა უნდა, ლ. ჩოლდმანის ეს სოციოლოგიური კონცეფცია, ისე როგორც ყველა სხვა ანალოგიური თვალსაზრისი, წინააღმდეგობათა მთელი სისტემითაც ხასიათდება. ეს სავსებით გასაგებიცაა, რადგან ლ. ჩოლდმანი თავის მასწავლებლებად მიიჩნევს: ჰეგელს, ფროიდს, ლუკაჩსა და კ. მარქსს (თუმცა მარქსის ნააზრევიდან, არსებითად, არც ერთი პრინციპი არა აქვს სწორად ასახული თავის შრომებში).

აქ არ შევეხებით ლ. ჩოლდმანის სხვა ძირითად შეხედულებებს, არც ხელოვნების სოციოლოგიის სხვა სკოლებს განვიხილავთ, რადგან ისინი საბჭოთა თეორეტიკოსების (ელისბერგის, სუროვცევის, ბარაბაშის...) შრომებსა და აგრეთვე სპეციალურ სამეცნიერო-საინფორმაციო რეფერატულ კრებულებში საკმაოდ ვრცლად არის განხილული. ოღონდ, ერთ მომენტზე მაინც მივუთითებთ, იმ მრავალფეროვნების საილუსტრაციოდ, რომლითაც „მხატვრული სოციოლოგიზმი" ხასიათდება ჩვენს დროში. ეს არის ხელოვნების განვითარების უშუალოდ დაკავში-

რება ტექნიკასა და მეცნიერების პროგრესთან, რაც ნიშნავს მხატვრული მოვლენების ისტორიული პროცესის თავისებურების უარყოფას, ამ პროცესის მიჩნევას ტექნიკის, საწარმოო ურთიერთობის, ეკონომიკის ანარეკლად. აქ ყურადღებას იქცევს იმის მტკიცებაც, თითქოს, ხელოვნების პროგრესი ტექნიკის, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის პროგრესის ადექვატურ გამოხატულებას წარმოადგენდეს, თანმიმდევრული აღმავლობით ხასიათდებოდეს.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც, არსებითად, კვლავ ხელოვნების თავისებურების უარყოფასთან, სოციოლოგიური ასპექტის უკიდურესად გამარტივებული ხაზობის დაკანონების ცდასთან გვაქვს საქმე. და ეს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ცხადყვეს, რომ ხელოვნება მკვეთრად გამოვლენილი ღრმა სპეციფიკური არსით, კანონზომიერებით ხასიათდება, და რომ მისი ის მხარეებიც კი, რომლებიც საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმებთან კავშირს განაპირობებს (შემეცნებით — ასახვით, სოციალური და სხვა), სპეციფიკური არსის მომცველია, ხელოვნების ესთეტიკური ბუნების, საერთოდ, მთელი სპეციფიკური კანონზომიერების შესაბამისია.

▼

რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ-ეროვნული და იდეური გარემო, თვით ხელოვნების კლასიკური წარსულისა და მიმდინარე მსოფლიო პროცესის ერთობლიობა, ე. ი. ობიექტურ ფაქტორთა მთელი კომპლექსი, შემოქმედის სამყაროს მეშვეობით ზემოქმედებს ხელოვნების განვითარებაზე. მაშასადამე, ობიექტურ ფაქტორებსა და ხელოვნების ისტორიას შორის ხელოვანი დგას: იგი არის ის გარდამავალი რგოლი, რომელშიც ორგანულად გარდაისახება (უკუიფინება) ობიექტურ ფაქტორთა მთელი სისტემა (მთლიანობა); ვულგარისტები და ობიექტივისტი ფორმალისტები ამტკიცებენ, თითქოს, ეს გარდამავალი სამყარო მოკლებული იყოს ყოველგვარ საკუთარ მნიშვნელობას, თითქოს იგი მოქმედებდეს როგორც სავსებით „ნეიტრალური გამტარი“, მხოლოდ გადამცემი; ამის გამო სუბიექტური ფაქტორი არავითარ როლს არ თამაშობსო. ვულგარისტების ნაშრომებში ეს გაგება ემყარება ეკონომიურ-სოციალური გარემოს მნიშვნელობის აბსოლუტურობას; ფორმალისტების ნაშრომებში კი — ხელოვნების ისტორიის იმანენტური კანონების უპირატესობას, მხატვრული ხერხებისა, სტილის, საერთოდ, ფორმის კანონების თვითარსებადი მნიშვნელობის აღიარებას. ამ თვალსაზრისის ზოგი გამომხატველი, ჩეხი მკვლევარის ვ. შტოლის სწორი დახასიათებით, ასეთ უაზრო დასკვნამდეც კი მიდის: „რომ არ ყოფილიყო პუშკინი, „ევგენი ონეგინი“ მაინც დაიწერებოდა. ამერიკა აღმოჩენილი იქნებოდა უკოლუმბოდაც“. როგორც ვხედავთ, ფორმალიზმი, რომლის ერთად-ერთ დასაყრდენს „იზოლირებული ფორმის“ პრინციპი შეადგენს, არსებითად ხელოვნების თავისებურების უარყოფად გვევლინება: ვერ ხედავს განსხვავებას „ევგენი ონეგინის“ შექმნასა და ამერიკის აღმოჩენას შორის.

ჩვენს დროში უკვე აღარ სჭირდება საგანგებო მტკიცება პიროვნების როლის უარყოფის მარქსიზმთან დაკავშირების სრულ უსაფუძვლობას როგორც ხელოვნების, ისე, საერთოდ, ადამიანთა მთელი სოციალური და სულიერ-ინტელექტუალური ცხოვრების განვითარებაში. ისტორიულად პირველად სწორედ ამ მოძღვრებამ მოგვცა ისტორიის სუბიექტური ფაქტორის ჭეშმარიტი მეცნიერული გაშუქება. კერძოდ, ჩვენი პრობლემის სფეროში კი, მან სავსებით ცხადი გახადა, რომ ხელოვნების ისტორია *ისევე არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ხელოვანის გარეშე, როგორც არც ხელოვანის საკუთრებად, „ხელოვანთა ისტორიად“*. მაშასადამე, აქ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა ორგანული მთლიანობის კანონთან გვაქვს საქმე.

რატომ? ან, რა კონკრეტული ურთიერთობით ხასიათდება სუბიექტურისა და ობიექტურის მთლიანობა ხელოვნების განვითარების პროცესში?

თავისთავად ცხადია, სავსებით სწორია ცნობილი გამოთქმა: „შემოქმედი იწყება ტალანტით“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სწორია ბ. ბელინსკის დასკვნაც: „უპირველეს ყოვლისა, ტალანტი ქმნის ადამიანს პოეტად“. ეჭვს არ იწვევს ისიც, რომ ტალანტი ბუნებისეული, თანდაყოლილი თვისებაა, ე. ი. ბუნება აჯილდოებს ადამიანებს ამ დიდი ღირსებით. ამიტომ თქვა ი. ჭავჭავაძემ, პოეტს „ცა ნიშნავსო“. არავითარ სხვა ძალას, არავითარ ობიექტურ პირობებს არ შეუძლია წარმოშვას მხატვრული წარმოსახვის, შეთხზვის უნარი იმ ადამიანებში, რომელთა მიმართ ბუნებას არ გამოუჩენია ამ მხრივ თავისი სიუხვე. ერთი სიტყვით, ისე როგორც ადამიანის გონებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა დარგში, ხელოვნებაშიც „ტალანტები იბადებიან“. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს, ხელოვანის ტალანტი, საერთოდ, ყოველი ბუნებრივი ნიჭი, თვითგამოვლენისა და აბსოლუტურად დამოუკიდებელი მოქმედების უნარით იყოს აღჭურვილი. ისტორიული ფაქტები ისევე კატეგორიულად გამორიცხავს ასეთი დასკვნის მიღების შესაძლებლობას, როგორც იმ საწინააღმდეგო ცალმხრივობასაც, რომლის თანახმად ტალანტი ამა თუ იმ ობიექტური მოვლენის ყურმოჭრილ მსახურს, საკუთარ მნიშვნელობასა და

ხასიათს მოკლებულ, სავსებით დამორჩილებულ სუბიექტურ თვისებას წარმოადგენს.

ამ საკითხის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, იმ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება, რომ მხატვრული *ტალანტი*, არსებითად, გვევლინება როგორც სპეციფიკური *სუბიექტური შესაძლებლობა*, უნარი, მისი გამოვლენა და განვითარება კი ობიექტურ საზოგადოებრივ-პირობებზეა დამოკიდებული. ამ პირობების ზემოქმედების შედეგად იგი ან უკვალოდ ქრება, ან შესატყვის საზოგადოებრივ-ისტორიულ მნიშვნელობას იჩენს. ამ მხრივ მთლიანად ეპოქის ხასიათზეა დამოკიდებული ხელოვანის ტალანტის (სუბიექტური შესაძლებლობის) ბედი. „შესძლებს თუ არა ინდივიდი, მსგავსად რაფაელისა, განავითაროს თავისი ტალანტი — ეს მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა ამისი მოთხოვნილება, ხოლო მოთხოვნილება, თავის მხრივ, დამოკიდებულია შრომის განაწილებაზე, და მისგან წარმოშობილ ადამიანთა განათლების პირობებზე“.9

კ. მარქსის ეს ცნობილი შენიშვნა სავსებით ნათელს ხდის ტალანტის ზემოთ აღნიშნულ ეპოქისეულ არსს. მაშასადამე, ის, რითაც ბუნება აჯილდოებს ინდივიდს, ან ილუპება, ან მეორედ იბადება საზოგადოებრივი გარემოს ზემოქმედების შესაბამისად.

ბ. ბელინსკის უაღრესად ნიშანდობლივი მაგალითი აქვს ნათელყოფილი ეს კანონზომიერება. იგი წერს: „ბუნება ქმნის დიდ მხედართმთავრებს, როცა მას მოესურვება და არა მხოლოდ ომის შემთხვევისათვის, მაგრამ თუ ომი არ იქნა, დიდი მხედართმთავარიც ისე გაატარებს მთელ თავის სიცოცხლეს, გუმანსაც კი ვერ აიღებს, რომ იგი დიდი მხედართმთავარია. მხოლოდ მძლავრი საზოგადოებრივი მოძრაობის დროს ხდებიან დიდ მხედართმთავრებად ის ადამიანები, რომლებიც ბუნებას დიდი სამხედრო ნიჭით დაუჯილდოებია“. ეს შედარება სავსებით სწორია.

კ. მარქსის ციტირებული სტრიქონები ტალანტის განვითარების დიაპაზონზე ეპოქის არსებითი ზემოქმედების ხაზგასმასაც მოიცავს. ტალანტი შეიძლება არ დაიღუპოს, მაგრამ ეპოქისეული შეზღუდვის გამო თავისი შესაძლებლობის დონემდე მაინც ვერ ამაღლდეს, ე. ი. ხელოვანმა მთლიანი სახით ვერ გამოავლინოს თავისი შემოქმედებითი პოტენცია.

ი. ჭავჭავაძემ სწორად გაიგო და განმარტა ტალანტისა და ეპოქის დამოკიდებულების როგორც საერთო არსი, ისე, კერძოდ, აქ მითითებული მხარეც. აქ მხედველობაში მაქვს არა მარტო ცნობილი, ზემოთ ნაწილობრივ ციტირებული სიტყვები „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“, არამედ შემდეგი თეორიული დასკვნაც: პოეტს ხალხი შობს და „ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს... თუნდა რომ იყვნენ ეხლა ჩვენში ბაირონის თანასწორნი ნიჭნი, ის ნიჭნი ბაირონის ოდენას თავის დღეში ვერ იქმდნენ; ის ნიჭნი საზრდოს ვერ იპოვიან ჩვენს ცხოვრებაში; დევს დევის ძუძუ გამოზრდის და, თუ ჩვეულებრივი ადამიანის ძუძუთი გაიზარდა, ის დევი აღარ იქნება, თუმცა კი არც ჩვეულებრივ ადამიანს ეგვანება. დიდ გენიას დიდი საზრდოც უნდა მისცეს ჩვენმა ცხოვრებამ“.10 და შემდეგ — „ის იქნება აქამდინაც იყო და უთუოდაც უნდა ყოფილიყო, რომ ცხოვრებას თავისთან გამოეცადა, შეეზარდა, მოემზადებინა თავის ვითარებისვე ასახსნელად, თავის საჭიროებისავე დასაკმაყოფილებლად. თუ აქამდინ არ გამოჩნდა იგი, იმიტომ, რომ იმის ძლიერის სულის შესაფერი საქმე არსად იყო“.11 მაშასადამე, „შესაფერი საქმე“, სათანადო ასპარეზი, საზოგადოებრივ-ეროვნული საჭიროება, დიდი სარბიელი — აი რა მიაჩნია ი. ჭავჭავაძეს გენიოსთა მოღვაწეობის აუცილებელ პირობად. საზოგადოების საკუთრივ ეკონომიურ სიძლიერეზე იგი არ მიუთითებს, რაც, რა თქმა, უნდა, სავსებით სწორია.

ტალანტზე ეპოქის ზემოქმედების საკითხის განხილვისას არსებითი მნიშვნელობა აქვს საკუთრივ იმ კონკრეტული მიმართულებისა და იდეების ხასიათსაც, რომლებსაც ხელოვანი გამოხატავს. კერძოდ, ცნობილია, რომ დეკადენტური მიმართულებანი და რეაქციული მსოფლმხედველობა დიდად ამცირებს ყოველი ხელოვანის ტალანტის ასპარეზს, შემოქმედებითი პოტენციის გამოვლენას, ისტორიულ-საზოგადოებრივ მნიშვნელობას. და ეს მაშინ, როდესაც იმავე ეპოქის პროგრესული მიმართულება და მსოფლმხედველობა სრულიად საწინააღმდეგო გავლენას ახდენს — ტალანტის განვითარებისა და სრული სახით ამეტყველების დადებით ფაქტორად გვევლინება. ერთი სიტყვით, თუ ხელოვანი თავისი ეპოქის მოწინავე ტენდენციებს გამოხატავს, ხოლო თვით ეპოქა სათანადო საზრდოს იძლევა, მაშინ მხატვრული ტალანტიც მაქსიმალურად გზახსნილია, მაქსიმალურად ავლენს თავისთავს. ის კი, რაც რეაქციულია და, მაშასადამე, ისტორიულად განწირული, ტალანტზედაც უარყოფით გავლენას ახდენს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დიდ ეპოქებთან გვაქვს საქმე (ე. ი. „ძლიერის სულის შესაფერი საქმე“ არსებობს). ობიექტურად ამ გარემოებასაც უდავოდ გულისხმობს ი. ჭავჭავაძის ზემოთ ციტირებული სტრიქონები. ობიექტურად იმიტომ, რომ იგი უშუალოდ არა აქვს აღნიშნული ი. ჭავჭავაძეს. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მამებთან პოლემიკაში მან მაინც სათანადოდ გააშუქა პროგრესული, მებრძოლი იდეებისა და მოძრაობის დიდი ისტორიული მნიშვნელობა როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში.

ყველაფერი ეს სავსებით ნათელს ხდის მხა-

ტვრული ტალანტის ეპოქისეულ არსს, რაც, თავის მხრივ, გვევლინება როგორც სავსებით მოტივირებული საფუძველი ცნობილი დებულებისა: შემოქმედი თავისი დროისა და ხალხის ღვიძლი შვილია, თავის ეპოქას ეკუთვნის და გამოხატავს.

მართალია, ეს დებულება ხშირად უკავშირდება ცალმხრივ ან ზედმიწევნით გამარტივებულ კონკრეტულ შინაარს (როგორც ცნობილია, ზოგი იდეალისტიც საკმაოდ ხელგაშლილად იმეორებს მას). მაგრამ მისი ეს სხვადასხვაგვარი გააზრება სრულიად არ იძლევა იმის საფუძველს, რომ საერთოდ უარვყოთ იგი და არ გამოვიყენოთ თავისი ჭეშმარიტი მეცნიერული შინაარსით.

ამრიგად, ხელოვანის *ტალანტის პირველადი სამშობლო ბუნებაა.* მაგრამ აქ იგი იბადება, როგორც მხოლოდ *სპეციფიკური უნარი, სპეციფიკური სუბიექტური შესაძლებლობა.* სოციალური ვითარება, ეპოქა მისი *მეორე სამშობლოა.* აქ ტალანტი ან უგზო-უკვლოდ იკარგება ისტორიისათვის, ან ხდება მისი გამოვლენა, განვითარება, მისი დიაპაზონის, მიდრეკილების, მიმართულების, მთელი მრწამსის ფორმირება. ამდენად, ეპოქა ტალანტსქმნის როგორც შემოქმედ სუბიექტს, როგორც საზოგადოებრივ-ისტორიულ მოვლენას.

და თუ აქ იმასაც გავიხსენებთ, რომ ხელოვანი ხელოვნების ობიექტური კანონების, „სილამაზის კანონების მიხედვით" ქმნის, მაშინ, ერთი შეხედვით, სუბიექტური ფაქტორისათვის აღარც კი რჩება ადგილი მხატვრული კულტურის ისტორიაში. მაგრამ ეს ასე შეიძლება მოგვეჩვენოს სწორედ ერთი შეხედვით. სინამდვილეში, როგორც უკვე ვთქვით, ობიექტურ ფაქტორთა ძლევამოსილების მიუხედავად, ხელოვნების ისტორია ხელოვანთა ისტორიაც არის. კერძოდ, ხელოვანზეა დამოკიდებული, ერთი მხრივ, ხელოვნების ობიექტური კანონზომიერებისა და შემოქმედებით პრინციპების (ეპოქისეული ესთეტიკური იდეალების), ხოლო, მეორე მხრივ, ეპოქის ცხოვრების, იდეების, სულისკვეთების, საზოგადოებრივ-ეროვნული განსაკუთრებულობის განსახიერების *სიღრმე, სიძლიერე და თავისებურება.* თავისთავად ცხადია, ეს კანონი რომ არ არსებულიყო, მაშინ ერთი და იმავე ეპოქისა და მიმართულების ყველა ხელოვანი ერთი და იგივე იქნებოდა.

როგორც ყოველი მხატვრის, ისე რუსთაველის გენიის „შემოქმედებით სტიქიას" ეპოქამ გაუხსნა გზა. რუსთაველის პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური და ეთიკური შეხედულებანი, ესთეტიკური იდეალი და შემოქმედებითი პრინციპები იმავე ობიექტური სოციალური სინამდვილით არის განპირობებული. ერთი სიტყვით, გენიალური პოეტი მთელი თავის არსებით თავისი დროის ღვიძლი შვილი იყო. მაგრამ ის, რომ მან ყველაფერი ეს ასე სრულყოფილად გამოავლინა, ანდა, რომ სწორედ ის გახდა თავისი დროის დიდება, თავისი ეპოქის სულიერი ცხოვრების დიდმპყრობელი და მხოლოდ კოეპის მშვენება, ხოლო „ვეფხისტყაოსანში" ასე ღრმად, ძლიერად და თავისებურად აისახა „დიდი ჰუმანიზმი", უკვდავი საკაცობრიო იდეები, ეს არსებითად მისი საკუთრებაა, მის ინდივიდუალურ სამყაროში, მისი შემოქმედებითი შესაძლებლობის, მიდრეკილებებისა და სხვა სუბიექტურ თავისებურებათა ურთიერთობაში პოულობს ახსნას. ამ მხრივ რუსთაველი არ არის თავის დროის მორჩილი შვილი, ან ჩვეულებრივი მსახური. პირიქით, იგი თვით ასხივოსნებს ეპოქას და, განსაზღვრული აზრით, როგორც დიდი მეამბოხე (შუა საუკუნეების პირველი ჰუმანისტი) მასზე მაღლაც დგას. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა რუსთაველი არ შეიძლებოდა ჰყოლოდა იმ დროის საქართველოს. და, თუ რაიმე შემთხვევის გამო ის „ვეფხისტყაოსნის" შექმნამდე დაიღუპებოდა ფიზიკურად, ლიტერატურის საერთო მიმართულება და ხასიათი არსებითად იგივე დარჩებოდა, მაგრამ ის მოკლებული იქნებოდა სრულყოფილებას, უბრწყინვალეს პოეტურ ხილვას, შეუდარებელ ელვარებასა და სინათლეს, მრავალ დიდმნიშვნელოვან თავისებურ ფერსა და ნიუანსს, ჭეშმარიტად უდიდეს შემოქმედებით ინდივიდუალობას. ერთი სიტყვით, მაშინ მეტად ღარიბი იქნებოდა თვით ეპოქაც და მისი მხატვრული კულტურაც. როგორც ვთქვით, ღიმილის მომგვრელია მტკიცება, თითქოს, ა. პუშკინი რომ არ ყოფილიყო, „ევგენი ონეგინი" მაინც შეიქმნებოდა. ასევე, რაფაელს რომ ანალოგიური ბედი ხვდომოდა წილად, ლეონარდოს, მიქელანჯელოსა და ტიციანის ბრწყინვალება ვერ იხსნიდა რენესანსს არსებითი ვალარიბებისაგან. და ეს იმიტომ, რომ ხელოვნების ისტორიისათვის უცხოა ე. წ. „განსაზღვრული ისტორიული ადგილებით" რეგლამენტირება. აქ ამ მხრივაც უსაზღვრო მრავალფეროვნების კანონი მოქმედებს: ყოველი მხატვრული ეპოქა და მიმდინარეობა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მეტი დიდი გამომხატველი ჰყავს მას. ხოლო თვით ეს გამომხატველნი ურთიერთს არ უღლობავენ გზას. აქ ყველას, ყოველ ტალანტს აქვს თავის ადგილი და არსებობის უფლება. ამასთან, ყოველი დიდი შემოქმედი ან დიდი მხატვრული ეპოქა, გარკვეული აზრით, ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ისტორიული საფუძველია მომდევნო ეპოქის ხელოვნებისათვის. ბერძნული კლასიკა რომ არ არსებულიყო, რენესანსიც არ იარსებებდა იმ სახით, როგორითაც ჩვენ მას ვიცნობთ. და არა მარტო რენესანსი, არამედ ხელოვნების მთელი ისტორიაც სხვა ხასიათის იქნებოდა. უდავოდ ეს კანონზომიერება

იგულისხმება ანტიკური სამყაროს ისტორიული მნიშვნელობის ცნობილ ენგელსისეულ დახასიათებაში. თავისთავად ცხადია, იგივე ითქმის რენესანსის ისტორიული მნიშვნელობის შესახებაც.

გ. პლეხანოვმა სავსებით სწორად აღნიშნა: „რაფაელი, მიქელანჯელო და ლეონარდო და ვინჩი რომ ბავშვობიდანვე გარდაცვლილიყვნენ რაიმე მექანიკური თუ ფიზიოლოგიური მიზეზის გამო, რომელიც დაკავშირებული არ იყო იტალიის სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი განვითარების საზოგადო მსვლელობასთან, — იტალიური ხელოვნება არ იქნებოდა ისეთი სრულყოფილი, მაგრამ განვითარების საერთო მიმართულება აღორძინების ეპოქაში მაინც ისეთივე დარჩებოდა". ხარვეზები კი, რომლებიც მათი ნაადრევი დაღუპვით შეიქმნებოდა, „ძლიერ გავლენას მოახდენდა მისი (იგულისხმება, იტალიური ხელოვნების) შერმინდელი ისტორიის მეორეხარისხოვან განსაკუთრებულობაზე",[12] ოღონდ, ჩვენი აზრით, აქ უკანასკნელი ფრაზა არ არის მთლად ზუსტი, რადგან რენესანსის ამ უდიდეს ადამიანთა ნაადრევი დაღუპვა გავლენას მოახდენდა არა მარტო იტალიური ხელოვნების შემდგომ ბედზე, არამედ მთელი მსოფლიოს ხელოვნების შემდგომ განვითარებაზეც. ამავე დროს, სიტყვა „მეორეხარისხოვანი" უდაოდ ზღუდავს ამ მოსალოდნელი გავლენის ნამდვილ ხასიათსა და მნიშვნელობას, — უფრო ხშირად არსებით გავლენასაც ახდენს ეს ფაქტორი.

დაგვრჩა ხელოვნებისა და ეპოქის ურთიერთდამოკიდებულების კიდევ ერთი არსებითი მხარე — თვით ხელოვნების როლი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში.

ხელოვნება, ი. ჭავჭავაძის სიტყვებით რომ გადმოვცეთ, „იბადება და წინ მიდის ცხოვრებისაგან, მაგრამ შემდეგ გავლენას ახდენს" თავის ამ დიდ საფუძველზე და თავის მხრივ „წინ მიჰყავს ცხოვრება", ამდიდრებს და ამაღლებს მას. მაშასადამე, ხელოვნება ეპოქის არა მარტო შედეგია, არამედ ამ ობიექტური საფუძვლის წინსვლის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სპეციფიკური ფაქტორი და არსებითი შემადგენელი ნაწილიც. ამასთან, რაც უფრო დიდია ხელოვანი, არა მარტო მით უფრო მეტად ეკუთვნის იგი თავის ეპოქასა და უფრო ღრმად გამოხატავს მას, არამედ, ამავე დროს, უფრო მეტად ეურჩება კიდეც ეპოქისავე უკვე დამკვიდრებულ ტენდენციებს და მათზე მაღლა დგება.

აქ არ შევეხებით ხელოვანისა და ეპოქის ურთიერთობის სხვა მომენტებს, რადგან ისინი, გარდა იმისა, რომ არაარსებითი ხასიათისაა (რის გამო მათი გაშუქება ხელოვნების ისტორიის სუბიექტური ფაქტორის მხოლოდ სპეციალური ანალიზის შემთხვევაში არის აუცილებელი), ჩვენს პრობლემასაც არ უკავშირდება უშუალოდ. რაც შეეხება ამ ურთიერთობის უკვე აღნიშნულ კანონზომიერებას, იგი, — უპირველეს ყოვლისა, გვევლინება როგორც აუცილებლობისა და თავისუფლების მთლიანობა ხელოვნების ისტორიაში. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ აუცილებლობის ან თავისუფლების უარყოფის, ე. ი. მათი ურთიერთთან დაპირისპირების ყოველგვარი ცდა ხელოვნებაში ისევე მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს, როგორც ობიექტურისა და სუბიექტურის ურთიერთმიმართულების ანალოგიური ცალმხრივი გაშუქება.

თავისუფლება მხატვრულ შემოქმედებაში აუცილებლობის თავისებური გამოხატულებაა, შეიძლება ასეც ითქვას, აუცილებლობის ინდივიდუალური მხატვრული წარმოსახვაა. ამის გამო აუცილებლობა ყოველთვის ორგანულად არის დაკავშირებული თავისუფლებასთან. ერთი სიტყვით, აუცილებლობა და თავისუფლება ერთი მთლიანი პროცესის სხვადასხვა მხარეა, ურთიერთის არსებობის აუცილებელი პირობაა. ისინი მხატვრულ ქმნილებაში შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ურთიერთისაგან დამოუკიდებლად. ამ მთლიანობის საფუძველი კი მხატვრული შემოქმედების პროცესის ჩვენთვის უკვე ცნობილი თავისებურებაა.

ვ. ი. ლენინმა სწორედ ეს თავისებურება და მისი შედეგი — აუცილებლობისა და თავისუფლების დიალექტიკური მთლიანობა აქვს ხაზგასმული თავის წერილში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა". ვგულისხმობთ ვ. ი. ლენინის საგანგებო მითითებას იმ მნიშვნელობის შესახებ, რომელიც მხატვრულ შემოქმედებაში აქვს ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, ფანტაზიას, საერთოდ, ფორმის და შინაარსის ინდივიდუალურ წარმოსახვას. კერძოდ, ვ. ი. ლენინი, ერთი მხრივ, ააშკარავებს ხელოვნების აბსოლუტური თავისუფლების თეორიის ანტიმეცნიერულობას (მას „მხოლოდ ფარისევლობას", „ბურჟუაზიულ თუ ანარქისტულ ფრაზას" უწოდებს); იგი ბურჟუაზიული ხელოვნების კლასობრივი შეზღუდვის ცხადყოფის საფუძველზე დაასკვნის: „არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრებამდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო". მეორე მხრივ, იქვე, „ნამდვილად თავისუფალი, პროლეტარიატთან აშკარად დაკავშირებული" ლიტერატურის პრინციპის (ე. ი. პარტიულობის პრინციპის) წამოყენებისას, საგანგებოდ განმარტავს: „უდავოა, ლიტერატურის საქმე ყველაზე ნაკლებ ემორჩილება მექანიკურ შეთანხმებას, ნიველირებას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას. უდავოა, ამ საქმეში უეჭველად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებას, გასაქანი მიეცეს აზრს და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს". სწორედ ეს დებულება ცხადყოფს იმ თავისებურებას,

რომლითაც აუცილებლობისა და თავისუფლების მთლიანობა ხასიათდება ხელოვნებაში.

ცნობილია, რომ მარქსისტული თვალსაზრისით, თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა. ცხადია, აქ იგულისხმება აუცილებლობის შეცნობა მოქმედებაში ე. ი. შეცნობილი აუცილებლობის შესაბამისად მოღვაწეობა და სინამდვილეზე ზემოქმედება.

მაგრამ ეს შეეხება თავისუფლებას საერთოდ. ხელოვნებაში კი სხვა გარემოებასთან, თავისუფლების სხვა საფუძველთან გვაქვს საქმე. ამიტომ იყო, რომ ვ. ი. ლენინს ზემოთ დასახელებულ წერილში აუცილებლობის შეცნობა და მისი აშკარად გამოხატვა, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურის თავისუფლების სრულყოფილი გამოსახულების, ე. ი. ლიტერატურის ნამდვილი თავისუფლების, კერძოდ, მუშათა კლასის ლიტერატურის პარტიულობის უარსებითეს ნიშანდობლივ თვისებად მიაჩნია და არა ლიტერატურის ზოგად კანონად. ამას ნათლად ავლენს შემდეგი სტრიქონები: „და ჩვენ, სოციალისტები, ვამხელთ ამ ფარისევლობას, ვგლეჯთ აბრებს, არა იმიტომ, რომ ხელში შეგვრჩეს არაკლასობრივი ლიტერატურა და ხელოვნება (ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ სოციალისტურ უკლასო საზოგადოებაში), არამედ იმიტომ, რომ ფარისევლურად თავისუფალ, ნამდვილად კი ბურჟუაზიასთან დაკავშირებულ ლიტერატურას დავუპირისპიროთ ნამდვილად თავისუფალი, პროლეტარიატთან აშკარად დაკავშირებული ლიტერატურა“.

ეს სავსებით გასაგებიცაა, რადგან ხელოვნების ისტორია იცნობს არამარტო ბურჟუაზიულ ფარისევლობას, არამედ არა ერთ ისეთ ხელოვანსაც, რომელიც როგორც მისთვის დამახასიათებელ ეპოქისეულ-კლასობრივ პოზიციას, ისე ხელოვნების მოცემული დარგის ობიექტური კანონზომიერების ზოგ არსებით მხარეს, ზოგჯერ თვით „სილამაზის კანონებსაც“ გამოხატავს შეუცნობლად. მაშასადამე, აუცილებლობის შეცნობა არ არის შემოქმედებითი თავისუფლების ზოგადი ნიშანი.

განა არ არის ცნობილი, ისეთი მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, საერთოდ, ხელოვნების ყოველი დარგის ოსტატები, რომლებსაც გულწრფელად სჯერათ, რომ ისინი წმინდა ხელოვნებას ემსახურებიან და სავსებით დამოუკიდებელი არიან საზოგადოებისაგან? განა ესა თუ ის კლასობრივი პოზიცია, რომელიც ობიექტურად არის გამოხატული მხატვრულ ნაწარმოებებში, სუბიექტური ყოველთვის ზუსტად აქვთ გააზრებული ამ ნაწარმოებთა ავტორებს? ასევე, რამდენ ნამდვილ შემოქმედს არასწორი ან, საერთოდ, არავითარი თეორიული წარმოდგენა არა აქვს ხელოვნების ობიექტური სპეციფიკური კანონზომიერების შესახებ და, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ქმნის ხელოვნების ნამდვილ ნიმუშებს, სხვა ხელოვანთა ნაწარმოებების ანალოგიურად. ისიც ხომ ცნობილია, რომ თვით ისეთი ჯადოქარი მხატვრებიც კი, როგორიც იყვნენ ჰ. ბალზაკი და ლ. ტოლსტოი, თავიანთ ძირითად თეორიულ, ესთეტიკურ და პოლიტიკურ შეხედულებებში სწორად ვერ აშუქებდნენ ვერც ხელოვნების სპეციფიკურ არსს და ვერც თავიანთი ეპოქის საზოგადოებრივ მოვლენებს. და მაინც ისინი იმავე კანონზომიერების ბრწყინვალე გამოხატვით და იმავე საზოგადოებრივი მოვლენების უაღრესად მართალი, სწორი მხატვრული წარმოსახვით ხასიათდებიან თავიანთ შედევრებში.

მაშასადამე, აუცილებლობის შეცნობა არ არის შემოქმედებითი თავისუფლების არსებითი ნიშანი. ასეთ ნიშნად, როგორც ცნობილია, მიიჩნევა მხოლოდ ის, რაც სისტემის სახით არის მოცემული, რასაც საყოველთაო ხასიათი აქვს და არა ის, რაც ზოგჯერ ვლინდება. ამიტომ თავისუფლების უპირველესი საფუძველი ხელოვნებაში არის ის, რომ აქ აუცილებლობის მხატვრული წარმოსახვა შეუზღუდავია, ხელოვანის ტალანტის, ფანტაზიის, მთელი ინდივიდუალური სამყაროს თავისუფალი მოქმედების ასპარეზსა და საკუთრებას შეადგენს. ამრიგად, თავისუფლება ხელოვნებაში გვევლინება, როგორც აუცილებლობის მხატვრული გარდასახვის შეუზღუდაობა, სუბიექტური თავისუფლება, ე. ი. აუცილებლობის თავისებური მხატვრული განსახიერების უსაზღვრო შესაძლებლობა. ეს, როგორც ვხედავთ, შემოქმედებითი ინდივიდუალობის სფეროა, ხოლო ამიტომ ეს უკანასკნელი, ბოლოს და ბოლოს, შემოქმედებითი თავისუფლების სპეციფიკას წარმოადგენს. ზედმეტი არ იქნება, თუ აქვე სქემატურად მაინც გავითვალისწინებთ შემოქმედებითი ინდივიდუალობის მიმართებას. ხელოვნების ისტორიული პროცესის ერთ-ერთი ძირითადი კანონის — სიახლის, მხატვრული აღმოჩენის, ნოვატორობის კანონის — მიმართ. როგორც ცნობილია, ხელოვნება არ შეიძლება არსებობდეს სიახლეთა განუწყვეტელი ძიებისა და დამკვიდრების გარეშე. მისი პროცესი — ეს მხატვრულ-ასახვით თავისებურებათა, მხატვრულ აღმოჩენათა უწყვეტი მონაცვლეობაა, უსასრულო მრავალფეროვნებაა. ის, რაც მიბაძვის შედეგია, უკვე შექმნილის გამეორების ცდას წარმოადგენს, შეუძლებელია ნამდვილ ხელოვნებად მივიჩნიოთ. თვით სიახლე კი სხვადასხვა ფორმის ვლინდება. ძირითადად მის ყველაზე გავრცელებულ სახეობას შემოქმედებითი ინდივიდუალობა წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ყოველი ჭეშმარიტი ქმნილების აუცილებელი ნიშანია,

ნამდვილი ხელოვნების საყოველთაო აუცილებელი თვისებაა.

რა თქმა უნდა, ხელოვნებაში სიახლე ასაკით არ იზომება. ახალი არის ის, რაც თავისი არსით არის ახალი, ე. ი. წარმოადგენს ისეთ არსებით ნიშანთა ერთობლიობას, რომლებიც ამდიდრებს მხატვრული წარმოსახვისა და ოსტატობის სფეროს, ეპოქის პროგრესული ესთეტიკური იდეალების, შემოქმედებითი პრინციპების გამოხატულებაა და შესატყვისი შინაარსობრივი განსაკუთრებულობით ხასიათდება.

როგორც ამ ნაშრომში ისე აქვე მითითებულ შრომებში მოცემული ანალიზი სავსებით ნათელს ხდის ხელოვნების ისტორიის კანონზომიერების არსებით ნიშნებს, რომელთა უძირითადესი მხარე შემდეგი საერთო დასკვნებით შეიძლება დავახასიათოთ:

**1. ხელოვნების ისტორია გვევლინება როგორც ხელოვნების ობიექტური კანონზომიერების საზოგადოებრივ-ეროვნული (ეპოქისეული) და სუბიექტურ-ინდივიდუალური (ხელოვანისეული) სახემოსილებით გამოვლენის უაღრესად ცვალებადი და მრავალფეროვანი პროცესი. პირველი (ობიექტური კანონზომიერება) არის ხელოვნების ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი, უცვლელი მხარე, მაშასადამე, უზოგადესი, ყველა ერისა და ეპოქის მხატვრული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ტიპოლოგიური ნიშნების, კანონების სისტემა. იგი წარმოადგენს მხატვრული შემოქმედების არსებობის აუცილებელ პირობას, მხატვრული ეპოქების, მიმდინარეობისა და მხატვრული ქმნილებების შინაგან კავშირს, მათი ერთგვარობისა და სპეციფიკური საზღვრების საფუძველს. მეორე (კანონზომიერების გამოვლენის ეპოქისეულ — ხელოვანისეული სახემოსილება) კი. ხელოვნების მარადჟამს ცვალებადი, უაღრესად მრავალფეროვანი და შინაგან განსხვავებათა მომცველი მხარეა.**

**2. ხელოვნების ამ ცვალებადობის, საერთოდ, ისტორიის ობიექტური კანონზომიერება ღრმად სპეციფიკურია, არსებითად განსხვავდება როგორც საზოგადოების, ისე, კერძოდ, საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა დარგის ისტორიათა კანონზომიერებისაგან. მისი თავისებურება ისეთივე არსებითია, როგორიცაა ხელოვნების ასახვით-ესთეტიკური კანონზომიერების თავისებურება.**

**ხელოვნების სპეციფიკური არსი ორივე ამ სპეციფიკური კანონზომიერების ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს.**

**3. ხელოვნების ისტორიული პროცესის კანონზომიერების თავისებურება, უწინარეს ყოვლისა, იხატება ამ პროცესის მიმართებაში მოსივე განმსაზღვრელ ფაქტორებთან. ამის გამოა, რომ ეს პროცესი, თავისი მასშტაბებისა და ხაძლიერის მხრივ, არ შეესაბამება „საზოგადოების საერთო განვითარების, მაშასადამე, არც ამ საზოგადოების მატერიალური საფუძვლის განვითარების“ აღმავალ პროცესს.**

**4. ხელოვნების ისტორიის კანონზომიერება ყველა ერისა და ეპოქის ხელოვნებისათვის, ყოველი ხელოვანის შემოქმედებისა და ყოველი მხატვრული ქმნილებისათვის ნიშანდობლივი უზოგადესი ისტორიული არსის აბსტრაგირებაა. ამრიგად, არსებობს ხელოვნების ყველა დარგის განვითარების პროცესის, ყველა მხატვრული ეპოქისა და მიმდინარეობის, ყოველი ხელოვანის შემოქმედების და ყოველი ცალკე ნაწარმოების საერთო განსაზღვრანი, „რომელთაც აზროვნება ფიქსაციას უკეთებს საყოველთაო განსაზღვრათა სახით“, უზოგადესი კანონების სახით. მაშასადამე ეს კანონები, განსაზღვრებები იმ საერთოს აბსტრაქციაა, რომელიც, მხატვრული შემოქმედების ასახვით-ესთეტიკურ სპეციფიკურ კანონზომიერებასთან ერთად, გვევლინება როგორც ხელოვნების არსებობის საყოველთაო პირობა, აუცილებელი საფუძველი.**

**5. ხელოვნების განვითარების კანონზომიერება, თავისი არსებითი სპეციფიკური ბუნების მიუხედავად, კაცობრიობის ერთი (საერთო) ისტორიის უზოგადესი კანონზომიერებიდან გამომდინარეობს, მისი თავისებური გამოხატულება და შინაგანი სახესხვაობაა.**

## შენიშვნები

1 ფრიჩე, ხელოვნების სოციოლოგია. 1931 წ. გვ. 5.

2 Г. Плеханов, Искусство и литература, стр. 207—208.

3 იქვე, გვ. 212.

4 ხელოვნების სოციოლოგია, გვ. 31.

5 იქვე, გვ. 52.

6 იქვე, გვ. 45.

7 იქვე, გვ. 11

8 გ. პლეხანოვი, მარქსიზმის ძირითადი საკითხები, გვ. 88-89.

9 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგია, გვ. 360 (რუს. ენაზე).

10 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. III, გვ. 45.

11 იქვე, გვ. 464-465.

12 გ. პლეხანოვი, მარქსიზმის ძირითადი საკითხები, 1931, გვ. 184.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნათელა ონაშვილი

# მორის ფოცხიშვილის ახალი წიგნი

„სუბუქფრთიანი“ ლექსით მოევლინა მორის ფოცხიშვილი პოეტურ სამყაროს, უჩრდილო სილაღე და სიმღერის განწყობილება მოიტანა თან, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით იყო ასე. სინამდვილეში მის პოეტურ ნართაულებში იდუმალად იყო შეუუუული გუთნისდედის ღიღინივით ნაღვლიანი, ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებული და რაღაცნაირი ღიმილიანი სევდით მინავლული და დაფიფქული ფილოსოფია ყოფიერებისა. ამ გადამდები, შთამბეჭდავი სევდის მიზეზად უმეტესად გვევლინება კაცის სურვილითა საწყაულის აღუვსებლობა, მიზანი და მისი მიღწევის სიძნელე, ძველი თბილისის კოლორიტულ ბინადართა გადაშენებაზე წუხილი, სიკვდილის გარდუვალობა. ეს საგულისხმო და დამაფიქრებელი თემებ· მუდამ ისეთ ლაღ და მიმზიდველ ფორმაში გვევლინებოდა და სულში სიმძიმედ კი არა, რაღაცნაირ ტკბილ ტკივილად იბუდებდა და კიდევ უფრო გვაყვარებდა ამ ცრუ და გაუტანელი წუთისოფლის ავ-კარგს, გვაყვარებდა, რადგან ამ ლექსებისაგან განუყრელი იყო ყოველგვარ ტკივილზე მაღლა დადგომის ვაჟკაცობა, მზე და სინათლე, სოფლისათვის ზრუნვის მძიმე, მაგრამ საამო ტვირთი.

ეს განწყობილებები კიდევ უფრო გამძაფრებულადაა წარმოდგენილი მორის ფოცხიშვილის ახალ წიგნში, რომელსაც ჰქვია „სარკე სარკეში“. პოეტი თავად გვაძლევს გასაღებს ამ წიგნის საიდუმლო სამყაროში შესასვლელად:

რომ ვთქვა, —
სიმღერით გავისტუმრე
საწუთროს ვალი,
არ დამიჯერო...

მართლაც, არ არის მორის ფოცხიშვილის პოეზია მარტოოდენ სიმღერა. რამდენი საფიქრალი და საზრუნავი გაჩენოდა პოეტს, როგორ გაღრმავებულა წინა წიგნების თემები, პრობლემები და ტენდენციები, როგორ შეცვლილა ფორმაც, რა განსხვავებულ სამოსელში მოგვევლენია მისი გულჩათხრობილი მუზა. წინათ ქართული კლასიკური თუ ხალხური ლექსის ჩარჩოებს რომ იგუებდა უმეტესად, ახლა ძნელია ზუსტად განსაზღვრა, — რა ჰქვია მას: მოდური ვერლიბრი, თუ გამოხატვის უამრავი შესაძლებლობებ'ით უხვად დაჯილდოებული ტანკა ან ხოკუუ. არც ერთი და არც მეორე. ეს სულ სხვა რამ არის, ყოვლად ახალი, თავისებური და ორიგინალური, არა სხვისგან გადმოღებული და ნასწავლი, არამედ საკუთარ სულში დაბადებული, ის, რასაც სული თავად გამოიმუშავებს ხოლმე საკუთარი ბუნების გარეთ გამოსატანად. აქ ცნობიერების ნაკადი ჭარბობს და ჰგავს საუბარს საკუთარ თავთან. ეს არც მარტო პოეზიაა. ეს ბუნებაა ცოცხალი და მოქმედი, სადაც ცხოველი სუნთქვა აწესრიგებს რიტმს და განაგებს ტემპს. აქ საჭირო აღარ არის ლექსის რომელიმე დაკანონებული ფორმა, რადგან საოცრად პოეტურია სამყაროს ხილვის ავტორისეული კუთხეც და მისგან აღძრული შთაბეჭდილებაც.

ეს არის ფრაგმენტული თანმიმდევრობა ასოციაციათა უწყვეტი ნაკადისა, თითქო ერთიანი სამყარო იმსხვრევა ცალკეულ ტკივილებად, უხილავ მჩხვლეტავ კრისტალებად იფანტება ადამიანის არსებაში. შლის და აქუცმაცებს მას, მერე კი ისევ ერთდება ვეება კოსმიურ წუხილად და მაჯლაჯუნასავით აწვება დედამიწაზე მიმდინარე გრანდიოზული სოციალური თუ ფიზიკური პროცესებით ისედაც აღგზნებულ და აფორიაქებულ სულს. ამის ლექსად თქმას კი უფრო ეგუება არა საუკუნეებით დამკვიდრებული ხერხები და საშუალებები, არამედ ემოციურ რეაქციათა ახალი შესატყვისის ძებნა, ლირიკული გმირის ხილვათა ნამდვილობა, გუ-

ლახდილი დიალოგი საკუთარ თავთან, მიუდგომელი განსჯა და მსჯავრი ყველაფერის მიმართ.

მორის ფოცხიშვილის ახალ წიგნში ძირითადად ამ გზით იქმნება თავისებურად ორგანიზებული მხატვრული სივრცე, სადაც რამდენიმე პრობლემა იჭრება წინა პლანზე; ესენია: ადამიანი და სამყარო, აღსასრული, როგორც აუცილებლობა, სამშობლო, მამულიშვილური ვალი, სიკეთე და მისი თანამდევარი ბოროტება და ა. შ. მთელი ეს ფილოსოფია ერთი თემის არეალში თავსდება და ეს არის სიცოცხლე თავისი შუქითა და ჩრდილით. თემა, როგორც ვხედავთ, ტრადიციულია, მისი ხატოვან ენაზე ამეტყველების გზა კი ქართული მწერლობისათვის სავსებით ახლებური და უჩვეულო. სტრიქონთა თავისებურ გრაფიკულ მოხაზულობას შთაბეჭდილების ძალას აძლევს ასოთა ვერტიკალები, რომლებზედაც მოდის ძირითადი აზრობრივი დატვირთვა. იწყება თხრობა და ზემოდან ქვემოთ ცრემლებივით მოყონავს ან ხმელი ფოთლებივით ცვივა ასოები, თითქო ზეცაში ბედის კალო ილეწება და ლექსის ღმერთი თითებშუა ხორბალივით მარცვლავს სიტყვებს. ეს უჩვეულო ფორმა არ გამორიცხავს მკითხველთა ერთი ნაწილის ნეგატიურ დამოკიდებულებასაც, მაგრამ ეს ხომ ყოველგვარი სიახლის აუცილებელი ხვედრია!

ამ წიგნის ესთეტიზირებული სამყაროს აზრობრივ-საგნობრივი პლანი ვრცელი, მდიდარი და საინტერესოა. პოეტი თავისებურად ვარდასახავს მსოფლიო ისტორიის ორბიტაში მოქცეულ დროისმიერ მოვლენებს და მათ ნათელსაყოფად შესაფერ საგნობრივ ფაქტურასაც იშველიებს...

აღმოჩენის, ახლის ძიების სულისკვეთება აძლევდა შინაარსს ყოველ ეპოქას, ყოველ მონაკვეთს კაცობრიობის განვითარებისას, ხოლო ამ ძიებას, ამ მისწრაფებას, ისე, როგორც ნათელს — ჩრდილს, კეთილს — ბოროტი, სიცოცხლეს — სიკვდილი, მუდამ თან სდევდა მოსპობისა და განადგურების განუსჯელი ჟინი. აღმოჩენის ამ ძლიერმა სტიქიამ მაინც გალია დროის უკიდეგანო მანძილი, გადმოლახა ისტორიის გრძელი სავალი და მოაღწია ჩვენს ბობოქარ საუკუნემდე, სადაც ტექნიკის ტრიუმფს ისე ულმობლად წაუშლია სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი, რომ ახლა „მთავარი მაინც ისაა ალბათ, კვლავ რომ არ ჩაქრეს მოკვდავთა შორის ცეცხლის ანთების დიადი ნიჭი".

ეს ვანწყობილება ეპოქის კუთვნილებაა, სწორედ ეპოქის შინაგანმა დუღილმა მოიგდო იგი ზედაპირზე. პოეტს ღიდად ეხერხება ღეტალების იღუმალი მნიშვნელობის წვდომა და ამით ფართო აზრობრივი სივრცის წარმოდგენა.

ცხოვრების სარბიელზე, რომელიც ბრძოლის ასპარეზს ჰგავს, ჭადრაკის ფიგურებივით ადგილდებიან ადამიანები. ბევრი მათგანი კარგავს ურინარობის ბედნიერებას და მწვერვალისაკენ მიილტვის ნებით თუ უნებლიედ, აღზევება, ყველასათვის დასანახ სიმაღლეზე დგომა კი საფრთხეს უქმნის მას, მტერს და მოშურნეს უმრავლებს:

დედოფლად გასულ პაიკს
ერჩივნა
ისევ პაიკად დარჩენილიყო,
რადგან
დაფაზე დარჩენის შანსი
პაიკს უფრო აქვს,
ვიდრე დედოფალს.

მაგრამ ყველა როდია დაჯილდოებული აპათიური კეთილგონიერებით, რომლის შედეგი მშვიდად აწყობილი ცხოვრებაა, ბევრს როდი ესმის ის ელემენტარული სიბრძნე, რომ ყოველ არსს, საგანსა თუ მოვლენას თავისი ადგილი და დანიშნულება აქვს ცხოვრებაში. მთის მდინარის სტიქია მისი მუდმივი დაუოკებელი მოძრაობაა, როგორც დიდი ილია ამბობდა, ის ხომ „სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლებული და ღირსსაცნობი სახე". და რამდენ ძნელად სანილველია ქინვალთან შეგუებული, დამდორებული, დადუმებული, ბეტონის არტახებში ჩაკეტილი და დამორჩილებული არაგვი. როგორ უძლებს, რატომ ითმენს, რა აიძულებს დანებებას და გუბედ ქცევას? მაგრამ ამასაც ჰქონია თავისი კეთილშობილი ლოგიკა, რომელიც დიდი საქმისათვის საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანას გულისხმობს:

თავშეკავებას, მოთმინებას,
თუნდაც მორჩილებას
აქვს გამართლება, თუ ყველაფერს
აქცევ სინათლედ!

ულმობლად მიდიან წლები და თან მიაქვთ სიჭაბუკის უზრუნველობა. სადღაც, საუკუნის შუა გზაზე, ერთმანეთის პირისპირ დგება „შორსმჭვრეტელი სიბერე და სიყრმე ახლომხედველი". სულის ფსკერზე ილექება ნათელი შეგრძნებები, ვარდისფერი წარმოდგენები და ფიქრის ჰორიზონტზე სიცოცხლის დასასრულს შავი აჩრდილი ილანდება. მერე იწყება უთავბოლო ფიქრი იმაზე, რომ სიცოცხლეს მუდამ მგზავრობა ერქვა, ისე მარტივად, ისე უბრალოდ, ისე ბუნებრივად, როგორც ცეცხლს — ცეცხლი ან ნიავს — ნიავი. ჰო, სიცოცხლეს მუდამ აქ მოსვლა და იქ წასვლა ერქვა, და რაოდენ მტკივნეულია შეგნება იმისა, რომ აქ მოსულთა მგზავრობა მარტოოდენ იქ წასვლაა. ცხოვრება მართლაც გრძელი ტრასაა, სადაც თავბრუდამხვევი სიჩქარით მოძრაობენ მგზავრები, მაგრამ ვაი, რომ ცალმხრივია ეს მოძრაობა და იქით წასული არარასოდეს ბრუნდება აქეთ. მოძრაობის ამ გადარეულ რიტმში „უნიშნოდ ახლოვდება ჟამი განსასვენები". ჩვენ ყოველდღიურ წვრილმანებზე ვიხარჯე-

ბით, ხარბად ველტვით ფუქსა და წარმავალ დიდებას, მაშინ, როდესაც საასპარეზოდ გვიხმობს ჟამი დაუნდობელი. ადრე თუ გვიან ყოველ ჩვენთაგანს სიკვდილთან მოუწევს ჭიდილი, ხოლო სიკვდილი ერთადერთი მოკრივეა, ყველა წონაში თანაბრად რომ გამოდის და გამარჯვებასაც ისაკუთრებს... და გულწრფელად უკვირს პოეტს, — სიკვდილ-სიცოცხლის საზარელ ომში ამ ქვეყნად მავან-მავანნი სიძულვილისთვის რომ იცლიან. პოეტს კი სულის სიღრმემდე სტკივა ფრთებშეტრუსული პეპელას ტკივილი და წუხს, რომ არ შეუძლია ნაიარევი შეუხვიოს ამ უნაზეს და უმწეო არსებას. ზღვა სიყვარულს სული პირთამდე აუვსია და იქ სიძულვილისათვის ადგილი აღარ დაუტოვებია. იქნებ მოყვასის სიყვარულის ნიჭიც ისეთივე მძიმე, მაგრამ საამო ტვირთია, როგორიც ნიჭი პოეზიისა, თუ, მით უმეტეს, უსაზღვრო, ერთგული და თავდადებული სიყვარული შეგიძლია, თუ ამ გრძნობით შეგიქმნია მშვენიერების სასუფეველი და შიგ შენი სიყვარულის ობიექტები დაგისახლებია მყარად და მუდმივად. ალბათ, სწორედ ამაში მდგომარეობს ყოფნის ნამდვილი შინაარსი:

ყველაზე დიდი საპყრობილე
ჩემი გულია, —
ვინც ამ პაწია დილეგში მოხვდა,
ის სამუდამოდ იქ უნდა დარჩეს.

მშვენიერების ამ სასუფეველში, პოეტი დღლეგს რომ ეძახის, უხმაუროდ და უპრეტენზიოდ, სიოს ჩუმი და სათუთი ნაბიჯებით შემოდიან სასოებით სავსე თბილი ლანდები — დედა და ფატი ბებია. დედა — სასაფლაოზე მწვანე მოლად გაცოცხლებული, სულში ნუგეშის სვეტად ჩამდგარი, დამწვარ-დაბზარულ გულის სარკეზე ისევ ტკივილით რომ ირეკლავს შვილის ცოდვა-ბრალს და მის გულისთქმას თანაგრძნობით ეპასუხება; ფატი ბებია, ილიაში თერმომეტრივით რომ გაუჩრია ქოლგა და ვეღარც კი გრძნობს, რომ აღარა წვიმს და „მოგონებათა მრუმე ღრუბლებიც დიდიხანია, გადარეკა დროჟამის ქარმა“.

ყოველი შემოქმედება ავტორის სულის გარეთ გატანაა, მისი პიროვნების ასლი, მისი არსების განუყოფელი ნაწილია, ამიტომ საინტერესოა ის ფაქტი, თუ რამდენად გამჟღავნებული საკუთარი ორეულის წინაშე წარსდგა ავტორი და რამდენად გვიჩვენა თავისი ადამიანურ-მოქალაქეობრივი მოვალეობანი. მორის ფოცხიშვილი ერთი იმ პოეტთაგანია, ვინც გულგრილად ვერ უყურებს თავის პიროვნებას, თვალს არ არიდებს დროის აქტუალურ მოვლენებს, შეუთვით შეჰყურებს ცხოვრებას და მუდამ აფორიაქებს ფიქრი იმაზე, რისი მოსწრება შეუძლია წუთისოფლის იმ მცირე მონაკვეთში, კაცის სიცოცხლე რომ ჰქვია, სწორედაც, მოსწრება, რადგან „მერე ყველაფერი ნელდება, მერე ყველაფერი ძნელდება“.

მშვიდი მდუმარებით იმზირებიან მწუხარე სასაფლაონი, სადაც დაღლილი საუკუნეები ისვენებენ, იმზირებიან ცისფერი და მწვანე ეპიტაფიების ჩამქრალი თვალებით და აქ დარჩენილთ უხსნიან სიცოცხლის ნამდვილ შინაარსს, შთამბეჭდავად შთააგონებენ, რომ ყოველგვარი საშიში და სახიფათო აქ, დედამიწაზე ხდება, თორემ იქ საშიში აღარაფერია, რომ ვიდრე გაცლის წუთისოფელი, გამუდმებით იფიქრე, იქროლე, იმღერე, დაიწვი, იცოდე, ელოდე... რწმენად, აზრად და ნათელ მიზნად აბრიალე შენი სულის ლამპარი, რომ როცა ამ სულს იქამდე მიიტან, განგებამ მზის სხივად გადასცეს მერმისს სინათლე შენი. ამაშია ადამიანის ძალა და დანიშნულება, ამიტომაც პოლიგლოტმა, ყველა ენაზე მოსაუბრე სიკვდილმა ჯაინც ვერაფერი გაუგო სიცოცხლეს, ჰო, ვერ გაუგო, რადგან სიცოცხლე — სიყვარულის ჯადოსნური, უჩინარი ბილიკებით დადის, ხოლო სიყვარულის საფუძველი იგება ნდობის, ერთგულებისა და რწმენის ტოლფარდი გზების შეერთებით:

ნიუტონს, ნილს ბორს, ალბათ თვითონ
აინშტაინსაც
არ ღირსებიათ აღმოჩენის ის სიხარული,
ამ პატარა ბიჭს
ამ პირველი აღმოჩენით
რომ ეუფლება.

სული ვერ უძლებს მარტოობის სიცარიელეს, დადის და თავის ნახევარს ეძებს, რომ ნეტარებით ეზიაროს შევსებისა და ვისმე თბილ, სანდო ხელზე დაყრდნობის ბედნიერებას. მერცხალი ზეცას ეტანება, ზღვა — ნაპირს, გრიგალი — ტყეს.

მინიშნებები, ქვეტექსტები, სტრიქონებსა და სიტყვებს შუა უჩინრად შენახული სათქმელი, რომელიც მკითხველმა თავად უნდა იპოვოს ისე, როგორც ქვიშაში მიმობნეული ოქროს მტვერი. თურმე ჰყვარებია, ო, როგორ ჰყვარებია, მისით ყოფილა სავსე ყოფნის ყოველი წუთი. აზრიც მისითვე მისცემია თურმე ცხოვრებას. ლექსში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ლექსი იქ იწყება და თავდება, სადაც იწყება და თავდება პოეტის გულმხურვალე ვედრება, რომლითაც იგი ბედნიერების დარჩენილ წუთებს ებღაუჭება გახწირულებით:

ვიცი, რომ წახვალ,
ვიცი, უნდა წახვიდე, მაგრამ
უდროოდ მაინც
ნუ წახვალ, გვედრი!

არა და, მიდის განა მარტო სიყვარული და ახალგაზრდობა? სიცოცხლეც მიდის... დროის უხილავი მდინარება თავის გარდაუვალ კანონებს უმორჩილებს ყველას და ყველაფერს. მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდუმლად მშფოთვარე წიაღში იყონება სიცოცხლე, როგორც წყალი — უდაბნოს ქვიშაში, ვერცხლისწყლის დაქუცმაცებულ წვეთებად იფანტება ჩვენი ცხოვრების დღენი. რჩება მხოლოდ ერთადერთი გაუხუნარი, დაუბინდავი, დაუკარგავი, ჟარადიული, ცოცხალი და შთამბექდავი, მზის შარავანდად რომ ადგას ყოფნის აზრსა და შინაარსს:

ფერფლად ქცეული სულიც, სხეულიც
იბრძვის, ბობოქრობს,
ღაღადებს, მღერის,
როცა ამ ფერფლზე ლოცულობს ერი!

ჰო, მიდის სიცოცხლე და შემპარავად გვიახლოვდება არყოფნის წყვდიადი, ამიტომ აქ მოიხადე ყოფნის ვალი ქვეყნის წინაშე, აქ იტვირთე შენი ტვირთი, აქ მონახე შენი ადგილი, აქვე თქვი შენი სათქმელი სიტყვა, აქ იმღერე და აქ უერთგულე საქართველოს, თორემ იქ... იქ არაფერია! აქ იხშაურე, როგორც გენებოს, თქვი, რომ სიკვდილი არ არსებობს ამ ქვეყანაზე, თორემ სიკვდილი უხმაუროდ აკეთებს თავის ბნელ საქმეებს. ბოლოსდაბოლოს, ყველაფერი წონასწორდება: დაბადება და გარდაცვალება, მტყუანი და მართალი, ბიწიერება და სიწმინდე.

მხოლოდ სამშობლოს ვერ მოენახა,
ვერ მოენახა ტოლფასი სიტყვა,

სამშობლოს, რომელიც იმდენად მშვენიერია, რომ მისი ასლის გადაღებას ვერავინ შეძლებს, სამშობლოს, რომლის

წარსული მოცემულია,
აწმყო მოსაძებნია,
მომავალი მოსაპოვებელია.

პასუხი კი ყოველმა ნამდვილმა მამულიშვილმა საკუთარ გულში უნდა ეძიოს,

თუკი ამ გულში ის სისხლი ჩქეფს,
ბარიკადებზე რომ იღვრება
ბიბლიური დროიდან დღემდე.

კითხვა, — თუ რანი ვიყავით წინათ, ყოველი ადამიანის მოუცილებელი საფიქრალ-საზრუნავია. ის ფაქტიურად გულისხმობს პასუხსაც იმაზე, რას წარმოვადგენთ ახლა და რა შეგვიძლია ხვალისათვის. ქართველი ხალხი ამ კითხვაზე მუდამ თამამად და შეურცხვენლად პასუხობდა. ჩვენ უმდიდრესი სულიერი განძით შემოვალეთ დღევანდელობის კარი და დღესაც, ამ გართულებულ ატმოსფეროში, ისევ მყარად უნდა დავეყრდნოთ ძველ და უმდიდრეს გამოცდილებას უკვდავებისას:

სხვა გზა არ არის,
როგორმე უნდა შევინარჩუნოთ
მიწა ჩვენი და საფლავი ჩვენი,
ენა ჩვენი და აკვანი ჩვენი,
დროშა ჩვენი და ოცნება ჩვენი.

ეს ძნელი და რთული, მაგრამ დიდად საპატიო ვალია. ამ წმინდა ბრძოლაში მონაწილეობის უფლება რომ მოიპოვო, მამულის დარდმა ვეებერთელად უნდა გაქციოს და მიწაზე ნუგეშის ცრემლად დაგღვაროს. ქვეყანამ თავის ზვარაკად ყოფნის ნება რომ დაგრთოს, სამშობლომ თავის ღირსეულ შვილად რომ გაღიაროს, მართლაც სულის სიღრმემდე განიცადე მისი ტკივილი, სასოებით მიაპყარ გულისყური მისი წარსულის ტკივილებს და მომავლის ნათელს, „შენც გაიარე ის ჯოჯოხეთი, რაც ამ პატარა ერს გაუვლია“. ეს კი კერიის ცეცხლად აგანთებს, აგატანინებს ეკლის გვირგვინის სიმძიმეს და მიწიერი ტკივილებისაგან განწმენდილის ღმერთების სავალზე გატარებს ამაყად. შენ გმართებს ცდა და შენ გმართებს ბრძოლა, მოქმედება და თავის განწირვა, თორემ ვინც პირში წყალი დაიგუბა, როცა უვირილი იყო საჭირო და ვინც საკუთარ გვამშივე ჩაძვრა, როცა ვულკანივით ამოფრქვევა იყო საჭირო“, ვინც უპატრონოდ მიატოვა, დაამბლა ატირებული ვაზი, ვინც სიმართლის წილ სიცრუესა და ბოროტებას გააბატონებს, ვინც იტყვის:

მე არ მეხება,
მე არ მესმის,
მე არ მინდოდა,

სწორედ ის არის უპირველესი მტერი ქვეყნისა და ხალხისა:

ხალხო მშრომელო,
მადლის ხიჭით გულში დაჭრილო,
ვინც არ იარა შენთან ერთად,
როცა ერთობა იყო საჭირო,
შენი გლახაკი მტერია, მაგრამ
მაინც ყველაზე საშიში მტერი!

მხოლოდ პირადით შთაგონებული, მარტოოდენ საკუთრით გატაცებული ადამიანის ყოფა თერმოსში შენახულ ყავასავით თბილია, მაგრამ ასეთი კაცის ცხოვრებაც ვაკუუმია, რომელსაც ეგოიზმის ყრუ და უსიცოცხლო კედლები თიშავს ნამდვილი, მჩქეფარე სიცოცხლისაგან. არა დიდების გვირგვინის ძიება და უზრუნველობის რბილ ტალღებზე ნებივრობა, არა დაწყობილი, მოწესრიგებული ცხოვრება, უაზრო ფუფუნება და ვულგარული წარმოდგენებით შებოჭილი სული, არამედ ღრმა შეგნება საქვეყნო ვალისა. გრძნობა მშვენიერებისა და მამულზე ზრუნვით გაფაქიზებული და შთაგონებული ნაღდი ხელოვნება, წრფელად რომ მივა ხალხის გულამდე და თან სიყვარულისა და სიკეთის ნათელს მიიტანს:

ჩვენ პატარა პალიტრა და
ასპარეზი გვჭირდება,
ცარგვალივით ვარსკვლავებს რომ
იტევს.

ასეთია, ჩემის აზრით, ის შთაბეჭდილებები, რომლებსაც მორის ფოცხიშვილის ახალი წიგნი აღძრავს. ამ ლექსების მეტაფორული სიმდიდრე, თავისებური სემანტიკური პლასტი, ქვეტექსტების სიუხვე, ორიგინალური ფორმა იქნება ზოგს უცნაურადაც მოეჩვენოს. მე კი ის საინტერესო ცდად მიმაჩნია. ჭარბი სინათლე ყოველთვის როდია სასურველი და მოსაწონი. ის ზოგჯერ აუბრალოებს კიდეც სათქმელს. აქ კი, ამ წიგნში, წამიერად გაელვებული და პოეტის ხედვის ორბიტაში მოქცეული საგნები და მოვლენები შთამბეჭდავ ასოციაციებს აღძრავს და უხილავი ძაფებით გვაკავშირებს ავტორის განწყობილებებთან, ალბათ, იმიტომაც, რომ ეს განწყობილებები საგნობრივად კი არ კონკრეტდება, უფრო ფართო განფენილობას იღებს და ვრცელ მასშტაბებს გულისხმობს. ეს რომ ასეა, ამაზე ყველაზე ნათლად და პოეტურად ისევ თვითონ მორის ფოცხიშვილის ლექსი პასუხობს:

რა საჭიროა,
რომ დაგინახო,
მე უნდა გიგრძნო,
მეუფეო,
როცა ჩვენთან ხარ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგი დურმიშიძე

# მოგონებების რამდენიმე ფურცელი

## მცნობი

თუშთ არ იციან, ვითარცა,
ვინ არის მონა, ბატონი,
თავად არიან თავისი
მბრძანებელი და პატრონი.

**ხალხური**

1943 წელი იდგა. რადიო და ფოსტა ჯერ კიდევ ხშირად იყვნენ ავის მაუწყებელნი. ყველა ოჯახი გულის უხილავი ძაფებით იყო ფრონტთან დაკავშირებული. ჩემი უმცროსი ძმა კონსტანტინე 1941 წლის 29 ივნისს ფრონტზე გავაცილე. ამ დროს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ვმუშაობდი და პასტერის ქუჩაზე, მეშვიდე ნომერში ვცხოვრობდი. ამ შენობაში მხოლოდ ინსტიტუტის თანამშრომლები ბინადრობდნენ. ბევრი მათგანის ოჯახის წევრი სამამულო ომში მონაწილეობდა. ფოსტალიონის მოსვლის დროს მცხოვრებთა უმრავლესობა შენობის მთავარ კიბესთან იყრიდა ხოლმე თავს, ბინებში ვეღარ ისვენებდნენ. ერთხანს მეც მათთან ერთად ველოდი ბედის განაჩენს, მაგრამ არსაიდან არაფერი არ ჩანდა. გაწვრილდა გული და ადრე თუ ფოსტალიონის გამოჩენისას გარეთ ვიდექი, ახლა, პირიქით, ოთახში შევდიოდი, მეგონა უბედურებისაგან ეს დამიცავდა.

ერთ დღეს ჩემმა კარის მეზობელმა თარხან ჯაყელმა უხმოდ გადმომცა ფრონტიდან მოსული ბანდეროლი. ყველაფერი ნათელი იყო. თარხანი გვერდით მომიჯდა. ამანათის გახსნას არც ერთი არ ვჩქარობდით. მეზობლებში ხმა სწრაფად გავრცელებულიყო და სხვებიც შემოვიდნენ...

— რას იზამ, მარტო შენ ხომ არა ხარო, — მეტი რა გზა მქონდა, კონვერტი უნდა გამეხსნა... წერილმა, რასაც ველოდით, იმაზე არანაკლები უბედურება გვაუწყა. კონვერტში დაღუპული უფროსი ლეიტენანტის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბიოორგანული ქიმიის კათედრის ასისტენტის ფორე ცისკარიშვილის სამხედრო საბუთი და პატარა ბარათი იდო.

„როცა ფრონტზე მაცილებდი, მარწმუნებდი კვლავ შევხვდებითო.

ხომ შეგისრულე! შენი თუში მეცხვარე (მცნობი)".

ფორე 1942 წელს დაღუპულიყო. როსტოვის მეორედ დატოვებისას დაჭრილს ვეღარ გამოეღწია და გერმანელებს ჩავარდნოდა ხელში...

ფორე ცისკარიშვილი ფრონტისაკენ 1941 წლის აგვისტოში გავაცილე. ომში გაწვევას მეც მალე ველოდი და ერთმანეთს იმ იმედით დავშორდით, რომ ბედი სადმე ფრონტზე კვლავ ერთად შეგვყრიდა. როდესაც მატარებელი დაიძრა და მისი ვაგონი საკმაოდ დამცილდა, ფორემ ფანჯრიდან გადმომძახა: „თუ დავიღუპო და ოდესმე გაგახსენდე, ჩემი ცხვრის ფარა არ დაივიწყოო".

მისი მეუღლე და ორი პატარა ვაჟი პასტერის ქუჩაზე ჩემი მეზობლები იყვნენ, ერთ სახლში ვცხოვრობდით. ფორეს ვაჟებს ჩვენმა ქვეყანამ უპატრონა და კარგი ვაჟკაცები დაიზარდნენ; უმაღლესი განათლება მიიღეს, მეცნიერი მუშაკები გახდნენ, დაცოლშვილდნენ .მეუღლე 1960 წელს გარდაიცვალა. ფორეს და ნინოს ახლა ხუთი შვილიშვილი ეზრდებათ...

გავიდა 38 წელი და მე ჩემი მეგობრის თხოვნა აქამდე ვერ შევასრულე; ვერც მას და ვერც მის ცხვრის ფარას ვერცერთი სტრიქონი ვერ მივუძღვენი. იქნებ ახლა მაინც შევასრულო მისი ანდერძი და ამ პატარა მოსაგონარში თქვენ გაგაცნოთ, თუ ვინ იყო ფორე ცისკარიშვილი, ერთი იმ ვაჟკაცთაგანი, ვინაც სიცოცხლე თავის სამშობლოს შესწირა, ვისი იმედებიც სინამდვილემ ბედის ყოველ უღელტეხილზე ულმობლად დაამსხვრია.

---

დასასრული. იხ. „მნათობი", № 2, 4.

ფორე მათეს ძე ცისკარიშვილი 1907 წლის სექტემბერში სოფელ გურგალჭალაში დაიბადა. ამჟამად ეს სოფელი აღარ არსებობს. ამ სოფლიდან და სხვა ახლოს მდებარე პატარა სოფლებიდან ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში თუშები ალვანის მინდორზე გადმოსახლდნენ. შეიქმნა ახალი დიდი სოფელი — ზემო ალვანი. ფორეს მამა მათე ცისკარიშვილი ხელმოკლედ ცხოვრობდა და უფროსი ვაჟი ფორე ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ თელავის სკოლიდან გამოიყვანა. 11 წლის პატარა ბიჭს სოფლის ძროხები ჩააბარეს სამწყემსად. ოთხი წლის შემდეგ კი (1923-1928 წწ.) მოჯამაგირედ დაუყენეს ჯერ ზაქარია ცისკარიშვილს, ხოლო შემდეგ ილიკო იმედაძეს. ამ მძიმე წლებმა ახალგაზრდა მწყემსში წარუშლელი კვალი დატოვა. ფორე თავისი შრომით, ნიჭითა და პატიოსნებით მთელ ალვანში გახდა ცნობილი. იმ დროს ალვანელთა მთელი ცხვარი ძირითადად რამდენიმე კაცს ეკუთვნოდა, სოფლის დანარჩენი მცხოვრებნი კი მოჯამაგირეები იყვნენ.

ფორემ რვა წლის დაუღალავი შრომითა და თავდადებით რამდენიმე ასეული ცხვარი მოაგროვა და უკვე საკუთარი ცხვრის ფარაზე ოცნებობდა, როდესაც ერთი სუსხიანი ზამთრის რამდენიმე კვირამ სიმწრით შეკოწიწებული ფარა თითქმის მთლიანად გაუწყვიტა. 21 წლის ჭაბუკი ულუკმაპუროდ დარჩა, მაგრამ მთელი თავისი შინაგანი სულიერი ცხოვრებით სამუდამოდ დაუკავშირდა თუშური ცხვრის ფარას, მეცხვარეობას; ბოლომდე დარჩა მშობლიური იალაღების თავდავიწყებამდე მოსიყვარულე. იტყოდა ხოლმე, ჩემამდე რომ არავის ენატრა, მე მაინც უეჭველად ვინატრებდიო:

ნეტავი მომკლა ამ მთებზე,
აქავე დამასამარა,
აქვე ამიგონ ანდერძი,
დამტოვა მთების ამარა.

ალვანელმა მეგობრებმა ფორეს ურჩიეს, რომ მეცხვარეობა არ დაეტოვებია და ოჩხარის წესისათვის მიემართა; რომელიმე მეგობარი ან ნათესავი შეძლებულ მეცხვარეებს დაპატიჟებდა; შეკრების მიზანი ყველამ კარგად იცოდა და იქვე პურობისას გამოცხადდებოდა, თუ დაზარალებულ მეცხვარეს ვინ რამდენი ცხვარი შესწირა. ზოგჯერ ოჩხარის დროს ოთხასი-ხუთასი ცხვარი შეგროვდებოდა და მეცხვარე კვლავ ფარის პატრონი ხდებოდა. ფორემ მეგობრებს დახმარებაზე უარი განუცხადა.

— მე ხომ ვიცი, თუ რას ნიშნავს ცხვრის გამრავლება, გაზრდა, მოვლა, პატრონობა, რა სინდისით მივითვისო სხვისი შრომა ამას ვერ გავაკეთებო.

ყოფილმა მწყემსმა 1933 წელს ენისელის მევენახეობა-მეღვინეობის ტექნიკუმი დაამთავრა, როგორც პირველმა მოწაფემ. ამავე ტექნიკუმის ადრინდელმა დირექტორმა, ცნობილმა მევენახემ სიკო ლომჯაცმა ფორე იმავე წელს მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მცენარეთა დაცვის განყოფილებაში ლაბორანტად მოაწყო. მე ამ დროს ამავე ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად ვმუშაობდი. ჩვენ მალე დავმეგობრდით.

ფორე თავისი კუთხის ნამდვილი შვილი იყო: მტკიცე, შეუდრეკელი ნებისყოფის, პირდაპირი, უაღრესად მორიდებული, ბუნებისა და ადამიანის დიდი ტრფიალი. ყველაფერს ადვილად ითვისებდა, დღედაღამ გადაბმულად შეეძლო ეკითხა, ლაბორატორიაში ემუშავა. უყვარდა განვლილი ცხოვრების მოგონება. თუმცა მწყემსობის დროს ბევრი გაჭირვება ჰქონდა გადატანილი.

— თერთმეტი წლის ვიყავი, როდესაც ზემოალვანელები მცნობად მთვლიდნენ, ათას ცხვარში გამოვარჩევდი რომელი ბატკანი რომელი დედისა იყოო, — გვიყვებოდა ხოლმე.

მცნობი რა იყო — მანამდე არც გამეგონა. მცნობი ის მწყემსია, რომელსაც თანდაყოლილი აქვს დიდი ხედვითი მეხსიერება; იგი ერთი შეხედვით ცნობს, თუ რომელი ბატკანი რომელი დედისაა და ათას ბატკანს სწრაფად და შეუცდომლად დედებს შორის ანაწილებს. მცნობს ბატკნებს 4-5 კაცი აწოდებს. როდესაც დედაცხვარს მოშივდება ან რაიმე მიზეზის გამო გაჭირვებულ მდგომარეობაშია, ან ცუდი ამინდია, მაშინ ცხვარი თავის ბატკანს ვერ იცნობს და თუ ამ საქმეში მცნობი არ ჩაერია, ბატკნები დაიხოცებიან. ზოგიერთი დედა-ცხვარი საერთოდ ვერ სცნობს თავის ბატკანს. მცნობის ნიჭით დაჯილდოებული მწყემსები იშვიათია. სადაც მცნობი არ არის, იქ დედასა და შვილს ერთვვარ ნიშანს ადებენ სალებავით და თითოეულ მათგანს მწყემსი დღეში ორჯერ მაინც ეძებს. ამ შემთხვევაში საქმე საკმაოდ გართულებულია. ამიტომ იყო, რომ ყველა ფარის პატრონი მცნობს ეძებდა და მას, ჩვეულებრივ მწყემსთან შედარებით, მეტ გასამრჯელოს აძლევდა.

მცნობის შესახებ საინტერესო შემთხვევა მიამბო ჩვენმა ცნობილმა მეცნიერმა მიხეილ რჩეულიშვილმა.

— ომის დროს ქვემოალვანის კოლმეურნეობიდან ლეკებმა ხუთასი ყოჩი იყიდეს. ყველა სათითაოდ ამოარჩიეს. ამ გარიგებას მეც დავესწარი. ყიდვისთანავე წაყვანა არ შეეძლოთ და ვთხოვეთ დაენიშნათ.

— არ არისო საჭირო, ახლავე ჩვენი მცნობი ნახავსო,—გვიპასუხეს. მათ ჯგუფს ერთი შუახნის კაცი გამოეყო, ფარა დაათვალიერა, ყოჩებს ალბათ სულ 5-10 წუთი დასცქეროდა და გვითხრა — შეგიძლიათ გარეკოთო. ლეკები ორი კვირის შემდეგ ჩამოვიდნენ. მე ვთხოვე კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს, რომ განგებ სამი ყოჩი შეგვეცვალა. გაუგებრობა რომ არ მომხდარიყო, ის გამოცვლილი ყოჩებიც იქვე გვყავ-

და, რომ მათ ჩვენი ხუმრობა ადვილად გაეგოთ. გამოეფინენ თუ არ ცხვრები, მცნობი მიუახლოვდა. ერთხანს გაჩუმდა, როგორც მერე გვითხრა, თურმე მერყეობდა: სამ ყოჩს როგორ გამოცვლიდნენ, ალბათ შემეშალაო, მაგრამ შემდეგ მტკიცე ნაბიჯით შევიდა ფარაში და სხვადასხვა ადგილიდან სამი ყოჩი გამოიყვანა — ესენი ჩვენი არ არისო. სიმართლე გითხრათ, ხომ ამდენი რამ მქონდა მოსმენილი მცნობზე, მაგრამ მაინც გამიკვირდა. სამივე გამოცვლილი ყოჩი რომ იქვე გვყავდა, ლეკებს ძალზე გაეხარდათ, მიხვდნენ რაშიც იყო საქმე და ახლა თავი კიდევ უფრო თავმომწონედ ეჭირათ.

ფორეს მწყემსობის პერიოდის თავგადასავლის მოსმენა ყოველთვის ამაღელვებელი იყო. რა არ შეხვედრია, რა პირობებში არ მოხვედრილა, რა ძალას არ შეჭიდებია: მრავალდღიანი გადაუღებელი წვიმა და თქეში, უკუნი ღამეები და ჭექა-ქუხილით ჩამონგრეული ცა, სეტყვა, მოულოდნელი ყინვა და სულისშემხუთავი ქარბუქი, კვირაობით მაღალსიცხიანი ავადმყოფობა, ყაჩაღების თავდასხმა და ცხვრის მოწყვეტა, თვეობით სულიერი სიმარტოვე, ძაღლის გაბმული ყმუილი, ცხვრის დაავადება, უკულმართი დოლი, ადამიანის ღალატი და ვინ იცის კიდევ რა! ყოველ ცისმარე დღეს ებრძოდა იგი მთელს ბუნებას, მთელს სამყაროს, რომ ბატკანი გაეზარდა, ცხვარი მოემრავლებია.

და მაინც ნამდვილი მწყემსის მთავარ მამოძრავებელ ძალად მგოსნისეული სული და მგოსნის სამყარო მიაჩნდა. ესაა რომ მწყემსებს უძლეველს ხდის, შეუძლებელს შეაძლებინებს, არაადამიანურ ტკივილსა და გაჭირვებას გადაატანინებსო.

— რა დიდებულია იალაღებზე ღრუბლივით შეფენილი ათასობით თეთრი სიცოცხლე! როგორ უცემს ახალდაბადებულ ბატკანს გული! შეციებულ ბატკანს რომ გულში ჩაიკრავ და მოეფერები, როგორი ნაღვლიანი, წმიდა, ანგელოზური თვალებით შემოგყურებს! მწყემსს რკინის მკვნეტელის ჯანი და ბავშვის უფაქიზესი გული უნდა ჰქონდესო. — დაასკვნიდა ხოლმე ფორე. (ჩემო ფორე, ნეტავ შენ გენახა ელგუჯა ამაშუკელის პოეტური ქმნილება: დაჩოქილი ნიკო ფიროსმანი გულში ჩახუტებული ღვთის კრავით!)

ერთ დღეს, როდესაც ჩემთან ლაბორატორიაში ვიყავით, ფოსტალიონმა წერილი შემოიტანა. უმაღლესი სკოლის ამხანაგი ილო მირილაშვილი მწერდა:

— ძმაო სერგო, შენი წინადადება მომეწონა, თანახმა ვარ, სიამოვნებით დავტოვებ ფოთის რაიმიწგანს და სამუშაოდ თელავში გადმოვალ, მხოლოდ უნდა გარკვევით ვიცოდე: რამდენ ხანს ვიქნები რიგითი ჯარისკაცი, როდემდე უნდა ვატარო უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის სამხრეები და საერთოდ რა მელის...

მეგობრის ასეთი პასუხი გამიკვირდა და წერილი ფორესაც წავაკითხე, თანაც ვუთხარი, რომ ილუშა მირილაშვილი ინსტიტუტში შესანიშნავად სწავლობდა, რომ ჩვენ კარგი მეგობრები ვიყავით და ამასწინათ, როდესაც ხელმძღვანელმა ვინმე ნიჭიერი, შრომისმოყვარე ახალგაზრდის მონახვა მთხოვა, მე წერილი მასთან ფოთს ვაფრინე.

ფორემ წერილი რამდენჯერმე ხმამაღლა გადაიკითხა და დადუმდა. პასუხი ვერცერთმა ვერ მოვიფიქრეთ.

მეორე დღეს ლაბორატორიის გამგეს ვარლამ ღვალაძეს მივმართეთ; ილუშა სამსახურში ხომ მაინც მას უნდა მიეღო! ვარლამმა წერილი წაიკითხა, გაიცინა და მტკიცედ დამავალა:

— აცნობე, რომ ლაბორატორიაში გენერლის ადგილი თავისუფალია, თუ მეთაურობა შეუძლია, დაუყოვნებლივ ჩამობრძანდეს; ჩვენ მზად ვართ დავემორჩილოთ, მისი ხმალი და ჩვენი კისერი!

ამ შემთხვევამ ორივენი აგვაფორიაქა, აგვალაპარაკა, დაგვაფიქრა და, რაც მთავარია, ერთმანეთთან კიდევ უფრო დაგვაახლოვა. ამის შემდეგ ჩვენი „ქიმიური კავშირი", როგორც ჩვენს ამხანაგობას მაშინ ფორე უწოდებდა, კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა. გავიდა რამდენიმე თვე და ფორე ჩვენთან სამუშაოდ გადმოვიდა. ბატონი ვალიკოს წინაშე ორივემ ერთად დავდეთ პირობა, რომ ნამდვილი ჯარისკაცები ვიქნებოდით. ჩვენს ფიცზე მან გულიანად გადაიხარხარა და აღგვითქვა:

— ასე გატაცებით თუ იმუშავებთ, პირობას გაძლევთ, სულ მალე ნამდვილი გენერლები გახდებითო.

1933 წლის შემოდგომაზე მე და ფორე უკვე განუყრელი მეგობრები ვიყავით. ყოფილმა მწყემსმა მტკიცედ შეაბიჯა ფეხი ნივთიერებათა ანაგობის ზღაპრულ სამყაროში. უკვირდა, რომ მეცნიერულ კვლევას ამდენი ოცნება და თვალით უხილავის გონებით ხილვა ესაჭიროებოდა

— ლაშარის ჯვარს ვფიცავ, რომ ნამდვილი ოცნება თუშის საქმეა; თუშეთის ამდენ ნანგრევებს აბა რა გააცოცხლებს, ან ერთ სულ ცხვარს ასიათასად რა გახდის, თუ დედამიწას ზოგჯერ მაინც ფეხს არ მოსწყვეტო. — იტყოდა ხოლმე ზეზვა გაფრინდაულის ნაშიერი.

ორი წლის ერთად ყოფნამ ფორე ცისკარიშვილი ჩვენი კოლექტივის საყვარელ და განუყრელ წევრად აქცია. მის გონებაში ახლა უკვე ორი კერპი ებრძოდა ერთმანეთს: თუში მეცხვარე და ქიმიკოსი-ორგანიკოსი. თუ პირველი მხოლოდ მოგონებებით საზრდოობდა და სინამდვილეს თანდათან შორდებოდა, მეორის ასპარეზი დღითიდღე ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა.

დაუღალავმა შრომამ და დიდმა გატაცებამ თავისი გაიტანა, ჩვენი მისწრაფებები თანდათა-

ნობით სინამდვილედ იქცა. ფორე 1934 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1939 წელს კი უკვე ორივენი ერთად ვმუშაობდით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბიოორგანული ქიმიის კათედრაზე.

პროფ. ვ. ღვალაძე სათავეში ჩაუდგა ბიოქიმიის საცდელი სადგურისა და ბიოორგანული ქიმიის კათედრის მუშაობას და მთელი ჩვენი კოლექტივი ახალგაზრდული ენთუზიაზმით შეუდგა ორგანული მჟავების პრობლემის კვლევას. მეცნიერული და პედაგოგიური მუშაობა ისე იყო ერთმანეთთან შერწყმული, რომ მათი განცალკევება ვერ წარმოგვედგინა. ვსწავლობდით და ვასწავლიდით. ღამეებს ვათენებდით და ცდებს ცდებზე ვაყენებდით. ყოველ მონაცემს მთელი კოლექტივის წინაშე გონების ქარცეცხლში ვატარებდით. ძლიერად ღვივოდა შემოქმედებითი ცეცხლის ნაკვერცხალი...

ფორე ჩვენი ლაბორატორიული ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. 1939-40 წლებში ჩვენ ერთად ორი პრაქტიკული სახელმძღვანელო შევადგინეთ: ბიოქიმიის პრაქტიკუმი და ორგანული ქიმიის მცირე პრაქტიკუმი. ამავე პერიოდში მრავალი ათეული ცდა დავაყენეთ ქარვამჟავას გენეზისის შესასწავლად. სამუშაო მეტად შრომატევადი იყო. განსაკუთრებით დიდ დროს ქარვამჟავას განსაზღვრა მოითხოვდა. ფორე მუდამ გვერდში მედგა და მოუთმენლად ველოდით გამართლდებოდა თუ არა ჩვენი ხელმძღვანელის თეორიული შეხედულებები. კვლევის ობიექტს საფუარი წარმოადგენდა. ჩვენი მოვალეობა იყო დაგვედგინა, თუ რა როლი ჰქონდა ჟანგბადს ქარვამჟავას წარმოქნაში.

ჩვენს მთავარ მიზანს ორგანულ მჟავათა წარმოქმნის რეგულირების გზების გამოვლენა წარმოადგენდა. ჩვენს პირობებში ცდების ერთი სერიის დაყენებასა და მის სრულ ანალიზს დაახლოებით სამი თვის მუშაობა ესაჭიროებოდა. ასე რომ, ცოცხალი საფუარისათვის წელიწადში მხოლოდ ოთხჯერ შეგვეძლო შეკითხვა მიგვეცა, თუ რას „ფიქრობდა“ იგი ჟანგბადის როლზე. ამის გამო ფორე ზოგჯერ ამიჯანყდებოდა ხოლმე:

— უცადე თვეობით ახლა ამ თვალით უხილავ ერთუჯრედიან მიკროორგანიზმებს, როდის გამრავლდებიან და როდის მოისურვებენ რომელიმე ნივთიერების წარმოქმნას. ვაჟკაცი თუ ხარ, ისეთი ქიმიური რეაქცია უნდა აღმოაჩინო, რომ ქვეყანას სრულიად ახალი სასარგებლო ნივთიერება მისცე.

ლაშარის ჯვარის ძველ მლოცველს ბიოქიმიური ხედვა და გემოვნება თანდათანობით და საფუძვლიანად უვითარდებოდა, თუმცა თავისი იალაღები და ცხვარი მთლიანად მაინც ვერ დაევიწყებია. წუხდა ხოლმე:

— თუში გლეხკაცი ისე ვერ ცხოვრობს, როგორც მის შრომას შეეფერება, არავინ არ იცით მწყემსი რა გაჭირვებაშია, თქვენ მწყემსი მხოლოდ მშრალი ნაბდითა და მორაკრაკე სალამურით გყავთ წარმოდგენილი.

საკამათოსა და საზრუნავს ჩვენ რა გამოგვილევდა; ბევრი ზამთრის გრძელი ღამე გაგვითენებია ერთად თუშურ ხალიჩაზე.

ალვანიდან ისე არ ჩამოვიდოდა, რომ თუშური ყველი არ ჩამოეტანა. როდესაც ლაბორატორიის საერთო საუზმეზე თუშური ყველით პირველად გაგვიმასპინძლდა, საშინელი დღე დაგვაყარა:

— კულტურული ხალხი გქვიათ და არც ყველს და არც მის გამკეთებელს არავითარ პატივს არ სცემთ; ვის გაუგონია კაცი ამდენ ყველს სჭამდეს, ლამისაა პურის მაგიერადაც ყველი მიირთვათ. თუშები რომ ასე იქცეოდნენ, საქართველოში თუშური ყველი არ იქნებოდა. მწყემსების შრომას თუ პატივს სცემთ, ყველი მაინც გამოიზოგეთ. აბა დახედეთ როგორია!

მართლაც შესანიშნავი რამ იყო! ვიღაცას თითქოს ფუტკრის ფიჭასავით აეშენებია და ყოველ უჯრედში სურნელოვანი წარმონაქმნი შეენახა; არომატი, ფერი და გემოც ზღაპრულად შეეზავებინა.

ფორე უაღრესად მორიდებული და მოსიყვარულე ადამიანი იყო. უკვე კარგახნის ახლო მეგობრები ვიყავით, როდესაც შემთხვევით გავიგე, რომ მას ერთი კი არა, ორი ვაჟი ჰყავდა. მეწყინა და საკადრისი ტონით ვკითხე:

— ეს ალბათ სახელგანთქმული თუშური მეგობრობაა; არა?!

ფორე ჩემს გაღიზიანებას არ აჰყვა, ხელი მომხვია და ამიხსნა:

— როდესაც პირველად ჩემი ოჯახის ამბებს გიყვებოდი და გითხარი, უფროს ვაჟს ლაშა ჰქვია-მეთქი, შენ ისე გაგეხარდა და იმდენი ქება შემასხი ამ სახელის შერქმევისათვის, რომ აბა რა ღმერთი გამიწყრებოდა და როგორ გავბედავდი მეთქვა, რომ მეორე ჩემს ვაჟს შამილი დავარქვით.

— მერე რა, შამილი ხომ საინტერესო, ნიჭიერი, თავისუფლებისათვის მებრძოლი კაცი იყო. ახლა მთავარია პატარა შამილის პოზიცია; იქნებ მან მაინც დაგვიბრუნოს ნაწილი იმ ქონებისა, რაც მისი სახელის დიდი მოზიარის ნაიბებმა ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის სასახლიდან გაიტაცეს-მეთქი.—ფორე ასეთ „ლალას“ სიამოვნებით შეეგება.

განვლილ მძიმე ცხოვრებას ჩემს მეგობარზე თავისი დაღი დაესვა. განსაკუთრებით ქარაგმული ლაპარაკი და გადაჭარბებული ხუმრობა არ მოსწონდა.

— კაცი ვერ გაგიგებთ, რას რა აზრით ლაპარაკობთ!

ერთი ასეთი ხუმრობა საკმაოდ ძვირად დამიჯდა. ზოგიერთი ცდა და მისი სრული ანალი-

ზი, როგორც უკვე ითქვა, რამდენიმე თვე გრძელდებოდა. პროფესორთან შეთანხმებული ვიყავით, რომ ანალიზის უკანასკნელი ეტაპი ზოგჯერ მასთან ერთად უნდა ჩაგვეტარებინა. ჩვენი სამუშაო ჰიპოთეზა საკვლევ ნიმუშებში წარმოქმნილი ნალექის რაოდენობის მიხედვით მოწმდებოდა. კოლბები თეორიული მოსალოდნელობის მიხედვით ლაგდებოდა და ნალექის წარმოსაქმნელად საჭირო რეაქტივი შემდეგ ემატებოდა. ფინალი ყოველთვის ეფექტური და ამაღელვებელი იყო.

და აი, ერთხელ, როდესაც ჩვენს სამუშაო ჰიპოთეზას მესამედ ვამოწმებდით, ფორიემ განალაგა საანალიზო ნიმუშებიანი კოლბები, მოიმარჯვა რეაქტივის ხსნარი დასამატებლად და სადღესასწაულო ტონით მომმართა:

— ბატონო სერგო, რას გვიბრძანებთ, ახლა რა გავაკეთო?

— ბატონო ფორიე, გთხოვთ გააღოთ ფანჯარა და ნიმუშები გადაყაროთ! — მოფიქრებაც კი ვერ მოვასწარი, რომ მან ფანჯარა გააღო და ელვისებური სისწრაფით ოცდახუთივე კოლბა მეოთხე სართულიდან ძირს გადაუშვა.

არავინ ადგილიდან არ განძრეულა, არც ხმა არავის არ ამოუღია. კარები გაიღო და ისე მოულოდნელად, როგორც ზღაპრებშია ხოლმე, პროფესორი ვარლამ ღვალაძე შემოვიდა ჩვენთან. მას ყველაფერი დოცენტმა ბორის ივანოვმა უამბო.

ვარლამი ფორესთან მივიდა, გაუღიმა, ლოყაზე ხელი მოუთათუნა და ყველას გვითხრა დავმშვიდდარიყავით.

მასწავლებელმა განაჩენი იმავე წუთს გამოიტანა:

— ცდებს სერგო გაიმეორებს, ანალიზებზედაც მარტო ის იმუშავებს; ფორიე ამიერიდან ჯერ კარგად წარმოიდგენს, თუ სხვისი დავალების შესრულებას რა მოყვება და შემდეგ იმოქმედებს.

დავალების შესრულებას იმავე დღეს შევუდექით. საღამოს, როცა ლაბორატორიაში მარტონი დავრჩით, ფორიე მომეფერა, პატიება მთხოვა და აღმითქვა, რომ ყველაფერში მომეხმარებოდა.

მეცნიერული კვლევის პერსპექტივამ ფორიე ძლიერად გაიტაცა, ლაბორატორიაში დასმული პრობლემა ძალიან მოსწონდა. მისი ფართო სამოქმედო პროგრამა შესასწავლ საკითხებს კარგად მიესადაგა. დიდძალი ლიტერატურა დაამუშავა და საკმაოდ საინტერესო ექსპერიმენტები შემოგვთავაზა, სამეცნიერო მუშაობის გეგმა კიდევ ერთხელ დააზუსტა და ასფურცლიან რვეულში კალიგრაფიულად გადაწერა. გეგმა ყველას მოეწონა; მიზანი, ამოცანები, ავტორის მეცნიერული შეხედულებები, მოსალოდნელი სიძნელეები, ექსპერიმენტები, ყველაფერი ნათლად იყო წარმოდგენილი. მხოლოდ ერთმა გარემოებამ მიიპყრო ყველას ყურადღება: თემას სათაური არ ჰქონდა. როდესაც ხელმძღვანელმა ჰკითხა ეს რას ნიშნავსო, ფორიე ჯერ შეყოყმანდა, შემდეგ კი ხალისიანად უპასუხა:

— ბატონო ვალიკო, თქვენ მაგაზე ნუ შეწუხდებით, მე და სერგო დღესვე მოვნათლავთ, უსახელოდ არ დავტოვებთო.

პროფესორისადმი მიცემული პირობის შესრულება ადვილი არ აღმოჩნდა. მე ზოგადი სახელწოდების მომხრე ვიყავი, ის კი უფრო მეტად კონკრეტულ თემებს აძლევდა უპირატესობას. არც დამითმო და არც ჩემი წყენა სურდა. უცებ სახე გაებადრა და მივხვდი, რომ რაღაც საინტერესო აზრი მოუვიდა:

— ამ რვეულში ხომ ასი ფურცელია, მოდი, ჩვენს პირველ დამოუკიდებელ თემას „ასფურცლიან ზღაპარი“ დავარქვათ.

ვიგრძენი, რომ ფორიეს რაღაც სხვა ფიქრებმა მიაკითხა და თანხმობის ნიშნად ორივე ხელი ავწიე.

პირობა დავდეთ, რომ ამის შესახებ არავის არაფერი არ ეცოდინებოდა. მწვანეყდიანი საერთო რვეულის თავფურცელზე ფორიემ მსხვილი, ენერგიულად მოხაზული ასოებით დააწერა: „ასფურცლიან ზღაპარი“.

დადგა 1941 წლის ივნისი. ღამეებს კვლავ ლაბორატორიაში ვათენებდით. თავისუფალ დროს ძველებურად საუბარში ვატარებდით. მას ზემო იმერეთის, საწერეთლოს ამბები აინტერესებდა, მე კი თუშეთის, თუშების... იმ დღეებში არ ვიცი რატომ და ძირითადად ხალხის ზნეჩვეულებებზე ვმსჯელობდით. ფორიეს თუშების ზნეჩვეულებების მიმართაც თავისებური დამოკიდებულება ჰქონდა.

— ჩვენებური დღეობები არ მიყვარს. ამ დროს ყველა ცხვარს კლავს, კლავს და მერე როგორ! ყელგამოღადრულ სულთმობრძავ ჰეროლას ჯერ წმიდა ადგილის კედელს რამდენჯერმე შეახეთქებენ და შემდეგ კი რაც შეუძლიათ შორს გადააგდებენ! წმინდანი რომ ამ მოქმედებას მოგიწონებს, იმის რაღა უნდა გჯეროდეს! — ნაღვლიანად იტყოდა ხოლმე ფორიე.

როგორ გაიხარა, როდესაც გაიგო, რომ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალექსანდრე ნესმეიანოვი ხორცს არ ჭამდა და არც არასდროს არ ეჭამა. კაციც ეგა ყოფილაო!

ყოველთვის და ყველაფერში ჩანდა ცოცხალი სამყაროს შეცნობის ფორიესეული იშვიათი თვისებები. ფორიე სიცოცხლის ნამდვილი მცნობიც იყო და მისი მოციქულიც.

გასრულდა ჩვენი ერთად ყოფნის ბრწყინვალე და განუმეორებელი დრო!

დადგა უდიდესი განსაცდელის წლები და დღეები. ისპობოდა მილიონობით სიცოცხლე სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის...

იწვა დონის ველებში ლონემიხდილი თუში

მეცხვარე და ოცნებისკან ანთებული სიყვარულით დასტრიალებდა თავს სათაყვანებელ სამშობლოს...

## უროლოგი

ცნობილი მეცნიერი და უროლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელი ალექსანდრე პეტრეს ძე წულუკიძე მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი იყო. ბ-ნი ალექსანდრე ყოველთვის გამოირჩეოდა ორიგინალური აზრითა და პრინციპულობით. ახოვანი, არწივისებური ამაყი გამოხედვის, ულვაშებიანი ქართველი ვაჟკაცი გარეგანი შეხედულებითაც არავისში არ შეგეცვლებოდათ. მასთან საქმიანი ურთიერთობა მეტად საინტერესო და ნაყოფიერი იყო. თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა სწავლულმა და დასტაქარმა შთამბეჭდავად აგვიწერა ავტობიოგრაფიულ ნაშრომში „სოფლის ექიმიდან აკადემიკოსამდე“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის თანამშრომელთა შორის ალექსანდრე წულუკიძეს განსაკუთრებით რაფიელ დვალი და მე დავუმეგობრდით. გულახდილად შეგვეძლო გვეთქვა მისთვის ჩვენი აზრი; წინასწარ შეიძლებოდა გაგვეშხილა, თუ რა შემთხვევაში მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების რა გადაწყვეტილება იქნებოდა სწორი აკადემიის ხელმძღვანელთა თვალსაზრისით.

აკადემიის ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე პასუხსაგებ და რთულ საქმეს ახალი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევნები წარმოადგენს. ჯერ, როგორც მოგეხსენებათ, უკეთესთა შორის უკეთესნი უნდა შეირჩნენ, შემდეგ მათ შორის კიდევ უფრო საუკეთესო გამოიყოს და, თუ ეს უკანასკნელი. ორჯერად ფარულ კენჭისყრაში გაიმარჯვებს, მაშინ იგი ქართველ მეცნიერთა ერთუნული კორპორაციის წევრი გახდება. ამ საქმეში ყოველთვის მრავალი ორგანიზაცია და კერძო პირი მონაწილეობს. ასეც უნდა იყოს. აკადემიის წესდება ითვალისწინებს, რომ ასარჩევი კანდიდატების საქმიანობა საჯაროდ უნდა იქნეს განხილული. ასარჩევ კანდიდატებზე ყველას თავისი შეხედულება აქვს და მათ შორის, რა თქმა უნდა, აკადემიის პრეზიდიუმსაც. და აი, ერთ-ერთი ასეთი არჩევნების დროს რაფიელ დვალმა და მე მოვიწვიეთ ბატონი ალექსანდრე წულუკიძე და თითოეულ წამოყენებულ კანდიდატზე მცირე პრეზიდიუმის წევრების აზრი მოვახსენეთ. ასარჩევთა შორის ერთი პრეზიდენტის პირადი მეგობარი იყო. ცოდვა აღიარებული სჯობია და ჩვენ ამ უკანასკნელზე განსაკუთრებით გავამახვილეთ ყურადღება, თუმცა ბატონ ნიკოს ამის შესახებ ჩვენთვის არაფერი არ უთქვამს. ბატონი ალექსანდრეს შეხედულებები და ჩვენი მოსაზრებები ძირითადად დაემთხვა ერთმანეთს. ვერ შევთანხმდით მხოლოდ „ნიკოს მეგობარზე“. აკადემიკოს-მდივანი დაგვპირდა, რომ, როგორც თანამდებობის პირი, ჩვენ დაგვიჭერდა მხარს, ხოლო როგორც მედიკოსი, თავის აზრსაც იტყოდა. მისი შეხედულება მთლად არ მოგვეწონა, მაგრამ რას ვიზამდით!

შედგა განყოფილების სხდომა. ბ-ნმა ალექსანდრემ შესანიშნავად დაახასიათა ყველა კანდიდატი, კრებას მოახსენა, თუ ვინ უჭერდა მათ მხარს, რა დადებითი და უარყოფითი დასკვნები იყო მიღებული, რა აზრისაა აკადემიის ზოგიერთი ხელმძღვანელი მათზე. ამის შემდეგ ცხოველი კამათი გაიმართა. როდესაც თითქოს ყველაფერი დამთავრდა და კენჭისყრა უნდა დაწყებულიყო, ბ-ნმა ალექსანდრემ კვლავ აიღო სიტყვა და კრებას მოახსენა:

— ბატონებო, თქვენ მე მოგახსენეთ აკადემიის ზოგიერთი ხელმძღვანელის შეხედულებები, როგორც განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა; ახლა ნება მიბოძეთ ერთ-ერთ ასარჩევ პირზე გაგიზიაროთ პირადად ჩემი მოსაზრებები. მე, ალექსანდრე წულუკიძე, როგორც ქართველი კაცი და მედიკოსი, წინააღმდეგი გახლავართ მისი არჩევისა. თვითონ აქ ბრძანდება და იმედია, ასეთ გულახდილობას მაპატიებს და მოთმინებით მომისმენს.

დახასიათება, რომელიც ბატონმა ალექსანდრემ ამ ასარჩევ პირზე წარმოადგინა, თუმცა უაღრესად მკაცრი იყო, მაგრამ დასაბუთებული. მის შემდეგ არავის არაფერი უთქვამს. კენჭისყრა ჩატარდა, სადავო კანდიდატი არ აირჩიეს.

მეორე დღეს ბატონი ალექსანდრე პრეზიდენტთან მობრძანდა და არჩევნების შედეგები მოახსენა. საუბრის დასასრულს ბოდიში მოიხადა:

— ბატონო ნიკო, რაც მოხდა, უნდა მაპატიოთ, მე რომ თქვენი მეგობრის არჩევისადმი ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება არ გამომემჟღავნებია, მას ალბათ მაინც არ აირჩევდნენ, მაგრამ ასეთი მოქმედება არც მე და არც თქვენ არ გვეკადრებოდა.

— ბატონო ალექსანდრე, რას ბრძანებთ, მე პირველად მესმის, რომ მას ჩვენი ზოგიერთი წევრი მხარს უჭერდა; თქვენ დიდებული საქმე გააკეთეთ. დაე გაიგონ, რომ აკადემიის ნამდვილი წევრი რომ გახდე, მხოლოდ პრეზიდენტის პირადი მეგობრობა არ არის საკმარისი. ეს მომავალშიც სხვებმაც უნდა გაითვალისწინონ, — ჩაკენწლა ნიკო მუსხელიშვილმა.

წლებმა ჩვენი ასაკობრივი სხვაობა თანდათან წაშალა და უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს.

ბატონი ალეკო (როგორც მას შინაურები ეძახდნენ) ყოველწლიურად დაბადების დღეს დღესასწაულობდა, ახლობლებთან ერთად სადილობდა, მრავალ საინტერესო ამბავს იგონებდა. მე და რაფაელიც ვავხდით მისი ტრაპეზის წევრები.

გადიოდა დრო და ბატონი ალეკო თანდათან ერიდებოდა ზედმეტ ფიზიკურ დატვირთვას. ახლა უკვე გული იყო მისი მთავარი მბრძანებელი. მიუხედავად ამისა, დაბადების დღეს ძველებურად იხდიდა. ჩამოდგა მეოცე ათეულის ბოლორე ხუთეულის იანვარი და უკვე ერთი წელი ხდებოდა, რაც ბატონი ალეკო აკადემიაში აღარ ჩანდა. რაფიელმა და მე ვერ იქნა და ვერ გადავწყვიტეთ როგორ მოვქცეულიყავით: წავსულიყავით მასთან სანახავად, თუ დაბადების დღისათვის დაგვეცადა. რამდენიმე დღეღა რჩებოდა ბატონი ალეკოს დაბადების დღემდე, რომ შეშინებულმა მდივანმა ნახევრად ღია კარებში შემოგვძახა:

— აკადემიკოსი წულუკიძე ცუდად არის, მოგვეშველეთო. — ბატონი ალეკო მოსაცდელი ოთახის სავარძელში ჩამჯდარიყო და გაფითრებულ სახეზე ოფლს იწმენდდა. ხალხი სწრაფად მოგროვდა და სხვადასხვაგვარ წვეთებს თავაზობდნენ. ყველაფერზე უარი გვითხრა. გვანიშნა — დამტოვეთ, მეტი არაფერი არ მინდაო. შეტევამ თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ გაუარა, ნელა წამოდგა და სამუშაო ოთახში შეიოგვყვა. ახლა უკვე ლაპარაკიც შეეძლო და სახის ფერიც ნორმალური ჰქონდა.

— მეგობრებო, მე თქვენთან მოვედი, ორავეს უნდა გთხოვოთ, 22 იანვარს ჩემთან მობრძანდეთ, ერთად ვისადილოთ. — მოგვმართა ბატონმა ალექსანდრემ.

ჩვენ გაოცებული დავრჩით. მიხვდა, რომ ჩვენ უსიტყვოდ ვეკითხებოდით:

— ბატონო ალეკო, ამისთვის რატომ შეიწუხეთ თავი, თქვენ ხომ შეგეძლოთ ტელეფონით დაგვერეკათ!

— მე ძველი კაცი ვარ. ოდესღაც თავადიც გახლდით. პატივისცემა თუ არის, ორივე მხრიდან უნდა იყოს: შევარცხვინე ისეთი მასპინძელი, რომელიც მეგობარს თუ ახლობელს ტელეფონით ან სხვისი პირით დაპატიჟებს. მე მგონია, სწორად გამიგებთ. მაპატიეთ, რომ ცოტა შეგაშინეთ. მიჭირს, ძალიან მიჭირს დავიჯერო, რომ ალექსანდრე პეტრეს ძე წულუკიძემ უეჭველად უნდა გამოზომილი ნაბიჯით იაროს! თქვენ არ იფიქროთ, რომ მე განწყობილება შემეცვალა. სახლში ყველაფერი ძველებურად იქნება. ბატონო სერგი, მენიუ ჩემებურად დავამზადე. ყველას დაგირიგებთ, რომ არაფერში მოტყუვდეთ და წინასწარ იცოდეთ, თუ რა სასმელ-საჭმელი რა დროს იქნება სუფრაზე მორთმეული. შენი ჭიათურელი მეგობრები, ჩემი დისშვილები, ძმები გამრეკელებიც იქ იქნებიან. იქნებ სიმღერაც კი მოახერხონ! თამადად ან თომა ჯაფარიძე ავირჩიოთ, ან რაფიელ დვალი, ორივე პატიოსანი რაჭველია. ახლა თქვენი ნებართვით დაგტოვებთ.

არ ქნა და კიბეზე არ ჩაგვიყოლია. გოლიათური შესახედაობის ვაჟკაცმა დინჯი და მშვიდი ნაბიჯით დატოვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობა.

## მოჩვენება

ორმოციან წლებში პროფესორი შოთა ძიძიგური თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენის კათედრას განაგებდა და ქართულ ენაში კითხულობდა ლექციებს. ამავე პერიოდში მე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ვხელმძღვანელობდი თელავში. ინსტიტუტში მუშაობის პირველივე წლებში დავრწმუნდი, რომ თანამშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ წერაში მოიკოჭლებდა. ამ ნაკლის გამოსასწორებლად პროფ. შ. ძიძიგური მოვიწვიე. ასეთმა ღონისძიებამ ზოგიერთი მეცნიერი თანამშრომელი გაალიზიანა: — აქ რა, ნუცას სკოლას გვიხსნიანო. დარწმუნებისათვის აუცილებელი შეიქნა საკონტროლო წერა. ბატონი შოთას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს დიდი ტაქტით ჩაატარა. გამოსაცდელ მოწაფეთა შორის, რა თქმა უნდა ,მეც ვიყავი და, როგორც შემდგომში ამბობდნენ, მცირეოდენი დადებითი გავლენა ამანაც მოახდინა.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენმა ახალმა პედაგოგმა გასწორებული რვეულები მოიტანა და ყველას გაუკვირდა, როდესაც მან პერსონალურად არავინ არ დაასახელა; ზოგადად გაგვაცნო, თუ რა სახის შეცდომები გვქონდა დაშვებული, როგორ უნდა გვემუშავა, რომ წერა მოკლე დროში უკეთესად შეგვძლებოდა. ყველანი დაინტერესდნენ და მსურველთა რიცხვი გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე დასაწყისში ვვარაუდობდით.

შედგა პროგრამა, ჩამოყალიბდა ჯგუფი და გაჩაღდა მუშაობა.

— ასეთი მაღალი მეცნიერული რანგისა და სხვადასხვა ასაკისა და სპეციალობის მსმენელები და თანაც ასეთი ნიჭიერნი, აბა, ვისა ჰყოლიათ, — ხუმრობდა ხოლმე ჩვენი ხელმძღვანელი.

გავიდა თითქმის ნახევარი წელი და შოთამ ჩათვალა, რომ ამიერიდან მხოლოდ დამოუკიდებელი მუშაობა იყო საჭირო. აღგვითქვა, რომ დროდადრო კვლავ შეგვამოწმებდა და დაგვეხმარებოდა. ეს პირობა მას არ დაურღვევია. ზოგიერთი მისი მაშინდელი მოწაფე ახლაც დიდი მადლობით იგონებს პროფესორ შოთა ძიძიგურის შესანიშნავ ლექცია-გაკვეთილებს.

ჩატარებული ღონისძიების დადებით შედეგს ინსტიტუტის თანამშრომლები ნათლად გრძნობდნენ. როდესაც ბატონი შოთა ინსტიტუტში გამოჩნდებოდა, ყველანი შემოეხვეოდნენ და ახალ-ახალ კითხვებს სეტყვასავით დააყრიდნენ ხოლმე.

1949 წლის მაისში ერთ-ერთი ასეთი კონსულ-

ტაციის შემდეგ ორთავემ ინსტიტუტის მანქანით თბილისისაკენ გამოვწიეთ. იქვე დავთქვით, რომ პური ბუნების წიაღში გაგვეტეხა. ჩემმა ძველმა მეგობარმა, მანქანის მეთაურმა მიხეილ ტატიშვილმა გვირჩია, რომ ივრის პირას ჩაგვემუხლა. საგზლად კახური შოთი, თუშური ყველი და ნაფარაულის თეთრი მოგვქონდა. თბილისისაკენ გომბორის გზით წამოვედით. უკან ჩამოვიტოვეთ ცივგომბორის მთები და ივრის პირს გავყევით. ამოვირჩიეთ ჩვენი მხიარული გუნებაგანწყობილების შესაფერი ადგილი და ისეთი გულმოდგინებით შევუდექით სუფრის გაშლას გეგონებოდათ საგანგებოდ მოწვეულ სტუმრებს ველოდით. სუფრა უკვე მზად იყო, როცა მიშამ გვთხოვა:

— ნუ აჩქარდებით. ერთი ნახევარი საათიც დამიცადეთ. აქვე მეცხვარეები მეგულება და იქნებ მწვადებიც დავატრიალოთო.

რა დასამალია და გემრიელი წახემსება ორივეს ძალიან გვიყვარდა; წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. ცდა დიდხანს არ დაგვჭირვებია, მიხეილმა შვლის ნუკრივით ლამაზი, პატარა ციკანი მოიყვანა.

— თქვენ თუთის ხის ტოტები მოაგროვეთ და მე ციკანს მოშორებით დავკლავო — დაგვასაქმა ტატიშვილმა.

ორივენი დავალების შესრულებას შევუდექით. შოთა დაინტერესდა:

— რატომ მაინცა და მაინც თუთის ხე უნდა იყოს, სხვა შეშა არ გამოდგება თუ რა?!

ვიხელთე დრო და ჩემი მეგობარი თანდათანობით შევიყვანე მცენარეთა ქიმიური შედგენილობის ლაბირინთში. ვუხსნიდი, თუ შეშის წვისას როგორ ორთქლდება ზოგიერთი ნაერთი და რა გზით აუმჯობესებს ხორცის ფერს, არომატსა და გემოს. ხალხური თქმაც მოვიშველიე: „ნეტავ ისე არ მოვკვდე დეკაზე ნახუხი მწვადი არ მაჭამა და თოვლის ნაყური წყალი არ დამალევინაო".

შოთამ შეატყო, რომ ახლა ჩემი გაჩერება არც ისე იოლი იყო და მოკლედ მომიჭრა:

— უფლება მივცეთ ფენოლურ ნაერთებს იმოქმედონ ისე, როგორც მათ სურთ. ახლა საჭიროა პრაქტიკული საქმიანობა გავაძლიეროთ. მე უკვე ჯამში ვხედავ პირველყოფილი ადამიანის რეცეპტით დამზადებულ მწვადს.

დაამთავრა თუ არა პათეტიკური ტონით ნათქვამი მოწოდება, გაისმა ციკნის გაბმული კივილი. წუთით ორივენი შევჩერდით. შოთა ხის კუნძზე დაეშვა და გაირინდა. მე მიშასაკენ წაველი და მას მივეშველე. ნახევარ საათში ყველაფერი მზად იყო და სუფრას სამივენი მივუსხედით. რამდენიმე წუთში შოთა წამოდგა და მორიდებით მოგვმართა:

— ცოტა ხანს მდინარის პირას გავივლი, არ გეწყინოთ; თქვენ უჩემოდ დაპურდით და, როდესაც წასვლას დააპირებთ, დამიძახეთო.

შევშინდით: შოთა ძიძიგურის მაგიერ ჩვენს წინ ვიღაც სხვა კაცი იდგა. აბა რაღა დროს ხაუზმე იყო. მიშას ვანიშნე, რომ რაც შეიძლება სწრაფად გვევლო. გადავწყვიტეთ, შოთა პირდაპირ სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში მიგვეყვანა. ჩვენთვის აშკარა იყო, რომ მას შეტევა ჰქონდა, მაგრამ რისი?!

მიშას მანქანა მაქსიმალური სიჩქარით მიჰყავდა. სამგორის ველზე შოთამ მანქანის გაჩერება გვთხოვა, ცოტახანს ფეხით ვიაროთო. რამდენიმე წუთის შემდეგ ორივეს შუაში ჩაგვიდგა, მხრებზე ხელი მოგვხვია და ყრუდ გვითხრა:

— მაპატიეთ, მეგობრებო, რა მომივიდა მეც არ ვიცი; ალბათ გონს გადავედი. როდესაც საცოდავი ციკნის საოცრად გულშემზარავი ხმა შემომესმა, რატომღაც მომეჩვენა, რომ ეს ჩემი კახა იყო, კახას ხმა მესმოდა... სერგო, შენ ხომ იცი, კახა ახლა გახდა ორი წლის. რაც შეგიძლიათ მალე მიმიყვანეთ სახლში.

თბილისში უჩუმრად ჩავედით.

შოთამ სახლში არ აგვიყოლა.

## ორი საყვედური

ცნობილი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე აკადემიკოსი ლევან ჯაფარიძე თითქმის ნახევარი საუკუნე ედგა სათავეში მცენარეთა ფიზიოლოგიის განვითარებას ჩვენში. ახლა მის მიერ აღზრდილი მრავალი მეცნიერი წარმატებით აგრძელებს თავისი სახელოვანი მასწავლებლის საქმეს. მისმა და მისი მოწაფეების მეცნიერულმა მიღწევებმა მცენარეთა ფიზიოლოგიის მრავალ დარგში მსოფლიო აღიარება ჰპოვა.

ბატონი ლევანი და მე დაახლოებით ერთი ასაკისანი ვიყავით, ერთ დარგს — ბიოლოგიას ვემსახურებოდით, ერთმანეთთან მუდამ კეთილგანწყობილი, საქმიანი ურთიერთობა გვქონდა. მისმა მრავალფეროვანმა და ბრწყინვალე მოღვაწეობამ ჩემს გვერდით გაიელვა და სხვა მის თანამედროვეებთან ერთად მეც გამათბო და ამამაღლა.

ლევანი ყოველმხრივ მომხიბლავი ადამიანი იყო: ახოვანი, სასიამოვნო გარეგნობის, კეთილი და წმინდა, სულით ფაქიზი, მჭევრმეტყველი და იუმორით აღსავსე, ფართო დიაპაზონისა და დიდი მეცნიერული ფანტაზიის მქონე. მე მასში განსაკუთრებით სილამაზისადმი ლტოლვა და უბადლო სიყვარული მხიბლავდა. ბუნებისაგან მინიჭებული ეს დიდი ბედნიერება ყოველ მის ნაბიჯში ჩანდა. მის „მკაცრ" ექსპერიმენტსაც კი რომელიღაც კუთხიდან სილამაზის ელფერი დაკრავდა. მას უმღეროდა. ლევანს თავდავიწყებამდე უყვარდა ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა. მის მეცნიერულ შემოქმედებაში ხშირად იყო ხოლმე ალეგორიული წიაღსვლები. შემთხვევით არ იყო, რომ მისი სადოქტორო დისერ-

ტაცია „სქესი მცენარეში“ 1.001 გვერდზე იყო წარმოდგენილი; მეცნიერებმა მას სამართლიანად შეარქვეს კიდეც „ათას ერთი ღამე“.

ჩვენ ერთმანეთს განსაკუთრებით ორმოციან წლებში დავუახლოვდით, როდესაც ლევანი თავის მოწაფეებთან ერთად იკვლევდა ვაზის ლერწის სხვადასხვაგვარი დატვირთვის გავლენას ყურძნის მოსავალზე. ცდები მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთებზე, თელავში ტარდებოდა. ინსტიტუტის მთელი კოლექტივი და მეც, როგორც ამ დაწესებულების ხელმძღვანელი, ყოველმხრივ ვუწყობდით ხელს ლევანს და მის თანამშრომლებს, რომ მევენახეობის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა — ვაზის დატვირთვა ყოველმხრივ ყოფილიყო შესწავლილი. პირველივე შედეგები მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და ლევანმა გადაწყვიტა, რომ მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომისათვის მოეხსენებინა. სხდომა 1944 წლის 2 ივლისისთვის დაინიშნა. პირველ ივლისს დილით ლევანი შესანიშნავ გუნება-განწყობილებაზე იყო, ინსტიტუტის საქტო დარბაზში სადემონსტრაციო მასალებს ამზადებდა. თვალნათლივ ხედავდა ჩატარებული კვლევის დიდ პერსპექტივას... ცხოვრებამ გაამართლა კიდეც ჩვენი მევენახეებისა და ფიზიოლოგების ალლო და შორს ხედვა. იმდროინდელი გამოკვლევები ერთ-ერთი საფუძველია ამჟამად მევენახეობაში დანერგილი ე. წ. „თავისუფალი სხვლისა“, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ვაზის მოსავლიანობის გადიდებას.

ლევანის განწყობილება ყველას გადაგვედო და როდესაც ხვალინდელ სამეცნიერო საბჭოს სხდომას დღესასწაულივით ველოდით, მაშინ შემატყობინეს, რომ ლევანმა რაღაც მეტად სამწუხარო ამბავი გაიგო და შეიძლება სხდომაზე სულაც ვერ მოვიდესო. ჩვენ ყველა ერთმა და იმავე შიშმა აგვიტანა; ერთადერთი შვილი ირინე სახლში მარტო ჰყავდა დატოვებული. მეუღლე — ქალბატონი თამარ კეზელი ლევანს თელავში თან ახლდა. იგი ხომ მისი მუდმივი თანამგზავრი და მეცნიერულ კვლევაში მარჯვენა ხელი იყო! ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა: ვაითუ ირინემ თავის თავს ისე ვერ მიხედა, როგორც საჭირო იყოო.

ლევანი ჩემთან სამუშაო ოთახში ჩუმად შეუმჩნევლად შემოსულიყო. იდგა იგი გაფითრებული სახით და ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა. ფურცელი უსიტყვოდ მომაწოდა. ანატომიისა და ფიზიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს ლევან ჯაფარიძეს ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი სასტიკ საყვედურს უცხადებდა, რომ იგი, როგორც კომისიის წევრი, არ გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში ტუნგოს კულტურის აგროწესების გადასინჯვისა და მისი დანერგვის შესამოწმებლად; წინადადებას აძლევდა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო.

შვებით ამოვისუნთქე. ალბათ გადავიხარხარებდი კიდეც, ლევანს რომ ასეთი დამწუხრებული გამომეტყველება არ ჰქონოდა. საოცრებად მომეჩვენა, რომ ასეთი დიდი პიროვნება და მეცნიერი ამ ბრძანებას ასეთ მნიშვნელობას ანიჭებდა!

ლევანს დირექციის დავალება თურმე ადრევე შეესრულებინა, რადგანაც მისი დასავლეთ საქართველოში ოფიციალური მივლინების დრო თელავში ცდების ჩატარების პერიოდს ემთხვეოდა. თავისი მოსაზრებაც ტუნგოს აგროწესების შესახებ მიწსახკომში ადრე წარედგინა.

მთელი საღამო ვამშვიდებდით, რომ არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა და, საერთოდ, არ ღირს ამაზე ამდენი განცდა და წუხილი.

— რას ბრძანებთ, განყოფილების ოცამდე თანამშრომელი დღედაღამ თავაუღებლად მუშაობს, ყველა მაღალი დისციპლინის მქონეა. ყველანი იმისათვის ილვწიან, რომ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა წინ წავიდეს და ამ დროს მათ მადლობის მაგიერად ბრძანებით საყვედურს უცხადებენ; საყვედური თქვენ მხოლოდ პირადად ჩემი ხომ არ გგონიათ!

მეორე დღეს ლევანის მოხსენება ჩვეულებისამებრ არ ბრწყინავდა, მაგრამ შესანიშნავმა შედეგებმა, მისმა რკინის ლოგიკამ მაინც თავისი გაიტანა და საბჭოს ყველა წევრი და დამსწრე აღტაცებული დარჩა. ის იყო მუშაობა დავამთავრეთ, რომ ლევანმა სიტყვა მთხოვა. დინჯად წამოდგა, საქაღალდედან ბოტანიკის ინსტიტუტის მიერ გამოგზავნილი ბრძანება ამოიღო და წაიკითხა. ყველანი გაოცდნენ. უმრავლესობამ ამ ბრძანების შესახებ არაფერი იცოდა, ამავე დროს, გაუგებარი იყო, თუ რა ქვეტექსტით უკავშირდებოდა ჩვენი საბჭოს დღევანდელი მუშაობა ბოტანიკის ინსტიტუტის ბრძანებას. მდგომარეობიდან ისევ ლევანმა გამოგვიყვანა:

— მალე ალბათ ბრძანების მეორე პარაგრაფსაც მივიღებთ: გამოეცხადოს საყვედური ლევან ჯაფარიძეს იმ სამუშაოებისათვის, რომლებიც მან და მისმა თანამშრომლებმა ვადაზე ადრე 1944 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ჩაატარეს, ე. ი. იმ სამუშაოებისათვის, რომელთა შედეგებიც მე თქვენ დღეს მოგახსენეთო.

დაუჯერებელია, მაგრამ ლევანი ამ საყვედურს მრავალი წლის განმავლობაში განიცდიდა.

— რატომ გიკვირთ, დრო რა შუაშია, თქვენ რა, უსამართლობას ხანდაზმულობის მიხედვით აფასებთ? მეცნიერ მუშაკებს მეტი ადამიანური ყურადღება ესაჭიროებათ, — გვიპასუხებდა ხოლმე.

1954 წლიდან სამუშაოდ თელავიდან კვლავ თბილისში დავბრუნდი. მე და ლევანი ახლა კიდევ უფრო ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა ანატომიი-

სა და ფიზიოლოგიის განყოფილება კომკავში-რის ხეივანში იყო და მეც ხშირად ლევანს იქ ვესტუმრებოდი ხოლმე. მისი ლაბორატორიუ-ლი ოთახები წალკოტს ჰგავდა; რა მცენარეს, ვეგეტაციის რა პერიოდში არ ნახავდით აქ!

ალბათ თქვენ შეგინიშნავთ, ჩვენი უნივერსი-ტეტის პირდაპირ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საცხოვრებელი სახლის ზოგიერთი აივანი როგორაა შეხუნძლული ვაზის სხვადასხვა სახეობით, როგორი სხვადასხვაგვარი ჯადოს-ნური ფერებით არის შეფერილი! ეს ლევან ჯა-ფარიძის მიერ შექმნილი და ამეტყველებული ედემის პატარა კუთხეებია.

ლევანი განსაკუთრებით მცენარეთა ყვავი-ლობას ეტრფოდა; თავდავიწყებამდე უყვარ-და ველურად მოყვავილე მცენარეები. სულ მე-ხვეწებოდა:

— დროებით მაინც გაანებე თავი ამ ლაბორა-ტორიას, წამომყევი, ბუნების საოცრებას გაჩ-ვენებ. წავიდეთ ბაკურიანში, ვნახოთ, როგორ ამოდის მზე ცხრაწყაროს ცაზე, როგორ ჰყვავის ცხრაწყაროს კალთებზე დეკა.

ახლა ვწუხვარ, რომ ვერ მოვახერხე და ვერ გავყევი ბატონ ლევანს, ჩვენი ბუნების ეს გა-ნუმეორებელი სილამაზე მასთან ერთად ერთხე-ლაც ვერ ვიხილე.

1969 წლის ნოემბერში ლევანი ავად გახდა ლეიკოზის ერთ-ერთი მწვავე ფორმით. ყველა მისი ახლობელი საშინელმა შიშმა შეგვიპყრო, თვითონ ლევანი კი სიცოცხლით სავსე იყო, იდეებსა და იმედებს ძველებურად აფრქვევდა, სრული ენერგიით მოქმედებდა და მოღვაწეობ-და. ზოგჯერ ეჭვიც კი გვეპარებოდა: მართლა იყო თუ არა ლევანი ავად.

1970 წლის იანვარში ლევანს ეზოში შევხვდი. ჩემი უმცროსი დაც იმავე სახლში ცხოვრობდა, რომელშიაც ლევანის ოჯახი, და ჩვენს შეხვედ-რებს ესეც უწყობდა ხელს. ლევანი დაღვრემი-ლი იყო, რაღაც სულიერი შეშფოთება ეტყო-ბოდა. მის მდგომარეობაში მყოფისათვის ეს ჩვეულებრივ გაწყობილებად ჩავთვალე და ის იყო უნდა გამოვემშვიდებოდი, რომ გულისტკი-ვილით მომმართა:

— რომ იცოდე, დღეს რა მომივიდა, მანანასა-გან საყვედური მივიღე; ჩემი თავისათვის ვერ მიპატიებია, ეს როგორ მომივიდა.

ლევანს ეტყობოდა, რომ ცუდ ხასიათზე იყო; გამოკითხვისაგან თავი შევიკავე, თუმცა არც ის ვიცოდი, თუ ვინ იყო ეს მანანა და ვერც ის გავიგე, თუ რა უფლება ჰქონდა ვიღაც მანანას საყვედური გამოეცხადებინა ლევან ჯაფარიძი-სათვის. ორი დღის შემდეგ ქალბატონმა თამარ-მა ყველაფერი დაწვრილებით გვიამბო.

იანვრის ერთ დილას სამსახურში მივეშურე-ბოდით. ეზოში არავინ ჩანდა, ლევანი უფრო ადრე ჩასულიყო. მე ცოტა შევყოვნდი. როდე-საც ეზოში ჩავედი, პატარა ირაკლი და მანანა გოგოლიშვილები შემომეფეთნენ. ლევანს ვერ შეუმჩნევია, რომ ისინი იქვე თოვლის ბაბუას აკეთებდნენ და ისე გაუვლია, რომ მათთვის სა-ლამი არ მოუცია. მანანა დამეწია, შემაჩერა და მკითხა:

— თამარ დეიდა, ის კაცი ვინ იყო? — მე ვუპასუხე, რომ ლევან ბიძია იყო-მეთქი.

— თუ ლევან ბიძია იყო, რატომ გამარჯობა არ გვითხრა? თქვენ გეშლებათ. — მე გამეცინა, მოვეფერე და დავუყვავე:

— ლევან ბიძიამ ალბათ ვერ დაგინახათ და არ გეწყინოთ-მეთქი.

ლევანს ჩემი ლაპარაკისათვის ყური მოეკრა და რომ მივუახლოვდი, მკითხა, ვის ელაპარაკე-ბოდით. ყველაფერი ვუამბე. მაშინ მანანა ოთხი წლისა იყო, მისი ძმა კი ექვსისა. ლევანი სწრა-ფად მობრუნდა ბავშვებთან, ორივეს ხელი ჩა-მოართვა და ბოდიში მოუხადა: მაპატიეთ, ბავ-შვებო, ვერ დაგინახეთო.

იმ დღეს ყველას შესჩიოდა: დღეს დიდი მარ-ცხი განვიცადე, მანანასთან შევრცხვი. ეს უტაქ-ტობა ბავშვებთან როგორ მომივიდა, მიკვირსო.

უზომოდ უყვარდა ლევანს ბავშვები. ბავშვებ-საც უყვარდათ მასთან ყოფნა, სულ გარს ეხვე-ოდნენ. თუ ვინმეს თოჯინა ან სხვა სათამაშო გა-უფუჭდებოდა, ლევანი მაშინვე შეუკეთებდა, გაუახლებდა. ხშირად ფერად კინოსურათებსაც გადაუღებდა ხოლმე. შაბათ-კვირას ბავშვებს ბინაში მიიწვევდა და უჩვენებდა კინოსურათს „ჩვენი ეზო“, როგორც ეს ლევანმა თავის რე-ჟისორულ ნაწარმოებებს შეარქვა. ბავშვების სი-ხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც თავი-ანთ თავს ეკრანზე ხედავდნენ...

1971 წლის ივნისში ბატონ ლევანს ავადმყო-ფობამ ხელახლა დარია ხელი... ბავშვები ეზოში გამოფენილიყვნენ, გამოეტანათ ფინჯნები, ქი-ლები, ბოთლები, ვისაც კი რა მოხვედროდა ხე-ლში და მთელ ეზოს რწყავდნენ. ყველა ონკანი გაეღოთ, ყველაფერს ასველებდნენ; გავლა შე-უძლებელი იყო. ეზო მთლიანად ატალახებული იყო. ეზოს მკვიდრნი გაჯავრებული იყვნენ.

დედები და ბებიები ბავშვებს თავს დაესხნენ და ის-ის იყო ცოდვა-მადლის განკითხვა უნდა დაწყებულიყო, რომ ბავშვები ერთად შეჯგუფ-დნენ და უფროსების გაკიცხვას ერთხმად უპა-სუხეს:

— ჩვენ არაფერი არ დაგვიშავებია, ლევან ბიძიას ჰაერს ვუგრილებთ.

ლევანი ღია ფანჯარასთან ღრმად ჩაფლული სავარძელში ღიმილით უსმენდა თავისი პატარა მეგობრების საყვარელ ჟღურტულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი შატბერაშვილი 70

ერემია ქარელიშვილი

## სიცოცხლე გრძელდება

ჭეშმარიტი ხელოვანის ცხოვრების სრული გადმოცემა არავის ძალუძს; არც მე დამისახავს მიზნად ასეთი ამოცანა. მხოლოდ მეხსიერებას შემორჩენილი მისი პიროვნული ინდივიდუალობის რამდენიმე შტრიხი და პირადი ურთიერთობის ზოგიერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო.

მართალი გრძნობის მწერალი და უბადლო მოქალაქე, მეგობართა და მკითხველთა სიყვარულით განებივრებული და გალაღებული გიორგი შატბერაშვილი სიცოცხლით სავსე, ხალისიანი ბუნების კაცი იყო. მხატვრული შთაგონების მადლი და კაცური-კაცობა ორგანულად შერწყმოდა ერთმანეთს და მის პიროვნებას ღვთიურ ნათელს აყენებდა. მასთან შეხვედრა მუდამ სასიამოვნო იყო, ღია გულით შეგეგებებოდათ, ხალისით აგავსებდათ, სიცოცხლის ტრფიალით გაგათბობდათ. „ტკბილი სიცოცხლის ვარ სადღეგრძელო" — ამბობდა და ეს უბრალოდ მოქნეული პოეტური მეტაფორა როდი გახლდათ, ამით გულს სარქველს ხდიდა და მის სიღრმეში გახედებდათ...

გოგი, — ასე ვეძახდით მეგობრები შინაურულად, — როგორც მწერალი და მოქალაქე, მონოლითური პიროვნება იყო. მას საშინლად სძულდა გაორებული ადამიანი; რაც სჯეროდა, რაც სწამდა, იმას არასოდეს გადაუხვევდა, სამშობლოზე ლოცულობდა, სამშობლოს სიკეთისათვის, მისი ბედნიერებისათვის არაფერი ეშურებოდა. გოგი სამშობლოს განახლების ტრფიალად, სამშობლოს მეხოტბედ და სახელოვან წინაპართა საგმირო საქმეების მემკვიდრედ დაიბადა. თავისი მოქალაქეობრივი იდეალი პირველ ლექსებშივე მკაფიოდ გამოხატა. ახალგაზრდა პოეტმა თანატოლებს ასე მიმართა („წერილი ახალგაზრდებს", 1934 წ.):

ჩვენ ვართ შტოები გაზაფხულისა,
ჩვენ ვართ ლაჟვარდის პირველი ქება,
ჩვენ ვართ რიჟრაჟი სიჭაბუკისა,
წინ რომ მიუძღვის დაჭარმაგებას!
ჩვენ ვართ ქუხილის შემდეგ მოსული
ვარდ-მაისობის შხაპუნა წვიმა,
ჩვენ თავგანწირვის უდიდეს სურვილს
და ალტაცებას გაუტაცივართ!
. . . .
ჩვენ ვართ ფერები გაზაფხულის ჟამს
ცაზე გაჩენილ ცისარტყელების,
ჩვენ ავედევნეთ მათ გმირულ ნიშანს,
ვინც მიგვიძღოდნენ გზაზე ხვევლებით...
. . . . . . .
ვინც მოუხმობდა ყოველი მხრიდან
რჩეულ ვაჟკაცებს დროშების ირგვლივ,
ვინც გადალახა ბნელი კატორღა
და გიტანა ხალხში ნაჯახი!

გოგის ხანგრძლივად არ უცხოვრია. მისმა იალქანმა ფრთები რომ დაკეცა, სამოც წელს კარგად მიტანებული არც ყოფილა, შუახნის კაცი ძლივს ეთქმოდა. ეს მცირე გზაც მისთვის რთული გასავლელი აღმოჩნდა. ახალგაზრდობაშივე იწვნია ცხოვრების სიდუხჭირე და ავკაცობის სიმწარე. ყოველივე ამან მწერლის სულს ერთგვარი კვალი დააჩნია, გაუმხელი სევდა გაუჩინა, მაგრამ ვერ დათრგუნა მისი გულის სიკეთე, ვერ დათრგუნა ის მოქალაქეობრივი სიამაყე და შინაგანი ენერგია პოეტის არსებას იმედისა და რწმენის ელექსირით რომ კვებავდა,

---

* წიგნიდან, დაუვიწყარი შტრიხები.

ბოლომდე შეინარჩუნა გადამდები ხალისი და ოპტიმიზმი. ამის მოწმედ მისი ერთი ბოლოდროინდელი ლექსის სტრიქონები შეიძლება გამოგვადგეს:

ქუჩაში თბილი აპრილის დღეა,
სული კვამლივით მაღლდება ცამდე,
მე ისევ ვმღერი, გული მაქვს ღია,
მინდა მიყვარდეს და მინდა მწამდეს.

გიორგი შატბერაშვილის პიროვნებას სამშობლოს დღევანდელი და ხვალინდელი დღის სიყვარული აძლევდა აზრსა და მომხიბვლელობას. ეს მღელვარე პატრიოტული ვნება იკრებდა მეგობრებს, ამხანაგებს, შთააგონებდა და აღაგზნებდა მკითხველს მაღალი ზნეობრივი იდეალებით. „საქართველოს ცას თვალს ვერ ვაშორებ, თუ მოვაშორე, წამსვე მაჟრჟოლებს... მე მისი ეშხით ვარ ნამეხარი, ვარ მისი ულლის ალალი ხარი... მე მიყვარს მისი აწმყოც და ხვალეც..." ეს სტრიქონები შემთხვევით არ მოვიტანეთ. პოეტის ამ გულწრფელ თქმაში მისი ავტორის თავისთავადი, ინდივიდუალური კოლორიტის პიროვნებაც მოჩანს.

გიორგი შატბერაშვილი გიზიდავდათ ძველქართველური იერით. იგი ახოვანი რაინდის შთაბეჭდილებას ახდენდა, თვალში გეცემოდათ მისი ენერგიული გარეგნობა, ფიქრიანი გამოხედვა, მსხვილი ქართული ულვაშები, ცოცხალი, მოალერსე, მაგრამ ფხიზელი, თვითდამშვიდებას მოკლებული თვალები. უმალ მოგინადირებდათ დაუკმაყოფილებელი ინტერესით, მოულეველი მაძიებელი ვნებით, მამულიშვილური მღელვარებით, სიდინჯითა და სიდარბაისლით.

ახალგაზრდები უყვარდა, მათდამი ზრუნვა და დახმარება შინაგან მოთხოვნილებად ჰქონდა გადაქცეული. თუკი ვისმეს შემოქმედებითი ნიჭის ნაპერწკალს მაინც შეამჩნევდა, მისთვის დრო და ენერგია არ ეშურებოდა. ახალგაზრდებსაც სწამდათ მისი, აფასებდნენ და ენდობოდნენ მის დახვეწილ გემოვნებას, მხატვრულ ალღოს. ახალგაზრდა ავტორებს ხშირად ნახავდით მასთან სამსახურშიც, შინაც, ქუჩაშიც უხაროდა, უსაზღვრო სიამოვნებას განიცდიდა, როცა ხედავდა, მისი ზრუნვა ნაყოფს იღებდა, უკვალოდ არ იკარგებოდა. გოგის ეს ადამიანური თვისება განსაკუთრებული ძალით „ცისკარში" მუშაობის პერიოდში გამომჟღავნდა. მე არ მგონია იმ პერიოდში „ცისკრის" ფურცლებზე ფეხადგმული და დავაჟკაცებული რომელიმე მწერალი მის დალოცვას ასცდენოდა. რუბრიკა „ქაშნიკი" რედაქციაში მისი თაოსნობით შემოიღო და ეს სახელიც მან მოუძებნა. მე არ მახსოვს მეორე ადამიანი, რომელსაც შესძლებოდეს ნიჭიერი ახალგაზრდა კაცის ბედით ისეთი დაინტერესება და გატაცება, როგორადაც ეს გოგის შეეძლო. ასეთ ახალგაზრდაზე აღფრთოვანებით გვიზიარებდა თავის შთაბეჭდილებას და მისი პერსპექტივის შეფასებაშიც სიძუნწეს არ იჩენდა. ეს არ გავდა სასიამოვნო მოვლენით გამოწვეულ უბრალო აღფრთოვანებას, რაღაც უფრო მეტი იყო. ჭეშმარიტად მშობლიური სიხარული იგრძნობოდა. მაგალითისათვის, მარტო გურამ რჩეულიშვილის გახსენებაც კმარა. გურამ რჩეულიშვილის პირველ სტრიქონებშივე ჭეშმარიტი ნიჭი აღმოაჩინა და თავიდანვე შვილივით შეიყვარა, თანატოლივით გვერდში ამოუდგა და დახმარება არ მოაკლო... და როცა ეს დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა უდროოდ დაიღუპა, — ეს უბედურება ყველაზე მწვავედ გოგიმ განიცადა, ვერ მოისვენა, ვიდრე მის ხსოვნას ღირსეული ამაგი არ დასდო.

— ყოველი ნიჭიერი ადამიანი ეროვნული განძია, მისი დაკარგვა ერის დანაკლისია. — ამბობდა ხშირად.

გოგის თაოსნობით მაშინვე შეკრებილ და გამოცემულ იქნა რჩეულიშვილის მოთხრობებისა და ნოველების კრებული. კრებულს მანვე წარუმძღვარა იშვიათად გულთბილი წინათქმა და ჯერ კიდევ მთლიანად გამოუმჟღავნებელ, მხოლოდ ის-ის არის შეთვალებულ ნიჭს ქართულ მწერლობაში სიცოცხლე დაუმკვიდრა. გოგიმ თავის წერილებში (ორი წერილი უძღვნა გ. რჩეულიშვილს) გულისტკივილით გაგვახედა ამ უნიჭიერესი ახალგაზრდის გასავლელ დიდ გზაზე, რომელიც თითქმის სათავეშივე შეწყდა, დაგვანახა მისი შემოქმედების თავისთავადობა, სიახლე და სიღრმე აზრისა. ამ საოცრად თბილად და გზნებით დაწერილ წერილებში ცოცხლად დაგვიხატა ახალგაზრდა მწერლის მხატვრული აღქმის ძალა და მამულიშვილური გზნება.

* * *

არ იფიქროთ თითქოს მხოლოდ სიყვარული იცოდა ასეთი საგულდაგულო, წრფელი და ძლიერი. კეთილი გული ჰქონდა, იშვიათად აწყენინებდა ვისმეს, სხვისგან წყენასაც მალე ივიწყებდა, სიავის გადახდა არ იცოდა, მაგრამ არ უყვარდა ყოყოჩი და თავისთავზე გაზვიადებული წარმოდგენის, თვითდაჯერებული ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდა, რომელიც ორიოდე საშუალო ღირსების ნაწარმოებს გამოაქვეყნებდა თუარა, ცხვირს მაღლა ასწევდა და ცა ქუდად აღარ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ასეთი ახალგაზრდის ნიჭის როგორი პატივისმცემელიც უნდა ყოფილიყო, გუნება შეეცვლებოდა, ჯერ შორიდან მიანიშნებდა და თუ ამით არაფერი გამოვიდოდა, პირდაპირ თქმასაც არ მოერიდებოდა.

მაგონდება ერთი დამახასიათებელი შემთხვევა. ახლო მეგობრები შინ მიგვიპატიჟა, ჩვენს შორის დიდი სამამულო ომის შემდეგ გამოსული რამდენიმე ახალგაზრდა მწერალიც ერია. ერთი მათგანი, რომელსაც უკვე მოესწრო რამ-

დენიმე მცირე მოცულობის მოთხრობა გამოექვეყნებინა, პირველი წარმატებებით გაყოყოჩებულიყო და სუფრაზე გამომწვევად ეჭირა თავი; გოგის მოთმინების ფიალა აევსო, რამდენიმეჯერ სხვებისათვის შეუმჩნევლად აგრძნობინა შეუფერებელი საქციელი. როცა ვერაფერს გახდა, მერე პირდაპირ საყვედურსაც არ მოერიდა... სუფრას ბზარი გაუჩნდა. თამადამ სადღეგრძელოები მაშინვე მოამრგვალა.

. მეორე დღეს მითხრა:

— ნიჭიერი კაცია, მაგრამ ჭირვეული და ძნელად შესაგუებელი ყოფილა. ოჯახში ჩემთან ეგ უკანასკნელად იყო.

* * *

არ შეიძლება გოგი არ შეგეყვარებოდათ თავისი პრინციპულობით, ხასიათის მონუმენტურობით. ქებაშიც და აუგშიც გულწრფელი და მართალი იყო, არ შეეძლო ის ექო, რაც არ მოსწონდა, ის ეთქვა, რასაც არ ფიქრობდა, ემტკიცებია, რაც არა სწამდა. ხასიათის ამ თვისებითაც საერთო სიმპათიით სარგებლობდა.

* * *

ადამიანის ბუნება ყველაზე კარგად მოგზაურობის დროს მჟღავნდება. აქ იგი უაღრესად უშუალოა, გულღია და ადვილად იხედებით მის სულში. გოგის მოგზაურობა ძალიან უყვარდა, ისე მეჩვენებოდა, თითქოს ქალაქის ერთფეროვან მყუდრო ცხოვრებას დიდხანს ვერ ეგუებოდა. როცა თბილისიდან გადიოდა, მისი პოეტური სული უჩვეულოდ ლაღობდა. სოფელი შემოქმედებითად მუხტავდა, სოფლის ბუნების სილამაზით ხარობდა და გლეხის გულუბრყვილობამდე მისული ადამიანური უშუალობით იხიბლებოდა. თემატიკურადაც და ტკივილ-სიხარულის მოტივებითაც მწერალს სოფელი კვებავდა. სამშობლოზე შეყვარებული პოეტის მუზა უჩვეულო ეშხს იძენდა, როცა ქართლის სანახებს, მის მოხატულ მთებსა და ველებს გასცქეროდა, ქართლის ისტორიულ ძეგლთა სიუხვეში მთელი საქართველოს წარსულის დიდებასა და მშვენიერებას ჰვრეტდა... განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებდა მამა-პაპათა სავანე— თვალადი. ეს სიყვარული სულ სხვა ინტიმით სუნთქავდა. თვალადის სანახებს თვალს რომ გააყოლებდა ხოლმე, ამბობდა:

— აი რამ გაალვივა ჩემში პოეზიის ნაღვერდალი, მშვენიერების შეგრძნება.

მისი მეგობრები, რომლებიც ხშირად ვყოფილვართ მასთან თვალადში, დავრწმუნებულვართ, რომ ეს მისეული შემთხვევით ნათქვამი ფრაზა არ იყო.

ერთხელ მატარებლით გორისაკენ მივემგზავრებოდით. გაზაფხული იყო, ძალიაში ახლად შესული გაზაფხული! მიწას გამოეღვიძა, მინდორი მწვანით იმოსებოდა და ახლად აფოთქებული ბალახის სურნელება ვაგონის [illegible] წევდა. ამხანაგები საუბარში [illegible]ლი, ვერც კი შევნიშნეთ როგორ მივუახლოვდით კავთისხევს. გოგი უცბად გამოგვეყო, ფანჯარასთან მივიდა და მოგვაძახა — მოდით, გახედეთ; დატკბითო, თან თავისი ლექსი წამოიწყო:

მე მიყვარს შენი გოროზად
გამოძზირალი ქედები,
უბერებელი მთები —
იბერიელთა ედემი...
მინდვრები, მარად ღუღუნში
დაბერებული ქედები,
და ტოროლები წკრიალით
ცადასვლის მოიმედენი...

გიორგი ნატროშვილმა უცებ მოხედა გოგის, ისიც ფანჯარასთან მიიჭრა და მისი ლექსის სტრიქონები გააგრძელა:

შენი მარტი და აპრილი,
შინდების ფერიცვალება,
ბლებზე გასული ქალები,
ვაქები ძერისთვალება,
ჩამობერტყილი კაკლები,
ჩაბარუხების შხეფები,
ორლობეებში მამლები
და ხარითვალა მყეფრები...

გოგიმ, თითქოს მეგობარს სცდისო, უცბად გადაინაცვლა, იგივე ლექსი აღარ გააგრძელა და სხვა წამოიწყო:

შენ ხარ უკვდავი ვენახი,
გჩეხეს და მაინც ვენახობ,
ნატრობდნენ მამა-პაპანი:
აყვავებულიმც გვენახო!

„პაექრობამ" მგზავრებში მხიარულება გამოიწვია, ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ მათ... შესანიშნავი მეხსიერების ნატროშვილს საყვარელი პოეტების ლექსები ყოველთვის მომარჯვებული აქვს...

* * *

მიწურული შემოდგომის თბილი, მზიანი კვირა დღე იყო. დილით ადრეანად ერთმანეთს გამოვეხმაურეთ და რუსთაველის გამზირზე გავედით სასეირნოთ ალექსანდრე გომიაშვილი, გიორგი ნატროშვილი, გოგი შატბერაშვილი და მე... სულ ხუთ წუთს არ გაევლო, რომ გოგიმ გვითხრა:

— ასე სიარულს რა აზრი აქვს. მოდით თვალადში წავიდეთ!

— არა, იქიდან დღესვე ვეღარ დავბრუნდებით, — მიუგო ნატროშვილმა.

— ლამისყანაში წავიდეთ, კოლმეურნეობის თავმჯდომარე არჩილ ლუდუშაური მეგობარი

კაცია და „ქიას გავახარებთ“, იქიდან კი დღესვე ოილად დავბრუნდებით, — გვითხრა გომიაშვილმა... გოგის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაშინვე სადგურისაკენ გავსწიეთ. ლამისყანაში მშვენიერი მასპინძლები შეგვხვდნენ. პირველად სახელოვანმა კოლმეურნე ქალმა საკუთარ მარანში შეგვიწვია, რამდენიმე ქვევრს მოხადა და ქაშნიკი გაგვაშინჯა, ვიდრე პურმარილი გაიშლებოდა, მოსწავლე ახალგაზრდობას შევხვდით, ლიტერატურაზე ვესაუბრეთ, მერე სოფელი მოვიარეთ, გულდასმით დავათვალიერეთ ის წყარო და ადგილი, საიდანაც ლექსმა დავით გურამიშვილი გაიტაცეს. დაწვრილებით გამოვკითხეთ, რაც კი გადმოცემით ჯერ კიდევ შემორჩენილიყო ლამისყანელ მოხუც გლეხთა მეხსიერებას დავით გურამიშვილის შესახებ.

გოგი, დაადგა თუარა ფეხი კასპის მიწას, მაშინვე კუთხის ბულბულად იქცა, მღეროდა, ლექსაობდა, ეტრფოდა ცასა და მიწას, ირგვლივ სიყვარულს აფრქვევდა.

* * *

იანვრის პირველი დღეებია. გიორგი ზაუტაშვილმა, მეცნიერმა და ლიტერატორმა, თავის სოფელში — ბერშუეთში დაგვპატიჟა.

ბერშუეთი გორის რაიონის ერთ-ერთი ძლიერი სოფელია. გორიდან 17-18 კილომეტრით არის დაშორებული. ნახევარი სოფელი ფერდობზეა შეფენილი, მის წინ ხელისგულივით გადაშლილი ტირიფონას ველი ზაფხულობით ათასფრად იხატება. სოფელი, რომელსაც შუაზე ხევის მდინარე ბერშოულა ჩამოუდის, თვალს იტაცებს სუფთა ეზოებითა და ბაღ-ვენახებით, ლამაზი აივნიანი სახლებით, კოტეჯებს რომ ჰგვანან.

იანვარი სოფლად სტუმრობისათვის სანატრელი დროა, სამუშაო ყველას დიდიხანია მოთავებული და მოსავალი დაბინავებული აქვს. ყველა ოჯახში ზამთრისათვის საგანგებოდ გასუქებული ღორები იკვლება და მარანშიც ქვევრებს მოსვენება ეკარგებათ.

აბეზარი ზამთრის სუსხიანი დღეები იდგა. თოვლით მიწა თხლათ იყო მოფენილი და ყინავდა. ცოტა ფეხი ავითრიეთ, რაღაც მიზეზები მოვიგონეთ და ილიას თავაზიანი უარი ვუთხარით... მაგრამ უარი არ გაგვივიდა. გოგიმ ყველას სათითაოდ ჩამოგვიარა, შეგვყარა და გზას დაგვაყენა. გორამდე მატარებლით ხალისიანად ვიმგზავრეთ (მივდიოდით ალიო მირცხულავა, გიორგი ნატროშვილი, გიორგი შატბერაშვილი, ვასილ ბაიაძე და მე) ვაგონში თბილოდა, ზამთრის სუსხი არ გვაწუხებდა. გორიდან ბერშუეთამდე ღია მანქანით ვიმგზავრეთ, ცივმა ნიავმა სასიამოვნო მოლოდინი გაგვიმწარა, ალიომ ბუზღუნისა და საყვედურების გუდა მოხსნა. გოგი ყველაფერს სიცილსა და ხუმრობაში ატარებდა, მხიარულ ანეგდოტებსა და ხალხურ შაირებს ყვებოდა, მღეროდა... ამ მხიარულებაში აგვიყოლია, ბერშუეთში ისე [illegible] განვლილი მანძილის სიშორე არც გვიგრძვნია.

ის ღამე ზაუტაშვილების ოჯახში გავატარეთ. ხვავიან სუფრაზე მეზობლებიც ჰყავდათ მოწვეული, იყვნენ ახალგაზრდებიც და ხანში შესული გლეხებიც. სხვა შემთხვევაში თუ გოგი ახალგაზრდებსა და თანატოლებს აირჩევდა, ახლა ხანშიშესულ გლეხებში ჩაჯდა და ძალიან მოილხინა, წამოიწყებდა ხოლმე ძველ ხალხურ სიმღერას და მეზობლებსაც აიყოლიებდა. თუმცა მაინცდამაინც ისე რიგად არ ეხერხებოდა სიმღერა, მაგრამ სუფრაზე უიმისოდ არ გაესაძლისებოდა. მთელი გულით მოილხენდა, როგორ საზოგადოებაშიც უნდა მოხვედრილიყო, ყურადღების ცენტრში მოექცეოდა, მოსწრებული სიტყვა და კალამბური არ აკლდებოდა, გადამდები სიცილი იცოდა, — ალალი და სალი სიცილი. თავისი ასეთი უბრალოებით ყველას გული მოინადირა. დროდადრო ცდილობდა ინიციატივა ლამხვდურთათვის დაეთმო, მათგან მოესმინა სიმღერაც, საუბარიც. გლეხების სიმღერასა და საუბარს აქტიურად ასდევდა, ფიქრიანად ადევნებდა ყურადღებას, რათა მისთვის უცნობი, ამ კუთხის ჩვევათა და მეტყველების, ლექსიკის რაიმე თავისებურება არ გამორჩენოდა. ქეიფის აზარტში შესულსაც არ ავიწყდებოდა თავისი უბის პატარა წიგნაკი, რაც მუდამ თან დაჰქონდა და წარა-მარა მოიმარჯვებდა ხოლმე.

სუფრაზე არც სხვები გამოვირჩეოდით დიდად, მაგრამ თავისი სიდინჯით რეკორდი ალიო მირცხულავამ დაამყარა. იჯდა ჩვეულებრივად ოდნავ თავაწეული, სახეზე მალული ღიმილით. დროდადრო სუფრას თვალს მოავლებდა, მეზობელს რაღაცას გადაუჩურჩულებდა და ისევ ყურადღებით გაირინდებოდა. ენაძვირობდა. მისი სიტყვა მხოლოდ სადღეგრძელოების დროს აჩენდა თავის ფერსა და ფხას. ეს ყველაფერი ალიოს ჩვევად ჰქონდა გადაქცეული, თორემ იგი გულჩახვეული კაცი როდი იყო. მხიარულებაც უყვარდა და ხუმრობაც იცოდა...

ალიომ სადღეგრძელო რომ დაამთავრა, გოგის გვერდით ჩჯდომმა მოხუცმა გლეხმა ჰკითხა:

— ეგ დიდი რა გვარია?

გოგის გაეღიმა და მიუგო:

— ეგ ცნობილი პოეტი ალიო მირცხულავაა.

მოხუცმა თავისთვის ჩაილაპარაკა — ხომ ვთქვი, არ მოვტყუებულვარ, დიდი ყოფილა.

გოგიმ უცბად იცოდა გაშინაურება, სუფრიდან რომ ავიშალენით, მოხუცმა გოგი გვერდით გაიხმო და სთხოვა — ხვალ ჩემს ოჯახში უნდა მობრძანდეთ, შვილიშვილთ მორიელი ვარ და თქვენი სტუმრობა დიდად გაეხარდებათო.

იმ ღამეს გვიან დავიძინეთ. მეორე დილას გოგი მაინც ადრიანად ამდგარიყო, ჩვენ რომ ავდექით, იგი უკვე ხალხში იდგა, საუბრობდა,

ბლოკნოტი ეჭირა ხელში და რაღაცას იწერდა...

ის ღამეც სხვადასხვა ოჯახებში გავათენეთ და დილით გორისაკენ წამოვედით. გოგი მხიარულ გუნებაზე იყო, თბილისისაკენ არ მიეჩქარებოდა, ჩვენც რომ ავეყოლიეთ, გვითხრა:

— ცოტა უხერხული იქნება, ბერშუეთში ვიყავით და ყელქცეულს გვერდი ავუხვიეთ, ოთარ ჩხეიძეს რა პირით შევხედოთ, ეწყინება.

მოხდენილი საბაბი გამონახა. ხასიათი არ წავუხდინეთ, თორემ ყველას თბილისისაკენ მიგვეჩქარებოდა... ცხინვალის მატარებლით ყელქცეულისაკენ გავწიეთ. გოგი გახალისდა, მხოლოდ ალიო იჯდა მშვიდად, ვერ გაიგებდით სიამოვნებდა თუ სწყინდა ჩვენი გადაწყვეტილება. გოგი, ვიდრე თბილისში ჩამოვიდოდით, ალიოს ახლად შერქმეული სახელით მიმართავდა — ჩვენო დიდო, ნუ დაფიქრებულხარ, ყელქცეულში უკეთეს დროს გავატარებთო, ალიოს არ სწყინდა ასეთი მიმართვა, ხუმრობას ბანზე აგდებდა და სახეგაბადრული ქართლის სანახებს გასცქეროდა.

შუადღეს კარგად გადაცილებული იყო სოფელ შინდისის სადგურზე მატარებელი რომ გაჩერდა. აქედან ყელქცეულისაკენ ფეხით უნდა წავსულიყავით. აქეთ-იქით ცნობისმოყვარეობით ვიხედებოდით და ვეძებდით, იქნებ ვისმეს დავმგზავრებოდით, მაგრამ მატარებლიდან ჩვენს მეტი თითქმის არავინ გადმოსულა. ამ ფიქრში და საუბარში რომ ვიყავით, ერთი დამხვდური ახალგაზრდა, გვარად აფციაური მოგვიახლოვდა, უცხოები რომ შეგვიცნო, გვკითხა, — ყელქცეულში ხომ არ მიბრძანდებით, ალბათ ჩვენი ოთარის სტუმრები იქნებითო, და თან გულისტკივილით დაუმატა, — ოთარი ამ დილით წავიდა თბილისშიო.

ამ სიტყვებმა ალიოს საბაბი მისცა და გოგი საყვედურებით აავსო; აფციაურს ალიოს სიტყვებზე გაეცინა და რიხიანად განაგრძო:

— ეგ არაფერია, ოთარის დედა ისეთი ქალია, რომ უოთარობას არ გაგრძნობინებთ. ესეც რომ არ იყოს, ოთარის სტუმრები ჩვენი სტუმრებიც არიან, მისი მეზობლები უპატივცემლოდ არ გაგიშვებთ.

მე და გოგი ოთარ ჩხეიძესთან სოფელში მრავალჯერ ვყოფილვართ და მის დედას კარგად ვიცნობდით. იშვიათი ქართველი ქალი იყო, სწორედ ისეთი, ჩვენს კლასიკურ მწერლობაში რომ შეგხვდებათ — მხნეობით სავსე პატრიოტი, გამრჯე და თავგადადებული მეოჯახე, მეზობელთა მოსიყვარულე და შვილებისათვის შეწირული. ოთარის მეგობრები თავის შვილებად მიაჩნდა, მათი სტუმრობით უსაზღვროდ ხარობდა.

გოგი გაგვიძღვა წინ. ჩვენ რომ მივედით, ოთარის დედა უკვე მასპინძლის თადარიგს შედგომოდა. აფციაურიც იქვე ტრიალებდა...

შუაღამე იწურებოდა ყელქცეულიდან რომ წამოვედით. ოთარის დედამ თუნგიანი საღვინე გაგვივსო, ცოტაოდენი მისაყოლებელიც შეგვახვია და გვითხრა — ამას გზის შესამსუბუქებლად ეწოდება, ისე ჩახვალთ თბილისამდე, მანძილს ვერ იგრძნობთო. ასეც მოხდა.

აშენდას სადგურამდე აფციაურმა მოგვაცილა.

* * *

მრავალთაგან კიდევ ერთი გახსენება.

ყელქცეულში ხშირად ყოფილან ქართველი მწერლები — გიორგი ლეონიძე და სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ აბაშიძე და დემნა შენგელაია, აკაკი ბელიაშვილი და ირაკლი აბაშიძე, რევაზ მარგიანი და ალექსანდრე გომიაშვილი... თითქმის ყველას უნახავს ეს კოლორიტული ქართლური კარმიდამო, მამა-პაპეული ფუძე აქაური ჩხეიძეებისა. ოთარი საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა და მისი სოფლისკენ ყველას სიამოვნებით მიუწევდა გული.

მიწურული შემოდგომის თბილი, მზიანი დარი იდგა. ოთარის დავალებით გოგიმ მეთაურობა გაგვიწია და ერთ კვირა დღეს ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, გიორგი ლეონიძე, ვახტანგ ჭელიძე და მე ყელქცეულში ჩავედით. ოთარს განსაკუთრებით ლეოს სტუმრობა ესიამოვნა. განსაკუთრებით-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ გერონტი და გოგლა მოგზაურობის მოყვარულნი იყვნენ, ლეო კი იშვიათად დაიძროდა ხოლმე თბილისიდან. „მოხუცებმა" დიდად ისიამოვნეს, ცოტა რომ შეისვენეს, მაშინვე მინდორში გავიდნენ, ვენახები და ხილის ბაღები დაათვალიერეს.

ბაღ-ვენახებიდან შინ რომ დავბრუნდით, ახლად აგებული, ჯერ კიდევ საბოლოოდ დაუმთავრებელი ორსართულიანი სახლის პირველ სართულში გამართულ მარანში შევედით. მარანში კომშის ისეთი ძლიერი სუნი იდგა, რომ გარეთ, ეზოშიც მძაფრად იგრძნობოდა. სწორედ ამ დამათრობელმა სურნელებამ მიგვიზიდა. მარანი შემოდგომის ბარაქით სავსე იყო. კედლებზე კომშისა და ვაშლის გალები ეკიდა. ლასტებზე კი ჩირი და კერკი ეფინა. კარმიდამო ხეხილს ისე დაეფარა, რომ მეორე სართულის აივნიდანაც ეზოს მეტი არაფერი მოჩანდა.

იმ ღამეს ლეო, გერონტი და გოგლა მეორე სართულის ფართო ოთახში რბილ საწოლებზე მოასვენეს, ჩვენ, გვერდით პატარა ოთახში იატაკზე ხალიჩა გავშალეთ. გოგი იწვა, მაგრამ არ იძინებდა. ყურადღება გვერდით ოთახისაკენ ჰქონდა მიქცეული. იქნებ რამე დასჭირდეთო. ძალიან ზრუნავდა მათზე. ჩვენც ძილი გაგვიტყდა. ვსაყვედურობდით — იმათ მშვიდად სძინავთ, ჩვენ კი ძილს ვიფრთხობთ. ამ საყვედურში რომ ვიყავით, გოგის კარის ხმა შემოესმა, სწრაფად წამოდგა და აივანზე გავიდა. აივანზე გერონტი გამოსულიყო და ჩვენ გვეძებდა.

— ყმაწვილებო, სადა ხართ, მეც თქვენთან მინდა ყოფნა, — უთხრა გოგის.

— არა, ბატონო გერონტი, ჩვენთან ვერ მოისვენებთ, ჩვენ იატაკზე გვიგია ლოგინი, — მიუგო გოგიმ.

— არა, თქვენთან მინდაო, — ამბობდა. შემოვიდა ოთახში, ხალიჩაზე წამოწვა. ჩვენ გვერდით მივუწექით. არ იძინებდა. ათას რამეს გვიყვებოდა და თან სასიამოვნოდ ხითხითებდა, შემდეგ მოიგონა ქართლის სოფლებში მოგზაურობის ძველი ამბები, გაიხსენა ძველი მეგობრები, რომლებიც უკვე ცოცხალნი აღარ იყვნენ. ძალიან მოსწონდა სოფლის იდილია. — როდესაც ქალაქიდან გავდივარ, ბუნების წიაღში მთელი არსებით ვმშვიდდებიო. მოხიბლული იყო აქაური გლეხკაცობის სუფთა ქართულითა და დარბაისლური კილოთი. ქართლი პირველი იცავდა მშობლიური ენის სიწმინდეს, იგი აუმღვრევლად შემოგვინახაო.

ეს ევროპულად განათლებული და დიდად ერუდირებული ადამიანი, რომელსაც ცხოვრების ვრცელი და საინტერესო გზა ჰქონდა გავლილი, რომელიც შეხვედრია და უმეგობრია მეოცე საუკუნის გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეებთან, მწერლებთან — გასაოცრად თავმდაბალი გახლდათ, გიზიდავდათ დიდი კულტურითა და წარმოუდგენელი სისადავით, სიკეთითა და გულითადობით. მას შეეძლო ახალგაზრდებთანაც ისეთივე უშუალო ურთიერთობა დაემყარებინა, როგორც თანატოლებთან. საშუალებას გაძლევდათ მასთან თავისუფლად გესაუბრათ. ამ თავისუფლებით ყველაზე მეტად ამჯერად გოგი და ოთარი სარგებლობდნენ. მათ გერონტი დიდად აფასებდა. რაკი ძილი გაგვიტყდა, გათენებამდე საუბარში ვიყავით გართული. გერონტი ძალიან კარგად იცნობდა ევროპისა და ქართული ხელოვნების უძველეს ძეგლებს, ლიტერატურას, მხატვრობას, არქიტექტურას. საქართველოს ისტორიული ძეგლები მრავალჯერ ჰქონდა ნახახი და მათი ყოველი დეტალი იცოდა. გოგი კითხვებით არ ასვენებდა. ისიც ხალისით აძლევდა ამომწურავ პასუხს. „კითხვა-პასუხში" ისე შემოგვათენდა, ვერც კი გავიგეთ, გოგლას ბუხუნმა გამოგვაფხიზლა. აივანზე გამოსულიყო და გერონტის დაეძებდა.

* * *

გოგი ბუნებით მხნე და ხალისიანი პიროვნება გახლდათ. თვალს მოგკრავდათ თუარა, სახეზე ღიმილი აუთამაშდებოდა და მაშინვე მიხვდებოდით, რომ რაღაცა უხაროდა, რაღაც ახალ სასიამოვნო ამბავს გაგიზიარებდათ. სამწუხაროდ, მას ცხოვრებაში უსიამოვნო შემთხვევებიც არ აკლდა და ასეთ დროს თითქმის მთლიანად შეიცვლებოდა, მოდუნდებოდა, ფიქრებში წასულს სიარულშიც ერთგვარი სითამამე აკლდებოდა, უმალ იგრძნობდით, რომ მოძალებულ სევდას ვერ მორეოდა... ასეთ შემთხვევაში უბრალო ხელისშეშველებაც საკმარისი იყო, რომ მაშინვე ჩვეულებრივი სულიერი სიმხნევე დაბრუნებოდა.

ერთი ასეთი შემთხვევა მინდა გავიხსენო. ძალიან ახლო მეგობრობა გვქონდა. ერთმანეთს გულღიად ვუზიარებდით საკუთარ ფიქრებს, უაღრესად პირადულ საიდუმლოებასაც, არაფერს არ მიმალავდა, პირიქით, მენდობოდა და ჩემს რჩევასაც დიდ ანგარიშს უწევდა.

დღის მიწურული იყო. შინიდან ის-ის იყო გამოვედი (ვცხოვრობდი ყაზბეგის ქუჩაზე) რომ ზემოდან მომავალი გოგი დავინახე (ის მაშინ არაგვის ქუჩის თავში ცხოვრობდა). დამიპირისპირდა, — შენთან მოვდივარო, — მეტად დუნედ მითხრა. სახეზე ჩვეულებრივი ღიმილი ველარ შევამჩნიე, ოდნავ ფერმკრთალიც მეჩვენა. ვთხოვე შინ შევსულიყავით, მაგრამ უარი მითხრა, — არა, ცოტა გავიაროთ ჰაერზე, ასე სჯობიაო.

კიროვის პარკში ერთ მყუდრო სკამზე ჩამოვჯექით. ველოდი, რას მეტყოდა ასეთ შემაწუხებელს. ის დუმდა, თითქოს თავისთავს ებრძოდა, იტანჯებოდა, — გავუმხილო თუ არაო.

— რაღაც ძალიან გაწუხებს, ისეთი რა არის, რომ ჩემთან თქმა გიჭირს. თქვი, იარას გზა მიეცი, გულს მოგეშვება, შეიძლება საქმესაც უფრო იოლად ეშველოს, — ვუთხარი.

— უნდა ყველაფერი გითხრა, სწორედ ამიტომ მოვდიოდი შენთან საგულდაგულოდ, შენი რჩევა მინდა.

პირველი სიტყვები ძლივ-ძლივობით ამოღერღა, შემდეგ კი მთლიანად გამიხსნა გული...

მართლაც დამაფიქრებელი შემთხვევა იყო... მე გავუოლე. უმნიშვნელო ამბავად ჩავთვალე და ღიმილით მივუგე — მაგან როგორ შეგაწუხა, ეგ ხომ სულ უბრალო საქმეა-მეთქი. შენი ხასიათის სიმტკიცე და ნებისყოფა რომ ვიცი, მაგას იოლად მოუვლი, მთლიანად შენზეა დამოკიდებული-მეთქი და ავუხსენი როგორ უნდა მოქცეულიყო. ცოტა დაფიქრდა, ნელ-ნელა დამშვიდდა, სახეზეც ფერი შეეცვალა.

— ვითომ გამოვა ეგრე? — ოდნავ ეჭვნარევად მითხრა.

— გამოვა.

— ვნახოთ. ვითომ არაფერი მითქვამს... ახლა თითო ჭიქა მოგვიხდება, — ხელი მომკიდა და უხმოდ ლენინის ქუჩას გავუყევით. „გემოში" შევედით.

მეორე დღეს აღარ შევხვედრივართ. მესამე დღეს თვითონ მივაკითხე შინ. თვალი მომკრა თუარა, სიცილი აუვარდა. თითქოს ზურგიდან მძიმე ტვირთი მოეხსნა, ჩემს წინაშე ჩვეულებრივი გოგი იდგა — წელში გამართული და მხიარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გოგი მეგობრობაში მგრძნობიარე ადამიანი იყო, შემოქმედებაში კი — გულწრფელი. ყველაფერი, რასაც აკეთებდა სიყვარულით აკეთებდა, შიგ ხალას განცდას და მართალ გრძნობას დებდა. სწორედ ეს მართალი გრძნობა თანამედროვე ადამიანის ჭეშმარიტ პატრიოტიზმს განუყოფლად აკავშირებდა წარსულის საუკეთესო ტრადიციებთან. ჭეშმარიტ პატრიოტად მას ის მიაჩნდა, ვისაც შეუძლია თანამედროვეობის გონივრული კავშირის დამყარება ხალხის წარსულთან და მომავალთან, ვისაც გააჩნია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიული შეგრძნება.

ამიტომ იყო, რომ თანამედროვე თუ ისტორიული თემები მის შემოქმედებაში ერთნაირი პატივისცემით სარგებლობდა. თანამედროვე და ისტორიული ხასიათები ერთნაირად დამაჯერებელი და სახიერნი იყვნენ, მათ არც სითბო აკლდა და არც ცხოვრებისეული კოლორიტი, დროის გრძნობა. ეს იმიტომ, რომ ისინი, როგორც თანამედროვე, ისე ისტორიული გმირები, ავტორის გულის სისხლით იკვებებოდნენ.

გოგი საოცრად ელოლიავებოდა თანამედროვე გმირის — გლეხის, მუშისა და ინტელიგენტის მღელვარე ფიქრებს, სიხარულსა და ტკივილებს, კარგად ხედავდა, რაც დრომ შესძინა მის სულს, მაგრამ თითქმის ყოველთვის ახსოვდა „ვისი გორისანი იყვნენ“.

ჩემი მიზანი არ არის, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, შატბერაშვილის შემოქმედების ანალიზი, მაგრამ მოყვანილი დებულების საილუსტრაციოდ მაინც მინდა ერთი მაგალითი შემოგთავაზოთ. როდესაც ჩვენმა ვაჟკაცებმა ფაშისტური ურჩხული გაანადგურეს და სამშობლოს თავისუფლების სხივი მოჰფინეს, შინ გამარჯვებით დაბრუნებული გმირი პოეტმა პაპათა საფლავებთან მიიყვანა და ომახიანად ჩასძახა:

პაპებს ვახარეთ...
ყიჟინით სასაფლაოზე გავედით,
ჩავძახეთ,
ავახმიანეთ დადუმებული შავეთი...
გაიგეთ, ბერიკაცებო,
მამულს სწვევია დიდება!
ვაშად მოვედით,
ბებერ ძვლებს
ელდის არ შეეშინდებათ!
ადექით, წამოიხედეთ,
ეს ვისი ლანდი დაგხარით?!
დაიჩოქეთ და მოხადეთ
მამაპაპური თადარი.
ვაჟკაცი დაბრუნებულა,
თქვენი ფესვების ნაყარი,
ბრძოლაში გამარჯვებული
და თქვენით ნაამაყარი,
თქვენ რომ წახვედით, მას შემდეგ
დაირწა მისი აკვანი,
მან არც სიცოცხლე იცოდა,
და არც სიკვდილის ანბანი,
თქვენი ჭაბუკები მოირგო,
შინ ჯდომას ბრძოლა არჩია,
ის ჩვენი დიდი სამშობლოს
სინათლემ გადაარჩინა

გოგი სიცოცხლესა და სიყვარულს ეტრფოდა, ლაღსა და თავისუფალ სიყვარულს. ძალიან მოსწონდა ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობის სიტყვები და ხშირად იმეორებდა:

„რად მინდა სხივი მზის, თუ იგი საყვარლის სახეზე არ კიაფობს?

რას ვაქნევ მთვარიან ღამეს, თუ ოცნებით სავსე ვერ წავალ წყლის პირათ „ფიქრთ გასართველად“.

თანამედროვე პროზის ოსტატებიდან განსაკუთრებით აფასებდა მიხეილ ჯავახიშვილს და ნიკო ლორთქიფანიძეს. ისინი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებოდნენ სტილური თავისებურებებითაც და ესთეტიკური პრინციპებითაც, მაგრამ შატბერაშვილს იზიდავდა მათი სწორუპოვარი სიყვარული, თანმიმდევრობა. ჯავახიშვილისა მოსწონდა ისტორიული სიმართლის გრძნობა, ხასიათების სიმკვეთრე, ლაღი თხრობა და ენის იშვიათი სისადავე, ამაღლებული ხალხურობა, ხასიათების ზუსტი შტრიხების პოვნა, მათი მასშტაბური წარმოჩენა. ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში ხიბლავდა იშვიათი ლაკონიურობა, აზრის ტევადობა და ისტორიული თუ თანამედროვე მასალისადმი თავისუფალი დამოკიდებულება, შორეული ტრადიციების მძლავრი შინაგანი ექო. თავისი თაობის მწერლებიდან განსაკუთრებით აფასებდა გრიგოლ აბაშიძეს, დიდი აზრისა იყო მის შემოქმედებაზე, კერძოდ პოემებზე, რომლებშიც ქართული კლასიკური პოეტური ეპოსის ტრადიციების შემოქმედებით განვითარებას ხედავდა. როცა გრიგოლ აბაშიძემ ისტორიული რომანების გამოქვეყნება დაიწყო, მახ თქვა:

— აი ასე ღონივრად უხდა მწერლობაში მოსვლა!

* * *

სიცოცხლითა და იმედებით სავსე გოგი ხვალინდელი დღით ცხოვრობდა. საკმაოდ ხვავიანი იყო, მაგრამ მაინც მოუსვენრობდა, მეტის გაკეთებაზე ოცნებობდა... თვითონაც და მის მეგობრებსაც იმედი ჰქონდათ, რომ ქართულ საბჭოთა პროზას ახალი ძარღვმაგარი რომანებით გაამდიდრებდა. ამის ღრმა რწმენა „მკვდრის მზემ“ განამტკიცა. საამისოდ უკვე ოსტატობაც შესწევდა და გამოცდილებაც...

გოგი იმედის კაცი იყო, მოძალებული სევდის დროსაც კი შიში არ იცოდა, გულს არ გაიტეხდა. სიკვდილზე არ ფიქრობდა, თუმცა ძალიან ხშირად უყვარდა სიკვდილ-სიცოცხლეზე ფი-

ლოსოფიური მსჯელობა. სიკვდილს ირონიულად უყურებდა, — სიკვდილი სიცოცხლის აუცილებელი ფინალია და ადამიანები მას ტრაგიკულად არც უნდა განიცდიდნენ. სიკვდილი ყურს უკან არის ატუზული, ჩვენ დანდობილად ვდგავართ, ვიცინით, ხვალინდელზე ვფიქრობთ... არავინ უწყის, ვის უფრო ადრე მოჰკიდებს ხელს, ვის უფრო ადრე წაიყვანს მოუსავალში — ჯერ სიცოცხლით დაუმტკბარ ჭაბუკს თუ სიცოცხლეგამწარებულ ბერიკაცს, — ამბობდა გულმშვიდად.

გოგის მთელი შემოქმედება სიცოცხლის ტრფიალით არის გაჟღენთილი. თვით „მკვდრის მზე“, სადაც ცრემლიც უხვად იღვრება და ოხვრაც ხშირად გაისმის, ოპტიმისტური, სიცოცხლისა და სიყვარულის მადიდებელი ნაწარმოებია.

მაშინაც, როცა სიკვდილთან ბრძოლაში გათანგული სარეცელზე იწვა, თავის ხვალინდელ ნაწარმოებზე ფიქრობდა. — შენზე მოთხრობა უნდა დავწეროო, — ეუბნებოდა ახლო ნათესავ ქალს, დღედაღამ თავზე რომ დასტრიალებდა...

სიკვდილმა მაინც იძალა, მაგრამ სიცოცხლე მისი ვერ ჩააქრო... სიცოცხლე გრძელდება... გოგის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა თაობიდან თაობას გადაეცემა და მის ხსოვნას სამარადისოდ შემოინახავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ჭუმბურიძე

# მარილიანი სიტყვის ოსტატი

გიორგი შატბერაშვილს წლეულს უნდა შესრულებოდა 70 წელი, მაგრამ აგერ უკვე თხუთმეტი წელიწადია, რაც მის კალამს ნაადრევად შეაშრა მელანი, ისევე როგორც მის შუბლს — სიკვდილის ცივი ოფლი.

„რამდენი ვერცხლიც თმას გაერევა, იმდენი ოქრო დასცვივდეს ბაგესო", — ნატრობდა პოეტი ერთ ლექსში, რომელსაც „სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე" ჰქვია, მაგრამ მისმა თმამ ვერ მოასწრო მთლად გათეთრება და ვერც მისმა ბაგემ — გულიდან ოქროს ზოდების მთლიანად ამოლაგება. ის ჩვენგან წავიდა, რომ იტყვიან, შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში, როცა უკვე დიდი ცოდნა და გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი და ბარაქიანი რთველი ელგა.

ხომ ადვილად შეიძლებოდა, ბევრი მისი თანატოლის მსგავსად, გიორგი დღესაც ჩვენს შორის ყოფილიყო. ეს თხუთმეტი წელი რომ დასცლოდა, დარწმუნებული ვართ, ის კიდევ ბევრი კარგი ნაწარმოებით გაამდიდრებდა ქართულ მწერლობას: დაასრულებდა ისტორიულ რომანს აბო თბილელზე, „ზაფხულის ღამის ქრონიკას" მოაყოლებდა შემოდგომისა და ზამთრის ღამეთა ქრონიკებსაც, დაწერდა დრამას, რომლის სიუჟეტიც უკვე მოფიქრებული ჰქონდა, სრული სახით გამოსცემდა თვალსაჩინო ლექსიკონს... ბევრი ასეთი კარგი ჩანაფიქრის ხორცშესხმა არ დასცალდა. ნაადრევად ახდა მისი სიტყვები: „ყველას დრო წასულა, ჩემი [illegible] წავა; ყველას მზე ჩასულა, ჩემი შუაზე ჩავა". მაგრამ ის, რისი გაკეთებაც მოასწრო გიორგი შატბერაშვილმა, ისევე ანათებს მის სახელს, როგორც დილის მზე — მაღალ ხეთა კენწეროებს.

გიორგი შატბერაშვილი მრავალმხრივი შემოქმედი იყო. ქართველ მწერალთა დიდი ნაწილის მსგავსად, იმანაც შემოქმედებითი ცხოვრება ლექსებით დაიწყო და არაერთი მარილიანი ლექსით გაამდიდრა ქართული პოეზია, წარმატებით სცადა კალამი აგრეთვე დრამატურგიაში, შექმნა ფრიად ორიგინალური ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებას კი პროზაში მიაღწია.

ქართული პოეზიის მოყვარულთ ახსოვთ და კვლავაც ეხსომებათ ასეთი სტრიქონები: „ყვავილის მიწა! ყვავილის მიწა! ჰა, იყიდება, როგორც მწვანილი, ოქროყანის და სამადლოს მიწა, ძველი ხურჯინით ჩამოტანილი... ყვავილის მიწა ოცნებად იქცა, ლექსებს მოშივდათ სურნელი მიწის, ოქროყანის და სამადლოს მიწამ ყვავილიანი ლექსები იცის!" ან კიდევ: „ან შენ სად ხარ, ერთო ქალო, უმჯობესო ქალთაგანა, რად გაგვყარე სიყრმის სწორნი, რად გვატარე განდაგანა? — სიყვარულის სამაია არ იქნება სამთაგანა". გაგვახსენდება ეს ლექსიც:

მას შემდეგ, რაც ჩვენ დავშორდით,
წყალს მივდევ დაუღგრომელსა,
ორთაყვირები დამემსხვრა,
გულზე მდინარე მომეცა...
ტივი დაშლილა, წყალს მიაქვს
ორთაყვირების ნამტვრევი,
ვიხსენებ შენსა ღიმილსა,
ხანდახან მომენატრები...
ხანდახან... გესმის? ხანდახან...
თურმე მეც გადაგივიწყე.
მზე ჩადის, ტივი დაშლილა,
მივცურავ ერთი ტივის ხე...

გიორგი ხალხური პოეზიის ბრწყინვალე მცოდნე იყო და მშვენივრად გამოიყენა ხალხური მოტივები ისეთ ლექსებში, როგორიცაა „სამაია", „ა იმ მთაზე", „ლექსის მარილი", „თეთრი შინდო" და სხვანი.

უკანასკნელ წლებში ის უფრო ინტენსიურად პროზაში მუშაობდა, მაგრამ პოეზია მაინც ბო-

ლომდე მისი გატაცება იყო და ეპოსიდან ხშირად ისევ ლექსებს უბრუნდებოდა: „ლექსო, კუბოს ვერ ჩაგიტან — ეგ იმედი ამოაკრე. გულს ჩარქვეული ვერ ამხადე, საფლავს როგორ ამოანგრევ?!“ — ნათქვამი აქვს ერთ ლექსში.

გ. შატბერაშვილის საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება პოემა „ზაფხულის ღამის ქრონიკა“, რომელიც საერთოდ ქართული პოეტური ეპოსის ერთ-ერთ საინტერესო და გამოსარჩევ ნიმუშს წარმოადგენს ესაა ლირიკული პოემა, რომელსაც მტკიცედ შეკრული კომპოზიცია არ გააჩნია. ავტორი გულახდილად საუბრობს მკითხველთან, — მკითხველთან კი არა, შეიძლება ითქვას, საკუთარ თავთან. ისევე როგორც ზოგჯერ მარტო მყოფი ადამიანი ხმამაღლა იწყებს ფიქრს, პოეტიც თითქოს ხმამაღლა ფიქრობს და მკითხველი კი მხოლოდ უნებური მოწმეა ამ ხმამაღლა გამჟღავნებული ფიქრისა: „დღეიდან ვიწყებ ქრონიკის წერას, ჩემი ფიქრების ქრონიკის წერას; ვწერ როგორც პროზას, უბრალოდ, დინჯად, ლამაზი თქმების დაუხარჯავად. გზადაგზა ხშირად ვღალატობ რითმას, ვწერ ისე, როგორც ფიქრი მკარნახობს“.

პოეტის ფიქრი სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ თემას დასტრიალებს. ამ ფიქრის ღერძია, თუ შეიძლება ასე ითქვას, თორმეტი წლის გოგონას უდროო და მართლაც ულვთო სიკვდილი. ვიდრე პოემის გმირის პორტრეტს დახატავდეს ან მის სპეტაკ ბუნებას გვიჩვენებდეს, პოეტი თავიდანვე გვეუბნება, რომ გოგონა ნაადრევად დაიღუპა.

შენ, ჩემო ცრემლო, უკვდავთა საფლავს
დასადინარო და დიდო ცრემლო,
იშვილე,
შერთე შენს მღვრიე ტალღებს
ეს ერთი ცრემლიც, ანკარა ცრემლი,
მცირე, უცნობი და უსახელო...
შენ, დიდო ძეგლო,
უკვდავთა ძეგლო,
შენ დაიფარე პატარა ძეგლი,
მცირე, უცნობი და უსახელო,
ერთი უცნობი გოგონას ძეგლი!

ასე იწყება პოემა და ჩვენ ერთბაშად ვგრძნობთ, რომ პოეტის გული უცნობი გოგონას სიკვდილს მძაფრად შეუთრთოლებია და აუკვნესებია. ადამიანის კაცთმოყვარე ბუნება ნორჩი სიცოცხლის დაღუპვას განსაკუთრებით მწვავედ განიცდის. რამდენჯერ გული ტკივილით გაგვწურვია, როცა თუნდაც სრულიად შემთხვევით ქუჩაში თვალი მოგვიკრავს, რომ „სასაფლაოსკენ პატარა კუბო დიდი მანქანით მიმქონდათ ნელა“. პოეტმა თავიდანვე გვაგრძნობინა ეს გულისტკივილი, თავიდანვე გვითხრა, რომ მისი პოემის გმირი გოგონა ნაადრევად იღუპება, შემდეგ კი მთელი პოემის მანძილზე ძუნწი შტრიხებით, უბრალო ბიოგრაფიული დეტალებით გააცოცხლა ამ გოგონას სახე, [illegible] — მისი სპეტაკი შინაგანი ბუნება, აქცია იგი საერთოდ ბავშვური სიწმინდისა და სიხარულის სიმბოლოდ, რომელიც ალამაზებს და ამაღლებს ადამიანის განცდებს, ასპეტაკებს ჩვენს გრძნობებს, აზრსა და ლაზათს ჰმატებს სიცოცხლეს. ამიტომ არის, რომ პატარა ქერა გოგონას, თამარის, სიკვდილს განსაკუთრებით მწვავედ განიცდის მკითხველი.

პოეტი ხაზგასმით არსად გვეუბნება, თუ რა იყო ის სასტიკი სენი, რომელმაც ქერა გოგონა იმსხვერპლა, მაგრამ გზადაგზა მინიშნებათა მიხედვით ძნელი გამოსაცნობი არაა, რომ ამ სენის გამომწვევია რადიაქტიური ნივთიერებანი.

არავინ იცის, ვინ გახდებოდა ეს გოგონა, ამ ქვეყნად ხანგრძლივი სიცოცხლე რომ დასცლოდა. იქნებ ის შესანიშნავი ხელოვანი დამდგარიყო — მხატვარი თუ მოქანდაკე, ან იქნებ არქიტექტორი გამხდარიყო და მის აგებულ შენობებს დაემშვენებია ჩვენი ქალაქები, იქნებ ექიმი გამოსულიყო და ისევე ებრძოლა ადამიანს სიცოცხლის გადასარჩენად, როგორც მისი მკურნალი ექიმები იბრძოდნენ? იქნებ სულაც უბრალო დიასახლისი ყოფილიყო და შესანიშნავი შვილები აღეზარდა სამშობლოსათვის. ვინ იცის! მაგრამ ის კი ცხადია, რომ ეს ლამაზი, სპეტაკი და კეთილი გოგონა იქნებოდა ღირსეული ადამიანი, ნაადრევად რომ არ ემსხვერპლა უკურნებელ სენს.

პოეტი რწმენას ისევ ადამიანში ეძებს: ნუთუ მას, ვინც უხილავი, უჩინო მტვერი აქცია ცეცხლად და მისი გრგვინვით ქვეყნიერებას დაუფრთხო ძილი, ვისაც პირველად გაუჩნდა ქვეყნად გონების თვალი და ცნობის თვალი, ვინც ცის ჰორიზონტს დაადო ტორი ბნელ სივრცეებში გადასახედად, მთები ერთმანეთს შეახეთქა, ზღვები დაბადა და ზოგან დააშრო კიდეც, — ნუთუ ასეთი საქმეების შემოქმედ ადამიანურ გონებას არ შეუძლია დააშროს დედის ცრემლები, იფიქროს, მისწვდეს და მოიტანოს ქვეყნად წამალი, — ის ერთი მუჭა მწარე წამალი, რომელიც მომაკვდავ ბავშვს გადაარჩენს?!

მართალია, ის ვეღარ უშველის პატარა თამარს, მაგრამ წამალი სჭირდება დედას, რათა ირწმუნოს, რომ ძლიერია კაცის გონება, რომ ადამიანია ქვეყნად ყველაზე ძლიერი და შემოქმედი ძალა.

ასე პასუხობს პოეტი იმ დიდ საჭირბოროტო ფიქრზე, რომელსაც იგი ხმამაღლა უზიარებს მკითხველს „ზაფხულის ღამის ქრონიკაში“. ამას ერთვის ფიქრები შემოქმედის ტკივილების გამოხატვის აუცილებლობაზე, ფიქრი და ზრუნვა ქართულ სიტყვაზე:

ღმერთო, მიცოცხლე ქართული სიტყვა,
არ გააგონო ხმა გუგუნისა,

გარდაუვალინე წარღვნა და სეტყვა
აწ და მარადის და უკუნისად!

პოემაში დახატულია ღამის თბილისის მიმზიდველი პეიზაჟი, გამჟღავნებულია უდიდესი სიყვარული მშობლიური ქალაქისადმი. მაგრამ ავტორისათვის მთავარი, როგორც ვთქვით, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაა. ამიტომ, გარდა გოგონას სიკვდილისა, პოემის რამდენიმე პასაჟი დათმობილი აქვს სახელოვან ადამიანთა უეცარი სიკვდილის სურათებს, რომელთაც პოეტი ღრმა სიმბოლიური აზრით ტვირთავს და ორგანულად უკავშირებს გოგონას ულმობელ ბედისწერას.

„შორს, აიდამოს მშვენიერ შტატში მოულოდნელად გავარდა თოფი — ტყვიაში თურმე სიკვდილს ეძინა... მან გაიღვიძა და მოკლა კაცი, ვინც წინა ღამით ხედავდა სიზმრად წითელფაფრიან უდაბნოს ლომებს და სანადიროდ ემზადებოდა“. ჰემინგუეის ამ უცნაური სიკვდილის სურათს ენაცვლება გალაკტიონის ასევე უცნაური და უეცარი „ცაში სიკვდილი, თავის გაწირვა, გალეგენდება და გაზღაპრება“:

ალბათ სხვა არის სიკვდილი ცაში.
მიუწვდომელი, გაუგებარი —
ის სიცოხლეზე უკეთესია,
პოეტისათვის კარგი სიკვდილი
უკანასკნელი კარგი ლექსია!

კიდევ ერთი „კარგი სიკვდილი“ არის აღწერილი პოემაში, სიკვდილი გურამ რჩეულიშვილისა, ზღვის სტიქიონთან შეჭიდებული ჭაბუკისა, რომელიც იღუპებოდა, ხედავდა, რომ ზღვა ერეოდა, მაგრამ „იგი მაინც იღიმებოდა... იღიმებოდა, მას რცხვენოდა ეთქვა — მიშველეთ, ეთქვა ხმამაღლა — ვიღუპები, მოდით, მიშველეთ! ტალღა ითრევდა, ახრჩობდა და იღიმებოდა“.

გიორგი შატბერაშვილმა სიცოცხლეშივე განსაკუთრებული ამაგი დასდო გურამ რჩეულიშვილს, — ხელი შეუწყო მის ლიტერატურულ დებიუტს „ცისკრის“ ფურცლებზე, შემდეგ კი შესანიშნავი წერილი დაურთო უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა მწერლის წიგნს.

ბარემ აქვე ვიტყვით, რომ გიორგი საერთოდ შემოქმედებითი ახალგაზრდობის გულისხმიერი მრჩეველი და მეგობარი იყო. წლების განმავლობაში მუშაობდა მწერალთა კავშირში ლიტერატურულ კონსულტანტად, ხოლო როცა ჟურნალი „ცისკარი“ დაარსდა, სათავეში ჩაუდგა მის პროზის განყოფილებას. მისი ხელშეწყობით და უცხო თვალისათვის უჩინარი დახმარებით „ცისკრის“ ფურცლებზე არაერთმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ აიდგა ფეხი.

გ. შატბერაშვილის ადრეულ მოთხრობებში („ჩემს ძველ სახლში“, „უკვდავი ფესვი“, „შეთქმული ქვევრი“, „გიორგი დევსურაშვილის სხენია“) ლირიზმი ჭარბობს, მერე და მერე კი, როგორც მართებულად შენიშნა კრიტიკის მეგობარმა მწერალმა ოთარ ჩხეიძემ, თანდათანობით ძლიერდება ეპიკური თხრობის პათოსი და იკვეთება მკაფიო ხასიათები.

ერთ-ერთი ასეთი მკაფიო და კოლორიტული სახეა მამალხინე, რომელსაც მწერალი რამდენჯერმე დაუბრუნდა და სამი პატარა მოთხრობა უძღვნა: „მამალხინე“, „მამალხინეს ბიჭი“ და „მამალხინეს სიკვდილი“. ეს ციკლი ერთად ხამ ათეულ გვერდსაც კი არ შეადგენს. ყოველი მათგანი დამოუკიდებული ნაწარმოებია, მაგრამ ამავე დროს ისინი ბუნებრივად ავსებენ ერთიმეორეს და მკითხველის მეხსიერებაში წარუშლელად აღბეჭდავენ სიცოცხლის ხალისით სავსე ქართლელ გლეხკაცს, ცოტა უცნაურს, ხუმარასა და ენაკვიმატ მამალხინეს. ერთ რამედ მარტო მისი სიტყვა-პასუხი ღირს, შეზავებული ანდაზებით, გაუცვეთელი ხატოვანი თქმებით: „ო, რა ტკბილი იყო მამალხინე, რა ჯადო მქონდა მის სიტყვას, რა მარილი, რა თავბრუდამხვევი ეშხი! ვინ იყო მისი დედა, ვინ ჩაამღერა ყურში ეს ქართული, საიდან ჟონავდა მისი ენის ძუძუ?“

ასევე დიდი სიყვარულით დაგვიხატა მწერალმა ახალგაზრდა ქართველი ქალი თერა, რომლის სახეც ორ მოთხრობაში იკვეთება („ტყის ძახილი“, „უმძრახი წყალი“). პირველში თერას სახით ჩვენ ვეცნობით უმწიკვლო ობოლ გოგონას, გულმხურვალედ რომ შეჰყვარებია გალმაუბნელი ჭაბუკი, მეორე მოთხრობაში კი ის უკვე ტყუპების დედაა, რომელიც რაღაცით გაჯავრებული ტოვებს ქმრის ოჯახს და თავისი ჩვილი ბავშვებით უბრუნდება პაპისეულ კერას. ამ ორ სხვადასხვა სურათს შორის მთელი დრამა იგულისხმება, მაგრამ მწერალს მისი ჩვენება არა აქვს მიზნად დასახული, მას სურს მხოლოდ ახალგაზრდა დედის ამაყი და შეუბღალავი ბუნება დაგვიხატოს და ამას, დრამის უჩვენებლადაც, შესანიშნავად ახერხებს.

გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების გვირგვინი და საერთოდ ქართული მწერლობის მშვენებაა ვრცელი მოთხრობა „მკვდრის მზე“. სამწუხაროდ, ქართულ კრიტიკას უმნიშვნელო როლი ეკუთვნის ამ შესანიშნავი მოთხრობის პოპულარიზაციის საქმეში. მან უფრო ადრე მოიპოვა სიყვარული და აღიარება მკითხველთა შორის, ვიდრე სალიტერატურო კრიტიკა მიუჩენდა ღირსეულ ადგილს. უფრო მეტიც, თავდაპირველად კრიტიკა ამ მოთხრობას საკმაოდ სუსხიანად შეხვდა. პირველი თბილი სიტყვა და ღირსეული შეფასება ავტორს ნიკოლოზ ტიხონოვმა შეაგება. თვალნათლივ მახსოვს, მწერალთა სახლის ტრიბუნაზე მდგარი გიორგი როგორ იშვებდა ქართული მწერლობის დიდი მეგობრის აზრს თავისი უსაყვარლესი ქმნილების დასაცავად.

თქვენ წარმოიდგინეთ, ერთ დროს იმაზეც კი

ატყდა დავა, თუ რამდენად სწორია მწერლის მიერ არაერთგზის ნახმარი ფორმა „თენგო ბიჰი“. ყოველივე ეს ახლა უკვე წარსულს ეკუთვნის და შესაძლოა აღარც კი ღირს მოგონებად.

მკითხველმა უკვე დიდი ხანია შეიყვარა ეს ცხოვრებისეული სიბრძნით დაყურსული, ღრმად ალეგორიული, მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოები, მისი კერპი და ამაყი გმირები: ხიზამბარელი, თენგო ბიჰი და ნინო, გიორგი, ხახატო, შავდათუა... თვითეული მათგანი დიდებული ოსტატის ხელით არის გამოკვეთილი.

რაც შეეხება ნაწარმოების ენას, ის ხომ მართლაც უზადო და ყოველმხრივ სანიმუშოა. ეს ითქმის არამარტო „მკვდრის მზის“, არამედ გიორგი შატბერაშვილის მთელი შემოქმედების შესახებ. ქართველ მწერალთა ახალგაზრდა თაობამ მისგან უნდა ისწავლოს ფრაზის აგება, სიტყვის ნიუანსებში წვდომა, ფაქიზი დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი.

ჩვენი ხალხი სიტყვის ავ-კარგის დასახასიათებლად ყველაზე მეტად გემოვნების სფეროს მიმართავს: არსებობს სიტყვა ტკბილი და მწარე, მკვახე და ცხარე... არსებობს აგრეთვე მარილიანი სიტყვაც. ცნობილი ანდაზაა: მარილის მთხოვნელს, მარილი თუ არ გქონდეს, მარილიანი სიტყვა მაინც უთხარიო. „მარილიანი სიტყვა“, მე თუ მკითხავთ, საოცრად მოხდენილი და ხატოვანი დახასიათებაა სიტყვისა, ბევრი ნიუანსის შემცველია, ბევრნაირ ასოციაციებს აღძრავს, მაგრამ ჩემი წარმოდგენით ასეთი ეპითეტი ყველაზე მეტად შეშვენის იმ ცინცხალ, ჯერ ხმარებისაგან გაუცვეთელ ხატოვან სიტყვას, რომლის პოვნა და სალიტერატურო ენაში გზის გაკაფვა ისევე ძნელია, როგორც ძველად აღზევანს მარილზე წასვლა იყო.

ვისაც სიტყვის მარილის გულისთვის აღზევანი არ მოუვლია, ჭეშმარიტი მწერალი ვერ იქნება. გიორგი შატბერაშვილისთვის ასეთი აღზევანი ქართლის ერთი პატარა სოფელი, მისი მშობლიური თვალადი იყო. აქედან იღებს სათავეს ის თავანკარა ქართული, რომელიც წყაროს თვალივით ჩქეფს მის მხატვრულ ნაწარმოებებში, მაგრამ, გარდა მხატვრული ნაწარმოებებისა, გიორგიმ ენობრივ დაკვირვებათა შედეგად დაწერა აგრეთვე ფრიად ორიგინალური თხზულება, რომელსაც „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“ უწოდა.

„თვალადური ქართულის ჭაშნიკს“ ლექსიკონს ვერ უწოდებ. როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავდა, იგი „თავისებური აღნაგობისა და ხასიათის ნაშრომია... ფიქრებია ქართულ სიტყვაზე, მის აღნაგობაზე, გენეზისზე, ქართული ენის სხვადასხვა კილოების ნათესაობა-დამოკიდებულებაზე, შინაარსით თუ ფორმით მსგავსებაზე. ეს ფიქრები და მოსაზრებები, ზოგჯერ დაუმთავრებელი გუმანი თუ ეჭვი, ჩართულია განმარტებულ სიტყვათა შუა პატარა წერილებისა და გამოკვლევების სახით“.

„ჭაშნიკის“ კითხვისას ერთბაშად გრძნობთ და ნათლად ხედავთ, როგორ ზრუნავდა გიორგი შატბერაშვილი ქართულ ენაზე, მის მოქნილ მიმოხრაზე, მის ანკარა ნაკადულებზე, როგორ ეძებდა იგი ბაჯაღლო ქართულ სიტყვებს, რამდენს ფიქრობდა მათ წარმოშობაზე, მნიშვნელობის დადგენაზე, სალიტერატურო ენაში დამკვიდრებაზე.

რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში აგროვებდა მწერალი ამ ლექსიკურ მასალას, იწერდა რვეულში თუ უბის წიგნაკში, გაზეთის ნახევზე თუ პაპიროსის კოლოფზე... შემდეგ დიდხანს უკირკიტებდა, განმარტავდა, აზუსტებდა მნიშვნელობას.

დიდი გარჯა და რუდუნება, ფუტკრის შრომა იყო საჭირო ამ მასალის შესაგროვებლად. ამას ვერ გააკეთებდა სოფელში რამდენიმე კვირით ან თუნდაც რამდენიმე თვით ჩასული კაცი. სწორად შენიშნავს თვითონ გიორგი: „ფანქარს ყველასთან ვერ ამოიღებ. ფანქრიანი კაცი სოფელში არ უყვართ“. ახლა ის იკითხეთ, რამდენად ძნელია ამა თუ იმ იშვიათი სიტყვის განმარტება და რა ადვილია ამ გზაზე შეცდომა!

„თვალადური ქართულის ჭაშნიკი“ ერთხელ კიდევ თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა ამოუწურავი საუნჯეა დაფარული ჩვენი ხალხის ცოცხალი მეტყველების წიაღში. აი რამდენიმე შესანიშნავი სიტყვა: ალქატი, ანაგული, ბლარწი, გაწლობილი, ლანგი, მუჭუჭი, სისხვა, ქონჩახი, ქუჩი, ყუჭი, ჩაგველა, წაკულაკი, ჭირკოტიანი, ჯუჯუკი...

„ჭაშნიკში“ განსაკუთრებით უხვადაა ხატოვანი თქმები: აცრით რწყვა და დატანით ანუ მიგდებით რწყვა, გვართხელი და გვარგამრავლებული, დილის წყალი ანუ უმძრახი წყალი, სადა დღე და სადა არაყი, ნასწავლი პური და პირუბანელი პური, აზნაური ყანა, ბედაური ქალი, გაფრენილი ნაბიჯი, დაკამარებული სირბილი, დამთქნარება დღე, დედამკვდარი მაწონი, ერთ წყალზე გაზრდა, ვაზის დაწვრილშვილება, ვეძა კაცი, ზეპირი ნაბიჯი, კვირტის დაბრმავება, მაჭახელა ფერი, მუცლის ბოძი, ნაყე-ნაყე კაცი, სარფის ყრუ, ფანჯრის დაბრმავება, ფუტკრის გამომღერება, ყურის ძოვება, ყურძნის სიცილი, ცომის შეცოლქმარება, ხის წარბი და ა. შ. ამ სიტყვებიდან და გამოთქმებიდან ზოგი სხვა კილოშიც გვხვდება, მაგრამ ჯერჯერობით ლექსიკონებში არ ასახულა.

„ჭაშნიკზე“ მუშაობის პროცესში ავტორს შეუნიშნია ზოგიერთი შეცდომა ან უზუსტობა დაბეჭდილ ლიტერატურულ და ფოლკლორულ ტექსტებში, ლექსიკონებში. ამის თაობაზე საყურადღებო შენიშვნები და მოსაზრებები ჩართულია ცალკეულ სიტყვათა განმარტებებში, უფრო ვრცელი ეტიმოლოგიური ძიებანი და სიტყვის

ისტორიული მნიშვნელობის დადგენის ცდები კი ცალკე გამოკვლევებად არის გამოყოფილი. ზოგიერთ ამ გამოკვლევაში მოცემულია არამარტო ენათმეცნიერული ძიება, არამედ დასმული და განხილულია ქართული ფოლკლორის, ეთნოგრაფიისა და, საერთოდ, კულტურის ისტორიის საკითხები.

„თვალადური ქართულის ქაშნიკი" თავიდან ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება, როგორც კარგი მხატვრული ნაწარმოები. ავტორი გვთავაზობს არამარტო კვლევის შედეგებს, არამედ გვაცნობს თვით ძიების პროცესსაც. მწერალი გვიყვება ოსტატურად, მხატვრული ექსპრესიით, მარილიანი სიტყვით. არც გასაკვირია: ვისაც ამდენი უფიქრია ქართულ სიტყვაზე, მის სიტყვას მარილი მართლაც არ დააკლდება.

ჩვენ აღარაფერს ვამბობთ გიორგი შატბერაშვილის მრავალ სხვა საინტერესო ნაშრომსა თუ წერილზე, რომლებიც „თვალადური ქართულის ქაშნიკთან" ერთად მთელ ტომს შეადგენს, არას ვიტყვით აგრეთვე მწერლის დრამატულ თხზულებებზე, საბავშვო ლექსებსა და მოთხრობებზე. ყოველივე ეს მონოგრაფიულ გამოკვლევას ელის. საგანგებო შესწავლის საგანი უნდა გახდეს მწერლის ენაც.

უკვე თხუთმეტი წელი გვაშორებს ჩვენ ფიზიკურად გიორგი შატბერაშვილისაგან. მაგრამ რაც დრო გადის, მის რჩეულ თხზულებებს ცხოველმყოფელი ძალა კი არ აკლდება, პირიქით, ემატება. მწერლის სიცოცხლის ხანგრძლივობა სწორედ ამით იზომება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ხორგუაშვილი

# მოგონებები გიორგი შატბერაშვილზე

## 1. ქართული სიტყვის მოტრფიალე

გიორგი შატბერაშვილს ძალიან უყვარდა მშობლიური სოფელი — თვალადი, კავთისხევი, ანუ როგორც აქაურები იტყვიან ხოლმე, საკავთისხეო, აქაურ მზეში ამოვლებული ვერ ელეოდა კავთურის ხეობას, ნიადაგ სოფლისკენ მიუწევდა გული, ვერ ელეოდა მამაპაპეულ ძველ სახლს. გადასაკეთებლადაც კი ეაფსუსებოდა. ნირი არ შეეცვალოსო, ეშხი არ დაეკარგოსო.

„მალე აკაციის ხეებს იქით ჟერმისფერი კრამიტით დახურული ჩემი ძველი სახლი გამოჩნდება. ამ ადგილს რომ ვუახლოვდები, გული რატომღაც ცემას უმატებს, არ შეიძლება თვალი ავარიდო დახავსებულ საფლავის ლოდებს. აქ ხომ ჩემი წინაპრები წვანან. მათ ხომ თავი შესწირეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებას" — წერდა გიორგი.

თავისი ადგილის დედა უყვარდა იმიტომ, რომ აქ ეძებდა და პოულობდა ხალხურ მარგალიტებს. ბევრი ლექსი და თქმულება ჩაიწერა ვ. და ს. ნაცვლიშვილებისაგან, კ. ონოფრიშვილისაგან, შ. ხომასურიძის, ა. ქებაძის ს. იაშვილის, ვ. სიდამონიძის, ს. ბერიძის, ვ. გაბოძის, გ. ბარნოვის და სხვებისაგან.

როგორ გაიხარებდა ხოლმე, ფრთიან სიტყვას რომ გაიგონებდა.

ერთხელ მეც მივაკითხე კავთისხეველ შალვა ხომასურიძეს, რომლისგანაც ბევრი რამ ჩაეწერა გიორგის. შალვამ გაიხსენა:

„გიორგი შატბერაშვილი უფრო ზაფხულობით მესტუმრებოდა ხოლმე. ერთხელაც მეწვია. მაშინაც აი ასეთი კაი დარი იდგა, მაშინაც აი ამ კაკლის ძირში ჩამოვსხედით, ჯერ რაღაც-რაღაცეებით შემიყოლია და მერე შემომაპარა:

— ძია შალიკო, გამოცდილი კაცი ხარ. სიტყვაც მარილიანი მოგდევს, ადრე კი ჩაგიწერინებია ჩემთვის კაი-კაი რამეები და კიდევ გეცოდინება რამეო.

მე მივუგე:

— მე მივუგე:

— ერთმა ბულბულმა თქვა: „სამასი სიმღერა ვიცოდი, მაგრამ ისეთმა ალალმა დამქროლა, სამასივე დამავიწყდაო". იმისი არ იყვეს, ბევრი რამ ვიცოდი, მაგრამ ისეთი უბედურება დამატყდა, ყველაფერი დამავიწყდა-მეთქი.

— თვითონ ეგ ნათქვამიც ძვირფასი მარგალიტიაო, მეტიც რომ არა შითხრა-რა, მაგაზეც დიდი მადლობელი დაგრჩებიო",—უთქვამს გიორგის და უმალვე ჩაუწერია. მერე ღვინით სავსე ჭიქას წასწვდომია და ქართული მჭევრთქავი სიტყვის სადღეგრძელოც შეუსვამს და იმის შესანდობარიც უთქვამს, ვისმა სიკვდილმაც ასეთი თავზარი დასცა მთქმელს.

შალვა ხომასურიძეს, სოფელში გამორჩეულ კაცს, საქორწილო ვაჟკაცი მოჰკვდომია სრულიად მოულოდნელად. ამაზე მეტი სიმწარე რაღა უნდა ენახა, მაგრამ ეს საოცარი სიმტკიცის კაცი ჭირს არ გასტეხია, თვითონვე ჩამოუსვენებია რუსეთიდან, რათა მშობლიური სოფლის მიწა დაჰყროდა და მშობელთა ცრემლიც მალმალე დასცემოდა შვილის საფლავის მიწას.

გიორგი შატბერაშვილიც ჩაზიარებია ამ ჭირში და ფანქარიც მოუმარჯვებია. რამდენი ძვირფასი სიტყვა ჩაუწერია ხომასურიძისა, თუ ონოფრიშვილისნაირი ჯავარიანი გლეხებისაგან, თანასოფლელებისაგან, თვალადელებისაგან.

და განა მარტო მათგან, იწერდა ყველასაგან, ვისთანაც მიუწვდებოდა თვალი და ყური.

* * *

მე თვითონ მოწმე ვარ, როგორ დიდ შრომას ეწეოდა თვითეული სიტყვის თუ გამოთქმის ძიებისა, შესწავლისა და ახსნისათვის.

როცა იგი „ქაშნიკს“ ამზადებდა გამოსაცემად, ძალიან ბევრ წყაროს ხწავლობდა და ადარებდა. თუ ვინმე შეხვდებოდა, ყველას გამოკითხავდა თავის მოსაზრებას მისთვის საინტერესო სიტყვასა თუ გამოთქმაზე. ხშირად მომმართავდა მეც. ბევრ სიტყვაზე თუ გამოთქმაზე შემკითხვია: შენ როგორ გესმის ესა და ეს სიტყვაო, თქვენს სოფელში როგორ ხმარობენო. მეც შეძლებისდაგვარად ვაძლევდი განმარტებას.

ერთ დღეს „მნათობის“ რედაქციის ოთახში მხოლოდ მე და გიორგი ვისხედით, სამუშაო დრო მიწურულიყო, მაგრამ საუბარს შევყევით და წამოსვლა დაგვაგვიანდა. სიტყვა ჩამოაგდო „თვალადურ ქართულზე“, კარგ საქმედ მეჩვენება, მაგრამ ძალიან დიდი დრო და ძალა წამართვაო. თვითეული სიტყვის შესწავლისა და შეჯერებისათვის ბევრჯერ ღამეები მიტეხია და აუარება წყაროები მიჩხრეკიაო.

ამის მაგალითად დაასახელა „მოგერისება“ და „გერი“.

— რამდენი ხანია ვუტრიალებ ამ სიტყვებს და მაინც როგორც მე მინდა, ისე ვერ ავხსენიო.

შემეკითხა: თქვენს სოფელში რა გაგებით ხმარობენ „გერს“, „მოგერისებას“, „ნაგერალას“.

ვუთხარი, რაც ვიცოდი.

— ჰო, ჩვენშიაც ეგრე ხსნიან, მაგრამ მაგ სიტყვების შინაარსს უფრო შორს მივყავართ. ფუძე „გერ“-ი გადაფესვილი უნდა იყოს „სიცოცხლესთანო“ და განმარტა: „გერი“ ცოლ-ქმარში ერთ-ერთის შვილია, „ნაგერალა“ ყანაშიც მცენარის სიცოცხლე ჩანს. „მოგერისებაშიც“ სიცოცხლე გაგონდება, ხბოთი უგერისებენ ძროხას... მოგერისებული რძეც ხომ ხბოს კვებავს და ზრდის...

მე მივუხვდი, რასაც ამბობდა და ვფიქრობდი, რითი წავშველებოდი.

— სხვა მონათესავე სიტყვა ხომ არ გახსენდება?

— გერისო ბევრს ჰქვია ჩვენს სოფელში.

— ეგეც საგულისხმოა.

— არის სალოცავი „გერისთავი“ და დღესასწაული „გერისთაობა“ — დავუმატე.

გიორგის სიხარულმა გადაუთამაშა სახეზე და მაშინვე საწერს მისწვდა, სად არის „გერისთავიო“, როდის იცის „გერისთაობა“ — უმალ მომაყოლა კითხვები.

— სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთ სოფელში, ლიახვის სათავეებთან, კავკასიონის ქედზე. ძალიან შორს არის მიკარგული, მაგრამ თურმე, ჩვენი სოფლიდანაც კი უვლიათ აქ სალოცავად, მე თვითონაც ვყოფილვარ ბავშვობისას. ჩარდახიანი ურმებით მიდიოდნენ, დილაადრიანად წასულებს თითქმის შუა გზაზე, სოფელ არბოში შეულამდებოდათ და ღამეს იქ ათენებდნენ ქეიფითა და ლოცვით. დილით ისევ გაუყენებდნენ ურმებს. თვით არბოშიც იცის „გერისთაობა“, ვისაც თავგერში უჭირდა ასვლა, არბოში ლოცულობდა და დღესასწაულობდა.

გიორგიმ ეგეც ჩაიწერა და დაფიქრებული მიაჩერდა კედელს.

— ჰო, რისთვის ილოცებოდნენ, სიცოცხლისათვის და ბედნიერებისათვის, — წარმოთქვა და ისევ ფიქრმა გაიტაცა.

მეც დავძაბე გონება, რომ მივშველებოდი რაიმეთი. უცებ წამომაგონდა ხალხური ლექსი.

— ბატონო გიორგი, მაგასთან დაკავშირებით ერთი ლექსიც არის.

— აბა?! — თვალები გაუბრწყინდა.

ქალი რომ ავად გახდება,
იქ წაიყვანენ არბოსა,
ერთს მაინც გაითამაშებს,
სულ რომ არაფერს არგოსა — ზეპირად ვუთხარი.

ეტყობა ამ ლექსს პირველად ისმენდა და ხარბად მომჩერებოდა, სწორედ მისი ინტუიციის თუ გუმანის გამართლებას ხელს უწყობდა და სიხარული დასთამაშებდა სახეზე, დინჯი თვალები კიდევ უფრო გაეფართოვებინა და ოდნავ ამოძრავებდა, ლაწვებიც შეფაკლოდა, უხმოდ ამოძრავებდა ბაგესა:

— როგორა, როგორა? — მომანათა სათვალეები.

მე გავუმეორე, გიორგიმ ჩაიწერა. კმაყოფილებით ამოისუნთქა და:

— აჰა, ხომ ვთქვი „გერი“ სიცოცხლესთან კავშირშია-მეთქი. ალბათ, უშვილო ქალზეა საუბარი მაგ ლექსში, უშვილ-ძიროს ხომ ჩვენში ავადმყოფს ეტყვიან. სხვანაირ სნეულს გათამაშების თავი სადა ჰქონდა. უშვილო ქალი გერის სალოცავში რისთვის წავიდოდა, თუ არა ღმერთს შევედრებოდა, შვილი მიეცა, შვილი და სიცოცხლე ხომ ერთიდაიგივეა! — აღტაცებით ამბობდა გიორგი და თან წასასვლელად ალაგებდა მაგიდას.

— ეხლა ჩვენსკენ წავიდეთ! — ხალისით მომმართა გიორგიმ, — ის არბოელი ქალი ვადღეგრძელოთ!..

შეწუხება მომერიდა და უდროობა მოვიმიზეზე.

— შენ სულ გეჩქარება, წავიდეთ, სხვა სიტყვებიც უნდა გადაგაკითხო.

უარის თქმა მეძნელებოდა.

ილლიაში მსუქანი საქაღალდე ამოიღო.

— მომეცით, წამოღება გიშველოთ! — შევთავაზე.

— ამ საქაღალდეში ერთი მწერალი მიზის! — გაიცინა.

მივხვდი, რომ ვიღაცის ხელნაწერი მიჰქონდა.

— მოთხრობებია?

— არა, რომანია. რედაქციაში ვერ ვასწრებ

და შინ უნდა ვიმუშაო ამაზე, ნეტავი ღირდეს მაინც გარჯად. თვალი გადავყარი და... რა ვიცი... ამხელა რომანს წაკითხვა და გასწორება არ უნდა? ესენი რომანებს წერენ, მე კი ამათ წაკითხვასა და გასწორებას ვერ ავუდივარ.

საუბრით შევუყევით ვერის აღმართს.

* * *

გიორგი შატბერაშვილი თავმდაბლობდა მეგობრებშიაც და ცხოვრებაშიც, ეს მისი დიდი სამკაული იყო. თავმდაბლობდა თავის თავის შეფასებაშიც. სამისოდ მახსენდება ერთი ამბავი.

მისი „თვალადური ქართულის ქაშნიკის" გამოქვეყნებისთანავე რეცენზია დავწერე ამ წიგნზე. რაიმე შეცდომა არ გამეპაროს-მეთქი თვითონ წიგნის ავტორს წავაკითხე მანქანაზე გადაბეჭდილი რეცენზია. გიორგის პიროვნების მიმართ ვიხმარე ზოგიერთი ეპითეტი, რომლებიც დღესაც არ მეჩვენება გადაჭარბებულად.

გიორგიმ რეცენზიის კითხვისას ასეთი სიტყვები ან სულაც წაშალა, ანდა შეცვალა. ფრაზაში „ქართული სიტყვის ხელმარაქიანი მოჭირნახულე გიორგი შატბერაშვილი" სიტყვა „მოჭირნახულე" გადაშალა და მის ნაცვლად შავი მელნით ჩაწერა უბრალოდ „მუშაკი" და თანაც დაატანა: ასეთი რამ მხოლოდ ილიას დარ ერისკაცზე ითქმისო. „სახელოვანი მწერალი" რომ მეწერა, პირველი სიტყვა სულაც მოაშორა, ხოლო ფრაზაში „მხატვრული სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატი", „პირველხარისხოვანი" წაშალა. მეორეხარისხოვანი მწერლები შურით აღივსებიან და ცოდონი არიანო, ღიმილით მომიგო ჩემს ჩაბურტყუნებაზე, ეგ ხომ სინამდვილეა-მეთქი.

აღნიშნული რეცენზია გაზეთში დავბეჭდე, მაგრამ საამისოდ რედაქციას გადავეცი სხვა პირი, ხოლო გიორგის მიერ შავი მელნით აქა-იქ ნასწორები, დღესაც სათუთად მაქვს შენახული.

მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ ქართულ სიტყვაზე მოჭირნახულეობას.

გიორგი შატბერაშვილი სხვასაც მოუწოდებდა, უპირველეს მოვალეობად ექციათ ზრუნვა ქართულ სიტყვაზე.

1964 წლის 4 დეკემბერს ჟურნალ „პიონერის" რედაქციას და ავტორებს შეხვედრა მოუწყეს ქ. თბილისის პირველი გახანგრძლივებული სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა და მოსწავლეებმა. სტუმართა შორის ბრძანდებოდა გიორგი შატბერაშვილი. იმ დღისით მე გიორგისთან ჩავედი. „მნათობის" რედაქციაში სწორედ იმ ჟამს მივაკითხე მას, როცა „პიონერის" რედაქციიდან დაურეკეს წასასვლელად. გიორგი აღარ მომეშვა, თან წამიყვანა.

შეხვედრის ოფიციალური ნაწილიც დაიწყო როგორც წესი, სიტყვებით გამოვიდნენ მასპინძლები, აქეს და ადიდეს ჟურნალიცა და მისი ავტორებიც. პირველ სათაყვანებლად გიორგი შატბერაშვილი გაიხადეს. პიონერებმა წაიკითხეს ქართველ პოეტთა, მათ შორის იმ დამსწრეთა ლექსები, მიართვეს ყვავილების თაიგულები. სიტყვით გამოვიდა ჟურნალის რედაქტორი ბაბულია შელია. თავიანთი ლექსები წაიკითხეს ჯანსულ ჩარკვიანმა, გივი ძნელაძემ, სიმონ შამფრიანმა. სეფე სიტყვა მისცეს გიორგი შატბერაშვილს. ტაშმა იგრიალა და დარბაზი გაინაბა. გიორგიმ მოსწავლეებს მიმართა თბილი სიტყვით, მოუწოდებდა ესწავლათ ფრიადზე, ჰყვარებოდათ წიგნი, ეზრუნათ ქართული ენის დასაცავად, ურჩია, უფროსებისაგან, მშობლებისაგან თუ მახლობლებისაგან ჩაეწერათ ხალხური ლექსები, ზღაპრები, ლეგენდები, თქმულებანი, იშვიათი სიტყვა-თქმანი.

— ბევრი თქვენგანი ზაფხულობით, ალბათ, სოფელში წავა, ზოგს პაპა და ბებია დახვდებათ, ალბათ, იქ, ზოგს სხვა ნათესავი და აი, როცა მათთან მოხვდებით, აუცილებლად ჩაიწერეთ ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. იქნებ ახლავე ვერ იგრძნოთ და როცა გაიზრდებით, მერე მიხვდებით, თუ რამდენ დიდი საქმე გაგიკეთებიათ პატარებს ამით. მთელ ზაფხულს ერთი უპოვნელი სიტყვაც რომ იპოვოთ, ეგეც დიდი შენაძენი იქნება ჩვენი ეროვნული საუნჯისათ, ქართულ ენაზე ზრუნვა უპირველესი მოვალეობაა ყველა ქართველისა ენის ამოდგმიდან სიკვდილამდეო.

და ეს ზეპირი გამოსვლა თავისი საყვარელი „დედა ენით" დააბოლოვა. კითხულობდა თავისებური ეშხით.

არ მიძებნია ტახტი და ჩინი.
მე შენს ტრფიალში დავკარგე ჩინი...
ჩამიქრა თვალნი, წამერთვა სმენა,
მაგრამ ტკივილი გადიქცა რწმენად...
...შენ ჩემო მწეო და ჩემო მზეო,
შენ ჩემო ღმერთო, შენ ერთადერთო,
შენა ხარ რწმენა ბაგეთა ჩემთა,
და იყავ რწმენად შენ შვილთა ჩემთა!

ასე მიმართავდა პოეტი დედა ენას და ესალბუნებოდა პატარების გულებსაც და დიდების გონებასაც.

## 2. უკანასკნელი ჩამოსვლა მშობლიურ მხარეში

აპრილი ახალი მობრძანებული იყო. სახალისო დღე გამოსულიყო. ისეთი, სითბოსა და მზის მადლს მონატრებულებს რომ გარეთ გამოიტყუებს ხოლმე. მეც დილის მერე კაბინეტში ფეხი აღარ შემიდგამს. საქმემ გამომიტყუა. გვიან მოვათავე და ვიდრე მუზეუმში ავიდოდი, წიგნის მაღაზიაში უნდა შემევლო.

მოულოდნელად ნაცნობმა ხმამ შემაჩერა. მოვიხედე, პარტიის კასპის რაიკომის პროპაგანდის

განყოფილების გამგე ვაჟა ყიფიანი მოისწრაფოდა, რაღაც დაღლილი სახე მოუჩანდა.

— სად დაიკარგე, რამდენი ხანია გეძებ, მუზეუმში ვრეკე, სახლში ვრეკე, სად არ გეძებე და ვერ მოვაგენი შენს კვალს, — მისაყვედურა ვაჟამ.

— დილას არ ვიყავი შენთან?

— იყავი, მაგრამ... ერთი კარგი სტუმარი ჩამოვიდა და შენა გკითხულობს.

სტუმარი და ისიც კარგი, როგორ არ მესიამოვნებოდა.

— ვინ არის.

— გიორგი შატბერაშვილია! — შემომცინა.

— გიორგი?! — გამეხარდა, — სად არის?

— რაიკომში იყო, პირველ მდივანთან, სამთავისში აქვს საქმე. გიცადა, გიცადა და რომ აღარ იჩინე თავი, წავიდა. დაიბარა, გამოჩნდეს თუ არა, სამთავისში ამოვიდესო.

რაიკომისკენ გავწიეთ. შიგნით არც კი შევსულვართ, რომ მითხრეს სამთავისიდან მანქანა გამოუგზავნიათ და მძღოლი გიცდისო.

რამდენიმე წუთში სამთავისში ამოვყავით თავი. კოლმეურნეობის კანტორაში შევედი. გიორგიმ თავისებური ღიმილი შემომაგება, გულითადად მომესალმა და:

— სადა ხარ, სეხნია, სულ ჩამოსვლას მეხვეწები და აჰა, ჩამოვედი და მემალები? — ხუმრობის ხასიათზე იყო.

— მართალი ბრძანებაა, კარგი კაცი სტუმარს არ უნდა ემალებოდეს-მეთქი! — ესღა მოვახერხე, — რომ მცოდნოდა, თქვენ მობრძანდებოდით, ფეხს არ მოვიცვლიდი მუზეუმიდან.

გიორგიმ გაიღიმა.

— როგორ მოხდა, ბატონო გიორგი!

— რა გიკვირს, ჰიპი აქა მაქვს მოჭრილი და რატომაც არ უნდა მოვსულიყავი.

— სასიამოვნოა.

— „კომუნისტიდან“ გამომგზავნეს, მთხოვეს ნარკვევი დაგვიწერე რამე შენი ნაცნობი სოფლის ადამიანებზეო. და სამთავისი ვირჩიე. მოვედი და ნაცნობები დამხვდნენ. — და გახედა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს აბრამ გორჯოლაძეს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ალფეზ ბუდაღაშვილს.

— ეს კი ეხლა გავიცანი! — თქვა ვალერიან ეპიტაშვილზე, რომელიც მაშინ პარტიის რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა და კასპიდან გამოჰყოლოდა გიორგის.

თავმჯდომარის კაბინეტში სხვებიც ბევრნი ისხდნენ, მათ შორის კოლმეურნეობის ბუღალტერი თამარა ნიაური, რომელსაც ციფრობრივი მასალები გაემზადებინა გიორგისათვის და მზად იყო ჩაეწერინებინა, მაგრამ გიორგის მაინცდამაინც არ შეუწუხებია ბუღალტერი, ცოცხალი ადამიანები აინტერესებდა, წინ სწორედ მომავალი ნარკვევის გმირები დაესხა, პირველი კომუნის მონაწილე ლექსო ფარესაშვილი და ორიოდე კიდევ სხვა.

გიორგი ცოტას წერდა, ბევრს უკვირდებოდა, უმზერდა დახარბებით, თითქოს უნდოდა, უთქმელად ამოეკითხა ნაჯაფარი კაცის ფიქრი და განცდა. თავისებურ მიმზიდველ საუბარს გაუბამდა, მხოლოდ შრომით მონაცემებზე არ ელაპარაკებოდა, სხვა ადამიანურ ამბებსაც აყოლებდა. კმაყოფილება გამოეხატებოდა, კარგ მასალებს რომ აწერინებდნენ. უფრო მეტად ის უხაროდა, რომ ეს ქართლელი, დარბაისელი კაცები ჯიშიანი ქართულით ლაპარაკობდნენ. თქმა მოეწონებოდა, სახეზე ნათელი გადაურბენდა, მოსაწონ სიტყვას თუ გამოთქმას უმალ ქაღალდზე გადაიტანდა შავი მელნით, თავისებური მიწვენილი ასოებით წერა რომ უყვარდა; კმაყოფილი იყო, რომ სამთავისში მოხვდა, თუმცა სხვაგანაც რომ ყოფილიყო, ისე არ წამოვიდოდა, სიბრძნისა და სიტყვის ხელხვავი არ გაეყოლებინა, საინტერესო წარსულის მქონე სოფელი იყო და იმედი ჰქონდა მარილიანი ნარკვევი გამოუვიდოდა. ერთხელ კიდევ დაეთვალიერებინა მეთერთმეტე საუკუნის დიდებული ძეგლი — სამთავისის ტაძარი, ერთხელ კიდევ დამტკბარიყო მისი ხილვით, იმისი სიმშვენიერე და სიყვარულიც მეტ ფერს მიუცემდა ნარკვევს.

უხაროდა ნაცნობებთან ყოფნა. სოფლის თავკაცები ხომ „შინაურები“ გამოდგნენ. აბრამ გორჯოლაძეს ადრევე იცნობდა, როცა კასპის რაიონში მასწავლებლობდა გიორგი, აბრამი კი რაიონის თავკაცთაგანი იყო. ალფეზ ბუდაღაშვილი მისი ნამოწაფარი აღმოჩნდა და უხაროდა, რომ ასეთი სახელოვანი კოლმეურნეობის თავკაცი გამხდარიყო. ვალერიან ეპიტაშვილი იმ დღეს გაცნობილი ჰყავდა, მაგრამ მწერალს სიამოვნებდა, რომ სხვა კარგ თვისებებთან ერთად, ლიტერატურისა და ხელოვნების სიყვარული აღმოაჩნდა, რაც საუბრისას გამომჟღავნდა.

საქმე დამთავრებულად ჩათვალა. გიორგი წამოდგა, სხვებიც წამოიშალნენ.

სტუმარმა დიდი მადლობა მოახსენა და გამოსამშვიდობებლად გაუწოდა ხელი.

მასპინძლებმა შეიცხადეს, ჯერ რა დროს წასვლაა, როგორ იქნება, თქვენი ჩამობრძანება თუ არ დავლოცეთ, ისე რა კაცები ვიქნებით, სად გამოგვეყოფა თავიო.

მანქანებში ჩავსხედით და იგოეთის სასადილოში შევიარეთ. განცალკევებული ჯიხური შევარჩიეთ სასადილოს ეზოში. მანამდე შენაკვეთს მოგვიტანდნენ, საუბარი გავმართეთ. მასპინძლები სიყვარულით შევხაროდით საყვარელ მწერალს, მოზრდილი ჩანთიდან წიგნები ამოალაგა, გადაშალა ახალი გამოცემული „მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ეკონომიკისათვის“. წიგნი აჭრელებული იყო წითელი ხაზებით, ის გეოგრაფიული და საკუთარი სახელები მოენიშნა, რომლებიც კასპის რაიონს

ეხებოდნენ, ანდა მისთვის საინტერესო იყო. იქ მყოფთა გვარებს ეძებდა, გვაკითხებდა და თავისებურ კომენტარებს უკეთებდა.

მერე ახალი წიგნები ამოალაგა. ეს მისი საბავშვო მოთხრობები იყო. ბავშვების სახელები იკითხა, მალე ეს სახელები წიგნის შიგა ყდაზე დაწერა: „სახსოვრად ძია გიორგისაგანო“ და იქ მყოფთ დაურიგა.

— კასპამდე რითი მობრძანდით, ბატონო გიორგი? — შევეკითხე.

— მატარებლით, — შეუყოვნდა და დაუმატა, — მანქანითაც შემეძლო, გრიშა აბაშიძემ შემომთავაზა კიდეც, მაგრამ მატარებლით მოსვლა ვირჩიე, საერთოდ მატარებლით მგზავრობა მიყვარს, ხალხის ლაპარაკს ვუგდებ ხოლმე ყურს.

მომტანებმა სუფრა „აგვიყვავეს“. გიორგი ცოტა-ცოტას სვამდა, ბოლო დროს სასმელს ველარ ვიტანო, მეორე დღეს მოშხამულ გუნებაზე ვდგები ხოლმე და წერის ხალისი მეკარგებაო, მისი შემყურენი ჩვენც ვენაზებოდით ღვინოს.

— დღეს კასპელებმა გაგაცდინეთ, პატივცემულო გიორგი, — უთხრა ალფეზმა.

— არა, რას ამბობთ, დღევანდელ დღეს გაცდენილად არა ვთვლი, რამდენი ნაცნობი განახეთ, რამდენი რამ შემძინა დღევანდელმა დღემ. რამდენი სიტყვა ჩავიწერე ქაღალდზე თუ გულში, ძვირფასი, ღრმააზრიანი. მშობლიურ მხარეში ჩამოსვლა ბავშვივით მომიხარია, დრო არა მაქვს, თორემ ხშირად ვივლი.

იგოეთის რესტორანში დიდხანს არ გავჩერებულვართ, რადგან განზრახული გვქონდა კასპში ჩამოვსულიყავით და ჩვენს ჭერქვეშ დაგველოცა სასურველი სტუმარი. რესტორანის ეზოში გამოვედით. ის იყო, მანქანის კარები გამოვაღეთ, რომ შემოგვესმა:

— გიორგი, გიორგი!

ყველამ მივიხედეთ.

ჩვენკენ მოდიოდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი მწერალი ელგუჯა მაღრაძე, რომელსაც უკან მოსდევდნენ პოეტი შალვა ფორჩხიძე და მისი ძმა.

მოვიდნენ, მოგვესალმნენ, გიორგის გადაეხვივნენ.

— აქ საიდან გაჩნდით! — შეეკითხა გიორგი.

— მთელი დღეა შენს ნაკვალევს დავდევთ და ძლივს მოგაგენით, — მიუგო ელგუჯამ.

ელგუჯა და შალვა გიორგის მერე მოსულიყვნენ კასპში, პირველ მდივანთან ჰქონდათ საქმე. იქ ეთქვათ გიორგი შატბერაშვილიც აქ არისო და საქმის მოთავების შემდეგ წამოსულიყვნენ მის საძებნელად. ამ ძებნაში ერთ სასასმელოში შესულიყვნენ და ღვინით შეხალისებულიყვნენ კიდეც.

დიახაც გაიხარეს ერთმანეთის შეხვედრით.

ყველამ კასპისკენ ვქენით პირი.

თბილისელი სტუმრებიც კარგ ხასიათზე იყვნენ.

— აქეთ-იქით რომ დაბრძანდებით, რატომ არ ამთავრებ რომანსა, ძმაო! — მიმართა ელგუჯამ.

— მასალების უკმარისობამ გამაჩერა, რაც მინდოდა, იმასაც მივაგენი, თავში უკვე დამთავრებული მაქვს. ერთი ჩაჯდომა და ღონიერი მუშაობა მინდა და დავამთავრებ, — უპასუხა გიორგიმ.

— მალე დაამთავრე „აბოს წამება“, თორემ ჩემი წამება დაიწყებაო,—ეხუმრებოდა ელგუჯა.

ეტყობოდა ელგუჯა მაღრაძეც გულაჩქარებით მოელოდა „აბოს წამების ათი დღის“ დაწერას და ფიქრადაც ჰქონდა მის გამომცემლობას დაესტამბა ცალკე წიგნად.

— ის ნაწყვეტი არაჩვეულებრივი იყო, ეტყობა, კარგი რომანი მოდის! — კვლავ ხალისით ეუბნებოდა ელგუჯა.

გიორგი შატბერაშვილი ილიმებოდა და მანქანის ფანჯრიდან გარეთ იმზირებოდა, უსაზღვრო სივრცეს გასცქეროდა. ეტყობოდა „აბოს წამებაზე“ უტრიალებდა ფიქრები.

მალე ჩამოვედით კასპში. რამდენიმე ოჯახი ელოდებოდა გიორგის თავის მრევლიანად, მაგრამ ჩვენსკენ გამოუწია გულმა.

ჭერი აგვიმაღლდა სიხარულისაგან. მარტო ჩვენ კი არა, მთელმა უბანმა, მთელმა კასპმა გაიხარა. გიორგი შატბერაშვილი ყველას უყვარდა, როგორც მწერალი და როგორც ადამიანი.

მწერლები მოვიდნენო, და მეზობლის ბავშვები შემოიკრიბნენ ჩვენს ბინაში.

გიორგის უხაროდა. ჩამოუარა, სათითაოდ გამოელაპარაკა, სახელები გამოჰკითხა. წიგნები შემორჩენოდა, ჩამოურიგა ბავშვებს, წარწერებით. ყველას არ გახვდა და შეპირდა, მომავალ ჩამოსვლაზე თქვენ უფრო დიდებს ჩამოგიტანთო.

რაიკომის პირველი მდივანი ბესო გეჯაძეც მალე მოვიდა.

— სადა ხართ, თქვე ულმერთოებო, მშიერი მომკალით, დილას აქეთია ლუკმა არ გამილეჭია თქვენს მოლოდინშიო, — სტუმრებს უსაყვედურა ბესომ.

გიორგის სხვების შემოკრებაც ეწადა, თითქოს უნდოდა ყველა ნაცნობისათვის გაეზიარებინა თავისი სიხარული, თითქოს რაღაცა სათქმელი უნდა უთხრას ყველასო.

არაჩვეულებრივ ხასიათზე იყო.

სუფრა გაიშალა.

შინაურული ღვინო ვარჩიენეთ სტუმრებს. ჩემს გვერდით მცხოვრებმა ვალერიან ეპიტაშვილმაც დიდი ბოცით შემოიტანა თავისი ღვინო. პირველი მეჭაშნიკე გიორგი იყო, ორივე ერთმანეთზე უკეთესებიაო, დღეს მასპინძლისა ვსვათ, ხვალ მეზობლისაო, ხუმრობდა.

თამადობაც გიორგის შევთავაზეთ. ჩვენ მო-

რიდებით ვთხოვეთ, იმან თამამად, რიხიანად წამოავლო ხელი ჭიქას. სიდარბაისლითა და ლაზათით გაუძღვა სუფრას. მე შენ გეტყვი, აჩქარდებოდა, უგემურ სიტყვას იტყოდა ან დაესხხებოდა ვინმეს.

ჭიქას დაცლიდა და მაგიდაზე დააკაკუნებდა.

— არ უნდა დამელია, მაგრამ მეცლებაო, რადგან გულს უნდა, აღარ მოვირიდებო.

სიხალისეში აგვიყოლია.

ჩვენი სუფრა თანდათან ეშხში შედისო, ამბოდა გიორგი და ეშხს ხომ თვითონ თამადა აძლევდა:

„ისეთ სადღეგრძელოს ვიტყვი,
ბულბულს დავსვამ ჭიქაზე,
ვარდის ტოტზე დაჩვეული
ჩვენთან ჯდომას იკადრებს!

ამბობდა თავისივე ლექსიდან.

ჩვეულებრივად წარმოთქვამდა, მაგრამ ჩვენ ისე გვატკბობდა, თითქოს მღერისო. მართლაც ისეთ სადღეგრძელოებს ამბობდა, ყურდახარბებულები შევცქეროდით, ჭიქები ვილას ახსოვდა. პაექრობა წამოიწყო საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე. სიყვარული, სილამაზე, სიმშვენიერე გაამეფა მაგიდაზე. სუფრის მონაწილენი აღიარებდნენ, ასეთი კმაყოფილება დიდი ხანია არ გვიგრძნიაო.

შეუმჩნევლად გაპარულიყო დრო. შუაღამეს ჩაემუქებინა არე-მარე. თბილისელებმა აიყინეს, უსათუოდ უნდა წავიდეთო.

გიორგის არ ეთმობოდა აქაურობა. ძოდი დავრჩეთ, რაც არის, არისო, ხვალაც ძეგლებს გავუაროთო, მაგრამ თვითონვე შეაბრუნა სიტყვა, შინ არ დამიბარებია სიტყვა დარჩენაზე, თორემ არ გაწყენინებდითო. ეგეც არ იყოს, ხვალინდელი დღე დამეკარგებაო, ერთი დღე ერთ წელიწადად მიღირსო, ისე რა დამაძინებს, თუ ჩემს ტუუპ შვილიშვილებს არ გადავკოცნე, მწოლიარეებსა, მძინარეებსაო.

გამოგვემშვიდობა. ცივად კი არა, გულმხურვალედა, სათითაოდ ჩამოგვყვა და გადაგვკოცნა. სამებასავით კოცნაც სამჯერ უნდაო და სამჯერ გადაგვკოცნა. მალე ჩამოვალო, შეგვპირდა, მაგრამ მეტად აღარ ჩამობრძანებულა მშობლიურ რაიონში. ორიოდე კვირის მერე თვალცრემლიანი დავცქეროდი მის კუბოს.

* * *

გიორგი შატბერაშვილი თითქოს გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას. აკი უბის წიგნაკში უწერია კიდეც: დაკვირვებული ადამიანი დაახლოებით მაინც გრძნობს როდის მოკვდებაო. ალბათ, გრძნობდა და ბოლო წლებში ძალიან უფრთხილდებოდა დროს, ეხარბებოდა, რომ სათქმელი ეთქვა, ინტენსიურად მუშაობდა.

ვრცელ რომანად განზრახული „აბოს წამების ათი დღიდან" ერთი დღის დახატვაც ვერ მოასწრო. რამდენი შრომა დახარჯა ამ სარომანე მასალების შეგროვებასა და შესწავლისათვის, ფაქტიურად შექმნილი ჰქონდა ზეპირად, მხოლოდ ქაღალდზე გადატანაღა იყო საჭირო. ერთი რიგიანი ჩაჯდომა, ერთი რიგიანი შეტევა და უძვირფასესი რომანი დაიბადებოდა, მაგრამ ვაგლახ, რომ ის ერთი შეტევა ველარ მოასწრო. მოთხრობებისაკენაც ეძალებოდა მარჯვენა, თემები მოფიქრებული ჰქონდა, ხასიათები თვალწინ ეხატა. რამდენი ლექსი დაეწერებოდა კიდევ. „ზაფხულის ღამის ქრონიკა" რომ დახატა, იქვე აპირებოდა, შემოდგომის, ზამთრისა და გაზაფხულის ქრონიკებსაც გავლექსავო. განზრახული „თვალადური ქართულიდან" ხომ მხოლოდ „ჭაშნიკი" მოასწრო... რამდენი თემა ეძალებოდა, თურმე, და სათქმელის ამოთქმა კი აღარ დასცალდა.

ხომ ბევრი დაწერა სიკვდილზე, მაგრამ გული არ შესჯერებოდა მაგ თემაზე, კიდევ აპირებოდა სიკვდილთან შებმას, კიდევ უნდოდა ჩაევლო ღონიერი ხელები საჯილდაო ქვისათვის. მოთხრობაც ჰქონდა სიკვდილზე.

ერთხელ მე წავაკითხე ჩემი პატარა მოთხრობა სიკვდილის თაობაზე, სადაც აღწერილი იყო ამბავი იმის შესახებ, თუ ერთი უკუღმართი კაცის დამარხვისას როგორ გაჯიქდა სოფელი, არც სამძიმარზე მიაკარეს ფეხი და არც დასაფლავებაზე. მაინც მიწის ზევით არ დატოვეს და როცა სამარეში უშვებდნენ, მესაფლავეებმა კუბო ამოაპირქვავეს და ეგრევე ჩაახეთქეს, გულის ბუხარი მაგითღა ამოიყარეს იმ ბოროტ კაცზე.

გიორგიმ ამ მოთხრობაზე გაიღიმა, თავისებური შენიშვნები მომცა და მითხრა:

— ეგ ნამდვილი ამბავი იქნებაო.

— დიახ, ნამდვილად მომხდარა-მეთქი.

— მე უარესი ამბავი მაქვს გაგონილი, ეგეთი ავი კაცი ყოფილა კავთისხევის მეზობელ სოფელში, მთელ სოფელს სძულდა და ჯავრიც იყარეს, თავისი ხელით გაათხრევინეს სამარე და პირქვე ჩამარხეს. ამ ამბავზე უნდა დავწერო მოთხრობა. მცირე მოცულობისას ვფიქრობ, მაგრამ ახლავე ვიცი, წერისას სათქმელს ვერ დავიოკებ და გაიზრდებაო. მაგ შიშმა იქით გადამადებინა, თორემ ორი ღამის საგზალი არც კიაო.

ეჰ, რამდენი ღამის საგზალი ჰქონდა დასაწერი და რა დროს გამოსდო სარმა სიკვდილმა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციალა ქაროსანიძე

# „კარგის საზღვარი არ არსებობს“

გიორგი შატბერაშვილს ვინც იცნობდა, მას კარგად მოეხსენება, ახალგაზრდობის დიდი მეგობარი რომ იყო იგი. უყვარდა ისინი, გულისყურით ეპყრობოდა მათ და ამიტომაცაა თანამედროვე მწერლების დიდი ნაწილი მისი ახლო მეგობრები იყვნენ და დღემდე მის მეგობრებადაც დარჩნენ.

ტრაგიკულად დაიღუპა გურამ რჩეულიშვილი. რამდენიმე წლის შემდეგ „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა უდროოდ გარდაცვლილი მწერლის მოთხრობათა წიგნი — გიორგი შატბერაშვილის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით. მაგრამ სანამ წიგნი გამოვიდოდა და მზის სინათლეს ნახავდა, ჩვენგან წავიდა მისი ქირისუფალი, გიორგი შატბერაშვილიც. იგი ახალგაზრდა მწერლის მოთხრობათა წინასიტყვაობაში გულდაწყვეტით წერდა:

„საოცარი სიზუსტითა და სილამაზით შეეძლო ნანახისა და განცდილის აღქმა და აღბეჭდვა. იცოდა, რა უნდა ენახა, რად უნდა ენახა, მისი თვალი მგრძნობიარე ფირივით ნთქავდა გარემოს. ერთნაირი სიცხადით გრძნობდა და გადმოსცემდა პატრიარქაულად მოაზროვნე ხევსურისა, თუ ჭავჭავაძის პროსპექტზე მიმავალი სტუდენტის ფიქრებს. ძლიერი შთაბეჭდილება ისე სწვავდა და ეკიდებოდა მის გულსა და ხსოვნას, როგორც გაზაფხულის მზე ნაზამთრალ სხეულს.

დიდხანს უნდა ევლო მას ამ მზის ქვეშ... არა, ულვთო იყო. მართლაც, მისი სიკვდილი. მაშინ ეს ლოდიც უფრო გვიან ვაითლებოდა, თუმცა ეს უბრალო ლოდიც დიდს ჰპირდება უდროოდ წასულს“.

* * *

1956 წელია, გამოვიდა გიორგი შატბერაშვილის ლექსთა კრებული „ა იმ მთაზე“. ამ წიგნზე მუშაობაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და, რა თქმა უნდა, არც პრეტენზია მქონდა, რომ პოეტს ჩემთვის წიგნი მოეძღვნა, მაგრამ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გიორგიმ თავისი ლექსთა კრებული მაჩუქა.

1962 წელს გამომცემლობამ გადაწყვიტა გამოეცა გიორგი შატბერაშვილის ერთტომეული, სადაც მწერლის მიერ დაწერილი ლექსები და მოთხრობები შევიდოდა.

წიგნზე მუშაობა დავიწყეთ. გიორგი თითქმის ყოველ დღე ჩვენთან ტრიალებდა. ხან მხატვრებთან ნახავდით, ხან ანაბეჭდებს კითხულობდა, კორექტორებთან ერთად. ცდილობდა წიგნი კარგი გამოსულიყო. ჩვენს ზოგიერთ შენიშვნას ანგარიშს უწევდა. როცა წიგნში სურათის დაბეჭდვაზე მიდგა საქმე, ესეც გვკითხა, მხატვრის მიერ შესრულებული პორტრეტი წასულიყო, თუ მისი ფოტოსურათი.

მან გვაჩვენა მხატვარ შოთა სამხარაძისეული პორტრეტი. ძალზე მოგვეწონა და ვურჩიეთ წიგნში ეს წასულიყო. მართლაც ასე მოხდა და ამ დიდებულ ერთტომეულს მხატვარ შოთა სამხარაძის მიერ შესრულებული პოეტის პორტრეტი ამშვენებს.

წიგნს დართული აქვს გიორგი შატბერაშვილის წინათქმა. ეს წინასიტყვაობა რამდენადაც ვიცი, მწერლის არა ერთ შემდეგ გამოსულ წიგნს არ დართვია. არადა, იმდენად თავისებური და მრავალმხრივ საგულისხმოა, რომ საჭიროდ ვთვლი მკითხველს ისევე მოვაგონო ეს დიდებული წერილი:

„რატომღაც უცნაური სურვილი მქონდა, ყველაფერი, რაც ასე თუ ისე კარგი დამიწერია, ერთ წიგნში მომექცია. ვფიქრობდი, ჩემი მუშაობის ჯამი ერთხელ მაინც ერთბაშად მიმეწოდებინა მკითხველისათვის, რომ ჩემი ერთი

ჟანრის ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ, მას შესაძლებლობა ჰქონოდა, იქვე რამდენიმე ფურცლის შემდეგ, მეორესაც გასცნობოდა.

ეს არ მოხერხდა და, ალბათ არც ივარგებდა. ძალიან მძიმე და ჭრელი წიგნი გამოვიდოდა. ამიტომ ამ წიგნში მხოლოდ ლექსები და მოთხრობები შევიტანე. იქნებ ესეც უხერხულია... ჩვენი მწერლები ერიდებიან ასეთი წიგნის გამოცემას.

კარგის საზღვარი არ არსებობს, ამიტომ არც ისე მკაცრად გამიმარგლავს ჩემი ჭირნახული... დროს თავისი მიაქვს და მოაქვს. ღვარძლისა და სარევლას გათიბვას ყოველთვის მოასწრებს ჯიუტი მთიბავი.

მკაცრად არ გამიმარგლავსო, ვამბობ, მაგრამ უკან რომ ვიხედები, ამ წიგნს რომ ვათვალიერებ, შეუბრალებლად მეჩვეხება თავი...

სისტემატური ბეჭდვა 30-იან წლებში დავიწყე, მაგრამ ამ წიგნში უმთავრესად 1944 წლის შემდეგ დაწერილი ლექსები და მოთხრობები შემიტანია. გამონაკლისს წარმოადგენს სიჭაბუკეში დაწერილი შვიდი-რვა ლექსი. ისე, რომ ეს წიგნი ჩემი მუშაობის თხუთმეტი-თექვსმეტი წლის მუშაობას აჯამებს.

ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ დროის ბევრი ლექსი და მოთხრობა ამ კრებულში არ შემიტანია.

დრო გავა და ეს წიგნიც გაიმარგლება და ნამარგლის ადგილს უკეთესი დაიჭერს".

მინდა ამდენი წლის შემდეგ, მის ნათელ ხსოვნას შევეხმიანო, და მოწიწებით მივმართო: რაც წლები გადის, ქართველი მკითხველისათვის მით უფრო ძვირფასია ეს თქვენი წიგნი.

* * *

დავასრულეთ მუშაობა. წიგნი გამოვიდა. კმაყოფილი იყო, სოლიდური კრებულიაო ეუბნებოდნენ. წიგნის გამოსვლის ცოტა ხნის შემდეგ, ჩემს სამუშაო ოთახში შემოდის გიორგი შატბერაშვილი და ხელში ახალგამოცემული წიგნი უჭირავს. წიგნი გადმომცა და თან პატარა ქაღალდი მოაყოლა. მივხვდი რაც უნდა ყოფილიყო. გაჯავრებული არ ჩანდა და თან იცინოდა. ეს პატარა ქაღალდი „ხელშეუხებლობის სიგელი" გახლდათ. გიორგიმ ამ უცნაურ ბარათს ასეთი სათაური რატომ შეურჩია, ჩემთვის ნათელი გახდა.

წიგნში, როცა შეცდომა გავიდოდა, შალვა დემეტრაძე ძალიან მკაცრი და შეუვალი იყო. წიგნში რამდენიმე შეცდომა მაინც გაპარულიყო. გიორგიმ ამ ბარათით ჩემი შემდგომი მუშაობა უსაფრთხო გახადა და ჩემი დასჯა არ მოიხდომა.

„ხელშეუხებლობის სიგელის" არსი შემდეგშია: რამდენიმე შეცდომაა ჩამოწერილი ერთ მხარეს, რამდენიმე მეორე მხარეს. ერთს აწერია ავტორისეული, ე. ი. დედნისეული, მეორე მხარეს კორექტურა, ე. ი. ჩემს მიერ დაშვებული შეცდომები. ეს უცნაური ბარათი მის მოძღვნილ წიგნთან ერთად ჩემთან ინახება, რაც ჩემთვის ძვირფასი რელიქვიაა.

* * *

1963 წელს გამოვიდა გიორგი შატბერაშვილის ახალი ლექსთა კრებული „ზაფხულის ღამის ქრონიკა", რომლის კორექტორიც მე გახლავართ. ამ წიგნში არცერთი კორექტურული შეცდომა არ გამპარვია და გიორგი მეორე — „ხელშეუხებლობის სიგელს" გადავარჩინე.

იმ დროს გალაკტიონზე კრებულს ვადგენდი, გალაკტიონ ტაბიძის გარდაცვალების შემდგომ დაბეჭდილ წერილებს, მოგონებებსა და ლექსებს ვაგროვებდი. კრებული თითქმის მზად მქონდა.

ნიკა აგიაშვილმა კრებულს სათაურად თვითონ გალაკტიონის სტრიქონი „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი" შეურჩია.

გიორგი ამ წიგნით დაინტერესდა. კარგი და საჭირო წიგნი იქნებაო, დასძინა. ვთხოვე ამ კრებულისათვის ლექსი მოეტანა. გიორგიმ იქვე მისი ლექსთა კრებული გადაშალა, ერთ უსათაურო ლექსზე მიმითითა, ამ ლექსს ჩემს თვალწინ მისცა სათაური და გადმომცა. ეს ლექსი „სიკვდილი ცაში" გახლავთ. სამწუხაროდ კრებულში გალაკტიონზე მიძღვნილი ლექსები არ შევიდა. სამაგიეროდ გალაკტიონის კრებულს ამშვენებს გიორგი შატბერაშვილის წერილი „მუსიკა ჩვენი სულისა".

ჩვენთან გიორგი შატბერაშვილის გამოჩენა ყოველთვის დიდი სიხარული იყო. ყველა ახაკის ადამიანთან შეეძლო ემეგობრა.

ხშირად გვპატიჟებდა თეატრში, მახსოვს, როგორი გახარებული იყო, როცა მარჯანიშვილის თეატრში მისი საუკეთესო მოთხრობის მიხედვით გაკეთებული სპექტაკლი „მკვდრის მზე" დაიდგა.

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

„МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ